

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



Arnold Chikobava Institute of Linguistics  
Tbilisi Ivane Javakhishvili State University

Институт языкознания имени Арнольда Чикобава  
Тбилисский государственный университет имени  
Иванэ Джавахишвили

**Arnold Chikobava**

**Works**

V

**А. С. Чикобава**

**Труды**

V

**Tbilisi 2011 Тбилиси**

არნოლდ ჩიქობავა

# შრეშეები

V

თბილისი  
2011

## ხალხი, ენა, მწერალი

1. ენას ხალხი ქმნის, სამწერლო ენას — მწერლობა, სამწერლო ენის ძეგლები ენის ნაკვალევს ტოვებენ ისტორიაში.

ენის სპეციალისტი ამ ნაკვალევის მიხედვით აღადგენს, მეტ-ნაკლები სისრულით, თუ რა სახისა იყო იმ დროს ენის ლექსიკა, სიტყვისა და წინადადების სტრუქტურა, ბგერითი შედგენილობა.

2. ქართული სამწერლო ენის ყველაზე ძველ „ნაკვალევად“ ითვლება წარწერა ბოლნისის სიონზე V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა (ასოთა მოხაზულობა ქვაზე — ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი ვარაუდით — გვაფიქრებინებს, რომ მესხეთე საუკუნეში შექმნილად ქართულ ანბანს ვერ მივიჩნევთ: ამ დროისათვის მას განვითარების გარკვეული გზა უნდა ჰქონდეს გავლილი).

3. ერის რაობას როცა განსაზღვრავენ, ენის ერთობაზე მიუთითებენ.

ერის რაობის ეს ნიშანი ყველაზე ძველია (ტერიტორიის ერთობა, ეკონომიკა, ფსიქიკური წყობა ამ მხრივ ენას ვერ შეედრებიან).

ერის რაობის ეს ყველაზე ძველი ნიშანი ხალხს ახასიათებდა, ხალხის მეობას განსაზღვრავდა:

შეიძლება ხალხმა სამშობლო გამოიცვალოს და იმავე ხალხად დარჩეს, თუ ენა შეინარჩუნა, — წერს კ. უშინსკი, ცნობილი პროგრესული რუსი პედაგოგი, — მაგრამ სხვა ხალხად იქცევა, თუ ენა იცვალა (თურქული მოდემის ხალხი, ბულგარელები, კარგა ხანია ახლანდელ სამშობლოში დამკვიდრდნენ, სლავური მეტყველება შეითვისეს და სლავ ხალხად თვლიან თავს).

ენა ხალხის მეობის ყველაზე არსებითი ნიშანია.

4. აქ იგულისხმება ბუნებრივი ენა, ხალხის შექმნილი და ხალხის კუთვნილება.

შეიძლება „ენის“ შექმნას ცალკეული პირიც შეეცადოს: „ესპერანტო“, „იდო“... ამგვარი ენის ნიმუშებია; ესაა ე. წ. „ხელოვნური დამხმარე საერთაშორისო“ ენები. ყველაზე მეტი მიმდევარი „ესპერანტოს“ ჰყავს. იგი ლათინური ენის გამარტივებულ სუროგატს წარმოადგენს.

„ესპერანტომ“ რაღაც პრაქტიკული დახმარება შეიძლება გაუწიოს იმას, ვინც ეს ენა ისწავლა, მაგრამ ამ ენაზე ლირიკული პოეზია რომ შე-



იქმნას, სათუთა: ბუნებრივი ენის მაგივრობას ის, ცხადია, ვერ გასწევს.

რაც არსებითია: ავტორი თარგმანი რადიკალურად ცვლის ვითარებას — სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა ურთიერთობაც შესაძლებელი ხდება და ხალხის დედაენასაც მისი ბუნებრივი ადგილი ურჩება.

5. ენის რაობას, ენათა ცვლის ისტორიას იკვლევს, სამწერლო ენის მეურნეობას უვლის და სამწერლო ენის განვითარების საკითხებს შეისწავლის ენის სპეციალისტი, ენათმეცნიერი: რა გვაქვს სამწერლო ენაში და, თუ რყევა გვაქვს, როგორ მივიღეთ იგი. ერთი სიტყვით, ენათმეცნიერს სწორი დიაგნოზის დასმა ევალება; კერძოდ, ისიც უნდა გაარკვიოს: ის ნაირგვარობა გვაქვს, რაც სალიტერატურო ენას აჭრელებს და აძაბუნებს და, მაშასადამე, უადგილოა („**იმათ თქვეს**“ — შდრ. **იმათმა** თქვეს, **იმგენმა** თქვეს), თუ ისეთი ვარიანტებია, რომ მათი მოშლა ენას გააღარიბებდა, შტამპს შექმნიდა („**მგზავრი დაშავდა**“... „**მურნეობა დაზარალდა**“ სეტყვისაგან“... „**შენობა დაზიანდა**“ მიწისძვრისაგან“... რუსული ენა აქ სამსავე შემთხვევაში ერთ ზმნას იხმარს: *пострадал, -а, -о*... ქართულადაც ერთ სიტყვას — „**დაზარალდა**“ — ხმარობს ზოგი ავტორი ზოგ გაზეთში...).

6. სალიტერატურო ენის კანონმდებლად მოჰქონდა თავი ძველ სასკოლო გრამატიკას; აქ საკითხს ასე სვამდნენ: **როგორ არის, როგორ უნდა იყოს!** ჩვეულებრივ იტყოდნენ: ასეა კეთილხმოვანო! ერთისთვის კეთილხმოვანი შეიძლებოდა მეორეს არაკეთილხმოვნად მიეჩნია („ბავშვი“ თუ „ბავში“... უფრო კეთილხმოვანი რაა, ამაზე კამათი ჩვენში ყოფილა...). ეს სუბიექტური საზომია.

7. სალიტერატურო ენას მწერალი ქმნის; მხატვრული ნაწარმოები... აქ „არ ყველა სწორია“: არის რომანი, მოთხრობა..., რომ მკითხველი არაერთხელ წაიკითხავს, და ყოველ ჯერზე ახალ რაღაცას იპოვის მასში, ახლებურად აღიქვამს... ასევე — ლექსიც, ზეპირად რომ სწავლობენ. არის — სხვაგვარიც.

და მაინც: ერთი კარგი მოთხრობა ან ლექსი რომ შესძინოს მშობლიურ მწერლობას ავტორმა, კეთილი საქმეა...

ყველა ზარი ხომ თანაბრად არ გუგუნებს... "**Vivos voco, mortuos plango**" — „ცოცხლებს მოვუხმობ, მკვდრებს დავიტირებ“, — შეუძლია თქვას მოგუგუნე ზარმა, მწერალმა.

8. ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს დროში, როცა უწიგნური ბავშვი არ რჩება, როცა დედაენას ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში დიდი სარბიელი უჩნდება, და დედაენის განვითარების საკითხები რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ზრუნვის საგანი გახდა (ოფიციალური დადგენილებაც კი გამოაქვთ და დადგენილების შესრულებასაც კონტროლი ეწევა), ქართული ლიტერატურისა და ქართველი მწერლის „დროშა მაღლა ავიდა“...

ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება ის არის, რომ

ქართული მწერლობისა და ქართული ენის ბურჯებს საგანგებო დღეები დაუწესდათ<sup>1</sup>, მათი ღვაწლი რომ იხსენიებოდეს: რუსთაველის დღე, ილიას დღე, აკაკის დღე, ვაჟას დღე, იაკობ გოგებაშვილის დღე...

აქ ერთი საკითხი ჩნდება: ბუნებრივი არ იქნებოდა, გვქონოდა ქართული ენის დღე, იმ ენის დღე, ურომლისოდაც რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას... ზარები არ იფუგუნებდნენ?...

შეიძლებოდა ქართული ენის დღე დაკავშირებოდა ქართული პოეზიის მწვერვალის — რუსთაველის დღეს: „რუსთაველისა და ქართული ენის დღე“...

ამ დღეს შევაჯამებდით, რა გაკეთდა ქართული ენის კვლევისათვის რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებებში... სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიაში, რადიოსა და ტელევიზიაში — ნორმათა დანერგვის მხრივ...

რა გაკეთდა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა მასობრივი გამოცემის მხრივ... და ასე შემდეგ...

„რუსთაველისა და ქართული ენის დღე“ (თუ: „ქართული ენისა და რუსთაველის დღე“) იქნებოდა „ქმნა მართლისა სამართლისა“..., რაც ქართულ ენას ფაქტობრივ აქვს და ოფიციალურადაც ეკუთვნის.

კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“,  
წიგნი VI, 1984, გვ. 37-39

<sup>1</sup> სიცოცხლეში ილია ჭავჭავაძეს, ქართველი ხალხის ჭირისუფალს, იუბილე ვერ გადაუხადეს... უკანასკნელი ორმოცდახუთი წლის მანძილზე უსამართლობა გამოსწორდა.

## ხალხის ენა ხალხის ისტორიაა

ენა ხალხის ისტორიის ძველი და ალაღმართალი მოწმეა.

ქართველურ ენების და მათთან გენეტურად დაკავშირებულ სპეციფიკურ კავკასიურ ენების (აფხაზურ, ადიღეურ, ჩეჩნურ, დაღესტნურ) ისტორიის ფესვები იმარხება უძველეს ხანაში და ეკუთვნის ენებს იმ ხალხისას, რომლებმაც შექმნეს წინააზიაში ძველი ცივილიზაცია, კაცობრიობის ცივილიზაციის ეს აკვანი (მითანელები, ხეთები) და სხვ.

ამ დებულებას ამჟამად იზიარებენ საბჭოთა მეცნიერების ავტორიტეტული წარმომადგენლები და უცხოეთის გამოჩენილი მეცნიერები (აკად. ნ. მარი, აკად. ი. ჯავახიშვილი, ფ. გომელი, ე. მაიერი).

ამასთან დაკავშირებით ჩვენი ენების ღრმა დამუშავება აუცილებელი საქმეა. ქართული ენა, რომელსაც თხუთმეტსაუკუნიანი დამწერლობითი ისტორია აქვს და მასთან ახლო მყოფი მონათესავე უდამწერლობო ქართველური ენები (სვანური, მეგრულ-ჭანური), ისევე როგორც ნორჩი დამწერლობის მქონე ენები — აფხაზური, ადიღეური, ჩეჩნური, დაღესტნური, — წარმოადგენენ ფაქტთა ამოუწურავ საგანძურს, რომელმაც ნათელი უნდა მოჰფინოს ამ ენების მდიდარ წარსულს და ამ ენების მქონე ხალხს.

შედარებით-ისტორიულმა შესწავლამ უნდა გამოავლინოს ეს ფაქტები. ჩვენი ენების ასეთი გამოკვლევის პროცესში საჭირო ხდება **საერთო ელემენტების** გამოყოფა, რომლებიც არსებობს მონათესავე შესადარებელ ენებში. ნაწილობრივ ყოველივე ეს — დაწყებითი საერთო ენის ფონდის გამოვლინებაა, ნაწილობრივ კი ამ ენების უფრო გვიანი დროის ურთიერთმოქმედების შედეგია.

ლინგვისტიკა მკაცრად ანსხვავებს **სიტყვების გადმოღებას** სიტყვის ფორმულირების ელემენტის გადმოღებისაგან (**პრეფიქსისაგან, ბოლოსართისაგან, თავსართისაგან**). პირველი რიგის გადმოღება შეიძლება შეგვხვდეს ყველა ენაში, მათ შორის ისეთ ენებშიც, რომლებსაც არასდროს არავითარი კონტაქტი არ ჰქონიათ.

აფიქსები (პრეფიქსები, ბოლოსართები), რომლებიც აფორმებენ სიტყვის ელემენტებს, შეიძლება გადმოღებულ იქნან მხოლოდ ხანგრძლივ უშუალო კონტაქტის დროს, რომელსაც შემდგომში ამ ენათა განვითარებისაკენ (შეჯვარებისაკენ) მიჰყავს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გა-

მსვლელ სესიაზე ჩვენი მოხსენების „მორფოლოგიური შეხვედრები აფხაზური-სა ქართველურ ენებთან“ საგანს წარმოადგენენ სწორედ ასეთი საერთო მორფოლოგიური ელემენტები ქართველურ და აფხაზურ ენებში.

პირველ რიგში ეს ზმნის თავსართებია (პრევერბები): ლა-, კა-, თა-, ნა-, წა-; შემდეგ: არსებითი სახელის საფუძვლის შემქმნელი ბოლოსართია — -ეს, რომელიც აფხაზურ ენაში გამოდის ბრუნვის როლში.

სპეციალურ ლიტერატურაში (აკად. ნ. მარი, პ. ჭარაია) ზოგიერთ ასეთზე სპეციალური მითითება არსებობს.

დასახელებულ პრევერბებისაგან, ქართულ ენაში სახეზეა მხოლოდ წა- (წა-ვიდა, წა-იყვანა);

პრევერბი თა- ფიქსირებულია მხოლოდ მეგრულ ენაში — „მითოხე“, რაც ნიშნავს „ხეში ზის“, ხა- — ჭანურ ენაში; ლა-, კა- — მეგრულსა და ჭანურ ენებში (მეგრულად ოთახუს მილახე — ოთახში ცხოვრობს, ბჟა მიკარე — მზე ადგია).

**ყველა ეს პრევერბები ათვისებულია აფხაზურ ლინგვისტურ წრიდან** (შეგადართ აფხაზური ზმნები შესაფერისი ზმნის ნაწილებს: აქლად აშწყე დაწოუპ — „ქალაღი იმყოფება წიგნის ქვეშ“... აძგ სთატიოუპ — „ვიმყოფები წყალში“... ანაგარა — „მიმაქვს იქ“... აბნა სელატიოუპ — „ვზივარ ტყეში“... აკაფხარა... აკვლფარა „ამოხტომა“...

**მეორე მხრივ ქართველურ ენათა მორფოლოგიურ ინვენტარიდან აფხაზური ენის მიერ ნახსენებია ბოლოსართავი** -გს: ანგს, აბგს... „დედიტ“, „მამით“... უბგს — ისე, აბას — ასე... მეგრულად მანგარას, სქვამას, მალას — მაგრად, ლამაზად, მალე...

ზემოთმოხსენებულ პრევერბებიდან ყველაზე საინტერესოა პრევერბების „ნა“ და „წა“ ბედი. პირველი ამოღებულია ჭანურ (ლაზურ) დიალექტის მიერ უშუალოთ აფხაზურიდან ისევე, როგორც პრევერბი „წა“ ქართული ენის მიერ ათვისებულია უშუალოთ აფხაზური ენიდან (ამ პრევერბის ეტიმოლოგია მოცემულია აფხაზურ ენაში; „წა“ დაკავშირებულია სიტყვა „აწვ“ ძირთან).

ისტორიკოსების საქმეა გადასწყვიტონ, თუ **სად** და **როდის** და რომელ კონკრეტულ ისტორიულ გარემოცვაში მიმდინარეობდა ასეთი ხანგრძლივი კონტაქტის პროცესი, რომლითაც ეს გადმოღება აიხსნება. შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ მას ადგილი ჰქონდა ჩვენი ეპოქის V საუკუნეზე უფრო ადრე: ძველ ქართულ ხანმეტურ-ტექსტებში (V-VI საუკ.) პრევერბი „წა-რ“ უკვე არსებობს. ასეთივე დროის ისტორია აქვს აფხაზური ენის მიერ ბოლოსართავ „-გს“ გადმოღებას ქართველურ ენებიდან.

ასეთია ძველ ისტორიულ კავშირის ლინგვისტური გამოძახილი.

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ქართული (ქართლური, კახური), სვანური, მეგრული, აფხაზური და ლეკური ხალხური სიმღერები, ეს იშვიათი

სილამაზითა და სიმდიდრით აღსავსე მოტივები, განსაკუთრებით მრავალფეროვანი და ამავე დროს ერთიმეორესთან ინტიმურ ნათესაობით დაკავშირებული მოტივები, — არ შეიძლება არ დარწმუნდეს იმაში, რომ ეს ხალხი მრავალსაუკუნოებრივ კულტურის მქონე ხალხია; რომელსაც ათასი წლების მანძილზე გაუტანია თავისი ენა, გაუძლია ბედიღბლის უკუდმართობისათვის, გაუძლია ისტორიის წამებისათვის, ისტორიისა, რომელმაც არაერთი ტომი, არაერთი ხალხი მოსპო დედამიწის ზურგიდან.

და ამაში გვარწმუნებს არა მარტო ხალხური შემოქმედება. ამას გვასწავლის ჩვენ ისტორია და ამასვე მოწმობს თვით ენა მისი ფაქტების ზუსტი ობიექტური ანალიზის შედეგად.

წარსულში მრავალსაუკუნოებრივი საზიარო ბრძოლა მჭიდროდ აკავშირებს ჩვენ ხალხებს. სტალინურმა ეპოქამ უზრუნველყო ამ ხალხების გაუგონარი განვითარება.

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, №75, 1940, 29 სექტემბერი, გვ. 2

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჯ ო

**ი. აბდულაევი** (მაჰაჩყალა), **ნ. ანდღულაძე** (თბილისი), **ა. არაბული** (თავმჯდომარე, თბილისი), **შ. აფრიდონიძე** (თბილისი), **ე. ბაბუნაშვილი** (თბილისი), **ბ. ბერსიროვი** (მაიკოპი), **ი. ბრაუნი** (პოლონეთი), **ჰ. გამზათოვი** (მაჰაჩყალა), **თ. გამყრელიძე** (თბილისი), **გ. გოგოლაშვილი** (თბილისი), **ტ. გურიევი** (ვლადიკავკაზი), **კ. ვამლინგი** (შვედეთი), **ხ. თაოვი** (ნალჩიკი), **ა. თიმაევი** (გროზნი), **ნ. მაჭავარიანი** (თბილისი), **ფ. ოზდოევა** (ნაზრანი), **ე. ოსიძე** (თბილისი), **ს. პაზოვი** (კარაჩაევსკი), **თ. უთურგაიძე** (თბილისი), **ბ. უტიე** (საფრანგეთი), **კ. ჰ. შმიდტი** (გერმანია), **ი. ჩანტლაძე** (თბილისი), **ა. ჭინჭარაული** (თბილისი), **ლ. ჭკადუა** (სოხუმი), **ზ. ჭუმბურიძე** (თბილისი), **რ. ჯანაშია** (თბილისი), **ა. ჰარისი** (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

**ც. ბარამიძე**, **ლ. ეზუგბაია**, **გ. კვარაცხელია**, **მ. სუხიშვილი**, **†მ. ქურდიანი**,  
**ვ. შენგელია** (მთავარი რედაქტორი), **მ. ჩუხუა**  
ტომის რედაქტორი **შ. აფრიდონიძე**

Editorial Council

**I. Abdulaev** (Makhachkala), **N. Andghuladze** (Tbilisi), **Sh. Apridonidze** (Tbilisi), **A. Arabuli** (Chairman, Tbilisi), **E. Babunashvili** (Tbilisi), **B. Bersirov** (Maikop), **I. Brown** (Poland), **I. Chantladze** (Tbilisi), **Th. Gamkrelidze** (Tbilisi), **H. Gamzatov** (Makhachkala), **G. Gogolashvili** (Tbilisi), **T. Guriev** (Vladikavkaz), **A. Harris** (USA), **R. Janashia** (Tbilisi), **N. Matchavariani** (Tbilisi), **E. Osidze** (Tbilisi), **B. Outtier** (France), **F. Ozdoeva** (Nazran), **S. Pazov** (Karachaevsk), **K. H. Schmidt** (Germany), **Kh. Taov** (Nalchik), **A. Tchintcharauli** (Tbilisi), **L. Tchkadua** (Sokhumi), **Z. Tchumburidze** (Tbilisi), **A. Timaev** (Grozny), **T. Uturgaidze** (Tbilisi), **K. Vamling** (Sweden)

Editorial Board

**Ts. Baramidze**, **M. Chukhua**, **L. Ezugbaia**, **†M. Kurdiani**, **G. Kvaratskhelia**,  
**V. Shengelia** (Editor-in-chief), **M. Sukhishvili**

Editor of the volume **Sh. Apridonidze**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
ISBN (მრავალტომეული)  
ISBN (ტომი V)

## ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა

**ენა და მისი ფუნქციები.** „პოლივალენტოვანი“ ნიშნავს „მრავალ-  
მხრივი ღირებულების მქონეს“ (ზედმიწევნით: „მრავალღირებულებიანს“).

„ღირებულების“ საკითხი აქ სალიტერატურო ენას ეხება და მის  
ფუნქციებსა და გამოყენების სფეროს ახასიათებს.

„ფუნქცია აქვს“ ნიშნავს დანიშნულებას ასრულებს. „მეტი ფუნქცია“  
დანიშნულების ნაირგვარობას გულისხმობს. ფუნქციათა შეზღუდვა გამო-  
ყენების სფეროს დავიწროება იქნებოდა.

ფუნქციათა საკითხი უმწერლო ენის მიმართაც დაისმის და  
სამწერლო (სალიტერატურო) ენის დახასიათების დროსაც არსები-  
თია. ენის ზოგადი განსაზღვრება პირველ რიგში მის ფუნქციათა  
ჩვენებაში მდგომარეობს.

მიუთითებენ ენის სამ ფუნქციაზე. ეს ფუნქციებია: საკომუნი-  
კაციო (ენა — ურთიერთობის საშუალება), საექსპრესიო  
(ენა — აზროვნების იარაღი) და საობიექტივაციო (ენა —  
გარკვეული შინაარსის გამოვლინება-გადმოცემა).

საკომუნიკაციო ფუნქცია ითვალისწინებს მოლაპარაკის ურ-  
თიერთობას მსმენელთან (თუ მსმენელებთან): ვინც აგებინებს და  
ვისაც აგებინებენ რასმე.

საექსპრესიო ფუნქციას მხედველობაში ისა აქვს, თუ რა ეკისრება  
ენას მთქმელის აზრებისა და განცდების დანაწევრება-  
ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საობიექტივაციო ფუნქცია იმის მიხედვითაა გამოყოფილი, თუ რა მიმარ-  
თებაშია თქმული სათქმელთან, იმასთან, რაც უნდა გადმოიცეს.

ამ სამ ფუნქციას თანაბარი მნიშვნელობა როდი აქვს: ძირითადია  
საკომუნიკაციო ფუნქცია, ორი სხვა უშუალოდ თუ შუალოდით საკომუნი-  
კაციო ფუნქციას ემყარება.

ობიექტივაცია სათქმელთან თქმულის მიმართებას გულისხმობს; ამ მი-  
მართებას კი მთქმელსა და მსმენელში აქვს ადგილი: მთქმელისა და მსმენე-  
ლის გარეშე, ცოცხალი ადამიანის გარეშე, ასეთი მიმართება ფიქცია იქნე-  
ბოდა. ვთქვათ, სიტყვები „ცეცხლი“, „წყალი“ გარკვეულ საგნებთან მიმარ-  
თებაშია ანუ, როგორც იტყვიან, მათ გარკვეული მნიშვნელობა მოეპოვებათ  
ქართულად მოლაპარაკე ადამიანებისათვის: ვინც ქართული არ იცის, ამ

სიტყვებს ვერ დაუკავშირებს სათანადო საგნებს. მაშასადამე, საობიექტივაციო ფუნქცია უკავშირდება საექსპრესიოს, როგორც მისი ერთი მომენტი (ამიტომ არა გვაქვს საფუძველი საობიექტივაციო ფუნქცია მივიჩნიოთ ძირითად ფუნქციად, როგორც ამას ხშირად ვარაუდობენ).

რაც შეეხება საექსპრესიო ფუნქციას, აქ თითქოს საკითხი არა დგას, თუ რაა არსებითი: საკომუნიკაციო თუ საექსპრესიო; ამ უკანასკნელის უპირატესობა თავისთავად ცხადი გვეჩვენება: ჯერ მთქმელი და მერე — მსმენელი; მთქმელი თუ გამოვრიცხეთ, მსმენელის საკითხიც მოიხსნება. სათქმელი ნაწევრდება მთქმელში, რომ ნათქვამი მსმენელმა აღიქვას; ჯერ სათქმელს გავიაზრებთ და მერე — ვამბობთ. შეიძლება მსმენელი არც გვყავდეს და მაინც ჩვენთვის ვაზროვნებდეთ, ვლაპარაკობდეთ კიდევაც: მონოლოგის შესაძლებლობა საექსპრესიო ფუნქციის უპირატესობას ცხადყოფს თითქოს.

და მაინც ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, მთქმელი ერთს შემთხვევაში სხვა შემთხვევაში მსმენელია. მერეა-და, მონოლოგს რომ წარმოთქვამენ, იმავე ენობრივ საშუალებებს მიმართავენ, რასაც მსმენელთან საუბარში: მონოლოგის დროს პოტენციალურად „არსებობს“ მსმენელი. ასევეა წერის დროს: დამწერმა არც იცის, რამდენი ვინმე წაიკითხავს მის ნაწერს. სწორედ ამიტომ ის შეგნებულად ცდილობს, ნაწერი გასაგები იყოს მკითხველისათვის: მკითხველი, ეს „დაუსწრებელი მსმენელი“, გვარძნობინებს, რომ საკომუნიკაციო ფუნქცია აქაც ძალაშია, მას ვერ მიივიწყებს დამწერი (ისევე, როგორც ვერ უგულვებლყოფდა მას მონოლოგის წარმომთქმელი).

ვთქვათ, სხვა ენობრივ წრეში ვიმყოფებით და დედაენაზე ლაპარაკის საშუალება არა გვაქვს: ჩვენს დედაენაზე (რასაც ურთიერთობის საშუალებად ვხმარობდით, რაზედაც ვაზროვნებდით) ვეღარ ვსაუბრობთ იმის გამო, რომ ეს ენა არ იციან ჩვენმა მოსაუბრეებმა.

აზროვნების იარაღად ხომ მაინც დაგვრჩება დედაენა: აზროვნებას ხომ მსმენელი არა სჭირდება? სასაუბროდ ერთი ენა გვექნება, აზროვნებისათვის — სხვა (დედაენა).

ასეთი ვითარება უჩვეულო როდია, ოღონდ დიდხანს ეს ვერ გაგრძელდება: თანდათანობით იმ ენაზე დავიწყებთ აზროვნებას, რა ენაც სასაუბროდ გვაქვს, რა ენასაც საკომუნიკაციო ფუნქცია აღმოაჩნდა. საკომუნიკაციო ფუნქციის მეტი ძალა — საექსპრესიო ფუნქციასთან შედარებით — ასეთ შემთხვევაში ხელშესახებია.

ამრიგად, საკომუნიკაციო ფუნქცია ძირითადია: მასზეა დამოკიდებული, ძლიერდება ენა თუ დაბუნდება; მასზეა დამოკიდებული, ცოცხალია ენა თუ მკვდარი: ენა, რომელსაც არავინ ხმარობს ურთიერთობის იარაღად ენა, რომელსაც არც ერთი დედა არ ასწავლის შვილს აკვნიდანვე, მკვდარი აღმოჩნდება.



ლათინური ენა დახვეწილი სალიტერატურო ენა იყო იულიოს კეისრის დროს (ჩვენი წელთაღრიცხვის უკვე პირველ საუკუნეში). ამ ენაზე დაიწერა: იულიოს კეისრის ჩანაწერები რომაელთა „ომის შესახებ გალების ქვეყანაში“ (*"De bello Gallico"*), ციცერონის პოლიტიკური სიტყვები სენატში, ოვიდიუს ნაზონის „მეტამორფოზები“, ვირგილიუსის „ენეიდა“, ტიტ ლივიუსის „რომის ისტორია“...

რომის იმპერიაში გაბატონებული ენა ლათინური ენა იყო. საუკუნეების მანძილზე ეს ენა იყო ერთადერთი სალიტერატურო ენა ახლანდელი იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის მიწაწყალზე.

და მაინც ეს ენა შეცვალა იტალიურმა, ფრანგულმა, ესპანურმა... ლათინური არავისთვის აღმოჩნდა დედაენა, გამოვიდა ხმარებიდან, იქცა მკვდარ ენად. ლათინურს ასწავლიდნენ სკოლებში, ლათინურ ენაზე წერდნენ სამეცნიერო გამოკვლევებს (მეცხრამეტე საუკუნეშიც კი — ბოტანიკოსები, ექიმები...); აფთიაქში ახლაც ცოცხლობს ლათინური (წამლებს ლათინური სახელები ჰქვია!); მკვდარ ლათინურს ხელოვნურად აცოცხლებენ. სიცოცხლეს კი ლათინური მაშინ გამოესალმა, როცა ოჯახში დედა აღარ ელაპარაკებოდა ბავშვს ლათინურად...

ენას ივიწყებენ ემიგრაციაში: ვახტანგ მეექვსის მრავალრიცხოვანი ამალა, 1724 წელს რუსეთს გამგზავრებული, უძეოდ კი არ გადაშენებულა: ჩამომავლობა გაითქვიფა ძირითად მოსახლეობაში; ენა დაავიწყდათ, გვართობაც შეეცვალათ.

კახეთიდან მეჩვიდმეტე საუკუნეში რომ მოსახლეობა აყარეს და სპარსეთში მიუჩინეს საცხოვრებელი ადგილი, მხოლოდ იქ დარჩა ქართველად (და დღესაც გურჯად იწოდება), სადაც ენა შეინარჩუნა: ასეა ფერეიდანში; აქ ორმოცდაათი წლის წინ 12 ქართული სოფელი იყო (თოთხმეტეტიდან!), რომ ქართულს ლაპარაკობდა (ქალებმა მხოლოდ ქართული იცოდნენ); რიგ სოფელში (ზემო მარტყოფი, სიბაქი...) ქართული ენა დაუცავთ; მაგრამ ისეთი სოფლებიც მოიპოვება (ქვემო მარტყოფი, შაურდი, ნინოწმინდა), სადაც გაბატონებულია სპარსული ანდა ქურთული: ოჯახი აღარ არის ენის ბურჯი (ცოლად ირთავენ ქურთსა თუ სპარსელ ქალს)...<sup>1</sup>

ისტორიამ იმის მაგალითებიც იცის, რომ თავისი ენა დავიწყებია მთელ ხალხს და სხვა ენაზე გადასულა: ბულგარული ენა სლავური ენაა, მაგრამ ბულგართა ტომი თურქული მოდგმისა იყო (და ვოლგის სანაპიროებზე ბინადრობდა). ახლა ბულგარელები სლავ ხალხად მიიჩნევიან: ენის

<sup>1</sup> ვემყარებით ფერეიდნელი ქართველის სეიფოლა იოსელიანის ცნობებს (ს. იოსელიანი თბილისში ჩამოვიდა 1922 წლის შემოდგომას და აქ დარჩა 1923 წლის ზაფხულამდე. იხ. „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 196-247).

შეცვლამ ხალხის მეობის შეგნება შეცვალა და ეს გასაგებია: ენაა ხალხის მეობის არსებითი ნიშანი.

**სალიტერატურო ენა და ფუნქციების საკითხი.** სალიტერატურო ენაც ენაა და ფუნქციების საკითხი აქაც დგას, კერძოდ, საკომუნიკაციო ფუნქციისა და საექსპრესიო ფუნქციისა: ენის ზოგად კანონზომიერებას ამ მხრივ სალიტერატურო ენაც ექვემდებარება.

ოღონდ ამას ერთვის საკითხი: რა და რა სფეროში მოხმარენ სალიტერატურო ენას ურთიერთობის საშუალებად და აზროვნების იარაღად?

გამოყენების სფერო განასხვავებს სალიტერატურო ენებს ერთმანეთისაგან.

სამწერლო ენაზე შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვას სწავლობდნენ; მასთან მოთხრობა-ლექსებიც იწერებოდეს ამ ენაზე.

თუ სამწერლო ენაზე საშუალო განათლებასაც იღებენ, ეს თვალსაჩინოდ ზრდის სამწერლო ენის გამოყენების სფეროს: საბუნებისმეტყველო საგნები (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია... ფიზიკა, ქიმია...), მათემატიკის სპეციალობანი (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია...) სათანადო ტერმინების შექმნის გარეშე შეუძლებელია ვასწავლოთ (ინტერნაციონალური ტერმინები უთარგმნელად რჩება, მაგრამ ტერმინთა დიდი ნაწილი იმ ენაზე უნდა გვქონდეს, რა ენაზედაც ვასწავლით ამ საგნებს).

ქართულ ენაზე მწიგნობრობა ძველთაგანვე არსებობს: მეხუთე საუკუნეში ქართულ დამწერლობას უკვე ხანგრძლივი ტრადიცია უნდა ჰქონოდა — ქართულ ასოთა ჩამოყალიბებული სახით დაწერილობა ამას გვანიშნებს (ივ. ჯავახიშვილი).

ძველ ქართულ ენაზე მდიდარი თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურა მოგვეპოვებოდა; მართალია, ჭარბობდა ნათარგმნი თხზულებები, მაგრამ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ნაწარმოებთა თარგმნა ლექსიკის სიმდიდრესა და ენის გრამატიკული წყობის მოქნილობას გულისხმობდა, მასთან ქართული ენის შესაძლებლობათა (კერძოდ, სიტყვაწარმოების) ამოქმედებას იწვევდა.

ყოველ ხალხს, მასთან მრავალმილიონიანსაც, საამაყოდ დაურჩებოდა ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლები, მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნით რომ თარიღდება (ზოგიც მეცხრე საუკუნეზე ადრეა თარგმნილი თუ გადაწერილი). ასეთი ძეგლების რიცხვი მარტოდენ ხელნაწერთა ინსტიტუტში ორასამდე აღწევს.

ქართული მწიგნობრობის კერებს ძველად მონასტრები და იქ არსებული სკოლები ქმნიდნენ (მათ შორის სახელი გაითქვა უკვე მეთორმეტე საუკუნეში გელათისა და იყალთოს აკადემიამ).

ამ სკოლებში ქართულ მწიგნობრობას ითვისებდნენ და მწიგნობრებს წვრთნიდნენ. მასობრივი ხასიათი იმ ხანად მწიგნობრობა-განათლებას არც ბიზანტიასა და არც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არა ჰქონია. საქართველოშიც მსგავსივე ვითარება დასტურდება.

ქართული სალიტერატურო ენა უკვე მეთექვსმეტე საუკუნისათვის დროის კულტურულ მოთხოვნილებას ღირსეულად ემსახურებოდა.

და მაინც: ქართული ენის ლექსიკა ისე მდიდარი არასოდეს ყოფილა, როგორც ის ამჟამად არის, როცა ქართულად ენა აიდგა ყველა მეცნიერებამ, მათ შორის საბუნებისმეტყველო და უმაღლესი მათემატიკის სხვადასხვა დარგებმა.

ამ მეცნიერებათა მეტი წილი უკანასკნელ საუკუნეებში შეიქმნა, მათი ცნებები წინათ არ არსებობდა და სათანადო ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულს, ცხადია, არ ექნებოდა. ამის გამო იყო, რომ საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე, ვთქვათ, 1916 წელს ვერ განხორციელდებოდა, თუნდაც რომ შეუძლებელი რამ მომხდარიყო და ამის ნება დაერთო მეფის მთავრობას (მაშინ ორად ორ ქართულ გიმნაზიაშიც კი — თბილისისა და ქუთაისისაში — ქართულად მხოლოდ ქართული გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ისწავლებოდა, ყველა სხვა საგანი — რუსულად: ფიზიკა-ქიმიის, მინერალოგია-ბოტანიკისა, ალგებრა-გეომეტრიისა თუ ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელობა ქართულ ენაზე არ შეეძლო ახალგაზრდას, რომელსაც ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ქართულად აზროვნება ამგვარ სპეციალობაში ჩვენს ახალგაზრდობას პირველად თბილისის უნივერსიტეტმა შეაძლებინა. და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას).

ჩვენ ახლა მივეჩვიეთ იმას, რომ ქართულ ენაზე ყველა დარგის ნააზრვეი შეიძლება გადმოიცეს, შევეჩვიეთ ისე, რომ გვავიწყდება, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა ამას ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრებისათვის, და — კერძოდ, ქართული სალიტერატურო ენის ძალთა ამოქმედებისა და სასიცოცხლო უნარის განმტკიცებისათვის.

ამდენი ქართული წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, ახლა რომ გამოდის, არაოდეს გამოდიოდა.

ამდენ ქართველ ბავშვს „დედაენა“ ხელში არაოდეს აუღია, რამდენიც ამ წიგნით ახლა წერა-კითხვას სწავლობს.

რადიო და ტელევიზია წინათ საერთოდ არ იყო, ქართულადაც, ცხადია, არ გვექნებოდა.

ქართული ენის სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავება და დაცვა სახელმწიფოს საზრუნავ საგნად წინათ არ ყოფილა, ეს ახლა, ჩვენს დროში, იქცა საბჭოთა საქართველოს დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმედ.

ხშირად ვჩივით: სალიტერატურო ქართულ ენაზე დიდძალი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი გამოდის, მაგრამ სტილი გაუმართავიაო, მორფოლოგიისა და სინტაქსის ნორმებს დამუშავება აკლიაო, დამუშავებული რაც არის, მტკიცედ არ ინერგებაო.

და კარგია, რომ ასეთი საკითხები გვაწუხებს, გვაწუხებს იმიტომ, რომ დედაენის ზრდა-განვითარების ბედი გვანტერესებს.

ოღონდ ამაობაში არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ, ჯერ ერთი, ენა, საერთოდ, და სალიტერატურო ენაც, კერძოდ, უცვლელი არ არის და არც როდისმე ყოფილა (დახვეწილი ძველი ქართულით დაწერილიც არ ყოფილა ერთგვარი ყოველთვის, ყველა მწიგნობარი გიორგი მთაწმინდელის ნათელი სტილით არ წერდა, რომ არაფერი ვთქვათ მეთორმეტე საუკუნის უკვდავ ორიგინალურ ნაწარმოებზე „ვეფხისტყაოსანზე“: მწვერვალები არა მხოლოდ მთებშია იშვიათი).

კალკები ნათარგმნ ძველ სამღვდელმსახურო წიგნებში, როგორცაა „სახარება“, „დავითნი“, „დაბადება“, საძებარი არაა: მთარგმნელი ამოსავალ ტექსტს ხშირად შეგნებულად არ შორდებოდა („საღვთო შინაარსი“ რომ არ შერყვნილიყო!) და ამის შედეგად გაჩნდა „სახარების“ პირველი ფრაზები: „აბრაამ შვა ისააკ“, „ისააკ შვა იაკობ“ და ასე შემდეგ (იქნებ უფრო ბუნებრივი ყოფილიყო „აბრაამის შვილი (ძე) იყო ისააკი“, „ისააკის შვილი — იაკობი“...).

მაგრამ ასევე სიტყვასიტყვით გადმოსცემს სახარების ტექსტს ბერძნული, ლათინური, ძველი სლავური, ფრანგული და ინგლისური...

ასეთი კალკების მიუხედავად საეკლესიო წიგნების თარგმნამ დიდად შეუწყო ხელი ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და დახვეწას: ამოქმედა ქართული ენის პასიური ლექსიკური ფონდი და გაამდიდრა სიტყვაწარმოება.

ამრიგად: არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ სალიტერატურო ქართული ენა, როგორც ყოველი ცოცხალი ენა, უცვლელი ვერ იქნება. ამოცანა ისაა, რომ ცვლის ეს პროცესი მიზანშეწონილად წარგმართოთ: შევინარჩუნოთ და დავიცვათ ყველაფერი, რაც ფასეული შეუქმნია ქართული ენის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ერთი მხრით. მეორეცაა და, სალიტერატურო ქართულ ენას შევუნარჩუნოთ სათანადო კავშირი ცოცხალი ხალხური მეტყველების უშრეტ წყაროსთან.

აქვე დავსძენთ: ქართული სალიტერატურო ენა ისეთ მკაცრ ნორმებს შეიძლება ვერ იცავდეს, როგორც ფრანგული, მაგრამ მოუგვარებელი საკითხები მასში შეუღარებლად მცირეა, ვინემ ისეთ მდიდარ ენაში, როგორც რუსულია.

ორთოგრაფია ხომ ქართულისა იდეალურია შედარებით ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენათა ორთოგრაფიასთან: ქართული ანბანია იდეალური და იმიტომ.

ერთი სიტყვით: მოსავლელს მოვლა უნდა. ფასეული რაცა გვაქვს, დაფასება ესაჭიროება.

ხოლო ყველაზე ფასეული და ქართული ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა შემდეგი გარემოებაა:

ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციები ისე მდიდარი არაოდეს ყოფილა, როგორც დღეს არის, და ამ ფუნქციებს გამოყენების ისეთი ვრცელი სარბიელი არაოდეს ჰქონია, ვინემ დღეს აქვს.

ქართული სალიტერატურო ენა პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენაა.

მართალია, მოიპოვება ენები (ინგლისური, ფრანგული...), რომელნიც იჩემებენ, სხვადასხვა ხალხების ურთიერთობის ენა ვართო.

ასეთი პრეტენზია ქართულ ენას არა აქვს: ის ქართველი ერის კულტურულ მოთხოვნილებებს ემსახურება, ჩვენი კულტურული წინსვლის იარაღია.

ყველა ქართველის ვალია თავის მდიდარს, პოლივალენტოვან დედაენას პატივი სცეს, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ყურადღება არ მოაკლოს და არ დაივიწყოს ის ძველი ჭეშმარიტება, რომ ენა არის ხალხის მეობის ძირითადი ნიშანი.

ბუნებრივია ყოველ ადამიანს უყვარდეს თავისი დედაენა და პატივისცემით ეკიდებოდეს სხვა ხალხის დედაენას.

კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი I, 1972, გვ. 7-13.

## ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი დედაენა

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ჭაბუკ დედაქალაქს ათასხუთასი წელი უსრულდება. ათასხუთასი წელი ისტორიის საკმაოდ დიდი მონაკვეთია. ათასხუთასი წლის მანძილზე არა ერთი ქვეყანა აღორძინებულა და კიდევ დამხობილა, არა ერთი ქალაქი, ოდესღაც აყვავებული, ნაქალაქრად ქცეულა, არქეოლოგების საძებარი გამხდარა.

ათასგვარ მეხისტეხასა და ქარიშხალს გადაუვლია თბილისის თავზე, არა ერთხელ წაქცეულა იგი და კვლავ ამდგარა, და — მრავალ ჭირნახულს — მოუღწევია ჩვენს დრომდე, როცა სოციალისტური წყობილების დროს იგი გაიზარდა, დამშვენდა ისე, როგორც წინათ არასოდეს.

პოეტის სიტყვები: „გწვავდნენ და არ იწვებოდი, ცეცხლში დიდების მხვეჭელი“-ო, ისევე შეიძლება გვეთქვა თბილისის მრავალსაუკუნოვან წარსულზე, როგორც ქართველი ხალხის მოუსვენარსა და სახელოვან ისტორიაზე.

თბილისის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიას ასახავს და უკუფენს. თბილისის დღესასწაული ქართველი ხალხის დღესასწაულია.

დღეს, როცა თბილისს იუბილეს ვუხდით, მისი ერთი ღირსშესანიშნავი თვისებაც არ შეიძლება არ ვახსენოთ: ქართული ქალაქი — თბილისი — ინტერნაციონალური ტრადიციების ქალაქი იყო და არის. და ეს როდია შემთხვევითი: ქართველ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხებს, ის სასახელო თვისება ჰქონდა და აქვს, რომ **თავისი კარგი** უყვარს და სხვისას პატივისცემით ეკიდება.

სახელოვანია თბილისის წარსული; მშვენიერია მისი აწმყო; საიმედო — მომავალი.

ჩვენი დედაქალაქის ისტორია ჩვენი დედაენის ისტორიისაკენ მიმართავს ყურადღებას. ჩვენს დედაენასაც დიდი ხნის, მდიდარი და სახელოვანი ისტორია აქვს. სულ მცირე ორი ათასი წელია, რაც ქართული სიტყვა ისმის, ხოლო ათასხუთას წელზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც ქართული სიტყვა — ჩვენი ცნობილი მწერლის თქმისა არ იყოს — ულამაზესი ქართული ასოებით აღიბეჭდა (ქართული წარწერა ბოლნისის სიონზე 439 წლისა სრულყოფილი ლამაზი მრგვლოვანი ხელით არის შესრულებული: ჯერხნობით არ არის ნაპოვნი უფრო ძველი წარწერა).

ქართულ ენაზე თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მდიდარი მწერლობა შეიქმნა.

საუკუნეთა მანძილზე დედაქალაქი თბილისი ქართველი ხალხის პოლიტიკური ერთიანობის ცენტრს წარმოადგენდა. დედაენა — ქართული ენა — კულტურული ერთობისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას ასახიერებდა. ქართული სალიტერატურო ენა აერთიანებდა ქართველობას მაშინაც, როცა საქართველო დაქუცმაცებული იყო, და ეკონომიკაც ამის გამო ერთიანობას ხელს ვერ შეუწყობდა. ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, — იქნება ეს ქართველი — ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს.

ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღაბებულია როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში...

დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა **დედა-ენა** უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყოველი კუთხის ქართველი ბავშვი, — სვანი ისევე, როგორც ფშაველი, მეგრელი ისევე, როგორც აჭარელი, ქართლელი და კახელი... — იღებს პირველად ხელში, რომ ერთიან ნაციონალურ ქართულ ენას დაეუფლოს, — დაეუფლოს იმ ენას, რომლითაც ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ შექმნეს ქართული ლიტერატურის შესანიშნვი ნიმუშები, — იმ ენას, რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა დროის სახელოვანი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედების წყალობით. „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ოქროს ხმიან სიმებად გულში ამოხლართული“...

\* \* \*

თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია ქართული სალიტერატურო ენისა, მთელი ქართველობის დედა-ენისა, ეხმაურება დედაქალაქის თხუთმეტსაუკუნოვან ისტორიას და ჩვენი ქვეყნის მდიდარი ისტორიული წარსულის მიღწევათა გამოყენებით ჩვენი თანამედროვე სოციალისტური ცხოვრების შემდგომი აღმავლობისაკენ მოგვიწოდებს.

გაზ. „კომუნისტი“, 1958, №146, 14 ოქტომბერი, გვ. 3.

## არ დავივიწყოთ დედაენა

1. ქართული ენა მოცემული გვაქვს კუთხური კილოკავების სახით ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართული ენის სახით — მეორე მხრივ. კილოკავები ნაირ-ნაირია, ზოგ კუთხეში ასე „უქცევენ“, ზოგში — სხვაგვარად. თუშურიც ქართულია და გურულიც, ხევსურულიცა და ქვემოიმერულიც, აჭარულიცა და ქართლურ-კახურიც. ეს უკანასკნელი ყველაზე ახლოსაა სალიტერატურო ქართულთან. ქართლურ-კახური საყრდენი დიალექტია სალიტერატურო ენისათვის, მაგრამ მაინც დიალექტი.

ქართლურის ნიმუში: ადგა ბიჭმა, ახსენა ღმერთი, და იქ უნდა წავიდეს, სადაც ია და ვარდის ქალაქია, გასწია, წავიდა. ერთ ალაგს ერთი ალში ხე იდგა. იმ ალში ძირში მშვენიერი წყარო გამოდის. მეტიც არ იქნება, იქ დაისვენა. ამ ბიჭს ძილში მხემა რაღაც ყვილ-ხვილი, წიოკობა. ამ ალში ხეზე თურმე წიწილები არიან ფაშკუნდისა, ემაგნაირად წიოკობენ ე წიწილები, რომ იმითი ცოდვით რაღა თქვას კაცმა (მოგვყავს ივანე გიგინეიშვილის, ვარლამ თოფურისა და ივანე ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1961 წელი).

შეაღბრეთ ბურული (ჩოხატაურის რაიონი): დამობილდა თურმე ორი კაცი. ველარ გავძლევთ აქანანიო და წმინდეთო. წმინდენ თურმე. სამი პური ერთმა წმილო საგძლათ, სამი — მეორემ. იარმნ, იარმნ, მოშიგდმნ. ვჭამოთო, ერთმა უთხრა მორეს. ჯერ შენი ვჭამოთ და მერე — ჩემიო. ჭამეს იი პური. ერთი დღეი გადიარმნ. ვჭამოთ კიდმომ... ამას აღარა აშ საგძალი მეტი. გადიარმნ მეოთხე დღეი... (იქვე).

ქვემოიმერული (ვანის რაიონი): ზამხული ძალიანი ადრე დეიწყო წრმოულს. ჩვენი ეზო თხმელამშვია და საურცხოვო სანახავი იყო... ქორი-შველი ნამყოფი ადრეა, თებერვლის კვირტი როა, მიტო. ამ ეზობაში და საბჭურებზე სიმღე დაბაზებულია. მარა უნაირო ყვაბები დეიწყო. ყანა საშინელი გვიანი არი, ხეხილი ნამეტარი ადრეა (იქვე).

თუშური: წელიწად ღამესამ დიკლოს ლეკის ჯარ მოიდავ. როცა რომ ჭამის ჭამაზე დავსხედითამ, მანამ ვერ გავიგეთამ, მანამ სოფელში არ შემოიღამ. შვიდმეტ დღესამ იბრუნამ ჯარმამ (იქვე).

2. კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი მართის ყველა კილოკავზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის ქართველათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი.

ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის ერთობლივი



მნას, სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო მნას წარმოადგენს.

3. სალიტერატურო ქართულ ენას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს; უძველესი ქართული წარწერები მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ქართულ ენაზე უკვე მოიპოვებოდა მდიდარი სასულიერო, თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურა, მეტწილად ნათარგმნი.

ქართულ ენაზე მეთორმეტე საუკუნეში დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“ საერო ქართული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუში.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის საძირკველია ქართული მწერლობის კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას თხზულებები. მდიდარი და მრავალფეროვანია საბჭოთა წლების ქართული პოეზია და პროზა.

ქართულ ენას სწავლობდნენ გამოჩენილი ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხარტი, გერმანელი ქართველოლოგი დეეტერსი, მეკელაინი...

ქართული ენის შესწავლა-გამოკვლევაში თვალსაჩინო მიღწევები აქვს ნორვეგიელ ენათმეცნიერს ჰანს ფოგტს, ფრანგ ბასკოლოგსა და კავკასიოლოგს რენე ლაფონს, გერმანელ მკვლევარებს პროფესორებს გერტრუდ პეჩს, კარლ შმიდტს... წარმატებით სწავლობენ ქართულს ჰოლანდიელი ენათმეცნიერები ებელინგი და კოიპერსი...

4. ყოველი ენის დანიშნულებაა კაცს აზრი გამოათქმევინოს და მოსაუბრესთან ურთიერთობა შეაძლებინოს, ანუ, როგორც იტყვიან, ყოველი ენა აზროვნების იარაღი და ურთიერთობის საშუალებაა.

ეს ორი ფუნქცია ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. მთავარი მაინც მეორეა, ურთიერთობის საშუალებად ყოფნა.

რაც უფრო მეტი ადამიანი იყენებს ენას ურთიერთობის საშუალებად, მით უფრო მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს ენას. თუ ენას ურთიერთობის საშუალებად არავინ ხმარობს, ეს ენა მკვდარია.

კაცი იფიქრებს: აზროვნების იარაღად მაინც დარჩება ენა, თუნდაც მასზე არავინ საუბრობდესო. ეს ასე არ არის. რა ენაზეც ვსაუბრობთ, ის ენაა, პირველ ყოვლისა, აზროვნების საშუალება. თანდათან გადაეჩვევა ადამიანი იმ ენაზე აზროვნებას, რომელზეც აღარ ლაპარაკობს.

ამიტომ არის, რომ სხვა ხალხში, სხვა ენის გარემოცვაში მყოფ ადამიანს თანდათანობით ავიწყდება დედაენა.

ხოლო თუ დედაენა დაგვავიწყდება, მშობელ ხალხთან კავშირიც გვავიწყდება: ენა არის ხალხის მშობის არსებობის ნიშანი. ქართველი კაცი, რომელმაც დაკარგა ქართული ენა, მალე და ადვილად გაითქვიფება სხვა ხალხში.

არ დავივიწყოთ დედაენა!

გაზ. „სამშობლო“, 1969, 22 აგვისტო, გვ. 4

## **„ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში**

საუკუნეებმა განვლო მას შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა. და მაინც არ დაიჩრდილა ეს დიდებული ჰიმნი ძლიერი, მართალი და ლამაზი ადამიანური განცდებისა, უბადლო — თავისი ლექსის მუსიკალობით, მდიდარი — შესანიშნავი აფორიზმებით.

საუკუნეები ქმნიან პერსპექტივას, სადაც სრულად დაჩნდება ეს მწვერვალი ქართული პოეტური შემოქმედებისა, საბატიოდ სახსენებელი მსოფლიო ლიტერატურის შედეგრთა შორის.

რუსთაველის ქმნილების მსოფლიო მნიშვნელობა დამაჯერებლად დაასაბუთა ილია ჭავჭავაძემ ამ ოთხმოციოდე წლის წინათ ერთს სარეცენზიო წერილში.

„ჩვენ, ქართველებს, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — სამართლიანად მოგვაქვს თავი იმით, რომ ეგ დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენი ერის დიდებულობის დროს, ჩვენი კაცისაგან და ჩვენს ენაზე დაწერილიაო. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ, ვქადულობთ, ხოლო ყველამ, ნამეტნავად ჩვენი ენის უტოდინარმა არ იცის, რა გვაძლევს უტყუარს საბუთს ამ თავმოწონებისას, სახელისას, ქადილისას.

ყველამ არ იცის, რითია ეს სახელოვანი ნაშთი ჩვენი სულისა და გულის მოძრაობისა შემკული, რომ დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოხი ასე ერთნაირად, ერთპირად შეჰხაროდა უწინ და შეჰხარის დღესაც, როგორც დიდს რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატიოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაჰკნობილსა, არ გაბათილებულსა, არ დავიწყებულსა“ (ილია ჭავჭავაძე: აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“, ნაწერების სრული კრებული, IV, 1927 წ., გვ. 183).

ილია ჭავჭავაძის ეს წერილი ეხება აკ. წერეთლის ლექციებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და ამ ლექციათა დედააზრს კრიტიკულად განიხილავს. აკაკი წერეთელი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებში სხვადასხვა კუთხის ქართველს პოულობდა: ტარიელი ქართლელის ტიპია, ავთანდილი — იმერლისა, ფრიდონი კიდევ ზღვის პირის ქართველისაო.

ამით „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ეთნიკურ სინამდვილეს უკავშირდებოდა. და მაინც ილია ჭავჭავაძემ ასეთი გაგება არ მოიწონა.

„მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა, — წერს ილია ჭავჭავაძე, — წარმოადგენს ერთს იმ დედა-აზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი... მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმაცია, ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი, იმერელია, და ფრიდონი კი — ზღვის პირის ქართველია“... „ეს ამისთანა გზა კვლევისა, — შენიშნავს ილია, — სად არ მიიყვანს კაცსა?! ფალსტაფს, რომელიც შექსპირს ტყუილებისა და კვეხნა-ბაქიაობის გუდად გამოუხატავს, განა ათასს მსგავსს ვერ მოვუბოვებთ ჩვენს საქართველოში?! აკი თვითონ ბ-ნმა აკაკიმაც თავის ლექციებზედ დაგვაჩერა, ქართველები ტყუილებისა და კვეხნა-ბაქიაობის მოყვარენი არიანო. მართალიც არის: ჩვენში ტყუილებისა და კვეხნა-ბაქიაობისა ისეთი ფალაგნები არიან, რომ თვითონ: ფალსტაფი, — ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვეხარა კაცისა, ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შაგირდად მიებარება. ნუთუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვისმე სთქვას: შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახაო“ (ილია ჭავჭავაძე, IV, გვ. 185-186).

„ვიწრო მოედანი, — წერდა ილია, — მარტო პატარა ფალაგნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადავლებოდეს, მის სრულ სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“ (ილია ჭავჭავაძე, IV, იქვე, გვ. 194).

„მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ იმიტომ, რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან“ (იქვე, IV, გვ. 186).

„რამოდენადაც მწერლის შემოქმედობას ძალი სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება...“ (იქვე, გვ. 186).

„ამ საზომისა და საწყაოს უარყოფა უარყოფაა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირნი საერთო-კაცობრიულს რასმე წარმოადგენენ“ (იქვე, გვ. 187)... ნუთუ ის ახოვანი, ჯანმრთელი, სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი ვაჟკაცი ტარიელი რუსთაველისა თავის ნებაზედ ბოლოს მწვრად აქცია, და ყოველს ამას სხვა მიზეზი არა აქვს-რა, გარდა რუსთაველის

თვითნებობისა და ზარმაცის ქართლელის გამოსახვის სურვილისა?! ეს რომ ასე იყოს, მისი თხზულება ხომ პამფლეტი იქნება, თუ ძაგებაა და რეკლამა — თუ ქებაა, და არა დიდებული ნამოქმედარი „შემოქმედობისა“ (ილია ჭავჭავაძე, IV, გვ. 186-187).

რუსთაველმა ზოგადი ადამიანური ხასიათები გამოძერწა — ისეთივე, როგორცაა შექსპირის ოტელო, ჰამლეტი, — და ამაშია რუსთაველის სიდიადე.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთ ზოგად ტიპს გამოგვივლენს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის განცდა-ქცევათა ანალიზის მეშვეობით: „ტარიელი დიდის გულისთქმის კაცია, — წერს ილია, — იმისთანა გულისთქმისა, რომელსაც ვეღარც ხორცი უძლებს და ვეღარც სული, და რომელიც ჭკუას, გონებას მთლად იმორჩილებს... ამიტომაც ტარიელისთანა ძალღონიერი კაცი ყოვლად შემძლებელია, თუ გარემოება ცხოვრებისა გულისთქმაში ხელს უწყობს, ესე იგი, თუ გულისთქმას კმაყოფილებას აღწევს და აჩუბებს, — და თუ არა, ამისთანა კაცი სუსტია, უღონოა, უქმია... „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“ (საწუთროს ნდომასაო). ნუთუ ძნელი მისახვედრია, ამით რის თქმა უნდა რუსთაველსა? რა ფსიქოლოგიური შუქი მოჰქინა ამის თქმით გულის-შემოყრის ამბავსა? დიდის გულისთქმის კაცის ამბავი ასეაო და ბრძენს კაცს კი, რომელიც გულისთქმას იმორჩილებს, ჭკუას აუფლებს, ეს არ მოევიწიებაო. აკი ჭკვიანი და ბრძენი ავთანდილი, რომელსაც გულისთქმა დამორჩილებული ჰყავს, არსად არც ერთს მაგალითს არ წარმოგვიდგენს ან დაბნედისას ან გულ-შემოყრისას, ან სხვა ამგვარის მარცხისას გულისთქმისაგან“ (ილია ჭავჭავაძე, იქვე, IV, 188).

ილია ჭავჭავაძის ეს ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულს რაობაში არსებითს, ნიშანდობლივს გამოავლენს და მით ფასეული ჩანს დღესაც რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში.

\* \* \*

„ვეფხისტყაოსნის“ იდეათა სამყაო, გმირთა სულიერი განცდები ფართო გასაქანს იძლევა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური რეფლექსიებისათვის.

და მაინც, „ვეფხისტყაოსანი“, პირველ ყოვლისა, მხატვრული, პოეტური ნაწარმოებია. პოეტური ნაწარმოების ენის შესწავლა გულისხმობს:

ა. ენის შესწავლას პოეტური სტილისტიკის თვალსაზრისით: ენა, როგორც პოეტური ჩანაფიქრის ხორცშესხმა, მოიცავს ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, რიტმის, რითმის, სიტყვის ბგერადობის..., როგორც გამომსახველ საშუალებათა, განხილვას.

ამ რიგის ერთ-ერთ საკითხს მიეძღვნა თავის დროზე პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძის საყურადღებო სტილისტიკური ნარკვევი: „ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“ (1925 წ.). ამავე ხასიათის შენიშვნები იუსტინე აბულაძისა („გარეგანი ფორმით მსგავსი სიტყვების ერთად ხმარება“) დართული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ 1926 წლის გამოცემას (გვ. 322-324), სტილისტიკური ანალიზის გარეშე.

ბ. ენის შესწავლას ფართო ფილოლოგიურ თვალსაზრისით — კულტურულ-ისტორიულ რეალიებთან დაკავშირებით, რასაც ტექსტის ადეკვატური გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

გ. ენის შესწავლას საკუთრივ ენათმეცნიერული თვალსაზრისით: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა-ფრაზეოლოგია და მათი ადგილი სალიტერატურო ქართული ენის განვითარების ისტორიაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლას ამ თვალსაზრისით — ზოგი გარემოების გამო — აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ ენის ანალიზის დროს სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ ლექსის სპეციფიკამ თავისებური კორექტივი შეიძლება შეიტანოს მორფოლოგია-სინტაქსის მოვლენათა გამოყენებაში.

ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ვნახავთ, მოლოდინს აჭარბებს.

რა ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ ენას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში? იგულისხმება მისი ლექსიკა და, განსაკუთრებით, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემა. — განსაკუთრებით-მეტეი, იმიტომ, რომ ენის სისტემის დახასიათებისათვის მორფოლოგიურ და სინტაქსურ მოვლენათა ჩვენება ყველაზე ნიშანდობლივია და ფასეული.

სანამ „ვეფხისტყაოსნის“ მონაცემებს ამ მხრივ განვიხილავდეთ, საჭიროა ორიოდ სიტყვა ითქვას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ზოგი თავისებურების შესახებ (ქართული ენის ისტორიის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით).

\* \* \*

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში განასხვავებენ ძველ და ახალ ქართულს. ძველი ქართულის დოკუმენტაცია მეხუთე საუკუნეში იწყება და მეთორმეტემდე გრძელდება. ამ ექვსი საუკუნის მანძილზე ძველი ქართული ენა უცვლელი არ ყოფილა, და მაინც — არსებით ნიშანთა მიხედვით ეს ერთი ენაა.

ახალი ქართული მეთორმეტე საუკუნით იწყება, და მეთვრამეტე საუკუნისთვის მისი ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებული ჩანს. ახალი ქართულის წარმოქმნის ეს პროცესი ხშირად საშუალო ქართულად არის სახელდებული. ამრიგად, სამ პერიოდს გამოყოფენ: ძველი ქართული (ანუ X-XI საუკუნეთა ენა), საშუალო ქართული (ე. ი. XII-XVII საუკუნეთა სალიტერატურო ენა) და ახალი ქართული სალიტერატურო ენა (მეთვრამეტე საუკუნიდან დღემდე). განვითარების თითოეულ ამ საფეხურთაგანს, ცხადია, გრადაციები აღმოაჩნდება, მაგრამ ამას ჩვენი მსჯელობისათვის აქ მნიშვნელობა არა აქვს.

გამოყოფთ ო რ პ ე რ ი ო დ ს ა და მათ შორის გარდამავალ საფეხურს (ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში) თუ ს ა მ ს პ ე რ ი - ო დ ს (ძველს, საშუალოსა და ახალ ქართულს), არსებითად არაფერი შეიცვლება, თუ კი ამთავითვე გავითვალისწინებთ, რომ საშუალო ქართულს ისეთი ჩამოყალიბებული სახე არა აქვს, როგორც ორ სხვა პერიოდს, ძველსა და ახალს, სხვანაირად რომ ვთქვათ, საშუალო ქართული იმ რიგის ოდენობად ვერ მიიჩნევა, როგორცაა წ ი ნ ა მ ა ვ ა ლ ი ძველი ქართული და მ ო მ დ ე ე ვ ნ ო პერიოდი — ახალი ქართული.

არსებითი კიდევ ის არის, რომ ძველი ქართულისა და ახალი ქართულის სხვაობა გაცილებით უფრო მკრთალია, ვინემ ეს მოსალოდნელი იყო — შვიდი საუკუნის მანძილზე! მაინცა და მაინც ძველი ქართული ტექსტი გაცილებით უფრო ახლოსაა ახალ ქართულთან, ვინემ, მაგალითად, ძველი სომხური („გრაბარი“) ახალ სომხურთან („აშხარაბართან“) ანდა ძველი ფრანგული (IX-XIV ს.) ახალ ფრანგულ ენასთან (XVII საუკუნიდან).

იგივე ითქმის ინგლისურ და გერმანულ სალიტერატურო ენათა ისტორიის შესახებ: ეს ენები დიდად ცვლილან.

სალიტერატურო ქართულ ენას კი მეტად სუსტი ცვლა ეტყობა: ლექსიკა და სიტყვათა მნიშვნელობა ყველაზე მეტ სიახლეს გვთავაზობს, ინოვაციები აქ ადვილად იკიდებს თავს, ფონეტიკაში, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სისტემაში ცვლილება თუმც კი გვაქვს, მაგრამ — შედარებით მცირეა.

ქართული ენის ამ თვისებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მეთორმეტე საუკუნის ენა რუსთაველისა მეტწილად დაუბრკოლებლად გვემის, ხოლო ბევრი ადგილი განსხვავებულსაც თითქოს არაფერს შეიცავს:

შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,  
 გულისა — ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად;  
 მომიგონებდე, გახსოვდე მე, შენთვის დაკარგული სად,  
 ვზი მზრდელი სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად

(1297)

ნესტანის წერილის ეს ნაწყვეტი ახალი ქართულისებურად ჟღერს...

ანდა:

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი,  
გული ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი.  
(718,1-2)

ანდა:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,  
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალგულოვანი.  
(800,1-2)

ჩვენთვის უჩვეულო „მთმო“ („ჭირთა მთმო“) ან „ძალგულოვანი“ ფრაზის აზრის ათვისებას არ აბრკოლებს, მთლიანის აღქმას ხელს არ უშლის.

სალიტერატურო ენას, თუ ის ძველი სამწერლო ენაა, ორი განზომილება აქვს: ერთია — მისი მიმართება ტრადიციასთან, განვილილ გზასთან, ისტორიულ წარსულთან; მეორეა მისი მიმართება ცოცხალ მეტყველებასთან, პირველ რიგში საყრდენ დიალექტთან, რომლისკენაც სამწერლო ენას თვალი ნიადაგ უჭირავს, რომლითაც სამწერლო ენა საზრდოობს.

განვითარების ნორმალური პროცესი ორივე ამ მიმართების შენარჩუნებას გულისხმობს: ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტა ნორმალური განვითარების შეფერხებას იწვევს; საყრდენ დიალექტთან კავშირის გაწყვეტა და ახალ დიალექტზე გეზის აღება სალიტერატურო ენის განვითარებაში ცვლას მოასწავებს, და ეს ცვლა მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო მეტად სხვაობს ახალი საყრდენი დიალექტი ძველი საყრდენი დიალექტისაგან.

აქ სხვაც ბევრი რამ არის მხედველობაში მისაღები. ამაზე ვერ შევიჩერდებით. მხოლოდ ერთს ვიტყვით: საკმარისია ცოცხალი მეტყველება, როგორც საყრდენი, საერთოდ გამოეცალოს სალიტერატურო ენას, და შედეგი კატასტროფული იქნება: სალიტერატურო ენა ხელოვნურ ენად იქცევა. ხელოვნური კი უსიცოცხლოს გაუტოლდება, რაც უნდა მდიდარი და დამუშავებული იყოს იგი; ოქროს ხანის ლათინურს იულიოს კეისრისა და ავგუსტუს იმპერატორის ეპოქისა სწორედ ეს ბედი ეწია.

\* \* \*

სალიტერატურო ქართულ ენას მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული საყრდენი დიალექტი არსებითად არ შესცვლია: ქვემო ქართლი (მცხეთა-ბოლნისი), ზემო ქართლი (კლარჯეთი), შიდა ქართლი (ცენტრი — თბილისი) — ერთი სიტყვით, ქართლის მეტყველება, ფართოდ აღებული — მისი ესა თუ ის ზონა — ქმნიდა ფარგლებს, რომელსაც სალიტერატურო ქარ-

თული ენის საყრდენი დიალექტი არ გასცილებია.

საყრდენი დიალექტის უცვლელობა ქართული სალიტერატურო ენის სტაბილურობას განსაზღვრავდა, მაგრამ თვით ეს საყრდენი დიალექტი — ქართლის მეტყველება — დროთა ვითარებაში უცვლელი ვერ იქნებოდა; განსაკუთრებით მერვე-მეთერთმეტე საუკუნეთა მანძილზე, როცა არაბობამ იმძლავრა და თბილისი არაბ და შემდგომ თურქ ამირათა რეზიდენციად იქცა.

თბილისი საქართველოს 1122 წელს დაუბრუნა დავით აღმაშენებელმა.

„...აილო მეფემან, — წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, — ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, დაუმკვიდრა შვილთა თუისთა საჭურჭლედ და სახლად თუისად საუკუნოდ. ქორონიკონი იყო სამასორმოცდაორი“ (ე. ი. 780+342=1122. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 218; „ქართლის ცხოვრება“, I, 1955 წ. გამოცემა, გვ. 342).

„ოთხას წელ ქონებული სპარსთა“ (ე. ი. მუსლიმანთა — არაბთა, სპარსთა, ბოლოს თურქთა) — თბილისი 1122 წლიდან კვლავ დედაქალაქია, საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრი.

არაბ-სპარს-თურქთა ბატონობის კვალი თბილისის მეტყველებას შეუძლებელი იყო არ დასტყობოდა; გავლენა ბუნებრივად ლექსიკამ იგრძნო.

არაბულ-სპარსულ, აგრეთვე თურქულ სიტყვათა ინფილტრაცია არა მხოლოდ თბილისის მეტყველებაში იჩენს თავს.

იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებაში (X საუკ.) სახარების ერთი ადგილის განმარტებისას ნათქვამია: „და კუალად პოვა ოდესმე მათეოზ მეზუერჳ, ჳდა რაი იგი საზუერესა თანა...“ რ ა ი მ ე ა რ ს ს ა ზ უ ე რ ჳ ი გ ი და რ ა ი მ ე ა რ ს მ ე ზ უ ე რ ჳ ი გ ი? — კითხულობს იოანე და განმარტავს: მ ე ზ უ ე რ ჳ ი გ ი ა რ ს მ ე ბ ა ჟ ჳ, ხოლო ს ა ზ უ ე რ ჳ ი გ ი ა რ ს ა დ გ ი ლ ი, სადა იგი ბ ა ჟ ს ა უ ყ ო ფ ე დ (ე. ი. „ბაჟს იღებენ“, — ა. ჩ.), მუნ ჳდა მათეოზ ს ა ბ ა ჟ ე ს ა მ ა ს თ ა ნ ა...“

„ზუერი“, „მეზუერე“, „საზუერე“ ქართული ძირის სიტყვებია (მეგრულში დღესაც ცოცხალია: ჳირუნს „კრებს“, „ოგაფალიში მაზირალი“ — გადასახადის, „მისაგებლის“ ამკრები)... ბაჟი სპარსულია; სპარსული, შეთვისებული სიტყვა დამკვიდრდა, ქართული ძირის სიტყვა კი გაუგებარი გამხდარა: ქადაგების დროს ბოლნელი ეპისკოპოსი იოანე სამწყსოს უხსნის, რასაც ნიშნავს „მეზუერე“, „საზუერე“; სპარსული სიტყვა „ბაჟი“ („მეზაჟე“, „საბაჟე“) გავრცელებული ყოფილა და მის მეშვეობით განმარტავს ქართულ სიტყვას, სახარების ტექსტს რომ შემორჩენია... თვით იოანეც, როგორც ჩანს, **ბაჟ**-სიტყვას შეჩვეული ყოფილა: „მუნ ჳდა მათეოზ



ს ა ბ ა ჟ ე ს ა მ ა ს თ ა ნ ა ო “, — განაგრძობს იგი.

უცხო ენიდან შეთვისებულმა „ბაჟ“-მა ქართული „ზუერ“ ფუძის ადგილი დაიმკვიდრა. ასევე დამკვიდრდა სპარსული სიტყვა „პასუხი“ ქართული „მიგების“ ნაცვლად (ივ. ჯავახიშვილი); როგორც ჩანს, ცოცხალი მეტყველების მეშვეობით უკვე მეთერთმეტე საუკუნის ძეგლში — საეკლესიო დანიშნულებისა — „პასუხი“ დასტურდება (ამჟამად გამოთქმებშია შემოგვრჩა „მიგება“ „პასუხის“ გაგებით; ვიტყვით: „ამაზე მიუგო“ — „ამაზე უპასუხა“-ს ბაღლად).

ცოცხალი მეტყველებიდან ჩანს შესული X საუკუნის ტექსტში არაბული სიტყვები: „დუქანი“, „კომკი“, სპარსული „დასტური“, „დასტურობა“ (ილ. აბულაძე: „ლიმონარი“, 1960 წ.).

სპარსული ლექსიკის შეთვისებისათვის პირობები არაბობამდეც იყო (მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში). მერვე საუკუნიდან არაბობამ ამ პირობებს მეტი ძალა შემატა.

სასულიერო მწერლობაში სპარსულ-არაბულ-თურქული სიტყვები ძნელად თუ შეაღწევდა: ტრადიციაც დიდი იყო, კონფესიური მომენტებიც ზღუდავდა შესაძლებლობას: ქრისტიანული ძეგლი — ისლამის ენათა ლექსიკას ადვილად არ იგუებდა. საერო მწერლობის წინაშე კი ეს დაბკროლები არ არსებობდა. არაბულ-სპარსული ლექსიკა საერო ლიტერატურის ძეგლებში XII საუკუნიდან ხელშესახებია.

ბევრი მათგანი შეიძლება იყოს შეთვისებული არა წიგნური გზით, არამედ ცოცხალი მეტყველებიდან. ოთხასი წლის ბატონობა არაბთა და სელჯუკ-თურქთა ამისათვის საკმაო პირობებს ქმნიდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაში არაბულ-სპარსული და თურქული სიტყვები, დიდი ხანია, შესწავლის საგანს წარმოადგენს. ჩვენ აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: ამ შეთვისებულ სიტყვათაგან ზოგი ქართული სიტყვის ადგილას სახლდება, ზოგიც პარალელურად არსებობს და მნიშვნელობის ერთგვარი ცვლით მკვიდრდება.

ასე, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს: ამხანაგი, ნადიმი, სევედა, ფარდაგი, ქარავანი, მათრახი, ალყა, ლალატი, ნატიფი, ფათერაკი, დუხჭირი, ნიანგი, პაემანი, თათბირი, დასტაქარი, მუდარა, დაძაბუნება, ბულბული, ბალი, ტახტი, ვაზირი, ბატი, არამი...

ყველა ეს სიტყვა დღეს სალიტერატურო ქართულის კუთვნილებას წარმოადგენს; „არამი“ (და საპირისპირო „ალალი“) ხალხური მეტყველების დამახასიათებლადაც კი მიგვაჩნია; ასევე „ამხანაგი“, „ქარავანი“, „ფათერაკი“, „ლალატი“, „ბალი“, „ბულბული“ და მისთანანი.

„ტახტი“ „ვეფხისტყაოსანში“ ერთადერთი სიტყვაა სამეფო პირთა საჯდომის აღსანიშნავად. „უშენოსა საჯდომი და ტახტი მისი ვისმცა მისცა?!“ (176,2). „დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა მადრიბულისა“

(1188,2)... ძველ ქართულში „ტახტის“ მნიშვნელობით „საყდარი“ იხმარებოდა („იხილა მჯდომარე საყდარსა ზედა“...); შემდეგში „საყდარი“ ტაძრის სინონიმად იქცა: სიტყვა „საყდარი“ შერჩა ქართულს მნიშვნელობის ცვლით...

იგ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ ძველ ქართულში მ ტ ი ლ ი იხმარებოდა „ბალის“ მნიშვნელობით. „ვეფხისტყაოსანმა“ მხოლოდ „ბალი“ იცის („ასმათ ლხინსა მიქადებდა, ჩავიარე შიგან ბალი“, 397,1)... „ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბალისა ტევრითა“... (1061,2)... „მტილი“ სიტყვა დაიკარგა; მისი ადგილი სპარსული წარმოშობის „ბალს“ უჭირავს.

სარიტმო სიტყვაში ერთგან გვხვდება „ბატი“: „მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ-ალქატისა, ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა“ (1465, 1-2)... სიტყვა „ბატი“ არაბულია; ქართული შესაბამისი სახელი იყო „ღერღედი“ (მეგრულში ზოგჯერ შემორჩენილი „ლორღონჯ“-ის სახით)... ამჟამად **ღერღედის** არსებობა ფილოლოგებმა თუ იციან: ბატი ერთადერთი სახელია ამ ფრთოსნისათვის ქართულში.

ტერმინები: „ერისთავი“ და „ერისთავთ-ერისთავი“ იცის ჩვენმა ისტორიამ. „ვეფხისტყაოსანში“ „ვაზირი“ გვაქვს:

ხმობა ბრძანა ვ ა ზ ი რ ი ს ა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა.  
(813,4)

რ ა ვ ა ზ ი რ ი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრული,  
როსტან უთხრა: „არა მახსოვს გუშინდელი შენგან თქმული“  
(814, 1-2)...

„კვლა მოახსენა ვ ა ზ ი რ მ ა ნ სიტყვა ნაგუშინდელევი“  
(816,1)...

თანამდებობის პირთა აღსანიშნავად ეს ტერმინები ახლა უხმარია. ძველ ქართულში სინონიმებად გვაქვს „იადონი“ და „ბულბული“:  
ვარდი ხარ მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზედ კრფებიან!  
(1086,2)...

აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა (82,3)...

შდრ.: იადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს (767,2)...

გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდი (666,2)...

„ბულბული“ უფრო ხშირად გვხვდება, „იადონი“ — შედარებით იშვიათად. რაიმე სხვაობა მნიშვნელობისა არა ჩანს. ორივე სიტყვა ერთსა და იმავე სტროფშიც გვხვდება:

ფატმან მას ზედა იხარებს, მართ ვითა იადონია,

თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია (1254,3-4)...

„იადონი“ ძველ ქართულში დასტურდება („ვითარ მღვდარე არს აიადონი, რაჟამს აგრობნ კვერცხთა და ღამე ყოველ არა დასცხრებიან გალობისაგან“ — „ექუსთა დღეთაჲ“, XI ს. ტექსტი — მიხ. კახაძის გამოცე-

მული 1947 წ., გვ. 99, 25)... „აიდონი“ ბერძნული სიტყვაა (aedon ამჟამად გურულში დასტურდება „გაიდონა“-ს სახით; ს. ჟღენტი). „ბულბული“ სპარსულია. ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვის ადგილი სპარსულიდან შემოსულმა სიტყვამ დაიმკვიდრა (ქართული სახელი უნდა ყოფილიყო „მეფშალია“, რომელსაც საბა განმარტავს „მცირე ბულბულით“ და სინონიმად „ყარანა“-ს უწერს; მეგრულში „მაფშალია“ ახლაც ერთადერთი სახელია ამ მგალობელი ჩიტისა).

\* \* \*

ლექსიკაში „ვეფხისტყაოსანი“ ახალ ქართულთან მეტ სიახლოვეს იჩენს, ვინემ მორფოლოგია-სინტაქსის თავისებურებათა მიხედვით. მართალია, აქაც გვაქვს ელემენტები, რაც ახალი ქართულიდან არის ცნობილი ანდა კიდევ ახალ ქართულისაკენ იხრება, მაინც ძველი ქართულის მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემის ნიშანდობლივი მოვლენებია, „ვეფხისტყაოსნის“ ენას რომ ახასიათებს. სქემატურად ჩამოვთვლით მათ.

ძველი ქართულის ნორმათა შესახებ მისადა:

1. მოთხრობითი ბრუნვა ყოველთვის -მან ფორმანტს დაირთავს (ახალ ქართულში მის ნაცვლად -მა გვექნება, თანხმოვნების შემდეგ, ანდა მ — ხმოვნების შემდეგ).

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს: ახალმან ფიფქმან... მისმან შუქმან... სოფელმან... ვაზირმან... დედოფალმან... ქალმან... კაცმან... მშობელმან... მამამან... მეფემან... ყმამან... დღემან... საწუთრომან... და ასე შემდეგ<sup>1</sup>

2. ადამიანის სახელები მოთხრობითისა და სახელობითი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ: ფუძე გამოდის ორივე ბრუნვის როლში, როგორც ეს შეინიშნება ძველი ქართულის ადრინდელ ძეგლებში (მეთორმეტე საუკუნისათვის ეს სტილიზაციის შედეგი ჩანს):

გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლალად მავალი  
(147,1)

ავთანდილ ქალმან დამალა ქვაბს დამალვითა მალითა  
(265,1)

ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა (178,1)

პირველ ორ მაგალითში „ავთანდილ“ უდრის სახელობითს, ავთანდილი: ავთანდილი გამოემართა (ეს სახელობითი სუბიექტია); ავთანდილი ქალმან დამალა (სახელობითი აქ ობიექტია); მესამე მაგალითში „ავთანდილ“ მოთხრობითის ფუნქციისაა: ავთანდილმა გარდაიარა (მოთხრობითშია სუბიექტი)...

<sup>1</sup> ამ მონაკვეთის შესახებ სადოკუმენტაციო მასალა ვრცლად გვაქვს წარმოდგენილი წერილში „ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტები „ვეფხისტყაოსნის“ ენის სტრუქტურაში“ (იბეჭდება „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“, ტ. XVI); ამიტომ აქ თითო-ორი მაგალითს ვსჯერდებით.

ასეთივე ვითარება გვექნება მაგალითებში: ტარიელ უთხრა... (299,1)... ფარსადან შექმნა ზემი... (315,1)... დავარ თქვა... (582,2)... ასმათ უთხრა... (301,1).

არის რამდენიმე შემთხვევა, სადაც ბრუნვის ფორმანტი დართული აქვს ფუძეს: რა ასმათ**მან** დაინახა (843,1)... ასმათ**მან** წყალი დაასხა... (346,1)... თავგაგლეჯილი ასმათ**ი**... (568,3)... ცნა მეფემან, ტარიელი მარტო მოვა... (1514,2).

3. ემფატიკური **-ა** მიცემითსა, ნათესაობითს და მოქმედებითში ჩვეულებრივ წარმოდგენილია:

ეგე ამბავი ცოცხალს**ა** ენით**ა** ვერ მათქმევინო (241,2)

ქვე წვა, ვით კლდის**ა** ნაპრალს**ა** ვეფხი პირგამეხებული (522,1)

გონიერს**ა** მწვრთელი უყვარს, უგუნურს**ა** გულს**ა** ჰგმირდეს (904,2)

ამად არ გიქებ საქმისა უარესის**ა** რჩევას**ა** (897,4) და სხვა.

ძველი ქართული პროზისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა „გეფხისტყაოსნის“ ლექსს ეპიკურ იერს მატებს.

4. ზ ე დ ა, შ ი ნ ა, შ ი გ ა ნ, როგორც წესი, სათანადო სახელთა ემფატიკურ ფორმებს ერთვის:

ესე არაკი მართალი ჩინს ქ ვ ა ს ა ზ ე დ ა სწერია (854,1)

ქალი მარტო ქ ვ ა ბ ს ა შ ი გ ა ნ ზის მტირალი, ცრემლ-  
ნაწთომი (999,1)

კ ო კ ა ს ა შ ი გ ა ნ რაცა დვას, იგივე წარმოსდინდების (1094,4)

ასევე: **-თვის, -გან:**

მითხრა: „ეგრე წასღვისათვის ნუ გაჩნია გულსა დადი...“ (397,2)...

ვეცდებოდი, არა მცალდა სევდისა**გან** თავის კრძალვად (369,1)...

ამათგან განსხვავებით, როცა **-მდის** ერთვის, ბრუნვის ნიშნისეული **-დ** არა ჩანს:

მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებს, არ სიცილი (169,4)...

5. ზმნის უღვლილებაში ხოლმეობითი (პერმანსივი) ორივე სერიისა დაცულია:

მ ო ს რ ნ ის მხეცნი და ნადირნი ისარმან, ჩემგან სრეულმან,

მერმე ვ ი ბ უ რ თ ი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან;

შ ე ვ ი დ ი, შ ე ვ ქ მ ნ ი ნადიმი, ნიადავ ლხინსა ჩვეულმან (333, 1-3)...

ამას მოსთქმის, იწვოდის, ვითა სანთელი  
დნებოდის.  
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის;  
რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსლვა ეამებოდის.  
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის,  
ეუბნებოდის (838,1-4)...

6. **ი**-ფუძიან დინამიკურ ზმნებს მესამე პირში მხოლ. რიცხვისა **-ს**  
მოუდის: დაჰხვდები**ს**... მიჰყვები**ს**... დაშვრები**ს**... გაცვდები**ს**... მეყოფი**ს**...  
იპოები**ს**... შეებრალეები**ს**.. ერგები**ს**.. დაედები**ს**... მოეწონები**ს**... (ახ. ქართულ-  
ლის: დაჰხვდება, მიჰყვება... გაცვდება... და მისთანათა ბაღლად).

ხათუნმან უთხრა: „ჰე, ლომო, ცეცხლი აწ უფრო  
ცხელდების;  
მოეშორებების ნათელსა, გული ამისთვის  
ბნელდების;  
ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა, ხელი ეგრეცა ცხელდების.  
თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძნელდების  
(1313).

7. მრავლობითი რიცხვის მესამე პირში თხრობითი კილოს ნაკვეთს  
**-ებს** დაბოლოება მოუდის (სადაც ახალ ქართულში **-ენ** გვაქვს):

იგი რა ნახეს მესროლთა, სროლასა მოეშლებოდეს,  
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს,  
ბნდებოდეს,  
იქით და აქათ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,  
ვერცა ჰკადრებდეს: „ვინ ხარო?“ ვერცა რას  
ეუბნებოდეს (981).

8. **-ს**-სუფიქსიანი სახელობითი ითანხმებს ზმნას მაშინაც, როცა რეა-  
ლური ობიექტია, და მაშინაც, როცა რეალური სუბიექტია ორპირიან  
ზმნათა:

ყმა მტირალი შეებრალა, ამად ცხელ**ნი** ცრემლნი ღვარ**ნა**,  
მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგე**ნი** აუბარ**ნა**;  
ყმამან ცნა, თუ „გონება**ნი** ჩქარ**ნი** ჩემთვის დააწყნარ**ნა**“.  
ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მუხლ**ნი** მიუყარ**ნა** (245)  
...მათ თვალთა ცრემლ**ნი** სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი  
(218,4).

მათ ცრემლი სდიოდა: მათ ცრემლნი სდიოდეს; ახლა ვიტყვით: მათ  
ცრემლი (ცრემლები) სდიოდათ.

დღისით ვლეს და საღამო-ჟამ გამოუჩნდეს დიდნი კლდენი (219,1)  
მათ კლდე გამოუჩნდა: მათ კლდენი გამოუჩნდეს; ახალი ქართულით იქნე-  
ბა: მათ კლდე (კლდენი) გამოუჩნდათ...

9. მიცემითი ბრუნვის მრავლობითს ზმნა არ ეთანხმება:  
 ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოთა სანახავისა (85,4);  
 მათ მოუნდა ნახვა; ახლა ვიტყვით: მათ მოუნდათ ნახვა...  
 დგეს მონანი ნატირებნი, დაეგლიჯა თმა და წვერი (828,2);  
 მონებს დაეგლიჯა თმა და წვერი. ახლა ვიტყოდით: „მათ დაეგლიჯათ“...
10. **-ებ-**იანი მრავლობითი უფრო ხშირია, ვინემ ძველ ქართულში, მაგრამ სინტაქსური ძალა ისეთივე აქვს, როგორც ძველ ქართულში; ზმნა ასეთ მრავლობითს, როგორც წესი, არ ეთანხმება:  
 შენად შეყრამდის პატიჟთა ჩემთა ვერ იტყვის ენები! (822,4)  
 ვითა ქაჯი დაგვემალე, მონებიცა დავაფეთეთ (288,3)  
 უსენ ტაბაკსა დაწყო მარგალიტი და ლალები (1164,1)
11. ზმნის ფუძისეული პრეფიქსი ზოგჯერ ამოღებულია, ზოგჯერ, პირიქით, აღდგენილი, რაიც ძველი ქართულის აღრინდელ ვითარებას წარმოგვიდგენს:  
 შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია“ (142,2)  
 შესთვალა = შეუთვალა... შდრ.:  
 მე შეეუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა“ (563,1).  
 ასევე: „ძღვენსა სძღვნიდეს“ (148,2) და: „დედოფალსა ძღვენსა ვუძღვნით“ (1123,3).  
 აგრეთვე: დამვიწყდეს (339,1...), დაჰვიწყდა (1196,2...)...  
 შეჰკვეთეს (471,1)... შემშრების (242,2) და სხვ. „დამავიწყდეს“, „შეუკვეთეს“, „შემამშრების“-ის ბადალად... ძველი ქართულის ისტორიული ვითარების ამგვარ ფორმათა მეოხებით ფასეული მონაცემები ეძებნება.

\* \* \*

„ვეფხისტყაოსნის“ ენა ყოველთვის არ მისდევს ძველი ქართულის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ ნორმებს. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი:

1. ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს აღარ დაერთვის სახელობითის ნიშანი **ღ** ← **ი**: ყმა, დროშა, სიტყვა, ბრძანება, პურობა, სმა... ძე, მოყმე, მეფე, სიძე, მზე, მთვარე... უსახო, უებრო, უსაზომო, საბრალო, მარტო, სანაპირო... ცრუ (და არა: ყმაღ, სიტყვაღ... მეფეღ... მთვარეღ... უსახოღ... ცრუღ...), პროცესი ფონეტიკურია: დიფთონგები აფ, ეფ, ოფ, უფ დაიშალა (ა. შანიძე); შედეგი — მორფოლოგიაში იჩენს თავს.

რამდენსამე სიტყვაში შემოგვრჩა სახელობითის **ი**: ერთაი, ყველაი, ყველაკაი, ცოტაი, პაშტაი, — შემოგვრჩა იმიტომ, რომ სრული **ი** გვაქვს, მარცვალსა ქმნის (ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი 590,1), ე. ი. დიფთონგი არ გვქონდა, დიფთონგში **ი** დაიკარგებოდა.

2. ფუძეუკვეცი სახელების ნათესაობითა და მოქმედებითში დიფ-  
ტონგების დაშლის შედეგად ნათესაობითი მიცემითს დაემსგავსა, ხოლო  
მოქმედებითი — მრავლობითის ნათესაობითს:

უბედროსა, უბედროთა → უბედოსა, უბედოთა.

ასმათს მივართვი რჩეული თვალი ო ქ რ ო ს ა ჯამითა 385,1 (= ოქ-  
როისა ჯამითა)... დავჴე, მივეც გულსა ლხინი, ს ა წ უ თ რ ო ს ა დამგმო-  
ბარსა 410,3. „საწუთროსა“ აქ ნათესაობითია: ლხინი მივეცი გულსა, სა-  
წუთროის დამგმობელსაო. ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა  
1141,3 (= უბედოსისა ბედისა)... ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა  
85,4 (= უცხოსისა სანახავისა)... მრავლად იყო სარაჯები ვარდის-წყლისა  
აბანოსა 341,3 (აბანოსა მიცემითი კი არ არის, „ადგილის მიცემითი“: სად  
იყო სარაჯები? „აბანოსა შინა“, არა: „აბანოსა“. ნათესაობითია: აბანოსა“:  
ვარდის წყლის აბანოსის სარაჯები მრავლად იყოო“)<sup>2</sup>.

მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბ უ ს ა (966,4).

მის ხმასთან შედარებით ბულბულის ხმა ბუის ხმას ჰგავდაო (ბუსა  
← ბუსა).

3. მეშველი ზმნა „არს“ შედგენილ შემასმენელში ა-ს სახეს იღებს:  
უღონოა = უღონო არს... ხელთაა = ხელთ არს... მწველია = მწველი არს...

„ნეტარ მამაცი სხვა რ ა ა, არ გაძლოს, რაცა ჭ ი რ ი ა!

ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პ ი რ ი ა!

ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძ ვ ი რ ი ა,

რაცა მიწვრთიხარ, იწვართე! გკადრო, უწვრთელი ვ ი რ ი ა!“

(931)

„ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მ ქ მ ნ ე ლ ი ა!

რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბ ნ ე ლ ი ა.

ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან ს ა წ უ ნ ე ლ ი ა:

უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძ ნ ე ლ ი ა!“ (1294).

4. შედეგობრივი პირველის მესამე პირი მხოლოდობითისა (ასევე ი-სუ-  
ფიქსიან სტატიკურ ზმნათა მესამე პირი) — ა-ს დაირთავს (ძველი ქარ-  
თულის -ეს-ის ნაცვლად): დაუწყი-ა — ძვ. ქართ. დაუწყ-ი-ეს... უქმნი-ა —  
ძვ. ქართ. უქმნი-ეს...

თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰ გ ო ნ ი ა (1254,4)

რა მოგეშორვე, მას აქათ სიცოცხლე მ ო მ ძ უ ლ ვ ე ბ ი ა;

თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მ ო მ ს უ რ ვ ე ბ ი ა.

შენ უჩემობა ლხინად გიჩნს, მე დია მ ი მ ჭ ი რ ვ ე ბ ი ა!

ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გ ა მ ა რ მ ე ბ ი ა! (1008).

<sup>2</sup> ვახუშტის წიგნი „საქართველოს გეოგრაფია“ იწოდება ასე: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“; ეს მიღებულია: „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“-საგან (ა-ის დაკარგვის შედეგად და ბოლოკიდური ა-ს დაცვით).

5. პირველი პირის ობიექტი მრავლობითში პრეფიქსად მხოლოდ **გვ**-ს ხმარობს: მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა! (207,4).

უბრძანა: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ გვეთნებოდეს“  
(79,4).

6. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი იყო მომდევნო მსაზღვრელი ანუ პოსტპოზიციური წყობა: არავინ შთაასხის ღვინო და ახალი თხიერთა ძველთა... არამედ ღვინო და ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან... მკ 2,22...

ამავე რიგისაა ფიქსირებული გამოთქმები: მამა-ჩემი, მამა-შენი... დია-სახლისი, მამა-სახლისი...

წინამავალი მსაზღვრელი (ანუ პრეპოზიციური წყობა) ძველ ქართულში შედარებით იშვიათი იყო (ივულისხმება სტილისტიკურად ნეიტრალური თხრობა).

„ვეფხისტყაოსანში“ ორივე წყობა გვაქვს: პრეპოზიციურიცა და პოსტპოზიციურიც. შდრ. პრეპოზ.: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“ (799,4).

და პოსტპოზ.: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი (800,4).

ანდა:

**საუბარმან** უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს (215,2)

**ლეკვი** ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია (39,4)

დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს

ნაბერწკალი (1046,3)

კვლა გაგზავნეს სხვანი კაცნი სასიძოსა **მოყვანებად**  
(516,1).

რუსთაველი ხშირად ორსავე წყობას მოიხმარს ერთსა და იმავე სტროფის ფარგლებში, პოეტური სიტყვის საჭიროებისამებრ:

ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა **ენისა?**

მაგისად ნაცვლად რამც ვიყავ ღირსი **ქებისა** თქვენისა!

სახე ხარ **მზისა** ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა,

რათგან ვერ შეგცვლის პატიჟი ეგზომთა ცრემლთა

დენისა (297).

„ღირსი თქვენისა ქებისა“ ველარ შეერითმებოდა სიტყვებს: ენისა, ზენისა, დენისა... „სახე ხარ მზისა ერთისა“ ვერ იგუებდა ტაეპში „ერთისა მზისა“-ს: რითმა დაირღვეოდა.

მსაზღვრელის წინ დასმამ გამოიწვია ნაწევრის ადგილის ცვლა: ძვ. ქართულში გვქონდა: „კაცი იგი“; „ვეფხისტყაოსანში“ ჩვეულებრივია წინდასმული ნაწევარი: იგი მზე, იგი მთვრე, იგი ყმა, იგი ნავი, იგი სახლი,



იგი ქედი, იგი სიცოცხლე და მისთანანი:

„რას დაგეჟადა ი გ ი ყმა, რა ნახა შენგან კლებული? (1167,3)

რაღაა ი გ ი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია! (36,3)

ვთქვი, თუ: ძმანო, ი გ ი კაცნი ჩვენ ღალატსა გვიდგებიან

(440,1)

ამჟამად, ასეთი წყობა გუთრულს მოგვაგონებს: „ვეფხისტყაოსანში“ კი ეს მოგვცა ძველი ქართულის პოსტპოზიციური წყობის შეცვლამ პრეპოზიციური წყობით.

ი გ ი -ნაწევარსა და ნაცვალსახელს შეიძლება შეენაცვლოს ის ი: რომე მიმიჩნს სამიჯნუროდ, რად ვამსგავსო მე მას ის ი! 1089,4... რას გეჟადა ის ი კაცი? მესწრაფების მეტის მეტად 1119,2... ტაეპის შიგნით ის ი შეიძლება გადამწერთაგან მოდიოდეს.

ზემოხსენებული მოვლენები (ა-ს მოკვეცა დედიფთონგიზაციის შედეგად, პრეპოზიციური წყობის მოჭარბება...) დამახასიათებელი ჩანს, საერთოდ XII საუკუნის საერო მწერლობის ძეგლთა ენისთვის: მეხოტბეთათვის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისათვის, აგრეთვე ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიათისათვის (XIII ს. პირველი მეოთხედი): ო ქ რ ო ს ა რ ი გ ა დ (აბდულ-მესიანი, 61)... ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მეფედ წოდებად (იქვე, 16)... ს წ ა ვ ლ ის მოძღვარი, ს ა შ ვ ე ბ ლ ის ღვარი, ს ი წ მ ი დ ის ა ცხოვრების თვალი, ჰყოფს ანულოსა ე რ ქ ვ ნ ის ა ძალი... წყალობის კარი, ტკბილად მზრახვალი (იქვე, 55):.

ხოტბათა ენაში იშვიათია ნაწევრის ხმარების შემთხვევები, თუმცა, სადაც გვაქვს, პრეპოზიციურად არის ნახმარი: ღაწვ მულღაზარობს ი გ გამღებარე (თამარ., 30)... ქმნის ი გ ნაქნარი (იქვე, გვ. 62).

\* \* \*

როგორც ითქვა, „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში ძველი ქართულის ელემენტები ჭარბობს. ამისდა მიუხედავად, „ვეფხისტყაოსნის“ ენა ძველი ქართულის ებურად არა ყდერს. ამ შთაბეჭდილებას განსაზღვრავს სიტყვათა ახალი ქართულისებური რ ი გ ი (პრეპოზიციური წყობა: მსაზღვრელი უძღვის საზღვრულს) და ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ინ ო ვ ა - ც ი ე ბ ი, რომლებიც გზას ადვილად იკაფავენ საერო მწერლობის ძეგლებში.

სალიტერატურო ენას, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ (გვ. 8-9), ორმხრივი მიმართება ახასიათებს, ორგვარი ორიენტირი აქვს: ერთი ორიენტირია თავის დროის ცოცხალი მეტყველება, მეორეა — ტ რ ა - დ ი ც ი ა, ენის ისტორიასთან მიმართება.

მეთორმეტე საუკუნის ქართული ცოცხალი მეტყველება იმდროინდ-

ლი კულტურული წრეებისა ის წყარო ჩანს, რომლის უკუფენაც სალიტერატურო ქართულში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, ახალი ქართული სალიტერატურო ენის სათავეს გვანიშნებს.

ამ ცოცხალი მეტყველების ხვედრი წონის გათვალისწინებისას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ რა როლი ენიჭება ტრადიციას.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა სრულად იყენებს ყველა შესაძლებლობას, რაც ძველი ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსს მოეპოვება, ტრადიციას სათანადო ანგარიში ეწევა.

მეტადრე ეს იგრძნობა სიტყვაწარმოებაში. შედარებითი ხარისხის წარმოქმნა, ნამყო უსრულის ვარიანტები, მიმღობის წარმოების ვარიაციები...<sup>3</sup> ცხადყოფენ, რომ რუსთაველი უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთს შესაძლებლობას, რაც ამ მხრივ ძველ ქართულ სალიტერატურო ენას გამოუმუშავებია.

ამ გარემოებას უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, თანამედროვეობა და ტრადიცია „ვეფხისტყაოსნის“ ენაში ისე არის შეხამებული, რომ ერთ-ერთის უგულვებელყოფა რუსთაველის ენის სწორად გაგებას დააბრკოლებდა, შეუძლებელს გახდიდა რუსთაველის ენისათვის სათანადო ადგილი მიგვეჩინა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში.

ჟ. „მნათობი“, 1966, №9, გვ. 70-81

<sup>3</sup> ეს საკითხები ცალკე გვაქვს განხილული. თუნდაც დებულებათა სახით სათანადო შედეგების აქ ჩამოთვლა საძნელო იქნებოდა.

## ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში

(წინასწარი მოხსენება)<sup>1</sup>

„ვეფხისტყაოსანში“ გამოსახულ იდეათა სამყარო, ადამიანის მართალი და ძლიერი განცდები ფართო გასაქანს იძლევა ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური... რეფლექსიებისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“, როგორც პოეტური წარმოების, ენის შესწავლა გულისხმობს რამდენსამე ასპექტს.

1. „ვეფხისტყაოსნის“ ენა **პოეტიკური სტილისტიკის** თვალსაზრისით: ენა, როგორც გამონათქვამის საშუალებათა ერთობლიობა — ლექსიკა-ფრაზეოლოგია, რიტმი, რითმა, სიტყვის ბგერადობა (კონსტანტინე ჭიჭინაძე: „ალიტერაცია ქართულ შაირში და «ვეფხისტყაოსნის» პრობლემა“, თბილისი, 1925 წ.).

2. „ვეფხისტყაოსნის“ ენის **ფილოლოგიური ანალიზი** კულტურული-ისტორიულ რეალიებთან დაკავშირებით.

3. „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკუთრივ ენათმეცნიერული თვალსაზრისით ანალიზი, პირველ ყოვლისა, ამ ენის **მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემის დახასიათება** და იმ ადგილის ჩვენება, რაც ამ მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ ენას უჭირავს ქართული ენის განვითარების ისტორიაში (მორფოლოგია-სინტაქსის შესაბამისად — იხ. ქვემოთ).

„ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში კომპლექსი მოვლენებისა, რაც ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი.

მოგვეპოვება ზოგი ისეთი მოვლენაც, რაც ძველი ქართულისთვის უცხოა, ახალ ქართულში კი ჩვეულებრივი გამხდარა, ანდა გარდამავალ საფეხურს წარმოგვიდგენს ძველიდან ახალი ქართულისაკენ.

---

<sup>1</sup> წაკითხულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სესიაზე 1966 წ. 6 ივლისს.

### ძველი ქართულის მორფოლოგიური და სინტაქსური ნორმების შესაბამისად:

1. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ყოველთვის სრული სახით არის წარმოდგენილი (**-მან**: ქალ მ ა ნ... ყმა მ ა ნ ... შდრ. ახ. ქართ.: ქალ**მა**... ყმა**მ**...).
2. პირთა სახელები, როგორც წესი, სახელობითისა და მოთხრობითის ნიშანს არ დაირთავს: გაუფორმებელ ფუძეს წარმოგვიდგენს (ავთანდილ = 1. ავთანდილი; 2. ავთანდილ**მან**...).
3. ემფატიკური **-ა** მიცემითში, მოქმედებითში, ნათესაობითში სისტემებში იხმარება (პირს**ა**... მზეს**ა**... გულით**ა**... პირით**ა**... გულის**ა**... პირის**ა**...).
4. თანდებულები ზ ე დ ა, შ ი ნ ა, შ ი გ ა ნ ცალკეა ნახმარი.
5. ხოლმეობითი იხმარება ორივე ჯგუფისა (ზრდიდიან.. ზარდიან...).
6. დინამიკურ ზმნათა აწმყოს III პირში **-ის** დაცულია (სცთებ ი ს... კვდებ ი ს... დადგებ ი ს...).
7. ზმნას მრავლობითის III პირში მოუდის დაბოლოება **-ეს** (ახალი ქართულის **-ენ**-ის ბადალად): იგინი მოვიდ ე ს... ჰკადრებდ ე ს... უვლიდ ე ს... ბნდებოდ ე ს.
8. **ნ**-იანი მრავლობითი ითანხმებს ზმნას რიცხვში მაშინაც, როცა რეალური ობიექტია (და მაშინაც, როცა რეალური სუბიექტია): წყლულნი შეუხვივნ**ა**... გამოუჩნდეს დიდნი კლდენი... რიდენი გშვენოდეს...
9. **ებ**-იან მრავლობითს სინტაქსური ძალა მხოლოდობითისა აქვს.
10. ქცევის **უ**-პრეფიქსი ზოგჯერ ამოღებულია (შესთვალა = შეუთვალა), ზოგჯერ — მოულოდნელად ნახმარი (მიუწერა = მისწერა)...

### ძველი ქართულის ნორმებისაგან განსხვავებით:

1. ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს სახელობითში **-მ** აღარა აქვს (მზე... დროშა... საწუთრო...): **-ამ, -ემ, -ომ, -უმ** დიფთონგები მოშლილია.
2. ბოლოუკვეც სახელებს (**ო, უ** ფუძიანებს) ემფატიკური **-ა** შერჩენილი აქვთ, რის გამოც ნათესაობითი ემსგავსება მიცემითს (ოქროსა გობითა = ოქროდსა გობითა..., მოქმედ.: უებროთა ტანითა = უებროდთა ტანითა).
3. მეშველი ზმნა არს ენკლიტიკურ **ა**-ს სახით წარმოგვიდგება: დასათმობ**ია** (ძვ. ქართ. დასათმობ არს)...
4. შედეგობრივ I-ში III პირი **-ა**-ს დაირთავს (ძვ. ქართ. **-ეს**-ის ბადალად): მომძულვებ**ია**... მომსურვებ**ია**... ამის ცალკეული შემთხვევები ძველს ქართულშიც დასტურდება.

5. პირველი პირის ობიექტი მრავლობითში პრეფიქსად მხოლოდ **გვ**-ს წარმოგვიდგენს.

სიტყვათა რიგი ფრაზაში ძველი ქართულისას შორდება: პრეპოზიცია მსაზღვრელისა გახშირებულია: სტილი სასაუბროს უახლოვდება... (სხვა ძე არ ესვა მეფესა...).

თქმულის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ მასალას.

**1. მოთხრობითს ბრუნვაში -მან სუფიქსი გვაქვს,** როგორც ხ მო ვ ნ ე ბ ი ს, ისე თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ს შემდეგ (პირთა სახელების გარდა, მათ შესახებ იხ. ქვემოთ): მ ა მ ა მ ა ნ... ყ მ ა მ ა ნ... მ ო ნ ა მ ა ნ... მ ე ფ ე მ ა ნ... დ დ ე მ ა ნ... დ ა ნ ა მ ა ნ... კ ო ნ ა მ ა ნ... წ ო ნ ა მ ა ნ... ქ ა ლ მ ა ნ... დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ... ვ ა ზ ი რ მ ა ნ... კ ა ც მ ა ნ... ს ი ს - ხ ლ მ ა ნ... ც რ ე მ ლ მ ა ნ...

მ ა მ ა მ ა ნ: მ ა მ ა მ ა ნ გვერდსა დაისვა, აკოცა ნება-ნებასა 106,3

ყ მ ა მ ა ნ: ქალსა ყ მ ა მ ა ნ მოუსმინა: დაჰმორჩილდა, დაჰრთო ნება 263,1

მოახსენა ყ მ ა მ ა ნ: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე...“ 134,1

ყ მ ა მ ა ნ უთხრა: მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად 162,1

მ ო ნ ა მ ა ნ: რა მ ო ნ ა მ ა ნ მოისმინა, გაუკვირდა, შეეზარა... 160,1

მ ე ფ ე მ ა ნ: უკუდგეს და თაყვანი სცეს მ ე ფ ე მ ა ნ და მისთა სპათა 46,1

რა ვაზირი არ შევიდა, კვლა მ ე ფ ე მ ა ნ კაცი გზავნის 818, 1

დ დ ე მ ა ნ: ამა დ დ ე მ ა ნ დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა 298,1

წ ო ნ ა მ ა ნ... მ ო ნ ა მ ა ნ... კ ო ნ ა მ ა ნ...

სხვაგან ქრის მისი გონება, მისმან თავისა წ ო ნ ა მ ა ნ !

ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მ ო ნ ა მ ა ნ .

არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,

არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კ ო ნ ა მ ა ნ 89

ბ ა ნ ა მ ა ნ... შ ა ო ს ა ნ ა მ ა ნ... დ ა ნ ა მ ა ნ...:

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბ ა ნ ა მ ა ნ;

დიღხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შ ა ო ს ა ნ ა მ ა ნ;

შეხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან,

დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დ ა ნ ა მ ა ნ. 266.

ქ ა ლ მ ა ნ: ქ ა ლ მ ა ნ ჰკადრა: „ხელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს...“ 107,1

ქ ა ლ მ ა ნ უბრძანა: „ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა...“ 125,1

დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ: დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ თქვა: „ხვარაზმშა“ მეფეა, მო-რჭმით მჯდომელი“ 513,1

ვ ა ზ ი რ მ ა ნ: კვლა მოახსენა ვ ა ზ ი რ მ ა ნ სიტყვა ნაგუშინდელევი 816,1

ვ ა ზ ი რ მ ა ნ უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს, შენია!“ 742,1

სოფელმან: თქვის: „ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა“  
179,3

სისხლმან... ცრემლმან...:

სისხლმან და ცრემლმან გარევეთ ლაწვი ქმნის ღარად და  
ღარად 714,1

ახალმან ფიფქმან:

ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა  
179,1

მისმან შუქმან:

მისმან შუქმან გაანათლა სამყარო და ხმელთა კიდე 109, 2  
საწუთრომან... მშობელმან... მისანდობელმან... მლო-  
ბელმან...

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,  
ღარიბი მოგვკდე ღარიბად, ვერ დამიტროს მშობელმან,  
ველარ შემსუღრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,  
მუნ შემიწყალოს თქვენმავე (!) გულმან მოწყალებ მლო-  
ბელმან 802

„თქვენმავე“ მოდერნიზებული ჩანს (გადამწერთაგან): „თქვენმანვე“  
იყო მოსალოდნელი...

კაცმან: კაცმან ვერ ასწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება  
295,1.

2. ძველი ქართულის ადრინდელ ძეგლებში პირთა სახელების  
ორი ბრუნვა შეიძლება და გაუფორმებლად გვქონოდა; სახელობითი  
და მოთხრობითი ფუძის სახით წარმოგვიდგებოდა (აბრამ შვა ისააკ = აბ-  
რამმან შვა ისააკი). მაგრამ უკვე მეცხრე საუკუნეში ასეთი ფაქტები ნა-  
შთების სახით თუ გვაქვს, პირთა სახელები სახელობითისა და მოთხრობი-  
თის ნიშნებს დაირთავენ, მარკირებული ბრუნვებია.

მით უფრო მოულოდნელია, როცა „ვეფხისტყაოსანში“ პირთა სახე-  
ლები — ავთანდილ, ტარიელ, როსტევეან, სარიდან, ფარ-  
სადან, ნურადინ-ფრიდონ, თინათინ, ნესტან-დარე-  
ჯან, დავარ (და ხშირად: ასმათ) — **სახელობითის -ი-სა და მო-**  
**თხრობითის -მან-ს არ დაირთავენ...** ამაში სტილიზაციის შედეგი  
უნდა გვქონდეს: ძველი ნორმები ხელოვნურადაა აღდგენილი. მეთორმეტე  
საუკუნეში სამწერლო ენა — საეკლესიო ძეგლებისა ცკი — პირთა სახე-  
ლებს ხსენებულ ორ ბრუნვაში გაუფორმებლად აღარ ხმარობდა. ზეპირ-  
მეტყველება — მით უფრო.

გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლალად მავალი 154,1:

ავთანდილ — სახელობ., სუბიექტი.

- ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა, ტყვე, საკნით ნააზატები 267,1:  
ავთანდილ — სახელობ., სუბიექტი.
- ავთანდილ ქალმან დამალა ქვაბს დამალვითა მალითა 265,1:  
ავთანდილ — სახელობ., ობიექტი.
- ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა 178,1:  
ავთანდილ — მოთხრობ., სუბიექტი.
- აქა მხეც-ქმნილი ტარელ ტირს, ჭირი ეათასების 497,1:  
ტარიელ — სახელობ., სუბიექტი.
- ტარიელ უთხრა: „მე შენი გული აწ მემხურვალეების“ 299,1:  
ტარიელ — მოთხრობ., სუბიექტი.
- იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი 32,1
- როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი 146,4
- სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი 312,2
- ფარსადან შექმნა ზეიმი ამა ამბისა მცნობელმან 315,1
- ნურადინ - ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი 600,2
- ესეა მონა შერმადინ, ზემოთცა სახელდებული 150,1
- მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს 168,1
- მისი სახელი თინათინ, — არს ესე საცოდნარია! 34,1
- თინათინ ადგა, მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა 106,1
- მას ქალსა ნესტან - დარეჯან იყო სახელად ხმობილი 327,1
- დავარ მოსთქმიდა სიტყვითა, რომელნი არა მსმენოდეს 577,3
- დავარ თქვა: მთქმელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და! 582,2
- ასმათ გამომყვა, წამოვე, ფარდაგი გამოვიარე 396,1
- ასმათ ლხინსა მიქადებდა, ჩავიარე შიგან ბალი 397,1
- ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთაგან ცრემლნი დალამნეს 943,2
- ასმათ უთხრა: „ცრემლით, ლომო, მაგა ცეცხლსა რა ერგების!“ 301,1
- მაგრამ ასმათ -სახელს შეიძლება სახელობითის -ი და მოთხრობითის -მან დაერთოს:
- ქალი ჰყვა ერთსა მონასა, ვცანცა, თუ მოღმა ვინ არე:  
თავ-გაგლეჯილი ასმათი, პირს სისხლი ჩამომდინარე 568, 2-3
- რა ასმათმან დაინახა, ცნობად მოვიდა ტარია 346,1
- აქ ჩვეულებრივი გაფორმება აღმოაჩნდა სახელს: ბუნებრივი ფორმები გამოვლინდა სტილიზებულ ნორმათა ნაცვლად.
- ტარიელ -სახელიც დასტურდება ერთს შემთხვევაში — ი-ნიშნით:  
ტარიელი: ცნა მეფემან, ტარიელი მარტო მოვა, მოჰხრის ტანსა 1514,2.

3. **ემფატიკური -ა**, როგორც წესი, **დაერთვის მიცემითს, მოქმედებითსა და ნათესაობითს**; ამ უკანასკნელს მაშინაც, როცა იგი მსაზღვრე-

ლია და საზღვრულს წინ უსწრებს:

იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოების... 259,1

ეგე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო! 241,2

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,

ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი,

ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,

მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ უხშირონი 123

„მოშლით“, „გრძლად“ ზმნისართული გაგებისა ჩანს („როგორ?“).

ასევე: „მოედანს“:

მერმე ვიბურთი მოედანს, მიწდორით შემოქცეულმან 333,2

„მიწდორით“ (= მიწდვრიდან) დაშორებითია.

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული 522,1

ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა,

ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა, გაგონებასა 880, 1-2

გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს 904,2

ავთანდილ უთხრა: „ვლამოდი მართ მაგისისა თქმევასა,

აწ რათვან გითქვამს, პასუხსა გკადრებ და ნუ მეჭვ თნევასა,

სჯობს ასმათისა არ ლევა მაგა სამხრისა ლევასა,

ამად არ გიქებ საქმისა უარესისა რჩევასა“ 897.

მაგრამ ემფატიკური -ა იმავე ნათესაობითს შეიძლება არ აღმოაჩნდეს:

ამართის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან 266,1

ანდა: ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამართის კარისა  
498,1

ანდა: აღარ მივუშვი, ვაკოცე. ქმნაღლა თაყვანის ცემისად,

ხელი მოვჰკიდე. დავისვი ახლოს ტახტისა ჩემისად 491, 2-3

არა გვაქვს მოსალოდნელი „ამართისა ფერად“, „სამართისა კარისა“;

„თაყვანისა ცემისად“... არა იმიტომ, რომ ემფატიკური -ა-ნიანი ფორმები ეუცხოება ავტორს, ასეთი ფორმები დაარღვევდა რიტმს, **პოეტური სიტყვის** საჭიროება განსაზღვრავს გრამატიკულ ფორმათა **ვარიანტების შერჩევას**. ამის მაგალითები სხვა შემთხვევებშიც არაიშვიათია.

ასევე მოქმედებითი — სარიტმო სიტყვაში ჩვეულებრივ -ა ნაწილაკი-ანია:

რა ტყენი გავლნა მან ყმამან, მოსილმან ვეფხის ტყავითა,

ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა,

ატირდა მაღლად ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა,

იგი ყმა ცხენსა გარდახდა, ყელსა მოეჭდო მკლავითა 221.

მაგრამ შეიძლება ლექსმა მოითხოვოს უამნაწილაკოდ:

მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქენებით:

ჩემმან შემდეგმან ტაიჭი მისი მით აქოხსენებით:



ამან მართ ოდენ მორევენა გვითხრა, ვუაღეთ ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ,  
მიგჰმართეთ: იგი აგრეთვე წყნარად მივა და შ ვ ე ნ ე ბ ი თ 206.

4. **ზედა, შინა, შიგან** ცალკეა, სათანადო ბრუნვის ფორმა სრული სახისაა, ე. ი. ძველი ქართულის წესს მისდევს და ჯერ კიდევ ზმნისართია: შვევ, დავჯდე ტ ა ხ ტ ს ა ზ ე დ ა, ქალი მოდგა ნოხთა პირსა 373,1  
ესე არაკი მართალი ჩინს ქ ვ ა ს ა ზ ე დ ა სწერია 854,1  
ქალი მარტო ქ ვ ა ბ ს ა შ ი ნ ა ტირს მტირალი, ცრემლ-ნაწთომი 999,1

კ ო კ ა ს ა შ ი გ ა ნ რაცა დგას, იგივე წარმოდინდების 1094,4.

**-მდის** შერწყმულია მიმართულებითს ბრუნვასთან, წინამავალი **-დ** მიმართულებითისა აღარ ჩანს:

მე თუ დ რ ო მ დ ი ს არ მოვიდე, გლოვა გმართებს, არ სიცილი 169,4

მე წ ე ლ ი წ დ ა მ დ ი ს ბნელსა ვჯე საწუთრო-გაცუდებული 335,1  
დღედ ს ი კ ვ დ ი ლ ა მ დ ი ს შენიცა თავი არ მახლებინე! 562,4  
ძ ი ლ - პ ი რ ა მ დ ი ს სიხარულსა სიხარული ჰგვანდა ვერა 488,4

**-გან, -თვის** თანდებულებია და სახელის ბრუნვასთან შერწყმულია: ჩემგან, შენგან... ჩემთვის, შენთვის...

ვეცდებოდი, არა მცალდა ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ თავის კრძალვად 369,1  
გგონია, ჩ ე მ გ ა ნ წინაშე მ ა გ ი ს თ ვ ი ს მომავალობა:

მაგრამ აწ მიდებს იმედსა შე ნ გ ა ნ ცდისაღა მალობა 374, 2-3

ადგა, მითხრა: „თქვენს კრძალვასა ჩ ე მ გ ა ნ ცნობა უბნევია...“

ამან წიგნმან გაგაგონოს, ჩ ე მ თ ვ ი ს რაცა უთქმევია“ 375, 1,4

მ ი ს გ ა ნ გასწორდეს ყოველი ს უ ს ტ ი და ძალ-გულოვანი 800,2

ასევე **რა**-ნაცვალსახელთაგან: რაშიგან:

ვა, სოფელო, რ ა შ ი გ ა ნ ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! 951,1

ჭ ი რ ს ა შ ი გ ა ნ გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა... 875,3

შდრ. უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შ ი გ ა ნ ჭ ა ს ა 255,3

„შიგან“ თანდებული რომ იყოს, წინ დასმა შეუძლებელი იქნებოდა (შდრ. „სევდისაგან“ — „გან სევდისა“ შეუძლებელია).

5. **ხოლმეობითის ხმარების მხრივ ძველი ქართულისებური ვითარება გვაქვს:**

გულსა უ თ ხ რ ი ს თუ: „დათმეო“, ამად არ დია ბნდებოდა 180,2

ულონიოდ მართალ იყვენეს, რომელთაცა ქაჯად თ ქ ვ ი ა ნ 192,3

ეგრეცა ჭამა მ ო უ ნ დ ი ს ადამის ტომთა წესითა:

ისრითა მ ო კ ლ ი ს ნადირი, როსტომის მკლავ-უგრძესითა 195, 2-3

ზოგჯერ კომქს ჯდის, ზოგჯერ ბაღას ჩამოვიდის, რადგის  
ჩრდილი 330,2

ვისცა ვუჩვენო, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად  
461,2

მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან,  
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან,  
შევვიდი, შევქმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან 333, 1-3  
რანახიან ერთმანერთი, არ-შეხედვა ვერ დათმია 573,4  
ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლევდია მტერნი  
ზაგსა 317,3

ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი,  
ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი 312,3-4  
მისი, მზესაცა რიდება ჰქონდის ნახვისა ვისისა 384,2  
...რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდია,  
ისმენდია, გაჰკვირდია, რა ატირდის, ატირდია,  
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდია 967,4  
...ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდია,  
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნებდია, მწვრთიდია;  
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდია  
ვინცა მჭვრეტლიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდია 1394  
... თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის თავს გამოსცდიდია,  
ჯაჭვ-მუზარადსა, აბჯარსა მართ ვერა ვერ მოჰკიდია,  
ხრმალი რკინისა მოჰკრია, ვით ბამბის მკედსა სჭრიდია...  
1370, 1-3

...მუნით წავიდეს, იარეს, არ თურე ხანსა ზმიდია,  
მიჰხვდეს ტაროსსა ამოსა, ნიადაგ ამოდ ვლიდია,  
შეჰფრფინვიდიან ავთანდილს, ქებასა შეასხმიდია,  
მას მარგალიტსა, მას ყმასა კბილთავე ფერსა, სძღვნიდია  
1060

ვისთა შუქთაგან უკუნსა ჰგვანდის სინათლე დღისისა 384,4  
...ამას მოსთქმდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის,  
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის,  
რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსლვა ეამებოდის.  
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის  
838

...ღამე ალხენდის, დღესჯიდის, ელის ჩასვლასა მზისასა,  
რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჰავლსა  
წყლისასა,  
მას თანა-რთვიდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,

კვლა გაემართის, ისწრაფდის წასლვასა მისვე გზისასა 840  
 ...მარტო მოსთქმის, ტიროდის ტანად ალვისა ხიანი,  
 მინდორს თხამოკლის, სადაცა ადგილი დაჰხვდის კლდიანი,  
 შეწვის, ჰამის და წავიდის პირ-მზე, გულ-მარხიანი... 841,  
 1-3

**6. დინამიკურ გარდაუვალ -ი-ფუძიან ზმნებს მესამე პირის ნიშნად მხოლოდითში -ს** მოუდის ისევე, როგორც ძველ ქართულში:

მიხვალ, დაგხვდები თინათინ, ანათებს დღესა მზიანსა...  
 იგონებს წამ-წამ, მიჰყვები ტყის პირსა შამბნარ-წყლიანსა 191,  
 3-4

მაგრა ვითითქმის, ვით გახდა, ვითა ვიამბობ ცნობილსა,  
 ენა დაშვრების, გაცვთების, გულსა შეელმის ლმობილ-  
 სა 849, 2-3

შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად 1297,1  
 სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არმოგეწერების,  
 ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჭერების;  
 ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მასეტერების;  
 აწკვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების 1298  
 ...იმა მოყმისა ამბავი არსადა არიპობების,  
 თვით თუ არ ვითხრობს, არითქმის, არვისგან დაიჭერების,  
 მოილოდინე, მოვიდეს, რაზომცა დაგეყოვნების,  
 დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუითოვნების 259  
 ...იტყვის, თუ: „ამა სიტყვათა მას ფერი შეეცვალებების,  
 ვისთვისმე ცხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალეების“.  
 კვლა უთხრა: „დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალეების;  
 ესეცა იცი, სიკვდილსა თვით ეძებს, არეკრძალეების 249  
 ... ასმათ უთხრა: „ცრემლით, ლომო, მაგა ცეცხლსა რაერგების!  
 მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათგან ეგრე არეგების,  
 ვხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების,  
 ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე დაედების 301  
 ნუ მკითხავ, ქება რა გკადრო ჩემგან ვითგაგეგონების?  
 მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების,  
 თვალნი მჭვრეტელთა, ვით მზისა ციავსა, დაედონების,  
 ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწია შეიკონების 699  
 ხათუნმან უთხრა: „ჰე, ლომო, ცეცხლი აწუფრო ცხელდებას,  
 მოეშორებების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდებას,  
 ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა, ხელი ეგრეცა ხელდებას,  
 თუ ქაჭნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძნელდებას 1313

7. **მრავლობითი რიცხვის მესამე პირში** თხრობითი კილოს **ნამყოფსრულსა** და **ნამყო ძირითადს -ეს-** ბოლოსართი მოუდის, — ძველი ქართულის ნორმათა შესაბამისად:

...დ ა რ ბ ო დ ე ს და სხვაგნით სხვათა მოამბეთა მ ო ა ს ხ მ ი დ ე ს...  
 მისნი სპანი გულ-მოკლულნი ცრემლსა ცხელსა გარდმოჰყრიდეს 174, 2,4  
 მათ ა კ ო ც ე ს ერთმანერთსა, უცხოობით არ და პ რ ი დ ე ს,  
 ვარდსა ხ ლ ე რ დ ე ს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გ ა მ ო ს ჭ ვ ი რ დ ე ს,  
 ყელი ყელსა გ ა რ და ა ა ჭ ვ დ ე ს, ერთმანერთსა ა უ ტ ი რ დ ე ს,  
 ქარვად შ ე ქ მ ე ს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღ ი რ დ ე ს 282  
 ქალი ადგა, წამოვიდა, მე ლახვართა გულსა მ რ ი დ ე ს,  
 ლხინმან ბნელი განმინათლა, და შ რ ტ ე ს ცეცხლნი რომე  
 მ წ ვ ი დ ე ს,

შევე, დავჯე ნადიმადვე, ჩემნი სწორნი სადა ს მ ი დ ე ს,  
 მხიარულმან საბოძვარი გავეც, ზამი გ ა ა დ ი დ ე ს 386

იგი რა ნ ა ხ ე ს მესროლთა, სროლასა მ ო ე შ ლ ე ბ ო დ ე ს,  
 ალყა და შ ა ლ ე ს, მ ო ვ ი დ ე ს, მ ო ე ხ ვ ე ო დ ე ს, ბ ნ დ ე ბ ო დ ე ს,  
 იქით და აქათ უ ვ ლ ი დ ე ს, ზოგნი უკანა ჰ ყ ვ ე ბ ო დ ე ს,  
 ვერცა ჰ კ ა დ რ ე ბ დ ე ს, „ვინ ხარო? ვერცა რას ე უ ბ ნ ე ბ ო დ ე ს  
 981

გახსოვს, ოდეს „ჰაი“ ჰზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ბ ა ნ დ ე ს,  
 მკურნალნი და დასტაქარნი წამალსაყე მ ო გ ი ტ ა ნ დ ე ს?

მამაცისა სიცრუესა ნეტარ სხვანი რამცა ჰ გ ვ ა ნ დ ე ს!... 526, 1-3

კვლა სხვანი დიდნი ლაშქარნი უკანა მ ო მ ე წ ე ო დ ე ს,  
 იქით და აქათ მ ო მ ი ხ დ ე ს, ერთგნით ვერ მ ო მ ე რ ე ო დ ე ს,  
 არ მ ო მ წ უ რ ვ ო დ ე ს წინანი, ზურგით მ ე ს რ ო დ ე ს მე ო დ ე ს  
 ხრმალსა მივენდევ. ნამიტყდა, ისარნი და მ ე ლ ე ო დ ე ს 606.

8. **ძველ ქართულში -ნ-იანი მრავლობითის სახელობითი ყოველ-თვის ითანხმებდა ზმნას რიცხვში იმისდა მიუხედავად,** თუ რას აღნიშნავდა ეს სახელობითი, რეალურ ობიექტს თუ რეალურ სუბიექტს; ასევეა „ვეფხისტყაოსანში“.

#### **გარდამავალი ზმნები:**

ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი :

იტყვის „ღმერთო, ს ა მ ა რ თ ა ლ ნ ი შენნი ჩემთვის რად ა მ რ უ დ ე ნ?  
 მე ეზომნი ს ი ა რ უ ლ ნ ი კიდე რად, გლახ, გ ა მ ი ც უ დ ე ნ?  
 გულით ჩემით ს ი ხ ა რ უ ლ ნ ი ა ლ ჰ ფ ხ ვ რ ე ნ, ჭირნი დააბუდენ,  
 დღეთა ჩემთა ც რ ე მ ლ ნ ი ჩემნი ვერა ოდეს და ვ ი ყ უ დ ე ნ!“ 189  
 ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მ ე ს რ ო ლ ნ ი და ვ ა წ ბ ი ლ ე ნ ი თ,

მით ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიდე დ ა ვ ე ც ი ლ ე ნ ი თ ,  
 „მე უკეთ მოვჰკლავ, მე გჯობო“, სიტყვანი ვ ა ვ ა ქ ი ლ ე ნ ი თ ,  
 ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვ ი თ ა კ ი ლ ე ნ ი თ 201  
 ყმა მტირალი შეებრაღა, ამაღ ც ხ ე ლ ნ ი ც რ ე მ ლ ნ ი ღ ვ ა რ ნ ა ,  
 მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი ა უ ბ ა რ ნ ა .  
 ყმამან ცნა, თუ: „გ ო ნ ე ბ ა ნ ი ჩ ქ ა რ ნ ი ჩემთვის დ ა ა წ ყ ნ ა რ ნ ა“.  
 ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მ უ ხ ლ ნ ი მ ი უ ყ ა რ ნ ა 245  
 „ასამათ ვ ა მ ნ ი გ ა ა მ რ ა ვ ლ ნ ა , ცრემლმან მისმან ქვანი  
 ხ ვ რ ი ტ ნ ა ,  
 მერმე სულად მოაქცია, ც ე ც ხ ლ ნ ი წყლითა დ ა უ შ რ ი ტ ნ ა ...  
 499, 2-3  
 დილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მ ხ ა რ ნ ი ა მ ო ყ ა რ ნ ა ,  
 ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან უ უ ქ ნ ი არ ა დ ა რ ნ ა ,  
 ვერ გ ა ა ხ ვ ნ ა სასაუბროდ მან ბ ა გ ე ნ ი , გ ა ა მ ყ ა რ ნ ა ,  
 მერმე სულთქნა, დაიზახნა, ც რ ე მ ლ ნ ი ცხელნი გ ა დ რ მ ო ყ ა რ ნ ა  
 308  
 ...კ ლ ი ტ ე ნ ი საჭურჭლეთანი მ ო მ ა რ თ ვ ნ ე ს დაუმალავად 459,2  
 (მათ მე კლიტენი მომართვნეს).

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II:

თუ არ დავბრუნდე, საძებრად დ ა ვ ყ ვ ნ ე სხვანიცა ხანანი,  
 რომელსა ვეძებ, ვერა ვ ც ნ ნ ე ა მ ბ ა ვ ნ ი მე მისთანანი,  
 დრო გარდაუწყდეს შერმადინს, შე ჰ რ ჩ ე ს ლაწვისა ბ ა ნ ა ნ ი ,  
 მივიდეს, ჰ კ ა დ რ ნ ე ს მეფესა ს ა ქ მ ე ნ ი დასაგვანანი! 187

**გარდაუვალი ზმნები:**

გაძრცვილსა ტანსა ე მ ო ს ნ ე ს ყ ა რ ყ უ მ ნ ი უსაპირონი 123,1  
 მას ყარყუმი ემოსა: მას ყარყუმნი ემოსნეს.  
 მე ვისგან მ ქ ო ნ დ ე ს პ ა ტ ი ყ ნ ი , აწ მასვე მოუღხენიან 151,4  
 მე პატიყი მქონდა: მე პატიყნი მქონდეს.  
 გ ვ ყ ვ ე ს ლ ა შ ქ ა რ ნ ი უთვალავნი, წყლისა პირსა გარდავხედით  
 200,2  
 ჩვენ ლაშქარი გცვა: ჩვენ ლაშქარნი გცვეს.  
 მათ თვალთა ც რ ე მ ლ ნ ი ს დ ი ო დ ე ს , მინდორთა მოსალამენი  
 218,4  
 მათ ცრემლი სდიოდა: მათ ცრემლნი სდიოდეს.  
 დღისით ვლეს და საღამო-ყამ გ ა მ ო უ ჩ ნ დ ე ს დიდნი კლდენი  
 219,1  
 მათ გამოუჩნდა კლდე: მათ კლდენი გამოუჩნდეს.

ყმამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩ ა გ ვ ი ც ვ ი ვ დ ე ს 222,1  
ჩვენ ხიდი ჩაგვიცვივდა: ჩვენ ხიდნი ჩაგვიცვივდეს.  
ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს  
454,1

მას დიდება ეყოფოდა: მას დიდებანი ეყოფოდეს.  
ჯეროთ ქალსა ქაჭნი არ ახლვან, მაგრა სპა უამრავია 1320,4

ქალსა ქაჭი ახლავს: ქალსა ქაჭნი ახლვან.  
უფერო-ქმნილნი მინახვან ვარდნი და ისი იანი... 233,2

მე ვარდი მინახავს: მე ვარდნი მინახვან.

მიცემითი ბრუნვის მრავლობითს (III, II ბ.) ზმნა არ ეთანხმება, რეა-  
ლურ სუბიექტსაც რომ აღნიშნავდეს ეს მიცემითი (სწორედ ისე, როგორც  
ძველ ქართულში):

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა... (84,1)

ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა... 85,4

ნახეს მათ და მოუნდა (მათ) ნახვა!

გასაღდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა-ხშირი:

გაადვილდა, აქანამდის გარდესა და რაცა ჭირი 136, 2-3

მათ გარდესადა ჭირი!

დგეს მონანი ნატირებნი, დაეგლიჯა თმა და წვერი 828, 2

მათ დაეგლიჯა თმა!

9. **-ებ-**იანი მრავლობითი აქ გაცილებით უფრო ხშირია, ვინემ ძველ  
ქართულში, მაგრამ სინტაქსური ძალა, როგორც წესი, ისეთივე აქვს, რო-  
გორც ძველ ქართულში: ზმნა მას არ ეთანხმება არც მაშინ, როცა ეს  
მრავლობითი რეალური ობიექტია და — მეტწილად — არც მაშინ, როცა  
იგი რეალური სუბიექტია (მსაზღვრელიც არ ეთანხმება, გარდა იმ შე-  
მთხვევისა, როცა მოსდევს საზღვრულს):

მონებიცა მოიშორვა, თავი გაითავისწინა 171,2

ვითა ქაჭი დაგვემალე, მონებიცა დავაფეთეთ 288,3

შეჯდა, ქორნი მოუტივნა, დურაჯები დაინაბა 367,3

უსენ ტაბაკსა დააწყო მარგალიტი და ლალები 1164,1

სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები 1412,1

აქა მოსლვითა გაყმდების, კაციმცა იყო ბერები

სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არნ სიმღერები 1066, 1-2

მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია 285,3

სიკვდილსა გიჯობს სიცოცხლე, დაგვიდგამს ვერ ქვიტკირები  
426,3

იტყვის: „დავკარგე ბროლი და სადა ჰრთავს ბროლსა მინებო“  
697,2

შენად შეყრამდის პატიჟთა ჩემთა ვერ იტყვის ენები! 822,4  
 შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები,  
 ნუ თუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიადვილოს ჭირები  
 824, 2-3  
 გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავისთავ ჰქონდა ფარები  
 1412,4  
 კვლა შემომფიცა: „არ ვიტყვი, თავსაცა მეცეს ხრმალები!  
 1164,4  
 მას პაემნადის მოვიციდი, რაზომცა გამდის რუები 852,2  
 (შდრ. 6-იან მრავლობითთან შეთანხმებას აქვე ზევით, გვ. 8)  
 შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,  
 შიგან მელნისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები,  
 მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები,  
 შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები 1146  
 შდრ. თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავ-მაგ-  
 რები 286,2

მსაზღვრელ-საზღვრული:

თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველა იგმირთა დარები 1412,2  
 ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყველაკაი ხასები 1243,2...  
 შდრ. ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზები 285,1.

10. ზმნის ფუძისეული პრეფიქსის ხმარება-ამოღების თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი მაგალითები, როგორცაა: „შესთვალა“ (=შე-უ-თვა-ლა), „სძღვნის“ (=უძღვნის), „დაჰვიწყდა“ (=და-ა-ვიწყდა), „დაჰრიდა“ (=და-ა-რიდა), „მივსწივე მონა“ (=მივ-აწივე, დავაწივე მონა) და მისთანანი, ერთი მხრით, „მივ-უწერე“ (=მივსწერე) რიგის ფორმები, მეორე მხრით.

პირველადია ხმოვნისანი ვარიანტები: შესთვალა ← შეუთვალა, სძღვნის ← უძღვნის, დაჰვიწყდა ← დაავიწყდა... ეს ხმოვნისანი ვარიანტებია სალიტერატურო ქართულისათვის ჩვეულებრივი (მათ „ვეფხისტყაოსანშიც“ ვხვდებით ზოგ შემთხვევაში: „შეუთვალა“, „უძღვნა“...). ამისდა კვალად სალიტერატურო ენის „მივსწერე“ ← „მივუწერე“.

შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია...“ 142,2

შევსთვალე: „რამაზ მეფეო, ვცან შენი დანაპირები...“ 426,2

შევსთვალე: ფიცხლად წამოდი, მოგრაგნეთ მთა და გორია...“  
 437,4

შევსთვალე: „დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ გაწყენს, რომელი?“  
 594,4

შდრ. მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა“ 563,1  
 მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღვნიდეს იეფოსა 148,2  
 მას მარგალიტსა, მას ყმასა კბილთავე ფერსა სძღვნიდიან 1060,4  
 დღეს რომელი უსენ შესძღვნა, ქალი, მსგავსი მზეთა ორთა 1172,2  
 მათ მითხრეს: „უსენ შემოსძღვნა პირი ელვათა მკრთომელი“  
 1173,2

დღე მოვიდა ნავროზობა, დედოფალსა ძღვენი ვსძღვენიოთ 1124,1  
 მე შემომძღვენეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე საშინელი 422,1  
 შდრ. დედოფალსა ძღვენსა ვუძღვნით, მდიდარი თუ გლახა ვინა-  
 1123,3

აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელია 339,1  
 დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა 1196,2:  
 დაჰვიწყდა = დაავიწყდა.

ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა გორთა 1172,4:  
 დამტყდეს = დამატყდეს

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს 282,1  
 ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს 306,2  
 გამოჰრიდა ვეფხმან გული, დედათამცა გამოჰრიდნეს 909,3  
 გიხმეთ, არ მოხველ, ლაშქარნი უკანა გამოგკიდენით 287,3:

გამოგკიდენით = გამოგაკიდენით  
 რა მონანი შესაპყრობლად მომწიენით, გაჰუღვანდით 293,3:  
 მომწიენით = მომაწიენით

მონა მივსწივე, მისისა შეყრისა ვიყავ მნდომელი 594,3:  
 მოვსწივე = „მივაწივე“, დავაწივე  
 ხელი გამიხსნა, შემომკრა მან სახვეველი ლბილია 465,4:  
 შემომკრა = შემომაკრა

ხარაჯა დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია 471,1:  
 დასდვეს = დაადვეს, შეჰკვეთეს = შეუკვეთეს  
 მით რომე დამხსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია 242,2:  
 შემშრების = შემაშრების

ავთანდილს ჰვრეტს გაკვირვებით, მალვით ხესა მოეფარა 228,3  
 შდრ. ვუჰვრით, მისთა ელვათა შექნი ძლივ გავიცადენით 205,1  
 მან უჭირველად დახოცნა, ომი არ მისჭირდებოდსა 994,2:

მისჭირდებოდა = ახ. ქართ. გაუჭირდებოდა  
 მაგრა რა ვქნა, რავგარ გავძლო, მეტის-მეტი რამიმჭირდეს 904,3:  
 მიმჭირდეს = გამიჭირდეს

„ნეტარ რა უძიძის, რასჭირსო?“ შექმნეს ამისი ცილობა 56,4:  
 სჭირს = უჭირს



ზოგთა მხარ-თედო დაჰლეწა და ზოგთა სული ჰხდებოდა 994,3:

დაჰლეწა = დაულეწა

პრეფიქსისეული ხმოვნის ამოღება არა გვგონია იმას ნიშნავდეს, რომ რუსთაველი თავისებურ დიალექტურ ვარიანტებს მისდევდეს; სალიტერატურო ქართულის ერთ-ერთი შესაძლებლობაა, მასთან მეტად საინტერესო, ასეთი ხმოვნის ამოღება; და ამ შესაძლებლობას ავტორი მოიხმარს, როცა ეს საშუალება ლექსს მოერგება... ხმოვნიანი პრეფიქსიც ამიტომვე მეტწილად რჩება. მეტი კიდევ: ხმოვანი იქაც შეიძლება აღუდგინოს სიტყვას, სადაც უხმოვნო ვარიანტი ბატონობს (მიუწერა...).

ცალკე უნდა აღინიშნოს შემდეგი:

სალიტერატურო ქართულის ნაირგვარი შესაძლებლობანი „ვეფხისტყაოსანში“ მდიდრად არის წარმოდგენილი და თავისუფლად ჩაქსოვილია ლექსში:

მღრ.: შედარების წარმოება: უარე, უამე, უმართლე... და: უგრძესი, უმტკიცესი...

**-დ-** სუფიქსიანი ვნებითი (გაუმარჯვდა) და: **-ი-** პრეფიქსიანი: დაიფასების (497,3)...

უპრეფიქსო: მნუკეც (234,3) და პრეფიქსიანი: მენუკეც 235,1 — სხვადასხვა რიგის წარმოება...

**-ოდ-** სუფიქსიანი შედეგობრივი მეორე და კავშირებითი მესამე (გამარჯვებოდეს, ჰვნებოდეს, ჰხლებოდეს, სწებებოდეს 1052, 1-4) და: მეშველზმნიანი წარმოება (-იყო, -იყოს: ვარგიყოს)...

ნამყო უსრული **-ვი-ი-დ-** სუფიქსიანი (ჰკითხვიდა) და **-ევ-დ-** სუფიქსიანი (ჰკითხევდა)...

ძველ ქართულში ერთიც გვაქვს და მეორეც: დიალექტებში მათი ხმარება გარჩეულია: ზოგან ერთია ხმარებაში, სხვან — მეორე.

„ვეფხისტყაოსანში“ **-ვიდ-** წარმოება უფრო ხშირია, მეტადრე სარიტმოსიტყვებში, მაგრამ **-ევდ-** წარმოებაც არაა იშვიათი (არასარიტმოსიტყვებში);

სარიტმოდ **-ვიდ-**: მოურთვიდა, სრვიდა, უზრახვიდა (100, 2-4), გვწვიდეს (222,2), მცვიდიან, იკითხვიდიან, ჩმახვიდიან, მწვიდიან (351), მწვიდეს, სმიდეს (386, 2-3), მოზიდვიდესა (430,3).

არასარიტმოდ: მკლვიდეს (133,4), ზრვიდეს (168,3), მოჰფარვიდა (341,4), იფარვიდა (409,4), მიდაღვიდეს (591,3), მოსთქმიდეს (827), მოსთქმიდის (838,1)...

**-ევდ-**: ჰკითხევდის (180,4), ვხედევდით (331,2), ვხედევდი (343,3), სცევდიან (560,4), მომკლევდეს (582,3)...

სარიტმოსიტყვებში **-ვი-დ-** ჭარბობს, არასარიტმოში **-ვი-დ-** და **-ევ-დ-**

თითქმის თანაბრად ხშირია...

ნაირგვარ შესაძლებლობათა მოხდენილად ჩართვა კიდევ უფრო თვალში საცემია სიტყვაწარმოებაში: ნაზმნარი სახელია ეს თუ ნასახელარი — თავისუფალი შემოქმედება აქ ფუძეთა წარმოქმნის მოულოდნელ ანალოგიებს გვთავაზობს („არ შეჭამადთა მჭამენი“ და „ერთნი თვალისა წამენი“ შერიტმულია პირველი ტაეპის სიტყვებთან: „ორნი დღენი და ღამენი“... „მჭამე“ მიმღეობა კიდევ ჰო, მაგრამ „წამე“ წამის ბაღლად licentia ჩანს)...

1. **ძველი ქართულისაგან განსხვავებით** „ვეფხის-ტყაოსანში“ ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე სახელობითის **-ი (→მ)**-ს არ დაირთავს: ყმა, მონა, თმა, კაბა, დროშა, ეშმა, სიტყვა, ბრძანება, თამაშობა, ჭმუნვა, სმა, პურობა, ჭიქა... ძე. მოყმე, მეფე, სიძე, მზე, მთვარე, დღე, თვე, საჭურჭლე, სიმტკიცე... უსახო, უებრო, უბედო, უყამო, უსაზომო, საბრალო, მარტო, ცხრო, სანაპირო... ცრუ... (შდრ. ძვ. ქართ.: მონად, სიტყუაჲ... ძმ, დღმ... უსახოდ... ცრუჲ...);

მას ტანსა კ ა ბ ა ემოსა, გარე - თ მ ა ვეფხის ტყავისა 85,1  
 მ ა მ ა ჩემი ჯდა მ ე შ ვ ი დ ე, მეფე მებრძოლთა მზარავი 312,1  
 მ ე ფ ე გაკვირდა, გაცაწყრა, გული უც მისთვის მ წ ყ რ ო მ ა რ ე,  
 გაგზავნა მ ო ნ ა თორმეტი, მისა წინაშე მ დ გ ო მ ა რ ე 91, 1-2  
 არცა მ ზ ე ჰგვანდა, არც მ თ ვ ა რ ე, ხე ალვა, ედემს ხებული 522,2  
 ერთი ს ა მ ე ფ ო, საკარგყმო, უბოძა ა მ ი რ ბ ა რ ო ბ ა,  
 თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ო ბ ა,  
 მ ე ფ ე რა დაჯდა, არა სჭირს ხელისა მ ი უ მ ც დ ა რ ო ბ ა,  
 სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კ ე ი ს ა რ ო ბ ა 316, 1-4  
 კაცი ც რ უ და მ ო ღ ა ლ ა ტ ე ხამს ლახვრითა დასაჭრელად 162,4

**აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ** დიფთონგები ძველი ქართულისა დაიშალა (ა. შანიძე), მივიღეთ **ა, ე, უ, ო** (მამა, მეფე, ცრუ). დედიფთონგიზაცია ფონეტიკური პროცესი იყო, შედეგი მორფოლოგიას დაეტყო: ხმოვანფუძიან სახელებს ბრუნვის ნიშანი სახელობითში არა აქვს.

„ვეფხის-ტყაოსანში“ შემოგვრჩა რამდენსამე სიტყვაში სახელობითის **-ი** ხმოვნის შემდეგ: ე რ თ ა ი, პ ა შ ტ ა ი, ც ო ტ ა ი, ყ ვ ე ლ ა ი, ყ ვ ე ლ ა კ ა ი..., შემოგვრჩა იმიტომ, რომ **-ი** აქ დიფთონგს არა ქმნის, ს რ უ ლ ი ხ მ ო ვ ა ნ ი ა და მ ა რ ც ვ ა ლ ს ა ქ მ ნ ი ს (მაშასადამე, დედიფთონგიზაციის წესს არ კი გამოორიცხავს, არამედ ადასტურებს):

ე რ თ ა ი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი 590,1  
 დავადე მზღვარნი ინდოთა; მევლო პ ა შ ტ ა ი ხანია 421,1  
 მე მამისა თქვენისაგან ვარ ც ო ტ ა ი განაზარდი 433,1  
 გამოისვენოს სიძემან დაყოს ც ო ტ ა ი ხანია 551,2

ცოტაი ლხინი მომეცა, მსგავსი დრამისა წონისა 1236,4  
 რა მოისმინეს, ყველაი დარჩა გულ-დანაწყულულები 175,3  
 მანდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია 378, 4  
 ჯამი და ჭიქა ყველაი ფეროზისა და ლალისა 483,3  
 ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია 564,  
 ბრძანა: „წადით ყველაკაი, აქა მომხრედ არვინ მინა“ 171,1  
 იგი მონა აპატრონეს, ყველაკამან თაყვანი-სცა 176,4  
 „...ხელთა მოგცემ ყველაკასა, განაღამცა შენ გაქონე!“ 457,4  
 მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოგკლენით 451,4

**ყველაკაი**-ში რომ **-ი** სახელობითის ნიშანია, ამას ცხადყოფს შეპირის-პირება სხვა ბრუნვათა ფორმებთან (ყველაკა-**მან**, ყველაკა-**სა**), აგრეთვე მრავლობითი (ყველაკანი).

საკითხავია, რატომ მივიღეთ სიტყვებში — ერთაი, პაშტაი, ცოტაი, ყველაი, ყველაკაი — **ი**-ს ნაცვლად **-ი** მაშინ, როდესაც სხვაგან სახელობითში **ი**-ს სრული ხმოვანი არ შეენაცვლა? ხომ არ უდევს წილი ლექს იმაში, რომ ერთაი, ცოტაი, ყველაი...-ში დიფთონგის მონაწილე **-ი** შემოგვრჩა სრული ხმოვნის სახით?

2. სახელთა ბრუნებაში დიფთონგები ჩნდებოდა ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებებში: ნათ.: ოქრო-მს-ა, მოქმ. ოქრო-მთ-ა... უბედო-მს-ა, უბედო-მთ-ა... ცრუ-მს-ა, ცრუ-მთ-ა... დიფთონგის მოშლის შედეგად მივიღეთ: ნათ. ოქრო-სა, მოქმ. ოქრო-თა... ცრუ-ს-ა, ცრუ-თ-ა. ამგვარად მივიღეთ ნათესაობითის და მიცემითის სხვაობის ნეიტრალიზაცია: ნათესაობითი გარეგნულად დაემსგავსა მიცემითს, ხოლო მოქმედებითი **თ**-იანი მრავლობითის ფორმას... ახალი ქართულის ოქროს-ი ემფატიკური **ა**-ს ცვლის **-ი**-თ.

**ნათეს.:** ასმათს მივართვი რჩეული თვალი ოქროსა ჯამითა 385,1  
 (= ოქროდსა ჯამითა)  
 სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი 898,1  
 (= სამხრე ოქროდსა)  
 ვინცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა?!  
 (= რიცხვი ოქროდსა)  
 ზოგჯერ შემცვიან სევდათა, ვთქვი საწუთროსა გმობანი 390,4  
 დავჯე, მივეც გულსა ლხინი, საწუთროსა დამგმობარსა 410,3  
 მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა 342,3

უხანობა და სიცრუე ვა ს ა წ უ თ რ ო ს ა ფ ლ ი დ ი ს ა! 1006,4  
 იტყვის: „მოგშორდი, — სიცრუე, ვა, ს ა წ უ თ რ ო ს ა კ რ უ ლ ი ს ა“  
 1025,3  
 მ ი მ ნ დ ო ნ ი ს ა წ უ თ რ ო ს ა ნ ი მისთა ნივთთაგან რჩებიან 347,1  
 კვლა გაგზავნეს სხვანი კაცნი ს ა ს ი ძ ო ს ა მ ო ყ ვ ა ნ ე ბ ა დ 516,1  
 ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უ ბ ე დ ო ს ა ბ ე დ ი ს ა 1141,3  
 დაჯდა წერად ანდერძისად, ს ა ბ რ ა ლ ო ს ა ს ა უ ბ რ ი ს ა დ 788,1  
 ნახეს და ნახვა მოუნდა უ ც ხ ო ს ა ს ა ნ ა ხ ა ვ ი ს ა 85,4  
 ყმამან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმადა ვით იქმნების?“ 126,1  
 ბაღია ვნახე უ ტ უ რ ფ ე ს ი ყოვლისავე ს ა ლ ხ ი ნ ო ს ა :  
 მფრინველთაგან ხმა ისმოდა უ ა მ ე ს ი ს ი რ ი ნ ო ს ა ;  
 მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა ა ბ ა ნ ო ს ა .  
 (ე. ი. სარაჯები ვარდის წყლის აბანოდსა... და არა აბანოში!).  
 კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ო ქ ს ი ნ ო ს ა 341

**მოქმედ.:** სრა ედგა მოფარდაგული ო ქ ს ი ნ ო თ ა და შარდითა 331,1  
 აივსო სახლი სტავრითა და ო ქ ს ი ნ ო თ ა ლბილითა 1467,3  
 ავთანდილ გავლო ქალაქი მით უ ე ბ რ ო ტ ა ნ ი თ ა 1112,1<sup>2</sup>

3. შედგენილ შემასმენელში მეშველი ზმნა „არს“ წარმოდგენილია ა-ს  
 სახით (ისე, როგორც ახალ ქართულში გვაქვს): ე გ ე ა = ეგე არს, ლ ხ ი -  
 ნ ი ა = ლხინი არს, ჩ ე მ ი ს ა = ჩემი არს, ც ო ტ ა ს ა = ცოტა არს...

უბრძანა: „დაო, ე გ ე ა მსგავსი შენისა გულისა,  
 მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა!...  
 ჩემი ლ ხ ი ნ ი ა სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“ 274, 1-2,4  
 ეგონა ჭამა ხორცისა შემწვრისა, შეუქმნელისა;  
 მიუტყრა, ერთი ახლია, ქ მ ნ ა ა ს ა ქ მ ის ა ძ ნ ე ლ ის ა 268, 2-3  
 აწ, დაო, შენთა ხ ე ლ თ ა ა ჩემი საბელი ყელისა,  
 სხვად უ ლ ო ნ ო ა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა 257, 1-2  
 ესე საზღვარი ჩ ე მ ი ა, სადა ხარ გარდამხდომელი,  
 ც ო ტ ა ა, მაგრა ყოველგნით სიკეთე-მიუწდომელი 600, 3-4  
 მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დ ა ნ ა დ ა მ ი ა ;  
 ებრძანა: „შენგან გაყრილვარ მას აქათ თვეო ს ა მ ი ა...  
 არ დამაშვრალხარ, წამოდი, თუცა დაშვრომის ყ ა მ ი ა“ 473, 1-2, 4  
 აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წ ე ლ ი ა ;

<sup>2</sup> დედიფთონგიზაციის შედეგად მიღებული ნათესაობითი გვაქვს ვახუშტი ბაგრა-  
 ტიონის შრომის სათაურში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ე. ი. „აღწერა სამე-  
 ფოსა საქართველოსა“).

გიაგზო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!  
ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყვივ ავისა მქმნელია!  
მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცეს ხანძრად მწველია 339

„არს“ მეშველი ზმნის შეკვეცა ა-თი ძველი ქართულისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო (სპორადულად იგი ძველ ქართულ ძეგლებშიც დასტურდება.

აქამდის მზღვარი თურქთაა, მომზღვრეა ფრიდონ მზღვრები-  
თა 970,3

...მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია 965,4  
(დასათმობია = მოსათმენია).

ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რაცა ჭირია!  
ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია!  
ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუა სოფელი ძვირია,  
რაცა მიწვრთხარ, იწვარეთ! გკადრო, უწვრთელი ვირია! 931  
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა?! 798,4  
„ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!  
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.  
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან საწუნელია,  
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!“ 1294

4. შედეგობრივი პირველის მესამე პირი მხოლოდობითისა, აგრეთვე -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა მესამე პირი, -ი- სუფიქსის -ა-ს დაირთავს — ძველი ქართულის -ეს-ის ნაცვლად: უქმნი-ა = ძვ. ქართ. უქმნი-ეს.

აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია,  
რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია,  
მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია“...  
965, 1-3

„რა მოგეშორვე, მას აქათ სიცოცხლე მომძულვებია,  
თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურვებია,  
შენ უჩემობა ლხინად გიჩნს, მე დია მიმჭირვებია,  
ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია!“ 1008  
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია 1254,4  
მაგრა აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია 1261,3  
ტარიელ უთხრა: „ჰე, ძმაო, კმარის, დღეს რაცა მლხენია...  
სხვად ნუ ყოს ღმერთმან წამალი, არცა რა მოგისმენია... 1338,  
1,3

მეფეო, კარგი ყველაი მე თქვენგან წამკიდებია,  
ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია დასდებია 1429,  
2-3

მრავლობითის მესამე პირში **-ა**-ს ენაცვლება **-ან**, ჩვეულებრივი გარდაუვალ ზმნათა მრავლობითის მესამე პირში (დგან-**ან**, დგები-**ან**, უყუარ-**ან**, ჰყვან-**ან**..), ასევე ძველ ქართულში:

მეფე კოცნასა ჰლამობდა, აღარა ცრემლი სდენიან,  
ავთანდილ ფერხთა ეხვევის, შუქნი ქვედაუფენიან,  
უბრძანა: „ადეგ, ნუ ირცხვი, შენ მზენი გამოგჩენიან...“  
1531, 1-3

5. პირველი პირის ობიექტი მრავლობითში პრეფიქსად მხოლოდ **გვ-**ს ხმარობს:

მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა! 207,4

6. დაწვრილებით შეგჩერდებით ერთ მოვლენაზე — ესაა **მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი**. ამ საკითხში ძველი ქართული უპირატესად პოსტპოზიციურ რიგს მიმართავს, ახალ ქართულში გაბატონებულია პრეპოზიციული წყობა.

შდრ. ძვ. ქართ.: და არავინ შთაასხის ღვინო ძახალი თხიერთა ძუელთა...

არამედ ღვინო ძახალი თხიერთა ძახლთა შთაასხნიან...  
მკ 2,22

...ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა, აბიათარ მღვდელთ მოძღურისა ზე და პურნი იგი შესაწირავისანი შეჰამნა... მკ 2,26

...და ჰკითხვიდა მას: რად არს სახელი შენი? და ჰრქუა მან: ლეგონ არს სახელი ჩემი... მკ 5,9

ახალ ქართულში გვექნებოდა: ახალი ღვინო... შესაწირავის პური... შენი სახელი... ჩემი სახელი... იგულისხმება სტილისტიკურად ნეიტრალური თხრობა. დამოწმებული მაგალითი ოთხთავისა იყო. სხვა ტექსტის ჩვენებაც არსებითად ეგეთივეა. აი სინური მრავალთავის (864 წ.) ტექსტი: „პოვნად წმიდისა სტეფანწისი, რჩეულისა მის მსახურისა და პირველმოწმისა. და იყო სახც გამოცხადებისა მის ესრწთ: მეძინა, ვითარცა წინადთ ჩუეულებასა ჩემსა, განშორებულსა მას სახლსა სანათლოდსასა, სადა იგი დგა კიდობანი, რომელსა იგი შთადვიან სამსახურებელი ეკლესიისა, დღწ რომელი განთენებოდა პარასკევად, აპნისა თთუესა სამსა, ჟამსა მას მეთხუთმეტესა ინდიქტიონისა“.<sup>3</sup> პრეპოზიციული მსაზღვრელები (წმიდისა, რჩეულისა, განშორებულსა...) პოსტპოზიციური მსაზღვრელის მსაზღვრელებია...

<sup>3</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა აკ. შანიძის რედაქციით, 1959 წ., გვ. 63.

ქართულისათვის ძველად ამოსავალი უნდა ყოფილიყო პოსტპოზიციური წყობა (როგორც ყველა ენისათვის სადაც ბ რ უ ნ ე ბ ა უ ფ რ ო გ ვ ი ა ნ ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ დ ა, ვინემ უღვლილება).

პოსტპოზიციური წყობის არქაულობას უნდა მოწმობდეს: ტოპონიმიკური ტერმინები „წყალ-წითელას“ ტიპისა... გაკომპოზიტებული გამოთქმები: „მამა-სახლისი“, „დია-სახლისი“, „მამა-ჩემი“, „დედა-ჩემი“... (და არა: „ჩემი მამა“, „ჩემი დედა“... შდრ. „ჩემი ძმა“, „ჩემი და“).

პოსტპოზიციური წყობის სიძველის გამოვლენა გვაქვს მომდევნო ნ ა - წ ე ვ რ ი ს ხ მ ა რ ე ბ ა შ ი ც: „კაცი იგი“, „სახლი იგი“... (ასეთივე რიგია ახლაც ბასკურში; ძვ. ბერძნულში, გერმანულში, ფრანგულში, ინგლისურში ნაწევარი წინ უძღვის სახელს (das; Haus, la maison, the house).

„ვეფხისტყაოსანში“ წინამავალი მსაზღვრელიც დასტურდება და მომდევნოც, პრეპოზიციული წყობაც გვაქვს და პოსტპოზიციურიც.

**პოსტპოზიციური წყობის ნიმუშები:**

კ ა ც ი ც რ უ და მ ო ლ ა ლ ა ტ ე ხამს ლახვრითა დასაჭრელად 162,4

კვლა მოახსენა ვაზირმან ს ი ტ ყ ვ ა ნ ა გ უ შ ი ნ დ ე ლ ე ვ ე ი ;  
რა გაიგონა, შესთვალა პ ა ს უ ხ ი ა რ ნ ა გ რ ძ ე ლ ე ვ ი 816, 1-2  
კვლა ბრძანა: მ ო ნ ა თ ო რ მ ე ტ ი შევსხათ ჩვენთანა მარებლად 70,1

ს ა უ ბ ა რ მ ა ნ უ მ ე ც ა რ მ ა ნ შმაგი უფრო გააშმაგოს;  
ხამს თუ კ ა ც მ ა ნ გ ო ნ ი ე რ მ ა ნ ძნელი საქმე გამოაგოს 215, 2-3  
მას ტ ა ი ჭ ს ა ა რ ა ბ უ ლ ს ა, ქვენებაშა, ნასუქალსა 55,2  
სჯობს ს ი ც ო ც ხ ლ ე ს ა ნ ა ძ რ ა ხ ს ა ს ი კ ვ დ ი ლ ი  
ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი! 800,4

მ თ ვ ა რ ე ს ა მ ც ხ რ ა ლ ს ა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა  
მტერობა?! 37,4

ვჰმობ კ ა ც ს ა ა უ გ ი ა ნ ს ა, ცრუსა და ლალატიანსა...  
რა უარეა მ ა მ ა ც ს ა ს უ ლ - დ ი დ ს ა, წასლვა-გვიანსა?! 798, 2,4

ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტ ა ნ ი თ ა მ ი თ კ ე ნ ა რ ი თ ა,  
თვითო ავისეს ჭიქები, მივლენ ქ ც ე ვ ი თ ა წ ყ ნ ა რ ი თ ა  
წინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით პ ი რ ი თ ა მ ო ც ი ნ ა რ ი თ ა,  
ვაზირი ლაღობს ე ნ ი თ ა, წყლიანად მ ო უ ბ ნ ა რ ი თ ა 59

ოდეს წამოვე, შევჰფიცე ფ ი ც ი თ ა ს ა შ ი ნ ე ლ ი თ ა:  
„კვლა მოვალ, გნახავ პირითა არ მ ტ ე რ თ ა ს ა წ უ ნ ე ლ ი თ ა;  
შენსა მე ვეძებ ნათელსა, შენ ხარ გ უ ლ ი თ ა ბ ნ ე ლ ი თ ა

ჟამია ჩემგან წასლვისა, მით მწვავს ცეცხლითა ცხელითა“ 735

აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების 126,3  
მისგან ტვირთი კაეშნისა ტვირთად ვარგად გაეკიდა 172,4  
ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია? 273,2  
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ 509,2

მსაზღვრელი (ნათესაობითში) მოსდევს საზღვრულს — პოსტ-პოზიციური წყობა:

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია 39,4  
აწყა ვცან საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩხამია 715,4  
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტილაშქრისა ბევრ-ათასისა  
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა-დასისა 44, 2-3  
ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა 47,2  
მივსწერე: მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი 387,2  
მიბრძანა: ძოღან გეწყინა გაშვება უუბარისა.  
მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი დარისა,  
დაგრჯიდა დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუბარისა,  
მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა 411  
მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,  
გამწირავი და მუხთალი შენ, გამტეხელი ფიცისა...“ 523, 1-2  
მოჯობდა, ომი შეეძლო, ხმარება ცხენ-აბჯარისა 613,1  
აჩინა კაცნი, სადაცა სადგურნი ნავთა სჩენოდეს 640,1  
ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,  
ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა“ 696, 1-2  
ქალსა რა ესმა ამბავი, მიჰხვდა წადილი ნებისა 701,1  
სჯობს უყოლობა კაცისა მომღურავისა ყოლასა 768,4  
მიმდონისა წუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან 347,1

### პრეპოზიციული მსაზღვრელი:

სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი 662,4  
კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახდების 432,1  
ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევესებოდა 47,4  
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან 848,3  
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან 894,4  
მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია 1211,2  
ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა 179,1  
გული უფრორე დამიჭრა ათათასმან დანამან 358,2



იგი წავა და სხვა მოვა ტუ რ ფ ა ს ა ს ა ბ ა დ ნ ა რ ო ს ა 35,3  
 დ ი დ თ ა ხ ე თ ა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი 1046,3  
 აწ ვინმე მოყმე მოვიდა შ ვ ე ნ ი ე რ ი თ ა პ ი რ ი თ ა 1283,1  
 მიაცორებებს და იმღერის მ ხ ი ა რ უ ლ ი თ ა გ უ ლ ი თ ა 1333,1  
 სთათბირობ ძ ნ ე ლ თ ა თ ა თ ბ ი რ თ ა , მტერთა ივაგლახ-ივიან  
 1397,3

„არ ეწყინაო“, უამბობს, არს მ ი ს ა დ მ ა გ უ ლ ვ ა ნ ე ბ ლ ა დ 280,2  
 აწ თავსა მ ი ს ა დ ს ა ძ ე ბ რ ა დ მივსცემ, სად კლდე და წყალია  
 584,3

მიწყვი მ ი ს ა დ ს ა გ ო ნ ე ბ ლ ა დ მისი მკვლევითინათინ-ა 171,4  
 მაშა, რათვან მიჯნურობა შე ნ ა დ ღ ო ნ ე დ მოიგონე... 253,1  
 კაცი ჩ ე მ ა დ ს ა მ ს ა ხ უ რ ა დ უღმრთოდ მემცა ვით დავბადე! 277,2  
 ჩ ე მ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი შენ ჩ ე მ ა დ პ ა ტ ი ჟ ა დ ნურად გგონია 242,1  
 წამოსრულხარ ჩ ე მ ა დ ძ ე ბ ნ ა დ პ ა ტ რ ო ნ ი ს ა სამსახურად 300,1  
 ჩ ე მ ნ ი ს პ ა ნ ი მოვიდიან საჭვრეტლად და ჩ ე მ ა დ ქ ე ბ ა დ  
 453,3

მსაზღვრელი (ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ს ბრუნვაში) უძღვის საზღვრულს —  
 პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ ლ ი წ ყ ო ბ ა :

თუცა მართებს დედაკაცსა მ ა მ ა ც ი ს ა დიდი კ რ ძ ა ლ ვ ა ,  
 მაგრა მეტი უარეა არა თქმა და ჭ ი რ თ ა მ ა ლ ვ ი ა ...  
 ძოდან ქალი გამოვგზავნე, ვქმენ მ ა რ თ ლ ი ს ა შ ე მ ო თ ვ ა ლ ვ ა  
 412, 1,2,4

კვლა გაგზავნეს სხვანი კაცნი ს ა ს ი ძ ო ს ა მოყვანებდა...  
 გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭ ი რ თ ა მ ო პ ო ვ ნ ე ბ ა დ 516, 1,4  
 იცით, ი ნ დ ო თ ა ს ა მ ე ფ ო რაზომი სრა-საჯდომია?! 564,1  
 ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა, მით გამოვე ზ დ ვ ი ს ა პ ი რ ს ა 589,1  
 კვლა სხვასა მივე, მოვჰკიდე ხელი ნ ა ვ ი ს ა ბ ა გ ე ს ა 615,1  
 ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ც ე ც ხ ლ თ ა ს ი ც ხ ე 629,1  
 რას ვაგრძელებდე! მოვიდეს ყოვლგნით ა მ ბ ი ს ა მ ც ნ ო ბ ე ლ ნ ი  
 642,1

დ ე ვ თ ა ყ ვ ი რ ი ლ ი , ზახილი ზეცამდის აიწეოდა,  
 მათისა ლ ა ხ ტ ი ს ც ე მ ი თ ა ქვეყანა შეირხეოდა,  
 მზე დააბნელეს მტვერითა, ა ლ ვ ი ს შ ტ ო შეირხეოდა 655, 1-3  
 გული ჟამ-ჟამად ყოველთა ჭ ი რ თ ა მ თ მ ო , ლ ხ ი ნ თ ა მ დ ო მ ე ლ ი  
 718,2

კვლა იტყვის: „გულო, რაზომცა გაქვს ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა წ ა დ ე ბ ა ,  
 სჯობს ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა გ ა ძ ლ ე ბ ა , მისთვის თ ა ვ ი ს ა და დ ე ბ ა ,  
 მაგრა დამალე, არ გაჩნდეს შენი ც ე ც ხ ლ ი ს ა კვლა დება,

ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება 727  
 ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები:  
 შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები  
 824, 1-2

დამოწმებული მასალა ცხადყოფს, რომ პოსტპოზიციური წყობაც ხში-  
 რია, და პრეპოზიციული წყობის მაგალითებიც არაა იშვიათი.

ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე ტა-  
 ეპის ფარგლებში ერთი იხმარება და მეორეც: ლექსის საჭიროება, რიტმი  
 და ტაქტი ამგვარ მაგალითებში გადამწყვეტი მნიშვნელობისა ჩანს.

ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზები ია:  
 ლომო და გმირო ტარიელ, ვის თავი გინაზებია,  
 მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზები ა,  
 მიჯნურობითა დამწვარვარ, ცეცხლი უშრეტი მგზებია 285

ორი პოსტპოზიციური მსაზღვრელი (სიტყვები: ლამაზებია, ცეცხლი  
 უშრეტი) გვაქვს, ერთი (ჩემი დარბაზებია) — პრეპოზიციული, მასთან  
 პრეპოზიციული („ჩემი დარბაზებია“) შერითმულია პოსტპოზიციურ სინ-  
 ტაგმასთან („სიტყვები ლამაზებია“): პოსტპოზიციური („დარბაზები ჩემ-  
 ბია“) აქ არ გამოდგებოდა.

მისალამეს, „ფატმან“ მითხრეს, „ბრძანებაა ღმრთისა სწორთა:  
 დღეს რომელი უსენ შესდღენა, ქალი, მსგავსი მზეთა ორთა,  
 აწ მომგვარე, წავიყვანოთ, ვლა არ გვინდა გზათა შორთა“.  
 ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვაა ღმრთისა ეცა გორთა 1172

„ღმრთისა სწორთა“ — პრეპოზიციული წყობისა — განსაზღვრავს  
 სიტყვას ბრძანებაა. „მზეთა ორთა“ და „გზათა შორთა“ კი პოსტპოზიციუ-  
 რი წყობისა: „შორთა“, „ორთა“ ერთმემა „სწორთა“-ს, თუმცა ეს უკანას-  
 კნელი საზღვრულია, „შორთა“ კი — მსაზღვრელი.

შემდგომს მაგალითში პრეპოზიციული წყობის „გავსილი მთვარე“ ერ-  
 თადერთი შესაძლოა. „მთვარე გავსილი“ შეუძლებელი იქნებოდა ლექსში:

კვლა ვჰკითხეთ: „გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ ნათელისა,  
 ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა!“  
 მან არა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა.  
 რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული  
 გველისა! 1230

მობრუნდეს, ყმამან ავთანდილს ხელი შეუბყრა ხელითა.

ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხანს ცრემლითა ცხელითა.

ასმათი სულსა უღებდა, ს ი ტ ყ ვ ი თ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი თ ა :

„თავთა ნუ დაჰზოცთ, ნუ ბნელიქმთ მზესა თ ქ ვ ე ნ ი თ ა ბ ნ ე ლ ი თ ა“  
283

„ბნელითა თქვენითა“ წინა სტრიქონების სარიტმო სიტყვებს არ ეფარდებოდა, „თქვენითა ბნელითა“ — პრეპოზიციული — ამიტომ უპირატესი აღმოჩნდა. წინა სტრიქონების „სიტყვათა საკვირველითა“, „ცრემლითა ცხელითა“ პოსტპოზიციური წყობისანი იყვნენ და მომდევნო სტრიქონის პრეპოზიციული წყობა კი მოითხოვეს.

თავის მხრივ, პოსტპოზიციური წყობა სინტაგმებისა („სიტყვათა საკვირველითა“, „ცრემლითა ცხელითა“) შეაპირობა პირველი სტრიქონის სარიტმო სიტყვამ „ხელითა“ („ხელი შეუბყრა ხელითა“)...

ორივე შესაძლებლობას ავტორი ისე იყენებს, როგორც ამას პოეტური სიტყვის საჭიროება მოითხოვს.

ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა შემთხვევებშიც:

მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უ მ ჯ ო ბ ე ს ი დ ე დ ი ს ა,  
რას აქნევ ჩ ე მ ს ა ა მ ბ ა ვ ს ა, ზ დ ა პ ა რ ი არის ყ ბ ე დ ი ს ა!

ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უ ბ ე დ ო ს ა ბ ე დ ი ს ა;

თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მ ხ ე დ ი ს ა!“ 1141

შინა შევედი, მას წინა ედგის ც რ ე მ ლ ი ს ა გ უ ბ ე ბ ი,

შიგან მ ე ლ ნ ი ს ა მ ო რ ე ვ ს ა ეყარის გ ი შ რ ი ს შ უ ბ ე ბ ი,

მ ე ლ ნ ი ს ა ტ ბ ა თ ა იღვრების ს ა ვ ს ე ს ა თ ი ს ა რ უ ბ ე ბ ი,

შუა ძოწსა და აყყსა სჭვირს მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ტ ყ უ უ ბ ე ბ ი 1146

ხუთი პრეპოზიციული წყობიდან სამი სარიტმოა, და „მარგალიტი ტყუბები“ — პოსტპოზიციური წყობისა — მათ შეეერთმა.

ანდა კიდევ:

ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბ რ ძ ე ნ თ ა ე ნ ი ს ა?

მაგისა ნაცვლად რამც ვიყავ ღირსი ქ ე ბ ი ს ა თ ქ ვ ე ნ ი ს ა!

სახე ხარ მ ზ ი ს ა ე რ თ ი ს ა, ზეცით მ ნ ა თ ი ს ა ზ ე ნ ი ს ა,

რადგან ვერ შავცვლის პატიჟი ეგზომთა ც რ ე მ ლ თ ა დ ე ნ ი ს ა 297

„ბრძენთა ენისა“, „მნათისა ზენისა“, „ცრემლთა დენისა“, — მაგრამ

„ქებისა თქვენისა“... „თქვენისა ქებისა“ სარიტმოდ არ ეგებოდა, ხოლო „მზისა ერთისა“ — სტროფის შიგნით — რომ შეგვეცვალა პრეპოზიციული წყობით „ერთისა მზისა“, რიტმი დაირღვეოდა.

პოეტური სიტყვის ნაკარნახევი ჩანს ორივე წყობის ხმარება ერთსა და იმავე სტროფში, თუმცა სარიტმო სიტყვათა საკითხი აქაც დგას და სათანადო კორექტივი შეაქვს:

რომე მათანა ა ლ ვ ი ს ა ხ ე ც ა ვარგიყოს ხ ე დ ა რ ა დ 281,3

კ ა ც ი ჯ ა ბ ა ნ ი რ ი თ ა ს ჯ ო ბ ს დ ი ა ც ს ა ქ ს ლ ი ს ა მ ბ ე ჭ გ ე ლ ს ა  
799,3

პოსტპოზიციური წყობა მაინც ისე ხშირია, რომ დამახასიათებელი შეიძლება გვეჩვენოს.

მაგრამ ძველ ქართულთან შედარებით რომ თვალსაჩინო ცვლილება მომხდარი, ამას ერთი ფაქტი მოწმობს: ვგულისხმობთ განსაზღვრებითი ნაწევრის ხმარებას.

ძველ ქართულში ამ ნაწევრის როლში იგი-ნაცვალსახელი გამოდის, ეს ნაწევარი ყოველთვის მოსდევს სახელს („კაცი იგი“).

„ვეფხისტყაოსანში“ „იგი“ პოსტპოზიციურ ნაწევრად გვაქვს, მაგრამ შედარებით იშვიათად; უფრო ხშირია ამ ნაწევრის პრეპოზიციული ხმარება „იგი კაცი“. ამ შემთხვევაში რიგია ცვლილი, ნაწევარი მასალობრივ იგივეა. მაგრამ აქა-იქ მასალაც ახალი გამოყენებული: „ისი“ („ისი კაცი“).

იგი-ნაცვალსახელი „ვეფხისტყაოსანში“ საერთო წესით შეიძლება აღნიშნავდეს სუბიექტს ანდა ობიექტს, ამ მხრივ ძველ ქართულთან შედარებით ახალი არაფერია. დავჯერდებით თითო-ორიოლა მაგალითს.

### იგი — სუბიექტი:

შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ასე შენთვის რა მადლია?! 273,4  
იგი გიხლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა 278, 3  
დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა 298,2  
მართ მაშინვე ჰგვანდი იგი მზისა შუქთა ნასამალსა 325,2  
იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესლვა ომსა  
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა 394,3  
იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩვა მარეკი და... 270,4  
ვის მოიყვანს, არა ვიცი ანუ იგი ვინ მომცდარა 534,4  
ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია 854,2  
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია 1348,4  
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთა და ბარად  
995,2

იგი ტირს და არა ესმით, მისგან გაუუმეცარდა 87,4

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა 35,3

### იგი — ობიექტი:

იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა მამასა 544,1  
რაცა არ გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა 880,3  
ვერსათვის ვერ გიამბობ. რაცა გინდა, იგი ჰქმენო 237,4

მან ი გ ი ვ ე კვლა მ ი ა მ ბ ო, რაცა მუნით მომესმინა 1237,3  
 მე ღმერთმან ი გ ი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია 381,3  
 მან გლახ ი გ ი ნ ი დ ა ხ ა დ ნ ა მტერთაცა საწყალობელად 94,2

**იგი ნაწევარია და მოსდევს სახელს,** ძველი ქართულის ნორმების მიხედვით:

ვა, კრულია დ ღ ე მ ც ა ი გ ი, მე მივეცი ამირბარსა 318,3  
 მუნ შევიტანენ ხ ა თ უ ნ ნ ი ი გ ი ჩემთანა ხლებულნი 1126,3  
 ვინცა მჭვრეტლიან ყ მ ა წ ვ ი ღ ნ ი ი გ ი ც ა ინატრიდიან 1394,4  
 „იგიცა“ რომ ნაწევარი არ იყოს („ყმაწვილნი იგიცა“), მრავლობითში დაისმოდა: „იგინი“.

რ ი დ ე ნ ი, რომე მეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა,  
 ი გ ი მეხვივნეს, მშვენოდეს, ვახელებ გულთა ხელთასა 479, 1-2

აქაც „რიდენი იგი“ გვაქვს, ოღონდ გათიშულად: ჩართულია წინადადება „რომე მეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა“...

აღსანიშნავია ზმნისართთან „იგი“-ს ხმარება: „სადა იგი“ (=სადაც), ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივია:

მუნ მოვიდა, ს ა დ ა ი გ ი მისნი სპანი დაეყარნეს 673,1

### **იგი ნაწევარია და წინ უძღვის სახელს:**

იგი მზე, იგი მთვარე, იგი ყმა, იგი მონა, იგი ნავი, იგი წიგნი, იგი ფიცი, იგი სახლი, იგი ქედი, იგი აბჯარი, იგი სინათლე, იგი თათბირი, იგი სიცოცხლე, იგი მცნება, იგი წვიმა, იგი უცხო, იგი უგულო, იგი ფლიდი...

პირის-პირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კვდებოდა 482,2  
 გამოემართა იგი მზე, პირითა სავსე მთვარისა 1325,2  
 იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია 1320,1  
 სადა გინახავს იგი მზე, წამომყევ ზღვისა კიდესა 1016,4  
 იგი მზე დაჰკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი 1278,3  
 მას ზედა დასვა იგი მზე, ლხინი მჭვრეტელთა გულისა 1188,4  
 იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები 1426,4  
 წამოიყვანეს იგი მზე, მათილა წაგვრა ძნელია 1427,2  
 მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა 580,4  
 იგი მთვარე ჩემი იყო, მით მედების ცეცხლი მდაგად 631,3  
 გზა-გზა ყოვნა აღარა მცალს, პატიმრად ა იგი მთვარე 1322,2

შევე, ვნახე იგი მთვარე ჭირმან ყოვლმან უკუმრიდნა 520,3  
მოგვინახონ იგი მთვარე, ვისთვის ჭირი არ გვაკლია 638,2

იგი ყმა ცხენსა გარდახდა, შევნიოდა კაპარჭ-ხრმალითა 265,2  
მას ზედა დაჯდა იგი ყმა, სულთქვამს ჭირ-მონამატები 267,3  
მუნით უჭვრეტდა, იგი ყმა მივა ცრემლმინადენია 224,4  
ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი 114,4  
თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაჭმევს პირითა 1108,4  
იგი ყმა ვაჭრობს, თავადობს და თავსა მალავს ამითა 1062,4  
რას დაგეჟადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული 1104,3  
მაშინდა შეერთა იგი ყმა, ტირს მეტად გულმდღუღარია 92,2  
მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცილდეთა 115,3  
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს სხვად კვლა და კვლა ღია 116,2  
მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით 117,2  
უსისხლოდ მოგვალ იგი ყმა, თუცა ხმდა სისხლისა დევნით 557,4  
ანუ ვით პოვა იგი ყმა, მისგანვე მზედ დასახული 677,2  
თუ მოვითაჰკლა იგი ყმა ჩემად გულისა მფხანელად 1111,3

იგი მონა წამოვიდა, გულანშაროს მიმავალი 1311,1  
იგი მონა აპატრონეს, ყველაკამან თაყვანი სცა 176,4  
მოვიყვანე იგი მონა, ახლოს დავსვი ჩემსა წინა 1237,1  
გამოზიდეს იგი ნავი, გამოიღეს ბაღსა წინა 1130,1  
იგი ნავი მეკობრეთა მას დღე ნახეს, არ ახვალეს 1053,1  
მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა 1383,4  
აიღეს იგი აბჯარი თავის თავისა ქედითა 1370,3  
მან იგი წიგნი მონამან მისცა თავისა ხელითა 1280,3  
იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი 1367,1  
მათ ყმათა მუნით წასრულთა იგი დღე ერთად იარეს 945,1  
ფიცხლად ჩავლო იგი ქედი, ჩაეგება ფრიდონ წინა 987,1  
იგი ტევრი გაეზშირა დანაგლეჯსა მათსა თმასა 223,1  
ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა 419,3  
იგი ფიცი ვით გატეხა, არ ვეცრუვე, ვით მეცრუვა 845,3  
იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა 862,2  
დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი 1166,3  
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება 525,3  
დაასკვნეს იგი თათბირი, ტარისა განაზრახები 1408,2  
იგი ვარდი შემეყვარდა, რომე თოვლსა არ ეხეწა 627,2  
რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია 36,3

ავიყვანე იგი პირ-მზე ნაქები და ვერ ვთქვი უქი 1143,1  
 იგი პირ-მზე არ მოსცდების სიარულსა სასწრაფოსა 148,3  
 მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით ალვით 1144,1  
 იგი პირ-მზე ველარ პოვეს, პირი მათი იფერმკრთალეს 173,2  
 მოვიდეს და აწ მიაბზოს, შემოვიდეს იგი ფლიდი 819,3  
 [მკლავსა შევიბი]... იგი უცხო და ღარიბი მტკიცისა რასმე შავისა 502,4  
 გამოვიდეს, გამიკვირდა იგი უცხო სანახავი 1129,4

იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა 847,4  
 იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად 96,2  
 იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა 83,1  
 იგი მამვრალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა მხნენია 78,4

ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა 178,1  
 იგი მინდორი დალივეს, მართ მათგან განარბენია 78,1

იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს 77,1  
 იგი ველი გაირბინა, ლაშქართავან გაეკიდა 172,1

იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შვენოდა 122,3  
 უჩვენა იგი უსტარი, ამბავი მისი თქმულები 175,2  
 დილასა აღრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი 72,1

იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა 183,3  
 წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად 130,4

### **იგი ნაწევარი მრავლობითის წინ:**

იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა 1409,1  
 იგი მტერნი გამილომდეს, აქამდისი რომე ვითხენ 696,3  
 მას ღამესა ერთგან იყვნეს იგი ლომნი, იგი გმირნი 925,4  
 კიოდეს იგი ლაშქარნი, ხმა მათი არ გაწყდებოდა 1042,1  
 შეშინდეს იგი ლაშქარნი, გზა ძებნეს გარდასახვეწელი 1043,2  
 იგი მზენი მოეგებნეს, ვის ზამთარი ვერ დაზრვიდა 1379,3  
 მაკოცეს, ადგეს ორნივე თვით იგი მზენი მზეთანი 487,3  
 აწ წარხდეს იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნარენი 345,1  
 ვუშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შვებასა 1266,2  
 ქვაბნი გამოჩნდეს, იამა, იცნა, თქვა: „იგი კლდენია“ 1331,1

პოენეს იგი საჭურჭლენი, ტარიასგან დაბეჭდულნი 1498,2  
 ყმა და ასმათი ტიროდეს, ხმას სცემდეს იგი არენი 345,3  
 იგი მე მომეც რიდენი, რომელნი წედან გშვენოდეს 496,1  
 იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია 616,4  
 ყოველთა კაცთა მავნენი, იგი არვისგან ვნებულნი 1247,3  
 იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამყიდნა 207,2  
 იგი ვარსკვლათა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია 402,2  
 „ი გ ი კ ა ც ი“ რომ „კაცი იგი“-ს წყობაცვლილი ვარიანტია, ამას  
 ცხადყოფს სხვა ბრუნვის ფორმებთან შეპირისპირება:

### იგი ყმა: მან ყმამან:

ი გ ი ყ მ ა ცხენსა გარდახდა, ყელსა მოეჭდო მკლავითა... 221,4  
 მ ა ნ ყ მ ა მ ა ნ ქვაბსა მიჰმართა, გავლნა წყალნი და ტყენია 220,1  
 რა ტყენი გავლნა მ ა ნ ყ მ ა მ ა ნ, მოსილმან ვეფხის ტყავითა 221,1  
 მ ა ნ ქ ა ლ მ ა ნ ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები 267,2  
 სული დაილო მ ა ნ ქ ა ლ მ ა ნ, დათმო გულისა წყლულობა 224,1

### იგი ყმა: მას ყმასა:

მ ა ს ყ მ ა ს ა შეჰხსნა, შეილო აბჯრისა წელ-მორტყმულობა 224,3  
 მ ა ს ყ მ ა ს ა თავი არ მისცა, ჭვრეტადცა ებილწებოდა 232,1  
 მ ა ს ყ მ ა ს ა ხრმალი არა ვჰკრი, არც მისი დავისობინო 229,4  
 მ ა ს ყ მ ა ს ა უჭვრეტს შეფრფინვით პირსა, ელვათა მკროთომელსა  
 1063,2  
 მ ა ს ა დ გ ი ლ ს ა ნაომარსა გარდავხედით მოსვენებად 453,1

### იგი ყმა: მის ყმისა:

ვერ იცნა, სახე არ ჰგვანდა მისი მ ი ს ყ მ ი ს ა სახესა 231,1  
 ქალი ადგა და წავიდა მ ი ს ყ მ ი ს ა მოსაყვანებლად 280,1  
 მიბრძანა: მიცან ამბავი მ ი ს მ ზ ი ს ა წარხლომილისა 290,1  
 მ ი ს მ ო ყ მ ი ს ა წესი იყო, მეტსა თურე არ ასრე ჯდა 226,1

„მან ყმამან“ მოთხრობითია „იგი ყმა“-სი, ჩვენებითის ფუნქციით გვექ-  
 ნებოდა: „იმა“:

ჩემმან მზემან გამომგზავნა საძებარად ი მ ა ყ მ ი ს ა დ 250,2

### შდრ.: ესე: ამა:

ა მ ა ყ მ ა მ ა ნ შემიკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა 609,1



ეს ე წ ი გ ნ ი გაასრულა წყლიანმან და სიტყვა-ნაზმა 170,1  
 ა მ ა წ ი გ ნ მ ა ნ გამამართლოს, არ ტყუილად გეუბნები 1279,3

### ეგე: მაგა:

ე გ ე ა მ ბ ა ვ ი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო 241,2  
 ცუდად ნუ სცდები, ნუ ელი მაგა ა მ ბ ი ს ა მზობასა 234,4  
 ე გ ე ს ა მ ხ რ ე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული... 289,3  
 სჯობს ასმათისა არ ლევა მაგა ს ა მ ხ რ ი ს ა ლევასა 897,3

### ეგე: ეგრე:

ე გ რ ე უთხრა: „მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო?“ 264,1

შედარებით იშვიათად, როგორც ზევით აღინიშნა, **იგი**-ს მონაცვლედ **ისი**-ც დასტურდება: ეს უკანასკნელი სუბიექტისა თუ ობიექტის ფუნქციონირება გამოდის, ნაწევრის როლსაც ასრულებს, ერთი სიტყვით, საგნებით ეტოლება **იგი**-ს. გამორიცხული არაა, **ისი** ტექსტში გადამწერთა მიერ იყოს შეტანილი რიგს შემთხვევაში, მაგრამ ზოგს შემთხვევაში ავტორისეულობა ეჭვს არ იწვევს (იხ. ქვემოთ).

### ისი სუბიექტის როლში:

რადგან **ისი** არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად 238,1  
 შენ და **ისი** წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს 582,4  
 ხმა-მდაბლად ჰკადრებს: „**ისი** ა, სრა მისი, ეძებ რომელსა“ 1113,2  
 ავთანდილ ცნა თუ: „**ისი** ა მოამბედ ჩემად რებული!“ 984,1  
 უბრძანა: **ისი** ვისია ხმა ზათქისა და ზარისა 978,2  
 რა შეხედნა, ესე თქვა თუ: „არ მზეაო **ისი**, ვინ-ა?“ 987,2  
**ისი** ა ჩემი გამზრდელი და თქვენდა მოგებებულა 1511,1  
 ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა, წორს-მყოფი, ახ, **ის** - ა 688,4

ამ შემთხვევაში **ისი** კი არ გვაქვს, არამედ **ის**, **ის** -ა და სარიტორა:  
**ახ** **ის** ა, **ს** ა **ხ** **ის** ა, **მ** **ნ** ა **ხ** **ის** ა, ა **ხ**, **ის** ა:

„მას ვახსენებდე, ნუ გიკვირს, თქმა მჭირდეს მიწყვი ა **ხ** **ის** ა!  
 მზე თუ ვთქვა მსგავსი მისი და ანუ მისისა **ს** ა **ხ** **ის** ა,  
 ვის უნახავს ქმნის გონება ყოველთა კაცთა **მ** **ნ** ა **ხ** **ის** ა;  
 ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა, წორს-მყოფი, **ახ**, **ის**-ა!“ 688

**ი ს ი ობიექტია:**

„რომე მიმიჩნის სამიჯნურო, რად გამსგავსო მე მას ი ს ი!“ 1089,4  
 ი ს ი ერთმეხე სიტყვებს: ვ ი ს ი, თ ვ ი ს ი, მ ი ს ი და ავტორისეუ-  
 ლი ჩანს (სტროფის ორიგინალურობა ეჭვს არ იწვევს):  
 ფატმან ხათუნ დაწერა და გაუგზავნა წიგნი მ ი ს ი,  
 ყმამან ასრე წაიკითხა, და ვინმეა ანუ თ ვ ი ს ი,  
 თქვა: არ იცის გული ჩემი, ვინ მაშიკობს ვისსა ვ ი ს ი  
 რომე მიმიჩნის სამიჯნუროდ, რად გამსგავსო მე მას ი ს ი!“ 1089  
 თუცა ი ს ი არ მოგეკლა, მისრულიყო დარბაზს ვითა  
 შემასმენდა ჯავრიანი, გული ედვა ცეცხლებრ წვითა 1209, 1-2  
 ვაზრობ, ი გ ი ც ა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ი ს ი სად! 985,3  
 ი ს ი ამ შემთხვევაში სტილისტურ საჭიროებას გამოუწვევია: ი გ ი-ს  
 გამეორება („ვაზრობ, ი გ ი ც ა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ი გ ი  
 სად!“) თავიდან აგვეცდინა.

**ი ს ი ნაწევარია და მოსდევს** სახელს, პოსტპოზიციურ წყობას იძლევა:  
 ავთანდილს უკვირს: „ამბავი ი ს ი თუ ვცნაო მე რითა 225,1  
 ამა ქედსა გარდავადეგ, შაბნი ი ს ი მომეარნეს 907,1  
 ორსავე შემთხვევაში კონსტრუქცია ძველია, პოსტპოზიციური („ამბავი  
 ი ს ი\*, „შამბნი ი ს ი“) მსაზღვრელი, ნაწევარი — მასალობრივ ახალი. „იგი“  
 უნდა ყოფილიყო: ამბავი იგი, შამბნი იგი...

**ი ს ი ნაწევარი სახელს წინ უძღვის**, პრეპოზიციულ წყობაში მონაწი-  
 ლეობს:

„აწ მითხარ, თუ რა იტყოდი, რას გაშმაგდი ისრე რეტად?  
 რას გექაღდა ი ს ი კ ა ც ი? მესწრაფების მეტის მეტად“ 1119, 1-2  
 ი ს ი კ ა ც ი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი 1205,2  
 აწ უწინა ესე გითხრა, რას მექაღდა ი ს ი კ ა ც ი 1204,2  
 მოიყვანეთ ი ს ი მ თ ვ ა რ ე, ქმენით კარგად, ეცადენით 1134,2  
 მე და შენ ვჰკითხოთ, ვინ არის, ვისგან სჭირს ი ს ი ხ ე ლ ო ბ ა 1156,3.

**ი ს ი ნაწევარი მრავლობითში დასმულ სახელს უძღვის:**

ი ს ი კ ა ც ნ ი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა 1399,2  
 ი ს ი კ ა ც ი — ი ს ი კ ა ც ნ ი, ძვ. ქართ. კაცი ი გ ი — კაცნი ი გ ი: ნა-  
 წევარი მხოლოდობითში რჩება.

რომე ცუდად არ მოლორდე, ი ს ი კ ა ც ნ ი გლალატობენ 476,1  
 მოვინადირეთ მინდორი, ი ს ი ტყენი და ღრენია 223,3  
 ფრიდონ მონა გამოგზავნა: „წა, ნახეო ი ს ი ს პ ა ნ ი“ 1042,1  
 უფეროქმნილნი მინახვან ვარდნი და ი ს ი ი ა ნ ი 257,2.

**-რე ნაწილაკდართული ის-: ისრე** (ახ. ქართ. ისე):

კაცთა ხორცისად ვით ითქმის ის რ ე თვალთაგან ფარული 111,3

„თულა გახსოვს, რა უნდოდა, ის რ ე ავად რად გაგხადე? 151,4

აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ, თავი ვიხსენ მე რულად 1206,4

„ვეფხისტყაოსნის“ ენაში გამოყავით რამდენიმე მოვლენა, რაიც ძველი ქართულისათვის უცხოა; სახელდობრ:

1. სახელობითის **ი**-ნიშანი ხმოვნის შემდეგ (**ი**-ს სახით) აღარ იხმარება (სიტყვა, მკნე, სამეფო, ცრუ).

2. ბოლოუკვეც სახელთა ნათესაობითის ნიშანი (**-იხ-ა**) **ი**-ს დაკარგვის გამო გარეგნულად მიცემითს ემსგავსება (ოქრო-სა ← ოქრო—დსა).

3. მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციული წყობა მოხშირებულია, თუმცა პოსტპოზიციური წყობაც ფართოდ არის გამოყენებული („სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ — შდრ.: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“).

4. ამის შესაბამისად ხშირია ნაწევარი „იგი“, სახელის წინ დასმული (იგი ყმა, იგი მზე, იგი მთვარე; შდრ.: ყმა იგი, მზე იგი, მთვარე იგი...).

ყველა ეს მოვლენა დამახასიათებელი ჩანს მეთორმეტე საუკუნის საერო ძეგლთა ენისათვის: მათ ვპოულობთ „აბდულ-მესიანისა“ და „ქება თამარ მეფისას“ ენაში, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ენაში, ლაშა-გიორგის ისტორიაში.

სახელობითში **ი**-ს მოკვეცის მაგალითებია:

„აბდულ-მესიანში“: ს ი ტ ყ ვ ა („ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა 5)...<sup>4</sup>  
 ე ნ ა (როს ენა მშვიდი 91)... ქვიშა („ვით ქვიშა ზღვისა“ 86)... ლომს  
 ძ ლ ი ე რ ე ბ ა, მზეს ბრწყინვალეა, მუშკს სუნნელება შენგან მიეცა (58)...  
 ზაკვით ზ დ ა პ რ ო ბ ა, ...მათთან ს ა გ რ ო ბ ა... ბომონთ მ ო თ ხ რ ო ბ ა...  
 თვისად მ კ ვ ი დ რ ო ბ ა (79)... ეგრეთვე ქ ე ბ ა, მსგავსად ჯ ს ე ნ ე ბ ა...  
 სიმკნითა ბ რ ძ ნ ო ბ ა და გ უ ლ ო ვ ნ ო ბ ა (86)... ალვის ხე (9)... მკნე  
 ხარ ასული (9)... მ ე ფ ე მ ო რ წ მ უ ნ ე (81)... ა წ ყ ა რ ო მითა (66)...

ო ქ რ ო ს ა (← ოქროდსა): ზოდი ო ქ რ ო ს ა მისგან თლილისა (44)...  
 ო ქ რ ო ს ა რიგად (61)... ო ქ რ ო ს მილებით (95)... ს ა მ ს ა ჯ უ -  
 ლ ო ს ა (← სამსაჯულოდსა): სამსაჯულოსა სრულად მათისა (13)... საქარ-  
 თველოსა (← საქართველოდსა): საქართველოსა მეფედ წოდებად (16)...  
 სიწმოსა (← სიწმოდსა): ხედვის უფალ ხარ სიწლოთ სიწმოსა (53).

„თამარ მეფის ქებაშიც“ მსგავსი ვითარება გვაქვს:

<sup>4</sup> ნაჩვენებია სტროფის სათვალავი (1937 წლის გამოცემა „ვეფხისტყაოსნის“).

ქვეყანა (13), ცნობა (16), მეფობა (19), მზე დაუვალი (21), მზე მცინარი (24), მოყმე სვიანი (102), დავით მწნე (8), სულის სავანე (81), შემძლე (101), მოცალე, მოწყალე (100), საუფლო (84), უმსგავსო პირი (81), დაუსაბამო (81)...

ბოლოუკვეცი სახელების ნათესაობითი და მოქმედებითი: ს ა რ ო ს ა (← საროდსა): საროსა ხისა (7)... ო ქ რ ო ს ე ბ რ, სიყვარულისებრ (23)... ს ა მ ყ ა რ ო ს სრული, ედემს ასრული (71)... ლ ა შ ა ს (← ლაშადს): გენიშნეს ლაშას აღმორჩებანი (96)... უ ც ხ ო თ ა (← უცხოდა): არ უცხოთა მით, სუფევეთა თვით (98).

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა პოსტპოზიციურცი ხშირია, პრეპოზიციულიც, მეტწილად ერთსა და იმავე სტროფში.

**პოსტპოზიციური:** მჭვრეტთა ვერ უძლეს განცდად სხივისა...

რომ უქმად სდეგით ხატვად სახისა...

თვარ იქმნეთ თვისთვის მზახნი ახისა... „აბდულ-მესიანი“, 48

„თქვენდა მსაჯულო სიმართლისაო!... ბრძმედო სიწმიდისაო... სამუსიკოო ზირაქისაო (25)... სხივნი მზისანი... სალმობანი სიკვდილისანი (23)... მკლავნი ძლიერნი (36)... მეტრფე სახელისათა... მეწდე სიტყვათა სიმართლისათა... (47).

**პრეპოზიციული:** ვით მზე დაფარავს სხვათა ვარსკვლავთა (33)...

მწნე სული (36)... ზე ზის შავსა ტაიჭსა (49)... მთვარის მშვენობით, ცისკრის მთენობით... სამოთხის გული... ქვეყნის მპყრობელი... სჯულის მდებელი (55), ...სწავლის მოძღვარი, საშვებლოს ღვარი, სიწმიდისა ცხორების თვალი, ჰყოფს ანეულსა ერქვნისა ძალი... წყალობის კარი ტკბილად მზრახვალი (55).

**ნარევი:** უჯდების ჰყობა სკიპტრისა ჯელსა... გაბრწყინვებულ ჰყოფს წყვდიადსა ბნელსა... თვისთვის მისრულნი საქმესა ძნელსა... სხივთა ნათელი გვამსა უხრწნელსა (41).

„ქება თამარ მეფისა“:

**პოსტპოზიციური:** თამარ წყნარი, შესაწყნარი, ჯმა-ნარნარი, პირ-მცინარი, მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი(?), მომდინარი... ლაწვ-მწყაზარი შუქ-მფინარი (24).

**პრეპოზიციული:** სამებად ქსული საუფლო სული მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი (80).

**ნარევი:** უმსგავსო პირი, იესეს ძირი, ასულად ვიცნი აბრაამისად (81).

„ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანე“,<sup>5</sup> დაწერილი 1222-23 წ.<sup>6</sup>: სახელობითის დადარ იხმარება:... წარვლო ცხორება, შეიმრსა ჩოჯა და იკურთხა სქემა 12,13... გამობრწყინდა სიმართლე და მრავალი მშუიდობა დღეთა მისთა 14,10... რაოდენ ულხინებელი გლოვა, ტყეპა და თმათა ფხურა იქნებოდა 17,4... სადა იყო სიმრავლე... 15,22... და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა 20,9... დაიცავნ სამეფო ესე 20,7...

**ღ** დაცულია სახელში: და და დემეტრესი თამარ (12,20)... და მი-  
სი კატა დედოფალი (12,22)...

**ფუძეუკვეცი ნათესაობითი და მოქმედებითი:** სამეფოსა (← სამეფოდსა): მოვიდა რუქნადინი... წაღებად ამის სამეფოსა 15,17... სანაპირონი სამეფოსა მისისანი 13,18... ოქროსათა (← ოქროდსათა): ვეცხლის ჭურჭელთა და ოქროსათა (15,22)... ოქროთა (← ოქროდთა): ზანდუკთა, ოქროთა და მარგალიტითა სავსეთა... საფასოთა (← საფასოდთა): მათითა საფასოთა დაივსნა ხარკისაგან უცხო თესლთასა (14,22).

#### **მსაზღვრელ-საზღვრული:**

**პოსტპოზიციური** წყობა: სრულყო რა დავით სრბა მეფობ-  
რივი... გვ. 11,3... მკლავითა ლომებრივითა 11,7... შემწირველი სოფელთა და აგარაკთა 11,18... და აღაშენა სამეფო მისი 11,16... აღივსო ალაფითა და ტყუითა ურიცხუითა (12,2)... ემსგავსა ძირსა კეთილსა დავითიანსა, ხესა ღმრთივ-და-  
ნერგულსა და ცხებულიანსა (12,11)... რომელმან იცოდის ნება უფლისა თუისისა (12,10)... შემდგომად მისსა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქრონიკონსა სამას სამეოცდა ათხუთმეტსა (12,18)...

**პრეპოზიციული** წყობა: მივიდა და უსრულებელსა სუფე-  
ვასა (11,4)... დაადგა გურგუნი მისითა ხელითა (11,6)... ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო (11,16)... დიდმან დავით შარვანს გაგზავნა შვილი დემეტრე (11,22)... ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი... ამათსა მეფობასა შინა აშენდეს (11,19)... გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა (13,4)... ამის დავითის შვილი დავით გიორგის ძმისწული დემეტრე დარჩა (13,24).

ვრცელ კონტექსტში ორივე წყობა ერთი მეორის გვერდით იხმარება:

<sup>5</sup> გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა, 1927.

<sup>6</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობა, გვ. 5.

გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქურივთა განმკითხველი... მღდელთა და მონაზონთა კეთილის მყოფელი, შემწირველი სოფელთა და აგარაკთა (11,12)... სპარსეთისა სულტანნი, შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყუნეს და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშოდ ჰქონდეს (13,17)... შემდგომად გარდაცვალებისა თამარ მეფეთ-მეფისა წარიწირა სასოება ყოველმან ამან სამეფომან (17,20)... ესრეთ წარმართებასა და ბედნიერებასა შინა მათსა და მათი რუსუდანი ითხოვეს ხლათსა დასასმელად დიდმან სულთანმან მელიქმან (19,9).

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ტექსტი 1222-1223 წლისაა, მაგრამ დაცულია მეთხუთმეტე საუკუნის ხელნაწერში: სახელის გაფორმება (ა-ს მოკვეცა) გადამწერთა საქმეაო, შეიძლება გვეთქვა, მაგრამ მეხოტბეების ენაშიც იგივე მოვლენა გვაქვს: აქ ლექსია, ოცმარცვლოვანი, მასში ასეთი ცვლილება არ შეეძლოთ გადამწერთ შეეტანათ: ლექსი ვერ აიტანდა; ა-ს მოკვეცა მეხოტბეთა ენაში ისევე გვქონდა იმთავითვე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში.

„აბდულ-მესიანი“, „ქება თამარ მეფისა“, „ვეფხისტყაოსანი“, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე ერთი ხნოვანების ძეგლებია — მათი ქრონოლოგიური სხვაობა ნახევარი საუკუნის ფარგლებს არა სცილდება — ისტორიის მონაცემებითაც, ენობრივ (კერძოდ, მორფოლოგიურ) თავისებურებათა მიხედვითაც.

ოთხივე ეს თხზულება — ლექსია თუ პროზა — საერო მწერლობის ძეგლებია. მეთორმეტე საუკუნის ეს საერო მწერლობა ემყარება და მოიხმარს იმ მდიდარ სალიტერატურო ტრადიციას, რაც საეკლესიო-თეოლოგიური და ფილოსოფიური ხასიათის ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების სახით შეიქმნა ქართულ ენაზე V-XI საუკუნეთა მანძილზე.

რიგი ძირითადი მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენა ძველი ქართულისა უცვლელად არის დარჩენილი XII საუკუნის საერო მწერლობაში. „ვეფხისტყაოსანში“ ძველი ქართულის შესაძლებლობანი სრულად არის გამოყენებული (ნამყო უსრულის წარმოების ვარიანტები, შედარებითი ხარისხის წარმოების ვარიანტები... სახელების წარმოება სახელისაგან თუ ზმნისაგან)... შემოქმედებას აქ ფართო სარბიელი უჩნდება...

**ა** ← არს; **-ი-ა (ი-ეს-ის ნაცვლად)** და ზოგი სხვა მოვლენა უკვე ძველი ქართული სასულიერო ხასიათის ძეგლებშიც შეინიშნება მეთერთმეტე საუკუნეში; აქ კი ეს ცვლილებები ნორმად ქცეულა.

საერო მწერლობა ყველაზე მეტად ლექსიკითა და სიტყვათ-რიგით განსხვავდება ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ენისაგან.

სიტყვათა რიგზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს, პირველ ყოვლისა, მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობა სინტაგმაში. აქ თვალსაჩინო ცვლილება იგრძნობა მაშინაც, როცა მსაზღვრელად სახელო-

ბითი გვაქვს (ჩემი ძე) და მაშინაც, როცა მსაზღვრელს ნათესაობითი გადმოგვცემს (თვალისა დაფახვა)...

არსებითად ერთნაირი ვითარება გვაქვს XII საუკუნის ხსენებულ ძეგლებში ამ მხრივ.

ვერ შემოწმდა, სამწუხაროდ, ნაწევრის ადგილის საკითხი (იგი ყმა... მან ყმამან... მას ყმასა... მის ყმისა); მეხოტბებთან საამისო მასალა ძალზე მცირეა. **იგი (→ იგ):**

იგი მისთვის შემსგავსებულად (თამარ., 15)... დაწვ მულღაზარობს იგ გამღებარე (თამარ., 30, III)... იგი ვარდ-გული... ხე ედემს რგული (თამარ., 34)... რა ჯამდის, მუნცა ქმნის **იგ** ნაქნარი (თამარ., 62).

პირველ მაგალითში „იგი“ სინტაგმის დამოუკიდებელი წევრი ჩანს, მსაზღვრელი არაა. დანარჩენ სამ შემთხვევაში იგი მსაზღვრელია და წინ უძღვის საზღვრულს, მასთან, ორგან გამარტივებული სახით **იგ** (იგ გამღებარე... იგ ნაქმარი...): იგ ← იგი, შდრ. ის ← ისი... ყველგან წინ უძღვის საზღვრულს.

„თამარის ქმარი დავით. ის ქმარი იყო ოგსთა მეფე (ლაშა-გიორგი, 16,11)... წარიწირა სასოება ყოველმან ამან სამეფომან (იქვე, 17,20)...

„ვეფხის-ტყაოსნის“ ენა — ნაწევრის მხრივ — უფრო ახლოს დგას ძველ ქართულთან, შეიძლება იმიტომ, რომ ეს პოემაა და არა შესხმა, რიტორის თხზული.

**სიტყვათ-რიგის ცვლა** ატრიბუტულ სინტაგმაში, **სხვაობა ლექსიკის შედგენილობაში** (კერძოდ, არაბულისა და სპარსული სიტყვების მოხშირება) **ცოცხალი მეტყველებიდან უნდა მომდინარეობდეს.**

ის, რაც ძნელად თუ შეაღწევდა სასულიერო შინაარსის ძეგლთა ენაში, ადვილად იკაფავს გზას საერო ხასიათის ნაწარმოებებში.

მეთორმეტე საუკუნის **ქართული ცოცხალი მეტყველება** იმდროინდელი კულტურული წრეებისა ის **წყარო ჩანს**, რომლის უკუფენაც სალიტერატურო ენაში ახალი ქართული სალიტერატურო ენის სათავეს გვანიშნებს. ამ წყაროს საგანგებო შესწავლა ესაჭიროება.

მეთორმეტე საუკუნის ქართული ცოცხალი მეტყველება, ალბათ, დიალექტიზმებს არ გამოირიცხავდა. მაგრამ: „როდესაც **დიალექტიზმებს ვამჩნევთ** „ვეფხის-ტყაოსანში“, — ვწერდით ამ ოცდაათი წლის წინეთ, — **არავითარი დასკვნის გაკეთების უფლება არა გვაქვს მანამ, სანამ არ გავარკვევთ, — ამ დიალექტიზმებიდან რა ეკუთვნის იმდროინდელ ქართულ სალიტერატურო ენას და რა შეადგენს პოემის ავტორის კუთვნილებას, მისი კუთხის მეტყველების გამოვლენას.** სხვანაირად რომ ვთქვათ, დიალექტიზმების საკითხის გარკვევა „ვეფხის-ტყაოსანში“ ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა ადგილი უჭირავს „ვეფხის-ტყაოსნის“ ენას ქართული ენის ისტორიაში, რას ეკედლება და აგრძელებს იგი და როგორ აგ-

რძელებს მას, **განვითარების რა მომენტი და რა გეზია მასში წარმოდგენილი**“.<sup>7</sup>

ჩვენი დღევანდელი მოხსენება ამ დებულებას ემყარება და ასაბუთებს.

ჟურნ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“,  
ტ. 15, გვ. 5-34

### О СОЧЕТАНИИ ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ И НОВОГРУЗИНСКИХ ЭЛЕМЕНТОВ В МОРФОЛОГИЧЕСКОЙ И СИНТАКСИЧЕСКОЙ СТРУКТУРЕ ЯЗЫКА ПОЭМЫ РУСТАВЕЛИ "ВЕПХИС-ТКАОСАНИ"<sup>8</sup>

(Предварительное сообщение)

I. Язык поэмы "Вепхис-ткаосани" ("Витязь в барсовой шкуре"), как **поэтического произведения**, может изучаться:

а) с точки зрения **поэтической стилистики**, что естественно считать самым существенным для выявления художественных достоинств бессмертного творения Руставели (см., например, исследование Конст. Чичинадзе "Аллитерация в грузинском "шаири" и проблема "Вепхис-ткаосани", 1925 г.);

б) с точки зрения **филологического** анализа текста поэмы в связи с реалиями культурно-исторического характера;

в) с точки зрения собственно **лингвистической**, — в первую очередь, **морфологической и синтаксической структуры** языка поэмы, что **наиболее важно** для определения места, которое занимает язык "Вепхис-ткаосани" в истории развития грузинского литературного языка.

II. Морфологическая и синтаксическая структура языка поэмы Руставели по ряду основных моментов следует канонам древнегрузинского языка, как они представлены в памятниках X-XI веков, но в некоторых явлениях предлежат инновации.

#### III. Сообразно нормам древнегрузинского языка:

1. Эргативный падеж оформляется посредством суффикса **-man**.

2. Имена лиц в именительном и эргативном падежах (за отдельными исключениями) не имеют падежных окончаний: Avtandil = 1. Avtandil-i; 2. Avtandil-man.

3. Эмфатическое **-а** систематически наращивается на падежные флексии род., дат. и твор. падежей.

<sup>7</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა. დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, „ენიმეის მოამბე“, III (1938), გვ. 220.

Доложено на XXII научной сессии Института языкознания АН ГССР 6 июля 1966 г.



4. Представлены пермансивы обеих серий конъюгационных основ.
5. Динамические непереходные глаголы в 3 л. ед. ч. наст. времени используют суф. **-s**: *s-cteb-i-s* "ошибается".
6. Множ. число прош. несоверш. и прош. основного в 3 л. имеет суффикс **-es** во всех глаголах.
7. Версионные гласные префиксы (**u-**, **a-**) в ряде глаголов используются факультативно: выпадают в ряде случаев; восстановлены, наоборот, в отдельных глаголах.
8. С им. падежом мн. числа, как субъектом, так и объектом глагол согласуется, если мн. число образовано посредством суффикса **-eb**.
9. С дат. падежом во мн. числе глагол не согласуется независимо от того, как он образован (посредством **-ta** или **-eb-s**), и независимо от того, выступает дат. п. в роли реального объекта или же реального субъекта.

IV. Отход от норм древнегрузинского языка находит выражение в таких явлениях, как:

1. Отпадение флексии им. падежа **j** в именах с гласным исходом основы: *aj* → *a*, *ej* → *e*, *oj* → *o*, *uj* → *u*: налицо дедифтонгизация (А. Шанидзе).
2. Фонетический процесс дедифтонгизации в род. и твор. падежах имен с неусекаемыми основами (*ojs-a* → *o-sa*, *o-j-ta* → *o-ta*) ведет к нейтрализации различий род. и дат. падежей.
3. В составных сказуемых вспомогательный глагол 3 л. **ars** "есть" сводится к энклитической частице **-a**.
4. Префиксом объекта мн. числа I лица служит лишь один формант **gw** (вместо двух в древнегруз. яз. *gw-* || *m-*).
5. Результативное I оканчивается в 3 л. на **-a** (вместо **-es** в древнегруз. яз.).
6. В атрибутивном комплексе значительно возрастает удельный вес конструкций препозитивного строя, причем конструкции постпозитивного строя также широко используются с учетом требований строя поэтической речи.
7. Постпозитивное употребление артикля в древнегруз. языке замещается препозитивным строем (в соответствии с изменениями в строе атрибутивного комплекса (см. выше, 6): *qaci igi* → *igi qaci* (спорадически: *isi qaci*).

V. Отмеченные в языке "Вепхис-ткаосани" инновации прослеживаются и в других произведениях светской поэзии XII в. ("Абдул-Месиани", "Восхваление царицы Тамары"), а также в языке "Летописи царствования Лаша-Георгия", датируемой 1222-1223 г. (И. А. Джавахишвили).

Тем самым уточняются хронологические рамки написания "Вепхис-ткаосани".

VI. Инновации, наблюдаемые в морфологической и синтаксической структуре языка "Вепхис-ткаосани", а также инновации в лексическом составе (арабские и персидские слова), надо думать, восходят к **живой речи** образованных слоев общества эпохи Руставели и знаменуют собой зарождение новогрузинского литературного языка в оригинальных памятниках **светской** литературы XII века, должным образом учитывающего богатое наследие древнегрузинского языка.

## ეგზოცენტრული კომპოზიციები „ვეფხის-ტყაოსნის“ ენაში<sup>1</sup>

1. „ვეფხის-ტყაოსნის“ ენაში ხშირია ეგზოცენტრული განსაზღვრებითი კომპოზიციები<sup>2</sup> ტიპისა **მკლავ-მაგარი, სიტყვა-ძვირი, პირ-გამენებული, ომ-გადახდილი...**

„მაგარი მკლავი“ ატრიბუტული სინტაგმაა: „მაგარი“ მსაზღვრელია, „მკლავი“ — საზღვრული. ეს ატრიბუტული სინტაგმა პრეპოზიციურია: მსაზღვრელი უძღვის საზღვრულს; მსაზღვრელი შეიძლება მოსდევდეს საზღვრულს; „მკლავი მაგარი“, წყობა აქ პოსტპოზიციურია.

„მკლავი მაგარი“ იმავე ფუძეებს შეიცავს, რასაც „მკლავ-მაგარი“, ოღონდ ეს ორი ფუძე ერთ სიტყვას ქმნის, რთულფუძიან სიტყვას. „მკლავი მაგარი“ კი სინტაგმაა, ორი სიტყვისაგან შემდგარი. ეს განასხვავებს „მკლავ-მაგარს“ „მაგარი მკლავისაგან“ **შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა - წ ა რ მ ო ე - ბ ი ს** თვალსაზრისით. არსებითი სხვაობაა მათ შორის მნიშვნელობის მხრივ: კომპოზიტი „მკლავ-მაგარი“ მსაზღვრელია, მაგრამ არა „მკლავისა“, არამედ ვილაცისა, რომელსაც „მაგარი მკლავის“ ქონა ახასიათებს:

„მკლავ-მაგარი ტარიელი“: მუნ მიგჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა... 44ბ,2.

„მკლავ-მაგარი მონა“: თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავ-მაგრებია... 28ბ,2.

მთლიანად კომპოზიტი გვევლინება სხვა სახელის მსაზღვრელად.

ატრიბუტულ სინტაგმათა დომინანტი წევრი შესიტყვების შიგნითა გვაქვს: „მაგარი მკლავი“, „მკლავი მაგარი“ — ორსავე შემთხვევაში „მკლავია“ სემანტიკური ორიენტირი, იგი ამ სინტაგმის „შიგნით გვაქვს“; „მკლავ-მაგარს“ ასეთი ორიენტირი „გარეთა“ აქვს: „მკლავ-მაგარი ტარიელი“. ამას გახაზავს ტერმინი: ეგზოცენტრული განსაზღვრებითი კომპოზიტი (შდრ. ენდოცენტრული სინტაგმა: „მაგარი მკლავი“, „მკლავი მაგარი“: სინტაგმის, ამ შემთხვევაში ატრიბუტული კომპლექსის დომინანტი ამ კომპლექსის ერთ-ერთი წევრია: „მკლავი“ — იმისდა მიუხედავად, წინ უძღვის მას მსაზღვრელი თუ მოსდევს. „მაგარი მკლავი“, „მკლავი მაგარი“ ენდოცენტრული სინტაგმა).

<sup>1</sup> მოხსენდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიას 1966 წ. 8 ივნისს.

<sup>2</sup> „არ-ტოლად შერწყმული სახელები“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 190).

2. ეგზოცენტრულ კომპოზიტებში მეორე წევრად შეიძლება გვქონდეს ყველა სიტყვა, რასაც კი მსაზღვრელად ხმარობს ენა; ყველაზე ხშირია ზედსართავი სახელი (ანუ მიმღეობა), აგრეთვე არსებითი სახელი, მსაზღვრელად ნახმარი.

ეგზოცენტრული კომპოზიტის მეორე წევრს **ზედსართავი სახელი** წარმოადგენს: მკლავ-მაგარი... თმა-გრძელი... თავ-შიშველი... ლაშქარ-მრავალი... სიტყვა-ძვირი... გულ-მხიარული... გულ-ფიცხელი... გულ-უშიშარი... გულ-მწუხარე... პირ-ბნელი... პირ-ვმელი... პირ-მსუქანი...

- 446,2 მუნ მივპმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა<sup>3</sup>
- 286,2 თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავ-მაგრები
- 1278,2 შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდიანი
- 69,4 „ვინცა იყოს უარესი; თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს!“
- 355,3 მეფე მორბის თავ-შიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა
- 32,2 მალალი უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი
- 373,4 მან პასუხი არა მითხრა, ჩემთვის ჰგვანდა სიტყვა-ძვირსა
- 684,3 გულ-მხიარულნი, შვებულნი მივლენ დარბაზსა სეფესა
- 663,3 კარგად ვერას ვერ მოივლენს კაცი აგრე გულ-ფიცხელი
- 1044,1 მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა
- 122,2 ყმა შევიდა მოკაზმული მხიარულად, არ პირ-ბნელად
- 1077,2 ნაკეთად კარგი, შავ-გვრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი

3. ეგზოცენტრული კომპოზიტის მეორე შემადგენელ ნაწილად **მიმღეობა** გამოყენებული: გულ-მოკლული... სახელ-დებული... თავ-დადებული... თავ-მოდრეკილი... მუხლ-მოყრილი... ლარ-კიდებულები... პირ-გამეხებულები... ომ-გადახდილი... სიცოცხლე-გაარმებულები... საწუთრო-გაცუდებულები... სულ-მობრძავი... სულ-წასული... სინათლე-კლებულები... შტო-დამჭნარი... ფერ-მიხდილი... პატიჟ-გარდახდილი...

- 41,4 საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად!
- 174,4 მისნი სპანი გულ-მოკლულნი ცრემლსა ცხელსა გარდმოჰყრიდეს
- 150,1-2 ესვა მონა შერმადინ, ზემოთცა სახელ-დებული; თანაშეზრდილი, ერთგული და მისთვის თავ-დადებული
- 1181,4 თავ-მოდრეკილი დაღრჯით ქვე ზის ცნობითა წყნარითა
- 659,4 მერე ქალმან დაადუმა, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა
- 645,2 მისთა სპათა მუხლ-მოყრილთა თავი მათი ჩემ კერძ ირეს
- 1028,3 ქედსა გარდადგეს, აქლემნი აუჩნდეს ლარ-კიდებულები
- 522,1 ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრაღსა ვეფხი პირ-გამეხებულები
- 478,2 ომ-გარდახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი
- 660,3 ვიამბე ჩემი ამბავი სიცოცხლე-გაარმებულმან

<sup>3</sup> მოგვყავს 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

- 335,1 მე წელიწადმდის ბნელსა ვჯე ს ა წ უ თ რ ო - გ ა ც უ დ ე ბ უ ლ ი
- 291,4 მათ მასწავლეს, ძმა რომელთა ს უ ლ - მ ო ბ რ ძ ა ვ ი სამე გლახ-ა
- 1075,3 ზოგნი ნდომით შეჰფრფინვიდეს, ზოგნი იყვნეს ს უ ლ - წ ა ს რ უ ლ ა დ
- 1203,4 მზე მოგვეშორვა, მას აქათ ჩვენ ვართ ს ი ნ ა თ ლ ე - კ ლ ე ბ უ ლ ნ ი
- 1359,2-3 ალვისა შტო-დამჰნარისა, მთვარისა ფ ე რ - მ ი ხ დ ი ლ ი ს ა  
უთხრა თუ: „ნახე ნაწერი მის პ ა ტ ი ყ - გ ა რ დ ა ხ დ ი ლ ი ს ა“

4. ეგზოცენტრული კომპოზიციის მეორე შემადგენელი ნაწილი **არსე-ბითი სახელია**, მსაზღვრე ლაღ ნახმარი:

- პ ი რ - მ ზ ე... პ ი რ - ო ქ რ ო
- 57,1 თავსა ზის პ ი რ - მ ზ ე ავთანდილ, მჭვრეტაგან მოსანდომია
- 841,3 შეწვის, ჭამის და წავიდის პ ი რ - მ ზ ე, გულ-მარხიანი
- 1190,2 ქალი პ ი რ - მ ზ ე ბედსა ეტყვის: „რა ბედი მიც ჩემი მკლველი“
- 1285,1 პ ი რ - მ ზ ე სწერს: „აჰა, ხათუნო, დედისა მჯობო დედაო!“

პირმზე-ში მეორე ფუძე („მზე“) გადმოგვცემს წინა ფუძის თვისებას, როგორც მომდევნო ზედსართავი (ანდა მიმღეობა); შდრ. პირ-ქუში, პირ-ხმელი, პირ-შავი...

- ეგვევ ითქმის პ ი რ - ო ქ რ ო ს შესახებ.
- 72,3 პ ი რ - ო ქ რ ო რიღე ეხვია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი
- 521,2 ებურა მოშლით პ ი რ - ო ქ რ ო რიღე, მე მივეც რომელი...

5. ეგზოცენტრულმა კომპოზიტიმა შეიძლება დაკარგოს მსაზღვრელის ფუნქცია, ე. ი. მოიშალოს კავშირი საზღვრულთან, და გასუბსტანტივდეს. ამის მაგალითი იქნებოდა „პირ-უტყვი“, „პირ-უტყვი“ უპირისპირდება „პირ-მეტყველს“, ერთიცა და მეორეც მსაზღვრელი იყო: „პირ-უტყვი ცხოველი“, „პირ-მეტყველი ადამიანი“:

- 1001,2-3 მასვე ცხენსა შენეულსა ზის, აროდეს გარდახდების,  
.. არას ნახავს პ ი რ - მ ე ტ ყ ვ ე ლ ს ა, ვით ნადირი კაცთა ჰკრთების...
- 938,2-3 მოგშორდები და არ ვიცი, თუ ცხენი დამცემს, თუ ნავი,  
არ, უთქმელობა არ ვარგა, არ პ ი რ - უ ტ ყ ვ ი ვარ მჩმუნავი...

ამჟამად სემანტიკური კორელაცია „პირ-უტყვისა“ და „პირ-მეტყველისა“ მოშლილია: უკანასკნელი აღარ იხმარება, საზღვრულთან („ცხოველი“) მიმართებაც გამქრალია: „პირუტყვი“ არსებით სახელად არის ქცეული:

- ასევე — ს უ ლ - დ გ მ უ ლ ი:
- 117,3 მისსა მნახავსა ს უ ლ - დ გ მ უ ლ ს ა კაცსა ვერ შევეყარებით...
- 1511,3 ჩემად არაკად ს უ ლ - დ გ მ უ ლ ი კაცი არ გაწბილებულა...
- შდრ. 437,1: არვის გავენდევ ს უ ლ - დ გ მ უ ლ ს ა, დავმალე ვითა ჭორია  
„სულ-დგმული“ უკანასკნელ მაგალითში არ გულისხმობს სა-

ზღვრულს: იგი სუბსტანტივია.

6. ეგზოცენტრული კომპოზიტი გასუბსტანტივებულია მაშინაც, როცა მისგან თვისების განყენებული სახელი უწარმოებიათ:

- გ უ ლ - მ ა გ ა რ ი: გ უ ლ - მ ა გ რ ო ბ ა:
- 1508,4 შესხდა სიმრავლე მოყმისა მკლავ-ფიცხელ, გ უ ლ - მ ა გ რ ე ბ ი ს ა
- 533,4 თავსა ვუთხარ, მიემოწმე, ჟამად გიჯობს გ უ ლ - მ ა გ რ ო ბ ა

გ უ ლ - ნ ა კ ლ უ ლ ი: გ უ ლ - ნ ა კ ლ უ ლ ო ბ ა:

1498,4 არ იტყვიან — არა გვაქვსო, იგ ამისთვის გ უ ლ - ნ ა კ ლ უ ლ ნ ი

442,4 აბჯრითა გხედავთ, შეგვკმნია აწ ამაღ გ უ ლ - ნ ა კ ლ უ ლ ო ბ ა

ს უ ლ - დ გ მ უ ლ ი: ს უ ლ - დ გ მ უ ლ ო ბ ა:

506,3 გამეღვიძა, აღარა მყვა, ს უ ლ - დ გ მ უ ლ ო ბ ა მომეწყინა...

1214,2 სიცოცხლე და ს უ ლ დ გ მ უ ლ ო ბ ა, მონაგები ჩემთა ხელთა..

7. ეგზოცენტრული კომპოზიტი, როცა მასში ნ ა მ ყ ო დ რ ო ი ს მიმღეობა მონაწილეობს, **სუბიექტურად** იქცევა თავის ფუნქციით მაშინ, როდესაც ეგვევ მიმღეობა ე ნ დ ო ც ე ნ ტ რ უ ლ ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ კ ო მ პ ლ ე ქ ს - შ ი **ობიექტური** ხასიათისაა:

შდრ.: „გამეხებული პირი“ (რა?) და „პირ-გამეხებული ნესტანი“ (ვინ?)

„მოკლული გული“ (რა?) და „გულ-მოკლული ავთანდილი“ (ვინ?)

„გარდახდილი ომი“ (რა?) და „ომ-გარდახდილი ტარიელი“ (ვინ?)

ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობის შედეგი მოსდევს. როგორც ცნობილია, ნამყო დროის მიმღეობა მოქმედებითი გვარისა ქართულ ზმნას არ ეწარმოება. უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ — ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მიმღეობა მოქმედებითი გვარის ზმნას ნამყოში არ ეთვისება (და ეს გარკვეულად ახასიათებს გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადის ფუძეს): „დაჭრილი“ — ვინც დაჭრეს, „ამენებული“ — რაც ააშენეს... „ვინც დაჭრა“, „ვინც ააშენა“ „დამჭრელი“, „ამენებელი“ ითქმის, ე. ი. აწმყოს მიმღეობას ვიყენებთ, რაკი ნამყოსი არა გვაქვს.

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში დასტურდება იმის მაგალითები, რომ ეგზოცენტრული კომპოზიტი გამოყენებული იყოს გ ა რ დ ა მ ა - ვ ა ლ ზ მ ნ ა თ ა ნ ა მ ყ ო დ რ ო ის მიმღეობის გადმოსაცემად („კურსდამთავრებული“): ობიექტური მიმღეობა სუბიექტური მიმღეობის ფუნქციით აღიჭურვოს.

8. ეგზოცენტრული განსაზღვრებითი კომპოზიტები ძველ-ქართულშიც გვაქვს, თარგმნილს ძველებშიცა და ორიგინალურშიც: ტ ვ რ თ - მ ძ ი მ ე — („მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ“ — ოთხთავი, მთ. 11,28 E, შდრ. D: ყოველნი მაშურალნი და რომელთა ტვრთი მძიმე გეტვრთა)... სულ-გრძელ — („სულგრძელ იყავ ჩემ ზედა“ მთ. 18,26)... ნ ა ვ დ ე ლ - რ ე უ ლ — („და მისცეს მას სუმად ღვნოდ ნავდელ-რეული“... მთ 27,34)... ქ ვ ა - ფ ე ნ ი ლ — („დაჯდა... ადგილსა მას, რომელსა ერქუმის ქვაფენილ... ინ 19,13).

...ზეთისხილნი ნ ა ყ ო ფ - ს ა ვ ს ე ნ ი... (გრიგ. ხანძთელის ცხორ. 01 11 ზ)... უმჯულოთაგან ზ ა რ - გ ა ნ ჯ დ ი ლ თ ა ქრისტწნეთა... (იქვე, იმ 13 ქვ)... სამწყსოთა მათ პ ი რ - მ ე ტ ყ უ ე ლ თ ა (იქვე, მმ 7 ზ)... ნუგეშინისცა ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ს ა (იქვე, მ 12 ზ)...

ოთხთავის ტექსტში ხშირია გ უ ლ - ფ უ ძ ე ზ ე დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი ე გ ზ ო ც ე ნ - ტ რ უ ლ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი: „გ უ ლ - მ ო დ გ ი ნ ე“, „გ უ ლ - ს ა ვ ს ე“, „გ უ ლ -

ძკრი“, „გულ-მედგარი“, „გულ-პყრობილი“, „გულ-ფიცხელი“...

ყველა ეს კომპოზიტი ახალ ქართულ სალიტერატურო ენაშიც დასტურდება (რიგი სხვაც ერთვის ზემოთ აღნიშნულ მაგალითებს).

9. „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, მის მორფოლოგია-სინტაქსსა და სიტყვაწარმოებაში<sup>4</sup>, რიგი მოვლენა ძველი ქართულისებურია, ზოგი ახალი ქართულიდან ცნობილს წარმოგვიდგენს, ზოგიც თავისებურია — გარდამავალი ძველსა და ახალ ქართულს შორის<sup>5</sup>.

ეგზოცენტრული კომპოზიტები ისეთ მოვლენათა წყებას ეკუთვნის, რაც ძველს ქართულში უკვე გვქონდა, ახალ ქართულში დიდი სარბიელი დაუჩა. „ვეფხისტყაოსანშიც“ შეუზღუდავად იხმარება, როგორც სიტყვაწარმოების საშუალება.

ჟ. „მაცნე“. საქ. სსრ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ-ბის ორგანო, 1966, №5, გვ. 21-24.

თეზისები: თსუ ფილოლ. ფაკ-ტის მე-10 სამეცნ. სესია, 1966, ივნ., თსუ გამ-ბა, გვ. 6-7

<sup>4</sup> მორფოლოგია-სინტაქსისა და სიტყვაწარმოების ანალიზის გარეშე ვერ გაირკვევა, თუ რა ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ ენას ქართული ენის განვითარების ისტორიაში.

<sup>5</sup> ამის შესახებ საუბარი გვაქვს ცალკე წერილში (იბეჭდება „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XV ტომში).

## დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

დიალექტიზმი ეწოდება კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას სალიტერატურო ენაში: აქედან ჩანს, რომ დიალექტიზმების საკითხი დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთობას გულისხმობს, ამ ორი მონაცემის არსებობას ვარაუდობს.

ყოველ სალიტერატურო ენაში ნიადაგ მოჟონავს ცოცხალი დიალექტების მოვლენები, ლექსიკურიცა და მორფოლოგიურ-სინტაქსურიც, სემასიოლოგიურ-სტილისტიკურიც: სალიტერატურო ენა ამით საზრდობს, სალიტერატურო ენა ამის გარეშე ვერ განვითარდება — ეს პროცესი, მამასადამე, ნორმალურია.

ყველა კილო, რა თქმა უნდა, თანაბარ მონაწილეობას იღებს სალიტერატურო ენის ამ მომარაგებაში: საორიენტაციო — გარკვეულ პერიოდებში — გარკვეული დიალექტებია და ისინი უფრო ინტენსიურად ამარაგებენ სალიტერატურო ენას, მაგრამ თეორიულად წარმოდგენილია და პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი კილო, რომელსაც სრულებით არაფერი შეჰქონდეს წიგნის ენაში.

საგულისხმოა, რომ მომხმარებელი, სალიტერატურო ენის პროდუქციის მკითხველი, ჩვეულებრივად, ვერც ამჩნევს **ორდინარულ** დიალექტურ მოვლენებს წიგნის ენაში. მაგრამ დიალექტიზმები ძალაუვნებურად იქცევენ ყურადღებას, როდესაც ჭარბად შემოდის, ანდა ისეთ გრამატიკულ მოვლენებში მჟღავნდება, რომლებიც სალიტერატურო ენისათვის სრულებით უცხოა. ასე, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ლექსებსა და პოემებში ყველა აღნიშნავს დიალექტიზმებს, ვაჟას პროზა კი სალიტერატურო მეტყველების დახვეწილ ნიმუშადაა სამართლიანად მიჩნეული. დიალექტიზმები ამ უკანასკნელშიც მოიპოება (ლექსიკაში, პირველ ყოვლისა), მაგრამ მისთვის უცხოა ისეთი მოვლენები, რომელთაც ლექსებში ვხვდებით: „ვსთქოდით“, „დავსხდოდით“, „უთხროდით“:

„როცა საფიხნოდ დ ა ვ ს ხ დ ი თ...“

ვ ს თ ქ ო დ ი თ, რაც გადაგვხედია...

„შენც რამა თქვიო“, უ თ ხ რ ო დ ი თ,

პირი რას მოგიკუშია?!“

(„ივანე კოტორაშვილის ამბავი“, თხზ. III, გვ. 292).

ძლივ მაშინ გ ა ვ ა ც ი ნ ო დ ი თ...

მაშინ ძლივ ვ ა თ ქ მ ე ი ნ ო დ ი თ...(იქვე, გვ. 293).

ერთი შენიშვნაც ზოგადი ხასიათისა: განვითარების პროცესში სალიტერატურო ენამ შეიძლება იცვალოს ორიენტაცია; თუ გარკვეულ ხანაში მას ერთ დიალექტთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი, სხვა დროს სხვა დიალექტი აღმოჩნდება საორიენტაციო... ამის უშუალო შედეგია „ღირებულებათა გარდაფასება“, — ერთი დროისათვის ლიტერატურული, მეორე შემთხვევაში დიალექტიზმი გამოდის. ასე, მაგალითად, „მეზობლები მოვიდა“ ახლა არალიტერატურული, დიალექტური სინტაქსური ნორმაა (გურულისა და იმერულის დამახასიათებელია)<sup>1</sup>. ძველი ქართულისათვის კი ესაა სალიტერატურო ნორმა... „ამდგარ არიან“ ახლანდელი ვითარებისათვის დიალექტიზმია, ძველი ქართულისათვის — არა... ეგევე ითქმის „ვინცაღა“, „რაცაღა“ სიტყვების შესახებაც (იხ. ქვემოთ).

ერთი სიტყვით, **დიალექტისა და სალიტერატურო ენის შეფარდება უცვლელი მონაცემი არაა, იგი ისტორიულად ცვალებადია**. ამასთან დაკავშირებით იცვლება დიალექტიზმების კვალიფიკაციაც. ამ დებულების გახსენება ჩვენ ქვემოთ დაგვჭირდება.

დიალექტიზმი ჩვეულებრივად იმ კუთხის მეტყველებას გვაძლევს, საიდანაცაა მწერალი (ავტორი). ვაჟა-ფშაველას შემოაქვს ფშაური კილოს დამახასიათებელი მოვლენები, ეგნ. ნინოშვილს — გურულისა...

ამიტომ გასაგებია, რატომაა აქტუალური დიალექტიზმების საკითხი „ვეფხისტყაოსანში“: დიალექტიზმების ანალიზს შეეძლება მიგვახვედროს, რა კუთხიდან იყო შოთა რუსთაველი... ამრიგად, დიალექტიზმების საკითხი არა მხოლოდ საენათმეცნიერო მიზნებს უპასუხებს, არამედ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ-ისტორიული პრობლემის გარკვევისას.

\* \* \*

ცნობილია, რომ არსებობს შეხედულება: შოთას ენაში მესხური დიალექტის დამახასიათებელი მოვლენები გვაქვსო, შოთა რუსთაველი მესხი იყოო. ეს აზრი გამოთქმული აქვს აკად. ნ მ ა რ ს (1917 წ.)<sup>2</sup>. ამავე აზრის დასაბუთებას ცდილობს გ. ნ ა თ ე ნ ა ძ ე „მნათობში“ (იხ. 1937, №8-9, გვ. 265-91).

ამ ნაშრომთა განხილვას აქ არ შევეუდგებით; ვიტყვით მხოლოდ, რომ ორსავე შემთხვევაში ამოსავალია ლექსიკა; გ. ნათენაძის ლექსიკური მასალების

<sup>1</sup> ასევე იყო, ალბათ, ქართლურშიც ძველად; მაგრამ ქართლურმა აქ ცვლილება მოგვცა. იმერული და გურული კი შერჩა წინანდელ წესს; აქედან: ასეთი სინტაქსური შეფარდება იმერული და გურული ჩანს.

<sup>2</sup> იხ. "Грузинская поэма "Витязь в барсовой шкуре" Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема. I. Племенная среда. II. Культурная среда и эпоха". Петроград, 1917. Изв. Ак.И. გვ. გვ. 485, 486, 447, 442, 446.



უმეტესობა სპეციფიკური არ აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ ძველი ქართულის ცნობილ ფაქტებს; ის მცირე რამ კი, რაც რჩება, მხოლოდ იმიტომ შეიძლება ჩანდეს სპეციფიკურ მესხურად, რომ სხვა დიალექტების ლექსიკური მარაგი სათანადოდ შესწავლილი არ არის; მაგრამ თუნდაც რომ ეს ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ მესხური აღმოჩნდეს, ის მაინც არ იკმარებს იმ დასკვნის გამოსატანად, რომელიც ავტორს სურს მიიღოს.

აკად. ნ. მარის ლექსიკური საანალიზო მასალა ბოლოს და ბოლოს რამდენიმე სიტყვისაგან შედგება: სოქალი, სარატანი, აბჯარი, ზარადი, უფრჭკველი, სარაჯი, კარაბაკი, ზარი, ეჯი... ამ სიტყვათა უმეტესობა ნასესხებია, ეს მასალა გამოყენებულია სონ-მესხურობის ცნობილი თეზის საილუსტრაციოდ და კონცეფციის გასაშლელად, რომლის თანახმადაც „მესხური კილოა პოეტის მშობლიური მეტყველება“, ავტორი მუსლიმანია და, რადგანაც მესხეთის გამუსლიმანება არც მეთორმეტე და არც მეცამეტე საუკუნეში არ მომხდარა, არამედ უფრო გვიან მოხდა, პოემის უფრო სწორად გაგების მიზნით ჯეროვანია ეჭვი დაიბადოს პოემის დაწერის დროის შესახებ არსებულ ტრადიციულ გაგებაში (გვ. 506); „სახელგანთქმული ქართული პოემა შეიქმნა გარკვეულს, არა მხოლოდ ეროვნულს, არამედ ტომობრივ წრეში საზოგადო-კავკასიურ კულტურულ-ისტორიულ მდინარებათა ფოკუსში, კერძოდ, მუსლიმანური და ქრისტიანული ცოცხალი **ხალხური** ურთიერთობის პროცესში“ (გვ. 506).

აკად. ნ. მარის ეს გამოკვლევა კლასიკური ნიმუშია დასაყრდენი ფაქტებისა და მასზე აგებული კონცეფციის დისპროპორციისა, რის ბუნებრივი შედეგია ამ სიფრიფანა მასალაზე აგებული კონცეფციის აუცილებელი და მოსწრაფებული ცვლა... ამბობენ, აკად. ნ. მარმა შემდეგ ამ საკითხზე შეხედულება შეიცვალაო. ამ შემთხვევაში ეს ცვლა კი არაა გაუგებარი; გაუგებარი ისაა, რომ აკად. ნ. მარის ეს ნაშრომი, სადაც არც ერთი დებულება დასაბუთებული არაა და პრობლემების ნებისმიერი ინტერპრეტაციის ნიადაგზე აგებული კომპოზიციას წარმოდგენილი, ხშირად რუსთველოლოგიის უდიდეს მოვლენად აქვთ დასახული.

\* \* \*

დიალექტიზმების საკითხის განხილვისას ყველაზე ნაკლებ სანდოა ე. წ. არსებითი სახელები (სუბსტანტივები), რადგანაც ისინი ყველაზე ადვილად იცვლება. გაცილებით უფრო მკვიდრ საყრდენს წარმოადგენს ნაცვალსახელები და მათთან დაკავშირებული ზმნისართი; და კიდევ უფრო საიმედოა მორფოლოგიური ელემენტები: ამათ მეტი გამძლეობა და სტაბილურობა ახასიათებს და იმიტომ.

რა თქმა უნდა, ცვლილებებსა და მერყეობას ესენიც გვაძლევენ, მაგრამ ამ ცვლილებებისათვის თვალყურის დევნება შედარებით უფრო ადვი-

ლია მაშინ, როდესაც არსებით სახელთა ისტორიის გზები გაცილებით უფრო ძნელი გამოსაცნობია.

ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ „ვეფხისტყაოსანში“ ისეთ, ერთი შეხედვით, სპეციფიკურ სიტყვათა ხმარებას, როგორცაა „დაგდება“, წმინდა ქართლური გააზრებით, ანდა „მოლორება“ მოტყუების მნიშვნელობით, ძირი ჭანურისა და მეგრულისათვის დამახასიათებელი, მაგრამ იმერულსა და გურულშიაც ხმარებული.

#### **დაგდება:**

80<sub>3</sub><sup>3</sup> : არცა და ა გ დ ო ტირილი, არცა რა გაუგონა მან...

387<sub>1</sub> : და ვ ა გ დ ე მზღუარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია...

1276<sub>3</sub> : მაგრამ და ვ დ ე ბ ა უმძიმდა ფატმანის გულ მდუღარისა...

1394<sub>3</sub> : რა მოგწორდე, რა ვიქმნები, მე და მ ა გ დ ე ბ, ვითა რეტსა...

**დაგდება** აქ ყველგან „დატოვებას“ ნიშნავს; ასეა ქართლურშიც (და შეიძლება ზოგ სხვა აღმოსავლურ კილოშიც)...

უდაოდ, აღმოსავლურია აგრეთვე „**დარჩომა**“ („დარჩენის“ ნაცვლად); „ვეფხისტყაოსანში“ ის ხშირია.

#### **მოლორება:**

723<sub>2</sub> : რად მო ვ ღ ო რ დ ი, რად დავბნელდი, ნეტარ ვინლა გამითენოს!

1145<sub>2</sub> : მო ღ ო რ ე ბ უ ლ ხ ა რ თ, დამცდარხართ თქუენ ჩემსა

პატრონობასა...

1513<sub>4</sub> : ავთანდილ უთხრა: „მაგითა შენგან არ მო ვ ი ღ ო რ ე ბ ი!“...

629<sub>3</sub> : თუ გიტყუო, მო ვ ა ღ ო რ ო ღმერთმან რისხუით გამიკითხოს...

ა ღ ო რ ე ნ ს, და ა ღ ო რ უ — „ატყუებს“, „მოატყუა“ ერთად ერთი სიტყვაა მეგრულში, „ო ღ ე რ დ ი ნ ა მ ს“, „ო ღ ე რ დ ი უ“ მასვე გადმოგვცემს ჭანურში...

საინტერესოა, რომ შოთა „მოტყუებასაც“ და „მოლორებასაც“ ერთად ხმარობს: „თუ გატყუო, მოგადორო“... „მოლორებულხართ, დამცდარხართ“<sup>4</sup>.

ამგვარი ლექსიკური მასალა ახლაც შეიძლებოდა მოგვეხსენებინა (პ ა შ ტ ა ი, ყ უ ე ლ ა კ ა ი...), მაგრამ ზევით უკვე ვთქვით, რომ მეთოდოლოგიურად ვერ გამართლდება სიმძიმის ცენტრის გადატანა ამგვარ მონაცემზე<sup>5</sup>.

<sup>3</sup> პირველი ციფრი სტროფს აღნიშნავს, მეორე — სტრიქონს; სტროფები ნაჩვენებია ს. კაკაბაძის პირველი გამოცემის მიხედვით (1913 წ.). კომისიის ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემაში, ვერ გამოვიყენეთ, რადგანაც იგი მხოლოდ 1937 წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში გამოვიდა.

<sup>4</sup> ანალოგიური შემთხვევები აკად. ნ. მარსაც აქვს ნაჩვენები.

<sup>5</sup> „ყველაყაი“, მაგალითად, პირწავარდნილი გურული სიტყვა ეგონება კაცს, მაგრამ რამდენად სახიფათოა ამგვარ ფაქტებზე დაყრდნობა, ჩანს იქიდან, რომ 1927 წ. მთიულურზე მუშაობისას ეს სიტყვა, — სწორედ ამ სახით, — არავის ხეობაში

თუ ნაცვალსახელებს, ზმნისართებს და მორფოლოგიურ ფაქტებს თვალს გადავავლებთ, ზოგადი შთაბეჭდილება ასეთი იქნება: **„ვეფხისტყაოსანში“ მოიპოება, როგორც აღმოსავლეთ-საქართველოს ბარის კილოების (ქართლურ-კახურის, პირველ ყოვლისა) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ-საქართველოს (იმერეთ-გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მონაცემები...** მასთან, პირველი შეხედვით, სწორედ ეს უკანასკნელებია, ცხადად რომ ჭარბობს.

აღვსუსხოთ ეს მოვლენები და შემდეგ შევაფასოთ ისინი. ფაქტების აღნუსხვისას ჩვენთვის ამოსავალია თანამედროვე ვითარება, მეოცე საუკუნის სალიტერატურო ქართული. შეფასებისას, თქმა არ უნდა, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ადგილს ქართული ენის ისტორია დაიჭერს.

\* \* \*

**აღმოსავლური კილოებისა** და, პირველ ყოვლისა, ქართლურ-კახურის **თავისებურებათა თვალსაზრისით აღსანიშნავია:**

**I. მოქმედებით ბრუნვასთან -დაღმა || -დაღმე (გაღმა) სიტყვის ხმარება:**

929<sub>3</sub> : ა ქ ა დ ა ღ მ ე ათ დღე მიხუალ ნაკუთად სარო, ფერად ლალი...

863<sub>4</sub> : თ ა ვ ი დ ა ღ მ ა რად არ იტყუი, ჩემი გული რაგუარ დნების!...

1088<sub>3</sub> : ჩემნი ყმანი ზ ე დ ა დ ა ღ მ ა ნ ჩაეპარნეს, ვითა ფრენით...

1085<sub>1</sub> : მით ნ ა ვ ი დ ა ღ მ ა ნ მათ რომე გარდმოსუეს კიღობანითა...

1179<sub>4</sub> : მით ნ ა თ ლ ი დ ა ღ მ ე გამოვდა ვმა, ჩვენი მოუბარეო...

ეს **-დაღმა || -დაღმე** ამოსავალია **-ამ-** თანდებულისა, რომელიც ქართლურსა და კახურში გაბატონებული ჩანს. XIII-XVIII საუკუნის ძეგლებში წრმოდგენილია ყველა ის შუა საფეხური, რომელიც ამორებს **ამ-**ს (უფრო ზუსტად, **ღამ-**ს) და **დაღმა-**ს<sup>6</sup>:

ნ ა ვ ი დ ა ღ მ ა ნ → ნ ა ვ ი დ ა მ ა → ნ ა ვ ი დ ა მ ...

თ ა ვ ი დ ა ღ მ ა ნ → თ ა ვ ი დ ა მ ა → თ ა ვ ი დ ა მ ...

„ვეფხისტყაოსანში“ ეს წარმოება არაა ძირითადი: ძირითადია — ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი **-გან-**თანდებულისანი წარმოება (ასიმილაციითა და უასიმილაციოდ) ანდა უთანდებულო წარმოება:

1425<sub>3</sub> : ვარ მ უ ც ლ ი თ გ ა ნ ვ ე დედისა თქუენად სამონოდ შობილი...

ანდა: გ უ ე ლ ს ა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი...

ჩავიწერეთ სოფ. მღეთის მცხოვრები მოხუცისაგან. ალბათ, ეს სიტყვა ძველად არა მხოლოდ ამ კილოებს ახასიათებდა... შეიძლება ახლაც იხმარებოდეს სხვა კილოებში.

<sup>6</sup> იხ. ამის შესახებ ავტორის ნარკვევი: „ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში“; ენიმკის მოამბე, ტ. I, 19

ამ -გან-იანმა წარმოება მოგვცა დღევანდელი -ან:

მ უ ც ლ ი თ - გ ა ნ → მ უ ც ლ ი დ - გ ა ნ → მ უ ც ლ ი დ - ა ნ...

II. აწმყოს ფუძის საწარმოებელ -ევ- სუფიქსის მონაცვლე -ავ- სუ-  
ფიქსი მომდევნო ხმოვნის წინ ვ-ს კარგავს თანამედროვე სალიტერატუ-  
რო ქართულში, დასავლურ კილოებში, მაგრამ ინარჩუნებს აღმოსავ-  
ლეთ საქართველოს კილოებში, უპირატესად მთაში, წინათ უთუოდ —  
ბარშიც:

ა თ რ ე ვ ს — ა თ რ ი ვ ა → ა თ რ ი ა...

და ხ ე ვ ს — და ხ ი ვ ა → და ხ ი ა...

**„ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია ეს მეორე, ვ-იანი საფეხური:**

774<sub>4</sub> : აზომ რომე გ ა გ ა თ რ ი ვ ე შენ, ვაზირი, გულის გული...

428<sub>2</sub> : მეფისათვის დ ა ვ ა რ ჩ ი ვ ე საარმალნოდ, რაცა სჯობდა...

151<sub>3</sub> : ცოტასა ხანსა ვ ა რ ჩ ი ვ ე გაჭრა სმასა და მღერასა...

1089<sub>3</sub> : იგი ზღუასა შე ე ა ს რ ი ვ ე ს, შემოადგეს ქალსა, სცუიდეს...

1041<sub>4</sub> : თუ რას მეწევი, მე წ ი ვ ე, თუარამ მივდილვარ ცნობასა!...

III. -ოდ- სუფიქსის ნაცვლად -იყო-ს გამოყენების ორიოდე მაგა-  
ლითი (ერთსა და იმავე ზმნასთან) უთუოდ აღმოსავლურ კილოთა კუთ-  
ვნილებას წარმოადგენს:

764<sub>1,2</sub> : რაცა თქუნთუის არ ვ ა რ გ ი ყ ო ს საჭურჭლესა დასადებლად,  
მიეც ზოგი ხანაგთა და ზოგი წიდთა ასაგებლად...

258<sub>3</sub> : რომე მათთანა ალვისა ხეცა ვ ა რ გ ი ყ ო ს ხედ არად

ჰგუანდა შუიდთავე მნათობთა, სხუადმცა რალა ვთქუა მე

დარად...

ჰქონიყო, ჰყოლიყო, შეჰხვედრიყო, დასდებიყო და  
მაგვარი წარმოება ძირითადია ქართლსა და კახეთში, მთაშიაც:

შდრ. ხევსურული:

ოღინათასა გიგიას გული ზ დ ე ბ ი ყ ო ქვისაო...

...ერთი რაოდ გა ღ ო რ დ ნ ი ყ ვ და მ ა ხ ვ ე დ რ ი ყ ვ ტყვია

ფეწში ამხანიგს გიგიას... (ხევსურული ტექსტები ბეს. გაბუურისა,

გამოც. აკ. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, „წელიწდეული“, I, გვ. 198<sub>21,1</sub>)...

ქვემოთ ვნახავთ, რომ „ვეფხისტყაოსნისათვის“ ნორმა -ოდ-სუფიქსი-  
ანი წარმოება ამგვარ გარდაუვალ ორპირიან ზმნებთან. -იყო-თი წარმოება  
სპორადულად ჩნდება გაბატონებული წარმოების გვერდით და აღმოსავ-  
ლურ კილოთა უდაო კუთვნილებას წარმოადგენს..

**IV. ამავე წრისად უნდა მივიჩნიოთ აქათ-ზმნისართი აქეთ-ის მნიშვნელობით:**

- 380<sub>1</sub> : ერთმანერთისა მას აქათ რაცა ორთავე ვიცითა,  
აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა...
- 325<sub>1</sub> : იქით და აქათ მამისხდეს, მახურიტეს სახურეტელია...
- 569<sub>2</sub> : იქით და აქათ მამიჯდეს; ერთ კერძ ვერ მამერეოდეს...
- 620<sub>3</sub> : მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავსა მათებრივ მსენებნი...
- 627<sub>1</sub> : რომე აქათ არ წახუიდე, შენ თუ ამას შემიპირო...

შდრ. ვაჟა-ფშაველა:

გაისმის აქათ -იქითა: „ვაჰმე რა გვეშველებო“... (თხზ. III, გვ. 28).  
ხევსურ.: გიგია იქით მჯაროზე მჯდარიყვ, აღუა — აქათ ი  
(წელიწდ. I, 197<sub>26</sub>).

**V. დამახასიათებელია მარტოოდენ გუ თავსართის ხმარება მრავლობითის O<sub>1</sub>-ის აღსანიშნავად (415: მოგუხედნა, შეგუაშინა, ამოგუწყუიტნეს, 389: შეგუინდეთ, შეგუინანია, შეგუიწყალებდეთ და სხვ.).**

რატომ არის შესაძლებელი ამ მოვლენის დაკავშირება აღმოსავლეთ საქართველოს კილოებთან, ნაჩვენები იქნება ქვემოთ...

\* \* \*

**დასავლური კილოების დამახასიათებელია შემდეგი მოვლენები:**

**I. ნაცვალსახელ მისი-ს (მათი-ს) ხმარება „თავისი-ს“ (თავიანთი-ს)**

**ნაცვლად:**

- 239<sub>3-4</sub> : ერთმანერთსა შეგამეცნე, თავი შენი შევაყუარო  
თუით გაიმბოს საქმე მისი, საყუარელსა გაახარო...
- 540<sub>1-2</sub> : მის მეფისა წესი იყო, თავი მისი ძუირად ფიცის,  
და თუ ფიცის, არ გასტეხის, მასვე წამსა დაამტკიცის...
- 1034<sub>2</sub> : ზოგჯერ უჯმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყუს ფატმანისსა...
- 1043<sub>1</sub> : ფატმან ხათუნ დასწერა და გაუგზავნა წიგნი მისი...
- 580<sub>3-4</sub> : მოიყუანა მჯარ-დაკრულნი, ერთმან ორნი არ დაყარნა,  
მათნი ყმანი აატირნა, მისნი სპანი ამაყარნა...
- 956<sub>1-2</sub> : მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა,  
მითხრა ამბავი მისი და მისისა საყუარელისა...
- 1172<sub>1</sub> : მათ სხუათა მათი ამბავი თქუეს, ვითა მგზავრთა წესია...

ყველა ამ შემთხვევაში **მისი** ნიშნავს **свой**-ს; თანამედროვე სალიტერატურო ქართული **მისი** ნაცვალსახელს ხმარობს **его**-ს მნიშვნელობით: **свой** იქნება „თავისი“... ესაა კომპრომისი დასავლურსა და აღმოსავლურ კილოთა ძირითად ტენდენციებს შორის: ორივე მნიშვნელობით დასავლეთ-

ში იხმარება **მისი** („მან **მისი** საქმე გაკეთა“), აღმოსავლეთში — „თავისი“  
შაქარა მოდის, ეგეც **თავისი** ურემია... ვასუა და **თავისი** ძმა წაიჩხუბნენ...  
**თავის** ნება როდია... იხ. ავტორის „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“,  
„არილი“, გვ. 80)...

II. **იგი**-ნაცვალსახელი ახალ სალიტერატურო ქართულში იხმარება  
**ის**-ნაცვალსახელის პარალელურად; შეუდარებელი უფრო ხშირია **ის**, შე-  
დარებით იშვიათია **იგი**; მის ხმარებას თითქოს ერთგვარი სტილისტიკური  
საჭიროება განსაზღვრავს: მას თითქოს მეტი დამოუკიდებლობის საჭიროე-  
ბისას მიმართავენ ხოლმე... ყოველ შემთხვევაში ესაა ახალი ქართულის მი-  
სწრაფება, განსხვავებული ფუნქცია გაუჩინოს ამ ჩვენებით სახელს და მით  
გაამართლოს მისი არსებობა **ის**-სიტყვის პარალელურად...

და მაინც არის ორი შემთხვევა, როდესაც **ის** და **იგი** ერთმანეთს  
ვერ შეცვლის:

-**ვე**-ნაწილაკის დართვისას მხოლოდ **იგი** იხმარება: იგივე საკითხი  
(და არა „ისივე“ საკითხი...) <sup>7</sup>.

სამაგიეროდ, მსაზღვრელად ხმარებისას **იგი** ახალ ქართულს არ  
გამოადგება: ის საქმე, ის წიგნი, ის კაცი... საკმარისია, აქ **იგი** ვიხმაროთ,  
რომ მკვეთრად დიალექტური გამოთქმა გამოგვივა („იგი საქმე“, „იგი წიგ-  
ნი“...); ეს გამოთქმები პირწავარდნილი გურული გამოთქმებია: ასე ჩანს ეს  
მეოცე საუკუნის ვითარების მიხედვით...

„ვეფხისტყაოსანში“ **მრავლად გვაქვს იგი-ნაცვალსახელის ხმარება**  
**(ის-ნაცვალსახელის გვერდით) შესიტყვების დამოუკიდებელ წევრადაც**  
და **მსაზღვრელადაც**:

**იგი** მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ა რ ა ა :

166<sub>3</sub> : მაგრამ ი გ ი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიმხუდარა...

746<sub>1</sub> : მე ი გ ი ვარ, ვინ სოფელსა არა მოკრებს კიტრად ბერად...

812<sub>2</sub> : ვინ მოყუარესა არ ეძებს, ი გ ი თავისა მტერია...

824<sub>4</sub> : თქუა „უცილოდ ი გ ი ა ო, არად უნდა ამას ცილი“...

887<sub>4</sub> : ი გ ი ა მზრდელი ყოვლისა დანერგულ დათესულისა!...

937<sub>1</sub> : ი გ ი რა ნახეს, მესროლი სროლასა მოეშლებოდეს...

947<sub>4</sub> : ი გ ი ძმად მივმობს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირსვარ ყმობასა...

1008<sub>3</sub> : რაცა გუაქუს, ი გ ი შენია, ამას არ უნდა ცილობა...

1299<sub>4</sub> : ი გ ი მიენდოს სოფელსა ვინცა თავისა მტერია!...

**იგი** მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ა დ ა ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი .

30<sub>3</sub> : რაღაა ი გ ი ს ი ნ ა თ ლ ე, რასაცა ახლავს ბნელია...

<sup>7</sup> არას ვამბობთ სტანდარტული ოქმის შესახებ: ეს ე ი გ ი... არ გამოვა: „ესე  
ისა“...

- 118<sub>4</sub> : წადი, ი გ ი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს თუნდა შორად...  
 594<sub>3</sub> : ი გ ი მ თ უ ა რ ე ჩემი იყო, მით მედების ცეცხლი დაგად...  
 69<sub>1,4</sub> : ი გ ი მ ი ნ დ ო რ ი დალივეს, მართ მათგან განარბენია...  
 ი გ ი მ ა შ უ რ ა ლ ნ ი ო რ ნ ი ვ ე მოსწყდეს, რაზომცა მვნენია...  
 779<sub>3</sub> : მოვიდეს და აწ მიაბოს, შემოვიდეს ი გ ი ფ ლ ი დ ი!...  
 820<sub>2</sub> : ი გ ი ფ ი ც ი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა...  
 972<sub>4</sub> : სადა გინახავს ი გ ი მ ზ ე, წამომყევ ზღულისა კიდესა...  
 1016<sub>4</sub> : ი გ ი ყ მ ა ვ აჭ რ ო ბ ს, თავადობს და თავსა მალავს ამითა...  
 1058<sub>3</sub> : რას დაგეჟადა ი გ ი ყ მ ა, რა ნახა შენგან კლებული?...  
 1062<sub>4</sub> : თუ დარბაზს მივა ი გ ი ყ მ ა, შვილთა დამაჭმევს კბილითა...  
 1065<sub>3</sub> : თუ ვითა მოკლა ი გ ი ყ მ ა ჩემად გულისა მფხანელად...  
 1333<sub>4</sub> : მათ უძღუნეს ი გ ი ა ბ ჯ ა რ ი ფ რ ი დ ო ნ ს, ჭაბუკად ქებულსა...  
 1273<sub>2</sub> : გზა გზა ყოფნა აღარა მცალს, პატიმრად ა ი გ ი მ თ უ ა რ ე...  
 1282<sub>1</sub> : ქუაბნი გამოჩნდა, იამა, იცნა, თქუა „ი გ ი კ ლ დ ე ნ ი ა“...

**III. „ვეფხისტყაოსანში“ მთელ რიგ შემთხვევებში გამოყენებულია ჩვენებითი ნაცვალსახელი „ისი“ ისეთი სახით, როგორც მას ამჟამად ზემო იმერულში ანასიათებს: ისი;** ამ სახითაა ეს სიტყვა წარმოდგენილი დამოუკიდებელ წევრად ხმარების შემთხვევაშიც და მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევებშიაც:

**ისი მსაზღვრელადაა გამოყენებული:**

- 1046<sub>1</sub> : ისი დიაცი აქა ზის, მნახავი კაცთა მრავალთა...  
 1073<sub>2</sub> : რას გეჟადა ისი კაცი? მესწრაფების მეტის მეტად...  
 1103<sub>3</sub> : ვთქუი: „თუ უთხრა, გამამყლავნებს, დარბაზს მივა ისი  
 ფ ლ ი დ ი...“  
 1109<sub>3</sub> : მე და შენ ვკითხვით, ვინ არის, ვისგან სჭირს ისი ხელობა...  
 1088<sub>2</sub> : მოიყუანეთ ისი მთუარე, ქენით კარგად, ეცადენით...  
 1157<sub>2</sub> : აწ უწინა ესე გითხრა, რას მეჟადა ისი კაცი...  
 1349<sub>2</sub> : ისი კაცნი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა...  
 939<sub>1</sub> : ფრიდონ მონა გამოგზავნა: „წა, ნახეო ისი სპანი“...  
 400<sub>1</sub> : რომე ცუდად არ მოლორდე, ისი კაცნი გლალატობენ...  
 406<sub>1</sub> : ვთქუი თუ: „მანო, ისი კაცნი ჩუენ ლალატსა  
 გუიდგებიან“...“  
 213<sub>2</sub> : უფერო ქმნილი მინახავნ ვარდნი და ისი იანი...

**IV. „ვეფხისტყაოსანში“ ჩვეულებრივია -მდის თანდებულიანი ზმნისართი აქა: აქამდის:**

- 137<sub>3</sub> : მაგრამ არ იცი, აქამდის რანიცა ცრემლნი მდენიან...  
 138<sub>4</sub> : მამცა წამალი გულისა, აქამდის დაღაგულ ისა...

- 604<sub>2</sub> : მიტხრა თუ: „მცდარვარ აქამდის, ვერ მივხუდი გასაგონოსა“...
- 1195<sub>1</sub> : ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია...
- 1209<sub>2</sub> : სამოსლისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დაეწესა...
- 1214<sub>3</sub> : მაგრამ აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია...
- 1265<sub>2</sub> : უბრძანა: „მკუდარნი აქამდის, ახლა ვართ დაცოცხლებულნი“...
- 1288<sub>4</sub> : აწ გაახლდების ყუავილი, ვარდი აქამდის ჭკნებოდა...
- 1305<sub>4</sub> : აწ გავეაძლო სოფელმან ასმათ, აქამდის მშიერი...
- 1307<sub>1</sub> : აქამდის მიწყივ ენახა ქუაბს მისულა მოტირალისა...  
ამგვარი მაგალითები ოცზე მეტია.
- მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ **ათიოდე მაგალითი გვაქვს აქა-ზმნისართის ნაცვლად აქანა-ს ხმარებისა**: ყველგან ამ სიტყვას -მდის თანდებული მოსდევს... **აქანა ვარიანტი სპეციფიკურია დასავლური კილოებისათვის**. მისი გავრცელების არეა აჭარა, გურია, იმერეთი (უპირატესად ქვემო); იმერულში -**ნა** ნაწილაკი ხშირად მომდევნო ხმოვანთან ასიმილაციის გამო **ნე**-ს სახესაც იღებს: აქანე, იქინე... აქანა იხმარება იმერზევშიც.
- 268<sub>1</sub> : აქანამდის მნახავიცა კაცი შენი არ მენახა...  
ქურდნი ვნახენ, რომე თქუნთუის სიტყუა რამე გაემკუახა...
- 634<sub>3</sub> : შერმადინსაც ახარებდეს, ფიცხლავ თავნი მისკენ არნეს:  
„მოვიდაო, აქანამდის ვისთუის ლხინნი გაგუმწარნეს!“...
- 90<sub>1</sub> : ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შუება“...
- 115<sub>2</sub> : იტყუის: „თუმცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად“...
- 123<sub>3</sub> : გაადვილდა, აქანამდის გარდევადა რაცა ჭირი...
- 236<sub>3</sub> : ხარ ვინადგან აქანამდის მაგა ჭირთა დამთმობარი...
- 1227<sub>3</sub> : შენი ყუელა აქანამდის ჭირი ლხინსა გაათავნე...
- 1248<sub>1,4</sub> : შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე,...  
ჩემი ყუელა აქანამდის ჭირი ლხინსა შევაწონე...
- 1371<sub>4</sub> : აქანამდის ჭირ ნახულთა ამას იქით გაიხარნეს...
- 1399<sub>4</sub> : ჩუენ, დამზრალნი აქანამდის, აწ ვიქნებით დაუზრობლად...

**V. ვინ, რა ნაცვალსახელებთან -და და -ცა ნაწილაკების რიგი** „ვეფხისტყაოსანში“ ისეთივეა, **როგორც ამჟამად დასავლურ კილოებში**:

777<sub>4</sub> : ვინცაღა კადრებს, მან კადროს; რაცა ვთქუი, მასცა ვინანი...

571<sub>1</sub> : აწ იგი იქნას, რაცაღა ენებოს ღმრთისა წადილსა...

-**ცა**-სთვის **ა**-ს მოკვეციता და შემდგომი ასიმილაციით აქედან მივიღებთ სალიტერატურო ქართული შეგნებისათვის გაუძლის დიალექტურ ფორმებს: **ვინცნა, რაცნა**...

**VI. გარდაუვალ ორპირიან ზმნათა თურმეობითი II-ისა და კავშირებითი III-ის საწარმოებლად** „ვეფხისტყაოსანი“ ორიოდე შემთხვევის გამოკლებით **-ოდ სუფიქსს იყენებს** ისევე, როგორც ესაა იმერულსა და გურულში:



- 828<sub>1,2</sub> : თუალთა აჯუმადცა ზარ ედვა, სრულად მიჯდოდა ცნობასა,  
 მიახლებოდა სიკუდილსა, მოშორებოდა თმობასა...
- 1375<sub>1,3</sub> : სამასისა კაცისაგან ას სამოცი შეყოლოდა...  
 მონახეს და არ აცოცხლეს, რაც მებრძოლი დარჩომოდა...
- 552<sub>3</sub> : ყუელაკაი დამეფანტა, დარჩომოდა რაცა ჭირსა...
- 912<sub>3</sub> : გამაგრებოდა სიკუდილსა, ამისთვის არ უმჯნეოდა...
- 518<sub>2</sub> : შინა წამოველ მაშურალი ქნამამდომოდა ძილისა...
- 1285<sub>1,2</sub> : ტარიელს ლომი მოეკლა, მით ვრმალსა სისხლი სცხებოდა;  
 შამბისა პირსა ქუეითი დგას, ცხენი არა ხლებოდა...
- 591<sub>4</sub> : ვედარ მიუსწარ, გამესწრნეს, რაზომცა ვსცემდი წრტიალსა...  
 გამშორებოდე, წამსლოდე, ამისთვის დავეწუი  
 ალსა...
- 603<sub>1,4</sub> : აჩინნა კაცი, სადაცა სადგურნი ნავთა სჩენოდე ს;  
 უბრძანა: „ძებნეთ ყოველგან, რაცა ვის მისი გსმენოდე ს...  
 მოლოდნა მიჩნდა სალხინოდ, პატიჟნი რომე მლხენოდე ს  
 უმისოდ ლხინი მინახავს, ამა დღისათვის მრცხუენოდე ს...“
- 1006<sub>1,4</sub> : ამოა, კარგსა მოყმესა, რა ომი გამარჯუებოდე ს,  
 ამხანაგთაგან ეჯობნოს, ვინცა მას თანა ხლებოდე ს.  
 მიულოცვიდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწებებოდე ს  
 შეუენოდეს დაკოდილობა, ცოტაი რამე ვნებოდე ს.
- 1165<sub>1,4</sub> : იგივე მითხარ, მას აქათ, ქალი გაგზავნე შენოდეს  
 რაცალა გეცნას ამბავი ანუ რამისი გსმენოდე ს.  
 კულავ იტყუის ფატმან ტირილით, კულავ თუალთა ცრემლი  
 სდენოდე ს:  
 „ვავი წაჯდა შუქნი, რომელნი მზისაებრ ველთა ფენოდე ს!...“

**VII. აწყო დროის ფუძის საწარმოებლად -ავ-, -ამ- სუფიქსები „ვე-  
 ფხისტყაოსანში“, როგორც წესი, ნამყო უსრულში იცვლება -ევ- სუფიქ-  
 სით ანდა ა-ს კარგავს და ი-ს დაირთავს:**

- დამქოლავს, სუამს, წუავს — დამქოლევა, სმიდა,  
 წუიდა...
- 1036<sub>2</sub> : სიყუარული მეტის მეტი მამემატა, ცეცხლებრ სწუიდა...
- 952<sub>4</sub> : გამოვეპარე საძებრად: მწუიდა ცეცხლისა მურობა...
- 675<sub>4</sub> : ვიდრე გნახვიდე, სოფელი მინდა სალხინოდ აღარად!...
- 684<sub>1</sub> : ყმა ახლოს უჯდა მეფესა, კითხუიდა, ეუბნებოდა...
- 396<sub>3</sub> : წინა ტურფათა ტაიჭთა ძღუნად ჩემთვის მოზიდუიდე ს...
- 125<sub>2</sub> : უკულმავე იხედეუიდა, თუალთა რეტად აყოლებდა...
- 687<sub>1</sub> : ამას მოსთქმიდის, ტიროდის, რწყავს საგუბრითა წყაროთა...
- 542<sub>3</sub> : დავარ მოსთქმიდა სიტყუითა, რომელნი არა მსმენოდეს...



მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ ყველა ამ შემთხვევაში ხმოვნის დატოვებას ლექსი მოითხოვდა; ეს რომ ასეა, ცხადად ჩანს სხვა შემთხვევიდან, სადაც ფუძე ნორმალურად იკუმშება და ერთი შემთხვევიდან, სადაც ფუძე შეკუმშულია უჩვეულოდ, ლექსის საჭიროებისათვის (...11184: აწ ნახეთ მთურალი ვაჭარი, ცქაფი, უწფელი, მსწრომელი... უწფელი — უწაფელი, გაუწაფავი...).

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ლექსის ისეთი ოსტატი იყო, რომ სხვა გზით შემოატარებდა შაირის მერანს, შეუკუმშავი ფუძეები რომ მეტად საჩოთიროდ სჩვენებოდა: შეუკუმშავი სიტყვებით ფონს მარტივად გავიდა, ცხადია, იმიტომ, რომ ეს შეცოდებად ენის წინაშე არ მიაჩნდა... სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ენა შეუკუმშავ ფუძეებს არ იუცხოებდა...

ამჟამად ჩვენ ვიცით, რომ დასავლური კილოებია (კერძოდ, ქვ. იმერული), შეუკუმშავ ფუძეებს რომ ფართოდ იყენებს. ამ მოვლენის კერა კი მეგრული და ჭანური მეტყველებაა.

რა დასკვნა უნდა გაკეთდეს ზემოთქმულის მიხედვით? შეიძლება თუ არა შემთხვევითი იყოს ასეთი მკვეთრი დიალექტური მოვლენები — ახლანდელი გაგებით — დასავლური წარმოშობისა? რა თქმა უნდა, არა! მასასადამე, რა დიალექტის წარმომადგენელია შოთა რუსთაველი? იმერულისა, გურულისა თუ აჭარულისა?

არავითარი მასასადამე! ამგვარ კითხვაზე პასუხი არც გაიცემა, რადგანაც კითხვა უმართებულოა... კითხვა მაშინ იქნებოდა კანონიერი, ქართული სალიტერატურო ენა „ვეფხისტყაოსნით“ რომ იწყებოდეს, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი გვეთქვა: ამდენი დიალექტიზმი დასავლური წარმოშობისა იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ თვით ავტორი ამ კუთხის შვილიაო...

სალიტერატურო ქართული შოთა რუსთაველის დროს სულ მცირე 7 საუკუნის ისტორიის მქონე იყო... ამ საუკუნეთა მანძილზე — ეს ჩვენ დოკუმენტალურად ვიცით — სალიტერატურო ქართულმა, სულ მცირე, ორჯერ იცვალა საორიენტაციო ბაზა, — ცოცხალი მეტყველება. ამ პროცესმა შესძინა სალიტერატურო ქართულს არა ერთი მოვლენა, ლექსიკურიცა და მორფოლოგიურიც, ზოგჯერ სინტაქსურიც, — რაც დიალექტიზმის ბეჭედს ატარებს შემდეგი დროისათვის...

და იმიტომ, როდესაც **დიალექტიზმებს ვამჩნევთ** „ვეფხისტყაოსანში“, **არავითარი დასკვნის გაკეთების უფლება არა გვაქვს მანამ, სანამ არ გავარკვევთ — ამ დიალექტიზმებიდან რა ეკუთვნის იმდროინდელ ქართულ სალიტერატურო ენას და რა შეადგენს პოემის ავტორის კუთვნილებას, მისი კუთხის მეტყველების გამოვლენას.** სხვანაირად რომ ვთქვათ, დიალექტიზმების საკითხის გარკვევა „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ ენას **ქართუ-**

**ლი ენის ისტორიაში**, რას ეკედლება და აგრძელებს იგი და როგორ აგრძელებს მას, **განვითარების რა მომენტი და რა გეზია მასში წარმოდგენილი.**

\* \* \*

ჩვენ გვაქვს შემდგომი განვითარების მასალები საკმარისი რაოდენობით, მოგვეპოვება წინა პერიოდის უმდიდრესი მასალა; გვაკლია, სამწუხაროდ, XII-XIII სს. საერთო ლიტერატურის ენის ნიმუშები, საფიქრებელია, მრავლად არსებული, მაგრამ დაღუპული იმ კატასტროფების დროს, რომლებიც თავს დაატყდა საქართველოს მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში ჯერ მონღოლთა და შემდეგ თემურ-ლენგის შემოსევათა სახით...

და მაინც ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა „ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმთა წყებას გარკვეული ადგილი მივუჩინოთ ძვ. ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

სახელდობრ, IX-XI საუკუნის ძეგლებში დადასტურებულია:

1. „**მისი**“-ნაცვალსახელის ისეთივე ხმარება, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული.

2. **იგი**-ნაცვალსახელი ერთად-ერთი ნაცვალსახელია ძვ. ქართულისა **იქ** მყოფზე მითითებისას... ეს ნაცვალსახელი იხმარება დამოუკიდებლადაც და სახელის მსაზღვრელადაც; ერთად ერთი სხვაობა „ვეფხისტყაოსანთან“ შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ეს მსაზღვრელი მისდევს საზღვრულს, „ვეფხისტყაოსანში“ კი წინ უძღვის მას: კაცი იგი — იგი კაცი... ამგვარი ცვლილება საერთოდ დამახასიათებელია „ვეფხისტყაოსნისათვის“ და მისი ს ტ ი ლ ის ტ ი კ უ რ - ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ს ი ა ხ ლ ის ა და ს ი მ ა რ ტ ი ვ ის ე რ თ - ე რ თ ი ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ვ ი თ ვ ი ს ე ბ ა ა .

ამგვარად, ძვ. ქართულით იქნებოდა: რაღა არს ს ი ნ ა თ ლ ე დ ი გ ი (რომელსა ახლავს ბნელი იგი)... „ვეფხისტყაოსანში“ კი გვაქვს: რაღა ი გ ი ს ი ნ ა თ ლ ე (რასაცა ახლავს ბნელია)... და თუ დღეს ჩვენთვის „ი გ ი ს ი ნ ა თ ლ ე“ გურულ დიალექტიზმად ჩანს, ეს არ ნიშნავს, რომ „გ. ტ-ში“ გაჩნდა ამ დიალექტის მოვლენები: ძველს ქართულში უკვე გვაქვს ი გ ი...

3. **იგი**-ს პარალელურად **ისი**-ც მოგვეპოვება. ზემო იმერულად გვეჩვენება ეს ნაცვალსახელი, ნამდვილად კი მართალი ლიტერატურული ვარიანტია, ახალი ქართულისათვის ნიშანდობლივი. ჩვენ დავუკარგეთ ამ სახელს მხოლოდობითის სახელობითში **-ი**, მაგრამ მრავლობითში ეს **ი** ახლაც ცოცხალია: **ისი**-ნი (შდრ. იგი-ნი...), **-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მხოლოდობითშიც გამოჩნდება ეგვე **ი: ისი**-ც მოიტანე... (შდრ. **ეს** ← **ესე**; მრავლობითში: **ესე**-ნი; მხოლოდობითში: **ესე**-ც)...

ძვ. ქართული ხმარობს ამ ჩვენებით ნაცვალსახელებად **ესე — იგი-ს**; „აქ მყოფის“ აღსანიშნავად ნაცვალსახელოვანი ძირეული მასალა **ს**-თია წარმოდგენილი, „იქ მყოფის“ აღმნიშვნელი — **იგი — გ**-თი... ძველმა ქართულმა ორი სხვადასხვა დიალექტის კუთვნილება გამოიყენა; ახ. ქართულში **ს**-იანი ძირი იმარჯვებს; ხაზი სწორდება: **ესე — ისი...** (მეორე ფენისა იქნებოდა: **აგი || ეგე — იგი**).

**ეს პროცესი ისი-ს დაწინაურებისა სალიტერატურო ქართულში უკვე დაწყებულია „ვეფხისტყაოსანში“: იგი-ს გვერდით -ისი-ც გამოჩნდა...**

თუ მოვიგონებთ, რომ ქართლსა და კახეთს, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს კილოებს **ის** ახასიათებს, ცხადი გახდება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ **ეს პროცესი ახალ დიალექტებზე ორიენტაციის უტუარი ნიშანი უნდა იყოს...**

ამრიგად, **ისი-ს ხშირი ხმარება იმერიზმი კი არ არის, არამედ ქართლურისაკენ გეზის აღების ნიშანია...**

4. **ვინცაღა, რაცაღა** ძვ. ქართულიდან მომდინარეობს, სალიტერატურო ქართულის ძველი კუთვნილებაა.

5. **სმიდა, წუიდა, მიზიდვიდა, დაქოლევდა...** აგრეთვე ჩვეულებრივია ძვ. ქართულის მორფოლოგიურ ინვენტარში. და თუ მას დასავლურ კილოებში დავადასტურებთ და იმავე დროს აღმოსავლეთის მთის კილოებში ვიპოვით, აქედან მხოლოდ ის დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ სპეციფიკურ კუთხურ მოვლენასთან საქმე არა გვაქვს...

6. **-ოდ-** სუფიქსი ძვ. ქართულისათვის იშვიათია დროთა მესამე ჯგუფში, მაგრამ არა იმიტომ, რომ სხვაგვარი წარმოება გვქონდეს, არამედ იმიტომ, რომ ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მაგალითები თურმეობით II-სა და კავშირებითს III-ში იშვიათია. მაგრამ როცა არის, სწორედ ეს არის...

7. ფუძეთა შეუკუმშობაც, რომელსაც თავისუფლად მიმართავს შოთა რუსთაველი, IX-XI საუკუნის ძეგლებში ჩვეულებრივია (ს ა დ ი დ ე ბ ე - ლ ა დ... ა დ მ ო ს ა ვ ა ლ ი თ კ ე რ ძ ო <sup>8</sup>... ს ა კ უ რ თ ხ ე ვ ე ლ ი თ გამო — კიმ. — 3722...).

დასკვნა: ყველა ზემოხსენებული მოვლენა დ ი ა ლ ე ქ ტ ი ზ მ ი ა, მაგრამ არა „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორისათვის, არამედ **ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის...** ამის მიხედვით ვერ გაკეთდება დასკვნა: შოთა რუსთაველი ამა და ამ (დასავლური) კუთხის შვილიაო. ამასთანავე, იმ ფაქტიდან, რომ ამჟამად ამ მოვლენებს იმერულ-გურულ-

<sup>8</sup> ზემოხსენებულ საკითხებზე დაწვრილებით ვჩერდებით ძვ. ქართულის დიალექტურ შედგენილობის ანალიზთან დაკავშირებით — ცალკე.

აჭარული ააშკარავებს, კიდევ **არ გამომდინარეობს**, რომ ძვ. სალიტერატურო ქართულში **ეს მოვლენები სწორედ ამ კილოებიდან შევიდა...**

არსებობს არა ერთი გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ უნდა არსებულებოდა სხვა დიალექტური წრე, რომლიდანაც ეს მოვლენები შეითვისა სალიტერატურო ქართულმა. შეიძლება ეს კილო აჭარის სამხრეთით გვევარაუდებინა — ტაოსა და კლარჯეთში, როგორც ამას აკად. ნ. მარო ფიქრობდა, ზოგი დაბრკოლება რომ არ გვეღობებოდეს.

აჭარული, გურული და იმერული, ცხადია, ამ დიალექტის ხსენებულ თავისებურებებს იმეორებენ, მაგრამ საეჭვოა ამ კილოებსა და იმ სავარუდებელ კილოს შორის იგივეობის ნიშნის დასმა შეიძლებოდეს.

დავგვრჩა ერთი მოვლენა: ზმნისართი **აქანა...** ამის მაგალითები ძველ ქართულში არა გვაქვს; ერთი შეხედვით, ეს რჩება „ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმად, მაგრამ საერთო ვითარების უფრო შესაბამისი იქნებოდა გვევარაუდებინა, რომ **ეს თავისებურებაც ავტორის, შოთა რუსთაველის, კუთხურ მეტყველებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ იმდროინდელი საერო ლიტერატურის ენის კუთვნილებას წარმოადგენდა**<sup>9</sup>.

როგორც შეუკუმშავ ფუძეთა ხმარებისას, ისე აქაც ავტორი იყენებს **აქამდის** სიტყვის გვერდით **აქანამდის** სიტყვას. განსხვავება ისაა, რომ შეუკუმშავ ფუძეთა ხმარება თითქოს ლექსის საჭიროებას უპასუხებს, **აქანამდის**-სიტყვა ამით ვერ გამართლდება: სრული სახით აღებული **აქამდისა** იმდენსავე მარცვალს შეიცავს, რამდენსაც **აქანამდის...**

\* \* \*

როგორღა დგას აღმოსავლური წარმოშობის დიალექტიზმების საკითხი? მხედველობაში გვაქვს: **-დაღმა(ნ) || -დაღმე** (თ ა ვ ი დ ა ღ მ ა, ნ ა - ვ ი დ ა ღ მ ა ნ, ნ ა თ ლ ი დ ა ღ მ ე...), **-ივა, -ივ-ე** (გ ა გ ა თ რ ი ვ ე, გ ა - რ ჩ ი ვ ე, მ ე წ ი ვ ე...), **-იყო** (გ ა რ გ ი ყ ო ს...)... ეს მოვლენები უდაოდ დიალექტიზმებია, მაგრამ რის დამახასიათებელია? შოთა რუსთაველის მეტყველებისა თუ კვლავ იმდროინდელი სალიტერატურო ენის ვითარებისა?

ვფიქრობთ, პირველი შესაძლებლობა უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან, ვინემ მეორე, თუმცა ეს უკანასკნელიც არ არის გამორიცხული<sup>10</sup>. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ შედარებით

<sup>9</sup> ამას ადასტურებს ორიოდ შემთხვევა „**აქანამდის**“-სიტყვის ხმარებისა „ვისრამიანში“.

<sup>10</sup> გამორიცხული ეს შესაძლებლობა იმიტომ არ არის, რომ შემდგომ საუკუნეებში ახალ სალიტერატურო ენაში **-დაღმა || -დაღმე**-ც და **-იყო** (**-ოდ**-ის ნაცვლად) წარმოებამ ფართო გავრცელება პოვა.

გარდა ამისა, ეგვე **-დაღმა** და მთელი რიგი სხვა მოვლენა, რაც „გ ტ.“-ის ენას ახასიათებს, დასტურდება „ვისრამიანშიც“, რომელიც წინ უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“. „ვისრამიანის“ ენის შესახებ საუბარი გვექნება ცალკე წერილში.

იშვიათად იხმარება **-დაღმა** || **-დაღმე** და **-იყო**- წარმოება (**-ოდ**-ის ნაცვლად; **-იგ**- ხშირია).

დიალექტიზმი სწორედ იმის დიალექტიზმია, რომ აქა-იქ გამოიჩნდება. თუ ავტორი შეგნებულად არ უღებს მას კარებს, ანდა, თუ სალიტერატურო მეტყველებაში არ მოიკოჭლებს („ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან მოსალოდნელი არაა პირველი შესაძლებლობა და ლაპარაკიც ზედმეტია მეორის შესახებ).

რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ ერთი შესაძლებლობაც: ავტორი შეიძლება ამა თუ იმ კუთხიდან იყოს, მაგრამ მის სალიტერატურო მოღვაწეობაში ეს არ ჩანდეს, ავტორი თავისი დროის ლიტერატურული მეტყველების ნორმებს განუხრელად იცავდეს. ასეთ პირობებში ავტორის კუთხური წარმომავლობის მიკვლევა ისევე ძნელი იქნებოდა, როგორც, მაგალითად, შალვა დადიანის პიესებისა და რომანების ენაში იმის ამოკითხვა, თუ საიდანაა მისი ავტორი.

„ვეფხისტყაოსანში“ რომ გვაქვს დიალექტიზმები? ზევით უკვე ითქვა, რომ დიალექტიზმების ერთი წყება (დასავლური წარმოშობის დიალექტიზმები) ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია; ვინც ამ სალიტერატურო ენის ნორმებზე აღიზარდა, ყველას შეიძლება ესენი აღმოაჩნდეს. დიალექტიზმების მეორე წყება (აღმოსავლური წარმოშობის დიალექტიზმები) თითქოს უფრო ნიშანდობლივი ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის. მაგრამ არც აქ შეიძლება გადაჭრით თქმა, რომ იმ დროის სალიტერატურო ენის ვითარებისათვის არ ყოფილიყოს დამახასიათებელი აღმოსავლური წარმოშობის ეს დიალექტური ნორმები...

ესე იგი, ავტორი წერს ლიტერატურული ენით.... თავისი კუთხის მეტყველების გავლენისაგან ის თავისუფალია. თუ დიალექტიზმები მაინც მოგვეპოვება, ეს ავტორისა კი არ არის, არამედ თვით იმდროინდელი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა.

ვიმეორებთ, ამგვარი შესაძლებლობის გამორიცხვა შეუძლებელია, მაგრამ იგი ნაკლებ მოსალოდნელია. შეგნებული განუხრელი დაცვა სალიტერატურო ენის უზუსტისა ამჟამადაც არ არის ადვილი, თუმცა ამას საგანგებო ყურადღება ექცევა. ძველ ქართულში ლიტერატურული და ფილოლოგიური სკოლების გავლენა იმაზე მეტს ვერ მოახერხებდა, რაც ამჟამად არის ამ მხრივ შესაძლებელი. ამიტომ ავტორთა მეტყველება, ძნელი საფიქრებელია, იმდროინდელ ძეგლებში სავსებით დაჩრდილული იყოს.

და თუ მაინც შევჩერდით ზემოხსენებულ შესაძლებლობაზე, უმთავრესად იმიტომ, რომ გვინდოდა გვეჩვენებინა, რამდენად რთულია საკითხი, რამდენნაირი შესაძლებლობაა გასათვალისწინებელი, თუ გვსურს, რომ დასაბუთებული დასკვნა მივიღოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, როგორიცაა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სადაურობა. შეიძლება ზოგს

ვისმე ჩვენი მსჯელობა ზედმეტად ფრთხილი ეჩვენოს, მაგრამ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში სითამამე მხოლოდ მაშინაა დასაფასებელი, თუ მტიკცვა საბუთები.

ამრიგად: მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაწყდება, ავტორისაა „ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმები თუ იმ დროის სალიტერატურო ქართული-სა, შეგვეძლება პირდაპირ გავცეთ პასუხი კითხვაზე, რა კუთხიდან უნდა ყოფილიყო ავტორი.

მაგრამ როგორი სადაოც არ უნდა იყოს ეს საკითხი, მის განხილვისას აუცილებელია ისტორიული პერსპექტივა, სალიტერატურო ქართული ენის ისტორიაში „ვეფხისტყაოსნის“ ადგილის გარკვევა.

ეს დიალექტიზმები და რიგი სხვა თვისება გარკვეულ ადგილს ანიჭებს „ვეფხისტყაოსნის“ ენას **ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში**: სალიტერატურო ქართულში, საერო მწერლობის ენაში გარდატეხა იგრძნობა, **გარკვევით ჩანს მოსაბრუნე პუნქტი ძველი ქართულიდან ახალი სალიტერატურო ქართულისაკენ**. ამ მხრივ გადაწყვეტი მნიშვნელობისაა შემდეგი მოვლენები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ენას ახასიათებს, მაგრამ ძველი ქართულისათვის უცხოა:

#### **I. ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან სახელობითის ნიშანი ე ← ი აღარ იხმარება:**

75<sub>1</sub> : ნახეს უ ც ხ ო მ ო ყ მ ე ვინმე (ძვ. ქართულით იქნებოდა: უ ც ხ ო ე მ ო ყ მ ე ე)...

76<sub>1</sub> : მას ტანსა კ ა ბ ა ემოსა, გარე თ მ ა ვეფხის ტ ყ ა ვ ი ს ა (ძვ. ქართულით: კ ა ბ ა ე ემოსა, გარე თ მ ა ე, ვეფხის ტ ყ ა ვ ი ს ა ე)...

79<sub>1</sub> : ...არა ესმა ს ი ტ ყ უ ა, არცა ნაუბარი (ძვ. ქართ.: ს ი - ტ ყ უ ა ე)...

სახელობითის ეს ნიშანი -**მ|ი** შერჩენილი აქვს მხოლოდ რამდენიმე სახელს: **ერთაი, ყუელაი, ცოტაი, პაშტაი, ყუელაკაი**.

**ერთაი**: 54<sub>1</sub> : ე რ თ ა ი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა...

61<sub>3</sub> : ე რ თ ა ი უენი შერმადინ, არს მათად დასადარებლად...

93<sub>1</sub> : ე რ თ ა ი ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა...

1193<sub>4</sub> : ციხეს დაუსუამს, ხადუმი ე რ თ ა ი უახლებია...

**ყუელაი**: 72<sub>1</sub> : ორთავე ერთგან მოკლული ყ უ ე ლ ა ი ასჯერ ოცია...

324<sub>4</sub> : იგი ღმერთსა აღიდებდა; სხუა ყ უ ე ლ ა ი უჩუმობდა...

529<sub>3</sub> : ამოსწყდა მათი ყ უ ე ლ ა ი, მამული თქუენ დაგრჩომია...

898<sub>2</sub> : ჩემთუის სწორია ყ უ ე ლ ა ი, გაჭრა და გაუჭრელობა...

989<sub>4</sub> : ყუელაი წაჴდა, არ ვიცი, აქა მოსრულვარ მე რითა!...

1358<sub>3</sub> : გაიყუეს კაცი ას ასი, ყ უ ე ლ ა ი გმირთა სახები...

1448<sub>3</sub> : აივსო კაცი ყ უ ე ლ ა ი, მაშინ მათ თანა ნარები...



- ცოტაი:** 1284<sub>3</sub> : ცოტაი წავლო, გამოჩნდა მზე სინათლითა  
სრულითა...  
516<sub>2</sub> : გამოსუენოს სიძემან, დაყოს ცოტაი ხანია...  
399<sub>1</sub> : მე მამისა თქუენისაგან ვარ ცოტაი განაზარდი...
- პაშტაი:** 387<sub>1</sub> : დავაგდე მზლუარი ინდოთა; მეგლო პაშტაი  
ხანია...
- ყუელაკაი:** 1449<sub>4</sub> : შენი იყოს ყუელაკაი, შენ წაილე, ვითა  
გხუდების...  
595<sub>1</sub> : ფრიდონს უთხარ ყუელაკაი ჩემი, თავსა  
გარდასრული...  
551<sub>3</sub> : თანა მყოლი ყუელაკაი ამომიწყდა, დამეწოცა...  
552<sub>3</sub> : ყუელაკაი დამეფანტა, დარჩომოდა რაცა ჭირსა...

სხვა ბრუნვებში ეს -ი სახელს, რა თქმა უნდა, არ გადაჰყვება, მაგ.

47<sub>1</sub> : მას დღეს გასცემს ყუელაკასა სივაჟისა მოგებულსა...

ცოტაი, ყუელაი სახელობითი -ი-ს დაურთველადაც იხმარება;

გვაქვს: ცოტა, ყუელა, მაგრამ ისე ხშირად არა, როგორც ცოტაი, ყუელაი...

ეს ბოლოკიდური -ი (ერთაი, ცოტაი, ყუელაი...) **მარცვალს ქმნის** მაშინ, როდესაც ძველს ქართულში ანალოგიური მონაცემი (ძმაჲ, დედაჲ...) დიფთონგის ნაწილი იყო და მარცვალს არ ქმნიდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამჟამად ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები სახელობითის -ი||-ჲ-ს დაირთავენ ქართულშიც, გურულშიც, და, რამდენადაც ცნობილია, მესხურშიც. **მხოლოდ კახურშია ის მდგომარეობა წარმოდგენილი, რაც ახალ სალიტერატურო ქართულს ახასიათებს** (სამწუხაროდ, ამ მხრივ არსებული ცნობები სრული არ არის).

**II. „ვეფხისტყაოსანში“ ბოლოუკვეცი სახელები ნათესაობითა და მოქმედებითი იწვევენ ფლექსიის ი-ს დაკარგვას, ისევე, როგორც ახალ ქართულში, ოღონდ შენარჩუნებული აქვთ ემფატიკური -ა:**

- 76<sub>4</sub> : ნახეს და ნახუა მოუნდა უცხო სასანავისა (ძვ. ქართ.  
იქნებოდა: უცხოჲსა)...
- 856<sub>1</sub> : სამჯრე გაბია ოქროსა, ოქრო მჭედლისა დნობილი (ძვ.  
ქართულით: ოქროჲსა)...
- 1066<sub>1</sub> : ავთანდილ გავლო ქალაქი მით უებროთა ტანითა (ძვ.  
ქართულით: უებროთა ტანითა)...
- 1168<sub>1,3</sub> : სახლი და შეილი მამძულდა, ვჯდი უგულოთა გულითა...

უსენ გამტეხი ფიცისა, მიჩნს უ რ ჯ უ ლ ო თ ა რ ჯ უ ლ ი თ ა...  
(ძვ. ქართულით: უ გ უ ლ ო დ თ ა გ უ ლ ი თ ა... უ რ ჯ უ ლ ო -  
დ თ ა რ ჯ უ ლ ი თ ა)...<sup>11</sup>

**III. -მდის თანდებულის წინ ბრუნვის ნიშანი -დ აღარ იხმარება:**  
ა ქ ა მ დ ი ს... ა ქ ა ნ ა მ დ ი ს... მ უ ნ ა მ დ ი ს (1124<sub>1</sub>), თ ხ ე მ ა მ დ ი ს  
(1311<sub>3</sub>), ქ უ ე ყ ა ნ ა მ დ ი ს (1324<sub>2</sub>), ფ ე რ ჯ ა მ დ ი ს (1369<sub>2</sub>)...

ამგვარი შემთხვევები აქა-იქ ძველ ქართულშიაც იჩენს თავს, მაგრამ  
იქ ჩვეულებრივია -დ-ს ქონა: ქ უ ე ყ ა ნ ა დ მ დ ი ს... ფ ე რ ჯ ა დ მ დ ი ს...  
თ ხ ე მ ა დ მ დ ი ს...

როგორც ცნობილია, ახალ სალიტერატურო ქართულში **-მდის ||  
-მდე** თანდებულის წინ გარდაქცევითი (მიმართულებითი) ბრუნვის ნიშანი  
**-დ** აღარ იხმარება (ს ო ფ ლ ა მ დ ი ს... ქ ა ლ ა ქ ა მ დ ი ს... ბ ო ლ ო -  
მ დ ი ს...). „ვეფხისტყაოსანშიც“ ესაა ნორმად მიჩნეული.

**IV. ობიექტური პრეფიქსი პირველი პირისა მრავლობითში არის  
მხოლოდ გუ-** და არასოდეს **მ-**: მ ა ქ უ ს ჩ უ ე ნ, დ ა მ ა ბ ე რ ნ ა ჩ უ -  
ე ნ, მ ა ქ ე ნ შ ე ნ ჩ უ ე ნ და მაგვარი წარმოება „ვეფხისტყაოსანმა“ არ  
იცის.

473 : გუიბრძანეს თუ: „ღმერთმან ასრე დაგუაბერა, დაცაგულია:

ჟამი გუაზლავს სიბერისა, სიყმაწუილე გარდგუივლია,  
ყმა არ მოგუცა, ქალი გუივის, ვისგან შუქი არ გუაკლია,  
ყმის არა სუმა არა გუაგვა, ამა ზედან წაგუითულია...

ცალკე განხილვას საჭიროებს ამ სტროფში „დაგუაბერა“, „დაცაგუ-  
ლია“ (-ნ-სუფიქსის უქონლობა!), მაგრამ ამაზე აქ ვერ შევჩერდებით<sup>12</sup>.

**V. ჩვენებითი ნაცვალსახელი იგი-ს გვერდით ისი-ც სახელმა  
შემოაბიჯა სალიტერატურო ქართულში და კანონიერ, სახიფათო მეტო-  
ქედ გამოიყურება იგი-სათვის** (მაგალიტები იხ. ზემოთ).

**VI.** ძვ. ქართულისათვის ნიშანდობლივი **წყობა სიტყვათა** შეცვლი-  
ლია ახალით და ამის გამო მძიმე კონსტრუქციები აღარ ისმის „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ ლექსში მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი მორფოლოგი-  
ური და სინტაქსური ნორმები (კერძოდ, სახელობითისა და მიცემითის  
სინტაქსური ფუნქციები) „ვეფხისტყაოსანში“ ისევეა დაცული, როგორც  
ძვ. ქართულში.

<sup>11</sup> დაწვრილებით ამის შესახებ — ცალკე წერილში გვაქვს საუბარი. ამიტომ აქ  
სხვა მაგალიტები არ მოგვყავს და ამ ნიმუშებით ვკმაყოფილდებით.

<sup>12</sup> სპეციალურ წერილში ნაჩვენებია იქნება ძვ. ქართულისა და „ვეფხისტყაოსნის“  
ნორმათა ურთიერთობა ამ მხრივ.

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის“ ენა აღარაა ძველი ქართული, სალიტერატურო სარბიელზე გამოსულია ახალი სალიტერატურო ქართულის წინაპარი<sup>13</sup>.

რამ გაუკავა მას გზა? **საორიენტაციოდ ახალი დიალექტის არჩევამ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებისაკენ გეზის აღებამ.**

**ძვ. ქართული ლექსიკისა და მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის შეგუება ამ ახალ დიალექტურ სინამდვილესთან, სალიტერატურო ქართულის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე** – ესაა პროცესი **ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისა.**

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერისას ეს პროცესი **კარგა ხნის** დაწყებული იყო. ეს პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობს, ქუთაისიდან პოლიტიკური ცენტრის ტფილისში გადმოსვლას გულისხმობს და მას მოსდევს.

ამ პროცესის ფონზე უნდა იქნეს განხილული „ვეფხისტყაოსნის“ ენა, საერთოდ, და დიალექტიზმებიც, კერძოდ.

ჟ. „ენიკის მოამბე“, ტ. 3, 1938, გვ. 209-227

---

<sup>13</sup> ამ ენას „საშუალო ქართულს“ უწოდებენ ჩვეულებრივ. „საშუალო ქართულის“ ცალკე საფეხურად გამოყოფა (ძველისა და ახალი ქართულის გვერდით) არაა გამართლებული საქმის ვითარებით. ძველ ქართულს ახალი ქართული მოსდევს.

## პაშტა-სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ გვხვდება:

„დავაგდე მზღვარი ინდოთა, მევლო პ ა შ ტ ა ი ხანია“ (სტ. 421).

რას ნიშნავს „პაშტა“? გამოთქმულია ორგვარი აზრი: ერთის თანახმად „პაშტა“ „მცირეს“, „ცოტას“ უდრის, მეორე კი, პირიქით, „საკმაოდ დიდს“, ყოველ შემთხვევაში „ცოტაზე მეტს“ ვარაუდობს.

1. პირველი გაგება საბას ლექსიკონიდან მოდის: „პაშტა ერთი ქრთილის მარცვლის წონა“, ე. ი. „ქერის მარცვლის ოდენაო“, ვიტყვოდით, რომ საბას წონის ერთეულთა სისტემაში არ ჰქონდეს მოქცეული პაშტა; ლიტრა-სიტყვის განმარტებაში საბას ნათქვამი აქვს: „...ესრეთ იყო პირველთა ლიტრათა წონანი; 4 ქრთილის მარცვალი ერთი კერათია..., 6 კერათი ერთი გრამაა, 4 გრამა ერთი დრაჰკანია, 54 გრამა ერთი უნკიაა („უნცია“, როგორც ახლა იტყვიან — ა. ჩ.) ...უნკია არს ორი სატირია... შემდეგ იქვე ასეთი ფარდობაა წარმოდგენილი: ...20 დანგი ერთი სატირია ...1 დანგი 13 პაშტაა... (იხ. საბას „ქართული ლექსიკონი“ პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, 1928 წ., — სიტყვა: ლ ი ტ რ ა, გვ. 187).

„სატირი“ ამისდა კვალად ნახევარი უნციაა. ეს უკანასკნელი უდრის ოც დანგს და ორასსამოც პაშტას: პაშტა — ნახევარი უნციის ორასმესამოცედი ნაწილი გამოდის („ქერის მარცვლის წონა“). წონის წვნიკი ერთეულია. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ (1950 წ., მ. სააკაშვილის რედაქციით, ხელნაწერი დაახლოებით XV ს.) პაშტა განმარტებულია, როგორც (წონის) საზომი, — სახელობრ, „დანგის მესამედი“: „...ორი ქერი ფრჩხილი არს, ათი ქერი დანგი არს, დანგისა მესამედსა პაშტა ჰრქუიან“ (გვ. 420, 12).

აქ პაშტა ქერის სამ მარცვალზე მეტი გამოდის, მაინც საზომია, მცირე წონისა.

საბაზე დაყრდნობით ნიკო ჩუბინაშვილი წერს: პაშტა ქრთილის მარცვლის ოდენა („ქართული ლექსიკონი“, ალ. ლლონტის გამოცემა, 1961, გვ. 348).

საბას „სიბრძე-სიცრუისა“-ში ნახმარია „პაშტა“, ოღონდ ისეთ კონტექსტში, რომ წონის ერთეულად ამ სიტყვის მნიშვნელობა შეუძლებელია გავიგოთ: „წავლო პაშტა ადგილი, მოსამსახურეთ უთხრა: „თქვენ წადით, მე ნუ მელით!“

2. ინგილოური დიალექტის ლექსიკონში, რომელიც მოსე ჯანაშვილის შრომას „საინგილო“ ერთვის, შეტანილია ეს სიტყვა: „პაშტად, პაშტაი — საკმაო, ცოტაზე მეტი“ (იხ. ვეფხ.-ტყ. — „ძველი საქართველო“, II, 1911-1913 წწ., გვ. 257).

იქვე სქოლიოში მოსე ჯანაშვილს ასეთი სქემა მოუცია:

„სულ მცირე: პაწა (= ბეწო) — პიწწა — პიწიწა (პაწაწა).

მცირეზედ მეტი: პატა, პატატა, პატრა (პტა), ცოტა.

ცოტაზე მეტი: პაშტად.

პაშტაზედ მეტი: ბევრი.

1. პიწწა ხან, 2. პატა-ხან, 3. პაშტა-ხან, 4. ბევრ ხან. მომკეს პიწწაი, პატად, პ ა შ ტ ა დ, ბევრ (малость, немного, достаточно, много)... იქვე, გვ. 257.

მნიშვნელობათა გარდაცვა ერთვებარად ხელოვნური ჩანს, ზოგი ვარიანტიც (სიტყვათა) ვარსკვლავით აღსანიშნია, ალბათ.

მაგრამ აქ საგულისხმო ის არის, რომ პ ა შ ტ ა განმარტებულია, როგორც „ცოტაზე მეტი“, „საკმაო“, საშუალო „ცოტასა“ და „ბევრს“ შორის.

საბასეული გაგებისაგან ეს გაგება თვალსაჩინოდ განსხვავდება. ვეფხისტყაოსან-ზე მითითებაც საგულისხმოა.

პაშტად-ს ხმარების ნიმუშად მოსე ჯანაშვილს მოცემული აქვს: „მომკეს პიწწად, პატად, პაშტად, ბევრ“...

ინგილოურ ტექსტებში კი ასეთ მაგალითს ვხვდებით: „პ ა შ ტ ა - ხ ა ნ ს უკან პატარზალ გომოსულ...“ — „ძველი საქართველო“, გვ. 201.

ისევე, როგორც ვეფხისტყაოსანში „პაშტა“ მსაზღვრელია, „ხანი“ — საზღვრული, „პაშტაი ხანი“, „პაშტა ხანი“ მტკიცე ფრაზეოლოგიური კომპლექსი ჩანს.

როგნედა ღამბაშიძის ცნობით<sup>1</sup> „პ ა შ ტ ა“ ამჟამადაც „ჩვეულებრივი ხმარების სიტყვაა ინგილოურში და ნიშნავს: „საკმაო“, „არა-მცირე“, „კარგა დიდი“, „კარგა ბევრი“: „პ ა შ ტ ა ხ ა ნ იტირა“... „პ ა შ ტ ა გ ზ ა ი წოჟდნენ“... „წყალ პ ა შ ტ ა არის“... „პ ა შ ტ ა თ ე თ რ მექონევავ“ („კარგა ბევრი ფული მექნებაო“).

3. იმავე ხანებში, როცა მ. ჯანაშვილის შრომა გამოქვეყნდა, „პაშტა“ დადასტურდა იმერხევურში. „შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურში“, რაიც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას აქვს დართული, ნიკო მარს ორმოცდაათიოდე იმერხევური სიტყვა აქვს მოხსენებული, მათ შორის პ ა შ ტ ა-ც არის ნაჩვენები, ასეთი განმარტებით:

<sup>1</sup> ამ ცნობისა და საილუსტრაციო გამოთქმათა მოწოდებისათვის ინგილოური დიალექტის მკვლევარს რ. ღამბაშიძეს მადლობას მოვასხენებ.

პაშტა ნიშნავს „ბევრი“, много: „პაშტა ხანია ბევრი ხანია (ჩოქ ვაკთ ღურ)“ ამიხსნა სურევენელმა მოლამ ეიუბმაო, წერს ნ. მარი. ეგვე ვავიგონე იმერხელში, მოსიძის სახლში. იგივე სიტყვა იმავე განმარტებით მოვისმინე თეთრაკეთშიც: პაშტა ი დათვები იყო много было медведей, იხ. "Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию", გვ. 83. შეტანილია შრომაში: Георгий Мерчул. "Житие св. Григория Хандзтийского... с Дневником поездки в Шавшию и Кларджию", – "Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии", кн. VII, СПб., 1911.

სქოლიოში ნ. მარი შენიშნავს: „მაშასადამე, ხელი უნდა ავიღოთ პაშტა-ს გაგებაზე „მცირე“-ს მნიშვნელობით (в значении "мало"), ასე მაგალ., 406 (დ. კარიჭაშვილის გამოცემისა): დავაგდე ზღვარი ჰინდოთა, მეგლო პაშტაი ხანია“ (იქვე, გვ. 83).

4. ამრიგად, პაშტა დადასტურებულია ქართული მეტყველების ორ დიალექტში: აღმოსავლეთ კიდეზე, ინგილოურში, სამხრეთ-დასავლეთის კიდეზე, იმერხევეურში, მაჰმადიან ქართველთა მეტყველებაში ორივეგან... სიტყვა მკვიდრი ჩანს, როგორც იმერხევეურში (სამ სოფელში აქვს ნ. მარს დადასტურებული!), ისე ინგილოურში, მნიშვნელობაც არსებითად ერთია, თუ ვავითვალისწინებთ რ. ლამბაშიძის დაკვირვებას.

ორსავე დიალექტში მეორდება გამოთქმა „პაშტაი ხანია“ (ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“)... იმერხევეურშიც, ინგილოურშიც სხვა გამოთქმაშიც დასტურდება ეს სიტყვა: „პაშტა გზაი“, „პაშტა თეთრ“, „პაშტაი დათვები“.

5. ვეფხისტყაოსნის ი. აბულაძისეულ გამოცემაში „პაშტა“ განმარტებულია ასე: „პაშტა 335,1: საკმაოდ ბევრი, საკმაოდ დიდი, კარგი კუთხე, კარგი ძალი. შდრ. ვისრ., 40 გვ.“ (იხ. „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“, დართული მე-26-ე გამოცემას, 1926 წლისა, გვ. 273).

ამ განმარტებაში ჩართული „კარგი კუთხე“ არც პაშტა-ს კონტექსტს ეგუება („მეგლო პაშტაი ხანია“) და არც სხვა გამოთქმებს განმარტებაში („საკმაოდ ბევრი“, „საკმაოდ დიდი“, „კარგი ძალი“)... გარდა ამისა, „საკმაოდ“-ს დართვა („საკმაოდ ბევრი“, „საკმაოდ დიდი“) მოსე ჯანაშვილისეულ გრადაციას მოგვაგონებს: „ცოტაზე მეტი“, მაგრამ „ბევრზე მცირე“ (შდრ. „დიდი“, — მნიშვნელობა, დადასტურებული იმერხევეურში ნ. მარის მიერ; „საკმაოდ“, „კარგა დიდი“, „კარგა ბევრი“ — როგნ. ლამბაშიძის ჩვენებით). პაშტა იუსტ. აბულაძის განმარტებაში „პატარა“ არაა, მაგრამ „დიდის“ სინონიმად არ მიიჩნევა.

პაშტა-სიტყვის გაგება, რაც იუსტ. აბულაძეს აქვს მოცემული ვეფხისტყაოსანში 1926 წელს, უახლოვდება მოსე ჯანაშვილისეულ განმარტებას, 1911 წ. წარმოდგენილს, და კიდევ უფრო მეტად იმ მნიშვნელობას, რაც ამ სიტყვას იმერხევეურში ჰქონია შერჩენილი, როგორც ეს ნ. მარმა

დაადასტურა („მოგზაურობაში“) 1911 წელს.

6. იუსტ. აბულაძეს არც ერთი აქვს დამოწმებული, არც — მეორე.

პ ა შ ტ ა-სიტყვა იუსტ. აბულაძეს პირველად განმარტებული აქვს არა 1926 წელს (ვეფხისტყაოსნის გამოცემაში), არამედ 1916 წელს „შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართულ ვერსიებში“, განმარტება მოცემულია ორგანო: ტექსტიკი და დართულ ლექსიკონში.

940 სტროფის მეორე სტრიქონშია ნახმარი „პაშტა“:

„მოილო ქარიმანისა ჯაჭვი, ჯავშანი, რანია

მას უკან არვის ჩაეცვა, იყო პაშტაი ხანია“ („შაჰ-ნამეს ქართ. ვერსიები“, გვ. 256).

აქ სქოლიოში ვკითხულობთ: „პ ა შ ტ ა — კაი კუთხე, ერთი გზობა, კაი ძალი, საკმაოდ ბევრი. იხ. ჩვენი განმარტება, „სახალხო გაზეთი“ №184, ფელეტონი, სვეტი მე-4, სტრ. 31 — მე-8 სვეტამდე და *ibid.* № 209, ფელეტონი, სვეტი 2-4, № 4528 — პაშტანი“ („შაჰ-ნამეს ქართ. ვერსიები“, გვ. 256, შენიშვნა 6 — № 4528 ხელნაწერის ნომერია, სადაც „პაშტა“ მრავლობითის ვარიანტით ყოფილა წარმოდგენილი — ა. ჩ.).

ტექსტისთვის დართულ ლექსიკონში ნათქვამია: „პაშტა 940,2 — მნიშვნელობა იგივე აქვს, რაც სპარ. **سب** „ბეს“-ს — საკმაოდ, ბევრი, კარგი კუთხე, კაი ძალი (ხალხ.). შეად. ვისრ. 40 გვ. იხ. ჩვენი განმარტება: „სახალხო გაზ.“ 184 №-ი, ფელეტ. სვეტ. მე-4-ე, *ibid.* 209 №-ი, ფელეტონი, 2-4 სვეტი“ („შაჰ-ნამეს ქართ. ვერსიები“, გვ. 823).

„კ ა რ გ ი კ უ თ ხ ე“ სრულებით არ უდგება „პაშტა ხანს“ (არც ვეფხისტყაოსანში და არც „შაჰ-ნამეს“ ტექსტში): იგი სათანადო სპარსული სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა ყოფილა და სხვა მნიშვნელობასთან ერთად გადმოუტანია იუსტ. აბულაძეს ჯერ „შაჰ-ნამეს“ ლექსიკონში (1916 წ.), შემდეგ ვეფხისტყაოსანში (1926 წ.).

ერთი განსხვავება მაინც არის: 1916 წ. გვქონდა: „ს ა კ მ ა ო , ბ ე ვ - რ ი“, 1926 წელს გვაქვს: „საკმაოდ ბევრი“, „საკმაოდ დიდი“... 1916 წლის განმარტება უფრო სწორია.

7. 1926 წლითვე დათარიღებული სარგის კაკაბიძისეული მეორე გამოცემა 1927 წლისა (გამოკვლევითა და ლექსიკონით)<sup>2</sup>, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ასეა განმარტებული:

პ ა შ ტ ა 408 — საკმაოდ, ბევრი (გვ. 202).

8. კონსტანტინე ჭიჭინაძის გამოცემა (1934 წ.) იმეორებს იუსტ. აბულაძისეული განმარტების ნაწილს: „პაშტა, 463 — საკმაოდ ბევრი“ (გვ. 663).

<sup>2</sup> პირველი გამოცემისათვის, რომელიც 1913 წელს ეკუთვნის, ლექსიკონი ს. კაკაბაძეს არ დაურთავს (ეს გამოცემა ვარიანტების ჩვენებით გამოიჩრევა).

9. საიუბილეო გამოცემაში (1937 წლისა) — ტექსტი კომისიისაა, ლექსიკონი — იუსტ. აბულაძისა და გასაგებია, თუ ამ სიტყვის შესახებ ნათქვამია:

პ ა შ ტ ა 421,1 საკმაოდ ბევრი. საკმაოდ დიდი, კარგი კუთხე. კარგი ძალი გვ. 372.

10. რას უნდა ნიშნავდეს „პაშტა“ „ვეფხისტყაოსანში“: „მეგლო პაშტაი ხანი“? „ცოტა ხანი“ იგულისხმება თუ „დიდი ხანი“? კონტექსტი უკანასკნელ შესაძლებლობას უჭერს მხარს: ტარიელმა ჯარი შეყარა და ხატაელთა დასალაშქრავად მიჰყავს ინდოეთიდან. ინდოეთის საზღვარს გასცდა, დიდი ხანი იარა... შემოხვდა რამაზის გამოგზავნილი მოციქული.

დილასა შევგე, ვუბრძანე: „ჰკარით ბუკსა და ნობასა!“

სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესასხდომლად მზობასა

ლომმან მივმართე ხატაეთს, ვერვინ მიზრახავს ვრდლობასა,

უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, ვერ გაივლიდეს გზობასა.

დავაგდე ზღვარი ინდოთა მეგლო პაშტაი ხანია.

რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატაეთის ხანია.

ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ თქვენნი ინდოთა თხანია!

ინდოეთიდან ხატაეთს მიმავალს დიდი ხანი უნდა ევლო, — კონტექსტი ამას გულისხმობს.

ამიტომ გამართლებული ჩანს, როცა ოლ. უორდროპის ინგლისურ თარგმანში „პაშტაი ხანი“ გადმოცემულია გამოთქმით *a considerable time* „კარგა ხანია“, „საკმაო დრო“: *"I crossed the boundaries of India, I went on a considerable time – Shotha Rusthveli. The Knight in the Tigers Skin, Moscow, 1938, გვ. 77, სტროფი 406)*. კონსტ. ბალმონტისეულ თარგმანში ამ „კარგა ხანის“ ნებისმიერი კონკრეტიზაცია გვაქვს *"За индийские пределы выйдя, шел я месяц целый"* გვ. 106, სტროფებს სათვალავი არა აქვს).

პანტელ. პეტრენკოს თარგმანი გვერდს უვლის იმის თხრობას, თუ რამდენ ხანს ევლო ლაშქარს: *"Так в Хатайские пределы за отрядом шел отряд"*, — 1938, სტრ. 463.

შ. ნუცუბიძის თარგმანში ვკითხულობთ: *"Пробыл я в пути недолго"*, — 1941 წ. სტრ. 421. საბასეული გაგება ჩანს აქ ამოსავალი.

11. იუსტ. აბულაძე „ვისრამიანის“ ერთ ადგილზე მიუთითებდა, როგორც ზევით ვნახეთ. „ვისრამიანის“ იმ გამოცემას, რომელიც ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით დაიბეჭდა 1938 წ., დაბრთული აქვს ლექსიკონი იუსტ. აბულაძისა:

პაშტა, 31, 19, 198, 13 — საკმაო, საკმაოდ ბევრი, გვარიანი ბევრი (გვ. 377).

სათანადო ადგილას გვაქვს: „...დიდსა ჭირსა ჰნახავ და პაშტასა საჭურჭლეს უსაქმოდ განანქრევო...“ 31,19...



„...ვინ იცის, თუ მადამდის რაზომი წელიწადი გამოვა? მუნამდის ქუთათა ზედა პაშტა წყალი დაედინების“... 198,13.

„დიდს გაჭირვებას ნახავ და ბევრ სიმდიდრეს (ქონებას) გაანიავებ (ქარს გაატან)“... „მანამდის რამდენი წელიწადი გავა? იქამდის ქვიშას ბევრი წყალი დაედინება“ — „ბევრი“ და არა „ცოტა“...

„ვისრამიანის“ უკანასკნელი გამოცემა, რომლის ტექსტიც ალექსანდრე გვახარიას და მაგალი თოდუას მიერ არის გამოსაცემად მომზადებული, სპარსულ დედანს შედარებული, ლექსიკონსაც აწვდის მკითხველს, ლექსიკონში ფართოდ არის მოხმობილი სპარსული დედნის შესატყვისები, აქ ნათქვამია: „პაშტა 56,15, 200,30 (= ორიგ.) (بسی ‘ بسی) ბევრი, დიდი რაოდენობა, საკმაო“ (გვ. 745).

„რუსულდანიანში“ (1957 წლის გამოცემა ილ. აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით) ექვსჯერ არის ნახმარი „პაშტა“, აქედან „პაშტა ხანი“ ოთხჯერ გვაქვს, ორჯერ კიდევ „პაშტა ალაგია“ გამოთქმად ნახმარი.

გვ. 31,24: „მათი ომი მოინდომა, მერმე თქვა: ცოტას ხანს ვაცლიო. ამათ თამაშს ვნახაო. იყვნენ პ ა შ ტ ა ს ა ხ ა ნ ს ა. მერმე შევიდნენ ტბაში, იბანეს და იცურვეს“...

გვ. 228,21: „ცოტას ხანსა დაღმა ვიარეთ, ერთი კიბე ჩავიარეთ, მერმე მართლა ვაკე ვიარეთ, კაი გზა; ფარაღათი, ნათელი, პ ა შ ტ ა ხ ა ნ ს მერმე ასეთს სახლში გავედით, რომ დიდი და პატიოსანი სახლი იყო“.

გვ. 261,37: „თავად სჯობს შენის თავის მშვიდობა ეძებო, თვარემ-და, ხლმით გარდავწყვიტოთო და გაჩნდება, რასა წამართმეო. იყო ამაზე პ ა შ ტ ა ხ ა ნ ს მოციქულობა. ამან იმას არ დაანება და ის ძალის იმედული ეცილებოდა...“

გვ. 342,19: „...წავიდა. იარა პ ა შ ტ ა ხ ა ნ ი და შემოეყარნეს ორნი კაცნი“... გვ. 350,36: „იყო ნამეტნავი სიმხიარულე და სიამოვნის მგზავრობა გვქონდა. ვიარეთ პ ა შ ტ ა ა ლ ა გ ი...“ გვ. 350,36: „...და მოახსენეს: ხელმწიფე წამოვიდა წინ მოსაგებებლადო.“

იამა ყაისსა დიდად, და იარეს პ ა შ ტ ა ა ლ ა გ ი და ნახეს რომე ხელმწიფისა მოლარეთ-უხუცესი მოვიდოდა“...

„რუსულდანიანისათვის“ დართულ ლექსიკონში პ ა შ ტ ა განმარტებულია, როგორც „პატარა, ცოტა“ საბას გაგების შესაბამისად.

მართლაც, „პაშტა“ ალაგი ორსავე შემთხვევაში. „პაშტა ხანი“ ერთს შემთხვევაში (გვ. 342,19) კონტექსტის მიხედვით იგუებდა „პატარა“, „ცოტა“-დ გაგებასაც, ყოველ შემთხვევაში არ გამოორიცხავდა ასეთ მნიშვნელობას. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა მაგალითების შესახებ გვ. 261,37: „იყო იმაზე პ ა შ ტ ა ხ ა ნ ს მოციქულობა. ამან იმას არ დაანება და ის

ძალის იმედული ეცილებოდა“ — გვაგულისხმებინებს, რომ მოციქულობა მოკლე ხანში არ გათავებულა... ხოლო ორი სხვა მაგალითი (გვ. 31,24, 228,21) „პაშტა ხანთან“ დაპირისპირებით იძლევა „ცოტა ხანს“: სინონიმურ სიტყვებად „პაშტა“ და „ცოტა“ არ მიიჩნევა.

ეს იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ „რუსუდანთანის“ ტექსტის ჩვენებას დავეყრდნობით. სხვა ძეგლთა მიხედვით, მეტადრე დიალექტების (იმერხევურისა, აგრეთვე ინგილოურის მაგალითები გვარწმუნებს, რომ ყველა დასახელებულ ძეგლში „პაშტა“ ნიშნავს „ბევრს“, „დიდს“...

12. საბასთან რომ „პაშტა“ გვაქვს, სხვა წარმომავლობის სიტყვა უნდა იყოს: „პაშტა“ — ქერის მარცვლის წონა და „პაშტა“ გამოთქმებში „პაშტა ხანი“, „პაშტა ალაგი“ ომონიმები ჩანს.

13. იმერხევურისა და ინგილოურის ჩვენებას მხარს უჭერს ერთი უცხოელი ავტორის მოწოდებული მასალა. მხედველობაში გვაქვს იტალიელი მისიონერი ფრანცისკო მარია მაჯო, ავტორი ქართული ენის გრამატიკისა ლათინურ ენაზე (პირველი გამოცემა 1643 წელს ეკუთვნის, მეორე — 1670 წელს)<sup>3</sup>.

ზმნისართების დახასიათებისას (გვ. 98-106) მაჯოს 22 ჯგუფი აქვს გამოყოფილი. მეთვრამეტე ჯგუფად რაოდენობის (*Quantitatis*) ზმნისართებია წარმოდგენილი, ესენია: „ცოთა (= ცოტა), ცოთაოდენ (= ცოტაოდენ), პაშთაი (= პაშტაი), ბევრი, ბევრიოდენ“.

„პაშთაი“ მაჯოს ნათარგმნი აქვს, როგორც *multum* (ე. ი. „ბევრი“, *много*: ქართ. „ბევრი“ ზმნისართი არაა!).

დროის აღმნიშვნელ ზმნისართთა შორის მაჯოს მოხსენებული აქვს „პაშთაიკან“ (= პაშტაი ხანს), მისი ლათინური თარგმანია *jam dudum, jam pridem* (ე. ი. „უკვე დიდი ხანია“, ზმნისართით რომ გადმოვცეთ: *уже давно*).

მაჯოს „პაშთაიკან“ ესაა „პ ა შ ტ ა ი ხ ა ნ ს“. ჩვეულებრივი ფრაზეოლოგიური ერთეულის სახით რომ იხმარება რიგ ძეგლსა და დიალექტებში (იმერხევურში, ინგილოურში).

ცნობილია, რომ მაჯო ერთხანს გურიაში ცხოვრობდა. ყურადღებას იქცევს გურული ტაპონიმიკური ტერმინები, გრამატიკული წესის საილუსტრაციოდ გამოყენებული: „ტი“ თუ აქვს სახელს ბოლოში, მიცემითში ც-ს მივიღებთო, და ჩამოთვლის ადგილის სახელებს: კუბულეტი (ე. ი. ქობულეთი), გრიკოლეტი (ე. ი. გრიგოლეთი), აკეტი (ე. ი. აკეთი), ოზურგეტი, ლანჯიკუტი (ე. ი. ლანჩხუთი) მიცემითში იქნებაო: კუბულეც, გრიკო-

<sup>3</sup> ამ გრამატიკას ეხებოდა ალ. ცაგარელი (შრომაში "О грамматической литературе грузинского языка", 1873, გვ. 46-55), ვეხებით ჩვენც შრომაში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, 1965, გვ. 26-56.

ლევ, აკეც, ოზურგეც, ლანჯიკუც (გვ. 38), ე. ი. ქობულეთს, გრიგოლეთს, აკეთს და მისთანათა ბოლოკიდური თ-ს მაჯოს ც-ად აქვს აღქმული.

გურული ტოპონიმიკის ფართოდ გამოყენება კითხვას ბადებს: „პ ა შ ტ ა ი“-ც ხომ არა აქვს მაჯოს აღებული გურული მეტყველებიდან თუ არა, სამხრულ-დასავლური დიალექტური ზონის ლექსიკიდან<sup>4</sup>.

მაინცა და მაინც დადასტურებული ფაქტია, რომ:

1. მაჯოს წიგნში (ქართულ გრამატიკაში) 1643 წ. „პ ა შ ტ ა“ სიტყვა გვაქვს, როგორც ქართული ცოცხალი მეტყველების ფაქტი ისევე, როგორც ეს დღემდე შემოგვინახეს ინგილოურმა და იმერხევურმა.

2. მაჯოს გრამატიკაში „პაშტა“ სიტყვას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ინგილოურს და იმერხევურში (და რაც ჰქონდა ამ სიტყვას ვეფხისტყაოსანში, „ვისრამიანში“, „რუსუდანიანში“: „პაშტა“ — დიდი, ბევრი **multum**: ასეთია ძირითადი მნიშვნელობა).

„პ ა შ ტ ა ხ ა ნ ი“ იხმარება, როგორც ჩვეულებრივი ფრაზა — „დიდი ხანი“ მნიშვნელობით — ზემოხსენებულ ძეგლებშიც (ვეფხისტყაოსანი, „ვისრამიანი“, „რუსუდანიანი“), იმერხევურშიც, ინგილოურშიც, მაჯოს გრამატიკაშიც.

საბას „პაშტა“ (ქერის მარცვლის წონა) სხვა, ომონიმური, სიტყვა ჩანს.

ფონეტიკური სტრუქტურის მიხედვით, თუ „პაშტა“ ბგერათა ცვლის შედეგად არაა მიღებული, ქართული წარმომავლობის ძირი არ უნდა იყოს.

#### დასკვნითი დებულებები

1. „პ ა შ ტ ა“ ვეფხისტყაოსანში მხოლოდ ერთხელ გვხვდება: „დავაგდე მზღვარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია“ (სტრ. 421).

2. „პაშტა“ არის ნახმარი აგრეთვე „ვისრამიანში“, „ამირან-დარეჯანიანში“, „შაჰ-ნამეს“ ქართულ თარგმანში (თითო-ოროლა შემთხვევაში), გვხვდება ექვსჯერ „რუსუდანიანში“ (ერთხელ — ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნიც“ ხმარობს იმავე ბგერით კომპლექსს სულ სხვა მნიშვნელობით, ე. ი. სხვა სიტყვაა).

3. „პ ა შ ტ ა“ — სიტყვის მნიშვნელობის ორი, არსებითად განსხვავე-

<sup>4</sup> „რუსუდანიანის“ ენაში ყურადღებას იქცევს დიალექტიზმები, რაც ივ. გიგინეიშვილს საფუძველს აძლევს დაასკვნას: „თხულება დასავლეთ საქართველოშია დაწერილი“ (გვ. XXVII).

მეორე მხრივ, „რუსუდანიანში“ გვაქვს ყველაზე მეტი შემთხვევა „პაშტა“-ს ხმარებისა (ექვსჯერაა ნახმარი). შემთხვევითია ეს?

ბული განმარტება აქვთ მოცემული: ა) „საკმაო დიდი“, „კარგა ბევრი“, ბ) „ცოტა“, „პატარა“.

პირველი გაგება („შაჰ-ნამეს“ სპარსულ დედანზე დამყარებით) მოცემული აქვს ჯერ კიდევ 1916 წელს იუსტინე აბულაძეს, მეორე გაგება საბასეულ განმარტებას ემყარება (პაშტა „ქრთილის [ე. ი. ქერის] მარცვლის წონა“).

4. ქართულ დიალექტთაგან პ ა შ ტ ა დადასტურებულია: ინგილოურში (მ. ჯანაშვილის მიერ 1911 წ., აგრეთვე როგნედა ლამბაშიძის მიერ ამ ოციოდე წლის წინათ; იმერხევეურში — ნ. მარის მიერ 1911 წ.).

5. მ. მაჯოს გრამატიკა ქართული ენისა (ლათინურად შედგენილი, პირველად გამოიცა რომში 1643 წ., მეორედ 1670 წ.) ზმნისართთა შორის მოიხსენიებს ამ სიტყვას: პ ა შ ტ ა ი multum (ე. ი. ბევრი, много).

6. ასეთი გაგება, დღემდე დაცული დიალექტებში, უნდა ივარაუდებოდეს ვეფხისტყაოსნის ზემოხსენებულ სტროფშიც: „მეგლო პაშტაი ხანია“ ნიშნავს „მეგლო კარგა ხანს“, „მეგლო დიდ ხანს“.

7. საბას პ ა შ ტ ა, ასევე ზაზა ფანასკერტელის პ ა შ ტ ა სხვა წარმოშობის სიტყვა ჩანს: წონის მცირე ერთეულს გულისხმობს. ამრიგად, ომონიმებთან უნდა გვქონდეს საქმე.

„თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“  
(საიუბილეო კრებული), თსუ გამ-ბა, 1966,  
გვ. 334-341

## К ВОПРОСУ О ДИАЛЕКТИЗМАХ В ПОЭМЕ РУСТАВЕЛИ "ВЕПХИС-ТКАОСАНИ"\*

О диалектизмах можно говорить лишь на основе учета взаимоотношений литературного языка и наречий (диалектов): это вытекает из существа понятия "диалектизма".

В литературный язык всегда просачиваются лексические, морфологические, синтаксические явления живой диалектной речи; диалекты питают литературный язык; без этого источника нормальное развитие литературного языка немислимо.<sup>1</sup>

Не все диалекты принимают одинаковое участие в процессе снабжения литературного языка; для определенного периода выделяется тот или иной диалект, к которому литературный язык ближе всего стоит и к которому он тяготеет; но, ориентируясь на определенный диалект, литературный язык никогда с ним не совпадает.

Если же в силу обстоятельств социально-политического и экономического характера происходит сдвиг в ориентации литературного языка, место прежнего диалекта заступает новый; обычно с этим бывает связана "переоценка ценностей": нормы, дотоле представлявшиеся литературными, могут выглядеть как диалектизмы, поскольку новый диалект разнится от старого.

Литературная дотоле норма может получить квалификацию диалектного явления даже и без изменения ориентационной базы, если только литературный язык в процессе развития в отношении определенных явлений разойдется с питающими его диалектами — или опередив их, или же отстав от них.

В пояснение вышеизложенных возможностей сошлемся на следующий факт из истории грузинского литературного языка. В современном грузинском лит. языке одноличные глаголы всегда согласуются в числе с субъектом множ. числа, если только в качестве субъекта выступает человек:

---

\* Доклад заслушан на сессии ИЯИМК Грузфилиал АН (3 янв. 1938 г.), посвященной 750-летию написания "Вепхис-ткаосани"; здесь дается сокращенное изложение.

<sup>1</sup> Это отнюдь не значит, что развитие литературного языка целиком сводится к этому источнику (соответствующий процесс значительно сложнее!) или, что диалектизмы всякого рода и в любом количестве автоматически включаются в фонд литературного языка, лишь только они попали в литературное произведение, но эти вопросы в данном случае нас не занимают.

Характерно, что в малых дозах наличие диалектного вклада не замечается читателем; лишь будучи привнесены в большом количестве, диалектизмы невольно обращают на себя внимание.

მეზობლები მოდიან mezoblebi modian "соседи приходят"; в имерском и гурийском наречиях глагол может не согласоваться с именем-субъектом и в этих случаях: მეზობლები მოდის mezoblebi modis "соседи приходит". Такая конструкция, попадая в литературное произведение — а это не так уж редко встречается у современных писателей, выходцев из Западной Грузии (Имерети, Гурии), квалифицируется, как нелитературная конструкция, как диалектизм определенного происхождения; между тем такое сочетание слов составляет законную литературную норму для древнегрузинского языка; в последнем глагол никогда не согласуется с именем во множественном числе, раз множ. число образовано при помощи суффикса -ებ- -eb-; в этом отношении древнегрузинский литературный язык совпадает с имерским и гурийскими наречиями; მეზობლები მოდის mezoblebi modis — отсутствие согласования в числе — являлось литературной нормой древнегрузинского языка (VI-XI вв.); для современного же грузинского литературного языка — это яркий диалектизм.

Изменчивостью взаимоотношения литературного языка и диалектов обуславливается изменчивость квалификации явлений, признаваемых за диалектизм.

Следовательно, надлежащая квалификация диалектизмов невозможна без уяснения исторической перспективы развития литературного языка и диалектов, без должного анализа сложного исторического процесса отношения тех или иных диалектов к литературному языку.

Как правило, в литературных произведениях всплывают диалектные явления того края, уроженцем которого является автор. Так, в поэмах Важа-Пшавела выступает пшавский диалект, у Эгн. Ниношвили — гурийский диалект, у Шолохова — характерные слова донской казачьей речи (баз — двор, махотка — горшок...).

Поэтому вполне понятен тот интерес, который вызывается вопросом о диалектизмах у Ш. Руставели: это помогло бы установить, из какой грузинской провинции был гениальный творец бессмертной поэмы; таким образом вопрос о диалектизмах, помимо лингвистических, отвечает и актуальным задачам историко-литературного исследования.

\* \* \*

В специальной литературе высказывалось мнение, что в поэме Руставели наличны диалектизмы месхского происхождения, что Шота Руставели был месх. Это положение выставлено акад. Н. Марром в работе "Грузинская поэма "Витязь в барсовой шкуре" Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема. I. Племенная среда. II. Культурная среда и "эпоха", Изв. Ак. Наук, 1917, Петрогр., 1917, стр. 415-446, 475-506.

Обоснованию того же положения посвящена специальная статья Г. Натенадзе в грузинском журн. "Мнатоби" (№ 8/9, 1937, стр. 265-290).

Мы не задаемся целью подробно анализировать эти работы: отметим лишь, что в обоих случаях исходным пунктом служит лексика.

Большинство слов, приводимых Г. Натенадзе, не окажутся специфически месхскими, если только будут учтены общеизвестные факты древнегрузинского литературного языка; то же небольшое, что не объясняется данными древнегруз. языка, кажется исключительным достоянием месхского диалекта вследствие неизученности лексического состава других грузинских диалектов; но если бы даже такие слова и оказались специфическими, этого было бы отнюдь недостаточно для тех выводов, которые автор мнит отсюда извлечь.

Анализируемый акад. Н. Марром словарный материал включает в себя, помимо собственных имен, около десятка слов, в большинстве своем заимствованных. Этот материал используется автором для сконструирования концепции, согласно которой "месхский говор — родная речь" Шоты Руставели, "месхский говор грузинского литературного языка, на котором художественно творил величайший грузинский поэт, сильно был насыщен арабскими и персидскими словами" (см. вышеуп. исслед. стр. 486), что "не может быть признан мусульманином" (стр. 494; см. также стр. 499), и так как ни в XII, ни в XIII столетиях Месхети не была еще мусульманской, то тем самым дата написания поэмы перемещается: "если не XIII, то XIV век — это цветущая эпоха Месхии(!), если не XIII, то XIV век — эпоха, когда мусульманский элемент в Месхети составлял силу (!) и в своем составе числил, несомненно, и грузин" (стр. 500)... и еще в виде заключения: "Все приведенные нами факты и соображения, как бы клонящиеся к установлению новой даты возникновения поэмы "Витязь в барсовой шкуре" и к новому освещению личности ее автора, пока имеют лишь одно назначение — внушить основательность сомнений в традиционном представлении о культурной среде и о времени литературной деятельности грузинского месхского (курсив наш — А. Ч.) поэта Шоты из Рустава, вселить убеждение, что эти сомнения возбуждаются в интересах более реалистического и, следовательно, более правильного понимания знаменитой поэмы" (стр. 506). Даже и в этой смягченной заключительной формулировке Руставели категорически титуруется "грузинским месхским поэтом"...

Вышеупомянутая работа акад. Н. Марра — классический пример диспропорции между опорными фактами и воздвигаемой на них концепцией, естественным результатом чего является неизбежное и поспешное изменение самой концепции, построенной на таком неустойчивом материале. Действительно, впоследствии автор отошел от выставленных в этой работе положений. Это вполне понятно; непонятно лишь то, что эта работа акад. Н. Марра, в которой не имеется ни одного обоснованного положения, нередко объявляется крупным вкладом в руствелологию.

\* \* \*

При обсуждении вопроса о диалектизмах менее всего можно полагаться на имена существительные, а также глаголы ввиду того, что в этой части лексика наиболее изменчива (и мало характерна); более надежны местоимения и связанные с ними по происхождению наречия; еще более





Отметив вкратце соответствующие случаи, нам придется дать этим фактам оценку; при перечне фактов и их предварительной классификации мы будем волей-неволей исходить из данных современного грузинского языка: оценка же фактов может вестись лишь в перспективе истории грузинского литературного языка.

\* \* \*

К диалектизмам восточно-грузинского происхождения относятся нижеследующие явления:

1. Употребление послелога **-დაღმა(ნ)** || **-დაღმე -dayma(n)** || **-dayme** "от", "из", "с" (вместо обычного **-გან -gan**):

863<sub>4</sub>: თ ა ვ ი დ ა ღ მ ა რ ა დ ა რ ი ტყუ ი... tavidayma rad ar itqwi "с начала же почему не говоришь..."

1088<sub>3</sub>: ზ ე დ ა დ ა ღ მ ა ნ ჩ ა ე პ ა რ ნ ე ს z e d a d a ო m a n č a e p a r n e s... "сверху подкрались..."

1085<sub>1</sub>: მ ი თ ნ ა ვ ი დ ა ღ მ ა ნ... გადმოსუეს... mit n a v i d a ო m a n gadmoswes "с той лодки... высадили..."

1179<sub>4</sub>: მ ი თ ნ ა თ ლ ი დ ა ღ მ ე ... mit n a t l i d a ო m e "из того сияния (света)"...

В фонетически упрощенном виде тот же послелог предлежит в современном **-ამ -am**, — точнее **-ღამ -dam**, — имеющем широкое распространение в диалектах Восточной Грузии (и прежде всего в Карталинии и Кахетии), в произведениях Ильи Чавчавадзе (см. напр. ვ ლ ა დ ი - კ ა ვ კ ა ს ი ღ ა მ ტ ფ ი ლ ს ა მ დ ე v l a d i ო a v ო s i d a m ო p i l i s a m d e в "Письмах путешественника"), Н. Ломоури и др.

В письменных памятниках XIII-XVIII веков представлены все ступени развития этого послелога:

**-დაღმა -dayma** → **-ღამა -dama** → **-ღამ -dam**<sup>4</sup>... В значении "из", "от" в "Вепхис-ткаосани" обычно употребляется послелог **-გან -gan** с твор. пад. (иногда творит. падеж и без этого послелога используется, в значении отложительного падежа по нормам древнегрузинского языка).

В этих условиях употребление **-დაღმა(ნ)**, **-დაღმე -dayma(n)**, **-dayme** является безусловным отходом от прежней нормы и имеет определенное диалектное происхождение.

2. Суффикс настоящего времени **-ევ- -ev-**, выступая в основе аориста в виде **-ივ -iv**, удерживает звук **-ვ -v** в "Вепхис-ткаосани" точно так же, как это имеет место в диалектах (преимущественно, нагорных частей) Восточной Грузии. В диалектах Западной Грузии, равно как в древнегрузинском лит. яз., этот суффикс **-ივ -iv** представлен без конечного **ვ v**: ა თ რ ე ვ ს atrevs "тащит",

<sup>4</sup> Подробно об этом послелоге см. в статье автора: "Один неизвестный послелог в новогрузинском языке" — в "Известиях ИЯИМК", т. I.



2. В новогрузинском литературном языке указательными местоимениями служат **ის is** и **იგი igi** "тот" (они же выполняют функцию личного местоимения третьего лица "он"). Употребляются эти местоимения одинаково; можно лишь отметить два случая, когда **ის is** и **იგი igi** друг-друга замещать не могут: с частицей **-ვე -ve** "же" употребляется лишь **იგი igi**: **იგი-ვე igive** (но не „ისივე“ "isive"); но в виде определения имени существительного **იგი igi** не подходит, обязательно прибегнуть к **ის is**: **ის კაცი is kaci** тот человек...; **იგი კაცი igi kaci** воспринимается, как диалектизм, характерный для гурийского наречия.

В "Вепхис-ткаосани" местоимение **იგი igi** находит широкое применение, и как самостоятельный член предложения (см. стр.: 8244<sub>1</sub>, 947<sub>1</sub>, 1299<sub>4</sub>, 812<sub>2</sub>...), и как определение имени существительного (точнее, как артикль):

30<sub>3</sub>:... **იგი** სინათლე **igi** sinatle "тот свет"...

594<sub>3</sub>:... **იგი** მთუარე **igi** mtware "та луна"...

820<sub>1</sub>: **იგი** ფიცი **igi** pici "та клятва"...; см. также строфы: 118<sub>4</sub>, 69<sub>1-4</sub>, 779<sub>3</sub>, 972<sub>4</sub>, 1016<sub>4</sub>, 1058<sub>3</sub>, 1062<sub>3</sub>, 1065<sub>3</sub>, 1333<sub>4</sub>, 1273<sub>2</sub>, 1282<sub>1</sub>, и т. д.

3. В ряде случаев указательное местоимение **ის is** предлежит в форме **ისი isi**; этот последний вариант, казалось бы, подлинный диалектизм имерского толка: оно поныне фигурирует в верхне-имерском говоре.

1046<sub>1</sub>: **ისი** დიაცი აქა ზის **igi** diaci aka zis "та женщина здесь сидит"...

1157<sub>2</sub>:... რას მექადდა **ისი** კაცი... ras mekadda **isi** kaci "чем угрожал тот человек"... см. также строфы: 1073<sub>2</sub>, 1103<sub>3</sub>, 1109<sub>3</sub>, 1088<sub>2</sub>, 1349<sub>2</sub>, 939<sub>1</sub>, 400<sub>1</sub>, 406<sub>1</sub>, 213<sub>2</sub>...; во всех этих случаях **ისი isi** служит определением; другие случаи использования этого слова даны в строфах: 197<sub>1</sub>, 205<sub>1</sub>, 238<sub>2</sub>, 940<sub>1</sub>, 941<sub>3</sub>, 943<sub>2</sub>, 1043<sub>4</sub>, 1067<sub>2</sub>, 1162<sub>1</sub>...

4. Наречие **აქა aka** "здесь" с предлогом **-მდის -mdis** довольно часто встречается в "Вепхис-ткаосани": **აქამდის akamdis** "до этого", "до сих пор" (см. строфы: 137<sub>3</sub>, 138<sub>4</sub>, 604<sub>2</sub>, 1195<sub>1</sub>, 1209<sub>2</sub>, 1214<sub>3</sub>, 1265<sub>2</sub>, 1288<sub>4</sub>, 1305<sub>4</sub>, 1307<sub>1</sub>...).

Наряду с этим общеупотребительным и поныне образованием имеется одиннадцать случаев использования **აქანამდის akanamdis** (значение то же, что у слова **აქამდის akamdis**). В этом варианте наречие "здесь" звучит **აქა-ნა aka-na** (вместо: აქა aka); см. строфы: 268<sub>1</sub>, 634<sub>4</sub>, 90<sub>1</sub>, 115<sub>2</sub>, 123<sub>3</sub>, 236<sub>3</sub>, 1227<sub>3</sub>, 1248<sub>1</sub>, 1371<sub>4</sub>, 1399<sub>4</sub>.

Такой вариант этого наречия находим в имерском, гурийском и аджарском наречиях грузинского языка; его нет ни в одном из диалектов Восточной Грузии, в частности нет и в месхском диалекте. Достоинно внимания, что во всех случаях употребления **აქანა akana**, это слово дано вместе с послелогом **-მდის -mdis**...

5. Прошедшее заглазное II и сослагательное III двухличных непереходных глаголов образуется при помощи суффикса **-ოდ- -od-**, как то

имеет место в имерском и гурийском диалектах (об отдельных случаях использования суф. **-იყო- -იგო-** см. выше):

828<sub>1,2</sub>: სრულად მიწღობდა ცნობასა, მიახლებობდა სიკუდილსა... sru<sup>l</sup>ad miq<sup>d</sup>oda snobasa, mi<sup>x</sup>leboda si<sup>q</sup>wdilsa... "оказывается, он совершенно лишился сознания, приблизился к смерти"... см. также строфы: 1375<sub>1,3</sub>, 552<sub>3</sub>, 912<sub>3</sub>, 518<sub>2</sub>, 1285<sub>1,2</sub>, 591<sub>4</sub>, 603<sub>1-4</sub>, 1006<sub>1-4</sub>, 1165<sub>1-4</sub>...

6. Последовательность наращения частиц **-ცა -ca** и **-ღა -ga** на вопросительные местоимения ვინ **vin** "кто" и რა **ra** "что" такая же, как в имерском диалекте:

**ვინ-ცა-ღა** 777<sub>4</sub>, **რა-ცა-ღა** 571<sub>3</sub>...; отсюда ვინცღა, რაცღა **vincga**, **ragga** "кто-то", "кто-угодно", "что-то", "что-угодно"... и в результате ассимиляции ვინცბა **vincba**, რაცბა **ragba** столь характерные для имерского диалекта...

7. Отнюдь нередки в поэме Руставели случаи "полногласия основ" вместо ожидаемой редукции:

1321<sub>4</sub>: ქუეყანად **kweqanad** вместо ქუეყნად **kweqnad**, 1159<sub>3</sub>: მტერულად **mterulad** вм. მტრულად **mtrulad**... მტერობა **mteroba** вм. მტრობა **mtroba**... 229<sub>2</sub>: საძებარად **sazabarad** вм. საძებრად **sazegrad**... 651<sub>2</sub>, საყუარელისა **saquarelisa** вм. საყუარლისა **saquarlisa**... см. также 85<sub>1-4</sub>, 107<sub>3</sub>, 312<sub>3</sub>...

Правда, во всех таких случаях полногласие оправдывается нуждами стихосложения; но для такого виртуоза художественного слова, каким мы видим Руставели в каждой строфе, не представляло бы никакого труда иным путем решить задачи стихосложения, если бы полногласие он считал за нелитературное явление или если бы оно было чуждо ему.

Полногласие наблюдается в ниже-имерском, гурийском, отчасти в аджарском диалектах.

\* \* \*

Каковы выводы? Явное преобладание диалектизмов западного происхождения не может быть случайным. Не следует ли отсюда, что автор поэмы выходец одной из западных провинций? Отнюдь нет! Такой вывод был бы правомерен лишь в том случае, если бы грузинский литературный язык создавался во времена Руставели и к тому же начинался бы поэмой Руставели! А ведь доподлинно известно, что история грузинского письменного языка ко времени Руставели насчитывала по меньшей мере семь веков существования, что за этот промежуток времени дважды менялась живая диалектная база, на которую ориентировался этот письменный язык; в процессе этого развития в литературный грузинский язык привносились и лексические, и морфологические, а частично и синтаксические явления, носящие в последующие периоды яркий отпечаток диалектизма.

Ввиду этого, когда речь идет о диалектизмах в "Вепхис-тквасани", мы не имеем основания делать какие-либо заключения до тех пор, пока не будет установлено: *из этих диалектизмов, что является принадлежностью*

литературного языка той эпохи и что может быть отнесено на долю автора поэмы, как проявление его диалектной речи; иначе говоря, решение вопроса о диалектизмах в "Вепхис-ткаосани" немислимо без определения того места, которое занимает язык этой поэмы в истории грузинского литературного языка.

Последующие столетия представлены памятниками в достаточной мере; предыдущие века оставили богатейшее наследие; и лишь светская литература XII-XIII вв. сравнительно бедно выглядит, надо полагать, в результате тех катастроф, которые постигли Грузию в XIII и XIV веках; это обстоятельство не может не осложнять решения вышеозначенной задачи.

И все-таки ряд диалектизмов в "В. т." без всякой натяжки разъясняется данными истории грузинского языка.

В памятниках IX-XI веков засвидетельствованы:

1. Случаи употребления местоимения **მისი misi** "его" в значении **თავისი tavisī**, как то мы отмечали в "Вепхис-ткаосани".

2. Указательное местоимение **იგი igi** "тот" ("он"), столь часто встречающееся у Руставели, пользуется монопольными правами в памятниках IX-XI веков. Это же местоимение выступает в роли артикля (определенного члена), и единственная разница в том, что этот артикль в древн.-груз. языке с л е д у е т за соответствующим именем (კაცი **იგი ḡaci igi**), у Руставели же, как правило, он предшествует имени: **იგი ḡaci igi ḡaci**.

3. Вариант **ისი isi** указательного местоимения, сохранившийся по сей день в верхне-имерском говоре, в литературном словоупотреблении лишился конечного **ი i** (**ისი isi** → **ის is**), но этот звук восстанавливается во множеств. числе (**ისინი isini** "те", "они"), а также перед частицей **-ც(ა) -c(a)** (**ისიც isic** "тот тоже", "он тоже"). Следовательно, появление **ისი isi** в "Вепхис-ткаосани" не имеризм, а один из признаков зарождения новогрузинского литературного языка. К тому же, если учесть, что **იგი igi** чуждо и карталинскому и кахетинскому диалектам, что для них характерно употребление местоим. **ის is**, станет ясно, что частое употребление **ისი isi** у Руставели результат новой ориентации литературного языка, нового курса на восточные диалекты.

4. Местоимения **ვინცაღა vinctaḡa**, **რაცაღა racaḡa** также ведут свое начало от древнегрузинского литературного языка.

5. Суффикс **-ოდ- -od-** тоже достояние древнегрузин. лит. языка; многовековая традиция обеспечила ему место и в новогрузинском литературном языке, в котором не привилось вост.-груз. образование при помощи **-იყო iqo**, **-იყოს iqos** (типа ჰქონიყო hkoniqo).

6. Примеры полногласия (нередуцированных форм) обычное явление в древнегрузинских памятниках; поэтому нет ничего нового или специфического, когда такие факты находим в поэме Руставели.

Следовательно, все вышеуказанные явления – диалектизмы, но *диалектизмы в древнегрузинском литературном языке*, а отнюдь не для Руставели, и не в "Вепхис-ткауосани"; притом еще вопрос, проникли ли эти диалектизмы в др.-груз. лит. язык из имерского, гурийского или аджарского диалектов; вполне возможно, что это был иной диалект,<sup>5</sup> имевший ряд общих черт с теперешними западно-грузинскими диалектами (с аджарским, гурийским, имерским)... Как бы то ни было, эти диалектизмы отнюдь не являются проявлением "родной, диалектной речи" Шоты Руставели.

Под вопросом лишь одно явление: **აქანამდის akanamdis**. Оно не встречается в древнегрузинском литературном яз. (по крайней мере, никаких положительных указаний в этом смысле мы не имеем). Казалось бы, в этом явлении мы застаем диалектизм, характерный для "Вепхис-ткауосани" и его автора. Но полагаем, что будет естественнее, если и это явление признаем принадлежностью языка светской литературы того периода.<sup>6</sup> В связи с этим не мешает отметить, что **აქანამდის akanamdis** у Руставели фигурирует рядом с **აქამდის akamdis**, как ординарное литературное слово; в частности, требования стихосложения не могут быть приведены в оправдание варианта **აქანამდის akanamdis**, полная форма второго варианта **აქამდისა akamdisa** содержала бы такое же количество слогов, что и **აქანამდის akanamdis**...

\* \* \*

Как обстоит дело с диалектизмами восточно-грузинского происхождения?

Их относительно мало, и это, казалось бы, говорит в пользу того, чтобы видеть в них диалектизмы, характерные для речи автора (обыкновенно, диалектизмы проступают в чрезмерном количестве или тогда, когда автор преднамеренно, в определенных целях широко открывает перед ними двери литературного языка или же, когда автор в должной мере не владеет литературным языком; в нашем случае эти возможности исключены).

Тогда пришлось бы признать, что Руставели выходец из Карталинии или Кахетии (одной из равнинных провинций Восточной Грузии).

Но дело в том, что интересующие нас диалектизмы, а также ряд других явлений (употребление **-დაღმა -dayma**, **-ევ || -ვ-ი -ev || -v-i** в прош. несоверш. и т. д., см. также перечень явлений на стр. 220-221), казалось бы, специфичных для языка "Вепхис-ткауосани", наличны уже в "Висрамиани", перевод которого предшествует времени написания "В.-т". Следовательно, эти явления естественнее отнести за счет опять-таки литературного языка эпохи Руставели, но не языка этого последнего.

<sup>5</sup> Диалект Тао и Кларджети, как то предполагал акад. Н. Марр.

<sup>6</sup> Вариант **აქანამდის akanamdis** встречается у Руставели всего 11 раз, и это на протяжении целых семи тысяч строк!

Если бы до нас дошло другое художественное оригинальное произведение этого же периода таких же размеров, наши сомнения, по всей вероятности, нашли бы положительное разрешение.

В пользу такого предположения говорит факт употребления **აქანამდის akanamdis** в "Висрамиани" (два раза!).



выдержанную в литературном новогруз. языке и впервые представленную в "Вепхис-ткаосани" (впрочем, факт требует проверки и доследования, прежде чем делать отсюда выводы).

У Руставели лишь следующие слова сохранили флексию **-ი** || **-ი -j** || **-i** (и то не всегда): **ერთაი ertai** "лишь один" (строфы: 54<sub>1</sub>, 61<sub>3</sub>, 93<sub>1</sub>, 1193<sub>4</sub>...): **ყუელაი qwelai** "все" (стр. 72<sub>1</sub>, 324<sub>4</sub>, 529<sub>2,3</sub>, 898<sub>2</sub>, 989<sub>4</sub>, 1358<sub>3</sub>, 1448<sub>3</sub>...), **ცოტაი cota** ("малый, маленький" (стр. 1284<sub>3</sub>, 516<sub>2</sub>, 399<sub>1</sub>...), **პაშტაი paštai** "достаточно большой, изрядный" (стр. 387<sub>1</sub>), **ყუელაკაი qwelakai** "все", "все вместе") (стр. 551<sub>3</sub>, 552<sub>3</sub>, 595<sub>1</sub>, 1449<sub>4</sub>...).

Флексия **ი i** в этих случаях является слогообразующим гласным (в древнегруз. **ი j** — полугласный звук)...

2. При склонении неусекаемых основ (имен с гласным исходом) флексии родительного и творительного падежей теряют начальный гласный **ი i**, эмфатическое же **ა a** (в конце флексии) удерживается:

76<sub>1</sub>: ნახუა მოუნდა უცხო სანახავისა naxwa mounḡa usxosa sana-xavisa "им захотелось посмотреть странное видение"; по нормам древнегруз. лит. яз. было бы უცხო სანახავისა usxojsa...

1168<sub>1</sub>: ვჯდო უგულოთა გულითა vǰdi ugulota gulita, букв.: "сидела я с бессердечным сердцем"... по древнегруз. нормам:

უგულოთა გულითა ugulojta gulita...

3. Перед послелогом **-მდის -mdis** исчезает (точнее: нет налицо) окончание направительного падежа **-ღ- -d-**:

1324<sub>2</sub>: ქუეყანა-მდის kweqana-mdis "до страны", ვერგა-მდის verqa-mdis "до ног"... вместо: ქუეყანად-მდის kweqanad-mdis...

Отдельные случаи выпадения этого **-ღ- -d-** попадаются и в древнегрузинском литерат. языке, для "Вепхис-ткаосани" же это — норма.

4. Объективным префиксом первого лица во множественном числе служит исключительно **გუ- gw-**<sup>8</sup>:

473: გუიბრძანეს gwibrzanes "приказали они нам"... მოგუცა mogwca "дал он нам"... გუაკლია gwuaklia "недостает нам"...

5. Рядом с указат. местоимением **იგი igi** широкое применение находит его синоним инодиалектной структуры **ისი isi** \* "тот" (примеры см. выше).

6. Порядок слов в предложении, свойственный древнегрузинскому языку и обусловливавший тяжесть конструкций в произведениях церковной литературы, изменен; в частности артикль, как правило, предшествует имени

<sup>8</sup> Анализу объективных префиксов I л. множ. числа в картвельских языках посвящается специальная статья и поэтому здесь ограничиваемся лишь констатированием факта.



в то время, как в древнегрузинском лит. яз. он следовал за именем существительным...<sup>9</sup>

Одним словом, язык поэмы *Руставели* не древнегрузинский литературный язык (несмотря на то, что синтаксические функции именительного и дательного падежей, свойственные древнегруз. языку, сохранились в ней без изменения); кристаллизуется *новогрузинский литературный язык*; это результат ориентированности литературного языка на восточно-грузинские диалекты; процесс приспособления лексики и структуры древнегрузинского литературного языка к новой живой диалектной действительности и есть процесс становления *новогрузинского литературного языка*.

Начался этот процесс значительно раньше написания "Вепхисткаосани"; протекает он в Восточной Грузии, являясь непосредственным результатом перемещения политического центра из Кутаиси в Тбилиси (по освобождению этого последнего от владычества арабов Давидом Строителем) и связанного с этим сдвига в культурной жизни и, в частности, во взаимоотношениях литературного языка с диалектами.

Сб. "Руставели", М., с. 205-222

---

<sup>9</sup> Впрочем, анализ порядка слов у Руставели требует специального исследования.

გიორგი გოგოლაშვილი

თემის საკითხისათვის III სერიის ფორმეზში<sup>1</sup>

თემა ფუძის ნაირსახეობაა.

ფუძის განმარტება საენათმეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი. ჩვენ ვემყარებით თვალსაზრისს: „ფუძე (ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც) უნდა განიმარტოს იმ ურთიერთმიმართებათა მიხედვით, რომლებსაც იგი ამყარებს სტრუქტურის შემადგენელ სხვა ელემენტებთან“ (ჯორბენაძე 1980: 124). თუ ზმნის სისტემაში არსებულ ურთიერთმიმართებებს გავითვალისწინებთ და ამ კუთხით დავინახავთ ფუძეს, მაშინ აღმოჩნდება, რომ „ფუძე უნდა განვიხილოთ, როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი“, რომელიც „საყრდენია ფორმათა სისტემისათვის“ (იქვე, 120). თუკი ფუძე არის პერმანენტულად ცვლადი მონაცემი საყრდენი ფორმათა სისტემისათვის, მაშინ მიმართებათა სხვადასხვა შემთხვევისათვის სხვადასხვა ფუძეზე უნდა იყოს საუბარი; ასეც არის. მართალია, ფუძე განიხილება როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი, მაგრამ „ყოველ მოცემულ სტრუქტურაში სტრუქტურული ელემენტების მიმართ ფუძე მდგრადი (უცვლელი) ელემენტია“ (იქვე, 190). ამ მსჯელობის შემდეგ ბ. ჯორბენაძე ასეთ ზოგად განმარტებას გვთავაზობს: „ყველაფერი **ის, რაც საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის, ფუძედ უნდა იწოდოს**“ (უფრო ვრცლად იხ.: გოგოლაშვილი 2010: 25-31). თუ ვსაუბრობთ მწკრივის პარადიგმაზე, მაშინ **მწკრივის ფუძედ** განიხილება ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთო არის ამ მწკრივის ყველა ფორმისათვის, ყოველ მწკრივს თავისი ფუძე ექნება (**გ-ხატ-ავ, გ-ხატ-ავ-დ-ი, გ-ხატ-ავ-დ-ე...**). თუ ვსაუბრობთ ზმნის სრულ პარადიგმაზე, ამ ზმნისათვის ფუძე იქნება **ხატ** (სხვაგვარი განმარტებით — ძირი. ვთქვათ ისიც, რომ **ძირიც** ამგვარი მიდგომით ფუძის ნაირსახეობაა).

თუ ვსაუბრობთ ამა თუ იმ სერიის ფორმათა წარმოებაზე, ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთო იქნება ერთ სერიაში შემავალ ზმნურ ფორმათათვის, იქნება **სერიის ფუძე**. სწორედ **სერიის ფუძის** აღსანიშნავად შემოიღო ა. შანიძემ ტერმინი **თემა**.

ტერმინი თემა და შესაბამისი ცნების განმარტება ა. შანიძის ნააზრევში პირველად ჩნდება 1930 წლის „ქართული ენის გრამატიკაში“: „პირიელი

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად **ა. შანიძის** დაბადების 124-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე თსუ-ში 2011 წლის 26 თებერვალს.

ზმნის ჩონჩხს წარმოადგენს თემა, რომელზედაც ასხმულია ფორმა. **თემა ჰქვია უცვალეხელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში**, ე. ი. რომლის დაპირისპირებითაც ცვალეხადია პირისა, რიცხვისა, ქცევისა, დროისა და კილოს ნიშნები“ (შანიძე 1930: 138). აქვე მინიშნებულია, რომ **საკუთარი თემა** აქვთ I და II სერიის ფორმებს; ეს „თემათა სხვადასხვაობა საფუძვლად უდევს დრო-კილოთა ორ სერიად დაყოფას ქართულ ზმნათა დიდი უმრავლესობისათვის“ (იქვე). თემის საკითხი განიხილება III სერიაშიც, თუმცა ნათქვამია, რომ „მას საკუთარი თემა არ გააჩნია და ჩვეულებრივ იგი ან პირველი სერიის თემას სარგებლობს (უფრო ხშირად), ან არადა მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპებზე აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველი და მეორე სერიის დრო-კილოები“ (იქვე).

ე. ი.: I სერიას თავისი თემა აქვს; II სერიას — თავისი; III სერიაში სამი შემთხვევა განიხილება: ა) იყენებს I სერიის თემას; ბ) იყენებს II სერიის თემას; გ) იყენებს I-II სერიის თემისაგან განსხვავებულ საყრდენ ფუძეს (თემას).

**შენიშვნა:** საუღლებელ ერთეულთა დაჯგუფება სამ სერიად საუღლებელ ფუძის პრინციპებზე დამყარებით მიიჩნევა ნ. მარის დამსახურებად. მართალია, მანამდე ორ ჯგუფად დალაგება საუღლებელი ერთეულებისა სხვა ავტორებთანაც გვქონდა (კ. დოდაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი), მაგრამ სამეცნიერო გრამატიკაში ამ პრინციპის დამკვიდრება ნ. მარის დამსახურებაა (არნ. ჩიქობავა). ეს მიანიშნებს იმას, რომ **სერიის ფუძე** ნ. მარისათვის რეალობა იყო, თუმცა ამის თაობაზე არ საუბრობს.

ასე რომ, 1930 წლის გრამატიკაში თემის საკითხი III სერიის ფორმებშიც დაისმის, ოღონდ გარკვეული დაზუსტებებით.

მომდევნო პერიოდის შრომებში ა. შანიძე განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენს. 1953 წლის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „თემა ჰქვია ზმნის ბაზისს, **რომელზედაც დაყრდნობილია პირველი სერიის მწკრივთა ფორმები ან მეორე სერიისა**, ე. ი. რომელიც მოეპოვება I ან II სერიის მწკრივთა ყველა ფორმას. თემა — ეს არის ჩონჩხი, რომელზედაც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში: პირველში ან მეორეში“ (შანიძე 1953: 397). ამ განმარტებით ფაქტობრივ **თემის** საკითხი **III სერიაში** გამოირიცხება; წერს კიდევ: „რაც შეეხება მესამე სერიას, აქ ზმნას განსაკუთრებული თემა არ გააჩნია და ჩვეულებრივ ან პირველი სერიის თემას იყენებს (უფრო ხშირად), ან მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპის მიხედვით აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველისა და მეორე სერიის მწკრივებში. ამიტომ **თემათა მიმოხილვისას მხედველობაში**

### გვაქვს პირველი ორი სერიის ფორმები“ (იქვე).

ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ მესამე სერიის ფორმები ან პირველი სერიის თემას იყენებს, ან — მეორისას, ანდა სულ სხვა პრინციპის მიხედვით აგებენ ფორმებს, არ უნდა გახდეს საფუძველი III სერიაში თემის საკითხის განუხილველობისა.

1930 წლის გრამატიკა ამ მხრივ უფრო თანმიმდევრულია და პრინციპული; თემის განმარტება იქ უფრო ზოგადი ჩანს და მისაღები: „**თემა ჰქვია უცვალეხელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში**“.

**შენიშვნა:** არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: „საჭიროა აღინიშნოს, რომ ა. შანიძის წინანდელ შრომებში გრამატიკული მოვლენის სპეციფიკა უკეთ არის დანახული. ამ მხრივ 1930 წ. ქართული მორფოლოგია თეორიულად უფრო მაღალ დონეზე დგას, ვინემ „საფუძვლები“. ხოლო თავისებური რეპლიკები, რომელთაც „საფუძვლების“ ავტორი ხალისით სთავაზობს სხვაგვარი გაგების მომხრეთ („ფორმალიზმის დამცველებს“), არა ერთ შემთხვევაში მართებულ პასუხს იბოვის მისსავე წინანდელ შრომებში: 1930 წლის „მორფოლოგიაში“, „ზმნის საქცევში“ (1927) და პრეფიქსებში“ (1920).

თემის შესახებ საუბრისას ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ ფაქტს: დასაზუსტებელია ხმოვანპრეფიქსების საკითხი. 1930 წლის გრამატიკაში ზმნური ხმოვანპრეფიქსები პირისა და რიცხვის ნიშანთა გვერდით განიხილება. ე.ი. ხმოვანპრეფიქსები პირისა და რიცხვის ნიშანთა მსგავსად თემის ნაწილად არ გაიზარება (გავიხსენოთ: „ცვალეხადია პირისა, რიცხვისა, ქცევისა, დროისა და კილოს ნიშნები“). მართალია, საფუძვლებში ეს შენიშვნა აღარ ახლავს, მაგრამ თემაზე მსჯელობისას მოყვანილ მაგალითებში ხმოვანპრეფიქსები თემისგან გამოყოფილია: ვა-გებებ, ვი-გერებ, ვა-ლაგებ, ვუ-ტივებ და სხვა“ (შანიძე 1953: 398). როგორც ჩანს, ხმოვანპრეფიქსები ერთ სისტემად არის გააზრებული; ხოლო შემომოყვანილი დასკვნა საობიექტო ქცევის საფუძველზეა გაკეთებული და განზოგადებული სხვა შემთხვევათათვის. ხმოვანპრეფიქსი მწკრივის ფარგლებში (შესაბამისად სერიის ფარგლებში) ცვალეხადია:

მ-ი-კეთ-ებ-ს	მ-ი-კეთ-ებ-დ-ა	მ-ი-კეთ-ებ-დ-ე-ს
გ-ი-კეთ-ებ-ს	გ-ი-კეთ-ებ-დ-ა	გ-ი-კეთ-ებ-დ-ე-ს
უ-კეთ-ებ-ს	უ-კეთ-ებ-დ-ა	უ-კეთ-ებ-დ-ე-ს

ფუტე (ამ შემთხვევაში თემა) კი უცვალეხადი ნაწილი უნდა იყოს ფორმა-

თა სისტემისათვის. როგორც ვთქვით, ამ პარადიგმიდან დასკვნის განზოგადება ხდება ხმოვანპრეფიქსთა მთელი სისტემისათვის. როცა ა. შანიძე წერს, რომ III სერიაში გამოიყენება ან I ან II სერიათა თემაო, სწორედ ზმნური ფორმის უხმოვანპრეფიქსო ნაწილზეა საუბარი, რადგან I თურმეობითში ხდება ხმოვანპრეფიქსთა ნეიტრალიზაცია (ხმოვანპრეფიქსთა გადაყოლა არ ხდება III სერიაში ყველა შემთხვევაში):

$\left. \begin{array}{l} \text{ა-კეთ-ებ-ს} \\ \text{ო-კეთ-ებ-ს} \\ \text{უ-კეთ-ებ-ს} \end{array} \right\}$	უ-კეთ-ებ-ია	$\left. \begin{array}{l} \text{ა-ქ-ებ / ა-ქ-ო} \\ \text{ო-ქ-ებ-ს / ო-ქ-ო} \\ \text{უ-ქ-ებ-ს / უ-ქ-ო} \end{array} \right\}$	უ-ქ-ო
--	-------------	--	-------

II თურმეობითსა და III კავშირებითში კი **ა, ო, უ** ხმოვანპრეფიქსებს შეე-ნაცვლება **ე-** ხმოვანპრეფიქსი.

$\left. \begin{array}{l} \text{ა-კეთ-ებ-ს} \\ \text{ო-კეთ-ებ-ს} \\ \text{უ-კეთ-ებ-ს} \end{array} \right\}$	$\left. \begin{array}{l} \text{ე-კეთ-ებ-ინა} \\ \text{ე-კეთ-ებ-ინოს} \end{array} \right\}$	$\left. \begin{array}{l} \text{ა-ქ-ებ-ს} \\ \text{ო-ქ-ებ-ს} \\ \text{უ-ქ-ებ-ს} \end{array} \right\}$	$\left. \begin{array}{l} \text{ე-ქ-ო} \\ \text{ე-ქ-ოს} \end{array} \right\}$
--	--	--	--

ამგვარად, **ხმოვანპრეფიქსები თემის** (შესაბამისად მწკრივის ფუძის) **ნაწილად არ განიხილება**, როგორც ცვალეზადი ნაწილი ზმნური ფორმისა ერთი პარადიგმის ფარგლებში. ამ დაზუსტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს III სერიის ფორმებში თემის საკითხის განხილვის დროს. გავიხსენებთ რამდენიმე განმარტებას:

ზმნები, რომელთაც განსხვავებული აქვთ I და II სერიის თემა, იწოდება ორთემიანად; განსხვავება შეიძლება შექმნას თემის ნიშანმა (კეთ-ებ / კეთ, ხატ-ავ / ხატ...) და ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობამ (გრეხ / გრიხ, ზრდ / ზარდ...). თემისნიშნის თემას რთულ თემას ვუწოდებთ, უთემისნიშნოს — მარტივს; ხმოვანმონაცვლე ფუძეები ამ გაგებით მარტივად მოიაზრება.

**შენიშვნა:** თემის თვალსაზრისით III სერიის ფორმებში პრინციპულად განსხვავებული ვითარებაა ძველსა და ახალ ქართულში (გოგოლაშვილი 2010: 456-479). ჩვენი განხილვის საგანი ახალი ქართულია.

ამგვარად: **თემა არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთოა ერთი სერიის მწკრივთა ფორმებისათვის;** თემა შეიძლება იყოს მარტივი (წერ, კეთ, ხატ...) და რთული (კეთ-ებ, ხატ-ავ...).

ზმნა შეიძლება იყოს იმდენთემიანი, რამდენი თემაც აქვს მას უღლების

სრულ პარადიგმაში (ერთემიანი — **წერ**; ორთემიანი — **კეთ-ებ...**).

ამგვარი გააზრებით თემის საკითხის განხილვისათვის III სერიაში სამი ჯგუფი უნდა გამოიყოს:

I. ერთემიანი ზმნები — რომელთაც სამივე სერიაში ერთი და იგივე თემა აქვს (**წერ-ს**, **ჭამ-ს...**)

II. ორთემიანი ზმნები — რომელთაც I და II სერიის თემა განსხვავებული აქვთ; III სერიის თემა საზიაროა ან I სერიასთან, ანდა II სერიასთან (**აკეთ-ებ-ს** / **აკეთ-ა** / **უკეთ-ებ-ია**; **აქ-ებ-ს** / **აქ-ო** / **უქ-ია...**)

III. სამთემიანი ზმნები — რომელთაც III სერიაში I-II სერიისაგან განსხვავებული თემა აქვთ. ამ საკითხზე ვრცლად ვისაუბრებთ.

I ჯგუფის შემთხვევა მარტივია, ყველა სერიაში ერთი და იგივე მარტივი თემა მეორდება.

II ჯგუფის ზმნები შეიძლება ორ ქვეჯგუფად გადაწილდეს:

ა) **მოქმედებითი გვარის ზმნები**, რომლებსაც მესამე სერიაში პირველ სერიასთან საზიარო თემა აქვთ (**ვაკეთ-ებ** / **ვაკეთ-ე**)

I თურმეობითი —	მი-კეთ-ებ-ია	გვი-კეთ-ებ-ია
	გი-კეთ-ებ-ია	გი-კეთ-ებ-იათ
	უ-კეთ-ებ-ია	უ-კეთ-ებ-იათ
II თურმეობითი —	მე-კეთ-ებ-ი(ნ)ა	გვე-კეთ-ებ-ი(ნ)ა
	გე-კეთ-ებ-ი(ნ)ა	გე-კეთ-ებ-ი(ნ)ა-თ
	ე-კეთ-ებ-ი(ნ)ა	ე-კეთ-ებ-ი(ნ)ა-თ
III კავშირებითი —	მე-კეთ-ებ-ი(ნ)ოს	გვე-კეთ-ებ-ი(ნ)ოს
	გე-კეთ-ებ-ი(ნ)ოს	გე-კეთ-ებ-ი(ნ)ოთ
	ე-კეთ-ებ-ი(ნ)ოს	ე-კეთ-ებ-ი(ნ)ოთ

ბ) **მოქმედებითი გვარის ზმნები**, რომელთაც III სერიაში მეორე სერიასთან საზიარო თემა აქვთ (**ვაქ-ებ** / **ვაქ-ე**)

I თურმეობითი —	მი-ქ-ია	გვი-ქ-ია
	გი-ქ-ია	გი-ქ-იათ
	უ-ქ-ია	უ-ქ-იათ
II თურმეობითი —	მე-ქ-ო	გვე-ქ-ო
	გე-ქ-ო	გე-ქ-ოთ
	ე-ქ-ო	ე-ქ-ოთ
III კავშირებითი —	მე-ქ-ოს	გვე-ქ-ოს
	გე-ქ-ოს	გე-ქ-ოთ
	ე-ქ-ოს	ე-ქ-ოთ

III ჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა) ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნები.

ახალ ქართულში ამ ტიპის ზმნებში III სერიაში პრინციპული ხასიათის ცვლილებები მოხდა ძველ ქართულთან შედარებით. „გფიქრობთ, ესაა აღწერიითი წარმოების ორგანულად გააზრების გზა, რაც, ჩვენი აზრით, იმ საერთო ტენდენციის გამოვლენაა, რაც მესამე სერიის მწკრივთა წარმოებაში მომხდარ ცვლილებასთან არის დაკავშირებული — ფორმობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება. მიმდებარე გააზრება ზმნურ ფუძედ — საერთო მონაცემად სამივე მწკრივის ფორმათათვის და ჩვეულებრივი მორფოლოგიური მოდელი იქმნება:

ზმნისწინი + პირის ნიშანი + ფუძე + მეშველი ზმნა“ (გოგოლაშვილი 2010: 476).

ვი-მალ-ებ-ი / დავ-მალულ-ვართ

I	თურმეობითი —	დავ-მალულ-ვართ და-მალულ-ხართ და-მალულ-ა	დავ-მალულ-ვართ და-მალულ-ხართ და-მალულ-ან
II	თურმეობითი —	დავ-მალულ-იყავ და-მალულ-იყავ და-მალულ-იყო	დავ-მალულ-იყავით და-მალულ-იყავით და-მალულ-იყვენ
III	კავშირებითი —	დავ-მალულ-იყო და-მალულ-იყო და-მალულ-იყოს	დავ-მალულ-იყოთ და-მალულ-იყოთ და-მალულ-იყონ

თემათა განაწილება ასეთია: I სერია — მალავ, II სერია — მალ, III სერია — მალულ.

ბ) მეორე ქვეჯგუფში უნდა წარმოვადგინოთ ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნები. არსებითი თავისებურება ამ ქვეჯგუფისა ის არის, რომ III სერიაში ისინი გამოიყენებენ შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნის პირველი სერიის თემას (ამ ფაქტზე მინიშნებისას ა. შანიძე ძახილის ნიშანს დასვამს. იხ.: შანიძე 1953: 466); რაც ვნებითის სრული პარადიგმისათვის III სერიის თემად უნდა გავიაზროთ.

1. ვა-ვიწყ-დ-ებ-ი / დავა-ვიწყ-დ-ი / დავ-ვიწყ-ებ-ივართ (შდრ.: მოქმ. ვა-ვიწყ-ებ / დავა-ვიწყ-ე)

I	თურმეობითი —	დავ-ვიწყ-ებ-ივართ და-ვიწყ-ებ-იხართ და-ვიწყ-ებ-ია	დავ-ვიწყ-ებ-ივართ და-ვიწყ-ებ-იხართ და-ვიწყ-ებ-იან
II	თურმეობითი —	დავ-ვიწყ-ებ-ოდით და-ვიწყ-ებ-ოდით	დავ-ვიწყ-ებ-ოდით და-ვიწყ-ებ-ოდით

	და-ვიწყებ-ოდა	და-ვიწყებ-ოდნენ
III კავშირებითი —	დავ-ვიწყებ-ოდე	დავ-ვიწყებ-ოდეთ
	და-ვიწყებ-ოდე	და-ვიწყებ-ოდეთ
	და-ვიწყებ-ოდეს	და-ვიწყებ-ოდნენ

ასევე: ვუ-ბერ-დ-ებ-ი / დავუ-ბერ-დ-ი / დავუ-ბერ-ებ-ივარ (შდრ.: ვა-ბერ-ებ) და სხვა.

2. ვე-მალ-ებ-ი (დავე-მალ-ე / დავ-მალ-ვ-ივარ (შდრ.: ვ-მალავ))

I თურმეობითი —	დავ-მალ-ვ-ივარ	დავ-მალ-ვ-ივართ
	და-მალ-ვ-იხარ	და-მალ-ვ-იხართ
	და-მალ-ვ-ია	და-მალ-ვ-იან
II თურმეობითი —	დავ-მალ-ვ-ოდი	დავ-მალ-ვ-ოდით
	და-მალ-ვ-ოდი	და-მალ-ვ-ოდით
	და-მალ-ვ-ოდა	და-მალ-ვ-ოდნენ
III კავშირებითი —	დავ-მალ-ვ-ოდე	დავ-მალ-ვ-ოდეთ
	და-მალ-ვ-ოდე	და-მალ-ვ-ოდეთ
	და-მალ-ვ-ოდეს	და-მალ-ვ-ოდნენ

3. ვუ-თბ-ებ-ი / გავუ-თბ-ი / გავ-თბ-ობ-ივარ (შდრ.: ვა-თბ-ობ)

I თურმეობითი —	გავ-თბ-ობ-ივარ	გავ-თბ-ობ-ივართ
	გა-თბ-ობ-იხარ	გა-თბ-ობ-იხართ
	გა-თბ-ობ-ია	გა-თბ-ობ-იან
II თურმეობითი —	გავ-თბ-ობ-ოდი	გავ-თბ-ობ-ოდით
	გა-თბ-ობ-ოდი	გა-თბ-ობ-ოდით
	გა-თბ-ობ-ოდა	გა-თბ-ობ-ოდნენ
III კავშირებითი —	გავ-თბ-ობ-ოდე	გავ-თბ-ობ-ოდეთ
	გა-თბ-ობ-ოდე	გა-თბ-ობ-ოდეთ
	გა-თბ-ობ-ოდეს	გა-თბ-ობ-ოდნენ

4. ვე-ზრდ-ებ-ი / გავე-ზარდ-ე / გავ-ზრდ-ივარ (შდრ.: ვ-ზრდ-ი)

I თურმეობითი —	გავ-ზრდ-ივარ	გავ-ზრდ-ივართ
	გა-ზრდ-იხარ	გა-ზრდ-იხართ
	გა-ზრდ-ია	გა-ზრდ-იან
II თურმეობითი —	გავ-ზრდ-ოდი	გავ-ზრდ-ოდით
	გა-ზრდ-ოდი	გა-ზრდ-ოდით
	გა-ზრდ-ოდა	გა-ზრდ-ოდნენ



III კავშირებითი —	გავ- <b>ზრდ</b> -ოდე	გავ- <b>ზრდ</b> -ოდეთ
	გა- <b>ზრდ</b> -ოდე	გა- <b>ზრდ</b> -ოდეთ
	გა- <b>ზრდ</b> -ოდეს	გა- <b>ზრდ</b> -ოდენ

ზემოგანხილულ ყველა შემთხვევაში ვითარება ერთგვარია: III სერიის ყველა ფორმას საერთო საყრდენი ფუძე (ე. ი. თემა) აქვს. ეს სისტემა ჩამოყალიბების სტადიაშია: პროცესი სრულად არ არის დამთავრებული; მოქმედებითი გვარის შემთხვევაში ძველი ქართულის შერეული ვარიანტი (იხ.: გოგოლაშვილი 2010: 457-464) შემოგვინახა ფუძედრეკადმა ზმნებმა: I თურმეობითში საზიარო თემა აქვთ I სერიასთან, II თურმეობითსა და III კავშირებითში — III სერიასთან:

ა) ვ-**გრენ** / ვ-**გრინ**-ე; ბ) ვ-**თლ**-ი / ვ-**თალ**-ე

I თურმეობითი —	დამი- <b>გრენ</b> -ია	გამი- <b>თლ</b> -ია
	დაგი- <b>გრენ</b> -ია	გაგი- <b>თლ</b> -ია
	დაუ- <b>გრენ</b> -ია...	გაუ- <b>თლ</b> -ია...
II თურმეობითი —	დამე- <b>გრინ</b> -ა	გამე- <b>თალ</b> -ა
	დაგე- <b>გრინ</b> -ა	გაგე- <b>თალ</b> -ა
	დაე- <b>გრინ</b> -ა...	გაე- <b>თალ</b> -ა...
III კავშირებითი —	დამე- <b>გრინ</b> -ოს	გამე- <b>თალ</b> -ოს
	დაგე- <b>გრინ</b> -ოს	გაგე- <b>თალ</b> -ოს
	დაე- <b>გრინ</b> -ოს...	გაე- <b>თალ</b> -ოს...

ეს იყო პრინციპი მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმაწარმოებისა მესამე სერიაში ძველი ქართულისათვის:

აწმყო —	აღვა- <b>შენ</b> -ებ,	განვა- <b>გ</b> -ებ
წყვეტილი —	აღვა- <b>შენ</b> -ე,	განვა- <b>გ</b> -ე
I თურმეობითი —	აღმი- <b>შენ</b> -ებ-იეს,	განმი- <b>გ</b> -ებ-იეს
II თურმეობითი —	აღმე- <b>შენ</b> -ა,	განმე- <b>გ</b> -ო
III კავშირებითი —	აღმე- <b>შენ</b> -ოს,	განმე- <b>გ</b> -ოს

როგორც ვნახეთ, მოქმედებითი გვარის ზმნებში „პარადიგმა გასწორდა“. გამონაკლისია ფუძედრეკადი ზმნები: I თურმეობითი იყენებს I სერიის თემას; II თურმეობითი და II კავშირებითი — II სერიისას. გარდამავალ საფეხურზე დგას **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნები: პარალელიზმი I თურმეობითში გამოწვეულია იმით, რომ ერთი მხრივ, შენარჩუნებულია ძველი ქართულის ვითარება, მეორე მხრივ, ახალი ტენდენციის (სერიისათვის საერთო ფუძე) გამოვლენა:

I თურმეობითი —	დამი- <b>ნატ-ავ</b> -ს	დამი- <b>ნატ</b> -ია
	დაგი- <b>ნატ-ავ</b> -ს	დაგი- <b>ნატ</b> -ია
	დაუ- <b>ნატ-ავ</b> -ს...	დაუ- <b>ნატ</b> -ია...
II თურმეობითი —	დამე- <b>ნატ</b> -ა	დამე- <b>ნატ</b> -ა
	დაგე- <b>ნატ</b> -ა	დაგე- <b>ნატ</b> -ა
	დაე- <b>ნატ</b> -ა...	დაე- <b>ნატ</b> -ა...
III კავშირებითი —	დამე- <b>ნატ</b> -ოს	დამე- <b>ნატ</b> -ოს
	დაგე- <b>ნატ</b> -ოს	დაგე- <b>ნატ</b> -ოს
	დაე- <b>ნატ</b> -ოს...	დაე- <b>ნატ</b> -ოს...

ფორმათა განვითარების ტენდენცია მეორე პარადიგმის სასარგებლოდ მეტყველებს. ძნელი სათქმელია, ეს ტენდენცია გავრცელდება თუ არა ოდესმე ფუძედრეკად ზმნებზე.

### ლიტერატურა

**გოგოლაშვილი 2010** — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბილისი.

**შანიძე 1930** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

**შანიძე 1953** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**ჯორბენაძე 1980** — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

### GIORGI GOGOLASHVILI

#### Towards the Issue of a Theme in the III Series Forms

#### S u m m a r y

A theme is a variety of a stem. A term's introducing and explaining of a relevant conception is Ak. Shanidze's achievement: "Theme is a essential part of a verb that occurs in all forms of one series" (1930). This definition is more general and improved then the one of later period. If we base on this explanation, the issue of a theme will be arisen in III series like in I and II ones.

In order to define the issue of a theme in III series the verbs should be divided into

three groups:

1. verbs with one theme which have similar theme in three series (**çer-s**, **çam-s**);
2. verbs with two themes, which in III series have a shared theme with I series (**va-çet-eb** – **mi-çet-eb-ia...**) or with II one (**va-k-eb** – **va-k-c** – **mi-k-ia...**).
3. verbs with three themes which have a stem (theme) different from I-II series. Between them one-personal passives use a stem of participle (**vi-mal-eb-i** – **davi-mal-e** – **dav-malul-var...**); bi-personal passives – I series theme of relevant active voice verbs (**vu-tb-eb-i** – **gavu-tb-i** – **gav-tb-ob-ivar**, – **ve-zrd-eb-i** – **gave-zard-c** – **gav-zrd-ivar...**).

In the stem-changing verbs a principle of a theme is broken. Here an Old Georgian situation is preserved: I Perfect uses a stem of I series (**dami-grex-ia**, **gami-tl-ia...**), II Perfect and III Subjunctive use a theme of II series (**dame-grix-a**, **game-tal-a...**). These verbs can be conditionally called the verbs with mixed theme.

The verbs with **-av** and **-am** theme markers occupy a transitional stage. Parallelism in I Perfect (**dami-xaṭ-av-s** // **dami-xaṭ-ia...**) is caused by this.

## საბას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი

საბას „სიტყვის კონა“ (1716 წ.) **განმარტებითი** ლექსიკონია. რა ახასიათებს მას, როგორც განმარტებითს ლექსიკონს? რა ძირითადი ნიშან-თვისებები მოეპოვება, როგორც ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს?

ამაზე რომ პასუხი გავსცეთ, საჭიროა მოკლედ გავითვალისწინოთ, რა და რა ტიპის ლექსიკონები მოიპოვება და ყოველ მათგანს რა ახასიათებს.

ლექსიკონები ნაირგვარია: **გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი**, **ე ნ ც ი კ ლ ო პ ე - დ ი უ რ ი**, **ი ს ტ ო რ ი უ ლ ი**, **შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი**, **თ ა რ გ მ ნ ი თ ი** (ანუ პარალელური)...

**ისტორიული** ლექსიკონი შეისწავლის სიტყვის **მნიშვნელობის ცვლას** ამა თუ იმ ენის (ანდა ენების) განვითარების პროცესში. დანიშნულების მიხედვით მას ახლო კავშირი აქვს შედარებით ლექსიკონთან.

**შედარებითი** ლექსიკონი იკვლევს საერთო **წარმომავლობის** ფუძეებს მონათესავე ენებში იმისდა მიუხედავად, შერჩენია თუ არა ამ ფუძეებს ერთი და იგივე მნიშვნელობა თუ მნიშვნელობა განსხვავებული აქვს სხვადასხვა მონათესავე ენებში; შეიძლება პირვანდელი მნიშვნელობა სრულიად შეცვლილი იყოს; ასე, მაგალითად: ქართ. **კაც-ი** და მეგრ.-ჭან. **კოჩ-ი** ერთი და იგივე ფუძეა და ერთი და იგივე მნიშვნელობაც აქვს; მაგრამ ეგვე ფუძე სვანურში **ჭაშ** — „ქმარს“ აღნიშნავს; შდრ. ხალხური (სასაუბრო) „ჩემი კაცი“ = „ჩემი ქმარი“. ასევე: ქართ. **ღამე** ჭანურში **ღომან**-ის სახეს იღებს და ნიშნავს „გუშინ“, მეგრულში კი ეგვე ფუძე — **ღუმა(ნ)** — „წუხელს“-ს უდრის. რაც უნდა განსხვავებული იყოს მნიშვნელობა, შედარებითი ლექსიკონი მაინც ერთად მოაქცევს მონათესავე ენების სიტყვებს, თუკი მათ საერთო წარმომავლობის ფუძე აღმოაჩნდებათ. ასე, მაგალითად, ქართ. **ხუცეს**-ს მეგრულში შესატყვისად ექნება **უჩაშ**-ი, რაიც „უფროსს“ ნიშნავს, რადგანაც ეს ისტორიულად საერთო ფუძეა.

შედარებითს ლექსიკონს საკვლევად ყოველთვის **ერთზე მეტი** ენა აქვს (ორი, სამი მონათესავე ენა... მონათესავე ენათა წყება...). თარგმნითი (პარალელური) ლექსიკონი ამ მხრივ შედარებითს ჩამოჰგავს: მასაც ორ (და მეტ) ენასთან აქვს საქმე (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული, რუსულ-სომხური, სომხურ-რუსული... ბერძნულ-ლათინურ-გერმანული, რუ-

სულ-გერმანულ-ფრანგულ-ინგლისური თარგმნითი ლექსიკონები ამის ნიმუში იქნებოდა).

მაგრამ თარგმნითი ლექსიკონი ერთი ენის სიტყვებს უფარდებს მეორე ენისას **მნიშვნელობის** მიხედვით; რა წარმომავლობისაა სათანადო ფუძეები, მისთვის სულ ერთია:

თუ შედარებითი ლექსიკონი მოითხოვს ქართ. **კაც**-ს შევუფარდოთ სვან. **ჰაშ** „ქმარი“, თარგმნითი ლექსიკონისათვის საჭირო დარჩება შევარჩიოთ სხვა ფუძე: **მარე**, რადგანაც **მარე** სვანურში ნიშნავს „კაცს“.

**შედარებითი ლექსიკონი** შეიძლება შევუდგინოთ **მხოლოდ მონათესავე** ენებს (მონათესავე ენები საერთო წარმოშობის ენებს ეწოდებათ, და საერთო წარმომავლობის ფუძე ასეთ ენებს აღმოაჩნდება); **თარგმნითი** (პარალელური) **ლექსიკონი** შეიძლება **შედგეს ყოველი ორი** (და მეტი) **ენისათვის** იმისდა მიუხედავად, მონათესავე იქნება ეს ენები თუ არა: რუსულ-უკრაინული, ბერძნულ-ლათინური ლექსიკონი შეიძლება შედარებითი იყოს და თარგმნითიც; მაგრამ: რუსულ-აზერბაიჯანული, რუსულ-ქართული შეიძლება იყოს მხოლოდ თარგმნითი (პარალელური) ლექსიკონები: არც ერთი აქ ჩამოთვლილ წყვილთაგან მონათესავე არ არის.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როცა საბამ თავისი ლექსიკონი დაამთავრა, თარგმნითს (პარალელურ) ლექსიკონებს კი ადგენდნენ, მაგრამ შედარებითი ლექსიკონები (ასევე ისტორიული ლექსიკონები) არ არსებობდა; შედარებითის და თარგმნითი (პარალელური) ლექსიკონების სხვაობა მაშინ არც ჰქონდათ გათვალისწინებული (შედარებითი ლექსიკონის თავისებურება მეცხრამეტე საუკუნეში გახდა ცხადი).

რაც შეეხება განმარტებითს ლექსიკონს, ამას მეთვრამეტე საუკუნეშიც ადგენდნენ და მეჩვიდმეტეშიც, მაგრამ — **სამწერლო** ენისათვის (ამჟამად ეჭვს არ იწვევს, რომ განმარტებითი ლექსიკონი შეიძლება შევადგინოთ უმწერლო ენისთვისაც: ეს იქნება ამა თუ იმ დიალექტის — ანდა დიალექტების — ლექსიკონი); როცა ენას მწერლობა მოეპოვება, მისი დიალექტების ლექსიკონებიც დგება; დიალექტურ ლექსიკონში შედის, როგორც წესი, ისეთი სიტყვა, რომელსაც ან მნიშვნელობა აქვს განსხვავებული — შედარებით სამწერლო ენის ჩვენებასთან — ან ბგერითი შედგენილობა, ანდა ერთიცა და მეორეც.

ახლა განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონების შესახებ.

განმარტებითი ლექსიკონიც სიტყვის მნიშვნელობას იძლევა და ენციკლოპედიურიც, ოღონდ განსხვავებას ისა ქმნის, **რა სიტყვებია** აღებული და **როგორ** არის **ახსნილი**. ენციკლოპედიური ლექსიკონი განმარტავს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მეცნიერულ ცნებებს აღნიშნავენ (ე. ი. ტერმინებს) და განმარტავს ისე, როგორც სათანადო მეცნიერებას ესმის. განმარტებითი ლექსიკონისათვის კი სულ ერთია, აღნიშნავს სიტყვა სამეცნიერო

ცნებას თუ არა: ზედსართავი სახელები (ძველი, ახალი, მწიფე, მკვანე, გრძელი, მოკლე, ლამაზი, უშნო...), ნაცვალსახელები (მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი... ჩვენი, თქვენი, მათი... ვინ, რა, რომელი), ზმნისართები (აქ, იქ, ხვალ, ზეგ, გუშინ, აღრე, გვიან...), კავშირები (თუ, რომ, რადგანაც, მაგრამ...) ისევე შედის ცალკე ერთეულად განმარტებითს ლექსიკონში, როგორც ზოგადი ცნებების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (აღამიანი, ცხოველი, მცენარე, რკინა, ქვა, მიწა, წყალი, პაერი). ენციკლოპედიურ ლექსიკონში ზედსართავებს, ნაცვალსახელებს, ზმნისართებს, კავშირებს არ შეიტანენ (არსებით სახელთაგან აგრეთვე ბევრი არ შევა), სამაგიეროდ მასში შეაქვთ ცნობები გეოგრაფიული პუნქტების (ქვეყნების, მდინარეების, მთების, ქალაქების...) შესახებ; ცნობები ისტორიულ პირთა და მოვლენათა შესახებ. განმარტებითს ლექსიკონში, როგორც წესი, ასეთი მასალა არა გვაქვს.

რაც შეეხება სიტყვის ახსნას, აქაც სხვაობა ჩანს: ენციკლოპედიური ლექსიკონი მეცნიერების სათანადო დონის შესაბამისად ხსნის ცნების შინაარსს. განმარტებითი ლექსიკონი იძლევა სიტყვის იმ გაგებას, რაც ყოველდღიურ სიტყვახმარებას ახასიათებს: „კირქვა“ განმარტებითი ლექსიკონისათვის „კირის შემცველი ქანია“, ენციკლოპედიურ ლექსიკონში მისი წარმომავლობაც (კერძოდ ნიჟარათაგან) იქნება ნაჩვენები...

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, **ლექსიკონთა გვარობას** ეხებოდა და **იმ სხვაობის** დახასიათებას ისახავდა მიზნად, რაც **ლექსიკონთა შორის არსებობს**.

არის ზოგი ისეთი ლექსიკოგრაფიული **საკითხი**, რომ **ყველა ლექსიკონს ეხება** მეტ-ნაკლებად.

ეს საკითხებია: რა შედის ლექსიკონში? რა სახით შედის? რა თანამიმდევრობით ლაგდება?

**რა შედის ლექსიკონში?** აქ ლექსიკონის სისრულის საკითხი დგას: სამწერლო ენის ლექსიკა (მით უფრო უმწერლო ენის ლექსიკა) შეიძლება აისახოს ლექსიკონში **მეტ-ნაკლები სისრულით**: ვერც ერთი ლექსიკონი ვერ ამოწურავს ლექსიკას, თუ ენა ხმარებაშია, ცოცხალია (მკვდარი სამწერლო ენის ლექსიკა შეიძლება სრულად აღირიცხოს). ლექსიკის შედგენილობაში ცვლილება განუწყვეტლივ ხდება, რის გამოც ცოცხალი ენის ლექსიკური მარაგის აღრიცხვისას ყოველთვის გვაკლია ახალი სიტყვები მეტ-ნაკლებად.

თქმული გულისხმობს შესაძლებლობას. მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებშიც ლექსიკონში „ყველაფერი“ არ შეაქვთ, მეტადრე, როცა საქმე ეხება სამწერლო ენის ლექსიკონს. მაგალითად, სამწერლო ენის ლექსიკონებში „სათაკილო“ სიტყვების შეტანას ერიდებიან. მაგრამ რა სიტყვებია „სათაკილო“ სიტყვები, ეს ყოველთვის ერთნაირად როდი ესმოდათ (XVII-

XVIII ს.ს. ფრანგული სალიტერატურო ენა „სათაკილოდ“ მიიჩნეოდა ისეთ სიტყვებსაც კი, როგორცაა „პერანგი“).

სათაკილო სიტყვების გარდა, არ შეაქვთ კუთხური სიტყვები (დიალექტიზმები), რამდენადაც „კუთხური“ საერთო სამწერლოს ეუცხოება.

ასევე იქცევიან, თუ სიტყვა წიგნის მეტყველებას ახასიათებს, მაგრამ ვიწრო სპეციალურია და მხოლოდ გარკვეული დარგის სპეციალისტების ლექსიკაში დასტურდება.

**რა არის ლექსიკური ერთეული და რა სახით შეაქვთ ლექსიკონში სიტყვა?** როცა გარკვეულია, თუ რაგვარი მასალა შედის ლექსიკონში და რა რაოდენობით, უნდა დაისვას ლექსიკური ერთეულის საკითხი: რა უნდა მივიჩნიოთ ცალკე ლექსიკურ ერთეულად და რა სახით უნდა შევიტანოთ ეს ერთეული ლექსიკონში?

ქართული მაგალითი რომ ავიღოთ: „გაკეთება“ ლექსიკური ერთეულია, მაგრამ შეიძლება თუ არა ცალკე ერთეულად მივიჩნიოთ „გაკეთებინება“. ასევე: „დაწერა“ და „დამწერი“, „დანაწერი“, „დასაწერი“... დ. უშაკოვის რუსული ოთხტომეული ლექსიკონი მიმღეობათა მეტ წილს ლექსიკურ ერთეულად არ მიიჩნევს (ვნებითი გვარის მიმღეობა ნამყოში კი ხშირად შეტანილია). ცალკე ერთეულებია, მაგალითად, **кормить, кормиться, кормленный** (ვნებ. გვარის მიმღეობა ნამყო დროის ზმნისაგან **кормить**), მაგრამ **кормящий, кормивший** შეტანილი არაა, თუმცა არანაკლებ ხმარებულია, ვინემ **кормленный** (მდრ. **кормящая мать**).

საკითხი იმასაც ეხება, სალექსიკონო ერთეული რა სახით უნდა შევიდეს: „გაკეთება“ თუ „გაკეთებს“? „**делать**“, „**делание**“ თუ „**делаю**“ (თუ სამივე ერთად)? ამჟამად რუსულ ლექსიკონებში „**делаю**“ ცალკე ერთეულად არ მიაჩნიათ, **делать** და **делание** კი ცალკე ერთეულებია: ძველ რუსულ აკადემიურ ლექსიკონში, პირიქით, **делаю** შედიოდა ლექსიკურ ერთეულად (მსგავსად ბერძნულისა და ლათინურისა: ლათ. **facio** „**делаю**“, „გაკეთებ“, თუმცა ინფინიტივიც ერთვოდა: **facere** „**делать**“... როგორც ცნობილია, არაბული ზმნა ნამყო დროის მესამე პირის ფორმით არის წარმოდგენილი ლექსიკონში: ფაჟალა „გაკეთა“...).

ასე რომ ქართულში „გაკეთება“-ს, როგორც სალექსიკონო ერთეულს, მოცილედ პირიანი ფორმა „გაკეთებს“ (ანდა: „გაკეთა“) შეიძლება მოეგლინოს.

აქ იმის საკითხიც დადგებოდა: „გაკეთებს“ — მთლიანად უნდა მივიჩნიოთ სალექსიკონო ერთეულად თუ მხოლოდ მისი ფუძე **გაკეთებ**-ს (პირის ნიშნის გამოკლებით)? ეგევე ითქმის სახელების შესახებ: **კაცი** მთლიანად უნდა ავიღოთ სალექსიკონო ერთეულად თუ მხოლოდ ფუძე **კაც**-ი? ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო ტექნიკური საკითხი გვეჩვენება,

მაგრამ ამაზე და მოკიდებული, ანბანის მიხედვით სად მოექცევა სიტყვა (ასე, მაგალითად, თუ ფუძეებზე დავალაგეთ სახელები, ჯერ იქნება: **თეთრ-ი** და მერე: **თეთრა, თეთრამხალა, თეთრანა, თეთრგამორეულ-ი, თეთრგულა, თეთრება, თეთრ-ეკალა, თეთრეულ-ი, თეთრთავიან-ი, თეთრ-თეთრ-ი, თეთრ-თმიან-ი, თეთრ-კაბიან-ი, თეთრ-მწყაზარ-ი** და სხვა, მაგრამ თუ ლექსიკურ ერთეულად მთელი სიტყვა დავსახეთ და სახელობითის ნიშანი არ გამოვყავით, „თეთრი“ მოექცევა ანბანთრიგისდაკვალად **თეთრ-თმიან-სა** და **თეთრკაბიან-ს** შორის... ასევე, ჯერ იქნება: **კანონ-ი** და მერე: **კანონგარეშე, კანონდებულ-ი, კანონდებულება, კანონზომიერ-ი, კანონ-ზომიერება, კანონიერ-ი, კანონიერება...** ხოლო მთელი სიტყვა (**კანონი**) თუ შევიდა ერთეულად, იგი უნდა მოვათავსოთ **კანონზომიერება-ს** შემდეგ, როგორც ამას ანბანთრიგი მოითხოვს.

**რა თანამიმდევრობით ლაგდება სიტყვები ლექსიკონში?** აქ ორი წესი უპირისპირდება ერთმანეთს: **ანბანის რიგზე გაწყობა** და **ბუდეებად დალაგება**. ბუდეებად დალაგებისას ამოსავალ სიტყვასთან მოიყრის თავს მისგან ნაწარმოები ყველა სიტყვა, სულ ერთია, რა ასოთიც არ იწყებოდეს ეს ნაწარმოები სიტყვა; მაგალითად, **სახლ-თან** გვექნება: **ნასახლარ-ი, მოსახლე, მოსახლეობა, სახლობა, უსახლკარო, სახლკარიან-ი, სამოსახლო, დასახლება, გასახლება, გადასახლება, გადმოსახლება...**

ანბანთრიგზე დალაგებისას ეს სიტყვები სხვადასხვა ასოზე მოექცევა: **გ-ზე** (გადასახლება, გადმოსახლება, გასახლება...), **დ-ზე** (დასახლება...), **მ-ზე** (მოსახლე, მოსახლეობა...), **ს-ზე** (სამოსახლო, სახლკარიან-ი...), **უ-ზე** (უსახლკარო...).

ბუდეებად დალაგებისას ერთი ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები ერთად იყრის თავს, ადვილდება ნაწარმოები ფუძეების მნიშვნელობათა ახსნა და იმის ჩვენებაც, რა ურთიერთობაც აქვს ამოსავალ ფუძესთან ნაწარმოებ ფუძეს. ბუდეებად დალაგება ს ბ ე ც ი ა ლ ი ს ტ - ფ ი ლ ო ლ ო გ თ ა - თ ვ ი ს (ენათმეცნიერთათვის) საინტერესოა; არასპეციალისტისათვის კი ასეთი ლექსიკონი ძნელი მოსახმარი ხდება: საჭირო სიტყვას ვერ იპოვის, თუ არ ეცოდინება, რა ფუძისაგან არის ნაწარმოები ეს სიტყვა და რა ბუდეში უნდა მოიკითხოს („უკაცრავად“, მაგალითად, **კაც-თან** უნდა ეძიოს).

რუსულ ლექსიკონთაგან დალის ლექსიკონი ბუდეებად ალაგებს სიტყვებს (ხშირად ერთი ბუდე ორ-სამ გვერდზეა გაშლილი და ბუდის შიგნითაც სიტყვის დაძებნა ჭირს); დ. უშაკოვის ლექსიკონი (1928-1940 წ.წ.) ანბანთრიგზე ალაგებს სიტყვებს. რუსული ახალი თხუთმეტტომიანი ლექსიკონი, რომლის პირველი ტომიც 1948 წ. გამოვიდა, ბუდეების წესს მისდევდა: პირველი სამი ტომი ბუდეებს იძლევა, მეოთხე ტომიდან მოყოლებული ბუდეებად დალაგება უკუგდებულია და ეს ლექსიკონი ანბანთრიგზე ალაგებს სიტყვებს.



ანბანთრიგი **მთლიანად არც ერთ ლექსიკონში** არ არის უარყოფილი: ბუდეებად დალაგებისას ნაწარმოები სიტყვები ანბანთრიგზეა ხოლმე გაწყობილი. თვით ბუდეებსაც ანბანთრიგზე ალაგებენ. მაშასადამე, ბუდეთა თანამიმდევრობა, ბუდის შიგნით სიტყვათა თანამიმდევრობა (როცა ბუდე ერთი **ფუძიდან** ნაწარმოებ სიტყვებს აერთიანებს) ანბანის რიგს მისდევს.

განმარტებითი ლექსიკონისათვის მთავარია **სიტყვის მნიშვნელობის ახსნა**. სხვაობა აქაც შეიძლება გვექონდეს, კერძოდ, ორი საკითხის გადაწყვეტაში. პირველია, როგორ არის ახსნილი სიტყვის მნიშვნელობა, — მხოლოდ იმ ენის საშუალებით თუ სხვა ენაზე თარგმანიც არის გამოყენებული; მეორე: სიტყვის ახსნისას ამა თუ იმ მნიშვნელობას ერთვის საილუსტრაციო გამონათქვამი თუ მნიშვნელობის ახსნა უამისოდ არის მოცემული; მაგალითად: **კაც**-ი: 1. ა დ ა მ ი ა ნ ი. კაცი — კაცითაო, ნადირი — ტყითაო (**ანდაზა**). კაცსა მართალს და მტყუანსა კაცნივე გაარჩევენო (**ხალხ.**). თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (**დ. გურამიშვილი**). მოისპო ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქვლვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს (**ილია**). 2. მ ა მ ა კ ა ც ი. „ნათესავს რომ ქალი არ მისცე, კაცი გაწყვეტილა ქვეყანაზე?“ (**ეკ. გაბაშვილი**). მოვიდა ორი ცხენოსანი, ერთი — ქალი, ერთი — კაცი (**ე. ნინოშვილი**). ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს (**რ. ერისთავი**). 3. ს ა უ ბ. ქ მ ა რ ი. „მაშ მე რაღა ვქნა? ჩემები ბევრნი წავიდნენ ლაშქარსა: ჩემ კაცი, ძმანი სამნივე — არ მოჰკლებიან ლაშქარსა!“ (**ვაჟა**). „ალბათ, ფათერაკს გარდეკიდა ჩემი დის კაცი!“ (**ი. მაჩაბლის** თარგმ. შექსპირისა). 4. ძ ვ. ბ ა ტ ო ნ ის მსახური მამაკაცი. „ორჯერ გიკითხეს, ჩემო ბატონო, გიორგი სააკაძის და ზურაბ არაგვის ერისთავის კაცებმა“ (**შ. არაგვისპირელი**). 5. შ ი კ რ ი კ ი. მზეს რომ კაცი მოუვიდა, მზე ძალიან გაჯავრდესა (**ხალხ.**). მან დასტური შემოთვალა, მომივიდა კაცი მალი (**რ. ერისთავი**). 6. ნ ა - ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ვ ი ნ მ ე. „წრევანდელი ზაფხულის საყვედურს კაცი ვერ იტყვის!“ (**ე. ნინოშვილი**)<sup>1</sup>...

ამგვარად, **კაც**-ი სიტყვის ექვსი ძირითადი მნიშვნელობა არის გამოყოფილი: 1. ა დ ა მ ი ა ნ ი, 2. მ ა მ ა კ ა ც ი, 3. ქ მ ა რ ი, 4. ბ ა ტ ო ნ ის მსახური მამაკაცი, 5. შ ი კ რ ი კ ი, 6. ვ ი ნ მ ე.

შეიძლებოდა მარტივად ჩამოგვეთვალა ეს მნიშვნელობანი, მაგრამ მაშინ მნიშვნელობა დამაჯერებელი, ხელშესახები არ გამოვიდოდა (ახლაც იგრძნობა, რომ მეოთხე და მეხუთე მნიშვნელობას მეტი გამონათქვამები რომ დართვოდა, ზედმეტი არ იქნებოდა). ზოგჯერ მარტოდონ საილუსტრაციო გამონათქვამიც რომ ავიღოთ და მნიშვნელობა სულ არ ვუჩვენებ

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, სვ. 1101-1102.

ნოთ, ეს მეტს მისცემს მკითხველს, ვინემ მნიშვნელობა ავუხსნათ, ხოლო ილუსტრაცია არ დაფურთოთ. მნიშვნელობა, როგორც წესი, სიტყვახმარებაში (სხვადასხვა გამონათქვამებში) ვლინდება. კონტექსტის გარეშე სიტყვის მნიშვნელობა ჩვეულებრივ სქემატური და არასარწმუნო ჩანს.

რაც უფრო მეტი გამონათქვამია მნიშვნელობის დადგენისას (და მნიშვნელობათა დიფერენციაციისას) გამოყენებული, მით უფრო **სრულად** შევძლებთ გამოავლინოთ მნიშვნელობანი და მით უფრო ზუსტად შეგვეძლება გავმიჯნოთ სხვადასხვა მნიშვნელობა.

გამონათქვამები შეიძლება არ ჰქონდეს სიტყვის ახსნას დართული, მაგრამ სიტყვის ამხსნელი თავის გამოცდილებას მიმართავდეს, ე. ი. მისთვის ჩვეულ გამონათქვამებთან გამოჰყავდეს სიტყვის მნიშვნელობა. ეს არ არის საიმედო გზა, მაგრამ ისიც მოწმობს, თუ რამდენად საჭიროა გამონათქვამები (საილუსტრაციო ფრაზა) მნიშვნელობის დადგენისას, რამდენად აუცილებელია ის სიტყვის ახსნისათვის.

ასეთია ის ზოგადი და მასთან ძირითადი ლექსიკოგრაფიული საკითხები, რომლებიც სხვადასხვა ლექსიკონში სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს გადაწყვეტილი.

\* \* \*

როგორ გადაწყვიტა ეს ლექსიკოგრაფიული საკითხები საბას „სიტყვის კონამ“? საბას ლექსიკონი, როგორც ზევითაც ითქვა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია. სპეციალურ ლიტერატურაში<sup>2</sup> გარკვეულია, რომ საბა მასზე მუშაობდა თითქმის ორმოც წელიწადს, რომ საბამ დაამუშავა ლექსიკონის სამი ვარიანტი (მოკლე C, უფრო სრული B და საბოლოო A), რომ ამ ვარიანტებს შორის განსხვავება სიმოკლე-სისრულის გარდა სხვა მხრივაც არის. B-ვარიანტი უკვე 1716 წელს იყო დამთავრებული. საბას მუშაობა ლექსიკონზე არ შეუწყვეტია შემდეგაც (საბა გარდაიცვალა 1725 წელს).

ბუნებრივი იქნება, თუ საბას „სიტყვის კონის“ ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით დახასიათებისას ჩვენ მივმართავთ A-ვარიანტს, ე. ი. ვიღებთ ლექსიკონს იმ სახით, რომელიც საბოლოოდ მისცა თავის შრომას საბამ.

<sup>2</sup> იხ. ა. შანიძე, წინასიტყვაობა, რომელიც წამძღვარებული აქვს საბას ლექსიკონს (პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით), 1928.

ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები — „ენიკის მოამბე“, V-VI, 1940.

ილ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თბილ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 254-259.

ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბილისი, 1957 წ.; რეზიუმე რუს. ენაზე, გვ. 184-296 (მონოგრაფიული გამოკვლევა).

## 1. რა ლექსიკური მასალა შეიტანა საბამ „სიტყვის კონაში“?

საბას ლექსიკონი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია. ქართული ენა სამწერლო ენის სახითაც გვაქვს და ზეპირი მეტყველების სახითაც (ქართული დიალექტების სახით). თვით სამწერლო ქართულში გაირჩევა ძველი ქართული (V-XI ს. ს. ძეგლთა ენა) და ახალი ქართული (დამთავრებული სახით XVIII საუკუნიდან მაინც — დ. გურამიშვილი; ახალი ქართულის სათავე — რუსთაველისა და მეხოტბეთა ენაში გვაქვს მოცემული).

რა ლექსიკა შევიდა საბას „სიტყვის კონაში“? — სალიტერატურო ქართულისა თუ ზეპირი მეტყველებისა? თუ სალიტერატურო ქართულისა, რა ქართულია ეს — ძველი ქართული თუ საბასდროინდელი სალიტერატურო ქართული? ერთი სიტყვით, რა ლექსიკურ მასალას შეიცავს საბას „სიტყვის კონა“? ესაა პირველი საკითხი, რასაც გარკვევა ესაჭიროება.

„სიტყვის კონა“ მოიცავს, პირველ ყოვლისა, ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკას, მასთან საკმაო სისრულით: ძველ ქართულ ტექსტებში, მათ შორის ხელნაწერებში, ცოტაა ისეთი სიტყვა, რომ საბას ლექსიკონში არ მოიპოვებოდეს.

ძველი ქართულის ლექსიკა, როგორც ეს ნაჩვენებია სპეციალურ ლიტერატურაში, საბას გამოკრებილი აქვს ძველი ქართულის ძეგლებიდან (როგორცაა „დაბადება“, „ოთხთავი“ და სხვ.)<sup>3</sup>.

მართლაც, საბა რომ ძველი ქართულის ძეგლებიდან იღებდა სიტყვებს, ეს თუნდაც იმ შემთხვევებიდან ჩანს, სადაც სიტყვასთან გამონათქვამი მოჰყავს ძველი ქართული ტექსტიდან და სიტყვის განმარტება კი მოცემული არა აქვს: **ოსქიო:** „ძარღენი და გულის-ბჭენი იქმნებიან მჯდომის სახედ და ლაქუარდისა სახედ თანათხზული ოქსიოთა (!) მიერ და იგი არს ნოტიოთა მმურკნელობითი“ (24 ნემეს.)... **ლეყეცობა** „ლალვა და ლეყეცობა იყო“; გრძნებითა და ლეყეცობითა (კვიპრიანეს ცხორებაში)... **საწანგრო** „ხოლო საპარიკონმოსო, საწანგრო, საჯორე, სამჭედლო და ხურონი, კალაფატნი, მანდრინნი, ვენანნი, მენავენი — ესენი იკონომოსის განსაგებელნი არიან“ (ეფთვი ქართვ.)... საბას „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკაც გათვალისწინებული აქვს: **კენარი** კეთილსანახავი და მოვლომილი (ვეფხის-ტყ.) („ადგენ სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა“ C).

მაგრამ საბამ თავის **ლექსიკონში შეიტანა** არა მხოლოდ ძველი ქართულის ლექსიკა, „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკა, არამედ **თავისი დროის სასაუბრო ქართულის ისეთი სიტყვებიც**, რომლებიც **სამწერლო ძეგლში**

<sup>3</sup> ამის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, დასახელებული შრომა, გვ. 287.

**იშვიათად თუ მოჰყვება, ანდა რომელთაც სამწერლო ენა საერთოდ არ ხმარობს.**

სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

**საძელი** — ჭურის სარცხელი<sup>4</sup>

**ორთაყვრი** — სატივე ხობი<sup>5</sup>

**აჭიმი** — ცხენის პირს მოსკუნელი თოკი<sup>6</sup>

**აჩაჩა** — უღლის კარის საწველი<sup>7</sup>; აჩაჩა-ს პარალელურად საბა

იხსენიებს **ოქოქა**-ს.

„საწველსა ორის ჯარისასა ეწოდების **ოქოქა** და **აჩაჩა**, ყვერის ჯარისასა — **არონა**, ოთხსა და ხუთს უღელბმულსა **ჯილდა** და ჯარმრავალსა ბმულსა **ერქვანი** და ყოველთავე სახელი ერქვანი არს ზოგად“<sup>8</sup>.

ერქუანი უკვე ძველმა ქართულმა იცის („დაბადების“ ტექსტშია ნახმარი); ჯილდა საბასავე „სიბრძნე სიცრუისაში“<sup>9</sup> გვხვდება; ამასვე ვერ ვიტყვით სამი სხვა ტერმინის შესახებ: აჩაჩა, ოქოქა, არონა. მაგრამ ეს სიტყვებიც ქართული ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენს; ეს სიტყვები დასტურდება დღესაც ცოცხალ მეტყველებაში: აჩაჩა — ქართლში, მთიულეთში, მესხეთში, ოქოქა — ქართლში, არონა — მესხეთში...<sup>10</sup>

როგორცა ვთქვით, ჯილდა ნახმარია „სიბრძნე სიცრუისაში“.

თუ ჯილდა იქცა სამწერლო ენის ფაქტად, აჩაჩა, არონა-ც შეიძლებაოდა მწერლობაში ეხმარათ, და თუ ეს სიტყვები არ არის ნახმარი, იმიტომ კი არა, რომ სამწერლო ენას ეუცხოება ასეთი სიტყვები, არამედ იმის გამო, რომ შემთხვევამ არ მოიტანა. ეგევე ითქმის ისეთი სიტყვების შესახებ, როგორცაა ზემოთ დასახელებული: საძელ-ი, ორთაყვრი-ი, აჭიმი-ი...; ეს სიტყვები მწერლობიდან უცნობი, მაგრამ მწერლობაში — საჭიროების შემთხვევაში — ნახმარი და სასარგებლო სიტყვებია.

ამავე რიგისა ჩანს: ერკემალი, უგი, ბატკი, ჩუმა... ჭენჭი... კუკუხო, ყვლივი... ყინტორი, ხორგი, ლიჭყი, ბუწი...

**ერკემალი** მნერბავი ცხოვარი<sup>11</sup> (ე. ი. ვერძი, ყოჩი...) ცოცხალია მოხურში<sup>12</sup>.

<sup>4</sup> მოგვეყავს პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით 1928 წ. გამოცემული ტექსტის მიხედვით, გვ. 305.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 263.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>9</sup> იხ. „სიბრძნე სიცრუისა“, გიორგი ლეონიძის რედაქციით, 1928, გვ. 73 (არაკი: „მხვინელი, ფეიქარი, მკერვალი“).

<sup>10</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 155, 159-161.

<sup>11</sup> საბა: ქართული ლექსიკონი, გვ. 110.

<sup>12</sup> ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკა, გვ. 22.

**უგი** უკრაოდ მეწველი (ცხვარი...) <sup>13</sup> ამყამად დასტურდება გუდა-  
მაყარში, მთიულეთში, ფშავში <sup>14</sup>.

**ბატკი** ჩივლი თიკანი <sup>15</sup>. ილ. ჭყონიას ეს სიტყვა დადასტურებული  
აქვს განსხვავებული მნიშვნელობით: „შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქო-  
ნელიო“ <sup>16</sup>. იოს. ყიფშიძეს ზაქის მნიშვნელობით აქვს შეტანილი ეს სიტყვა  
თავის ლექსიკონში <sup>17</sup>. ჩვენ გაგვიგია მეგრულში ბატკი, როგორც ერთი  
წლის ნეზვი თხა (თიკნის მოგებამდე). საბას ჩვენება ამგვარად ცხადყოფს,  
რომ ეს სიტყვა ქართულში ცნობილი იყო.

**ჩუმა** უმი ერბო <sup>18</sup>: **ცხიმ**-თან კი უფრო კონკრეტულად არის მო-  
თხრობილი. „ჩუმა არს ერბო არა მაწონთაგან, არამედ სძისაგან  
გამოდებული ერბო“ <sup>19</sup>. ამავე მნიშვნელობით არის ჩუმა დაცული ფშა-  
ურში: „ჩუმა — რძიდან შედღვებილი კარაქი“ <sup>20</sup>. მნიშვნელობის ცვლით  
სიტყვა ქიზიყურშიც ცნობილია: „ჩუმა — აუღუღებლივ (რძის) ჩადებუ-  
ლი მაწონი“ <sup>21</sup>...

**ჰენჭი** არს ცხიმი მწვადთა მწვეთარობისაგან და მისთანანი <sup>22</sup>. გუ-  
რულს ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით დაუცავს <sup>23</sup>; ხოლო კახეთში, ქი-  
ზიყში სიტყვა საერთოდ სიმსუქნეს უნდა ნიშნავდეს <sup>24</sup>.

**ბუწი** თოხლი <sup>25</sup> („წლის კრავი და მცირედ ნაკლები“ <sup>26</sup>). ბუწი არა  
აქვს დადასტურებული არც ლ. ლეონიძის ლექსიკონს, არც დიალექტოლო-  
გიურ სხვა ლექსიკონებს (ქიზიყურს, გურულს, იმერულს...) და მაინც ეჭვი  
არ არის, რომ ეს სიტყვა ისევე რეალური იყო ქართულს მეტყველებაში,  
როგორც სხვა სიტყვები, რაც საბას მოჰყავს: ზემოთ განხილული მაგალი-  
თები ამაში გვარწმუნებს.

საბასთან მრავლად გვხვდება ასეთი სიტყვები, ზოგი მეტ-ნაკლებად  
ცნობილი, ზოგიც უცნობი ახლანდელი ქართულის მეტყველებისათვის:

<sup>13</sup> საბა, გვ. 339.

<sup>14</sup> ლ. ლეონიძე, იქვე, გვ. 70.

<sup>15</sup> საბა, გვ. 36.

<sup>16</sup> ილ. ჭყონია, სიტყვის-კონა, პეტერბურგი, 1929, გვ. 6.

<sup>17</sup> И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и  
словарем, პეტერბურგი, 1914, გვ. 201.

<sup>18</sup> საბა, გვ. 412.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 422. „ერბო“ აქ „კარაქის“ გაგებით არის ნახმარი (როგორც  
გვარეობითი ცნება ერბოსა და კარაქისათვის).

<sup>20</sup> ლ. ლეონიძე, იქვე, გვ. 88.

<sup>21</sup> სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943, გვ. 228.

<sup>22</sup> საბა, გვ. 422, სიტყვა **ცხიმი**.

<sup>23</sup> ლ. ლეონიძე, იქვე, გვ. 93.

<sup>24</sup> ლ. ლეონიძე, იქვე გვ. 93; სტ. მენტეშაშვილი, იქვე, გვ. 248.

<sup>25</sup> საბა, გვ. 48.

<sup>26</sup> საბა, გვ. 422.

**კუკუხო** — თედოს ძვალნი<sup>27</sup>.

**ყვლივი** — მჯრის ძვალი<sup>28</sup>.

„უკეთუ ესრეთ შეჰყინა, კაცთა სავალად შეიქმნა, უწოდენ **ხორგსა...** თუცა ხორგი მოსქდა და შესქელებით ზედ შეაყინა, უწოდენ **შოლარსა**; გზანი ანუ ადგილნი თოვლთა ნადნობითა თუ მოიყინა, ლ ი პ ი არს; ნაწვეთთა შეყინებულთა გინა ზაფხულის წყაროთაგან შეყინებულთა უწოდენ **ყინტორსა**; მიწათა ქუეშე გაყინულსა და პირმომხუალსა უწოდენ **ლიჭესა**; მიწათა ქვათა ოდენსა შეყინებულსა უწოდენ კობიჭსა“<sup>29</sup>.

ლ ი პ ი ( მ ო ლ ი პ უ ლ ი ) ახლაც საყოველთაოდ ცნობილი სიტყვაა, მწერლობაში თუ ზეპირმეტყველებაში. ამას ვერ ვიტყვით სიტყვებზე: **ხორგი, შოლარი, ყინტორი, ლიჭეი...** მათი რეალურობა მკითხველს არ ეეჭვება; ეს სიტყვები და ბევრი სხვაც ასეთი საბას ზეპირი მეტყველებიდან უნდა ჰქონდეს აღებული.

ზეპირი მეტყველება ასეთ შემთხვევაში დიალექტურს, სამწერლო ენისთვის უცხო არ ნიშნავს. ასეთი სიტყვების დიდი წილი მწერლობაში გამოსადეგი, საჭირო სიტყვაა: საბას ეს სიტყვები ძვირფასი განძი აღმოჩნდა სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ტერმინოლოგიის დამუშავებისას ჩვენს დროში.

საბა რომ მხოლოდ მწერლობაში დამოწმებული სიტყვებით შემოფარგლულიყო, ბევრი საჭირო სიტყვა დაგვაკლდებოდა.

შეუძლიათ გვკითხონ: რა ვიცით, რომ საბამ მწერლობის ძეგლებიდან არ ამოკრება ეს სიტყვები? იქნებ, ჩვენ არ მიგვიწვდება ხელი იმ წყაროებზე (ტექსტებზე), სადაც ეს სიტყვები იხმარებოდა და საბას კი ხელთა ჰქონდა სათანადო ტექსტები? ერთი სიტყვით, იქნებ საბა **სამწერლო ენის ლექსიკით იფარგლებოდა?**

ჯილდას-ს მაგალითზე დავრწმუნდით, რომ ასეთი სიტყვები, მართლაც, შეეძლოთ მწერლობაში ეხმარათ (აი, თუნდაც, მაგალითისათვის, ვაჟას ლექსი „შემოდგომა მთაში“, სადაც ისეთი „პროზაული“ სიტყვები ამოტივტივდება, როგორცაა: ვ ა ც ი, ბ ო ტ ი: „მიურიალებს ცხვრის ფარას, ჯოხს უქნევს ვ ა ც ს ა წინასა, ბ ო ტ ი ც დიდებით მიჰბოტავს, ყვინით სჯობს იმასა?“ ტ. I, 1940, გვ. 309. მით უფრო ადვილად შევიდოდა მსგავსი სიტყვები პროზაულ ტექსტში; ასე, მაგალითად, ისტორიულ ტექსტში ვკითხულობთ: „...ციხით გამოღმართ ციხისთავმან აგინა მეფესა და რქუა: ვ ა ც ი ს წუერნი გასხენ, ვ ა ც - ბ ო ტ ი ს ა კისერი გათქს“: ჯუანშე-

<sup>27</sup> საბა, გვ. 179.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 384.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 385.

რი: ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“<sup>30</sup>.

ასეთი შემთხვევები საბას იმ ლექსიკაშიც შეიძლება გვქონდეს, რომელიც ჩვენ ზეპირი მეტყველებიდან მიგვაჩნია მომდინარედ. ამისდა მიუხედავად, სრულიად უდაოა, რომ საბას თავის „სიტყვის კონაში“ მოეპოვება ისეთი მასალა, რაც ტექსტებიდან არ შეიძლებოდა ამოეკრიბა: ასეთია, ვთქვათ: „ბული-ბული — ღერღედის ხადილი“<sup>31</sup> (ე. ი. ბატის მოსახმობი), ანდა: „ბუხუნი — ღორისა და ლომის რისხვს ვმაი“<sup>32</sup>... და მით უფრო **სკორის** ნაირსახეობანი (სკინტლი, ცურცლი, დენგრა, კურკლი... ჩონჩორიკი, მჩორე<sup>33</sup>... აქ საბას ჩამოთვლილი აქვს ცხოველთა, ფრინველთა განავალის სახელები; არ დაერიდა საბა ადამიანის განავალის სახელიც მოეხსენებინა (ეგვიმისტური საშუალების გამოუყენებლად); არ გამოუტოვებია საბას ისეთი სათაკილო სიტყვები, რომელნიც წიგნის მეტყველებაში არ იხმარება.

ქართული სიტყვა, სამწერლო ძეგლებში ხმარებულიცა და მწერლობაში უხმარიც, საბას ქართული ენის კუთვნილებად მიაჩნდა და „ენის სისრულისათვის“ შეჰქონდა ლექსიკონში.

თავის ანდერძნამაგში (ანდერძის წერილში) საბა ამ საკითხზე თავის შეხედულებას ასე გადმოგვცემს: ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი, არა თუ კიცხვისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ **ენისა სისრულისათვის აღვსწერე**. თუცა **უბადო სახელი აღმოივოცოს, მერმელა უდარესი მოაკლდეს უადრესსა** და ღმერთი-ღა დარჩეს უკეთესი და სხუა არა-რა და შემცირდების ენა ქართული. ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ თუცა წერილნი უყუარან, მრავალნი სხუანი წერილნი არიან, სამლთონი და საერონი, და რომელიც ენებოსთ, იგი იკითხნენ, ხოლო ესა ჩემებრ უცებისათვის აღიწერა და დაუტეონ<sup>34</sup>...

საბამ თავის ლექსიკონში შეიტანა როგორც ძველი ქართულის ძეგლებიდან ამოკრებილი სიტყვები, ისე „ვეფხისტყაოსნისა“ და შემდგომი ხანის მწერლობის ლექსიკური მასალა, და გარდა ამისა, **მრავალი სიტყვა** მისი დროის **ზეპირმეტყველებიდან**. ამრიგად, საბას „სიტყვის კონა“ მთლიანად **ქართული ენის საუნჯედ** გვევლინება (და არა მხოლოდ სალიტერატურო ქართულის ლექსიკონად). იმ სიტყვების აღნუსხვითა და ლექ-

<sup>30</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 146.

<sup>31</sup> საბა, გვ. 46.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 319-320.

<sup>34</sup> საბა, იქვე, გვ. 03. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.

სიკონში შეტანით, რაც სამწერლო ძეგლებში არ დასტურდება, საბამ მრავალი სიტყვა, აწ დავიწყებული, ქართულ ენას შემოუნახა და მით ფასდაუდებელი დვაწლი დასდო ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიას.

საბას ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისი („სიტყვა ნაირ-ნაირია, მაგრამ ენის სისრულისათვის ყველა საჭიროა“) ფართოა, ღრმად მეცნიერული და დიდად წინ უსწრებს თავის ეპოქას: მაშინ „უბადო“ (სათაკილო) სიტყვებს უფრო გაურბოდნენ, ვიდრე ახლა, ხოლო „უბადო“ სიტყვად ისეთი სიტყვები მიაჩნდათ, რაც ახლა ლიტერატურულ ენაში ჩვეულებრივ იხმარება.

1694 წელს გამოვიდა ფრანგული ენის აკადემიური ლექსიკონი. საბა იყო ლუი XIV-ის დროს (1713-14 წ.) საფრანგეთში და, ცხადია, საშუალება ჰქონდა გაეცნო ფრანგული ენის აკადემიური ლექსიკონი — ლექსიკონი მკაცრად ნორმატიული ხასიათისა და მკვეთრად განსხვავებული ამ მხრივ საბას „სიტყვის კონისაგან“<sup>35</sup>.

## 2. რა არის მიჩნეული ლექსიკურ ერთეულად საბას „სიტყვის კონაში“?

ლექსიკურ ერთეულად საბასთან გვაქვს: ყველა მეტყველების ნაწილი: **არსებითი სახელი** (მასთან საზოგადო დასაკუთარი ც): სახელი, კაცი, ქალი, ბაგე, ცხოვარი, ცხენი, ვაშლი, მწყემსი, კამარა, ქარი, ფერი... არისტოტელი, სოლომონ, სტეფანე, აბიმელიქ, იაკობ, იასონ, სალომე, გეოგრაფიული: სოდომი, ლავრინთო, ლაკედემონია<sup>36</sup>... ზედსართავი: ახალი, ლაღი, ლამაზი, ჭრელი, ძნელი... რიცხვითი: ერთი, ორი, სამი, ოთხი... ათი... ასი... ათასი... პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე... ნასამალი, ნაოთხალი... ნაცვალსახელი: მე, შენ, ის... ჩემი, შენი, მისი... მან, მაგ... მიმღეობა: მწველი, შემწველი, მძებნელი, მწოვარე, მძრწოლვარე, მკრებელი, მლოდინე, მამცნე, მზარდული, მზრდელი... მკული, შემკული, აწყუედილი, გაბედიტებული, დაწმედილი, დაღლეტილი, დაჩხირული, გამოქანდაკებული, განკურნებული, შეკრული, შესვარული... სასროლი, სათხოელი, საგსებელი, სათლელი, საზიდავი, საკრეფი, საძებნელი, სახვეწარი...

<sup>35</sup> სათაკილო სიტყვები შეტანილი ჰქონიათ ბერძნულისა და ლათინური ენების ლექსიკონებში ჰ. სთეფანუსსა და ფორჩელინის. თუ ეს სიტყვები წყაროებში დასტურდებოდა. იხ. Яков Гримм. Программа словаря — მოგვყავს Я. Грот-ის შრომის მიხედვით: Филологические разыскания, СПб, 1873, გვ. 219.

<sup>36</sup> პირთა და გეოგრაფიულ სახელთა შეტანით საბას „სიტყვის კონა“ ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონს მოგვაგონებს.



ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი: აქა, მანდ, იქი... გუშინ, ხვალე, ზეგ... ქუეშ, ქუ-  
ეშე, ზეით, გაღმართ... წინ, უკან... უკუე... შინაგან...

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი: რომ, თუ, მაგრამ, ვინათგან... თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი:  
ზედ, ში, თანა, გან...

ზ მ ნ ა ს, ცხადია, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი.

არსებითი სახელი ლექსიკონში შეტანილია ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი  
ბრუნვის ფორმით: ხმოვანფუძიანები უნოდ (მამა, ძე, მზე, სოკო, ყრუ...,  
თანხმოვანფუძიანები სახელობითის ი — ნიშნის დართვით (კაცი, ცხოვარი,  
კედელი, კამბეში, ეკალი, თოკი, თოფი, მარცხი...).

რაც შეეხება ზმნას, აქ საბა ძირითადად ნაზმნარ არსებით სახელებს  
იძლევა: მ ო ს ლ ვ ა, მ ო ს რ ვ ა, მ ო ს უ ს ხ ვ ა, მ ო ს ხ მ ა, მ ო ტ ა ნ ა,  
მ ო ც ი ლ ვ ე ბ ა... მაგრამ აქა-იქ ზმნის პირიანი ფორმებიც მოჰყავს; ასე,  
მაგალითად, მ ო ც ი ლ ვ ე ბ ა-ს<sup>37</sup> გარდა ცალკე ერთეულად წარმოდგენი-  
ლია მ ო ს ც ი ლ დ ა<sup>38</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ზმნის პირიანი ფორ-  
მებიდან საბა უპირატესად ნამყო ძირითადის (რა ქნა?) მესამე პირს ასახე-  
ლებდა (მასთან მეტწილად პრევერბებთან: გააბა, გააბატონა, გააბედვინა,  
გააბნია, გააბრიყვა... დააბა, დააბადებინა, დააბარა, დააბეგვინა, დააბეზლა,  
დააბმევინა, დააბნელა, დააბრალა, დააბრმო, დააბრუნა... მოასწავა, მოგო-  
ზა, მოვიდა, მოთიბა, მ ო ი ბ ა, მ ო ი კ ა ნ ტ უ რ ა, მ ო ი პ ა რ ა, მოისუნა,  
მოიცვა, მოიწია... შეაქცია, შე ა შ ვ ა, შე ე გ ე ბ ა, შეევაჭრა... შე ე წ ი ა...  
ჩავიდა, ჩ ა ი ტ ა ნ ა... წაართვა, წაასვენა, წაიტანა... (ზმნის სხვა ფორმები,  
საბას ლექსიკონში რომ გვხვდება, მეტწილად ზოსიმეს ჩანამატებად ით-  
ვლება)<sup>39</sup>.

ზმნის ფორმის შეტანა ლექსიკონში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ  
(გვ. 6), ცნობილია რიგი ენიდან (ძველი ბერძნული, ლათინური, არაბუ-  
ლი...). მაგრამ ქართული ენის ლექსიკონისათვის ზმნის ლექსიკური ფორ-  
მის შეტანას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება: ლათინურში ანდა რუსულ-  
ში რომ პირიანი ფორმა მოვაშორეთ და ლექსიკონში მხოლოდ ინფინიტი-  
ვი დავტოვოთ, ამით ზმნას არა დაუშავდება რა, რაკი ზმნას ინფინიტივიც  
აქვს და ლექსიკონში ზმნური ერთეული ინფინიტივით მაინც იქნება  
წარმოდგენილი (*scribo, пишу, scribere, писать*). ქართულში სხვა ვითარება  
გვაქვს: ქართულ ზმნას ინფინიტივი არ მოეპოვება: წ ე რ ა, კ ი თ ხ ვ ა,  
ჭ რ ა, კ ე რ ვ ა, შე ნ ე ბ ა არის არა ინფინიტივი *писать, читать, кроить,*  
*шить, строить*, არამედ მასდარი (ნაზმნარი არსებითი სახელი): *п и с а н и е*,

<sup>37</sup> საბა, გვ. 225.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 223.

<sup>39</sup> ამ საკითხზე იხ. ლ. ქუთათელაძე, ხსენებ. შრომა, გვ. 93, აგრეთვე გვ. 87 და  
შემდ. იხ. აგრეთვე ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. XXIII-XXIV.

**чтение, кройка, шитье, стройка**; მართალია, მასდარსაც შესწევს უნარი განყენებული მოქმედება გამოხატოს, მაგრამ მას არ ძალუძს გაარჩიოს ის, რასაც ინფინიტივი განასხვავებს: მაგალითად, ქართული ზმნა ისევე განასხვავებს ვნებითს, როგორც რუსული (**строит** ა შენებს მას, **строится** შენდება). შესაბამისად სალექსიკონო ერთეული რუსულში ორი გვექნება: მოქმედ. **строить**, ვნებითი **строиться**, ქართულში კი — მხოლოდ ერთი: შენება, ორი ზმნური ერთეულის (აშენებს, შენდება-ს) ნაცვლად ერთი, რაკი მასდარი (შენებს) მოქმედებითსა და ვნებითს გვარებს არ განასხვავებს (ისევე, როგორც რუსული **стройка**). ამრიგად, ინფინიტივის უქონლობა ხელოვნურად ამცირებს ზმნის ლექსიკურ ერთეულებს, ქმნის არასწორ წარმოდგენას ქართული ზმნის ლექსიკური შესაძლებლობის შესახებ. მასდარის წყალობით იჩრდილება არა მხოლოდ ვნებითი, არამედ სასუბიექტო და საობიექტო ქცევა: იშენებს, უშენებს, უშენდება ისეთივე ლექსიკური ერთეულებია, როგორც ვნებითი **строиться** შენდება, ლექსიკონი კი არ აისახება, რაკი მათ მასდარი (შენება **стройка**) ვერ განასხვავებს<sup>40</sup>.

საჭიროა პირიანი ფორმა გამოვიყენოთ სალექსიკონო ერთეულად, რომ ხელოვნურად არ გავაღარიბოთ ლექსიკური ერთეულებით ქართული ზმნა, რომ ქართული ზმნის ლექსიკური სიმდიდრე სათანადოდ აისახოს ლექსიკონში.

საბას ცდას, შეეტანა ლექსიკონში ზმნის პირიანი ფორმა, აკლია თანამიმდევრობა (ზოგი ზმნისა შეაქვს, ზოგისა — არა), მაინც ამ ცდას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს: იგი გვანიშნებს საშუალებას, რომლის მეოხებითაც ქართულ ზმნას შეეძლება ისეთი ადგილი დაიკავოს ლექსიკონში, როგორც მას აქვს ქართულს ენაში<sup>41</sup>.

ამრიგად, ლექსიკურ ერთეულთა საკითხშიც საბას „სიტყვის კონა“ ქართული ენის ბუნების შესაბამის ორიგინალურ გზებს სახავს, მაღალ ლექსიკოგრაფიულ დონეზე დგას.

<sup>40</sup> გარდა ამისა, მასდარი რიგ ზმნებს არც ეწარმოებათ: გაამწვანებს — გამწვანება, მაგრამ ამწვანებს — „ამწვანება“ არ ითქმის; ასევე: ადარებს, ახარისხებს, ალამაზებს და მათი რიგის ზმნებს მასდარი არ ეწარმოებათ (შედარება, დახარისხება, გალამაზება შეეფერება პრევერბიან წარმოებას: შეადარებს, დაახარისხებს, გაალამაზებს...).

<sup>41</sup> ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. I-V) სწორედ ამ გზით გვაქვს გადაწყვეტილი საკითხი: ზმნურ ლექსიკურ ერთეულად მიღებულია პირიანი ფორმა (აწმყოს მესამე პირი) და ლექსიკონში ასახულია ვნებითიც და ქცევებიც (სასუბიექტო, საობიექტო): თუ საბას აქვს ჩ ა ი ტ ა ნ ა — იხ. ზემოთ — (ჩვეულებრივ მხოლოდ „ჩატანა“ იხსენიება), ჩვენ გვექნება: ჩ ა ა ტ ა ნ ს, ჩ ა ი ტ ა ნ ს, ჩ ა უ ტ ა ნ ს, ჩ ა ი ტ ა ნ ე ბ ა, ჩ ა ე ტ ა ნ ე ბ ა, ჩ ა ა ტ ა ნ ი ნ ე ბ ს... აგრეთვე: ჩ ა ტ ა ნ ა, ჩ ა ტ ა ნ ი ნ ე ბ ა.

## 3. რა თანმიმდევრობით ლაგდება ლექსიკური ერთეულები?

საბა ანბანთ რიგს მისდევს და ყოველ ასოზე სიტყვებს ალაგებს ამ წესის შესაბამისად... კალთა, კალია, კალმახი, კალნაბი, კამათელი, კამათობა, კამარა, კამბეში და ა. შ. ანბანის რიგზე სიტყვათა გაწყობისას ერთი და იმავე ფუძის სიტყვები სხვადასხვა ასოზე მოვა: **სახლი** — **ს**-ზეა, **მოსახლე** — **მ**-ზე, **ნასახლარი** — **ნ**-ზე, **გადასახლება** — **გ**-ზე (ამ წესის უპირატესობაზე ფართო მოხმარების ლექსიკონებში — იხ. ზემოთ, გვ. 5-6).

ბუდეებზე რომ დაგველაგებინა სიტყვები, **სახლ**-თან მოიყრიდა თავს ყველა სიტყვა, რაც ამ ფუძეს ეყრდნობა წარმოებისას: **მოსახლე**, **ნასახლარი**, **გადასახლება**, **გადმოსახლება**, **სახლ-კარი**, **უსახლკარო**...

საბას ლექსიკონში გვხვდება ბუდეებიც, მაგრამ ეს სხვაგვარი ბუდეებია: მასში გაერთიანებულია **საგნობრივად** დაკავშირებული სიტყვები (და არა ერთი ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები). ასე, მაგალითად:

**კაცის** ფუძეში საბას შეტანილი აქვს: **მამაცი**, **დიაცი**, **ცოლი**, **შვილი**, **ძე**, **ასული**, **ვაჟი**, **ქალი**, **ჩჩული**... **უსუარი**... **ნინველი**... **ჭაბუკი**... **ყრმა**... **მოხუცებული**... **მამაბერი**, **დედაბერი**... **მიხრწნილი**, **ჭარმალი**, **მჯცოვანი**...

ერთი სიტყვით, აქ გვაქვს სქესის მიხედვით გარჩეული **ადამიანი** სხვადასხვა **ასაკისა**. არც ერთი ამ სიტყვათაგან **კაც** — ფუძისაგან ნაწარმოები არ არის: მაშასადამე, **კაცის** ბუდე — **ლექსიკური ბუდე** — აქ არა გვაქვს (**კაცის** ბუდე — **ლექსიკური ბუდე** იქნებოდა: **კაცი**-ი, **კაცური**, **კაცობა**, **კაცობა**, **კაცობრივი**, **კაცობრიობა**, **უკაცური**, **უკაცრავად**, **საკაცე**...).

ბუდეებზე გაწყობისას **ლექსიკონებში** სიტყვებს აერთიანებს **საერთო ფუძე**. **საბას ლექსიკონში ბუდე ემყარება გვარობითს ცნებას**, როგორც ძირითად ცნებას, და მასთან **თავს უყრის სახეობითს ცნებებს**; ასე, მაგალითად, **ცხენ** — ცნებასთან, როგორც მისი სახეობანი, ნაჩვენებია: **ახტა**, **ჯრღალი** და **ჭაკი**, **კიცჯ**, **ურა**, **ფაშატი**, **აჯილღა**, **ტაიჭი**, **საჯეღარი**, **ჭუნე** და **ჯინიბი** (|| **მარქაფა**), **რემა**, **გერგე**... **მუტრუკი**, **კარაული**...

ასევე **ცხოვარ**-ცნებასთან გვაქვს: **ვერძი**, **ნერბი**, **კრავი**, **ტარიგი**, **ბატკანი**, **ბუწი**, **შიშაგი**, **აზმანი**, **ჭედილი**, **სადგამი**, **ერკემალი**, **უგი**, **ქარაბიჭა**, **ჟოჟორაკი**. მოვიყვანოთ ნიმუშები:

..**ცხენი** (31 ფს.) მამალსა ცხენსა ეწოდების **ახტა** და **დედალსა** —

ვ რ დ ა ლ ი და ჭ ა კ ი; შვილთა მათთა კ ი ც ვ, რომელსა მსოფლიონი კ ვ ი ც ა დ უწოდენ; ხოლო კ ი ც უსა ახტასა უ რ ა და ვ რ დ ა ლ ს ა ფ ა შ ა - ტ ი ეწოდების; სარემაესა კურატსა — ა ჯ ი ლ ღ ა; გამოყუერილსა — ტ ა - ი ჭ ი; აღსაჯდომელსა ცხენსა — ს ა ჯ ე დ ა რ ი; გვარიანსა და კეთილსა ცხენსა — ჰ უ ნ ე და ჯ ი ნ ი ბ ი, რომელ არს მ ა რ ქ ა ფ ა; უმწყსსა ცხენსა — რ ე მ ა; ასაკმცირესა ცხენსა — ... გ ე რ გ ე; ვირთა და კერძოვირთა, რომელ არს ჯორი, ახტა და ვ რ დ ა ლ ო ბ ა ითქმის, ხოლო კ ი ც უთა მათთა — მ უ ტ რ უ კ ი, და აღსაჯდომელსა ვირსა — კ ა რ ა უ ლ ი<sup>42</sup>.

ამოსავალი ცნება (გვარეობითი ცნება **ცხენი**) საბას განუმარტავად აქვს დატოვებული (ალბათ, ივარაუდება, რომ არ მოითხოვს ახსნას, ცნობილია).

რაც შეეხება ბუდეში თავმოყრილ ცნებებს, ენაში არსებული გაგება ლოგიკურ დანაწევრებას ყოველთვის როდი მიჰყვება და ეს ქმნის სიძნელეებს; ხან ცნებათა გამიჯვნა ჭირს, ხან ერთ ცნებას ერთზე მეტი სიტყვა აღნიშნავს (სინონიმები)... და ეს იგრძნობა ბუდეში მოქცეულ ცნებათა განმარტებისას.

მაგალითად: ვ რ დ ა ლ ი და ჭ ა კ ი სინონიმებია, მაგრამ ეს სიტყვები მარტოოდენ ცხენზე არ ითქმის („ჭ ა კ ი ვ რ დ ა ლ ი ცხენი და ვირი“<sup>43</sup>. ალბათ, ამის გამო მოექცა ვ ი რ ი ცხენის ბუდეში). ჯიშის კარგი ცხენის („გვარიანი და კეთილი ცხენი“) აღმნიშვნელი სამი სინონიმი აღმოჩნდა: ჰ უ ნ ე, ჯ ი ნ ი ბ ი, მ ა რ ქ ა ფ ა, — განსხვავებული — წარმომავლობისა და ნაწილობრივ მნიშვნელობის მხრივაც... „ცხენის შვილია კ ი ც ვ, რომელსაც სოფელნი („მსოფლიონი“) კ ვ ი ც ს უწოდებენო“... კ ი ც ვ ძველი ქართულის ფორმაა, კ ვ ი ც ი — ახალი ქართულისა: კვიცი ← კიცვი (კიცვ).

სინონიმების საკითხი, ძველი ქართულისა და ახალი ქართულის ვარიანტების საკითხი დაიხრდილა იმის გამო, რომ ს ი ტ ყ ვ ა თ ა ა ხ ს ნ ა **ცნებათა კლასიფიკაციას** დაექვემდებარა. ამ რიგის უხერხულობანი სხვაგანაც იგრძნობა.

მაგალითად, არის შემთხვევა, როცა ზოგადი, გ ვ ა რ ე ო ბ ი თ ი ცნება არ შეიქმნა, და ამოსავლად სახეობითი ცნება გამოუყენებია საბას:

**ზუჩი** ზუჩინცა არიან ხუთგვარნი: რომელსა თავსა დასარქმელი რკინა აქუს, რომელსა კვერცხად სახელსდებენ, ხოლო ზარადი წინაუკანით გრძლად აქუს, იგი არს ზ უ ჩ ი, რომელნიმე მ უ ზ ა რ ა დ ს უწოდენ; არს მსგავსი ზუჩისა, თავს დასარქმელი, საცხვირე გრძელი და არა ზარად-ვლებული<sup>44</sup>..., იგი არს ჩ ა ფ ხ უ ტ ი; და არს თხემსა ზედა მცირე პოლოტიკი და ზარადი, კისრის (+ და ყურთა) კერძოთა და პირსა — არა, იგი არს

<sup>42</sup> საბა, გვ. 421.

<sup>43</sup> საბა, გვ. 444.

<sup>44</sup> „ზარადი — ზუჩის ჯაჭვ“, — საბა, გვ. 127.

ჩ ა ჩ ა ნ ი და სხვ. არს, რომელსა პოლოტიკი არა აქვს, თავს სახურავი ლიტონი ჯაჭვია — იგი არს ჩ ა ბ ა ლ ა ხ ი“<sup>45</sup>.

ზ უ ჩ ი, ჩ ა ფ ხ უ ტ ი, ჩ ა ჩ ა ნ ი, ჩ ა ბ ა ლ ა ხ ი — ამათგან ყოველი **სახეობის** ცნებას აღნიშნავს: ეს ცხადია განმარტებიდან („თავზე ჩამოსაცმელი რკინა, წინ და უკან გრძლად რომ ჩამოდის — ესაა ზუჩიო; საცხვირე გრძელი თუ აქვს, მაგრამ უჯაჭვოა — ჩაფხუტი იქნება; თუ თავზე რკინაა და ჯაჭვი კისერსა და ყურს ფარავს, პირს კი — არა — ჩაჩანია...); ერთი ამათგანი აიღო საბამ და ბუდე მის გარშემო ააგო.

თავისებური შინაარსის სიტყვები აქვს საბას გაერთიანებული ბუდეში **ძონძი**: „**ძონძი** არს ყოველივე სამოსელთაგან ძველი და ნაგლეჯი; ბ ე ბ კ ი — ძველი ძველზე დაკერებული; ფ ა რ ა ტ ი ნ ი — ბეზკის ნაგლეჯი რამე; ჯ ი ნ ჯ ო თ ი ჩოვის ნაგლეჯი; ბ რ ა ნ ძ ი ძონძი ფარატინისა“<sup>46</sup>. ძონძის, ბეზკის, ფარატინის, ჯინჯოთისა და ბრანძის, ვითარცა ცნებების დახარისხება და ლოგიკურ იერარქიაში მოქცევა, ცხადია, თანამიმდევრული ვერ იქნებოდა (იხ. ბრანძი — ფარატინის ძ ო ნ ძ ი ო!).

ამგვარი ნაკლისდა მიუხედავად, საბას ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ - ც ნ ე ბ ი თ ი ბ უ დ ე ე ბ ი ენათმეცნიერულადაც და კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც დიდი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი ღირებულებისა ჩანს.

„ცხოვარი“ (26,14 დაბად.) ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვ ე რ ძ ი და დედალსა ნ ე რ ბ ი; ხოლო შვილთა მათთა კ რ ა ვ ი; დიდსა კრავსა და უბიწოსა ტ ა რ ი გ ი; ჩიჯლსა კრავსა — ბ ა ტ კ ა ნ ი; წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა — ბ უ წ ი; წელიწადს უკან — შ ი შ ა გ ი; ორი წლისასა — ა ზ მ ა ნ ი; გამოყუერილსა — ჭ ე დ ი ლ ი, კეთილურუხიანსა — ს ა დ გ ა - მ ი, და მწერბავსა — ე რ კ ე მ ა ლ ი (ერკემელი); ცხოვარი თუ თხა, რომელიც უკრაოდ იწველის — უ გ ი; უჟამოდ დამაკებულსა კრავსა და თიკანსა ქ ა რ ა ბ ი ჭ ა დ სახელსდებენ; მჭლესა და ცუდსა ცხოვარსა — ბ ა ლ ლ ი, რომელ არს ყ ო ყ ო რ ა კ ი (პ ა ტ რ უ ჭ ა კ ი)<sup>47</sup>.

ძვ. ქართულის ტ ა რ ი გ ი („დიდი კრავი და უბიწო“) აქ ხელოვნურად არის ჩაჩხერილი კ რ ა ვ ს ა და ბ ა ტ კ ა ნ ს შორის... მჭლე ცხვარი ბ ა ლ ლ ი ც არის და ყ ო ყ ო რ ა კ ი ც (პ ა ტ რ უ ჭ ა კ ი ც!). ცხადია, ამათი რაობა არ არის მთლად ნათელი, და ადგილიც მონათესავე ცნებათა იერარქიაში ერთგვარად ხელოვნური ჩანს. მართლაც, ბ ა ლ ლ ი თავის ადგილას ბ-ასოზე ახსნილია, როგორც „მჭლე ს ა კ ლ ა ვ ი“, ხოლო ყ-ასოზე ყ ო ყ ო რ ა კ ი საბას განმარტებული აქვს ხ ბ ო დ, ხოლო ზ რ ო - ხ ა-ბუდეში ვკითხულობთ: „ნასუქარსა ვბოსა (ეწოდების) ზ უ ა რ ა კ ი, რომელ არს ყ ო ყ ო რ ა კ ი ო (მართალია, აქ ყ ო ყ ო რ ა კ ი გვაქვს და

<sup>45</sup> საბა, გვ. 132.

<sup>46</sup> საბა, გვ. 427.

<sup>47</sup> საბა, გვ. 422.

არა ყოყორაკი!), საფიქრებელია, ეს ერთი და იგივე იყოს (ყოყორაკი აკი ერთგან ხბოა, მეორეგან — ნასუქარი ხბო).

სიტყვა ყოველთვის როდი გადმოგვცემს ლოგიკურ ცნებას, როდია ტერმინი. ამიტომ ბუნებრივია, რომ სიტყვათა მიხედვით ცნებათა იერარქიის ჩამოყალიბება ჭირს. საბას საგნობრივ-ცნებითი ბუდეები, ამისდა მიუხედავად, ვიმეორებ, დიდად ფასეულია.

**„ზროხა-ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა, ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ჯარი და დედალსა — ფური; ხოლო შულთა მათთა ჯბო; ნასუქარსა მათსა — ზუარაკი, რომელ არს ყოყორაკი (!); ნახევარ წლისას ბარაკეული; საჯარესა წლამდის — ბოჩოლა, და საფურესა — მოცედი; წელიწადზე მეტსა საჯარესა — მოზუერი და საფურესა — დიაკეული; ორი წლის ჯარსა — ბოკი; საკლავად მსუქანსა — უსხი; საკიდარსა ჯარსა — აზავერი; გამოუყვარავს ჯარსა — კურო და მისსა უმცროსსა კურაკი; შეწირულს — ზუარი; ირემთა და მისთანათას ტოლსა ჯარად და ფურად იტყვან“<sup>48</sup>.**

ფაქიზად აქვს საბას დახარისხებული სიცილის ნაირსახეობანი:

**სიცილი** (8,21 იობ) განყოფანი სიცილთანი ესე არს: დიმილი არს სიცილი სიმშვიდით უჯმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს; სიცილი არს — მცირედ ჯმიანი და მდაბალი; კაშკაში არს სიცილი მაღალი და მოჯდომილი; კასკასი არს სიცილი მაღლი და წულილი; რახრახი (ხარხარი) არს სიცილი მაღალი და უშვერი; თქართქარი არს სიცილი, მრავალთაგან შეჯმობილი; დინცილი არ სიცილი მიწყევ უწყესო; ხოლო ფრუსტუნი — ვის არ ენების სიცილის გამოჩინება და ერთს საცინელს საქმეზედ წარსცინოს და მალიად დაიდუმოს“<sup>49</sup>.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა **ჩუქება**-ზე თქმული.

**„ჩუქება**. ჩუქება, ნიჭი, ბოძი და ძღუენი განიყოფებიან: რამეთუ ჩუქება არს სტუმარს რაჲ მასპინძელმა მისცეს რამე; ხოლო ნიჭი — უაღრესისაგან უღარესის მინაცემი, და ძღუენი არს მოყუარემან მოყუარეს ანუ სწორმან სწორს შორით წარუგზავნოს, გინა უღარესმან უაღრესსა მიუძღუნას, ანუ თვთ მთართვას; ხოლო ბოძი არს, პატრონმან რა თვსა ყმასა თვსითა ჯელითა მისცეს რამე; კაცისა და უსტარისა გაგზავნასაცა და ეგვეითართა ბოძად (ბოძებად) ვიტყვით“<sup>50</sup>.

აჩუქა, მიანიჭა, უძღვნა, უბოძა — სინონიმებია, რამდენადაც ყოველი ამ სიტყვათაგანი მიცემას გულისხმობს. განსხვავებას კის ქმნის, ვინ ვის აძლევს: სტუმარს მასპინძელი აჩუქებს, „უაღრესი“ (დიდი ვინმე, საზოგადოებრივად უფრო მაღლა მდგომი) მიანი-

<sup>48</sup> საბა, გვ. 131.

<sup>49</sup> საბა, გვ. 318.

<sup>50</sup> საბა, გვ. 412.

ჭებს რასმე მასზე დაბლა მდგომს, ბატონი ყმას უბოძებს, ხოლო სწორი სწორს (ანდა მოყვარე მოყვარეს) უძღვნი ს რასმე (ძღვენი იქნება აგრეთვე, მდაბიომ წარჩინებულს თუ მიართვა)...

საბას ლექსიკონის ბუდეები საგანგებოდ შესწავლის ღირსია. ჩვენ მოვიყვანეთ რიგი დამახასიათებელი ბუდე, რომ ხელშესახები ყოფილიყო, რას ნიშნავს ბუდეები საბას ლექსიკონში: ეს ბუდეები სიტყვების ბუდეებად დალაგებას არ ნიშნავს, ეს ცნებათა ბუდეები ა, ე. ი. საბას ანბანის რიგზე გაწყობილ სიტყვებში ბუდეების პრინციპი არ შეუტანია, არამედ **განმარტებითს ლექსიკონს ენციკლოპედიური ლექსიკონის ელემენტები შესძინა.**

ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ პუნქტთა სახელების შეტანა საბას განმარტებითს ლექსიკონში კვლავ ენციკლოპედიური ლექსიკონის ელემენტებს გამოგვივლენს.

ამ მხრივაც საბას „სიტყვის კონა“ ლექსიკოგრაფიული ამოცანის ორიგინალურ გადაწყვეტას იძლევა.

**რა ახასიათებს სიტყვათა ახსნას საბას ლექსიკონში?** სიტყვის ახსნის ხერხები, საბა რომ იყენებს ლექსიკონში, ნაირ-ნაირია და ცალკე შესწავლის ღირსია. აქ მხოლოდ ზოგ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას. როგორც წესი, საბას განმარტება არსებითს, დამახასიათებელს გვანიშნებს, სხარტი და მარჯვია (თუმცა ხშირად აკლია სისრულე და გარკვეულობა): „**ყუდრო** — ადგილი ქარ-უხუდრი“... „**ქარქუეტი** — ვმელი კაჭაჭი“... „**სულუგუნი** — გადაზელილი ბრტყელი ყველი“... „**სიძუნწე** — არა უხუება“... „**ნეჭა** — სუფთა ჭილობი“... „**ოდი** — წვმა-მზიანით ნაწყენობა“... „**საკარცხული** — მცირე სკამლოგინი“... „**ქიტონთი** — საბლარდნელი რამ“... „**ქობური** — ხის ბურთი“... „**ჩიბე** — ღორთა და თაჯუთა საწოლი“... „**წითელა** — სენია“... „**ხათაია** ნაქსოვია ერთი“... (უკანასკნელ ხუთ განმარტებაში მხოლოდ გვარეობითი ცნებაა მოცემული, მაგრამ რაც განასხვავებს ამ სახეობას, ნაჩვენები არაა: წითელა სენია, ქობური ხის ბურთია... როგორი?).

სიტყვის მნიშვნელობა დანაწევრებული არ არის (საბა მხოლოდ ძირითადს მნიშვნელობაზე მიუთითებს); ზოგი სიტყვა, საყოველთაოდ ცნობილი, აუხსნელად არის დატოვებული (ასეთია მაგალითად: კაცი, სხეული, ცხოვარი, ზროხა, ტირილი, მრუდი... მეტწილად გვარეობითი ცნებები).

საილუსტრაციო გამონათქვამები, როგორც წესი, სიტყვას არ ახსნავს. გამორკვეულია<sup>51</sup>, რომ „ძნელ სიტყვებს“ საბა დოკუმენტაციას ურთავდა, ხოლო, როცა სიტყვის მნიშვნელობას დაადგენდა, დოკუმენტაციას

<sup>51</sup> ლ. ქუთათელაძე, დასახელებული შრომა, გვ. 58.

(საილუსტრაციო გამონათქვამს) შლიდა (ბევრგან მაინც დატოვებულია მითითება წყაროზე: ნაჩვენებია ნაწარმოების ადგილი, სადაც სიტყვა იბოვება); გასაგებია ამიტომ, თუ საბას ლექსიკონში აუხსნელად დარჩენილ სიტყვებთან, მოცემულია ტექსტიდან ამოღებული (საილუსტრაციო გამონათქვამი).

ქართულ სიტყვას საბა ქართულადვე განმარტავს. მაგრამ საბა სხვა ენებზე (სომხურზე, თურქულზე, იტალიურზე) თარგმანსაც ხშირად ურთავდა<sup>52</sup>.

განმარტებასთან დაკავშირებულია უფრო კერძო ხასიათის რიგი სხვა საკითხი (მაგალითად, სინონიმების, ომონიმების საკითხი), მაგრამ მათ აქვერ შევხებით.

\* \* \*

1634 წელს საფრანგეთში — რიშელიეს ინიციატივით — აკადემია დაარსდა. აკადემიას მიზნად დაუსახეს ფრანგული ენის ლექსიკონი შედგინა და ფრანგული ენის გრამატიკა დაემუშავებინა.

ლექსიკონზე მუშაობას აკადემია 1638 წელს შეუდგა. 1674 წელს, — ე. ი. 36 წლის შემდეგ — ლექსიკონი გამოიცა.

საბამ ლექსიკონზე მუშაობა 1685 წელს დაიწყო და 1716 წელს „გასრულა“<sup>53</sup>. ფრანგული ენის ლექსიკონს აკადემია ადგენდა. სპარსეთისა და თურქეთისაგან აწიოკებულ საქართველოში ერთმა პირმა იკისრა იმის გაკეთება, რაც ლუი XIV-ის საფრანგეთში აკადემიის საზრუნავ საგანს წარმოადგენდა.

უბადლო ნიჭმა და მშობლიური ენის, მშობელი ქვეყნის თავდადებულმა სიყვარულმა შეაძლებინა საბა-სულხან ორბელიანს შეექმნა ქართული ენის ლექსიკონი („სიტყვის კონა“), შეექმნა ქართული ენის საუნჯე, — შრომა, რომლის მნიშვნელობაც ქართული კულტურის ისტორიისათვის მით უფრო ნათელი გახდება, რაც უფრო გამოწვლილვით იქნება იგი შესწავლილი (ჯერჯერობით მისი შესწავლა მხოლოდ დაწყებულია).

„ვეფხისტყაოსანთან“ ერთად და მის გვერდით საბა-სულხან ორბელიანის ქართული ლექსიკონი („სიტყვის კონა“) ძველი ქართული გონითი (სულიერი) კულტურის ძვირფასი ძეგლიცაა და უდიდესი მიღწევაც.

საიუბილეო კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“ (1658-1958)  
მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1959.

<sup>52</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, წინასიტყვაობა საბას ლექსიკონის 1928 წლის გამოცემისა, გვ. XV-XIX.

<sup>53</sup> იხ. საბას Curriculum vitae, ლექსიკონი, გვ. 477-478. როგორც ცნობილია, მუშაობა ლექსიკონზე საბას მერეც არ შეუწყვეტია.



## **Первый толковый словарь грузинского языка С.-С. Орбелиани (1716 г.)**

(Общая характеристика)<sup>1</sup>

«Букет слов грузинский, или Лексикон» выдающегося грузинского писателя Саба-Сулхана Орбелиани (1658-1725) – первый из известных науке толковый словарь грузинского языка. Словарь Саба-Сулхана – плод тридцатилетнего труда. Работа над словарем была начата в 1685 г. Сначала был составлен первый краткий вариант; второй, более пространный, был закончен в 1716 г.

Словарь Саба-Сулхана включает около 25 тысяч лексических единиц. Сохранилось несколько автографов словаря. Издавался он трижды. Писатель Р. Эристави впервые напечатал словарь в 1884 г. в Тбилиси. В 1928 г. вышло второе издание. Оно было подготовлено проф. И. А. Кипшидзе еще в Петрограде, где и было начато печатание, прекратившееся в 1917 г. Издание осуществил проф. А. Г. Шанидзе после смерти И. А. Кипшидзе (в 1919 г.). Это второе издание 1928 г. считается выполненным под ред. И. А. Кипшидзе и А. Г. Шанидзе. В третьем издании (в 1949 г.) доц. С. Г. Иорданишвили воспроизводит без изменений рукопись, переписанную братом Саба-Сулхана, монахом Зосимэ в 1725 г. в Москве. Ныне проф. И. В. Абуладзе – директором Института рукописей АН ГрузССР – подготовлено новое критическое издание словаря, приуроченное к трехсотлетию со дня рождения Саба-Сулхана Орбелиани, отмечавшемуся в октябре 1959 г. Ниже дается краткая характеристика словаря как лексикографического труда. Мы останавливаемся лишь на определенных моментах, **п р и н ц и п и а л ь н о в а ж н ы х с точки зрения лексикографической.**

1. В словаре Саба-Сулхана даются все части речи: существительные, прилагательные, числительные, местоимения, глаголы, наречия, союзы, междометия, частицы, а также отдельные форманты (префиксы, суффиксы).

Существительные представлены в им. падеже ед. числа без указания каких-либо дополнительных форм (например, род. падежа, как то принято в нашем толковом словаре).

В качестве лексической формы глагола выступает, как правило, масдар (отглагольное имя действия): *ašeneba* «(по)строение», *ķerva* «шитье» и т. д.

Грузинский глагол, обладающий рядом своеобразных категорий (как версия, каузатив и др.), инфинитива не имеет. В древнегрузинском языке формирование инфинитива намечалось, но в новогрузинском этот процесс не

---

<sup>1</sup> Сокращенное изложение доклада на пленуме Словарной комиссии АН СССР в Ленинграде 26 июня 1959 г.

получил развития. В качестве лексической формы глагола масдар используется постольку, поскольку отглагольным именем действия обозначается отвлеченное от конкретных глагольных категорий действия или состояния. Но масдар не различает ни категорий версии, ни залога (например, отглагольное имя *строение*, *стройка* не различает залогов, инфинитив же различает: *строить*, *строиться*...). Кроме того, масдар в грузинском языке не образуется от ряда глаголов – статических, а также динамических.

Ясно, что использование масдара как лексической формы глагола связано с существенным неудобством: масдар, будучи лишь отглагольным именем действия, не полностью отражал бы лексические возможности глагола даже в русском языке; тем более это касается грузинского языка. В этой связи принципиально важной представляется попытка Саба-Сулхана признать личную форму глагола в качестве лексической единицы. В специальной литературе<sup>2</sup> указано, что преимущество при этом отдавалось 3-му лицу прошедшего основного (претерита) совершенного вида. Следует отметить, что в словарях арабского языка именно личная форма (3-е лицо прошедшего времени) выступает в роли лексической формы глагола (*fa'ala* «сделал», *kataba* «написал», *daraba* «ударил»). Арабский глагол при отсутствии инфинитива ориентируется на конкретную форму глагола.

По-видимому, Саба-Сулхан включал личную форму глагола в словарь не без влияния лексикографической практики латинского и греческого языков<sup>3</sup>, где личная форма настоящего времени и перфекта дается наряду с инфинитивом (*scribo*, *scripsi*, *scriptum*, *scribere*). Во всяком случае сам автор говорит, что с латинским и греческим словарями он познакомился в бытность в Европе; с другой стороны, личные формы глагола появляются в том варианте словаря, который был закончен в 1716 г., после поездки автора в Италию и Францию. Брат лексикографа монах Зосимэ впоследствии включил в словарь, как это установлено в специальной литературе<sup>4</sup>, без разбора личные формы разного рода: субъектного строя, объектного строя, настоящего времени, прошедшего времени, причем лишь отдельных глаголов, также случайно взятых.

Попытка Саба-Сулхана использовать личную форму глагола в качестве лексической формы – при всех несовершенствах этой попытки – представляется принципиально важной, особенно с учетом тех трудностей, которые порождаются отсутствием инфинитива и неудобствами масдара в качестве глагольной лексической единицы.

2. Порядок размещения слов в словаре Саба-Сулхана алфавитный. Вообще алфавитный порядок не может быть обойден им при расположении слов по гнездам: гнезда следуют алфавитному порядку, да и слова внутри гнезда также даются в алфавитной последовательности. Алфавитный порядок у Саба-Сулхана совмещается с использованием гнездового принципа в

<sup>2</sup> См. Л. К у т а т е л а д з е, Редакция словаря С.-С. Орбелиани, Тбилиси, 1957 (на груз. яз.).

<sup>3</sup> Это отмечается С. Г. Иорданишвили в «Предисловии» к 3-му изданию словаря (стр. IX).

<sup>4</sup> См. Л. К у т а т е л а д з е, указ. соч., стр. 87, 93 и др.; см. также «Предисловие» А. Шанидзе ко 2-му изданию словаря.

определенных случаях. Однако гнезда эти объединены не общей основой, а по предметному принципу. Так, например, в гнезде *qaci* «человек» находим слова: *matasi* «мужчина», *diasi* «женщина», *coli* жена», *kmari* «муж», *swili* «сын», «потомок», *ze* «сын», *asuli* «дочь», *vazi* «парень», *kali* «женщина», «девушка», *čwili* «младенец», *čabuqi* «юноша», *mataberi* «старик», *dedaberi* «старуха», *mixrcnili* «престарелый», «глубокий старик», *mqsovani* «убеленный сединой» и т. д.

Как видим, гнездо включает слова, обозначающие человека (мужчину и женщину) различного возраста; тут встречаются слова, с начальным *m, d, š, ž, a, v, k, č, ċ...*, но нет ни одного слова с начальным *q*, представленным в основном слове: ничего общего с основой *qaci* слова, сходящие в гнездо, не имеют. Гнездо создано не по принципу словопроизводства, а по предметно-логическому признаку.

Таких предметных гнезд в словаре Саба-Сулхана насчитывается более ста. Среди них попадаются гнезда с исходными существительными – как конкретными (*bade* «сеть», *dana* «нож», *zroxa* «крупный рогатый скот», *txa* «коза», *sxeni* «лошадь», *sxovari* «овца», *zayli* «собака», *žogi* «стадо», *skore* «испражнения», «помёт», *žavšani* «доспехи» и др.), так и абстрактными (*sicive* «холод», *sicxe* «жара», *mčuxareba* «печаль» и др.) и прилагательными (*mžave* «кислый», *ruxi* «бурый», *lamazi* «красивый», *čkari* «скорый» и т. д.).

Многие гнезда представляют культурно-исторический интерес; см., например: *čukeba* «дарить», причем различаются: *zweni* – подарок равного равному или же родственнику..., а также нижестоящего вышестоящему; *bozi* – подарок владельца крепостному, дар сюзерена вассалу; *niči* – подарок вышестоящего в общественной иерархии нижестоящему и т. д.

Любопытна психологическая интерпретация различных видов смеха (улыбка, громкий смех, хохот, фырканье...), плача и т. д., даваемая Саба-Сулханом: *ymili* «улыбка», *sicili* «смех», *qašqasi* «смех громкий и приятный», *qaskasi* «смех громкий тонкогласый», *raxraxi* «громкий и некрасивый смех», *ymcili* «смех неприличный», *pruštuni* «фырканье» («если кто-нибудь, не желая смеяться по поводу смешного, прыснет и тут же умолкнет»).

Объединение слов в гнезда по предметному принципу наталкивается на трудности: то в языке недостает слова, обозначающего родовое понятие, то в предметную характеристику вклиниваются синонимы (и по смысловому признаку их разграничить не удается); например, *kravi*, *bačqani* и др.-груз. *tarigi* обозначают «ягненок».

В ряде случаев, группируя понятия, словарь Саба-Сулхана сближается по характеру с энциклопедическим словарем.

3. Толкование слов в словаре дано сжато и ограничивается подчеркиванием существенного момента: логической дефиниции понятий (с ссылкой на *genus proximum* и *differentia specifica*) у Саба-Сулхана не находим. Примеры толкований: *brzaneba* «приказ» – указанное (сказанное) вышестоящим [лицом]; *gwirgwini* «венец» – царский головной убор; *toxariqi* «иноходец» – лошадь с хорошим аллюром; *budešuri* (сорт винограда) – виноград с удлиненными зернами; *zulveba* «ненавидеть» – считать отвратительным; *šuri* «зависть», «завидовать» – кручиниться о благе другого, т. е. по поводу того, что другому хорошо...

Если слово многозначно, Саба-Сулхан не нумерует значения, а указав основное, повторяет слово при каждом новом значении: *bude* «гнездо» – буквально «птичий дом»; *bude* – называется гнездо, в котором сидит желудь; *bude* – называется глазная впадина; *bude* – называется углубление, куда вставляются драгоценные камни; *bude* – называются ножны меча...

Толкование слов не снабжено документацией: выражений, иллюстрирующих употребление слова или его значение, Саба-Сулхан не дает. В специальной литературе утановлено, что для «трудных слов» Саба-Сулхан подбирал документации их текстов, но, по истолковании слов, эти документации вычеркивал. Таким образом, они предназначались для автора, а не для читателя. Документации оставались в словаре только в тех случаях, когда значение слова не было установлено; тогда кроме слова дается фраза из текста, где слово засвидетельствовано. Отсюда ясно, сколь важное значение придавал Саба-Сулхан документированию для определения смысла слова.

Общеизвестные слова (человек, тело, овца, скот, плач, кривой и т. п.), обозначающие родовые понятия и служащие основным словом для целого гнезда, даются часто без пояснений. Приведя слово для родового понятия, Саба-Сулхан переходит к перечислению видовых понятий и их истолкованию.

Названия растений, животных, птиц, как правило, даны без истолкования и без указания соответствий на другом языке, например, латинском (в словаре они обозначены условными знаками). Это тем более достойно сожаления, что в словаре приводится много названий животных, птиц, растений из живой речи и точное значение их не всегда легко установить.

Часто словарь указывает на происхождение слова: *tikçora* «бурдюк» – слово армянское, по-грузински называется *txieraqi*; *parča* «кусок» – турецкое слово, обозначает кусок (материи); *purne* – латинское слово, по-грузински называется *yumeli* «печь»...

4. Труд Саба-Сулхана является словарем грузинского языка. Но следует уточнить, о каком языке идет речь: о древнегрузинском (т. е. языке памятников V-XI вв.) или о новогрузинском, формирование которого начинается уже в XII в. (язык Руставели, также одописцев), а к XVIII в. определяется как законченная система лексико-грамматических норм.

Словарь Саба-Сулхана составлен прежде всего с учетом лексики древнегрузинских памятников (ветхозаветных и новозаветных книг), далее – богословской и философской переводной литературы X-XI вв. При этом охват словарем лексики древнегрузинского языка произведен с такой полнотой, что в древнегрузинских рукописях и теперь выявляется очень мало слов, которые нельзя было бы найти в словаре Саба-Сулхана. Но лексикограф этим не ограничивается: им учтена и лексика Руставели, на что указывают ссылки на места из «Витязя в тигровой шкуре». Мало того, в словарь включено много слов, взятых из живой речи и обозначающих предметы домашнего обихода, материальной культуры, быта XVII – начала XVIII в.; среди них попадаются и слова, которые в письменном языке не употребительны.

Лексика, взятая из устной речи, в значительной части представляет исключительный лингвистический интерес. Диалектологическая проверка подтверждает наличие соответствующих слов в том или ином диалекте; тем

самым устанавливается потенциальная реальность и того лексического материала, который пока еще не обнаружен проверкой на местах. Лексика эта в ряде случаев дает возможность вскрыть древнейшие схождения в иберийско-кавказских языках там, где теперь, казалось бы, нет ничего общего. К примеру, авар. *çæ* «коза» (мн. число *çæa-ni*) и груз. *txa* – основы, не сводимые друг к другу, но в словаре Саба-Сулхана находим *çali* «козленок до одного года»; основа та же, что и в аварском *çæ*, но сохранилась эта общая основа с отклонением в значении. Современный литературный грузинский язык и его опорные диалекты не знают приведенного слова *çali*. Оно сохранилось лишь в некоторых восточногрузинских горских диалектах. Словарь Саба-Сулхана зафиксировал его 250 лет назад. И таких примеров много. Отсюда – исключительная важность этого словаря для истории грузинского языка, а также для иберийско-кавказского языкознания. Таким образом, рассматриваемый словарь следует считать с л о в а р е м г р у з и н с к о г о я з ы к а вообще, а не словарем лишь письменного языка.

Случаен ли такой широкий охват лексического материала? Оказывается, нет. Из слов самого автора следует, что лексика устной, нелитературной речи включалась им в словарь п л а н о м е р н о. Саба-Сулхан пишет: «В этой книге имеются слова хорошие и плохие, достойные похвалы и заслуживающие порицания, важные и никчемные. Не для брани (ругани) и не для посмеяния они мною описаны, но для полноты языка я их описал. Если ненужное (никчемное) слово будет изъято (вычеркнуто) [из словаря], затем менее важное исключится [из состава более ценных слов] и [напоследок] лишь один "бог" останется в качестве лучшего слова, и обеднеет язык грузинский» (из приложенного к словарю завещания Саба-Сулхана).

Итак, «плохие» слова как факты языка должны быть представлены в словаре; отбирая лишь хорошие слова, обедним язык, – такова точка зрения Саба-Сулхана Орбелиани – точка зрения научно ценная, лингвистически бесспорная, но совершенно неожиданная для начала XVIII в. и тем более для автора-монаха, по широте кругозора далеко опередившего свой век.

Академический словарь французского языка, вышедший в 1694 г., будучи, как известно, строго нормативным, по своим установкам отнюдь не проявлял такой терпимости к лексическому материалу. «Букет слов» Саба-Сулхана Орбелиани, представляя собою словарь грузинского языка в целом, является подлинной сокровищницей грузинского языка и ценнейшим памятником духовной культуры грузинского народа.

## ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ

ამ მოხსენების მიზანია გასცეს პასუხი კითხვაზე: რა **თეორიულმა** საენათმეცნიერო კონცეფციებმა პოვეს გამოხატულება ენის შესახებ **კამათ-ში ძველს თაობასა და ილია ჭავჭავაძეს** შორის და რა ადგილი უჭირავს ამ კონცეფციებს ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

მაგრამ სანამდის კამათის ანალიზს შევუდგებოდეთ, ორიოდ შენიშვნა **კამათის საგნის** შესახებ. ისტორიული პერსპექტივის დაცვა არაფერს ისე არ სჭირდება, როგორც წარსული კულტურულ-ისტორიული პრობლემების სწორად გაგებას.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა მიღებულია ძველი ქართულის გადამუშავების შედეგად ქართლ-კახეთის ცოცხალი მეტყველების საფუძველზე. ეს რთული პროცესი არსებითად უკვე დამთავრებული იყო XVII საუკუნის დამლევისათვის<sup>1</sup>. სამეფო კანცელარია და სასამართლო, ისტორიული თხზულებანი, მხატვრული ლიტერატურა ამ ენის სარბიელს წარმოადგენდა. მეთვრამეტე საუკუნის დიდი მწერლის დავით გურამიშვილის ენა (მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა-ფრაზეოლოგიაც კი!) ახალი სალიტერატურო ქართულის ნიმუშს წარმოადგენს. მისი ორთოგრაფია უფრო მარტივიცაა, ვინემ მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლების ახალი ქართულისა: არც ერთი ზედმეტი ასო (ჟ, ჳ, ი, ჴ, ჵ) მასთან არ გვხვდება. მართალია, არის ჴ, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საამისო ბგერა იმ დროის ცოცხალ მეტყველებას გააჩნდა...

ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმალურ განვითარებას გზა გადაუღობა ანტონ კათალიკოზმა და მისმა სკოლამ; ეს სკოლა განაგებდა სალიტერატურო ქართულის ბედს მთელი საუკუნის მანძილზე — მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდის. სამი სტილის თეორიამ<sup>2</sup>, **მეცნიერებისა** და **ლიტერატურის** სა-

---

<sup>1</sup> ამ დებულების დასაბუთება აქ შეუძლებელია; ეს მოცემული იქნება ნარკვევში „ახალი ქართულის გენეზისისათვის“.

<sup>2</sup> ამ თეორიის თანახმად, როგორც ცნობილია, ენა უნდა ყოფილიყო განსხვავებული იმისდა მიხედვით, თუ რაგვარ საგანზე გვექნებოდა მსჯელობა: „მაღალმატერიებზე“ — „მაღალი სტილით“ უნდა გველაპარაკა, უფრო ორდინარულ მოვლენებს საშუალო ენა („სტილი“) შეეფერებოდა, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის „მაღალი სტილი“ იყო განკუთვნილი.

სამი სტილის თეორია ჯერ კიდევ ძველმა რომმა იცოდა; გასავალი ჰქონდა მას საშუალო საუკუნეებში და შემდეგ — უფრო მეტად — აღორძინების ხანაში. რუსეთში

რბიელიდან განდევნა ენა „დავითიანისა“, საბასი, პაპუნა ორბელიანისა. ამ დარგებში დამკვიდრდა ენა ღვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფი-ალე, მიმღობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი, — ძველი ქართულის თავისებური სუროგატი. ლიტერატურისა და მეცნიერების ენას ანტონის სკოლამ მიატოვებინა ხალხური მეტყველების მიწაზე სიარული და სქოლასტიკური რიტორობის ოჩოფეხაზე შეაყენა.

არ იყო ეს ადვილი საქმე. არიან ისეთნი — ამბობს ანტონი — რომელნიც **„სძულობენ და სიმწარით გარემიექცევიან ბრწყინვალებას ფრასისასა**, რეცა რიტორებისა მაქებელნი და მეტყველნი: უმჯობეს არს წერილთა შინა, რათა იყვნენმცა ესე ვითარნი სისტემანი ლექსთა და ჰაზრთანი, რომელნი **დიდითა შრომითა გულისხმა** იყოფებიანო“... არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო ანტონის ავტორიტეტი, რომ „ფრასის ბრწყინვალების სიმწარეს“ შერიგებოდნენ იმ ხანების მწიგნობარნი. ანტონის ავტორიტეტის ძალა ნათლად იგრძნობა ერთი საუკუნის შემდეგაც ილია ჭავჭავაძის სიტყვებში: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ მე არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა“... („ბასუხი“, — ილიას „კრიტიკულ წერილებში“, წ. კ. გ. საზ. გამოცემა 1909 წ., ტფილისი, გვ. 62).

ამას ამბობდა ანტონის სისტემის უარყოფელი, ანტონის სკოლის დაუნდობელი მოწინააღმდეგე. რალა ითქმის თანამოაზრეთა ანდა ნეიტრალური წრეების შესახებ!

შეწყდა თუ არა ახალი ქართულის ისტორია ანტონის სკოლის ზეგავლენით? არა. ახალ ქართულს მაშინ **წაართვეს ლიტერატურა და მეცნიერება, მაგრამ მას დარჩა „დაბალ მატერიათა“ სამყარო**; პრაქტიკული ყოველდღიური საქმიანობის სამწერლო ენად იგი კვლავ იხმარება: ახალი ენა აღარ არის **სალიტერატურო**, მაგრამ **სამწერლოდ** მაინც რჩება **„განაპირა უბნებში“**, — მესამე სტილის საჭიროებისათვის.

აი განჩინების წიგნი, ახალი ქართულით „შესრულებული“:

1801, აპრილის 29. ქ. ციხისთვისშვილის იოსების ეზოში ღორი გაერეკა ამისი სახლის კაცის შერმაზანის მეღორეს, ამ იოსების შვილს გამოერეკა, ამ შერმაზანს გაელახა ის ყმაწვილი. ეს იოსები შინ არ ყოფილიყო. როდესაც მოსულიყო და შეეტყო, თავის

---

მას დიდი პატივი მოუპოვა ლომონოსოვმა; მისი „განსჯა საეკლესიო წიგნების სარგებლობისათვის“ პირველად 1757 წ. გამოქვეყნდა.

ანტონ კათალიკოზი 1762 წ. დაბრუნდა რუსეთიდან, სადაც ის ხუთი წლის განმავლობაში ვლადიმერის ეპარქიას მღვდელმთავრობდა.

ლომონოსოვის გავლენა ანტონ კათალიკოზზე **სამი სტილის საკითხში** უდაოა, თუმცა ამის გარეშეც, ადრევე, მისთვის მისაბამ ნიმუშს წარმოადგენდა იოანე პეტრიწის რთული და მძიმე მეტყველება, დაწვრილებით — ცალკე.

სახლის კარზედ გამოსულიყო და ლანძღვა დაეწყო, რათ მომიკლეს შვილიო. მასუკან ის შერმაზან თავის ვენახში ყოფილიყო, გადმომხტარიყო და მისულიყო იოსებთან თავის სახლის კარზედ. ქვემოდამ შვილი გაქცეულიყო და მიხდომოდენ და ორთავ მამა-შვილთ გაელახათ თავის კარზედ. მოვიდა, იჩივლა იოსებმა, ისიც მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და ასე ყოფილიყო ამათი შფოთი. მეც ეს სამართალი მივეც საქართველოს სამართლის ძალით: შინ მიხდომისათვის მთელი სისხლი გაუჩნდა, მაგრამ ზოგი ლანძღვაში ჩაუტარეთ, ზოგი სამართალმა იპატა (sic!) და თექვსმეტი თუმანი კი დაედო რადგან აზნაურშვილები არიან. ეს თექვსმეტი თუმანი ორი წილი ვეჭი უნდა მისცეს და მესამედი თეთრი შერმაზანმა ამ იოსებს, აპრილის კთ ქკს შპთ. მდივანბევი სვიმონ. (იხ. „საქ. სიძველენი“, ტ. I, გვ. 199).

ამ განჩინების ენა ხალხურზე ხალხურია, სანიმუშოა თავისი სისადავით — არა მხოლოდ სასამართლოს კანცელარიისათვის, — მასთან სავეტებით გამართული წიგნის ენაა: არც ერთი მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა (ახალი ქართულის ნორმათა თვალსაზრისით)! ეკუთვნის ეს განჩინება 1801 წ., როცა ანტონის სკოლა მძვინვარებდა. ასეთივე სადავით წერს თვით კათალიკოზის კანცელარიაც:

1797, თებერვლის 18. ქ. ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე ანტონი, გიბრძანებ არხიმანდრიტო ხოფისაგ დოსითეოს! მერმე ეგ ხოფის საარხიმანდრიტო ხომ ჩვენი სამწყსო არის, რომელზედაც რომ არხიმანდრიტად ჩვენ გაკურთხედ (sic!) შენ და დაგადგინეთ და იმისი ყმა და მამული ყოველივე შენ გარწმუნეთ და მოგეცით. ახლავ შენ მასალა უნდა იშოვნო და ან, რაც ეკლესიას კურთხევაში ესაჭიროება, ისინიც, და ეგ ხოფის ეკლესია უნდა განაახლო. შენთვის ნება მოგვიცია და ჩვენის შენდობით აკურთხე. და ან რაც ეკლესიას ეჭირება, წიგნით თუ შესამოსლით, ყოველითავე უნდა სისრულე მისცე და კარგათ მოუარო და გაუძღვე მაგ ეკლესიას. და შენსას და მაგ ეკლესიის საქმეს, რაც გეჭირვებოდესთ, ყოველსავე ჩვენ უნდა მოგვახსენებდე დაუყოვნებლად, და ყველას ჩვენ განვმართავთ კარგათ და სისრულეს მივცემთ, ეს ჩვენი ბრძანებული ასრე უნდა აღასრულო ყოველივე. ფებერვალს **იზ**, წელსა **ჩღუზ**. **კათოლიკოზი ანტონი**<sup>3</sup> („საქართველენი“, II, გვ. 465).

მართლწერა ორივესი — სადაა, ზედმეტი ასოები არ იხმარება. კათალიკოზის კანცელარია გარკვეულ შემთხვევაში მარტივად მეტყველებს, მაგრამ ერისკაცი ყოველგვარ ეკლესიურ „მაღალ შტილს“ გადააჭარბებს,

<sup>3</sup> ესაა: ანტონი II.



თუ „საგანი ამას მოითხოვს“; აი სამძიმრის წერილი ფარნაოზ ბატონიშვილისა გიორგი ქსნის ერისთავის გარდაცვალების გამო:

„არა ვუწყი, თუ ვისდა შევასწორო ჟამი ესე გოდებისა და მწუხარებისა, ანუ რაბამი ხმა გლოვისა აღმოუტეო და ანუ ვითარ ვცრემლოდღე დაკვეთებულისა ამისა საქმისათვის. გონებად მოვიღებ დღეს ჟამს მას საგოდებელსა და საბავთოსა განსვენებულისა მამისა შენისა აღსასრულისა, რომელი სწორ იყო მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულისა, და რამეთუ ჩემდა ვგრეთ საწუხებელ და საგლოველ არს, ჟამი ესე არა არს ნამდვილ ნაკლულევან მწუხარება ჩემდა, ვითა დღე იგი, ოდეს უბედურ ვიქმენ სანატრელისა მშობელისა მამისა ჩემის აღსასრულითა. ვისა შევასწორო ესე არა თუ მისსა, სადაჲთ მოვიდნენ ცრემლნი საგოდებელნი, არავინ არს ნუგეშის მცემელ ჩემდა და უმეტეს ადგილისა ამის ძლით, ვითარ შევრაცხო, რომელ არდა იყოს ტკბილ მოუბარი ენა დედისა ჩემისა მზგავსისა, ვითარ დავსდვა ორითავე კერძოდთ ობლობა ბრწყინვალეებისა თქვენისა? ნეტარ თუმცა ვიყო მახლობელ თქვენდა, რათა არა წერილით, არამედ ცხოველითა ხმითა განვაცხადო შინაგან მდებარე მწუხარება ჩემი“<sup>4</sup> („საქართვ. სიძველენი“, ტ. I, გვ. 224).

საკმაოდ ხელოვნურად ბგერს მეორე ბატონიშვილის თეიმურაზის ქართულიც, როცა ის საქართველოს ისტორიის შესახებ მოგვითხრობს:

„შემდგომად დიდისა მის მეფისა თამარისა შოთა რუსთაველი, რომელიც იყო მთავარი რუსთავის ქალაქისა და თამარ მეფის მეჭურჭლეთ-უხუცესი, იყო იგი კაცი განსწავლული და ყოვლითა კეთილ-ზნეობითა, სრული ფილოსოფოსი და უსწორო პიიტიკოსი...

ესე უკუწ რუსთაველი შოთა მოხუცებულობისა თვისისა ჟამსა მისრულ არს წმინდასა ქალაქსა იერუსალიმს, ჯვარის მონასტერსა შინა ქართველთასა დაუსადგურებია... და თვითცა ვიდრე გარდაცვალებამდე თვისსა ყოფილარს და მუნვე ჯვარის მონასტერსა შინა დაფლულ არს, სადაცა სახეცა მისი არს მუნვე კედელსა ზედა დახატული და ჰგიეს ვიდრე მოდღეინდელად დღემდე“<sup>5</sup> (იხ. „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ე. ი. გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველო“, სპბ, 1844 წ., გვ. 284, 285; ძველი დაწერილია 1843 წ.)

ეს არ არის პირველი რანგის ენა „მაღალი შტილი“, მაგრამ მისი

<sup>4</sup> საინტერესოა, რომ ზედმეტი ასოები აქაც არ არის ნახმარი.

<sup>5</sup> შდრ. მეთვრამეტე საუკუნის ისტორიული თხრობის ენა: „გამოვიდა რუსის ელჩი ყაენთან მოსასვლელად. მოუვიდა ბრძანება კახ-ბატონს მეფეს ერეკლეს: „ქართლისა და კახეთიდან ათასი კაცი აარჩივე და წინ მიეგებეო“. შექმნეს მზადება ქართველთა და კახთა, წაბრძანდა მეფე ერეკლე ათასი კაცით რუსის ელჩის წინ მისაგებებლად. ქართველი ბატონიც თან გაყვა ყაზახანდის და იქიდან დაბრუნდა...“

განსხვავება ბუნებრივი, სადა ახალი ქართულისაგან ცხადია.

ეს ბუნებრივი ახალი ქართული „ცისკრის“ პირველ ნომრებშივე შეგხვდებათ, როცა **მსჯელობის საგანი** ამის ნებას იძლევა. ამ ერთ არის, მაგ., დაწერილი „სოფლიური სახლის პატრონობა“, რომელიც სხვადასხვა სამეურნეო საკითხის შესახებ დარიგებას იძლევა და გაჰყვება მთელ რიგ ნომრებს.

„ცისკრის“ №2 1852 წ., მაგალითად, ღვინის გაკეთების შესახებ ვკითხულობთ:

„ღვინოს ქვევრმა თუ რომ ცუდი სუნი მისცეს, უკეთესი არა იქნება რა ნახშირისა. დანაყეთ ნახშირი თხილისა ანუ სხვა ხისაც წმინდად, შეკერეთ პარკი ტილოსი, რომ ბოლო წვრილი ძაბრივით იყოს, ჩაყარეთ პარკში ნახევრობამდისინ ნახშირი, დაასხით წყალი ამდენი, მაგრამ (მანამ?) წმინდა წყალი არ გამოვიდეს ბოლოდან; როცა წყალი წმინდა გამოვიდეს, მერე ღვინო დაასხით. რაც უნდა ცუდი სუნი ჰქონდეს, ნახშირი გამოიტანს. ეს თვითონ მე ვცადე... აგრეთვე დაობებულ ქვევრში ჩასხმულ ღვინოს, რომელიც სრულეზით არ დაილეოდა, ნახშირით გამოუვიდა გემო. ეს თითონ მე ვცადე. თეთრ ღვინოს ეძლევა საუცხოვო ყვითელი და წმინდა ფერი, ძალას კი ართმევს ცოტას“...

არც მართლწერაა ანტონისეული, არც სტილი. არც არავის აწუხებს ეს. **ნორმალურია ასე იყოს და იმიტომ!** ამასთან დაკავშირებით თავისებური გაშუქება ეძლევა იმ ფაქტს, რომ გიორგი ერისთავის კომედიები სადა ქართულით იწერებოდა. 1862 წელს „ცისკარში“ — მარტის ნომერში — მოთავსებულია მოლიერის კომედია „ცოლის შერთვევინება“, დიმიტრი ყიფიანის თარგმანი. 1860 წლის სექტემბრის ნომერში კომედია-ვოდვეილი „ცოლები დავკარგეთ!“, გადმოკეთებული ივ. კერესელიძის მიერ. ამ თარგმანთა ენა ისეთივეა, როგორც გ. ერისთავის კომედიებში.

ეს გასაგებიცაა, თუ მოვიგონებთ, რა აზრისა იყვნენ სამი სტილის თეორეტიკოსები კომედიის ენის შესახებ; ლომონოსოვი, მაგალ., პირდაპირ ამბობდა: „დაბალი შტილი“ მხოლოდ წმინდა რუსულ სიტყვებს ხმარობს (და არა საეკლესიო ლექსიკას); **დაბალი შტილით იწერება: კომედიები, ეპიგრამები, სიმღერები; პროზაში — მეგობრული წერილები და ჩვეულებრივი საქმეების აღწერილობა**“ (მოგვყავს ი. გროტის მიხედვით; იხ. მისი: "Филологические разыскания". СПб 1873, გვ. 5, 89).

**ამიტომ კომედიებში ახალი ენის შემოღება კიდევ არ ნიშნავს სალიტერატურო ქართულისათვის ამ ენის ხმარებას.**

ზემოთქმულის მიხედვით უნდა დავასკვნათ: მესამოცე წლებში გა-

ჩაღებული ბრძოლა ახალი ქართულისათვის **ობიექტურად**<sup>6</sup> იყო ბრძოლა არა **ახალი ენის შექმნისათვის, არამედ შექმნილისა და უკვე არსებული გამოყენებისათვის ლიტერატურაში**; ეს იყო **ბრძოლა ახალი ქართულის უფლებისათვის**. ისტორიულ ასპექტში — ბრძოლა (სამი სტილის თეორიის წყალობით) დაკარგული უფლებების აღდგენისათვის.

ვის როგორ ესმოდა ეს უფლება?

მესამოცე წლებში ანტონის სკოლის მიმდევართა შორის ენის საკითხში რევიზიონისტულმა მიდრეკილებამ იჩინა თავი: ანტონის ოჩოფეხათი სიარული შეუძლებელი იყო, სამგვარი ენის გამოყენება რთული და საძნელო. ეს ცხადად ჩანს **ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის** წერილში: „ქართული უბნობა ანუ წერა“ („ცისკარი“, 1860, ტ. II, მაისი).

„ცისკარში“ ერთნაირი წერა უნდა იყოს, ამბობს ავტორი. სახელდობრ როგორი? წერა სამგვარია: ეკლესიური, დარბაისლური და გლეხკაცური. აქედან ერთ-ერთი უნდა ამოვარჩიოთ, იმაზე შემოვიღოთ წერა და ლაპარაკი... ეკლესიური ძნელია, მას ვერ შემოვიღებთ. „მე საშუალებას ამოვარჩევ, დარბაისელთ ენას“... ამ ენაზე უწერიათ „უწინდელი საერო წიგნები“: რუსუდანიანი, ვისრამიანი, დავრიმიანი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი... ვეფხვს-ტყაოსანი“...

**„ჩუჭნი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიტყვ, ერთგვარი უნდა იყოს: რა გუარად ილაპარაკონ, ისე დაიწეროს და რა გუარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ**. ამისთვის ჩუჭნი საშუალო ანუ დარბაისელთ ენა, ასეთი უნაკლებო ენა არის რომ, დიად ადვილად შეიძლება რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც და კარგათაც გამოვა ყოველი ქართული სიტყვერება“ (გვ. 97, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ნუ იქნება სიჭრელე „ცისკარში“. **არა სამი სტილი, სამი წიგნური ენა, არამედ — ერთი**; იმ ენით ვილაპარაკოთ, იმ ენით ვწეროთ. **ამ ენად დარბაისლური ენა იყოს**; მისი გრამატიკა, ესთხოვოთ, ბაქარ ქართლელს, რომ შეგვიდგინოსო“...

ბაქარ ქართლელი (დიმ. ბაქრაძე) გამოეხმაურა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ამ წერილს, სავსებით გაიზიარა ერთი ენის საჭიროება, ოღონდ შენიშნა: „ვეფხვის-ტყაოსნის“ ენას ვერ დავუბრუნდებით, ეს ისტორიის კუთვნილებაა. ისევე, როგორც ბერძნები არ უბრუნდებიან ჰომიროსის ენას... ჩვენ საშუალო ენა უნდა დავაკანონოთ („უკეთესი საზოგადოების ენა“, როგორც ის ამბობს<sup>7</sup>. „ცისკარი“, 1860, II, მაისი, გვ. 329). როგორც

<sup>6</sup> თვით ამ ბრძოლის ზოგ მონაწილეს საქმის ვითარება სხვა რიგად ესმოდა.

<sup>7</sup> ამ წერილში დიმ. ბაქრაძე აყენებს, სხვათა შორის, საინტერესო დებულებას ენისა და გრამატიკის ურთიერთობის შესახებ (მას მხედველობაში აქვს ანტონის **ნორმატიული გრამატიკა**): გრამატიკა ისევე ვერ გვასწავლის ენას, როგორც ლოგიკა — აზროვნებასაო; ენის შესასწავლად „ორი წყარო“ გვაქვს: „ცხოველი საზოგადო თუ

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის, ისე დიმიტრი ბაქრაძისათვის უდაოა, რომ გლუხკაცის ენა არ გამოდგება სალიტერატურო ენად:

„ჩუწს საშუალს ქართულს ენას, როგორც გნებავთ ისე მიმოხრით, ისე მიმოაქცევთ და გამოთქმას ხომ, ისე ლბილად გაიგონებს ყური, მეტი საამო იყოს სმენისათჳს, მაშინ როდესაც რომ გლუხკაცების ენაზედ ეს არ შეიძლება. მართალია გლუხკაცების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადული გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რომ ვერ გამოვარვიანად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშუშებული ენა არის გლუხკაცის ლაპარაკი“ — ასე მსჯელობს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

კიდევ უფრო კატეგორიულია დიმ. ბაქრაძის დებულება: „დაბალი ანუ გლუხური ენა სათქმელი არ არის. გლუხების საუბარი ვერ შეიძლება მაღალთა საგანთა გამოხატუსა შუამავლობასა“ („ცისკარი“, 1860, ტ. II, 329).

იშვიათად თუ გამოვლინებულა ოდესმე აშკარად კლასობრივი თვალსაზრისი სალიტერატურო ენის პოლიტიკისა და, კერძოდ, სტილის საკითხებში: **„სალიტერატურო ენად უკეთესი საზოგადოების ენა უნდა იყოს — გლუხური ენა სათქმელი არ არისო“**. ტყუილად კი არ ამბობს ამ სიტყვების ავტორი: „როგორათაჳც ერთი და იგივე ნათესაობა (ე. ი. ხალხი — ა. ჩ.) იყოფა ტომებათა, აგრეთვე იყოფა ენაცა, თუ ერთი და იგივე ტომი განწილდება მაღალსა და დაბალს კლასებათა, აგრეთვე მისი საუბარი განწილდება მეტათ თუ ნაკლებათ!“ (იხ. დ. ბაქრაძის ხსენებული წერილი, იქვე, გვ. 320).

მაგრამ ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი და დიმ. ბაქრაძე ანტონის მიმართ მაინც იყვნენ რევიზიონისტულად განწყობილნი. მოიპოებოდნენ ანტონის

დარბაისლური ენა“ და „ყურადღებით კითხვა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცვენ უკეთესს საზოგადო საუბარსა“.

ავტორის რევიზიონისტული განწყობილებისათვის დამახასიათებელია მისი მსჯელობა:

„გრამმატიკა შამოვიდა ჩუწსში პირუწლად მეთვრამეტე საუკუნეში და პირველ გრამმატიკოსად აღმოგუჩნდა **ანტონი პირველი განბრწყინებული მაღალის ნიჭითა და დიდი მასურალი; მისი მეცადინეობით სხოლასტიკის გავლენას გაეხსნა გზა საქართუწლოსა**. ეს იყო იმ დროს, ოდესაც თუთ ევროპაში იგრძნეს სხოლასტიკის უსარგებლობა. შემდეგ ანტონისა გრამმატიკები დაგვწერეს უფალთა — დოდაევმა, იოსელიანმა და ჩუბინოვმა. თუთ **იმათი კანონები არ არიან ქართულს ენის თჳსებაზედ დამყარებულნი**. არ შეგვიძლია არ ვსთქუათ, რომ ამ მასურალთ **ამაო შრომა დაუდვათ**, თუ ვიფიქრებთ, რომ იმათ კანონებს **არვინ კითხულობს** გარდა ახალ მოსწავლეთა ყრმათა, რომელთაც იძულებით აკითხებენ და რომელნიც მეორესავე დღეს ივიწყებენ მსგავსად რომელთამე ფრთოვანთა!“ („ცისკარი“, 1860 წ., ტ. II, გვ. 327, მაისი).

ამ სტრიქონების დამწერიც ცნობს სამი სტილის თეორიას: „თქუნენ (ე. ი. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი — ა. ჩ.) ჰყოფთ უპირატესს ქართულს ენასა სამ ნაწილად: საღმრთო წერილად ანუ საეკლესიურად, მდაბიურად ანუ დარბაისელთ უზნობად და გლუხ-კაცების ენად. ეს ჰუმარიტებაა“ (იქვე, 323).

ორტოდოქსალური მიმდევრებიც. ეს ნათელი გახდა ილია ჭავჭავაძის „კრიტიკული წერილის“ („შეშლილის“ თარგმანის გარჩევა) და „პასუხის“ შემდეგ:

„ოჰ ღმერთო! რა მესმის! ქართულში კაცის სასმენელი იმოდენად როგორ უნდა შეიცუფლოს, რომ ანტონ ქათალიკოსის მაღალ-ნიჭიერს სიტყუაობას სწუნობდეს და რას სახელდობრ: მის წყობილ-სიტყუაობას, მის აკროსტიხულებას და მის იამბიკობას. ან რა გასაკვრველია, ვისაც ოლტერის (!) მოძღვრების თანახმად მარხუა და მეუდაბნოობა არ მოსწონს, იმას არც ანტონის ქმნულება მოეწონება!“ — სწერდა ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ეფთვიმე“ (ასეთი სრული წოდებულებით წარუდგა იგი ისტორიას — „ცისკარი“, 1862 წ., თებერ. გვ. 204).

უდიდესი მოქალაქობრივი გამბედაობა და დემოკრატიული რადიკალიზმი იყო საჭირო, რომ ასეთ პირობებში კაცს წამოეყენებინა დებულება: ხალხის ენა, ე. ი. „გლეხკაცის მეტყველება“ უნდა იყოს სალიტერატურო ენაო.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე არ დაერიდა ამას, თეორიულადაც დაიცვა და პრაქტიკულად გზა გაუკაფა ხალხურ ენას ლიტერატურაში, დაანახვა ყველას, რომ ამ „დაშვებული ენით“ შეიძლება უდიდესი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებთა შექმნა, მეცნიერებისა და პოლიტიკის ურთულეს საგნებზე მსჯელობა.

მძაფრი იყო შემოტევა მის წინააღმდეგ, კრიტიკა მისი სალიტერატურო პრაქტიკისა და თეორიისა. პოეტიკისა და ენის საკითხები იყო დავის მთავარი საგანი. რას ამტკიცებდა ძველი თაობა?

1. ენა სამგვარია: მაღალი, საშუალო, მდაბალი; თითოეული ცალკე საგანს შეეფერება.

2. ენის ცოდნისათვის საჭიროა ვიცოდეთ „საზოგადო და განსხვავებითი იმის ნიშატი“, პირველს გვასწავლის გრამატიკა, ხოლო განსხვავებულ თვისებათა ცნობისათვის, „საჭირო არიან კანონნი აზრთა განწყობილებისათვის... რომელთაც გვასწავლის რიტორება“.

ამრიგად, გრამატიკა და რიტორიკა, ენის საკითხებს რომ წყვეტს. აღსანიშნავია, რომ ეს გრამატიკა მოწოდებულია ენის საზოგადო ნიშნები წარმოგვიდგინოს.

ამის უცოდინარობას უკიჟინებდნენ ილია ჭავჭავაძეს: „თუ გცოდნოდათ რა არის ენა, რა არის სიტყვერება, მწერალს რა ზრდილობიანი თქნება ეჭირება... არასოდეს არ ეცდებოდით ასე ენის წახდენას და მამაპაპათ დამდბლებასაო!“ — წერს ბარბარე ჯორჯაძისა (იხ. „პასუხის პასუხი“ „ცისკარში“ 1861, სექტემბერი, გვ. 92-93).

ანტონის მიმდევართა კონცეფცია ენისა ანტიისტორიულია: მისთვის

არ არსებობს გარკვეული ენა გარკვეულ ისტორიულ პირობებში, არც გრამატიკა, ამ კერძო ისტორიული მონაცემის შემსწავლელი; ის ლაპარაკობს **საერთოდ** ენისა და გრამატიკის შესახებ.

გრამატიკა ამ გაგებით **ნორმატული** დისციპლინაა. რიტორიკასთან ერთად ის გვასწავლის, როგორ უნდა მოვიხმაროთ ენა.

რის საფუძველზე იქმნება გრამატიკის კანონები? აზროვნების კატეგორიებზე დაყრდნობით. აზროვნების კატეგორიები ურყევი საფუძველია ასევე ურყევი გრამატიკული წესებისათვის. არც მეტყველება და არც აზროვნება არ განიაზრება ცვალებადობაში; ერთიც და მეორეც დროის (და სივრცის) გარეშეა აღებული.

ასეთი გაგებით გრამატიკა წინარემეცნიერული გრამატიკაა. ისტორიულად ცნობილია ორი მისი ვარიანტი: ფილოლოგიური და რაციონალური გრამატიკა, რომელიც ხშირად ფილოსოფიური გრამატიკის სახელწოდებითაც გვევლინება.

ანტონის გრამატიკა იყო არსებითად ფილოლოგიური, მაგრამ რაციონალური გრამატიკის მომენტებიც არ იყო მისთვის უცხო.

ეს გრამატიკა მართლწერისა და წესიერ-უბნობის ნორმებს აწესებდა. საუკუნეთა ტრადიცია ზურგს უმაგრებდა ამგვარ გრამატიკას. ამ ტრადიციის ძალა ისე დიდი იყო, რომ დღესაც, გრამატიკაზე რომ ლაპარაკობენ, ამგვარი ნორმატული დისციპლინა აქვთ მხედველობაში, და ხშირად ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება არსებობდეს გრამატიკა, რომელიც ნორმებს კი არ აწესებს, არამედ ენის მოქმედ კანონზომიერებას არკვევს, იმას კი არ ამბობს — **რა უნდა იყოს**, არამედ იმას გვაჩვენებს, **რა გვაქვს** ენაში და როგორ არის მიღებული ის, რაც გვაქვს<sup>8</sup>.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ გრამატიკა მეცნიერულ დისციპლინად მას შემდეგ იქცა, რაც მიზნად დაისახა ენის შესწავლა მის განვითარებაში ისე, როგორც **ეს არის** და არა ისე, როგორც **ეს უნდა იყოს**. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც გრამატიკა **ნორმატული** დისციპლინიდან იქცა **პოზიტიურ** დისციპლინად.

ამგვარად ესმის გრამატიკისა და ენის ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესაც: „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენაში კი არ შეგვაქვს კანონი, არამედ კანონები ენიდან გამოგვაქვს, ენაში ვპოულობთ მას...

როგორია ბუნება ამ კანონისა: გარდაუვალი, ზედროულია თუ ცვალებადი ხასიათი აქვს მას? რაკი კანონს ენა ქმნის, ცხადია, ამ კანონის ბუნება ენის ბუნებით იქნება განსაზღვრული: თუ ენა უცვლელია, კანონიც

<sup>8</sup> ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მეცნიერული გრამატიკა ნორმების დადგენისათვის გამოუსადეგარია; პირიქით, ის ქმნის მტკიცე მეცნიერულ საფუძველს ნორმატული ხასიათის დასკვნებისათვის.

უცვლელი იქნება; თუ ენა ცვალებადია, კანონიც ცვალებადი იქნება. ენის ცვალებადობის პრინციპი ამოსავალი დებულებაა ენათმეცნიერებისა; ენის უცვლელობის თეზაზე იყო დაფუძნებული ნორმატული არამეცნიერული გრამატიკა და ამ უკანასკნელის დამცველი ანტონის სკოლის არგუმენტაცია.

ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაშიც ენის მეცნიერულის გაგების ნიადაგზე დგას: „კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე, ხშირად იქნება, რომ **კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე**; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცს. მასასადამე, თუ მიბრძანებთ, რომ, რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც ვიხმაროთ ეგ ასო — ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება“... („პასუხი“, გვ. 49-50. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ენა იზრდება, ვითარდება; ენის კანონებიც იცვლება; ძველი კანონი ახალ ვითარებას არ გამოხატავს; ენის კანონი ისტორიული უფლებებით ვერ დასაბუთდება...

ეს დებულება მტკიცე და თანმიმდევრული საენათმეცნიერო მსჯელობის გამოხატულებაა. ის ძალაში რჩება დღემდის. ერთადერთ შენიშვნას იწვევს ანალოგია ენასა და კაცს შორის, ენის ზრდასა და კაცის ზრდას შორის. ისიც არა აქ მოცემული მსჯელობის ფარგლებში, არამედ მაშინ, თუ ანალოგიას განვავრცობთ. ადამიანი იბადება, იზრდება, შემდეგ ბერდება და კვდება. ენამ კი ასეთი დაბერება და კვდომა არ იცის.

ჩვენ არ გვექნებოდა უფლება ილია ჭავჭავაძე გაგვეხადა პასუხისმგებელი ასეთი დასკვნისათვის, რომ ერთი გარემოება არა: გასული საუკუნის მესამოცე წლებში ენათმეცნიერებაში დიდს პატივში იყო ენის შედარება ორგანიზმთან და ენაზე გადატანა ყველა იმ თვისებისა, რაც ორგანიზმს ახასიათებს. ილიას ანალოგიაში ენასა და კაცს შორის თითქოს მოჩანს ამ ბიოლოგისტური გაგების კვალი.

როგორ ეძებს ენაში კანონს ილია ჭავჭავაძე? ვისი მეტყველება აქვს მხედველობაში, როდესაც ენის კანონის მიკვლევას ლამობს?

**ხალხის მეტყველება**, „გლეხკაცის ენა“ საიმედო საყრდენი და სააპელაციო ინსტანცია მისთვის.

„სრულიად არ მესმის, რა განსხვავება არის ამ ასოთა შორის: ც და იე, ა და ი, ჯ და ვი, შ და ჰოი“... თუ ხედავს ვინმე განსხვავებას, „ანბანთ თეორეტიკით-კი ნუ ცდილობს დამტკიცებას, არამედ ყურადღება **მიაქციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში** მონახოს ფაქტი, დამანახოს და მაშინ დავეთანხმები“... („პასუხი“, გვ. 50 — ხაზი ჩვენია, ა. ჩ.).

და მერე: **ჟ**-ს საკითხის განხილვისას ილია ჭავჭავაძე ამბობს: („ეგ ასო ახალი შემოდებულია, არ ვიცი-კი რისთვის. ეგ ასო ქართულს ენაზე

ფ-ად იცვლებოდა ხოლმე, მაგ., ფილოსოფია. ამას გარდა **ქართველ გლეს-კაცს** (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაგ ასოს ხმას ვერც-კი გამო-ათქმევინებთ. ფ-ს მაგიერად სულ ფ-ს გამოსთქვამს, მინამდინ ბევრჯელ არ გაამეორებინებთ. **სჩანს**, ეგ ასო **ჩვენის ენის თვისებისა არ არის და რაღადა ხმარობთ?** („პასუხი“, გვ. 51, ხაზი ჩვენია. ა. ჩ.).

...ამბობენ „ჩემის თვალთ ვნახეო, ჩემის ფეხით მოვედიო“; ნუთუ მართლა ერთის „ფეხით“ მიხტოდნენ და ერთის თვალთ ხედავდნენ! სულაც არა, მაგრამ ამბობენ კი. მაშასადამე, ჯერ ხალხს მოაშლევინეთ ეგრეთი ულოლიკო ლაპარაკი და მერე მე. წინათვე მოგახსენეთ: **„ხალხია ენის კანონის დამდები** და არა ანბანთ თეორეტიკა“ („პასუხი“, გვ. 52, ხაზი ჩვენია ა. ჩ.).

**ხალხის მეტყველება, ქართველი გლესკაცის ენა** — აი ვინ მოჰყავს მოსამართლედ ილიას! შეიძლება ეს სახიფათო რადიკალიზმად გვეჩვენოს: სალიტერატურო ენის საკითხებია მოსაგვარებელი; ხალხი სალიტერატურო ენით არ მეტყველებს, მის მეტყველებაში ბევრი რამაა უცხო, მიუღებელი სალიტერატურო ენისათვის. როგორ შეიძლება ასეთი მოსამართლის არჩევა? ილია ჭავჭავაძე მაინც მართალია და აი რატომ: ჯერ ერთი, ენის კანონი ენის თვისებას უნდა გამოხატავდეს; ენა ბუნებრივი, მართალი სახით ცოცხალ ხალხურ მეტყველებაშია მოცემული. თანამედროვე ენათმეცნიერების ერთი ძირითადი დებულებათაგანია ის, რომ ენათმეცნიერების შესასწავლ ობიექტს ცოცხალი მეტყველება წარმოადგენს და არა წიგნის ენა, და ეს იმიტომ, რომ წიგნის ენის განვითარება შეზღუდულია, მის განვითარებას კონტროლი ეწევა, მასზე გავლენას ახდენენ. ცოცხალი ხალხური მეტყველების განვითარება კი ასეთი ზეგავლენისაგან თავისუფალია. ამიტომ, ენის დამახასიათებელი თვისება, ენის განვითარების კანონზომიერება ცოცხალ მეტყველებაში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ ილიას მსჯელობა მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დგას.

სალიტერატურო ენის ვითარება, მართალია, **ჯერ თვით ამ სალიტერატურო ენის არეში** უნდა იქნეს განხილული, მაგრამ **თუ ეს საკითხს არ სწევტს**, ისევ ხალხურ ცოცხალ მეტყველებას უნდა მივმართოთ. **საბოლოო ანგარიშში** წიგნის ენა უკუფენაა ცოცხალი მეტყველებისა. წიგნის ენა ამ უკანასკნელს ემყარება, მას ასახავს, ზოგჯერ ზუსტად, ზოგჯერ მიახლოებით, წიგნის ენის განვითარება ცოცხალი მეტყველების განვითარებას მიყვება, ჩვეულებრივად — ნელა, ტატიტ, მაგრამ მაინც მიყვება, ვინაიდან სხვა საყრდენი მას არ გააჩნია, თუ კი უნდა, ცოცხალი ენა იყოს. ილიას დროს წიგნის ენა განსაკუთრებით ცოდვილი იყო; მასში ისეთი რამ ბოგინობდა, რაც ქართული ენის ბუნებით ნაკარნახევი არ იყო, და ამიტომ მეცნიერულად მტკიცე და გამართლებულია ილიას მოთხოვნა: **ხალხის მეტყველებაში დამისაბუთეთ და დაგიჩერებთ**, ანბანთ თეორეტი-



კა, ე. ი. სქოლასტიკური ფილოსოფია, აქ მოსამართლედ არ გამოდგება.

ამ მეცნიერული სწორი დებულების წამოყენება საზოგადოებრივად გადატრიალებას მოასწავებდა. ამგვარ რადიკალიზმს, ცხადია, ვერ აბატი-ებდნენ მას ვერც ანტონის აკროსტიქების მაღიდებლები და ვერც დარბა-ისლური „უკეთესი საზოგადოების“ ენის მომხრეები, მით უფრო, რომ ილიას ქადილი ლიტონსიტყვიერი როდი იყო; თვით მისი წერილები ლი-ტერატურულ ენად ხალხური ენის გამოცხადებას მოასწავებდა: **დაბალი კატეგორიის მოვლენებისათვის განკუთვნილი ენა მაღალი საგნების გამოსახატავად შემოჭქონდა, ლიტერატურიდან განდევნილი ახალი ქარ-თული უფლებებში აღდგენას ლამობდა.**

ცნობილია, რა მძაფრი რეაქცია მოყვა ამას: ატყდა განგაში — ილია ჭავჭავაძე ქართულ ენას ამახინჯებსო.

სარდიონ ალექსიევი-მესხიევი, რომლის გვარის დაბოლოება ქართული ენისადმი განსაკუთრებული პატივისცემის მაუწყებელია, დინჯად შენიშნავ-და: **„უწყალოდ ამახინჯებს და ამდაბლებს ქართულ სიტყვიერებას“...** „შეუფერებლობა ლექსთ-თხზულებისა დიდად აუშნობს ენას და ჰქენ-ჯნის სასმენელსაო...“

ჩვენს დედა-ენას „...თქუნს უნებურად და შეუგნებელად, თქუნსვე ძიზიკებრ ჰკოდავთ და ამახინჯებთ და ზნეობითად ჰრყვნით და აუძ-ლურებთო“ („ცისკარი“, 1861, ივნისი, ტ. I, 257).

უფ. გ. ბარათოვი ნიშნის მოგებით ამბობდა ილიასა და მისი თანა-მოაზრებების შესახებ: „ეს გუნდი ჩაივლის ნახშირის მეიდანზე, შუა ბა-ზარში და იქ ჰკრფს ნამდვლს ქართულს სიტყვებს, რომელშიაც (?) შეამსებს თვსს ლექსიკონს და დიდის ჭეჭა-ჭუხილით დაეცემა საბრალო ქართველების მწერლებს“... („ცისკარი“, 1861, ივნ., გვ. 163).

„...ზოგნი პოულობენ უფ. ჭავჭავაძის კრიტიკაში ნამდვლს ქართულს ენას, და ცდილობენ დაამტკიცონ რომ **უგუნანი სიტყუა აზრს ძალას არ უკარგავსო.** ამის დასარღვევათ ვიტყვ, რომ ვის იამება ჰკვან კაცთან ლა-პარაკი, თუ მას ამოზდის ნივრისა და არაყის სუნი. რაც შეეხება ნა-მდვილს ქართულს ენას — მას ბაზარში და ჩორჩო ბაზარში კი ნუ და-უწყებენ ძებნას, როგორათაც პირველში და სხუგან ყველგან იპოვნია“ (იქვე, გვ. 164-165).

ბარბარე ჯორჯაძისაც გაცხარებით მოსძახის: „არა ლიტერატორს არ შეშვენის ამგვარის უშუქრის ლექსების (ე. ი. სიტყვების) მოხსენება... ლი-ტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას“ („ცისკარი“, 1861 წ., მაისი, გვ. 34).

„...როგორ შემოურევს ამ უშვერს, მორყენილს და ბიჭბუჭების სიტყუჭებს: წირბლიანი, მორახუნები, აგანგალა-განგალა და სხუა. აი კიდევ ეს სიტყუჭები: ისეთნაირად ჰრიჭინებენ თავად ერისთავის ლექსები როგორც...“

(აქ გამოტოვებულია ილიას სიტყვები: „**გაუსაბნავი საბალნის ურმის თვლები**“ — ა. ჩ.)... „მე მრცხუნძნიან ამ საძაგელის ლექსების განმეორებაო“ (იქვე, გვ. 41) — პათეტურად ამბობს პოეტი ქალი, რომელსაც სხვებთან ერთად ბედმა არგუნა უიმედო საქმე — ილიასგან დაეცვა ანტონი, ესე იგი ლომონოსოვის საჭურველით ჩერნიშევსკი და ბელინსკი<sup>9</sup> დაემარცხებინა.

ილია ჭავჭავაძემ გაიმარჯვა. მეცნიერულად სწორი, საზოგადოებრივად მართალი, ისტორიულად საბუთიანი იყო მისი ბრძოლა ენისათვის. **ახალი ქართული უფლებებში აღდგა: წიგნის „მესამე შტილის“ ქართული სალიტერატურო ქართულად იქცა. ქართული ენის განვითარების გაწვევითი ხაზი გამართლდა.**

ბრძოლაში ენისათვის ანტონის მიმდევართა წინარემეცნიერულ და ანტიმეცნიერულ კონცეფციას უპირისპირდება ილიას მეცნიერული შეხედულება ენის რაობისა, ენის კანონისა და ენის განვითარების შესახებ<sup>10</sup>. ტყულიად არ ამბობს იგი ერთგან: „ასე ფიქრობენ უკეთესნი ფილოლოგებიო“. ჩანს, ის ფილოლოგიის მიღწევებს საკმარისად იცნობდა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მართლწერის **ზოგადი თეორიული** პრინციპებიდან **ამ კამათში** ილია ჭავჭავაძემ მართლწერის სიმარტივის პრინციპი წამოაყენა და მას მტკიცედ იცავდა.

„თუ მართლა ეგ.ასოები არ ისმის ეხლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადაიგდონ? შესუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანის განა ცოტა საქმეა?... ეხლა მთელი ევროპია (sic!) ცდილობს ყველაფრის გამარტივებას, გაადვილებას და, სხვათა შორის, ანბანისასაც და მართლწერისასაც. შორს არ წავალ; აი თითონ რუსეთში მოითხოვენ i ზ ზ-ის ამოშლას თავის ანბანიდან, რადგანაც ეხლანდელ იმათ ენაში აღარ ისმის ეგ

<sup>9</sup> ილია ჭავჭავაძის „პასუხს“ „ცისკარის“ რედაქციამ შენიშვნები დაურთო, სულ 24 შენიშვნა. მათგან ზოგი ვრცელ მსჯელობას შეიცავს და ცხარე პოლემიკური ხასიათისაა.

ილ. ჭავჭავაძის „პასუხს“ ეპიგრაფად ბელინსკის სიტყვები აქვს; ამას რედაქცია გამოეხმაურა ვრცელი შენიშვნით, რომელიც ასე თავდება: „**უფ. ჭავჭავაძე ბელინსკის ჰბაძავს და ბელინსკობა ჩუწნში არ გამოდგება: თუმცა ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველესი კრიტიკი იყო რუსეთში, მაგრამ, როგორათაც სწეული და ზაფრანის კაცი, ყოველთჳს ილანძღებოდა და ამ მიზეზით იმისი ბაძუა არ არის მოსაწონი, და თჳთ რუსეთში ეხლა ვინ ჰბაძავს იმას?**“ (იხ. „ცისკარი“, 1861, ივნისი, გვ. 183).

<sup>10</sup> ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ქართული ენის კერძო მოვლენათა შეფასებისას ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მართალი ყოფილიყოს. აქ არა იშვიათად სიმართლე მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო. მაგრამ ჩვენი მოხსენების საგანს ეს არ შეადგენს; ჩვენ თავშივე აღვნიშნეთ, რომ აქ გვინტერესებს ილ. ჭავჭავაძის **თეორიული** საენათმეცნიერო კონცეფცია.

აქვე დავსძენთ, რომ ილია ჭავჭავაძე კამათში ხაზგასმით აღნიშნავს: „სადაც აზრი არ არი იქ ენა... სულ უქმია... აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას...“ ამ დებულებას არ შევხებივართ. დებულება სპეციფიკურს არაფერს შეიცავს ილია ჭავჭავაძის პოზიციისათვის, მასთან ამას მისი მოწინააღმდეგენიც არ უარყოფდნენ.

ასოები. მე შემხვედრია წიგნი 1859 წელში თუ 1860 წ. დაბეჭდილი, სახელდობრივ, **сказание об языческих богах** ამ მართლწერით, სადაც **і ѣ ъ** არ არიან ხმარებული („პასუხი“, გვ. 51).

ამაზე სარდიონ ალექსიევ-მესხიევმა მიუგო:

„თქუწნის კანონდებულებისამებრ ჰსჩანს, რო ხელსა (ჰკუილამ შე-შლილსა) არ განარჩევთ თქუწნ ველისაგან (სხეულის წევრისაგან). რო-გორც თქუწნის მართლწერის კანონით, რუსულშიაც (უნდა) მოისპოს და არ იყოს ასოებით გარჩევა **ѢСТЬ** და **ЕСТЬ**-სა შორის“...(„ცისკარი“, 1861, ივნ. გვ. 254).

პასუხში, რომელიც მაშინ არ გამოქვეყნებულა, ილია ჭავჭავაძე წერს: „თუ ეგრე არის, მაშ „დაარიგე“ (ქალაღის დარიგება) და „დაარიგე“ (დარიგების მიცემა) სხვადასხვა **დ**-ებით უნდა დაიწეროს. „ააგე“ (ააშენე) და „ააგე“ (ვთქვათ, მწვადი ააგე) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს. „გავეცი“ (მითამ სხვას მივეო) და „გავეცი“ (ხმა ამოვიღეო) სხვადასხვა ასოებით უნდა იწეროს. ესე რო მიჰყვეთ, ათასს სხვა მაგალითს გაჩვენებთ, მაშასადამე, თქვენის თეორიით ათასი სხვადასხვა ასო უნდა შემოვიტანოთ, და ჩვენი ახალი მოსწავლენი ძალიან მადლობელნი იქნებიან“ (სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო, თხზულ. კრებ. პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. IV, ტფილისი, 1927 წ. (დამატება)).

სრული ჰემმარიტება! სამწუხაროდ, დღესაც კი არ არის ყველასთვის ცხადი, რომ ცალკე სიტყვა შეუძლებელია ყოველთვის მხოლოდ თავის ფორმით თავს აღწევდეს ორაზროვნებას, რომ **ამისათვის** არსებობს **კონტექსტი**, და რომ დროთა ვითარებაში ყოველ ენაში ამ კონტექსტს ენიჭება თანდათანობით მეტი მნიშვნელობა: **მორფოლოგიის განტვირთვა ფორმებისაგან და სინტაქსის საკომპენსაციო „დატვირთვა“ ენის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ტენდენციათაგანია**. ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი აქაც მეცნიერულად სწორია, თუმცა მას საენათმეცნიერო დასაბუთება არ ახლავს: სწორი აღლო დიდი მოაზროვნისა სპეციალური ცოდნის გარეშეც მართალ დასკვნას იძლევა.

ქ. „ენიშკის მოამბე“, II, 1937; გვ. 15-27; გადაბეჭდილია:

ქ. „საბჭოთა ხელოვნებაში“, 1937, №39, კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში“, IX, თბ., 1989

„მარად და ყველგან, საქართველოვ,  
მე ვარ შენთანა!..“  
ილია

## ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი

ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვან საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ქართული ენის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა.

ორი საკითხია აქ მთავარი: პირველი, ესაა ერთი **სალიტერატურო ენის** საკითხი, შემდეგ — **ერთიანი ხალხური** სალიტერატურო ენის საკითხი.

**ერთი** სალიტერატურო ენის საჭიროება ილია ჭავჭავაძემ, ჯერ სრულიად ახალგაზრდამ, დაიცვა გასული საუკუნის სამოციან წლებში (ანტონ კათალიკოსის მიმდევრებთან ცხარე კამათში).

**ერთიან** სალიტერატურო ქართულზე ზრუნვა ილია ჭავჭავაძის მთელი შემდგომი მოღვაწეობის საგანი იყო.

ილია ჭავჭავაძის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა სალიტერატურო ენის ყოფიერების არც ერთი არსებითი საკითხი, იქნება ეს ერთიანი ნაწარმოების დადგენა, ტერმინოლოგიის დამუშავება, თუ ლექსიკონის შედგენა.

და მაინც, ყველაზე დიდი ამაგი სალიტერატურო ქართულ ენას ილია ჭავჭავაძემ დასდო თავისი შემოქმედებით, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა და პუბლიცისტმა.

\* \* \*

ერთი ენის საკითხი სპეციფიკურმა ვითარებამ გააჩინა: მეთვრამეტე საუკუნეში გავრცელებული იყო სამი სტილის თეორია, ის მოითხოვდა სალიტერატურო ენა გაერჩიათ იმის მიხედვით, თუ რა საგანს ეხებოდა მსჯელობა: რელიგიისა და ფილოსოფიის საკითხებისათვის დაწესებული იყო აღზევებული (მაღალი) სტილი. მეცნიერებას დარბაისლური სტილი შეეფერებოდა, კომედიას — მდაბიური, სასაუბრო.

მაღალ მატერიებზე ჩვეულებრივი ენით ლაპარაკი და წერა ნორმის შეუწყნარებელ დარღვევად მიაჩნდათ (ისევე, ვთქვათ, როგორც დაუშვებელია საზეიმო სხდომაზე თუ დარბაზობაზე საშინაო ტანსაცმლითა და ფლოსტებით მისვლა).

როგორც ცნობილია, ამხანაგ-მეგობრებთან საუბარი და საჯარო გამოსვლა, დადგენილების ტექსტი და კრიტიკული წერილის ტექსტი ახლაც განსხვავდება სტილის მიხედვით.

სამი სტილის თეორია ასეთ სხვაობას როდი გულისხმობდა: უნდა შეეთხზათ ენისათვის უცხო, ხელოვნური საშუალებანი, რომ გაერჩიათ მაღალი სტილი (სხვა ორისაგან), „თჳს სახელისა“ („სახელისათვის“), „მებრ კაცისა“ (შდრ. „კაცისამებრ“), „მეპირველ“ („პირველის“ ნაცვლად) და ა. შ.

წიგნიერ კაცს მოეთხოვებოდა ამგვარ რამეებში ყოფილიყო გაწაფული.

მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული მთელი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა სამი სტილის ეს ხელოვნური თეორია და ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივ განვითარებას აბრკოლებდა.

გასული საუკუნის მესამოცე წლებში მწვავედ დაისვა საკითხი: ხელოვნურად გარჩეული სამი ნაირსახეობა — თუ ერთი სალიტერატურო ენა უნდა გვქონდეს... თუ ერთი, რაგვარი: აღზევებული, დარბაისლური თუ „მდაბიური“ (ესე იგი, ხალხურზე დამყარებული).

**საკითხი გადაწყდა ერთი** ენის სასარგებლოდ, და ეს ერთი ენა უნდა ყოფილიყო ხალხის ენა: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ-თეორეტიკაო“ (ე. ი. რიტორიკის ნორმები); ეს იყო ილია ჭავჭავაძის დებულება და ამ დებულებამ გაიმარჯვა<sup>1</sup>.

ამ დებულების შესაბამისად ქართული ანბანიდან ამოიღეს ზედმეტი ასოები: ჳ, ჴ, ჵ, ჶ, შ. ამ ნიშანთა შესაბამისი ბგერები აღარ იხმარებოდა სალიტერატურო მეტყველებაში, ასოები კი დარჩა და ამით დაირღვა ქართული მართლწერის ძირითადი პრინციპი: ყოველ ბგერას თავისი ნიშანი (ასო) მოეპოვება, ყოველი ნიშანი (ასო) მხოლოდ ერთ ბგერას აღნიშნავს.

ზედმეტი ასოების ამოღებამ ქართული ანბანისა და მართლწერის ძირითადი სიკეთე აღადგინა თავის უფლებებში.

\* \* \*

სალიტერატურო ქართული ენა უნდა იყოს **ერთი** და ამ ერთ ენას **ხალხის ენა** უნდა წინამძღვრობდეს.

მაგრამ **სალიტერატურო ენა** უნდა იყოს **ერთიანი**, რომ სათანადოდ მოემსახუროს კულტურას, რომლის პროდუქტიც ის არის და რომლის წინსვლის იარაღადაც ის ივარაუდება.

რა ურთიერთობაშია ეს ორი საწყისი: სალიტერატურო ენის **ხალხურობა** და მისი **ერთიანობა**?

<sup>1</sup> დაწვრილებით ამის შესახებ საუბარი გვაქვს წერილში „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“ (ენიკის მოამბე, ტ. II, 1937, გვ. 15-23), აგრეთვე შრომაში „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“ — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, გვ. 20-25.

ეს ცხადი გახდება, თუ გავარკვევთ, რასაც გულისხმობს თითოეული მათგანი.

სალიტერატურო ენის **ერთიანობის** პრინციპი ნათელია. ერთიანობა **მოითხოვს ერთგვარობას** იქ, სადაც სიჭრელე ენას დააძაბუნებდა, მაგრამ ერთიანობა **ნაირგვარობას იგუებს** იქ, სადაც სხვადასხვაგვარობა **სიმდიდრეს** ნიშნავს, ერთგვარობა კი სიღარიბის მომასწავებელი იქნებოდა.

ორიოდე მაგალითი:

მტკიცედ და მტკიცეთ... შეგნებულად და შეგნებულათ... საქვეყნოდ და საქვეყნოთ...

გხნავდით და გხნამდით... გაუტეხია და გაუტეხნია... უთქვამს და უთქვია... მსგავსი და მზგავსი... აქამდე და აქამდი, აქამდის, აქამდინ...

ნაცნობი შემეკითხა და ნაცნობმა შემეკითხა...

მეგობარი დამპირდა და მეგობარმა დამპირდა...

ეს პარალელური ვარიანტები უფუნქციოა და ურგები, რაც უფრო მეტია ასეთი ვარიანტები, მით უფრო ჭრელი და დაუმუშავებელი იქნება სალიტერატურო ენა: ასეთ შემთხვევაში **ერთი** ვარიანტიღაა საჭირო.

სხვაგვარია ის შემთხვევები, როდესაც ვარიანტს თავისი ფუნქცია აქვს: ხალხის ზნე-ჩვეულება... ხალხური სიმღერა, სახალხო მატარებელი — ყველას თავისი ადგილი აქვს, ყველა საჭიროა... „ისტორიული მნიშვნელობა“, მაგრამ „საისტორიო საზოგადოება“, „ისტორიის ფაქულტეტი“... ასევე: „ლიტერატურის (ანდა: სალიტერატურო) გაზეთი“ და არა „ლიტერატურული გაზეთი“...

„მგზავრი დაშავდა (ავარიის დროს)“... „სოფლის მეურნეობა დაზარალდა (წყალდიდობისაგან)“... შენობა დაზიანდა (მიწისძვრის დროს)“: ქართულში ამ ზმნებს გარჩევითი ხმარება უნდა (რუსული ერთ ზმნას ხმარობს, *пострадал* ქართულად თარგმნისას ზოგი გაზეთიც ერთ ზმნას ხმარობს — „დაზარალდაო“...).

\* \* \*

ხალხურობის პრინციპს მეტი სირთულე ახლავს. ხალხური ენა **დიალექტების** სახით არსებობს: დიალექტებთან ურთიერთობის საკითხი ყოველი სალიტერატურო ენის წინაშე დგას. ზოგი დიალექტი სალიტერატურო ენასთან ყველა სხვაზე უფრო ახლოსაა: ესაა **საყრდენი** ფუძე დიალექტი. სხვა დიალექტებთან კავშირიც არაა გამორიცხული, მაგრამ მასაზრდოებელ წყაროდ სალიტერატურო ენისათვის, პირველ ყოვლისა, **საყრდენი** დიალექტი გვევლინება.

ეს ეხება ყველა სალიტერატურო ენას. თუ **ახალი** სამწერლო ენა გვაქვს, სალიტერატურო ენისა და საყრდენი დიალექტის ურთიერთობა შედარებით მარტივია; ურთიერთობას ერთი განზომილებაღა აქვს.

როდესაც ენას ძველი მწერლობა აქვს, ურთიერთობა რთულია. სალიტერატურო ენის ფაქტი უნდა განვიხილოთ ორგვარად, ე. ი. ორი განზომილებით, ერთია — მიმართება საყრდენ დიალექტთან, მეორეა — მიმართება სალიტერატურო ენის ტრადიციასთან.

ეს ნიშნავს: ყოველი სადავო საკითხის მოგვარება ძველი მწერლობის მქონე ენაში უფრო რთულია, ვინემ იმ შემთხვევაში, როცა სალიტერატურო ენას მხოლოდ საყრდენ დიალექტთან მიმართების საკითხი უდგას.

სალიტერატურო ენის პრესტიჟი დიალექტთან შედარებით ისე მაღლა დგას, რომ გვაფიქვდება ცოცხალი დიალექტური მეტყველების როლი: ის **ასაზრდოებს** სალიტერატურო ენას.

საკმარისია ეს მასაზრდოებელი წყარო დაშრეს, და სალიტერატურო ენის მზეც ჩაესვენება.

იულიუს კეისრის დროს ლათინური, დახვეწილი კლასიკური სამწერლო ენის ნიმუშს წარმოადგენდა. მაგრამ ამ დახვეწილობამ ვერ შეუნარჩუნა მას სიცოცხლე, როდესაც ხალხურმა ლათინურმა შეწყვიტა არსებობა.

შუა საუკუნეებში, მაინცდამაინც მეათე საუკუნემდის, ლათინური ენა ერთადერთი სამწერლო ენა იყო მთელი დასავლეთ ევროპისათვის, მაგრამ ლათინური ენა არავისთვის იყო დედა-ენა; ზეპირი ხალხური მეტყველება მას აღარ ასაზრდოებდა და სასიცოცხლო ძალას აღარ მატებდა. ლათინური სალიტერატურო ენა ხელოვნური სიცოცხლით ცოცხლობდა... და ქვეითდებოდა: „**ოქროს** ლათინური“ (იულიუს კეისრის, ტიტ ლივიუსის, ციცერონისა და ვირგილიუსის თხზულებათა) შეცვალა „**ვერცხლის** ლათინურმა“ (შემდეგ კი მან „**სპილენძის** ლათინურის“ სახელწოდება დაიმსახურა).

„ხალხია ენის კანონის დამდებიო“, ილია რომ ამბობს, ამით იმ ცოცხალი მეტყველების ძალა და მნიშვნელობა ნაგულვები, ურომლისოდაც წიგნის ენა დღემოკლე იქნებოდა.

ქართული სალიტერატურო ენისათვის ესაა **ქართლურ-კახური**, როგორც ფუძე დიალექტი, უფრო ზედმიწევნით, ის **საერთო**, რაც **ქართლურ-კახურში** გვაქვს და სალიტერატურო ქართულის მრავალსაუკუნოვან **ისტორიულ ტრადიციას** ეგუება, სალიტერატურო ქართულის განვითარების მაგისტრალურ ხაზს შეესაბამება.

ამ ხალხური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიაში ისეთი მოვლენებიც გამოვლინდება, რომელთაც სალიტერატურო ენის კუთვნილებად ვერ მივიჩნევთ (მაიტანა, იწყობს, ხნამდა...), მაგრამ **ლექსიკა** და **ფრაზეოლოგიზმები** ძარღვიანი ქართულის ნიმუშებს იძლევა.

ამ „ხალხური“ ენით დაიწერა ქართული პროზის შედეგრი „ოთარანთ ქვრივი“, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, პირველი წიგნი, რომელ-

საც ქართველი ბავშვი ხელში იღებს.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილებიც ამ მხრივ სანიმუშოა. გაზეთის მეთაური, რომლითაც ილია ჭავჭავაძე ეგებება ახალ, მეოცე საუკუნეს, იწყება ასე:

„ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა. ამ ახალ საუკუნეს ჯერ არა ეთქმის რა, გარდა იმისა, რომ შემოდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო. წარსულმა საუკუნემ, რომელმაც გზა დაუთმო ახალ საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერებას, რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებული ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა მთელს დანარჩენს თვრამეტე საუკუნეს არ უნახავს.

ვინ მოსთვლის ყოველ იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას, ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია და, ვითარცა ადამიანი, ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემატყვივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან (!) მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდგა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია“.

ასეთია საგაზეთო წერილის ენა ილია ჭავჭავაძისა, ხალხური თუ არა, ხალხურთან მეტად ახლო და ადვილად გასაგები.

\* \* \*

სალიტერატურო ქართულში ფონეტიკა-მორფოლოგიის ნორმათა საკითხი ილია ჭავჭავაძის დროსაც იდგა. 1888 წლის 8 მარტს „ივერიის“ რედაქციაში ილია ჭავჭავაძეს მოუწვევია სხდომა „განსახილველად საგრამატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი **საერთო, საყოველთაო** კანონი დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად“.

ივარაუდებოდა ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა:

1. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან („დიდი წყალობით“ — „დიდის წყალობით“), აგრეთვე ნათესაობითსა და მოთხრობითში...
2. „კაცად“ თუ „კაცათ“... „უკანონოთ“ თუ „უკანონოდ“...
3. **ჰ||ს** პრეფიქსთა ხმარება: „მიყიდე“ და „მიჰყიდე“, „დატრიალებს“ და „დასტრიალებს“... „რისი ნიშანია იგი (**ჰ||ს**)“?
4. **ჰ** და **ს**: მონაცვლეობა თუ შეიძლება და რა შემთხვევაში („სწერ“ და „ჰწერ“)...
5. „ერთნაირად შესაწყნარებელია თუ არა“ — ზედსართავის სუფიქსები -ული, -ური, -ებური... „ადმინისტრაციული“ თუ „ადმინისტრატული“



თუ „ადმინისტრატეზური, „გენიური“ თუ „გენიალური?“ და რიგი სხვა.

ამჟამად ამგვარ საკითხებს შეისწავლის სამეცნიერო დაწესებულება (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), ხოლო საკითხს წყვეტს „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია“, რომელშიც ენის სპეციალისტების გარდა მწერლები, პრესის მუშაკები შედიან, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.

ილია ჭავჭავაძის დროს კი სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხების მოგვარება საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობის საქმე იყო... მოთავეობას ილია ჭავჭავაძე კისრულობდა.

ეგვე ითქმის ახალი ტერმინების შესახებ, რაც სალიტერატურო ენას სჭირდებოდა ქართული ლექსიკის შესწავლისა და ლექსიკონების შედგენის ღონისძიებათა შესახებ

ამასაც ილია ჭავჭავაძე უვლიდა.

\* \* \*

ყოველ ენას, მწერლობის მქონესაც და არმქონესაც, სარბიელი ესაჭიროება, რაც გინდ დახვეწილი იყოს სალიტერატურო ენა, მისი დღეები დათვლილია, თუ ამ ენაზე არავინ წერს და ლაპარაკობს.

ამჟამად დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე შეიძლება მივიღოთ. არ არსებობს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომ მისი შინაარსი ქართულად არ ითქმოდეს.

მაშინ კი, როდესაც ქართული ენა ერთ მუჭა თავდადებულ მოღვაწეთა საზრუნავ საგნად იყო ქცეული, დაწყებითი სწავლაც კი ქართულ ენაზე სანუკვარ საქმედ მიაჩნდათ.

დედა-ენაზე სწავლების საკითხი ბრძოლის საგანი იყო და ამ საკითხის სიმწვავეს ილია ჭავჭავაძის სიტყვები გვაგრძნობინებს:

„ქართული ენა ყველგან გამოდევნილია. ქართულის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია“, — შენიშნავს ილია ჭავჭავაძე 1881 წელს.

„ბავშვმა თავი დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება“, — წერდა ილია ჭავჭავაძე.

ენის უფლებებს იცავდა ილია ჭავჭავაძე და ამით თავის ხალხს, მშობელ ქვეყანას ესარჩლებოდა.

ენის საკითხი ეროვნების სასიცოცხლო საკითხებს უკავშირდება: ერის ჩამოყალიბება ეროვნულ ენას გულისხმობს; ერის კულტურული ცხოვრება ენას საჭიროებს განვითარების იარაღად; ერის მეობას, პირველ ყოვლისა, ენა არკვევს (და შემდეგ — ხალხური სიმღერა, ხალხის განცდათა მესაიდუმლე).

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ **მწერალი-კლასიკოსია**, არა მხოლოდ სალიტერატურო ქართული ენის **ხალხურობის** დამცველი და დამფუძნებელი.

ილია ჭავჭავაძე **მწერალი-მოქალაქეა**; მას თავისი ხალხი უყვარდა ოთარაანთ ქვრივის პირუთენელი სიყვარულით.

იგი თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა კატკოვებისაგან იმ შეუდრეკელობით, რაც ქვეყნის სახელით მოლაპარაკეს შეჰფერის და იმ შეუპოვრობით, რაიც თავის სიმართლეში დარწმუნებულ ადამიანს ახასიათებს.

1958

ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, №6, გვ. 2-5.  
კრ. „ილიას სამრეკლო“, თბ., განათლება, 1987,  
გვ. 273-80

## ენის ტრფიალი

(ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი)

განუზომელია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული მწერლობისა და ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში.

„სალიტერატურო ენა მოგვაგონებს ყინულს, რომელსაც მდინარის ზედაპირი შეუკრავს, დიალექტები კი ის მდინარეა, რომელიც ყინულის ქვეშ გრძელდება, ეს მდინარეა მდინარის მოყინულ ზედაპირს გაარღვევს, რომ თავისუფალი დენა გააგრძელოს“, — წერდა გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ერთი უცხოელი ენათმეცნიერი.

ამ ყინულს მოგვაგონებდა სამი სტილის თეორია, რომელიც მე-18 საუკუნეში გაბატონდა. ეს თეორია ხელოვნურ ნორმებს თხზავდა, მაღალფარდოვან წიგნურ მეტყველებას ეტანებოდა, არც ხალხის ცოცხალი ქართული მეტყველების მნიშვნელობას ცნობდა და არც სალიტერატურო ქართული ენის დიდ ისტორიულ ტრადიციას უწევდა ანგარიშს. ხელოვნური ნორმები, თქმა არ უნდა, წიგნიერების გავრცელებასაც აბრკოლებდა.

ილია ჭავჭავაძემ მოაცილა ქართულ სალიტერატურო ენას ხელოვნური ნორმების მოყინული ზედაპირი, აღადგინა კავშირი სალიტერატურო ქართული ენის მასაზრდოებელ წყაროსთან — ქართლურ-კახურ ხალხურ მეტყველებასთან, აღადგინა კავშირი დავით გურამიშვილისა და საბა ორბელიანის შესანიშნავ ქართულ ენასთან.

ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების გზა გამრთელდა, მას შემდგომი გამდიდრება-დახვეწის პერსპექტივები გაეშალა.

ილიას ფორმულა „ხალხია ენის შემოქმედი“ (და არა რიტორიკა „ანბანთ-თეორეტიკა“) მეცნიერულად სწორი იყო მაშინ (1862 წ.), იგი ძალაშია დღესაც: ენა კვდება, რაც უნდა დიდი მწერლობა ჰქონდეს მას, თუ ხალხმა თავის ენაზე ხელი აიღო; ენა ცოცხლობს, სანამ ამ ენაზე ლაპარაკობენ.

ილია ჭავჭავაძემ ცხადყო, რა ძალაც შესწევს მწერლის შემოქმედებას, როცა ის ფლობს ხალხის ენის ამოუწურავ სიმდიდრეს. ნიმუშად იკმარებდა „ოთარაანთ ქვრივი“, ახალი ქართული კლასიკური ლიტერატუ-

რის ეს შედეგები (დასანანია, რომ ესა და რიგი სხვა თხზულება ჩვენი კლასიკოსებისა მასობრივი ტირაჟით იშვიათად გამოდის: ილიას, აკაკის, ვაჟას თხზულებათა გარეშე ახალგაზრდა ვერ დაეუფლება სალიტერატურო ქართულს).

პროგრესული მოაზროვნე, რევოლუციონერ-დემოკრატი ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იღვა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში (საკმარისია მოვიგონოთ მისი კამათი იანოვსკის სასწავლო გეგმის გამო ანდა პასუხი, რომელიც მან გასცა კატკოვის ბეზლობას).

მაგრამ ილია ჭავჭავაძეს არა მხოლოდ თავისი „ერის წყლული უჩინდა წყლულად“, მას გულსა წვადა ყველა ერის ტანჯვა, ის ვერ ურიგდებოდა ეროვნულ უსამართლობას. სულ ერთია, ვის სჭირდა ეს უსამართლობა, ებრაელი იქნებოდა ის თუ სომეხი. ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმი კი არ გამოორიცხავს ინტერნაციონალიზმს, არამედ გულისხმობს მას:

ილია ჭავჭავაძის აღმფოთებას იწვევს ევროპის ქვეყნების უმოქმედობა ოსმალეთის მიმართ, სადაც სომხებს აწიოკებენ:

„სად არის ის კაცთმოყვარეობა, რომელზედაც ასე უყვართ დაბჯინება პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს? ნუთუ ერთი ერი — სომხები — მეორეს — ოსმალს — უნდა მიეცეს შესაჭმელად, აქაო-და თქვენ ცოტანი ხართ და ჩვენ — ბევრიო, და განათლებული ევროპა კი უყურებდეს ამ უსამართლობას...“

ილია ჭავჭავაძე ისტორიულ მოვლენათა არსში ღრმად იხედებოდა.

სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ იგი (1899 წ.) წერდა: „...სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცის წლის წინათ ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება! ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომეხობით ქართველის ძულობა და ქართველობით სომეხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია **ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახლოდ**“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ერთ ბედს ქვეშ იყო ეს ორი ხალხი წარსულშიც: „ჩვენ კარგად ვიცით, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — რომ წინანდელ საქართველოს უძლურობა დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთსა და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით...“

ილია ჭავჭავაძე ზოგი სომეხი სპეციალისტის უმართებულო აზრს ცხარედ ეკამათება; მაგრამ ამ შემთხვევაშიც ილია სომეხი და ქართველი ხალ-

ხების ისტორიული და თანამედროვე ინტერესების ერთობას ქადაგებდა.

ილიას ნათქვამად თვლიან „ზარმაცს მეძახიან, მაგრამ, თუ გაჭირდა, დატვირთულ ურემში შევებმი და მუხლებზე ჩოჩვით მყინვარწვერზე ავიტანო!“

ამ სიტყვებშია მოცემული ილია ჭავჭავაძის ქედუხრელი პიროვნების არსიც და თავისებურებაც იმ ხალხისა, რომელსაც თავდადებით ემსახურა დიდი მწერალი და მოქალაქე, პროგრესული მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე.

გაზ. „კომუნისტი“, 1978, 28 მაისი, გვ. 2.

## ჩვენი ენის დედაბოძი

(აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავი)

მადლიერი ქართველი ხალხი დიდ ზემოთ დღესასწაულობს ამ დღე-ებში თავისი საყვარელი მგოსნის **აკაკი წერეთლის** დაბადების 120 წლის-თავს.

კარგად თქვა აკაკის დამსახურებაზე თავისი ქვეყნის წინაშე ჩვენმა სახალხო პოეტმა: „შენ მოგვიზომე სამშობლო შენი ჩანგურის სიმებით!“

ილია, აკაკი და ვაჟა ის გაუთიშავი სამეულია, რომელიც ახალი ქარ-თული ლიტერატურის დიდებას ქმნის.

მათი ნაღვაწარით დავალებულია მდიდარი საბჭოთა ქართული მწერლობაც. მეტადრე ეს ითქმის სალიტერატურო ქართულ ენაზე.

აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძეს უდგა გვერდით, როგორც თანა-მებრძო-ლი, როდესაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის სავალი გზები უნდა გარ-კვეულიყო და როდესაც ხელოვნურ ანტონისეულ ნორ-მებს ილია ჭავჭავაძემ ხალხის ენა დაუპირისპირა: ხალხია ენის კანონმდე-ბელი და არა „ანბანთ თეორეტიკაო“. ქართული სამწერლო ენის მასაზ-რდობებელ წყაროდ სამართლიანად აღიარებულ იქნა ხალხის მეტყველება, იმ ხალხისა, რომელმაც შექმნა ქართული ენა და საუკუნეთა მანძილზე დაიცვა იგი, როგორც თავისი მეობის მთავარი ნიშანი.

ენის ხალხურობა სალიტერატურო ენის მაცოცხლებელ ძალას წარმოადგენს.

მაგრამ ენის ხალხურობის დამცველთ არ დავიწყებიათ, რომ ქარ-თულ სალიტერატურო ენას მეცხრამეტე საუკუნეში თოთხმეტი საუკუნის ისტორია მოეპოვებოდა: თავის შემოქმედებაში მათ ცხადყვეს, რომ ხალხუ-რობა ენისა სალიტერატურო ქართულის განვითარების შედეგად მიღწეუ-ლის უფლებბელყოფას ოდნავადაც არ ნიშნავს, და ამით მწერლის ენის ძირითადი საკითხი სანიმუშოდ გადაწყვიტეს.

აკაკი წერეთლის ღრმად ინდივიდუალური პოეტური მეტყველება (სადა, მაგრამ ბრწყინვალე პროზა და მსუბუქი, ნარნარა ლექსი) სალიტე-რატურო ქართუ-ლი ენის განვითარების მონაპოვართ ჯეროვნად ითვალის-წინებს და ხალხური მეტყველების საგანძურით უხვად სარგებლობს. არ-სებითად იგივე ითქმის ილიას და ვაჟას ენაზე. მწერლის ენის ამ ძირითად საკითხს ილია, აკაკი და ვაჟა ერთნაირად წყვეტენ.

ეს გარემოება ჩვენი ღროის თვალსაზრისითაც საგულისხმო ჩანს.

გაზ. „კომუნისტი“, 1960, 4 დეკემბერი, გვ. 3

**დიდი ქართველი პოეტის იუბილე**

მეცხრამეტე საუკუნის მწერალთაგან მ ა რ ტ ო დ ე ნ ს ა ხ ე -  
ლით დიდ ილიასთან ერთად და მის გვერდით ითქმის აკაკი და  
ვაჟა, ახალი ქართული კლასიკური ლიტერატურის ეს სამი დედაბოძი და  
ახალი ქართული სალიტერატურო ენის ურყევი საფუძველი.

აკაკის სახელი ილიას სახელთან გაუთიშავია, მათ საერთო საქვეყნო  
საქმე აერთებდა — ლიტერატურის, ენის, ქვეყნის საქმე. პიროვნული სხვა-  
ობაც იყო ამ თანამებრძოლებს შორის, საერთო მიზანს რომ ემსახურე-  
ბოდნენ.

კარგად თქვა აკაკიზე ჩვენმა სახალხო პოეტმა:

„შენ მოგვიზომე სამშობლო შენი ჩანგურის სიმებით!“-ო.

აკაკის ჩანგური სამშობლოწართმეულ ქართველს სამშობლოს სიყვა-  
რულს უღვივებდა, გადაგვარების მოსურნეს „ბუნების კრულვას“ უთვლი-  
და, ჩაგრულს ამხნეებდა, დაბეჩავებულ ადამიანს მომავლის რწმენას  
უნერგავდა, ხალხთა ძმობას სრული ხმით ქადაგებდა იმ უჟამობის ჟამს.

აკაკის პროზა სადა და დახვეწილია... „განთიადი“ („მთაწმინდა ჩა-  
ფიქრებულა...“) ახალი ქართული პოეტური სიტყვის მარგალიტია.

ალბათ, იშვიათია, რომ ერთი პოეტის ამდენი ლექსი ხალხს  
სიმღერად აეტაცებინოს... („სულიკომ“ ხომ ყველა საზღვარი გადალახა!).

ბედნიერია ტკბილჰანგიანი ბულბული!

24.IV.1980.

ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №7, 1980, გვ. 3  
გადაიბეჭდა გაზ. „ლენინელსა“ (საქ. პოლიტ.  
ინ-ტი), 1980, 1/X, 1; და გაზ. „კოლხეთში“  
(ცხაკაია), 1980, 13/XII, 3

## ვაჟას ლექსიკონისათვის

(რედაქტორისაგან)

დღეს სადაოდ აღარ ითვლება, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბურჯს ქმნის ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედება.

ორი მასაზრდოებელი წყარო აქვს ამ შემოქმედებას: ერთია ცოცხალი ხალხური მეტყველება და მეორე — სალიტერატურო ქართულის მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესში მიღწეული სიმდიდრე და დახვეწილობა ქართული ენისა.

რაც უნდა მდიდარი და დახვეწილი იყოს სალიტერატურო ენა, მისი შემდგომი განვითარება ცოცხალ მეტყველებასთან კავშირის გარეშე წარმოუდგენელია, — ვგულისხმობთ ბუნებრივ განვითარებას: — „ოქროს ლათინური“ იულიუს კეისრის დროისა დახვეწილი სალიტერატურო ენის ნიმუშს წარმოადგენდა, მაგრამ ეს ენა წიგნის მკვდარ ენად იქცა, როდესაც ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან კავშირი გაუწყდა და მით სასიცოცხლო მასაზრდოებელი წყარო დაეწრიტა და დაუშრა.

ენა ცოცხალია, სანამ მას ხმარობენ, და ცოცხალია იმდენად, რამდენადაც მას ხმარობენ აზროვნების იარაღად (აზრის ობიექტივაციისათვის) და ურთიერთობის საშუალებად. ენას ემატება სასიცოცხლო ძალა, როცა მისი გამოყენების სარბიელი ფართოვდება და, პირიქით, აკლდება ეს ძალა, თუ მისი გამოყენების არე დავიწროვდა. ენა, რომელზედაც არავინ ლაპარაკობს, განწირულია.

ამიტომაც, რომ ხალხურ ცოცხალ მეტყველებასთან კავშირი სალიტერატურო ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. საკითხავი აქ ისღაა, როგორ გამოიყენებს მწერალი-შემოქმედი ამ კავშირს, როგორ შეუხამებს ერთმანეთს ისტორიული ტრადიციის ნაანდერძებს და ცოცხალი ხალხური მეტყველების უშრეტი წყაროდან მომდინარეს.

ეს ეხება ენის ყველა მხარეს. და მაინც ლექსიკა და ფრაზეოლოგია ამ მხრივ გამოირჩევა, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას მწერლის ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: აქ გამოჩნდება, რა სათქმელიც ჰქონდა მწერალს და როგორ შეიძლო მისი თქმა. მხატვრული სტილი შემო-



ქმედის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, ხოლო სტილის რაობა-რაგვარობაში ლექსიკა-ფრაზეოლოგიას გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის.

მწერლის ენის შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის შესწავლას გულისხმობს. ლექსიკა-ფრაზეოლოგიის შესწავლის დროს უპირატესად იმას ექცევა ყურადღება, რაც თავისებურია და განმარტებას საჭიროებს. ეს ბუნებრივად არის, როგორც პირველი საფეხური შესწავლისა, როგორც აუცილებელი სამუშაო. მაგრამ მწერლის ენის შესწავლა ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სფეროში ამით არ ამოიწურება: საჭიროა სრულად აღინუსხოს მთელი ლექსიკა და ფრაზეოლოგია, გაირკვეს, რამდენი ლექსიკური ერთეული („რამდენი სიტყვა“) აქვს მწერალს, რა-და-რა ტიპისა და რამდენი ფრაზეოლოგიზმი დასტურდება მის შემოქმედებაში. ლექსიკურ ერთეულთაგან („სიტყვათაგან“) ზოგს დასჭირდება განმარტება, ბევრს — არ დასჭირდება, მაგრამ სრულად უნდა იყოს ნაჩვენები, რა-და-რა გამოთქმაში და რამდენჯერ გვხვდება ესა თუ ის სიტყვა, სხვადასხვა ფორმაც (ნაწარმოების დასახელებითა და ადგილის ზედმიწევნილად ჩვენებით). ასევე — გამონათქვამები, იდიომატური თქმები და ფრაზეოლოგიზმები.

არც ილიას, არც აკაკის, არც ვაჟას ლექსიკა-ფრაზეოლოგიზმები ამჟამად შესწავლილი არა გვაქვს! შესწავლა კი აუცილებელია<sup>1</sup>. სხვა არა იყოს რა, ხომ უნდა გვეთქმოდეს — ამდენი სიტყვა მოეპოვება ილიას, ამდენი — აკაკის, ამდენი — ვაჟასათ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენისას ცდა არ დაგვიკლია, პირველ ყოვლისა, ამ სამი ავტორის ლექსიკა გამოგვევლინა და მათი დოკუმენტაცია შეგვეტანა სიტყვის განმარტებისას, მაგრამ სისრულის პრეტენზიას რვატომიანი „განმარტებითი ლექსიკონი“ ვერ დაიჩემებს (თუნდაც იმიტომ, რომ ასე თუ ისე სრული გამოცემა მხოლოდ ილიას თხზულებათა მოგვეპოვებოდა განმარტებით ლექსიკონზე მუშაობის დაწყებისას 1945 წ., მასთან, პუბლიცისტურ ნაწარმოებთა შედგენილობა დაზუსტებას მოითხოვდა).

ახალი ქართული სალიტერატურო ენის სრული ლექსიკონის შედგენას უნდა უსწრებდეს ცალკეულ ავტორთა ლექსიკის მონოგრაფიული შესწავლა. ბუნებრივია, რომ ეს შესწავლა ილიას, აკაკისა და ვაჟას ლექსიკით იწყებოდეს.

<sup>1</sup> ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებამ სცადა აღენუსხა სრულად ძველი-ქართული ზოგი ძეგლის (როგორცაა: „სახისა სიტყუა“, „ცხოვრებად გრიგოლ ხანძთელისა“, „წარტყუნევა იერუსალჴმისა“...), აგრეთვე დავით გურამიშვილისა და ნიკო ლომოურის ლექსიკა, რაც ერთგვარ შესამზადებელ სამუშაოდ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ სათანადო შრომები გამოქვეყნებული არაა.

ვაჟას ლექსიკის შესწავლა უკვე დაწყებულია უნივერსიტეტში ვაჟას კაბინეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით: ბარათებზეა ამოწერილი „მთელი ვაჟა“ (რვაას ათასზე მეტი ბარათი!). ამით გადადგმულია პირველი ნაბიჯი, შესრულებულია დიდი მოცულობის სამუშაო, — სამუშაო, რომელსაც თავისი ძალებით მთელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ვერ ასწევდა წლების მანძილზე. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ვ ა ჟ ა - ფ შ ა - გ ე ლ ა ს კ ა ბ ი ნ ე ტ ს ა მ შრომატევადი სამუშაოს შესრულებაში გვერდში ამოუდგნენ ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს კ ა თ ე დ რ ე ბ ი თ ბ ი ლ ი ს ი ს, ქ უ თ ა ი ს ი ს, გ ო რ ი ს, თ ე ლ ა ვ ი ს პედაგოგიური ინსტიტუტებისა, ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ...

იმუშავეს უსასყიდლოდ და გატაცებით, როგორც ეს საზოგადოებრივ საქმეს შეჰფერის და როგორც ამას საპატიო ამოცანა მოითხოვდა.

ვაჟას სრული ლექსიკონის შედგენა და ი წ ყ ო და კარგადაც დაიწყო. ვაჟას ცხოვრება არცთუ უდიდოდა. სრული ლექსიკონის საქმეში ვაჟას შემოქმედება დაწინაურდა. ალალიც არის!

ვაჟას კაბინეტს წინ ამ მხრივაც დიდი სამუშაო უდევს: ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის სრული ლექსიკონის შედგენა პირველი ასეთი ლექსიკონის შედგენაა. მუშაობა, რაც უკვე წარმოებს კაბინეტში, საქმის წარმატებით დამთავრების საწინდარია.

\* \* \*

წინამდებარე ლექსიკონი, როგორც ეს მისი ავტორის, ალ. ჭინჭარაულის, წინასიტყვაობაშია ნათქვამი, ვაჟას ტექსტის ადეკვატურ გაგებას ემსახურება, და ამისდა კვალად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სიტყვის განმარტებას რ ე ა ლ ი ე ბ თ ა ნ (საყოფაცხოვრებო მოვლენებთან) კავშირში, აგრეთვე ისეთ სიტყვათა ახსნას, რომლებიც სალიტერატურო ქართულში ცნობილია, მაგრამ მნიშვნელობა თავისებური აქვს (დაინტერესებულ მკითხველს საამისო მაგალითები შეუძლია იპოვოს ლექსიკონის ავტორის, ალ. ჭინჭარაულის, წინასიტყვაობაში, აქვე, გვ. 9-25, მით უფრო თვით ლექსიკონში, მაგალ.: **ზვერავს** (ხმალს), **დაჩენა** (თოფმა), **დავლათიანი** (კაცი).

ფშავ-ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებასა და ადათ-წესებს, ხალხურ შემოქმედებასა და ცოცხალ მეტყველებას ალექსი ჭინჭარაული, ხევსურეთში გაზრდილი ხევსური, ზედმიწევნით იცნობს. ალ. ჭინჭარაული ავტორია ვრცელი საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევისა („ხევსურულის თავისებურებანი“, 1960, 486 გვ.) და არა ერთი ფილოლოგიური ნარკვევისა, რაიც მის საენათმეცნიერო მომზადებასა და მკვლევრის ნიჭს ამჟღავნებს.

ამიტომ შეიძლოა ალ. ჭინჭარაულმა შეედგინა წინამდებარე ლექსიკონი, რომელიც ვაჟას ლექსიკის შესწავლაში მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ ალ. ჭინჭარაულმა ვაჟას თხზულებათა გამოცემაში არა ერთი შეცდომა შენიშნა და გაასწორა (იხ. ავტორის წინასიტყვაობა, გვ. 12-13).

და თუ მაინც დარჩა ცალკეული სიტყვა (**resp.** გამოთქმა), რომელიც სასურველი ზედმიწევნობით და სისრულით განმარტებულად არ მიაჩნია არც რედაქტორს და, რაც უფრო არსებითია, არც თვით ავტორს, ამაში ბრალი აქვს სალექსიკონო საქმის თავისებურებას. ყოველი სიტყვის ყოველი შესაძლო ხმარება უნდა ვიცოდეთ, რომ განმარტება უნაკლო იყოს. ამ პირობების დაკმაყოფილება ცოცხალი ენის ლექსიკონში ფაქტობრივ შეუძლებელია. ამიტომ: „სრული ძნელია“ (საბა).

ცნობილია, რომ ლექსიკონის ყოველი ნაკლი ავ თვალს ახარებს. მაგრამ ლექსიკონში კეთილი თვალის ჩაიხედავს ხოლმე და თავის შენიშვნებით ნაკლის გამოსწორებას, ხარვეზის ამოვსებას ხელს შეუწყობს.

2.XII. 1967

წიგნში: ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., თსუ გამ-ბა, 1969; გვ. 5-8

## ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ საიმედო ფარ-ხმალს წარმოადგენდა

იაკობ გოგებაშვილის სახელი „დედა ენასა“ და „ბუნების კარს“ უკავშირდება იმათ მენსიერებაში, ვისაც ამ სახელმძღვანელოებით უსწავლია ბავშვობაში.

„ბუნების კარი“, ახლა რომ ვიგონებ, მხატვრულად მოთხრობილ საბავშვო ენციკლოპედიას ჰგავდა. როცა ჩვენ „ბუნების კარს“ ვსწავლობდით, იგი საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის შესახებ ეპიზოდურს, მაგრამ საინტერესო ცნობებსაც შეიცავდა. სახალხო სკოლებში იმხანად არც საქართველოს ისტორია ისწავლებოდა და არც საქართველოს გეოგრაფია. ამ ხარვეზს „ბუნების კარი“ ავსებდა.

ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ ბავშვის ხელში პირველი წიგნი იყო, პირველი წიგნი, რომლის შთაბეჭდილება მენსიერებაში არასოდეს არ ამოიშლება.

ხანგრძლივი გულდასმითი მუშაობის ნაყოფი, იშვიათი პედაგოგიური ნიჭით შედგენილი „დედა ენა“ შინაარსით ნამდვილი ხალხური წიგნი იყო. მასზე მრავალმა თაობამ გაიკვეთა ანბანი.

ი. გოგებაშვილის **„დედა ენა“ მოზარდ თაობას დედა ენის სიყვარულს უნერგავდა.** დღეს ქართული სიტყვის ჭირისუფალი სახელმწიფოა, ქართული ენა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენაა, ქართულ ენას ზურგს უმაგრებენ დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლები, ყოველი დარგის მეცნიერული ჰეშმარიტება ქართულად ითქმის, ქართული გაზეთის ტირაჟი ათეულ ათასებს აღწევს, ქართული წიგნის პროდუქცია უმაგალითოა ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

ი. გოგებაშვილის სიცოცხლეში ასე როდი იყო. ქართული ენა მიუსაფარი იყო, ქართულ ენას იმპერია მტრობდა, მას ქართველი დიდგვარიანები ადვილად თმობდნენ, ინტელიგენციის „ჩინოვნიკური“ ნაწილი მასზე გულარეული იყო.

იმ მძიმე წლებში ი. გოგებაშვილის **„დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ქართული ენის ბურჯი იყო და სახალხო განათლების საიმედო ფარ-ხმალს წარმოადგენდა.**

ჩვენი ქვეყნის განათლების ისტორიაში ი. გოგებაშვილის ღვაწლი დიდი და დაუვიწყარია.

## Велики заслуги Я. С. Гогешавили

Имя Якоба Гогешавили, связанное с "Деда эна" и "Бунебис кари", незабываемо для тех, кто в детстве учился по этим учебникам.

Как вспоминаю я сейчас, "Бунебис кари" походила скорее на детскую энциклопедию в художественном изложении.

В то время в народных школах не изучали ни истории, ни географии Грузии. Этот пробел восполнял учебник "Бунебис кари". "Деда эна" Я. Гогешавили в руках ребенка была первой книгой, впечатления от которой никогда не изгладятся в памяти.

Плод продолжительной и тщательной работы – "Деда эна", составленная с исключительным педагогическим талантом, по содержанию своему являлась подлинно народной книгой.

"Деда эна" Я. Гогешавили прививала подрастающему поколению любовь к родному языку. Сейчас о грузинском языке заботится правительство, грузинский язык является государственным языком в Советской Грузии, обучение в начальных, средних и высших школах ведется на родном языке. Многовековая история грузинской литературы не помнит такого размаха книжной продукции, как сейчас.

В период жизни Я. Гогешавили было не так. Грузинский язык был в загоне. Его легко забывали представители родовитой знати, чиновничья интеллигенция с пренебрежением относилась к нему.

В тяжелые годы "Деда эна" и "Бунебис кари" Я. Гогешавили являлись опорой грузинского языка, надежным орудием народного образования.

Велики и незабываемы заслуги Якоба Гогешавили в истории просвещения нашей страны.

## **Учебник Я. Гогешашвили "Деда эна" – верная опора**

Имя Якоба Гогешашвили, связанное с "Деда эна" и "Бунебис кари", незабываемо для тех, кто в детстве учился по этим учебникам.

Как сейчас я вспоминаю, "Бунебис кари" походила скорее на детскую энциклопедию в художественном изложении. Изучая "Бунебис кари", мы знакомились с эпизодическими, интересными сведениями по истории, этнографии и географии Грузии.

В то время в народных школах не изучали ни истории, ни географии Грузии. Этот пробел восполнял учебник "Бунебис кари". "Деда эна" Я. Гогешашвили в руках ребенка была первой книгой, впечатления от которой никогда не изгладятся в памяти.

Плод продолжительной и тщательной работы "Деда эна", составленная с исключительным педагогическим талантом, по содержанию своему являлась подлинно народной книгой. Многие поколения по этому учебнику изучали азбуку.

"Деда эна" Я. Гогешашвили прививала подрастающему поколению любовь к родному языку. Сейчас о грузинском языке заботится правительство, грузинский язык является государственным языком Советской Грузии, обучение в начальных, средних и высших школах ведется на грузинском языке. Научные открытия во всех областях излагаются по-грузински, тираж грузинских газет достигает десятков тысяч. Многовековая история грузинской литературы не помнит такого размаха книжной продукции.

В период жизни Я. Гогешашвили было не так. Грузинский язык был в загоне, Российская империя к нему относилась враждебно, его легко забывали представители родовой знати, чиновничья интеллигенция с пренебрежением относилась к нему.

В тяжелые годы "Деда эна" и "Бунебис кари" Я. Гогешашвили являлись опорой грузинского языка, надежным орудием народного образования.

Велики и незабываемы заслуги Якоба Гогешашвили в истории просвещения нашей страны.

## „დედა ენის“ იუბილე

წელს „საბჭოთა საქართველო“ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ — მისი პირველი გამოცემის — 100 წლის იუბილეს უხდის. ასეთი რამ იშვიათად ხდება. „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, ჩვენ სხვა ქართული წიგნი არ გვაგონდება, რომ ასეთი პატივის ღირსად ეცნოთ, მით უფრო, სასწავლო წიგნი, სკოლის სახელმძღვანელო. და თუ უხდიან იუბილეს, ეს „დედა ენის“ დიდ სახალხო მნიშვნელობას მოწმობს, და ამ მნიშვნელობის სახელმწიფო აღიარებას მოასწავებს.

რით დაიმსახურა ამ საბავშვო წიგნმა ასეთი ყურადღება და პატივი?

\* \* \*

იაკობ გოგებაშვილი (1840-1912) ცნობილია, როგორც პროგრესული საზოგადო მოღვაწე, დიდად ნიჭიერი პედაგოგი და მეთოდისტი. მან სასულიერო აკადემია დაამთავრა და თბილისის სასულიერო სასწავლებელში იმსახურა 11 წელიწადს (ჯერ მასწავლებლად, მერე ინსპექტორადაც: მის პედაგოგიურ ნიჭს ანგარიში ეწეოდა!), შემდეგ (1874 წ.) დაითხოვეს სამსახურიდან, ჩ. დარვინისა და კ. ფოხტის მიმდევარია, მატერიალისტი, საბუნებისმეტყველო ლიტერატურას აცნობს მოსწავლეებსო (ღვთისმეტყველება ვერ იტანდა ბუნებისმეტყველებას!).

ამის შემდეგ იაკობ გოგებაშვილს სახელმწიფო სამსახურზე არ უფიქრია (ის საბუთიც კი — დიპლომი — დაწვა, რაც ასეთი სამსახურისათვის იყო საჭირო), და თავის **ხალხის სამსახურში** ჩადგა, მშობელ ხალხში განათლების შეტანა, მშობლიური კულტურის დაცვა და განვითარება მიიჩნია სასიცოცხლო საქმედ, და პირნათლად ემსახურა ამ საქმეს: მის პოლემიკურ წერილებს ზოგჯერ შეიძლება არ დაეთანხმოთ, მაგრამ მის გულწრფელობაში ეჭვი არ შეგეპარებათ: მართალი საზოგადო მოღვაწეა და არა კონიუნქტურის კაცი! ილია ჭავჭავაძის სტილის მოღვაწედ გვესახება იაკობ გოგებაშვილი.

\* \* \*

იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარისა“ და „დედა ენის“ ავტორია. „ბუნების კარი“ პირველად 1868 წელს გამოვიდა, უკანასკნელი, ოცდაპირველი — ავტორისმიერი — გამოცემა 1912 წლისაა.

ქვესათაურად „ბუნების კარის“ ამ გამოცემას აქვს „ყრმათათვის საკითხავი წიგნი“ მესამე და მეოთხე კლასებისათვის. „ბუნების კარი“ **თავისებური მცირე ქართული პოპულარული ენციკლოპედია: საბუნებისმეტყველო ცოდნას** აქ ერთვის ცნობები საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის შესახებ (და ინფორმაცია ევროპის სახელმწიფოთა და ამერიკა-აზია-აფრიკა-ავსტრალიის შესახებაც — სათაურით „კაცობრიობა“, სულ 13 გვ.). ამ მცირე ქართული ენციკლოპედიის თავისებურება ისიც არის, რომ მასში შეტანილია ქართული პოეზიისა და პროზის ნიმუშები (გვ. 456-573), თავში კიდევ „მოთხრობანი და ლექსები სწავლის შესახებ“ (სულ 7 გვ.).

**საბუნებისმეტყველო** ნაწილი ხუთი თავისაგან შედგება (მცენარეები... მოსავლის მცველნი, — იგულისხმება ფრინველები... ოთხფეხნი, .. მწერები... ადამიანი... წელიწადის დრონი... ბუნების მოვლენები — გვ. 256-456).

საქართველოს გეოგრაფიული დახასიათება იწყება ზოგადი ცნობებით ბუნებისა და მოსახლეობის შესახებ, შემდეგ კი მოკლედ მოთხრობილია სხვადასხვა თემისა და იქაურ მცხოვრებთა შესახებ; ეს თემებია — აღმოსავლეთ საქართველოში: კახეთი, ქიზიყი, საინგილო და თუშეთი, თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი, ქართლი, ახალციხის მხარე, ჭავჭავთვი... დასავლეთ საქართველოში: იმერეთი, — ზემო, ქვემო — რაჭა, გურია, სამეგრელო, სვანეთი, სამურზაყანო... სამხრეთი საქართველო ანუ ძველი მესხეთი: აჭარა, ქობულეთი, ჭანეთი, პატარა საქართველო სპარსეთში — (ე. ი. ფერეიდნის ქართველები)...მერე მოდის აფხაზეთი, ოსეთი... ამიერკავკასიის გუბერნიები... რუსეთი.

ეთნოგრაფიული დახასიათება საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა ახლაც მკითხველის ინტერესს აღძრავს.

\* \* \*

„დედა ენა“ იკობ გოგებაშვილმა „ბუნების კარის“ შემდეგ შეადგინა („დედა ენა“ პირველად 1876 წელს გამოვიდა).

ცნობილია, რა დიდი სიძნელებიც ახლავს საანბანო წიგნისა და შემდეგ საკითხავი ტექსტების დამუშავება-შექმნას (ასოების ბგერებთან დაკავშირება რთული ფსიქოლოგიური პროცესია).

პირველი წიგნი, რასაც ბავშვი ხელში აიღებს, **წიგნიერების სათავეა** მისთვის. პირველი წიგნი ადამიანს არაოდეს ავიწყდება.

იკობ გოგებაშვილის „დედა ენამ“ თავი გაართვა ყველა სიძნელეს. მეთოდოლოგიური ხასიათისა და სინიმუშო სახელმძღვანელო შეეძინა ქართულ სკოლას.

აქ საანბანო სავარჯიშოც მარჯვედ არის შერჩეული: პაწაწკინტელა



მოთხრობებს სიუჟეტი ბუნებრივი აქვს, ფრაზები მართალი ქართულის ნიმუშებს ქმნის და თხრობა ისეა შეკრული, რომ გეგონებათ, გადმოსაცემი შინაარსის სხვანაირად თქმა შეუძლებელიაო... ანდაზებია თუ გამოცანები, ანდა ენის სატეხი სავარჯიშოები, ყველაფერი ეს კარგად მოფიქრებული, მრავალმხრივ აწონილ-დაწონილი, ბავშვის ასაკობრივ ინტერესებსა და გონებრივ შესაძლებლობასაა შეფარდებული.

დამახასიათებელი ფაქტი: ამ ოცდათხუთმეტი წლის წინ ქართული სკოლა დაუბრუნდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“. თავისავად ეს ფაქტი ბევრსა ნიშნავს.

რასაკვირველია, საჭირო იყო წიგნში შეეტანათ ახალი ყოფის სახასიათო მასალა (ტრანსპორტის ახალი სახეები, ახალი დღესასწაულები, კოლმეურნეობა, ზოოპარკი...); ზოგი რამე, თემატურად მოძველებული, უნდა ამოეღოთ. ამოსაღები ადვილად ამოიღეს. ძნელი აღმოჩნდა შეესება: თვალში საცემი იყო განსხვავება ი. გოგებაშვილისეულ ტექსტსა და დანართ ტექსტს შორის, თუმცა მისი ავტორები ცნობილი პედაგოგები იყვნენ: ახალი მასალა გოგებაშვილისეულ „კონდიციამდე ვერ აიყვანეს“. პედაგოგის უბადლო ნიჭი, ქართული ხალხური ენის ღრმა ცოდნა და სიყვარული, ქართული სკოლისა და ქართული კულტურის მომავლისათვის თავდადებული ზრუნვა შეადგენდა წინაპირობებს, რომ შექმნილიყო „დედა ენა“, შექმნილიყო წიგნი, რომელიც **ქართველ ბავშვს ქართულ ენას შეაყვარებდა იმ უყამობის უამს.**

\* \* \*

ჩვენ ახლა გვაქვს ეროვნული სკოლა — არა მხოლოდ დაწყებითი, არამედ საშუალო და უმაღლესიც, შეგვიძლია ყოველი მეცნიერება ქართულ ენაზე შევისწავლოთ, გვაქვს ეროვნული უნივერსიტეტი და ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, მდიდარი მხატვრული, სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა.

ამას შევეჩვიეთ და არ ვაფასებთ, გვაფიწყდება, რომ იყო სხვა დროც... მაშინ რუსეთის იმპერიაში ერთ ერსა სცნობდნენ, სხვა ყველა „ინოროდეც“-ად ითვლებოდა... ერთი ენა იყო უფლებამოსილი, სახელმწიფო ენა, ყველა სხვას უფლება ჰქონდა აყრილი... სწავლა-განათლება სახელმწიფო ენაზე იყო, მასთან ადგილობრივი ენის გამოყენება გაუგებარი მასალის ასახსნელადაც კი არ დაიშვებოდა (ე. წ. „მუნჯური მეთოდი“).

იაკობ გოგებაშვილს მოჰყავს მაგალითი, როცა ბათუმის ქალაქის თავი საგანგებო კრებას იწვევს, რათა იშუამდგომლონ: მოგვეცეს უფლება სადეთო სჯული ქართულად ისწავლონ ქართველებმაო, — რაკი ყველა ეროვნების წარმომადგენელნი სარგებლობენ რუსეთში ამ უფლებითაო (იაკ. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, 1955 წ., გვ. 508...): სარწმუნოე-

ბასაც კი იშველიებენ ენის უფლების დასაცავად!

იქვე დასახელებულია ასეთი შემთხვევა: ქუთაისში „პატარა იმერი“... როგორც ი. გოგებაშვილი ამბობს — „იზებირებს გაუგებრად, თუთიყუშივით“: **"Если Бог, во святой троице поклоняемый, есть вечен..."** (იქვე, გვ. 509)...

იაკობ გოგებაშვილი რუსული ენის სწავლების წინააღმდეგი როდი იყო, რუსულის ცოდნა მას საჭიროდ მიაჩნდა (მან სახელმძღვანელოც კი შეადგინა რუსული ენისა ქართველი ბავშვებისათვის — **"Русское слово"**).

**მასობრივი განათლება** ვერ განხორციელდება **დედა-ენის გარეშე** (ამიტომაც დამწერლობა გაიჩინა საბჭოთა წლებში არა ერთმა ხალხმა, რომ უწიგნურობის ლიკვიდაცია შესძლებოდა).

იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის უფლებებისათვის იბრძოდა: ენის უფლებათა დაცვა ერის უფლებათა დაცვას ნიშნავდა.

\* \* \*

1909 წ. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ყოველი ბიუროკრატი ცდილობს ძირს დასცეს ის დედაბოძი ეროვნებისა, რომელსაც დედა ენა ჰქვიან“ (თხზულებანი, ტ. 4, გვ. 297).

დედა ენის მნიშვნელობის გაგებაში (ისევე, როგორც თავის პედაგოგიური პრინციპებით) იაკობ გოგებაშვილი გვევლინება გამოჩენილი რუსი პედაგოგისა და პროგრესული საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე უშინსკის (1824-1870) თანამოაზრედ.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი 1881 წელს სხვათა შორის წერდა: „სწავლა მთელის ექვსი წლის კურსის განმავლობაში უნდა იყოს ქართულს ენაზედ, რადგან ეს ენა არის დედა ენა ამ საგურამოს ხეობის ბავშვებისათვის, სადაც ფუძნდება ჩვენი სკოლა... ყველა პედაგოგებმა იცნეს სწავლისა და აღზრდისათვის მაღალი, შეუდარებელი მნიშვნელობა დედაენისა. აი რა მაღალ გრძნობიერ სიტყვებითა ჰხატავს დედა ენის მნიშვნელობას უშინსკი, თვით მოპირდაპირეთაგან რუსთა დიდ პედაგოგად ცნობილი“ (იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1955, .გ 229)...

ამას მოსდევს ვრცელი ამონაწერი კ. უშინსკის შრომიდან — დედნის რუსული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი.

აი ყველაზე დამახასიათებელი ადგილები კ. უშინსკის ამ შრომიდან:

„...ხალხის თაობა ერთი მეორეს მოსდევს, მაგრამ ყოველი თაობის ცხოვრების შედეგი რჩება ენაში — შთამომავლობის სამემკვიდრეოდ... ენა არის ყველაზე ცოცხალი და ყველაზე მტკიცე კავშირი, რომელიც აერთიანებს ხალხის გარდასულ, აწინდელს და მომავალ თაობებს ერთ ცოცხალ, ისტორიულ მთლიანობად... როცა ხალხის ენა ქრება, თვით ხალხიც ქრება.  
**ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი მასზე ლაპარაკობს, ხალხიც ცოცხ-**

**ლია...** წაართვით ხალხს ყველაფერი და ის ყველაფრის დაბრუნებას შეიძლებს, მაგრამ თუ მას ენა წაართვით, ის თავის დღეში ვეღარ შექმნის მას. ახალს სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას კი — ვეღარ; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც...“ (იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1955, წ გვ. 231).

იაკობ გოგებაშვილმა ენა „ეროვნების ბურჯად“ დასახა და ცალკე შრომაც უძღვნა საკითხს („ბურჯი ეროვნებისა“).

თავისი შესანიშნავი საყმაწვილო წიგნით („დედა ენა“) იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის სიყვარულს უნერგავდა ქართველ ბავშვებს. არაერთი თაობა აღიზარდა ამ წიგნზე, და მისასვლელი იბოვა თავისი ხალხის დიდ მემკვიდრეობასთან, — მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურასთან. „დედა ენამ“ დიდი ეროვნული საქმე გააკეთა.

იაკობ გოგებაშვილი წინააღმდეგი იყო, სიცოცხლეში რომ მისთვის იუბილე გაემართათ (თუმცა ორჯერ აღიძრა საკითხი).

დღეს მაღლიერი სამშობლო იუბილეს უმართავს „დედა ენას“ და მის ავტორს იაკობ გოგებაშვილს — ქართული ენის უფლებათა თავგამოდებულ დამცველს, თავისი ხალხის ერთგულ შვილს, პროგრესულ საზოგადო მოღვაწეს.

#### შენიშვნები:

<sup>1</sup> ამგვარი მაგალითები ჩემი ხნის ადამიანებს საძებარი არ გაუხდებათ: ძვ. სენაკის ორკლასიან სოფლის სკოლაში რომ მიმაბარეს, პირველ განყოფილებაშივე გვაზებირებინებდნენ ლოცვებს:

"Во имя отца, и сына, и святого духа, аминь... Достойно есть, яко воистину блажити тя богородице..." და მისთანები. არც ერთი სიტყვა არ გვესმოდა, გაუგებარს ვიმახსოვრებდით... ჩემ გვერდით იჯდა ერთი მოწაფე (ისააკ ჯაკობია), სამი წელი დაყო პირველ განყოფილებაზე, მერე დაითხოვეს: უნიჭოაო, რაკი გაუგებარი ვერ დაიზებირა.

<sup>2</sup> თარგმანი დაზუსტების მიზნით ოდნავ შეცვლილია ჩვენ მიერ. მოგვყავს კ. უშინსკის ტექსტი:

"...Поколения народа проходят одно за другим, но результаты жизни каждого поколения остаются в языке, — в наследие потомкам... Язык есть самая живая, самая... прочная связь, соединяющая отжившие, живущие и будущие поколения народа в одно... историческое живое целое. Когда исчезает народный язык, народа нет более. Пока жив язык народа в устах народных, до тех пор жив и народ... Отнимите у народа все, и он может все вернуть, но отнимите язык и он никогда более не создаст его, новую родину даже может создать народ, но языка, — никогда, — вымер язык в устах народа, вымер и народ..." (К. Ушинский, Сборн. педаг. сочин., გვ. 201-203).

ქ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, №9, გვ. 3-5.

## ხალხის სიყვარული

ასი წელი შესრულდა „დედა ენის“ პირველი გამოცემიდან. არა ერთმა თაობამ ისწავლა ანბანი ამ წიგნიდან და საშუალება მიეცა ქართულ მწიგნობრობას ზიარებოდა. დღეს ჩვენ გვაქვს ეროვნული სკოლა: დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი. მაშინ ქართულ ენაზე საშუალო განათლებაც კი საოცნებო იყო. ქართული ენა თავს აფარებდა სამრევლოსა და დაწყებით სკოლას.

უჭირდა უუფლებო ქართულ ენას. „დედა ენა“ ქართველ ბავშვს ქართულ ენას აყვარებდა იმ უყამობის ჟამს. იაკობ გოგებაშვილი მტკიცედ ადგა იმ აზრს, რომ ენა „ბურჯია ეროვნებისა“ და სრული რწმენით იმეორებდა გამოჩენილი რუსი პედაგოგის კონსტანტინე უშინსკის სიტყვებს: „ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხიც მასზე ლაპარაკობს, ხალხიც ცოცხალია... ახალ სამშობლოს კიდევ გაიჩენს ხალხი, ენას კი ვეღარ. მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც“ (ე. ი. სხვა ხალხად იქცა).

იშვიათია, რომ წიგნს, ისიც სახელმძღვანელოს, უხდიდნენ იუბილეს.

და რომ „დედა ენას“ უხდიან იუბილეს, ეს მოწმობს „დედა ენის“ დიდ საქვეყნო მნიშვნელობას და ამ მნიშვნელობის აღიარებას ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მიერ.

გაზ. „კომუნისტი“, 1976, 3 დეკემბერი, გვ. 3

## ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველს ქართულში (სივრცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში)

1. როგორც ცნობილია, ახალ სალიტერატურო ქართულში ერთი მეორეს ენაცვლება მიზეზის აღმნიშვნელი ორი კავშირი: რ ა დ გ ა ნ (|| რ ა დ გ ა ნ ა ც) და ვ ი ნ ა ი დ ა ნ („მოწაფე სკოლაში ვერ გამოცხადდა, რადგანაც ავად გახდა“ || ...ვინაიდან ავად გახდა“...).

2. რ ა დ გ ა ნ ნაწარმოებია რა-საგან:

რა-დ-გან ← რათ-გან ← რა-დთ-გან — რ ა - ი თ - გ ა ნ. აქ ამოსავალია მოქმედებითი ბრუნვა -გან-თანდებულ-დართული.

ვ ი ნ ა ი დ ა ნ - კავშირისათვის ამოსავალია ვინა:

ვინა-იდ-ან ← ვინა-იდ-გან ← ვ ი ნ ა - ი თ - გ ა ნ.

ორივე კავშირი -გან თანდებულიანი მოქმედებითია; სათანადო ბრუნვის ნიშანი -**ით** ერთ შემთხვევაში კარგავს **ი**-ს (რა-დ-გან), რაიც მოსალოდნელი არ იყო, მეორეში ეს **ი** შენახულია (ვინა-იდ-ან). **თ** გამჟღერებულია (თ → დ) ორივე სიტყვაში (რადგან, ვინაიდან).

2. რ ა დ გ ა ნ - კავშირის მსგავსად ვ ი ნ ა ი დ ა ნ -საც რომ -**ი** დაკარგოდა, გვექნებოდა ვ ი ნ ა დ გ ა ნ.

ასეთი უ-**ი**-ნო ვარიანტი მოცემულია „ვეფხისტყაოსანში“ (**თ**-ს გა-უმჟღერებლად: ვინათგან):

...„ვარდთა და ნეხვთა ვ ი ნ ა თ გ ა ნ მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების... 49<sup>1</sup>.<sup>2</sup>

...„ხარ ვ ი ნ ა თ გ ა ნ აქანამდის მაგა ჭირთა დამთმობარი,

რაცა გითხრა, მომისმინე, გიპოვნია საძებარი... 258<sup>3</sup>.<sup>4</sup>

...„გიაბო, ვინ ვარ, სით მოვალ, — ვ ი ნ ა თ გ ა ნ ჰლამი ცნობასა... 99<sup>1</sup>.<sup>2</sup>

სულ შვიდი შემთხვევაა და ყველგან ვ ი ნ ა თ გ ა ნ იხმარება.

იმავე „ვეფხისტყაოსანში“ შეუდარებლივ უფრო ხშირია რ ა თ გ ა ნ - კავშირი: მისი ხმარების რამდენიმე ათეული (ორმოცზე მეტი) შემთხვევა გვაქვს.

---

<sup>1</sup> ადგილები ნაჩვენებია კომისიის ტექსტის მიხედვით (უნივერს. გამოცემა, 1937 წ.). პირველი რიცხვი სტროფზე მიუთითებს, მეორე — სტრიქონზე.

...კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა... 1351.

...აჰა მიჰხვდა ავთანდილსა დაწვთა ცრემლით არ დათოვნა,

რ ა თ გ ა ნ ცუდად არ წაუხდა მას ეზომი გარეთ ყოფნა... 211<sub>1,2</sub>.

...რ ა თ გ ა ნ ისი არის სადმე უცნობო და ისრე რეტად... 216<sub>1</sub> და სხვა.

3. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ვ ი ნ ა ი დ ა ნ უფრო არქაულია, ვინემ „ვეფხის-ტყაოსნის“ **ვინათგან**, რამდენადაც სუფიქსისეული **-ი** მასში დაცულია.

რ ა თ გ ა ნ - კავშირის ფართოდ გამოყენება და ვ ი ნ ა თ გ ა ნ -ის სპორადული ხმარება „ვეფხის-ტყაოსანში“ მოულოდნელი არაა: აქ, „ვეფხის-ტყაოსანი“ ისევე, როგორც რიგ სხვა შემთხვევაში, ახალ სალიტერატურო ქართულს ეკედლება. რ ა დ გ ა ნ ( ა ც ) - კავშირი ახალი ქართულისათვის ძირითადია. პირუკუ, ძველმა სალიტერატურო ქართულმა ვ ი ნ ა თ გ ა ნ იცის, რ ა დ გ ა ნ ( რ ა დ თ ა ნ ) კავშირი ძველ ქართულში არა ჩანს.

4. ძველ ქართულში გვაქვს ვ ი ნ ა ი დ ა ნ - კავშირის ასეთი სახეები:

1. ვ ი ნ ა თ გ ა ნ

2. ვ ი ნ ა თ

3. ვ ი ნ ა

პირველსა და მეორე ვარიანტს შორის განსხვავებას - გ ა ნ თანდებული ქმნის: ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია უთანდებულო მოქმედებითის გამოყენება კითხვაზე **საიდან?** მოვიდა კახეთით = მოვიდა კახეთიდან (შდრ. ახ. ქართულში სპორადულად ხმარებული არქაული წარმოება: ცით მოვლენილი = ციდან [← ცითგან] მოვლენილი).

მესამე ვარიანტი ვ ი ნ ა თ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, იმავე მნიშვნელობისაა, როგორც ვ ი ნ ა თ. ამიტომ სავარაუდებელია, რომ ეს იყოს ფონეტიკურად გამარტივებული, ბოლო მოკვეცილი ვარიანტი. რისა? ვ ი ნ ა თ -ისაო, ვიტყოდით, რომ ბოლოკიდური **თ** ძვ. ქართულში საერთოდ იკვეცებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ **-ნ** არის მოკვეცილი: ვ ი ნ ა თ — ვ ი ნ ა თ ნ (შდრ. ვინათ ← ვინათნ). თეორიულად ასეთი წარმოება სავსებით გამართლებულია მორფოლოგიური თვალსაზრისით.

ჩვენი საკითხისათვის არაა არსებითი, თუ როგორ ავხსნით ვ ი ნ ა თ - ვარიანტის წარმომავლობას. მთავარია, რომ ამ ვარიანტს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაიც ორ სხვას.

5. რ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს ძ ვ ე ლ ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ - შ ი ვ ი ნ ა თ, ვ ი ნ ა თ თ? ვ ი ნ ა თ გ ა ნ?

პ ი რ ვ ე ლ ი და ძირითადი მნიშვნელობაა — ს ა ი დ ა ნ. ეს აღნიშნულია სპეციალურს ლიტერატურაში.<sup>2</sup>

<sup>2</sup> იხ. Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленингр. 1925, §124а, გვ. 102.

...და იტყოდეს ვინაჲ არს ესე... ჰადიმ. 75a<sub>1</sub> მკ 62.

ვინაჲ არ ნიშნავს „ვინ“, არამედ „საიდან“; სათანადო ადგილას ლათინურ ტექსტში ზის unde („საიდან“): unde (hulc) ista? ძვ. სომხურში ილსიქ („საიდან“)...

...ჰქა მას ნათანაელ ვინაჲ მიცი მე... ჰადიმ. 158b<sub>2</sub> ინ 1 ლათ.: unde me nosti...

და არა უწყოდა ვინაჲ იყო... ჰადიმ. 159a<sub>2</sub> ინ 2 ლათ.: nesciebat autem unde esset.

... ქარი სადა უნებს ქრის და ვმაჲ მისი გესმის ხ არა უწყი ვინაჲ მოვალნ ანუ ვიდრე ვალნ... ჰადიმ. 106b<sub>1</sub> ინ 3<sub>6</sub> ახ. ქართ.: ქარს, სადაც უნდა ქრის და მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის ანდა საითკენ მიდის.

ლათ.: ...sed nescis unde veniat et quo vadat.

...აწ ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოელი... ჰადიმ. 162a<sub>2</sub> ინ 4<sub>11</sub> ახ. ქართ.: ...საიდან გაქვს...

ლათ.: unde ergo habes aquam tltam vivam.

...რქუა ფილიპეს: ვინაჲ უყიდოთ პური რა ჰამონ... ჰადიმ. 116b<sub>2</sub> ინ 6<sub>2</sub>.

ლათ.: unde ememus panes ut udant isti.

ახ. ქართ.: უთხრა ფილიპეს: საიდან ვუყიდოთ პური, რომ ჰამონ?

ძვ. სომხურის სათანადო ადგილები არ მოგვყავს ტექნიკური მოსაზრებით ყველგან შესაბამის ადგილას გვაქვს ილსიქ „საიდან“.

ამგვარად: ვინაჲ = ძვ. სომხ. ილსიქ = ლათ. unde.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ვინაჲ და ვინ ძვ. ქართულში მკაცრად გარჩეული ჩანს. ახ. ქართულში ვინა-ც ითქმის („ვინაა, რომ მოდის?); ძვ. ქართულში ამ კითხვითს ნაცვალსახელს -ა არ მოუდის:

...გითხრა შენ თუ ვინ არიან სანატრელნი იგი ანუ ვინაჲ არს საქმე მათისა დასაბამისაჲ... კიმენ 53<sub>2</sub>.

... არავინ არს მართალ არცა ერთ: არავინ არს გულისხმის მყოფელ: არავინ არს გამომეძიებელ დთისა... არავინ არს რწცა ყო სიტკბოებაჲ არავინ არს მიერთმღჳ... საქართვე. მუზ. ხელნაწ. A 345<sub>2</sub> 11r.

ვინაჲთ = საიდან („სადაჲთ“):

პირველად დავაწესე სახელის დებად ვინაჲთ მოიწერა წიგნები...

N. Marr et M. Brière. La langue géorgienne, Paris, 1931, § 128a, გვ. 631. აქ ვინა დახასიათებულია, როგორც ლოკატივი და იმავე ფუნქციისადაა მიჩნეული, როგორც აქვს ვინაჲ-ს. ეს საქმის ვითარებას არ შეეფერება, რამდენადაც ძვ. ქართ. გვექნება მხედველობაში.

საქართველოს მუზ. ხელნაწ. A 345, 10v.

ვინაძთ მოიწერა = საიდან მოიწერა...

ვინაძთ -ის ნაცვლად ძვ. ქართულში სადაძთ - სიტყვაც გვხვდება (იშვიათად):

...ჭირი სადაძთ მოვიდა... საქართვე. მუზ. ხელნაწ. 19, 151z.

...სადაძთა მოსწერო ჩემდა კითხვად იგი მის მწრი ზღვთ ანუ ჳმელით იქვე, 186r.

...იტყვან უკუე... სადაძთ არიან სნეულებანი: ანუ სადაძთ არიან უჟამონი იგი სიკუდილნი: სადაძთ არიან დაქცევანი ქალაქთანი... საქართვე. მუზ. ხელნაწ. H 2251, 176v.

ვინაძთ-სიტყვას შეიძლება დაერთოს „დღითგან“ და მაშინ ახალი მნიშვნელობა გვექნება: „რადღიდან“, „რადროიდან“:

...ხ<sup>ნ</sup> ნეტარმან ნიკონ ვინაძთ დღითგან განვიდა სტეფანე მისგან არა ჳმა და არცა სუა... საქართვე. მუზ. ხელნაწ. A 249, 51r.

და ვინაძთ დღითგან მოვედ ამას ადგილსა არა მინახავს დედაკაცი... იქვე, 52v.

ვინათგან = საიდან ისეთ შემთხვევაში, როგორცაა: არა განვაგდე ჩემგან მძიმე ესე ტურთი ცოდვათად ვინაძთგან ესრეთ ადვილ იყო განგდება მისი... საქართვე. მუზ. ხელნაწ. № 2251, 60v.

მაგრამ ვინაძთგან უკვე ძვ. ქართულში მიზეზის კავშირია (= რადგანაც) და ამ მხრივ დამახასიათებელი სწორედ ის კონტექსტებია, სადაც ვინაითგან უდრის „ვინაძთ დღითგან“-ს და დროს განსაზღვრავს (და არა ადგილს): „საიდანაც“ → „რადროიდანაც“:

...აწ უკუე არს მეაცხრამეტი (!) წლითგან ტიბერის კეისრისაძთ ვინაძთგან ქადაგებად სახარებისა იწყო ვიდრე ოცდამეორედ წლადმდე მისა წელნი ოთხ... ხელნ. A № 345, 2v — 3r.

...და არს უკუე ყოველი ჟამი ვინაძთგან წამა: სამას ოცდათხუთმეტ წელ: ვიდრე ამის აწინდელისა მოწევნულისა... ხელნაწ. № 345, 4v.

ვინაძთგან წამა = რადროიდანაც იწამა, მას შემდეგ, რაც იწამა.

...აჳა ესერა ორმეოც და შუდი წელი არს ჩემი ვინაძთგან არლარა გამოსრულ ვარ სენაკით ჩემით შენდა და არცა შენ ჩემდა... საქართვე. მუზ. ხელნაწ. A 249, 49v — 50r.

ახ. ქართ.: ...ორმოცდამეორე წელია მას შემდეგ, რაც არ გამოვსულვარ ჩემი სენაკიდან შენთან და არც შენ [მოსულხარ] ჩემთან.

ვინაძთგან ასეთ შემთხვევაში არც მიზეზის აღმნიშვნელი კავშირია, არც ადგილს განსაზღვრავს.

... რაოდენნიმე დამიზმან ჟამნი უდაბნოს მყუდროებით მსახურებასა შინა ლთისა ჩემისასა: ხოლო აწ ვინაითგან მივეცი ჳელთა თქნთა



არა უგულებელს მყოს ქემან ღნ ჩემმან... კიმენი 49<sup>13</sup>.

შინაარსის მცთარი გაგება იქნებოდა, თუ მოყვანილ ადგილს გადმო-  
ვცემდით ასე: რამდენიმე ხანი გამიტარებია უდაბნოში ღვთის მსახურება-  
ში, მაგრამ ახლა, რ ა დ გ ა ნ ა ც ჩავვარდი თქვენს ხელში, ღმერთი ჩემი  
არ უგულებელმყოფსო. ასეთი დასაბუთება ამის მთქმელს არც უფიქრია; ის  
გვეუბნება: ამდენი ხანი ღმერთს ვემსახურებოდი უდაბნოში და ახლა, მ ა ს  
შ ე მ დ ე გ, რ ა ც თქვენს ხელში ჩავვარდი, ღმერთი არ დამივიწყებსო.

ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ ა ქ ნიშნავს: მას შემდეგ, რაც... იმ დროიდან, რაც...  
(და არა: „რადგანაც“, „რაკი“...).

...მრავალი კეთილი მოვიღეთ ვ ი ნ ა ი თ გ ა ნ იქმენ შენ მთავარ...  
საქართვ. მუზ. ხელნაწ. H 3124, 20.

ეს შეიძლება ასე გაგვეგო: „ბევრი სიკეთე მივიღეთ, რ ა დ გ ა -  
ნ ა ც შენ გახდი ჩვენი მთავარიო“, მაგრამ ტექსტი ამას არ ამბობს;  
ბევრი სიკეთე მივიღეთ მ ა ს შ ე მ დ ე გ, რ ა ც შენ გახდი ჩვენი მთავარიო.

ეს მაგალითი იმითაა საინტერესო, რომ პირველ გაგებას ისე კატე-  
გორიულად არ გამოირიცხავს, როგორც ეს წინა მაგალითში იყო.

...ხ ამიერიდან ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ ცილი თქუა ტყუვილით ჩემ ზე-  
და... არა არს ეგე ძმა ჩემი არცა მოყუასი... საქართ. მუზ. ხელნაწ. A  
249, 52v.

როგორც უნდა გადმოვცეთ ეს ადგილი ახალი ქართულით? ერთი  
შესაძლებლობა ასეთია:

რ ა დ გ ა ნ ა ც ცილი დამწამა, ამიერიდან არაა ის ჩემი ძმა და მე-  
გობარი...

მეორე შესაძლებლობა:

მ ა ს შ ე მ დ ე გ, რ ა ც ცილი დამწამა, (ამიერიდან) არაა ის ჩემი  
ძმა და მეგობარი...

კონტექსტი ამ მეორე გაგებას ამართლებს, მაგრამ პირველსა და მეო-  
რე გაგებას შორის აქ ზღვარი ძნელი გასავლება: ცილის დამწამება რეალუ-  
რი საფუძველია იმისათვის, რომ სათანადო პირმა თქვას — არაა ის ჩემი  
ძმა და მეგობარიო. რატომ? არსებითად ერთია, რას ვიტყვი: რ ა დ გ ა -  
ნ ა ც ცილი დამწამა... თუ: მ ა ს შ ე მ დ ე გ, რ ა ც ცილი დამწამა.

დროში უწინარესი ამ შემთხვევაში მიზეზია იმისა, რაც მას მო-  
სდევს: **post hoc — propter hoc!**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დროში თანამიმდევრობა მიზეზ-შე-  
დეგის ურთიერთობას არ გულისხმობს; **post hoc, n o n propter hoc**-ო გვე-  
უბნება სათანადო სამეცნიერო დისციპლინის ცნობილი წესი.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მიზეზი და შედეგი არ შე-  
იძლება ერთმანეთს დროში მოსდევდეს; ძვ. ქართულმა სწორედ ეს შესაძ-  
ლებლობა გამოიყენა, როგორც ვნახეთ, იმისათვის, რომ მიზეზის აღმნიშ-

ვნელი დამხმარე სიტყვა შეექმნა: **მიზეზის კავშირის აღნიშვნა დაეკისრა იმ სიტყვას, რომელიც დროში თანამიმდევრობას გამოსახავდა, მასზე წინ კიდევ — სივრცეში თანამიმდევრობას.**

ს ა ი დ ა ნ? რ ა დ რ ო ი დ ა ნ? რ ი ს გ ა მ ო? — ამ სამი კითხვით გადმოიცემა სამი ს ა ფ ე ხ უ რ ი ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ - ვ ნ ე ლ ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა ძველ სალიტერატურო ქართულში.

ძვ. ქართულში არც ისე იშვიათია ისეთი შემთხვევები, სადაც ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ = რ ა დ გ ა ნ ა ც, ე. ი. მიზეზის კავშირია.

მაგალ.: რლმან ცოდვისათვის მოყუსისა თუისისა დასთხიოს ცრემლი მჭურვალე იგი თავსაცა თუსსა ჰკურნებს ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ ძმისათვის იგლოვს... H 2251, 172v.

რატომ „ჰკურნებს“ თავის თავს? იმიტომ, რომ ძმისთვის ტირის („იგლოვს“). ვინადთან = რადგანაც (თუ ზუსტად გვესმის ტექსტი).

მაგრამ საკმაოდ ხშირად ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ სიტყვის მნიშვნელობაში დ რ ო ზ ე მითითების ნიუანსი მაინც საგრძნობია:

მიუგო მთავარმან: და ჰრქუა ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ ერთგზის მოგეცით ფლობად სიტყვსგებად ჩუენდა. იტყოდე პირველად მას რომელიცა ვნე-ბავს... კიმენი 507.9.

ერთის შეხედვით, არაფერი გვიშლის შინაარსი გადმოცემა ასე: მთავარმა უთხრა: რაკი (რადგანაც) მოგეცით ერთხელ ჩვენთვის პასუხის გაცემის უფლება, თქვი პირველად, რაც ვინდა...

უფრო ზუსტი კი იქნება, თუ ვიტყვით: მ ა ს შ ე მ დ ე გ, რ ა ც მოგეცით პასუხის გაცემის უფლება...

...და დაითმინის ფრიადი უპოვარებად საზრდელისად: და ვ ი ნ ა - დ თ გ ა ნ ძალ-უძს კაცსა ესე ყოველნი დათმენად კაცისა მიერ თუსისავე მსგავსისა შემთხუეული რავდენ ფრიად უმეტეს უღირს კაცსა რადთა მოითმინეს ღთისათუს ესე ვითარნი... კიმენი 5610-12.

ესე იგი: რ ა დ გ ა ნ ა ც კაცი კაცისაგან აიტანს ამისთანა რამეებს, კიდევ უფრო მეტი უნდა აიტანოს (მოითმინოს) ღმრთისაგანაო!

და მაინც აქ აჯობებდა გვეხმარა: რ ა კ ი კაცი აიტანს... მ ა ს შ ე მ დ ე გ, რ ა ც კაცისაგან აიტანს...

გარჩევა საჭიროა (და არა მხოლოდ სასურველი) ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა:

...აწ ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ ესე სიტყუანი გასმიან მოედით მისსა მიილეთ ნათელი... საქართვ. მუზ. ხელნაწ. H 2251, 81r.

: მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები გესმათ, მოდით და ნათელი მიილეთ. სიტყვების მოსმენა წინ უსწრებს, მაგრამ მიზეზი არაა დასკვნისათვის, რომელსაც მთქმელი აკეთებს.

...და კუალად მეცა მაცთუნა ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ დამსუა მისთანა ამას

ადგილსა ორმოც და შუდსა წელსა... ხელნაწ. A 249, 51v.

აქ „ვინადთგან“ უფრო ახლოსაა „რადგანაც“ კავშირთან, მაგრამ ტოლობის ნიშანი მაინც არ დაისმის; შეცთომაში შემიყვანა მას აქეთ, რაკი მასთან დამსვა ორმოც და შვიდ წელსაო...

მაგრამ ჩვენი ძირითადი მიზნის თვალსაზრისით ასეთი შემთხვევები არაა არსებითი. აქ გვანტერესებს არა გ ა რ დ ა მ ა გ ა ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ი, არამედ ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ი ს ა კ ვ ა ნ ძ ო მ ო მ ე ნ ტ ე ბ ი, რომლებიც დასტურდება ვ ი ნ ა მ თ (= ვ ი ნ ა მ თ გ ა ნ) სიტყვის მნიშვნელობის განვითარებაში.

ცნობილი იყო, რომ ვ ი ნ ა მ = ს ა ი დ ა ნ; ვინადთგან = „ს ა ი დ ა ნ“; „რ ა დ გ ა ნ ა ც“. შეუძნეველი რჩებოდა ის ფუნქცია, რამაც შესაძლებელი გახადა ვ ი ნ ა მ თ გ ა ნ მიზეზის გარემოების კავშირად ქცეულიყო: **დროში ზღვარდება.**

ამ შუა რგოლის გამოვლენას მნიშვნელობა აქვს, როგორც მომდევნო, ისე წინა საფეხურთან ურთიერთობის თვალსაზრისით:

სივრცის აღმნიშვნელი სიტყვა (ვ ი ნ ა მ თ გ ა ნ = ს ა ი დ ა ნ) დროის აღნიშვნას კისრულობს (ვ ი ნ ა მ თ გ ა ნ = რ ა დ რ ო ი დ ა ნ) და მიზეზის აღსანიშნავ კავშირად იქცევა (ვ ი ნ ა მ თ გ ა ნ = რ ა დ გ ა ნ ა ც).

ამ კერძო მაგალითში გარკვეული ფსიქოლოგიური კანონზომიერება მჟღავნდება: ს ი ვ რ ც ე — დ რ ო — მ ი ზ ე ზ ი: კონკრეტულიდან — განყენებულისაკენ, ესაა ზოგადი ტენდენცია. იგი სხვა ფაქტებიდანაც ცნობილია ქართული ენის ისტორიაში. ანალოგიურ ფაქტებს სხვა ენათა ისტორიაც გვაწვდის. ამდენად, ქართული ენის ისტორიიდან დადასტურებული ფაქტი ახალ მასალაზე ძველი დებულების ილუსტრაციაა.

სხვა ენების ფაქტებზე აქ ვერ შევჩერდებით უადგილობის გამო.

საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ აღვნიშნოთ სივრცისა და დროის მნიშვნელობათა განვითარების მაუწყებელი ზოგი სხვა ფაქტიც, ისევე ქართულიდან, ისიც გაკვრით.

„ვ ი დ რ ე“ ... ახ. ქართულში ესაა სინონიმი სიტყვისა „სანამდის“ (მასვე ვხმარობთ შედარებისას: „ვიდრე“ = ვინემ).

„ვიდრე ჭკვიანი დაფიქრდეს, გიჟი ხიდს გადაირბენსო“ = სანამ ჭკვიანი დაფიქრდება, გიჟი ხიდს გადაირბენსო (ანდაზა).

მაგრამ გამოთქმაში: „ვ ი დ რ ე ხვალ, უფალო? „ვიდრე“ დროზე არ მიუთითებს: ვიდრე ხვალ = „სად (საითკენ) მიდიხარ?“ — **Камо грядеши? Qui vadis?**

და ეს მნიშვნელობაა ამოსავალი ახლანდელი გაგებისათვის, ამგვარად: ვ ი დ რ ე:

1. ს ა დ? ს ა ი თ კ ე ნ?
2. ს ა ნ ა მ დ ი ს? რ ა დ რ ო მ დ ი ს? რ ო დ ე მ დ ი ს?

3. ვინემ (შესადარებელი კავშირი: დღესა სჯობს, ვიდრე ხვალ...). ქართული თანდებული ზე სივრცეში დეტერმინაციას გულისხმობს: მთაზე თოვლი ძვეს...

ძვ. ქართულში ზე და გვქონდა: მთასა ზედა = მთაზე. მაგრამ მარტივი, და-ნაწილაკ-დართული სახეობაც გვხვდება:

ვერ ვიკადრე ახილვად ზე პირი ჩემი ქყნით... საქართვე. მუხ. ხელნაწ. A 19, 107<sub>1</sub>.

აქ ზე ისევე, როგორც ზე და სივრცეში დეტერმინაციას გვაძლევს: მაგრამ ძვ. ქართულში ზე **დროის** აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა:

ვითარ იგი შევიდა სახლსა ღისასა აბიათარ მღდელთ-მოდღურისა ზე და პურნი იგი შესაწირვისანი შეჭამნა... ჰაღიშ. 68<sub>b</sub>, მკ 226.

შევიდა — როდის? აბიათარ მღდელთ-მოდღურისა ზე — ე. ი. აბიათარის მღდელთმოდღვრობის დროს.

...რომელმან იგი მიიღო გვრვანი მოწამებისა დეკეოზის ზე უსჯულოდსა მის მეფისა... კიმენი 486-გ.

მოწამების გვირგვინი მიიღო — როდის? დეკეოზის ზე, ე. ი. დეკეოზის დროს, დეკეოზის მეფობაში.

ზე-ს მნიშვნელობა აქაც გაირჩევა:

1. სივრცეში ლოკალიზაციის ჩვენება (სად?)

2. დროში ლოკალიზაციის ჩვენება (როდის?)

„ვიდრე“ იხმარებოდა აგრეთვე შედარებისას. ახ. ქართულში ზე-ც შეიძლება ამ ფუნქციით შეგვხვდეს: მღრ. მთაზე თოვლის დევს... მთაზე მაღალი...

...მიმპარავი ძაღლი მყეფარაზე უარესიაო (ანდაზა).

ამ მესამე ფუნქციას თავი რომ დავანებოთ, ზე-ს ორი მნიშვნელობა აღმოაჩნდა, რაიც ვიდრე-ს ქონდა, ოღონდ ერთი განსხვავებით: ვიდრე-მ დაკარგა ძველი გაგება (ვიდრე = სად, საით), ვიდრე = სანამდის, როდემდის...

ზე-ს არ განუვითარდა (თუ არ შერჩა) მეორე მნიშვნელობა, ძველ ქართულში რომ ჩანს (ზე = დროს).

ამისდა მიუხედავად, ეჭვს გარეშეა ერთი რამ: როგორც „ვიდრე“, ისე „ზე“-ს მნიშვნელობისათვის ამოსავალია სივრცეში ლოკალიზაცია, მეორეულია დროში დეტერმინაცია.

ამ მხრივ ვინაძეთ (II ვინაძეთაგან), ვიდრე, ზე ერთისა და იმავე ფსიქოლოგიური კანონზომიერების ილუსტრაციას წარმოგვიდგენენ.

თანამიმდევრობა, რომელსაც ენობრივი ფაქტების, სახელდობრ, სიტყვის ფუნქციათა განვითარება ამჟღავნებს, არაა მოკლებული მნიშვნელობას აზროვნების ისტორიის თვალსაზრისითაც, როგორც ამას სათანადო ლიტერატურაში აღნიშნავენ ხოლმე.

**К РАЗВИТИЮ ЗНАЧЕНИЯ НЕКОТОРЫХ СЛОВ В ДРЕВНЕ-  
ГРУЗИНСКОМ ЛИТЕРАТУРНОМ ЯЗЫКЕ  
(В АСПЕКТЕ ВЗАИМООТНОШЕНИЙ "ПРОСТРАНСТВЕННОГО"  
И "ВРЕМЕННОГО" МОМЕНТОВ)**

**РЕЗЮМЕ**

В новогрузинском литературном языке наличны два союза причины: რადგანაც (რადგან) *radganac (radgan)* и ვინაიდან *vinaidan* "так, как", "потому что"; эти союзы синонимичны.

Из них в современном грузинском лит. языке более употребителен союз რადგანაც *radganac*; ვინაიდან *vinaidan* носит на себе некоторый налет архаичности.

Для древнегрузинского литературного языка (VI-XI в.в.) характерен именно союз ვინადგან *vinaytgan*.

В языке Руставели (XII в.) на несколько случаев употребления союза ვინატგან *vinatgan* приходится более сорока примеров на союз რატგან *ratgan*: в отношении данного союза так же, как и по ряду других явлений, язык Руставели тяготеет к новогрузинскому литературному языку.

Союзы რადგან(აც) *radgan(ac)*, ვინაიდან *vinaidan* по своему составу суть творительные падежи слов რა *ra* ("что") и ვინა *vina* ("где") с наращенным послелогом -გან *-gan*, причем эти послеложные формы претерпели определенные фонетические изменения:

რადგან *radgan* — რათ-გან *rat-gan* ← რადთ-გან *rayt-gan* букв. "от чего"...

ვინაიდან *vinaidan* — ვინა-იდ-გან *vina-id-gan* — ვინა-ით-გან *vina-it-gan*.

В древнегрузинском литературном языке ვინადგან *vinaytgan* может с предлежать и без послелога: ვინადთ *vinayt*; рядом с последним попадаетея и ვინად *vinay*.

Основное значение ვინად *vinay* "откуда", ვინადთ *vinayt* — "откуда"; ვინადგან *vinaytgan* — "откуда", "так, как", "потому что" (Н. Мара).

В древнегрузинских текстах встречаются определенные контексты, в которых ვინადგან *vinaytgan* вы ст у п а е т с н о в ы м з н а ч е н и е м — "с тех пор, как", "п о с л е т о г о, к а к"; как, например:

აჰა ესერა ორმეოცდაშუდი წელი არს ჩემი ვინადგან არღარა გამოსრულ ვარ სენაკით ჩემით *aha esera ormeocdašudi čeli ars čemi vinaytgan arğara gamosrul var senakit čemit* "и вот уже сорок семь лет с тех пор, как я не выходил из моей кельи..."

Аналогичных примеров немало.

Данное значение ("с тех пор, как", "после того, как") и является посредствующим звеном между ис-

ходным значением ("откуда") и конечным ("потому, что", "так, как").

Таким образом, выявляются три узловых момента в развитии значения слова ვინაიდან *vinaytgan*:

1. "откуда" (детерминация в пространстве),
2. "с тех пор, как", "после того, как" (детерминация во времени),
3. "так, как", "потому, что" (установление причинной связи).

Случаи развития значения слов по этапам: "пространство" — "время", психологически вполне закономерное, известное из истории других языков. На материале древне-грузинского языка аналогичное развитие значения ("пространство" → "время") прослеживается и в других случаях; таковы, например:

ვიდრე *vidre*: 1. "куда": др.-груз. ვიდრე ხვალ *vidre xval* "камо грядеши?"

2. "пока" (в ново-груз. яз.).

ზე *ze* 1. "на": др.-груз.: ზე ახილვა *ze axilva* "вверх смотреть",  
нов. груз.: მთაზე *mtaze* "на горе"

2. "при", "во время" — в др.-груз. лит. яз.: აბიათარ მღვდელთ-  
მოძღურისა ზე *abiatar mvdeltmozurisa ze* "при первосвященнике Авиатаре"  
(точнее: "в бытность первосвященника Авиатара")...

Вскрываемая лингвистическими фактами последовательность развития функций слова — "пространство" → "время" не лишена значения, как то известно из специальной литературы,<sup>3</sup> и в аспекте истории развития человеческой мысли.

ქ. „ფსიქოლოგია“, ტ. III, გვ. 485-492

<sup>3</sup> Имеется в виду литература по психологии (resp. философии) языка.

## წყარო სიძლიერისა

გაზეთმა „კომუნისტმა“ 1969 წლის 29 აპრილს გამოაქვეყნა ვ. თოფურიას და ივ. ჭავთარაძის წერილი — მოწოდება კუთხური სიტყვების შეკრების თაობაზე ადგილობრივი ინტელიგენციის ძალებით..

პასუხად გაზეთის რედაქციას დიდძალა მასალა მოუვიდა, 1966-68 წლების მანძილზე გაზეთი „კომუნისტი“ დროდადრო ბეჭდავდა რედაქციაში გამოგზავნილი მასალის ნიმუშებს.

კუთხური სიტყვების ამ წესით შეკრება კარგი წამოწყებაა: კუთხური ლექსიკის შესწავლა საჭიროა ქართული დიალექტოლოგიისათვის და არანაკლებ — სალიტერატურო ქართული ენის გამდიდრება-განვითარების თვალსაზრისით.

კაცი იტყოდა: სალიტერატურო ქართულს რაში გამოადგება კუთხური, დიალექტური ლექსიკაო. კუთხური აკი უპირისპირდება სალიტერატუროსაო; დიალექტები ბევრია, სალიტერატურო ქართული ენა ერთია, ეს ერთი ენა ქართველების ეროვნული ენაა. ეს ენა უნდა იყოს ერთიანი და, მამასადამე, ის კუთხურს ვერ იგუებსო.

მართლაც-და, კუთხური ფორმები („დეიწყო“, „წეილო“, „მაიყვანა“, „მოიდა“, „აქვეყ“, „აქვენ“ და მისთანანი) სალიტერატურო ქართულს არაფერში არგია. ასეთ შემთხვევაში კუთხური უპირისპირდება სალიტერატუროს. სალიტერატუროა „დაიწყო“, „წაილო“, „მოიყვანა“, „მოვიდა“, „აქვთ“... „დეიწყო“, „წეილო“, „მოიდა“, „აქვეყ“, „აქვენ“ და მსგავს ფორმათა პარალელური ხმარება უადგილოა; ასეთი კუთხური ვარიანტების ნაირგვარობა სალიტერატურო ენის სიმდიდრეს კი არ ნიშნავს, არამედ მის დაძაბუნებას მოასწავებს. ერთიანობა ფორმათა — ძალაა, სიჭრელე — ენის სისუსტის წყაროა.

განსხვავებული ვითარება გვაქვს, როცა საქმე სტილს და მის ერთ-ერთ კომპონენტს — ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას ეხება. სტილის სფეროში ერთფეროვნება სალიტერატურო ენას გააღარიბებდა. ნაირგვარობა, რა თქმა უნდა, არაყოველთაო — სტილის სფეროში სალიტერატურო ენის სიმდიდრეს ნიშნავს.

„კუთხური სიტყვა“ პრინციპში არ უპირისპირდება „სალიტერატუროს“, „ლიტერატურაში უხმარი სიტყვა მხოლოდ ამის გამო არალიტერა-

ტურულად არ მიიჩნევა. პირუკუც: ლიტერატურაში რაც გვხვდება, ყველაფერი ლიტერატურული არაა“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, 1950 წ. „წინასიტყვაობა“, გვ. 9). „სალიტერატურო ენა ვერ ამოსწორავს სიტყვათა მარაგს: მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება. საჭიროების შემთხვევათ, რომ ვთქვით, ვგულისხმობთ, რომ საამისო შინაარსის გადმოსაცემი სხვა სიტყვა სამწერლო ენაში არ გავგაჩნია (მაგალითად, „ჯაგრცხილა“ გვაქვს სალიტერატურო ენაში, კვინცხა მეტია, ასევე „იფანი“ და „კოპიტი“, „იფნის სახრე“ და არა „კოპიტის სახრე“). დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფალ ადგილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს.

„ლილვი“, ამჟამად ტექნიკურ ტერმინად მიღებული (**"коленчатый вал"** — „მუხლა ლილვი“, **приводной вал** — „ამძრავი ლილვი“). ასევე „კარჭაპი“ (**"баржа"**-ს მნიშვნელობით) ჩვენმა პრესამ რომ დაამკვიდრა, ხალხური მეტყველებიდან აღებული სიტყვათაგანია საბას ლექსიკონში („ლილვი“ ქართლ-კახეთსა და გურიაშიც იხმარება), წარმოშობით კუთხური სიტყვა სალიტერატურო ენის ლექსიკაში დამკვიდრდა, სალიტერატურო ქართულის ლექსიკონს შეემატა და შეერგო.

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი მასალა გვაწვდის არა ერთ სიტყვას, რომელიც „ლილვსა“ და „კარჭაპსავით“ შეიძლება გამოადგეს სალიტერატურო ქართულს. აი ორიოდ ნიმუში:

ბრილი — ჩრდილოეთისაკენ დაქანებული უმზეო ადგილი;

ქცეულანი — ძლიერი მოსახვევები გზაში;

ჩქურთი — წრისებური სატეხი ხის გულის ამოსაღებად;

ფიშორი — კანაფის თოკი;

ორჯერა — შავნიკარტა თეთრი ჩიტი;

ჯაყაყა — ჩიტია, ბელურაზე ცოტა დიდი, ბუდეს ღობეში აკეთებს.

„დახვეული“, „ნამგლოვანი“, „სართვიანი“ — გამომცხვარი პურის ნაირსახეობათა აღმნიშვნელი სიტყვებია და სხვ.

„ბრილი“, „ქცეულანი“, „ფიშორი“ და მსგავსი სიტყვები სალიტერატურო ქართულს შეეფერება და გამოადგება. რა თქმა უნდა, ასეთი სიტყვები უნდა შეირჩეს (კუთხურ სიტყვათა მეტი წილი დიალექტური ლექსიკონების მასალად დარჩება). რომ შეირჩეს, უნდა აღვსახოთ, ჩავიწეროთ..., კუთხურ სიტყვათა აღნუსხვა-ჩაწერა საშური საქმეა: სიტყვები იკარგება; წინა თაობამ იცის, მომდევნომ შეიძლება არ იცოდეს.

დიალექტური ლექსიკა ქმნის სალიტერატურო ენის გამდიდრების სარეზერვო ფონდს.

ეს ფონდი რაც შეიძლება სრულად უნდა გამოვავლინოთ. რაც შეიძ-



ლება სრულადაც, იმიტომ ვამბობთ, რომ ცოცხალი ენის ლექსიკონის სისრულე ყოველთვის შეფარდებითია (სრული ლექსიკონი მხოლოდ მკვლარი ენისათვის შეიძლება შედგეს, ვთქვათ, ისეთისათვის, როგორც ლათინური ენა).

სარეზერვო ფონდის სიტყვები „გამოადგება სამწერლო ენას, თუ დავიცავთ, დააკლდება, თუ დავუკარგავთ“ (განმარტ. ლექსიკ., ტ. I, წინასიტყვაობა, გვ. 009).

ქართულ სალიტერატურო ენას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამ ტრადიციას ანგარიში უნდა გავუწიოთ; საუკუნეთა მონაპოვარი უნდა განვაგვიტაროთ და მათ ისტორიულ ტრადიციასთან კავშირი შევუნარჩუნოთ დღევანდელ სალიტერატურო ენას. ეს არის ერთი ამოცანა.

ქართული სალიტერატურო ენა ამჟამად პოლივალენტოვან სალიტერატურო ენას წარმოადგენს: მას მოეპოვება ფუნქციათა მაქსიმუმი, რაც კი შეიძლება ჰქონდეს სალიტერატურო ენას (სახელმწიფო ენაა; ყველა საფეხურის სკოლაში სწავლა ქართულად წარმოებს; შექმნილია და იქმნება მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურა — მხატვრული, სამეცნიერო, პოლიტიკური, ორიგინალურიცა და ნათარგმნიც...).

ახალი ცნებების გადმოსაცემად ახალი სიტყვებია საჭირო. მართალია, ზოგი ცნება ინტერნაციონალური ტერმინებით გადმოიცემა („სისტემა“, „ანალიზი“, „სინთეზი“...) და ქართულად თარგმნა არ სჭირდება, მაგრამ ბევრია ისეთი სიტყვა, რომ უთარგმნელად ვერ დარჩება.

ფუნქციათა მაქსიმუმი, პოლივალენტოვნობა ქართულ სალიტერატურო ენას დიდ მოთხოვნებს უყენებს. ქართული ენის ლექსიკური (და სტილისტიკური) შესაძლებლობა აქ სრულად უნდა გამოვლინდეს და განვითარდეს ამ შესაძლებლობის აქტივიზაციის პროცესში.

მრავალსაუკუნოვანი განვითარების მიღწევათა გამოყენება, ერთი მხრით, თანამედროვე, ხალხური ქართული ენის (კერძოდ, დიალექტების) ლექსიკურ შესაძლებლობათა გამოვლენა-გამოყენება, მეორე მხრით, — ასეთია ამოცანა. მის სწორად გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმალური განვითარება.

ზოგადად ჩვენი დასკვნა ასეთია:

დაწყებულია კარგი საქმე: კუთხური ლექსიკის ჩაწერა — შეგროვება სალიტერატურო ქართული ენის გამდიდრება-განვითარების თვალსაზრისით სასარგებლო საქმეა. საჭიროა სათანადო მუშაობა გაიშალოს. საქმის ენთუზიასტები ადგილობრივ უფრო მეტად ჩაებან ამ საქმეში.

მიზანშეწონილია ჩაწერილი მასალა იბეჭდებოდეს წინანდებურად — შერჩევით. დროდადრო — გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე, ერთსა და იმავე ადგილას ერთი და იმავე სათაურით (ვთქვათ: „ქართული ლექსიკის ამოუწყავი საუნჯიდან“).

ადგილობრივი ჩაწერილი სიტყვის მნიშვნელობას შეიძლება ან სისრულე აკლდეს (შემთხვევითი კონტექსტი) ან სიზუსტე. ამას უნდა მოევლოს კერძოდ, საჭირო იქნებოდა საინსტრუქციო წერილი, რაც შეიძლება მარტივი (იქნებ კონსულტაცია — ზოგჯერ რაიონში, ადგილობრივ).

მეტად სასურველია ჩანახაზები, როცა საქმე ეხება ადგილობრივ ხმარებულ ნივთს, იარაღს, საგანს (მაგალითად, „ჩქურთი“ — წრისებური სატეხი).

გაზეთის რედაქციას დასჭირდება მუდმივი კონსულტანტი — დიალექტოლოგი, რათა რჩევა-დარიგება მიაწოდოს სიტყვათა ჩამწერთ, უხელმძღვანელოს გამოგზავნილი მასალის შენახვა-დამუშავებასა და გამოქვეყნებას (იგულისხმება, რომ რედაქციის მუშაკთაგან გამოიყოფა ცალკე პირი, რომელიც ლექსიკურ მასალას მოუვლის კონსულტანტის რჩევის კვალობაზე).

ბუნებრივი იქნება, რედაქციამ იფიქროს იმ პირთა წახალისებაზე, რომელთა მასალა ფასეული აღმოჩნდება.

გაზ. „კომუნისტი“, 1969, 16 აგვისტო, გვ. 3.

## სინონიმების დიალექტური წარმომავლობისათვის ძველ ქართულ სამწერლო ენაში

1. სინონიმები გვაქვს ძველი ქართულის ლექსიკაში: „იცის“ და „უწყის“, „მეყსეულად“ („მეყსა შინა“) და „მუნქუესვე“, „კინ“ და „მცირე“. სინონიმები გვაქვს მორფოლოგიაშიც.

2. ლიტერატურაში ცნობილია აზრი **ჰ-** და **ხ-** პრეფიქსთა დიალექტური მონაცვლეობის შესახებ.

**-ევ** სუფიქსი ძველ ქართულში დიალექტურ კუთვნილებად მიაჩნია ა. შანიძეს (როგორც ზმნაში, ისევე ნაწარმოებ სახელებში).

3. გვაქვს საფუძველი მრავლობითის **-ებ** სუფიქსი სხვა დიალექტის კუთვნილებად მივიჩნიოთ, ვინემ **-ნ** სუფიქსი (**-ებ** სუფიქსთან მრავლობითს ზმნა არ ეთანხმება რიცხვში — არც სუბიექტს და არც ობიექტს).

**-ნ**-იან მრავლობითს სახელებში ზოგჯერ მიიჩნევენ წყვილობითის ნიშნად, მაგრამ ზმნაში წყვილობითის რამე ფარდი ვარიანტი არ მოიპოვება.

4. **-ნ||-ენ** სუფიქსი ქართული ენის ძირითადი ფენის კუთვნილება ჩანს.

საგანგებოდ შესასწავლია ამ სუფიქსის ისტორიული ურთიერთობა **-ევ** სუფიქსთან, როცა ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან **-თმ-ობ-ს** (← **თმ-ეგ-ებ-ს**) ითმ-ენ-ს:

...ვერ დაუთმოზ და ხილვად ჭირთა და განსაცდელთა („სინარაითის მამათა მოწყვეტა“ — კიმენი, I).

თუ კაცი ჭირსა არ დათმოზს, ლხინი რა დასათმოზია („ვეფხისტყაოსანი“):

ჭირს დათმოზს — გასაჭირს აიტანს, გაუძლებს, მოითმენს.

შდრ. რომელმან დაითმოზს სრულიად, იგი ცხოვნდეს (ოთხთავი, მ.24,13).

5. ნ. მარი ვარაუდობდა სისინა (ქართ. „სული“), შიშინა (ზან. „შური“) და სპირანტულ (!) (სვან. „ჭვინ“) ფენათა გამოყოფას იაფეტურ (ქართველურ) ენებში და შემდეგ, საერთოდ, ყველა ენის შრეების მიხედვით შესწავლის აუცილებლობას. ეს კი გულისხმობდა დებულებას ყველა ენის ნარევი ხასიათის შესახებ.

გარკვეულ ფარგლებში სწორი აზრის უნივერსალიზაცია  
მცდარ დებულებად იქცევა ხოლმე.

*VII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია,  
მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის  
შედგენის პრინციპებისა და დიალექტოლოგიისა და ენის  
ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი (ქ. ცხინვალი, 1985  
წლის 23-25 ოქტომბერი), მუშაობის გეგმა და მოხსენებათა  
თეზისები*

## Реальность синонимов и возможность синонимических словарей

Синонимический словарь, естественно, ставит вопрос о синонимах. Возможны два ответа: 1) синонимы в лексике существуют (следовательно, синонимичные словари возможны); 2) подлинных синонимов не бывает (соответственно, вопрос о словаре синонимов отпадает).

Вопрос о синонимах решается в том и другом случае в зависимости от того, что считается значением слова и однозначным словом.

1. Лексическое значение слова не есть ни представление (как раньше считалось), ни понятие, связанное со звуковым комплексом (как обычно теперь полагают). Значение – отношение к обозначаемому (к "денотату") – т. е. к предмету, явлению, факту реальной действительности. Мы знаем значение слова, если знаем, к какому обозначаемому оно относится, ср.: *дом, oxori, kor, rug, bautun*. Значение первого слова известно для каждого, знающего русский язык; но этого нельзя сказать о других звуковых комплексах, хотя они обозначают тот же предмет в чанской, сванской, аварской, арабской речи.

Обозначаемое ("денотат"), как факт действительности, дает себя знать особенно в тех случаях, когда произвольно пытаются менять отношение: стоит *скупого* назвать *щедрым*, как слово приобретает ироническое значение.

Что значение слов есть отношение к обозначаемому факту действительности, этому, казалось бы, противоречит известное обстоятельство, которое может быть иллюстрировано на следующем примере: одно и то же лицо (допустим, *Александр Сергеевич*) может обозначаться словами **врач, депутат, сосед**, поскольку они могут относиться к нему – обозначаемому одно и то же лицо, но слова *врач, депутат, сосед* от этого не становятся однозначными, эти слова никто не станет считать синонимами.

Противоречие здесь кажущееся: реальный объект (*Александр Сергеевич*) во всех этих случаях – одно и то же лицо, но слова *врач, депутат, сосед* выделяют разные стороны этого объекта, т. е. имеют своим обозначаемым различные предметы, к которым и относятся; относясь к различным предметам, слова *врач, депутат, сосед* являются разными по значению и, естественно, не могут считаться синонимами.

Аналогичный случай различения объекта и предмета представлен в таких науках, как *география* и *геология*; обе науки изучают землю, но "с различных сторон": реальный объект – Земля – один, предметов же науки – два.

2. Но однозначные слова тем самым не являются эквивалентными по значению. Объективный момент – отношение к обозначаемому – может усложниться эмоциональным (субъективным)

элементом, который привносится говорящим, ср.: *умер – скончался – сдох*: слова, однозначные по объективному моменту, но не эквивалентные по субъективному элементу.

Однозначные слова в лексической и семантической системе языка могут различаться и по другим моментам, а именно:

1. По смысловой сочетаемости в синтагме; ср.: *бросать камни, бросать тень – кидать камни, кидать тень* – невозможное сочетание: *бросать и кидать* не эквивалентны по смысловой сочетаемости.

2. По деривационным возможностям: *языковедение* и *языкознание* – слова однозначные, но деривационные ряды у них различные; ср.: *языковедение, языковед, языковедческий* – *языкознание* соответствующих производных основ не дает (*языкознанец, языкознанский* – немыслимые образования).

Из всего сказанного следует: эквивалентных (по значению) слов не бывает. Однозначные слова в лексике имеются. Считать синонимами лишь эквивалентные слова – значит отрицать наличие синонимов.

Изучение лексики того или иного языка, естественно, предполагает выявление однозначных слов в лексическом составе. Составление "Словаря синонимов" не только возможно с точки зрения теоретической, но и весьма актуально с точки зрения лексикологии и семасиологии.

Значение словаря синонимов для практической стилистики, для целей, которые определяются требованиями культуры речи трудно переоценить. Было бы желательным в "Словаре синонимов" выявить (в пределах возможности) различия, существующие между однозначными словами не только эмоциональной окраске, но и в отношении смысловой сочетаемости и деривационных возможностей.

В понимании синонима среди языковедов имеются расхождения, но необходимость составления словаря синонимов ничем не отрицается.

В проекте "Словаря синонимов русского языка", разработанном А. И. Евгеньевой, последовательно проводится определенная точка зрения. Основные положения "Проекта" являются не продуктом отвлеченного суждения, а строятся с учетом опыта большой лексикографической работы, которая проводилась и проводится в Словарном секторе Института русского языка АН СССР.

Однако решение ряда вопросов в "Проекте" – о разграничении современного языка и диалекта, общенародного языка и специальной лексики – может вызвать замечания, встречаются и неувязки частного характера.

"Словарь синонимов русского языка" – большая и очень нужная работа, успешного завершения которой мы пожелаем коллективу лексикографов, которому предстоит эту полезную работу осуществить.

## სალიტერატურო ენა და ნორმა

1. სალიტერატურო ენა ერთია<sup>1</sup>, დიალექტი კი ენაში არა ერთი გამოიყოფა: ერთი სალიტერატურო ენა სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ ნაირგვარობა, სიჭრელე ცოცხალი დიალექტური მეტყველებისა თავიდან აიცილოს. საამისოდ საჭიროა ნორმა: სალიტერატურო ენას ნორმები რომ არა ჰქონდეს, ერთიანობას დაკარგავდა. სალიტერატურო ენისათვის ნორმატულობა ნიშანდობლივია.

2. სამწერლო ენის ნორმა ფართო საზოგადოების წარმოდგენაში გრამატიკას უკავშირდება: გრამატიკას ეკითხება, რაა ნორმის შესაბამისი სწორი და, მაშასადამე, სავალდებულო, და რა უნდა მივიჩნიოთ სამწერლო ენისათვის შეუფერებლად, უმართებულოდ. ერთი სიტყვით, „გრამატიკა აწესებს ნორმებს“ — ასეთია გავრცელებული შეხედულება.

რა თქმა უნდა, გრამატიკა წესებს არ ამყარებს, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც გრამატიკა იქცა მეცნიერებად (XIX ს.): მეცნიერული გრამატიკა ვერ იკისრებს ნორმების დაწესებას, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე გრამატიკა (ე. წ. ფილოლოგიური, ანუ ტექნიკური გრამატიკა) ნორმატული დისციპლინა იყო; ის არკვევდა, რა გვაქვს სამწერლო ენაში და როგორ უნდა იყოს: „მართლწერა“ (ორთოგრაფია) ითვლებოდა გრამატიკის აუცილებელ ნაწილად („ეტიმოლოგია“, „სინტაქსი“, „ორთოგრაფია“); რას მოითხოვს „წესი“ და რა წარმოადგენს „გამონაკლისს“. ორთოგრაფია განსაზღვრავდა გრამატიკის არსებობის აზრს, ხოლო გრამატიკის არსებობა სამწერლო ენას უკავშირდებოდა: უმწერლო ენის გრამატიკის საკითხი არ დაისმოდა.

იმთავითვე ფილოლოგიურ გრამატიკას არა ჰქონია ნორმატული ხასიათი (გგულისხმობთ ძველი ბერძნული ენის გრამატიკას), მაგრამ ლათინური

---

<sup>1</sup> იშვიათად ისიც ხდება, რომ ერთი ენის ორ დიალექტზე შეიქმნება მწერლობა (გარკვეულ ისტორიულ პირობებში); მორდოვული ენა (მორდოვეთის ასსრ) ერთია, მწერლობა კი ორ დიალექტზე გაიჩინა (მოკმა, ერზია); ასევე ორ დიალექტზე აქვს მწერლობა მარტიულ ენას (მარტიელთა ასსრ); ერთია მთის მარტიელთა, მეორე — ბარის მარტიელთა...

ძველი სომხური ენა (გრაბარი) ერთი იყო; ახლა ორი სამწერლო ენა გვაქვს: აღმოსავლურ-სომხური (სომხეთის სსრ) და დასავლურ-სომხური ენა (თურქეთსა თუ უცხოეთის სხვა ქვეყნებში).

ნური ენის შესწავლამ შუა საუკუნეებში გრამატიკას ნორმატული ხასიათი შესძინა და განამტკიცა ნორმატული თვალსაზრისით; მას შემდეგ, რაც რომის იმპერია დაემხო მეხუთე საუკუნეში (476 წ.), ლათინური ენა თანდათანობით გამოდის ხმარებიდან, როგორც ზეპირი ურთიერთობის საშუალება, მაგრამ რჩება ერთადერთ სამწერლო ენად რომის იმპერიის ყოფილ მიწა-წყალზე საუკუნეთა მანძილზე. წერა-კითხვას ლათინურ ენაზე ასწავლიან, ლათინური კი აღარაა მშობლიური ენა. ასეთ ვითარებაში წიგნიერი ადამიანი ის იყო, ვისაც შეეძლო ლათინურ ენაზე სწორად წერა და ლაპარაკი (ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არაბულის ცოდნა ნიშნავდა წიგნიერებას).

მეოთხე საუკუნეში დონატმა შეადგინა გრამატიკა, რომლის მიხედვითაც სწავლობდნენ ლათინურ ენაზე „სწორად წერასა“ და ლაპარაკს“. ამ გრამატიკას ორი ვარიანტი ჰქონდა: მოკლე — *ars grammatica minor* „მცირე საგრამატიკო ხელოვნება“ — და ვრცელი — *ars grammatica major* „ვრცელი საგრამატიკო ხელოვნება“. დონატის გრამატიკა ექვსი საუკუნის განმავლობაში (თუ მეტი არა!) იხმარებოდა სახელმძღვანელოდ. ამდენ ხანს არ გაუძლია არც ერთი ენის გრამატიკას.

ამგვარად იქმნებოდა შეხედულება: გრამატიკა ენის წესებს ქმნისო. ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ გრამატიკის ავტორი იჩემებდა ენისათვის წესების დადგენას, ამასთან, ისეთი წესები შემოჰქონდა, რაც ენისათვის შეუფერებელი, უცხო იყო. ამის მაგალითია ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამატიკა“ (პირველი ვარიანტი 1753 წ., მეორე — 1767 წ.).

3. გრამატიკის მიზანდასახულობა არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ენათმეცნიერება ისტორიულ-მეცნიერებითი გრამატიკის საფუძველზე: გრამატიკა ნორმებს კი არ აწესებს, არამედ ცდილობს ენობრივი მოვლენების განონზომიერებანი გამოავლინოს, ენობრივი მოვლენები ახსნას. ნორმატული გრამატიკისათვის საკითხი ასე იდგა: როგორ არის? როგორ იყოს? მეცნიერული გრამატიკა იმას არკვევს: როგორ არის? როგორ მივიღეთ ის, რაც არის, მოვლენის ახსნა — ესაა მთავარი, თუ გვინდა, რომ წესის დადგენა ობიექტურ საფუძველს ეყარებოდეს და არა პირადი გემოვნების მიხედვით ხდებოდეს. მარტივი მაგალითის მიხედვით რომ გავითვალისწინოთ სხვაობა: ბავშვი თუ ბავში — ამაზე დიდხანს უდავიათ. „კეთილხმოვანია ბავში (და არა „ბავში“), ამბობდნენ ერთნი. „პირიქით, ბავშია კეთილხმოვანი“ — უპასუხებდნენ სხვები. იმას არა კითხულობდნენ, როგორ გაჩნდა ან ერთი, ან მეორე ვარიანტი. ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ ამ სიტყვის ძირია **-შევ (შვ-ა)**, **ბა-** თავსართია, თავდაპირველად უნდა გვქონოდა **ბა-შვ-ი**, მისგან მომდინარეობს **ბა-ვ-ში** (ვ-ს წინ გადანაცვლებით;



შდრ. **თავ-ყანის-ცემა** „თავის მიწაზე ცემა“; **თა-ყვანის-ცემა ვ**-ს მეორე ფუძეში გადანაცვლებით). **ბა-ვ-შ-ი** სიტყვის ცვლის შედგომი საფუძვლიანია: **ვ**- დაიკარგა იქ, სადაც თავდაპირველად იყო (**შვ**) და დამკვიდრდა იქ, სადაც მერე გაჩნდა: **\*ბა-შვ-ი** → **ბა-ვ-შვ-ი** → **ბა-ვ-შ-ი** (შდრ. **თავ-ყანის-ცემა** → **თავ-ყვანის-ცემა** → **თა-ყვანის-ცემა**: **ვ** დაეკარგა **თავ**-ს, გაუჩნდა **ყანა**-ს).

ბ ა ვ შ ი-ც იცვალა: მივიღეთ ბ ო ვ შ ი, მერე: ბ ო შ ი, შდრ. ცნობილი დიალექტური მიმართებითი სიტყვა ბ ო შ ი! (მნიშვნელობის ცვლით ეგვევ ბ ო შ ი „ვაჟი“, ბ ო შ - კ ო ჩ ი „ვაჟაკი“ იხმარება მეგრულში). ბ ო შ ი უკვე ახალი სიტყვაა.

ამრიგად: **\*ბა-შვ-ი** → **ბა-ვ-შვ-ი** → **ბა-ვ-შ-ი** → **ბო-ვ-შ-ი** → **ბო-შ-ი**.

ამის შემდეგ დგება საკითხი: რა ვარიანტია მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელებული... დასასრულ, რა ვარიანტს უნდა მიეცეს უპირატესობა ლიტერატურულ სიტყვახმარებაში, ე. ი. რა არის ს წ ო რ ი: ბ ა ვ - შ ვ ი თუ ბ ა ვ შ ი? (როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ვარიანტად მიჩნეულია ბ ა ვ შ ვ ი).

მოვლენის ახსნა ნორმის დადგენას უნდა უსწრებდეს. მოვლენის ახსნა — ესაა „დიაგნოზის დასმა“; ნორმის დადგენა „მკურნალობას“ უდრის. თუ მოვლენა ახსნილია, მკურნალობა დიაგნოზზე იქნება დამყარებული, თუ მოვლენა აუხსნელია, თუ არ ვიცით, რა რ ო გ ო რ მივიღეთ, მკურნალობა ალაღბედზე იქნება დამყარებული.

მოვლენის ახსნა ენის სპეციალისტს ევალდება. წესის დადგენაში სპეციალისტიც მონაწილეობს, მაგრამ მწერალს, პრესის მუშაკს..., საერთოდ სამწერლო ენის მომხმარებელთა ფართო წრეს ეწევა ანგარიში.

4. მეცხრამეტე საუკუნეში ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ არა მხოლოდ გრამატიკის მიზანდასახულობაში შეიტანა ცვლილება. შეიცვალა გრამატიკის ო ბ ი ე ქ ტ ი ს გაგება: თუ წინათ გრამატიკა ს ა მ წ ე რ - ლ ო ენებს სწავლობდა, ამიერიდან უ მ წ ე რ ლ ო ენის გრამატიკასაც ადგენენ: უმწერლო ენა, როგორც შესწავლის საგანი, გაუთანაბრდა ამ მხრივ მწერლობის მქონე ენებს. „ფილოლოგიას მასალას აწვდის ლიტერატურა, — წერდა ავგ. შლაიხერი 1850 წელს, — ამერიკელ ინდიელთა ფილოლოგია შეუძლებელი რამ იქნებოდა, რაკი ამ ენებს ლიტერატურა არა აქვთ, მაშინ როდესაც ამ ხალხთა ენები მეტად საინტერესოაო (ენათმეცნიერების თვალსაზრისით)“. ენის მეცნიერული თეორია შეუძლებელია შევქმნათ მხოლოდ ისეთ სალიტერატურო ენათა საფუძველზე, როგორცაა ძველი სამწერლო ენები: სანსკრიტი, ძველი ბერძნული, ლათინური, გუთური, — წერდა მაქს მიულერი, — ეს ენები უდავოდ წარმოადგენენ „ისტორიის სამეფო თავებს“, მაგრამ ისევე, როგორც „პოლიტიკური ისტორია არ დაიყვანება სამეფო დინასტიების ქრონიკამდე“, ენის ისტორიკოსს არ უნდა დაავიწყდეს „მეტყვე-

ლების ხალხური ფენები“, რომელთაგანაც თავდაპირველად „წარმოიქმნა ეს დინასტიები“ და რომლებსაც ეს დინასტიები ემყარებიან...

ერთი სიტყვით, უმწერლო ენებია ამოსავალი: ისინი ქმნიან საფუძველს სამწერლო ენებისათვის. უმწერლო ენებში უკეთ ჩანს ენის ცვლის კანონზომიერება, ვინემ სამწერლო ენებში, რომელთა განვითარებასაც კონტროლი ეწევა. ენათმეცნიერება ერთს რომელიმე ენას კი არ სწავლობს, არამედ მისი მიზანია მრავალი ენის, საბოლოოდ ყველა ენის, შესწავლა, — წერდა იგივე მაქს მიულერი და დასძენდა: „ენის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით ჰომეროსის ენას არა აქვს მეტი მნიშვნელობა, იგი არ იწვევს მეტ ინტერესს, ვინემ ჰოტენტოტების იდიომებიო“.

უმწერლო ენათა წინ წამოწევა ნიშნავდა დიალექტების მნიშვნელობის აღიარებასაც: ცოცხალი ზეპირი მეტყველება დიალექტებშია მოცემული. სამწერლო ენასაც საყრდენი დიალექტი მოეპოვება და ესაჭიროება, როგორც მასაზრდოებელი წყარო.

5. ენის მეცნიერულმა შესწავლამ ისიც ცხადყო, რომ სხვადასხვა ენა განსხვავდება არა მხოლოდ იმით, რომ რაიმე საგანს (მაგალითად, ხეს) ერთ ენაზე ერთი სახელი ჰქვია, მეორე ენაზე — სხვა. განსხვავება გვაქვს ენის აგებულებაშიც (სტრუქტურაში, როგორც ახლა იტყვიან): განსხვავება — ზოგჯერ დიდი, ზოგჯერ — შედარებით მცირე; მაგრამ ის კი შეუძლებელია, რომ ორ ენას სავსებით ერთნაირი აგებულება ჰქონდეს: მაშინ ეს ორი ენა ვერ იქნებოდა. ერთდროულად სხვადასხვა აგებულების ენების არსებობა — ეს ერთი. მეორე და უფრო საყურადღებო კიდევ ისაა, რომ ყოველი ენა მეტ-ნაკლებად იცვლება, იცვლება სიტყვათა მარაგი, სიტყვათა ბგერითი მხარე და მნიშვნელობა, იცვლება სიტყვის ფორმა და შესიტყვების (სინტაგმის) აგებულება, იცვლება ბგერითი შედგენილობაც კი.

ეს ცვლა ეხება ყველაზე მეტად სიტყვათ მარაგს, სიტყვის ფორმას — ნაკლებად... ცვლა ზოგჯერ ნელია, სხვა დროს ინტენსიური... მაგრამ ენის არც ერთი მხარე არ არის უცვლელი, ენა ყოველთვის იცვლება, თუ ის ცოცხალია, თუ მას აზროვნების იარაღად და ურთიერთობის საშუალებად ხმარობენ. უცვლელია მკვდარი ენა.

ყოველი ცოცხალი ენა ცვალებადია. ცვლის შედეგად ახალი ენაც (თუ ენებიც კი!) შეიძლება მივიღოთ — განსხვავებული ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურის ენა. ასე მაგალითად, თანამედროვე რომანული ენები (იტალიური, ფრანგული, ესპანური, პროვანსული, კატალონიური...) ლათინური (ხალხური ლათინური) ენიდან მომდინარედ ითლგება.

ცვალებადია არა მხოლოდ უმწერლო ენები, არამედ მწერლობის მქონეც. ენის შესწავლისას ცვალებადობის პრინციპი მეცხრამეტე საუკუნეში დაინერგა (იმავე პრინციპის გამოყე-

ნებამ საფუძველი ჩაუყარა ბიოლოგიასა და გეოლოგიას).

ბ. ენა ცვალეზადია; ცვალეზად ენას უცვლელი ნორმა ვერ ექნება: ენის ცვალეზადობის ფაქტიდან შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს ენობრივი ნორმის ცვალეზადობა.

ძველ ქართულში გვქონდა: **ათერთმეტი, ათორმეტი, ათსამშეტი, ათოთხმეტი, ათხუთმეტი, ათექვსმეტი, ათშვიდმეტი, ათრვამეტი, ათცხრამეტი**: ყველგან რთული ფუძე გვაქვს; პირველი ფუძეა **ათ-**, მას მოსდევს პირველი ათეულის რიცხვი (**ერთ-, ორ-, სამ-, ოთხ-, ხუთ-...**) და ბოლოს, მესამე ფუძე **-მეტი**; ასე მივიღეთ: **ათ-ზე ერთით მეტი, ათ-ზე ორით მეტი, ათ-ზე სამით მეტი...** და ასე შემდეგ.

...მეთერთმეტესა ჟამსა ვითარ გამოვიდა, პოვნა სხუანი მდგომარენი... **ოთხთავი, მთ 20,6** (აქ. შანიძის გამოცემა).

...იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ... **ოთხთავი, მკ 5,42**.

...იყო ბეთანია მახლობელ იერუსალჴმსა ვითარ ათხუთმეტ ასპარეზ ოდენ... **ოთხთავი, ინ 11,18**.

...მეთათხუთმეტესა წელსა უფლებასა ტიბერია კეისრისასა... **ოთხთავი, ლკ 3,1**.

...მუნ იყო კაცი ერთი, რომელსაც ოც და ათრვამეტი წელი დაეყო უძღურებასა შინა... **ოთხთავი, ინ 5,5**.

შდრ. სივრცე ქუეყანისაჲ არს ათთურამეტი (!) ბევრი სტადიონთაჲ... ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ (მ. კახაძის გამოცემა, 1947, გვ. 104,15).

ახლა ჩვენ ვხმარობთ: **თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი...** თავკიდური **ა** ყველგან მოკვეცილია, თუმცა ამის შედეგად ფუძე სიტყვისა **ათ-** მნიშვნელობას კარგავს... მეტი კიდევ: **თხუთმეტის** ნაცვლად ზოგჯერ **ხუთმეტი**-ს იტყვიან, ე. ი. **ათ-** სულ არა ჩანს (**ათ-** არ გამოიყოფა არც თუთხმეტი-ში, რომელიც თხუთმეტისაგან არის მიღებული).

**ათ-**ის **თ** დაჩრდილულია **ცამეტი**-შიც: **ცამეტი ← თ-სამ-მეტი: თს ც-**ში გაერთიანდა: ასევე **ჩვიდმეტი**-ში **თ-შ: ათ-შვიდ-მეტი-ი... თშ → ჩ**.

**თვრამეტი-ი ვ-**ს გადასმით მიღებულია **თ-რვა-მეტი**-ისაგან.

ყველა ეს ცვლილება შესაძლებელი იმიტომ აღმოჩნდა, რომ დაიჩრდილა ამ რიცხვით სახელთა შედგენილობა, რომ პირველი ფუძე აქ **ათ-**ია, ხოლო ბოლო ნაწილს **მეტი**-ი შეადგენს... მოხდა სიტყვის დეტიმოლოგიზაცია და გზა გაეხსნა ფონეტიკურ ცვლილებებს.

ასეთია მომხდარ ცვლილებათა ახსნა. ნორმა? რაა უფრო სწორი: **ათერთმეტი-ი** თუ **თერთმეტი-ი**, **ათორმეტი-ი** თუ **თორმეტი-ი**, **ათოთხმეტი-ი** თუ **თოთხმეტი-ი**...

ის ვარიანტი, სადაც **ათ-**ი ჩანს, რა თქმა უნდა, ნათელი შედგენი-

ლობისა და უნაკლო, მაშასადამე, სწორი!

მაგრამ დღეს არავინ იტყვის: **ათერთმეტ-ი, ათორმეტ-ი, ათსამმეტ-ი, ათხუთმეტ-ი, ათრვამეტ-ი...**

ის, რაც სწორი იყო ძველი ქართული სათვის, ახალი ქართული სათვის ხელოვნური და უმართებულო ჩანს: **„სწორის“** გაგება შეიცვალა. ენობრივი ნორმა ცვალებადია. ძველ ქართულში ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში მრავლობის მესამე პირს დაბოლოებად **-ეს** მოუდიოდა (იმისდა მიუხედავად, გარდაუვალი იყო ზმნა თუ გარდამავალი): **იმლებოდ-ეს...**

**ნამყო უსრული:** იგინი წერდ-ეს... შლიდ-ეს... იწერებოდ-ეს...

**ნამყო ძირითადი:** მათ წერ-ეს... შალ-ეს... იგინი და-იწერ-ნ-ეს... იმლებოდ-ეს...

ასევეა „ვეფხისტყაოსანში“:

იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს,  
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს,  
იქით და აქათ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,  
ვერცა ჰკადრებდეს, „ვინ ხარო“, ვერცა რას

ეუბნებოდეს (981)<sup>2</sup>.

ახლა ვიტყვით: ისინი მოემლებოდ-ნ-ენ... მოეხვეოდ-ნ-ენ... ბნდებოდ-ნ-ენ... უვლიდ-ნ-ენ... ჰყვებოდ-ნ-ენ... ჰკადრებდ-ნ-ენ... ეუბნებოდ-ნ-ენ... **-ეს** დაბოლოება ნამყო უსრულში შეცვალა **-ენ-მა**.

ნამყო ძირითადში **-ეს** დაბოლოება გარდამავალ ზმნებს შერჩა, გარდაუვალ ზმნებს კი **-ენ** მოუდის:

მათ ნახეს... დაშალეს... ჰკადრეს..., მაგრამ: ისინი მოვიდ-ნ-ენ... მოჰყვ-ნ-ენ... მოეხვი-ნ-ენ... ნამყო ძირითადში მარტივი ფორმულა უფრო რთულმა შეცვალა.

ძველი ქართულისა და „ვეფხისტყაოსნისათვის“ დამახასიათებელი **-ეს** ბოლოსართი მთის კილოებში შემოგვჩა მეტ-ნაკლებად:

**ხევსურული:** [ისინი] გვხედავდეს, წავიდეს, ჩამაეხვივნეს, ჩაჰყოლიყვნეს...

**ნამყო ძირითადი:** წამადგეს ცხრანი ძმანია... ფხიტუთ მოვიდეს წერონი... თან მახყვეს ქალუნდაურსა მამუკას უუქნი მზისანი... დასხდეს, დარიგდეს ჯევსურნი...

**ნამყო უსრული:** თვალთ მიჩინდეს გზანიო... ზურაბ, თან გახლდეს მსახურნი... (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 101).

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების სათვალავი ნაჩვენებია 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

ხეცსურულის ეს თავისებურება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმებს არ შეეფერება: დიალექტიზმია. წარმომავლობას თუ გაგარკვევთ, ამ მაგალითებში ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ნორმა გვაქვს, — ერთი სიტყვით, დიდი ლიტერატურული ტრადიციის მქონე ფაქტი.

და მაინც ეს დიალექტიზმია: ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმაა, ამ საკითხს რომ წყვეტს.

მსგავსი მაგალითები მორფოლოგიაში სხვაც გვაქვს, არც სინტაქსისათვის არის უცხო. ერთ მაგალითს დავსჯერდებით.

თუ ობიექტი მრავლობითის სახელობით ბრუნვაში იყო დასმული და -**ნ**- სუფიქსით იწარმოებოდა, ძველი ქართულის ზმნაში ეს ობიექტი აისახებოდა -**ენ-/-ნ** სუფიქსით:

ვყავ საქმე	ვ-ყვ-ენ	საქმენი
ჰყავ „	ჰ-ყვ-ენ	„
ყო „	ყვ-ნა (← ყვ-ენ-ა)	„
ვყავთ საქმე	ვ-ყვ-ენ-ი-თ	საქმენი
ჰყავთ „	ჰ-ყვ-ენ-ი-თ	„
ყვეს „	ყვ-ნ-ეს (← ყვ-ენ-ეს)	„

ეს ნორმა „ვეფხისტყაოსანშიც“ დაცულია:

რა მეფემან დიდებულნი ნ ა ხ ნ ა, სულთქმით შემოსტირნა,  
უთხრა: „ჰხედავთ, მზემან ჩვენმან შუქნი სრულად

და გ ვ ი ძ ვ ი რ ნ ა!

რა ვაწყინეთ, რა შევსცოდეთ, რად და გ ვ ყ ა რ ნ ა, რად

გ ა გ ვ წ ი რ ნ ა?

სპანი, მისგან დაჭირულნი, ვინმცა-ლა ვით და გ ვ ი ჭ ი რ ნ ა?“

მან დიდებულნი ნ ა ხ ნ ა... შუქნი და გ ვ ი ძ ვ ი რ ნ ა... მან სპანი და გ ვ ი ჭ ი რ ნ ა... ჩვენ და გ ვ ყ ა რ ნ ა... გ ა გ ვ წ ი რ ნ ა...

ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა საუკუნეთა მანძილზე ქართული ზმნის უღვლილების ნორმა იყო, კანონზომიერი, მტკიცე; ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ეს ნორმა აღარ მოქმედებს.

**7. დავასკვნით.** ნორმის გარეშე სალიტერატურო ენა ერთიანი ვერ იქნება. ნორმა სჭირდება სალიტერატურო ენას.

ენა, საერთოდ, სალიტერატურო ენა, კერძოდ (თუ ის ხმარებაშია, თუ ცოცხალია), არ შეიძლება არ იცვლებოდეს.

ცვალებად სალიტერატურო ენას ვერ ექნება უცვლელი ნორმა; ცვალებადია სალიტერატურო ენის ნორმა.

ნორმის ცვალებადობა არც იმას ნიშნავს, რომ ნორმა საჭირო არ

იყოს, და არც იმას, რომ ნორმის დაწესება კერძო პირის ნება-სურვილზე იყოს დამოკიდებული.

პირიქით, ნორმის ცვალებადობა გახაზავს ამოცანის სირთულეს და მოითხოვს: ნორმის გამომუშავება ენობრივი სისტემის კანონზომიერებათა და ენის ისტორიის გათვალისწინებით წარმოებდეს. ამ მხარის მოვლა, ნორმისათვის **ობიექტური საფუძვლის შექმნა**, სუბიექტურ-პიროვნული მომენტების ელიმინაცია ენის სპეციალისტს ევალება.

აქედან ცხადია, რომ გრამატიკოსი ენას ნორმებს ვერ დაუწესებს.

ენა ხალხისაა. კარგი მწერალი ენის ძალა-შესაძლებლობას გამოგვივლენს, თუ ისეთი სათქმელი აქვს და ისე თქმას შეიძლება, რომ მკითხველს წიგნი შეაყვაროს და სალიტერატურო ენა შეათვისებინოს.

„ვეფხისტყაოსანი“ იმ დროს დაიწერა, როდესაც ქართული ენის გრამატიკული წყობა და სათანადო კანონზომიერებანი არ ყოფილა გარკვეული.

აქედან ის დასკვნა ვერ გაკეთდება, თითქოს მწერალს ენის კანონზომიერებათა ცოდნა არ სჭირებოდა, ანდა თითქოს გრამატიკის ცოდნის უგულებელყოფა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერას შეგვაძლებინებდეს.

ყველაფერსა და ყველას თავისი ადგილი აქვს.

კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“,  
წიგნი II, 1979, გვ. 7-15

## **К вопросу о внутренних законах развития языка**

Вопрос о внутренних законах развития языка – сугубо теоретический и в то же время один из сложнейших в общем языкознании вопросов. Вне сомнения, он занимает центральное место в кругу вопросов, образующих проблему исторического развития языка.

Внутренние законы развития языка вызывают совершенно исключительный интерес не только лингвистов, но и специалистов, представляющих различные отрасли общественно-исторических наук, да и вообще самых различных слоев советской интеллигенции.

Из вопросов языкознания подобный интерес вызывался разве только вопросом о происхождении речи и частично вызывается вопросом о зональных языках – и то в связи с тем, как мыслится будущность национальных языков (нельзя, однако, забывать, что оба эти вопроса по своему характеру относятся к категории популярных, чего нельзя сказать о внутренних законах развития языка: это – вопрос специальный).

Не случайно вопрос о внутренних законах развития языка привлекает усиленное внимание. Он стал в центре внимания в свете сталинского учения о языке. В годы господства так называемого "нового учения" этот вопрос вообще и не ставился; он и не мог быть поставлен на основе теории Н. Я. Марра (почему именно, – об этом будет сказано ниже).

Вопрос о внутренних законах развития языка научно правом е р н ы м стал на основе трудов И. В. Сталина по вопросам языкознания; стал а к т у а л ь н ы м лишь в контексте принципиальных положений сталинского учения о языке. Это накладывает особую ответственность на лингвистов, которым предстоит раскрыть во всей полноте общелингвистический смысл данного понятия и его место в системе советской науки о языке.

Ниже дается попытка рассмотреть некоторые стороны данного вопроса.

\* \* \*

Не будь язык изменчив, не ставился бы вопрос о развитии языка, в частности, отпала бы надобность изучения внутренних законов развития речи. Больше того, не было бы и самой науки о языке: языкознание возникло, благодаря историческому подходу к фактам языка. Как позитивная гуманитарная наука, языкознание существует постольку, поскольку ее реальную основу образует история языков: без истории языков не было и не может быть науки о языке.

В тех течениях зарубежной лингвистической мысли, которые отошли от историзма, проблема развития языка лишена актуальности, принципиальная установка этих течений совпадает с установкой идеалистической философии.

фии языка. Примером может служить структурализм – одно из новейших и влиятельных течений зарубежной лингвистики. Общее языкознание здесь понимается как теория системы языка (системология). Система языка изменчива, но для принципиальной установки структурализма существенно важны не те закономерности, которые обнаруживаются в процессе исторического развития языка, а, наоборот: то, что "всеременно" в языке. Это "всевременное" (панхроничное) логически равнозначно "вневременному" (ахроничному): панхроничная точка зрения, по сути дела, ахронична. Доискиваясь сущности языка, рассматриваемой вне развития, структурализм смыкается с идеалистической философией языка. Принципиальная установка структурализма и идеалистической философии языка антиисторична, и, стало быть, метафизична. Проблема развития языка не может решиться в этих условиях: здесь не остается места для ее постановки, здесь нет нужды в теории развития.

Совсем по-новому ставится вопрос, когда роль истории языка находит надлежащее признание и в исследовательской практике и в теоретических построениях, ставящих целью осмыслить эту практику. Без истории языка не может быть научного понимания фактов языка, без истории языка невозможна наука о языке. В историзме дан жизненный принцип всякой науки, в том числе и науки о языке. Языкознание невозможно без истории языка: историческое языкознание и есть основа научного изучения языка. Следовательно, общее языкознание должно представлять собою теорию исторического языкознания. Такова установка советского языкознания. Теория исторического языкознания не может считаться полноценной, если в ней не разработана теория исторического развития: история без теории исторического развития велась бы к стихийному, необоснованному историзму. Советское общее языкознание не может не рассматривать проблему развития языка как одну из центральных проблем общего языкознания. Для марксистской философии языка проблем развития языка выдвигается в круг центральных, ведущих проблем.

\* \* \*

Проблема развития языка столь же трудна, сколь и важна. К тому же она относится к числу наименее изученных.

В этой связи особо следует отметить, что принципиальное решение узловых вопросов серии развития языка дано в труде И. В. Сталина "Марксизм и вопросы языкознания", в труде, являющемся основополагающим для общего языкознания.

Узловые вопросы теории развития языка, получившие принципиальное решение в труде И. В. Сталина, могут быть сформулированы примерно следующим образом:

1. Что составляет основу развития языка?
2. В каком отношении находится развитие языка к развитию общества?
3. Каковы закономерности развития языка в различных по строю общества?
4. Каковы темпы развития различных сторон языков?
5. Какова роль скрещения в развитии человеческой речи?
6. Какова природа развития языка?



7. Какое место отводится внутренним законам развития языка в языкознании?

По некоторым из этих вопросов есть высказывания классиков марксизма, но весь комплекс узловых вопросов теории развития впервые получил надлежащее освещение в учении И. В. Сталина об общественной природе языка. Сталинское понимание проблемы развития языка тесно связано со сталинским пониманием его общественной сущности, образующим теоретическую основу советского общего языкознания.

Учением об общественной природе языка, в частности, предопределяется постановка вопроса о внутренних законах развития языка как теоретически правомрного вопроса.

Сталинское понимание общественной природы языка включает два основных момента: первым определяется зависимость языка от общества, вторым – важность языка для общества.

Язык как средство общения, обмена мыслями и взаимного понимания обслуживает общество, находит применение в общественной жизни людей. Поэтому-то язык "рождается и развивается с рождением и развитием общества. Он умирает вместе со смертью общества. Вне общества нет языка"<sup>1</sup>. Язык, обслуживающий общество как средство общения, принято считать живым языком. Язык, переставший быть средством общения, вышедший из употребления, считается мертвым. Живой язык не может не развиваться. Мертвый язык перестает развиваться.

Обслуживать общество – в этом и смысл и необходимое условие для существования языка.

Язык как средство общения, обмена мыслями и взаимного понимания необходим обществу. "Без языка, понятного для общества и общего для его членов, – учит И. В. Сталин, – общество прекращает производство, распадается и перестает существовать, как общество"<sup>2</sup>. Товарищ Сталин подчеркивает как невозможность существования языка вне общества, так и исключительную важность языка для общества. Таким образом, устранена та односторонность, которая получается, когда сущность языка определяют на основе одной лишь зависимости языка от общества или же, учитывая важность языка, забывают о его зависимости от общества.

Основу существования языка образует общество. Соответственно: основу развития языка образует развитие общества.

Человеческое общество неуклонно развивается, начиная от самых примитивных форм совместной трудовой деятельности в эпоху каменного века вплоть до наших дней – эпохи электрических машин и социалистических революций, переустройства жизни на началах коллективизма. Обслуживая развивающееся общество, язык не может не развиваться. Языку Эпохи каменного века, конечно, было бы не под силу обслуживать современное общество. Нельзя понять историю развития языка, не зная истории общества, истории развития народа, говорящего на данном языке. Поэтому язык и законы его развития можно понять лишь в том

<sup>1</sup> И. Сталин. "Марксизм и вопросы языкознания", Госполитиздат, 1951, стр. 22. (Разрядка моя – А. Ч.).

<sup>2</sup> Там же, стр. 23.

случае, если он изучается в неразрывной связи с историей общества, с историей народа, которому принадлежит изучаемый язык и который является творцом и носителем этого языка"<sup>3</sup>.

Взять вопрос о характере взаимоотношения языков различных по своей природе обществах. Взаимоотношение языков в классовом обществе по существу отличается от взаимоотношения языков в бесклассовом обществе<sup>4</sup>.

В обществе, где имеются антагонистические классы, где господствуют эксплуататорские классы, взаимоотношение языков обычно выливается в борьбу между языками, из которой, как указывает И. В. Сталин, одни языки выходят победителями, другие оказываются побежденными.

Но борьба между языками, учит И. В. Сталин, сменяются с трудничеством языков, когда будут созданы соответствующие общественные условия, а именно: "после победы социализма во всемирном масштабе. когда мирового империализма не будет уже в наличии, эксплуататорские классы будут низвергнуты, национальный и колониальный гнет будет ликвидирован, национальная обособленность и взаимное недоверие наций будут заменены взаимным доверием и сближением наций, национальное равноправие будет претворено в жизнь, политика подавления и ассимиляции языков будет ликвидирована, сотрудничество наций будет налажено, а национальные языки будут иметь возможность свободно обогащать друг друга в порядке сотрудничества. Понятно, что в этих условиях не может быть и речи о подавлении и поражении одних и победе других языков"<sup>5</sup>.

Новые закономерности развития языков, таким образом, будут обусловлены новыми закономерностями развития общества. Тем самым лишний раз подчеркивается зависимость языка, закономерностей его развития от закономерностей развития общества.

Вопрос лишь о том, каков характер этой зависимости. Обусловливается ли развитием общества развитие языка таким же образом, в такой же мере, как, например, развитие надстроек обусловливается развитием базиса, развитием экономического строя? Иными словами: изменяется ли язык, как изменяется надстройка, или же в развитии языка мы имеем дело с изменениями иного рода?

В зависимости от того, как решится данный вопрос, получим, по существу, различное понимание процесса исторического развития языка.

Если язык развивается как надстройка (т. е. в зависимости от базисов), история языков должна строиться по принципу общественно-экономических формаций: историю языка придется приурочивать к истории базисов, устанавливая соответствия между периодами истории языков и общественно-экономическими формациями.

Это значит: если развитие языка мыслится, как развитие надстроечной категории, невозможно будет ставить вопрос о внутренних законах

<sup>3</sup> И. С т а л и н. "Марксизм и вопросы языкознания", стр. 22 (Разрядка моя – А. Ч.).

<sup>4</sup> Положения вещей в доклассовом обществе мы здесь не касаемся.

<sup>5</sup> И. С т а л и н. "Марксизм и вопросы языкознания", стр. 53.

развития языка; такой вопрос окажется теоретически не-  
правомерным.

Если же язык развивается не как надстройка, то центральным вопросом истории развития языка будет служить именно вопрос о внутренних законах развития языка.

В так называемом "Новом учении о языке" Н. Я. Марра язык рассматривался как надстройка, категория языка (падежи, степени сравнения прилагательных и т. д. квалифицировались как прямое отражение категорий социальных). Более того: "единственно научным, подлинно марксистским объявлялось именно такое понимание.

Далее: рассматривая язык как надстроечную категорию, Н. Я. Марр и его последователи развитие языка мыслили как развитие стадий: под видом понятия стадии языка Н. Я. Марр пытался вдвинуть лингвистический эквивалент в понятия общественно-экономической формации. Факты истории языков этого не подтверждали, так же как они не подтверждали того, что в грамматических категориях (падежей, степеней сравнения и т. д.) проглядывает классовая структура общества.

С марровским толкованием языка не все специалисты языка были согласны. Но до выхода в свет трудов И. В. Сталина по вопросам языкознания все советские языковеды считали язык надстройкой<sup>6</sup>.

Язык, как это неоспоримо доказано в труде И. В. Сталина "Марксизм и вопросы языкознания", не является надстройкой. Не являясь надстройкой, язык и не развивается как надстройка. Ни зарождение новых явлений (и соответственно, образование нового качества), ни смена старого новым в развитии языка не происходят так, как это свойственно явлениям надстройки.

"За это время<sup>7</sup> племени и народности дробились и расходились, вмешивались и скрещивались, а в дальнейшем появились национальные языки и государства, произошли революционные перевороты, сменились старые общественные строи новыми. Все это внесло еще больше изменений в языке и его развитие.

Однако было бы глубоко ошибочно думать, что развитие языка происходило так же, как развитие надстройки: путем уничтожения существующего и построения нового. На самом деле развитие языка происходило не путем уничтожения существующего языка и построения нового, а путем развертывания и совершенствования основных элементов существующего языка"<sup>8</sup>.

Язык – общественное явление, но он не относится ни к категории базиса, ни к категории надстроек: язык – специфическое общественное явление.

Язык развивается в связи развитием общества. Однако зависимость раз-

---

<sup>6</sup> Считал язык надстройкой, исходя из связи языка с производством и автор этих строк (не признававший однако, стадийного развития языков). Из факта связи языка с производством нельзя заключать, что язык – надстроечная категория. Такой вывод ошибочен. Связь языка с производством, как известно, не отрицается в сталинском учении о языке; наоборот, подчеркивается непосредственный характер такой связи и именно отсюда закономерно выводится, что язык не является надстройкой (см. И. С т а л и н. "Марксизм и вопросы языкознания", стр. 10-11).

<sup>7</sup> Имеется в виду период времени от глубокой древности до наших дней.

<sup>8</sup> И. С т а л и н. "Марксизм и вопросы языкознания", стр. 27.

вития языка от развития общества не есть зависимость надстройки от базиса: язык развивается не как надстройка. Специфике языка как общественного явления в сталинском учении соответствует специфика развития языка – на основе развития общества (но развитие не как надстроечной категории). Таким образом, принципиальное обоснование получает правомерность и важность изучения внутренних законов развития языка.

"Главной задачей языкознания является изучение внутренних законов развития языка"<sup>9</sup>. Само собой ясно, что, если бы язык являлся надстройкой и развивался как надстройка, выявление внутренних законов развития языка нельзя было бы признать главной задачей языкознания.

Что же представляют собой внутренние законы развития языка?

Под внутренними законами развития языка следует понимать все многообразие формул, которыми охватываются и изменения словарного состава и грамматического строя, звукового состава и звуковых процессов, значений слов и выражений, – и изменения, которые не сводимы к экономическому строю.

Изучать эти изменения со всей точностью и во всей полноте по всем языкам и, обобщая, выявлять закономерности развития, основные тенденции этого развития – вот что требуется понятием "внутренние законы развития". Внутренние законы развития строятся на частных формах и ведут к общим закономерностям, характеризующим основные линии развития языков.

Таким образом, внутренние законы развития языка могут быть и частными, конкретными, когда они касаются отдельных языков, и общими, когда изменения касаются процессов развития во многих языках. Здесь нет надобности иллюстрировать примерами частные законы. Что касается процесса об общих законах, то это положение нуждается в разъяснении. Может создаться впечатление, что внутренние законы развития могут быть лишь частными, конкретными. Однако это не так.

В труде И. В. Сталина "Марксизм и вопросы языкознания" выдвинуто фундаментальное положение о развитии языка, вытекающее из самого существования языка и в то же время имеющее применение ко всем языкам. Вкратце это положение можно выразить так: словарный состав языка подвержен изменениям в наибольшей степени; куда медленнее изменяется основной словарный фонд и медленнее всего – грамматический строй.

И. В. Сталин пишет:

"В отличие от надстройки, которая связана производством не прямо, а через посредство экономики, язык непосредственно связан с производственной деятельностью человека так же, как и всякой иной деятельностью во всех без исключения сферах его работы. Поэтому словарный состав языка, как наиболее чувствительный к изменениям, находится в состоянии почти непрерывного изменения...

...несмотря на то, что из словарного состава языка выпадает обычно некоторое количество устаревших слов, к нему прибавляется гораздо большее количество новых слов. Что же касается основного словарного фонда, то он

<sup>9</sup> И. Сталин. "Марксизм и вопросы языкознания", стр. 30.

сохраняется во всем основном и используется, как основа словарного состава языка.

...Грамматический строй изменяется еще более медленно, чем его основной словарный фонд"<sup>10</sup>.

Закон неравномерного развития различных сторон языка, выраженный в этом положении И. В. Сталина, имеет значение для всех языков, характеризует развитие языка (в связи с развитием соответствующего общества). В формуле этой дан классический образец внутреннего закона развития максимальной общности.

Можно назвать ориентировочно и некоторые другие примеры. В истории ряда языков количество заднеязычных согласных уменьшается, наоборот, количество переднеязычных возрастает (этот процесс является, например, вполне закономерным для иберийско-кавказских языков). Имя и глагол вначале не дифференцировались: дифференцирования их – результат развития, что подтверждается историей ряда языков.

История ряда языков свидетельствует о тенденции упростить морфологию (формы склонения и спряжения), перенося центр тяжести на синтаксис. В самом синтаксисе процесс согласования предшествует историческому процессу управления (в сложных предложениях развитие идет от паратаксиса – сочинения – к гипотаксису – подчинению). Абстрактные категории развиваются на базе конкретных и в морфологии и в лексике... Вот такие, например, положения имеются в виду, когда мы говорим о формулах, обобщающих закономерности и тенденции развития языков, о формулах, воплощающих внутренние законы развития языков.

Изучать закономерности развития языков – значит устанавливать формулы, подобные вышеназванным, или готовить материал для таких обобщений, а не сводить изменения языка во всех случаях без исключений – будь то явления лексики, семасиологии, морфологии, фонетики – к изменениям экономического строя.

Те или иные изменения в языке могут соответствовать изменениям, происшедшим в жизни общества, но может этого и не быть. К примеру, появление нового слова в языке ("пенициллин", "стрептоцид"... "трактор", "комбайн", "автосамосвал", "бульдозер", "экскаватор"... "самолет", "вертолет", или "геликоптер"... ) всегда имеет реальное основание в объективной действительности: слову в языке соответствует предмет в жизни. Связь названия обозначаемым этим названием предметом – простая и легко прослеживается. Слово "вертолет" или "самолет" появилось в русском языке потому, что появился соответствующий предмет. Причина появления нового слова обычно совершенно ясна.

А почему исчезло в русском языке двойственное число: "несе?" ("мы двое несем"), "сыны" ("два сына")? Какие изменения в жизни русского общества свели на нет эту категорию? Соответственных изменений, общественных эквивалентов исчезновения морфологической категории двойственного числа не найти: двойственное число, как категория, более конкретная, отпало; вместо трех чисел (единственного, двойственного и множественного) осталось

<sup>10</sup> И. С т а л и н. "Марксизм и вопросы языкознания", стр. 24-25.

лишь два: единственное и множественное. Следовательно, в данном изменении языка отразилась общая тенденция развивающейся мысли: от конкретно-го к абстрактному.

А чем же она вызвана? Прямой причины не указать: развитие ли ремесла и торговли? Перемещение ли центра политической жизни во Владимир на Клязьме? Распашка ли новых земель?.. Конечно, ни первое, ни второе и ни третье.

В древнерусском языке употреблялось прошедшее несовершенное (несях, несяше, несяшетъ... бяхъ, бяше, бяшетъ...) или прошедшее совершенное простое (несохъ, несе, несе.... быхъ, бы, бысть...). Этим времен ныне русский язык не имеет. Чем вызвана утеря их? Какие изменения в общественной жизни обусловили их исчезновения?

В именительном падеже множественного числа от слова "сын" имели "сынове", ныне говорится "сыновья". В родительном падеже единственного числа было "сыну", теперь же имеем "сына". Какова экономическая основа этих падежных изменений?

Говорилось (И писалось) "вода". Это произношение сохранилось в северо-русском наречии, в южно-русском же наречии появилось аканье: говорят "вадá"... Вочему в Ярославле удержалось попрежнему "вода", а в Курске выговор изменился: "вода" превратилась в "вадá"? Какие общественные изменения, какие экономические причины, в конечном счете, нашли отражение в аканье? Непосредственно – никаких. Никакой прямой причинной зависимости между общественно-экономическими явлениями в русской жизни и вышеназванными морфологическими и фонетическими изменениями не имеется. Но, быть может, такая зависимость имела место, да только нам неизвестна? Нет, такой зависимости не было: искать ее в принципе неправомерно.

Это вытекает из основных положений сталинского учения о специфике языка, о специфике развития языка.

На это же указывает совершенно определенно Ф. Энгельс в письме к Иосифу Блоху от 21-22 сентября 1890 года: "Мы делаем нашу историю сами, но, во-первых, мы делаем ее при весьма определенных предпосылках и условиях. Среди них экономические являются в конечном счете решающими... Прусское государство возникло и развивалось также благодаря историческим и в конечном счете экономическим причинам. Но едва ли можно, не сделавшись педантом, утверждать, что среди множества мелких государств Северной Германии именно Бранденбург был предназначен для роли великой державы... причем это было predetermined именно только экономической необходимостью, а другие моменты не оказывали также влияния... Едва ли удастся кому-нибудь, не сделавшись смешным, объяснить экономически существование каждого маленького немецкого государства в прошлом и в настоящее время или объяснить экономически происхождение верхненемецкого передвижения согласных, расширившего географическое разделение, образованное горной цепью от Судетов до Таунуса, до настоящей трещины, проходящей через всю Германию".

Это высказывание особенно ценно тем, что в качестве примера Энгельс ссылается на фонетический процесс – верхненемецкое передвижение соглас-

ных. (Имеется в виду переход типа: h: g: ziehan – zugum – gizogan; ziehen, zog, gozogen – "тянуть", "тащить"). Энгельс считает смешным ссылками на экономические явления, на явления базиса объяснить, почему произошло передвижение согласных (почему, например, h перешло в g).

Следовательно, Энгельс не считает возможным сводить все изменения в языке к изменениям базиса. Энгельс считает правомерным признавать внутренние развитие языка и его закономерности.

Резюмируем вышеизложенное. Внутренние законы развития языка охватывают те изменения, которые возникают в нем в связи с развитием соответствующего общества, но которые не сводимы к изменениям в экономическом строе, к изменениям в базисе.

Внутренние законы развития могут быть и частными и общими. Внутренние законы развития характеризуют специфику развития языка, с необходимостью, вытекающей из специфики языка, вскрытой в классических трудах И. В. Сталина по вопросам языкознания: язык – общественное явление, но не относится ни к базису, ни к надстройке (ни к каким-либо "переходным" категориям), – язык – специфическое общественное явление.

Таким образом, сталинское учение о языке включает в себя, в качестве естественной составной части, сталинское понимание специфики внутренних законов развития языка.

*26 февраля 1952 года, Тбилиси.*

## **Продиктовано самой жизнью**

Из самого названия Сухумской научной конференции видно, какие важнейшие проблемы, связанные с развитием и нормированием литературных языков Кавказа, должны быть рассмотрены на ней. Эти задачи продиктованы всем ходом развития нашего социалистического общества.

В союзных и автономных республиках и областях Кавказа функционируют 20 литературных языков, и у каждого – своя специфика. Давно сказано: "Нельзя по строению одного языка судить о другом языке, как невозможно при помощи карты одного города осматривать другой".

В зачитанных на Сухумской конференции докладах анализируются конкретные вопросы нормативной грамматики литературных языков Кавказа.

В своем докладе я коснулся ряда задач, связанных с нормативностью письменного языка и теоретической лингвистикой. Следует отметить, что полностью нормировать письменную речь – задача практически неосуществимая. Письменный язык, его жизнь и развитие не могут быть оторваны от жизни и развития устной речи, прежде всего опорного диалекта. Те или иные зоны соответствующего письменного языка всегда оказываются проницаемыми для вариантов, идущих из живой устной речи.

Основной вопрос для всякого письменного языка – это вопрос о соотношении с устной, диалектной речью, и прежде всего о взаимоотношении с опорным диалектом.

Необходимо, на мой взгляд, добиваться единых норм в интересах развития литературного языка, поскольку вопрос касается явлений фонетических (орфографических), морфологических, синтаксических. Пестрота в этой сфере лишает литературный язык единства и монолитности. Разнобой здесь не признак богатства, а свидетельство неупорядоченности норм литературного языка. Но разнообразие следует считать естественным, когда дело касается сферы стиля: однообразие в данном случае порождает скудость выразительных средств литературного языка.

Задачи, рассматриваемые на Сухумской конференции, актуальны, злободневны. От их решения зависит успех дальнейшей разработки проблем развития литературных языков народов Кавказа.



## თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

### ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები\*

(არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით)

#### თეზისები

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმათა მოწესრიგება მოითხოვს პირველ რიგში ძირითადი სადავო ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების გადაჭრას.

ორთოგრაფიულ საკითხებად ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით მიიჩნევა ფონეტიკური პროცესებით გამოწვეული სადავო საკითხები, ამავე რიგისაა აგრეთვე სასვენისა თუ სხვა ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები; მაგალითად: ერთგული თუ ერდგული, საშუალება თუ საშვალება, მრგვალი თუ რგვალი, რეგოლუცია თუ რეგოლიუცია, რედაქტორი თუ რედაქტორი, აპერცეფცია თუ აპერცეპცია... აგრეთვე: რკინის გზა, რკინისგზა თუ რკინის-გზა; ამისდა მიუხედავად, ამისდამიუხედავად თუ ამის და მიუხედავად; ხმალ-ამოწვდილი თუ ხმალამოწვდილი... გაზ. „კომუნისტის“ თუ გაზ. „კომუნისტ“-ის, დავითი ამბობდა: „მოვაო“, „მოვა“-ო თუ „მოვაო“ და სხვა.

მორფოლოგიური საკითხები ეხება ან სახელთა ბრუნებას, ზმნათა უღვლილებას ანდა სიტყვაწარმოებას, მაგალითად: მაგრად თუ მაგრათ, გრებს თუ გრიხავს; რამეს, რასმე თუ რასმეს; ორივეს, ორსავე, ორთავე თუ ორთავეს; იცვამს თუ იცვავს; გაუტეხია თუ გაუტეხნია; გაეტეხა თუ გაეტეხნა; ჰყავდა თუ ყავდა, გაერთიანდენ თუ გაერთიანდნენ, აქვსთ თუ აქვთ, დიალექტიკური თუ დიალექტიური და მისთ.

სინტაქსის ხაზით პირველ ყოვლისა მოსაგვარებელია სიტყვათა შეხამების ისეთი საკითხები, როგორცაა: ცენტრალური კომიტეტის თუ ცენტრალურ კომიტეტის; სახლები შენდება თუ სახლები შენდებიან; ქალაქისა და სოფლის შორის თუ ქალაქსა და სოფელს შორის, მოქალაქეები დაინტერესებული არიან თუ მოქალაქეები დაინტერესებულნი არიან და სხვა.

---

\* 1930-იან წლებში არნ. ჩიქობავას მიერ შემუშავებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები თითქმის უცვლელადაა შეტანილი „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ I კრებულში, თბ., „მეცნიერება“, 1970, გვ. 1-8 (რედ.), (ფოტოტიპიური გამოცემა 1986 წ.).

საკუთრივ ორთოგრაფიული საკითხები ჩვეულებრივ ცალკე სიტყვა-თა დაწერილობას, თქმულის ბგერითს გამოხატულებას ეხება, მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხები ერთისა და იმავე გრამატიკული კატეგორიის მრავალ ფაქტს გულისხმობენ. ორთოგრაფიულ საკითხთა ხვედრითი წონა ქართულში მცირეა. ზოგიერთი მიზეზის გამო მათი მოგვარება ადვილია. შეუდარებელივ რთულია და მრავალრიცხოვანი მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხები, რომელთა მოუგვარებლად გამოკვეთილი სახის მქონე ახალი სალიტერატურო ქართულის შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელია.

2. სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოწესრიგებისას ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი: სუბიექტური და ობიექტური. პირველ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ეკისრება კეთილხმოვანების პრინციპს: მისაღებია ის, რაც კეთილხმოვანია, უარსაყოფია ის, რაც არ არის კეთილხმოვანი.

პოეტიკის თვალსაზრისით კეთილხმოვანება სავსებით გამართლებულია: ერთისა და იმავე სახის გადმოსაცემად ხელოვანს არ გამოადგება ყოველი სიტყვა, რომელიც ერთისა და იმავე მნიშვნელობისაა. ზოგს მეტი ექსპრესიული ძალა ახლავს, უკეთ ბგერს, ზოგს ნაკლები. „ცხენს მიაჭენებს“ და „ცხენს მიაქროლებს“ შინაარსობრივად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ მათი ექსპრესიული ღირებულება ერთი და იგივე არ არის. „კარვის კალთა ჩახლართული, ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე, ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“ („ვეფხისტყაოსანი“, ხანა 601, გამოც. კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ა). „ჩავაკარაბაკე“-ს ნაცვლად რომ „გზა გავიკაფე“, „ჩავვლიჯე“ ან სხვა რამ ეხმარა შოთას, ცხადია იმ ეფექტს ვერ მივიღებდით, რასაც ეს სტრიქონი იძლევა.

„კეთილხმოვანება“, უკეთ ვთქვათ, სიტყვის ბგერითი სახე უაღრესად ანგარიშგასაწევეა პოეტური სტილის თვალსაზრისით, მაგრამ მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას შეუძლებელია მით ხელმძღვანელობა. ყოველ პირს კეთილხმოვნად ის ფორმა მიაჩნია, რომლის ხმარებასაც თვითონ არის მიჩვეული. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი იძახდა: „მოვიდენ“ არის კეთილხმოვანო, სხვები, პირიქით, „მოვიდენენ“-ს თვლიდნენ კეთილხმოვნად, ასევე, ერთი გრამატიკოსის მტკიცებით, **ნ**არ არის კეთილხმოვანი ფორმებში: „მაწერინებს, დამაწერინა, მაწყენინა, მემზირინა, შემინხედნია, გამიბედნია“, მაშინ როდესაც მეორე მხარე სწორედ ამ **ნ**არიან ფორმებს აცხადებდა ერთადერთ მისაღებ ფორმად.

3. ერთადერთი გზა მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას უნდა იყოს გზა ობიექტური ანალიზისა. რა თქმა უნდა, საცილობელ ფორმათა შეფასებისას სუბიექტურ მომენტს სავსებით თავს ვერ და-

ვალწევთ, მაგრამ ეს შეფასება დაფუძნებული იქნება მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე, რამდენადაც ამოსავლად გვაქვს ანალიზი იმ სინამდვილისა, რომლისთვისაც ნორმას ვეძებთ, ანალიზი ენისა, საერთოდ, და სალიტერატურო ენისა, კერძოდ.

ენა უპირატესად რთული მონაცემია. მისი არსის ცხადყოფა მოითხოვს მის განხილვას ოთხი განზომილებით:

ა) ენა მის მიმართებაში აზროვნებასთან: ენა, როგორც აზროვნების იარაღი, ზოგადად რომ ვთქვათ, მთელი ფსიქიკური განცდის გადმოსაცემი საშუალება.

ბ) ენა იმ მიმართებაში, რომელიც იქმნება ლაპარაკის პროცესში მეტყველსა და მსმენელს შორის: ენა, როგორც გაგებინების საშუალება, ანუ ენა, როგორც სოციალური მოვლენა.

გ) ენობრივი ნიშანი (სიტყვა) მის მიმართებაში იმ ობიექტურ მონაცემებთან, რომელთა ნიშანსაც იგი წარმოადგენს. ენა, როგორც ზედნაშენური კატეგორია აქედან გამომდინარე დასკვნებითურთ, — პირველ ყოვლისა ენის კლასობრიობა კლასობრივ საზოგადოებაში.

დ) ენობრივი ნიშნები ერთმანეთთან კავშირში: ენა, როგორც ნიშნების ორგანიზებული სიმრავლე, ანუ ენა, როგორც სისტემა.

ამათგან სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოგვარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა: ენა, როგორც გაგებინების საშუალება, და ენა, როგორც სისტემა.

4. ენა წარმოადგენს სისტემას ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით.

ფონეტიკაში ყველაზე ნათლად ეს ჩანს ბუნებრივი კომპლექსების არსებობაში: ქართულში, მაგალითად, ჩვეულებრივია **წყ** და **ჭყ** (წყალი, წყრომა, წყველა, ჭყვილი, ჭეჭყა...), მაგრამ შეუძლებელია **ყწ**, **ყჭ** კომპლექსები. სამაგიეროდ, სავსებით შესაძლებელია როგორც **სხ**, ისე **ხს** კომპლექსები (სხვა, სხივი... ხსნა, ხსენება...), ოღონდ ძველს ქართულში **ხს** ყოველთვის **გხ**-ს სახეს იღებდა, ესე იგი **სხ** კომპლექსი შეიძლებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო **ხს**.

რაც შეეხება მორფოლოგიას, ცნობილია, რომ სიტყვაწარმოებაც, სახელთა ბრუნებაცა და ზმნათა უღვლილებაც იმ ფორმულების წყებას წარმოადგენენ, რომელთა საშუალებით ხერხდება სახელისა და ზმნის ცვლილებათა მრავალფეროვნების დაძლევა.

ასე, მაგალითად, სიმრავლის აღსანიშნავად ქართულში გამოყენებულია აფიქსები **-ებ**, **-ნ/-თ**, **-ენ**, **-ან**, **-ეს**.

**-ებ** გვაქვს სახელებში: სახელმწიფო — სახელმწიფო-ებ-ი, ძველებურად: სახელმწიფო — სახელმწიფო-ნ-ი. **-ებ-** ყველა ბრუნვაში რჩება: სახელმწიფო**ებ**მა, სახელმწიფო**ებ**ს, სახელმწიფო**ებ**ად, და სხვ., **-ნ-** კი სხვა

ბრუნვებში (წოდებითის გარდა) არსად რჩება, მის მაგივრად ჩნდება **-თ**: სახელმწიფოთა (მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი).

**-ებ-** აღნიშნავს მრავლობით რიცხვს სახელში, ზმნაში კი არა; ხოლო **-თ** ზმნაშიც იხმარება: ვაკეთებ მე — ვაკეთებთ ჩვენ; აკეთებ შენ — აკეთებთ თქვენ... გაუკეთებია მას — გაუკეთებიათ მათ.

**-ან, -ენ, -ეს** მრავლობითს აღნიშნავენ აგრეთვე ზმნებში, მაგრამ ყოველ მათგანს თავისი ადგილი აქვს:

**-ან** აღნიშნავს მესამე პირის მრავლობითობას მხოლოდ აწმყოში, როცა ფუძის საწარმოებელია **-ი**: ვიზრდები მე — იზრდებიან ისინი...

**-ეს** იხმარება აგრეთვე მრავლობითის მესამე პირში, მაგრამ მხოლოდ ნამყო წყვეტილში (ნამყო სრულში, აორისტში) და ისიც გარდამავალ ზმნებთან (როცა სუბიექტი მოთხრობითს ბრუნვაშია):

მან დაწერა, მოიტანა, განმარტა,  
მან დაწერეს, მოიტანეს, განმარტეს და სხვ.

**-ენ** სუფიქსიც სუბიექტის მესამე პირის სიმრავლეს აღნიშნავს, ოღონდ მისი გამოყენების არე გაცილებით უფრო ფართოა; სახელდობრ, ის იხმარება: ა) ნამყო წყვეტილსა (აორისტსა) და მეორე კავშირებითში გარდაუვალ ზმნებთან: ისინი მოვიდნენ, დაესწრნენ... ბ) აწმყოში თითქმის ყველა ზმნასთან, რომელსაც ფუძის ბოლოს არ უზის **-ი**: ისინი წერენ, აკეთებენ... გ) ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში ყველა ზმნაში: ისინი წერდნენ, აკეთებდნენ, ხატავდნენ და სხვა.

ამგვარად, სიმრავლის აღმნიშვნელ **-ებ, -ნ, -თ, -ან, -ენ, -ეს** ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში ყველას თავ-თავისი ადგილი აქვს მიჩნეული და ერთი მეორის ადგილას არ გამოდგება.

უფრო რთულია დროის, კილოს, პირის, გვარის, ქცევის წარმოება, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში მორფოლოგიური სისტემა გარკვეულ პრინციპებს ემყარება: ყოველ აფიქსს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ყოველს წარმოებას სათანადო ფორმულა გააჩნია.

ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი წესებიც გარკვეულ სისტემას ქმნის. ასე, მაგალითად: ა) ნამყო წყვეტილში (აორისტში) ზოგი ზმნა სუბიექტს მოთხრობითში იგუბს, ზოგიც — სახელობითში, იმისდა მიხედვით, გარდამავალია იგი (აქვს ობიექტი სახელობითში), თუ გარდაუვალი (არა აქვს ობიექტი სახელობითში): დავითი სახლს აშენებს — დავითმა სახლი ააშენა; დავითი არჩილს ეკითხება, დავითი არჩილს შეეკითხა... ბ) **-გან** თანდებული ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებს მოითხოვს: ნათესაობითს — კითხვაზე: ვისგან? რისგან? (წერილი ამხანაგისგან მივიღე, ჭარხლისგან შექარი კეთდება), მოქმედებითს — კითხვაზე: საიდან? (სოფლიდან ჩამოვიდა, ტფილისიდან გაგზავნა და სხ.).

ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ე ბ ა ც ანალოგიურ სურათს წარმოადგენს. სადაურობის აღსანიშნავად სალიტერატურო ქართულში იხმარება **-ელ** და **-ურ**: **-ელ**, თუ ადამიანს ეხება საქმე (სოფლ-ელ-ი, მოსკოვ-ელ-ი), **-ურ**- კი საგანთათვის (სოფლ-ურ-ი, მოსკოვ-ურ-ი და მისთ.).

შეიძლება ენას დაწერილობა არ გააჩნდეს: მხოლოდ ზეპირი მეტყველების ენა იყო. პირუკუ, შეიძლება ენას მდიდარი ლიტერატურა მოეპოვებოდა. როგორც ერთი, ისე მეორე წარმოადგენს სისტემას — სისტემას, როგორც ითქვა, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ფორმულებისას. ეს ფორმულები ცხადყოფენ: რა არის კანონიერი ამ ენის სისტემის თვალსაზრისით და რა არ ეგუება, ეწინააღმდეგება ამ ენის სისტემას.

5. ენობრივი სისტემა უცვლელი როდია: დროთა ვითარებაში ამ სისტემის ყოველი რგოლი მეტ-ნაკლებად იცვლება. იცვლება არა მხოლოდ სიტყვათა მარაგი და მნიშვნელობა, არამედ მორფოლოგიაც, სინტაქსიც, ფონეტიკური წესები, თვით ბგერითი შედგენილობაც კი.

ძველს ქართულში გარჩეული იყო **ჰ** და **ხ**; ჰერჯი (მოხერხება) და ხერხი (იარალი) სხვადასხვაგვარად იწერებოდა (ახლაც მთიული, ფშაველი, ხევსური განასხვავებენ მათ გამოთქმაში). მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთნაირად იწერება ეს სიტყვები.

ჩვენ ახლა ვამბობთ: ისინი წერდნენ, მოვიდნენ, დაესწრნენ, გაემართნენ და მისთ. ძველად იყო: ივინი წერდეს, მოვიდეს, დაესწრნეს, გაემართნეს და მისთ. (**-ეს** დაბოლოება ახლაც არის დაცული მთაში ასეთ შემთხვევაში).

ძველი ქართულის სინტაქსი მოითხოვდა, რომ **-ნ**-იან სახელობითს ზმნა შესთანხმებოდა რიცხვში იმისდა მიუხედავად, სუბიექტი იქნებოდა ეს სახელობითი, თუ ობიექტი: მან წერილი დაწერა — მან წერილნი დაწერნა, მან წერილი დაწეროს — მან წერილნი დაწერნეს.

„ველარ გავგზავნე, სიტყვანი მესმეს მონათა ჩემთანი.

მაგრა დავყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი;

სახლად სამყოფნი მიმაჩნდეს თხათა და მათ ირემთანი;

გავიჭერ, სრულად დავტკებნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი“.

(„ვეფხისტყაოსანი“ ხანა 697, გამოც. კ. ჭიჭინაძისა).

ამჟამად სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა ამგვარი კონსტრუქცია: „გავიჭერ, სრულად დავტკებნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი“.

მას გაუკეთებია — მათ გაუკეთებიათ: ესაა ჩვეულებრივი ფორმა თანამედროვე ქართულისათვის, ძვ. ქართულში კი იყო: გაუკეთებეს (ისევე, როგორც მას გაუკეთებეს). მაშასადამე, ძვ. ქართულის სისტემისათვის კანონიერი ფორმა ხშირად უცხოა ახალი ქართულის მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემისათვის.

6. ენის სისტემის ცვლა სათანადო საზოგადოების განვითარებასთან არის დაკავშირებული. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ენა არის გაგებინების საშუალება, ურთიერთობის იარაღი გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ე ნ ო ბ რ ი ვ ი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ა თ ვ ი ს.<sup>1</sup>

ლაპარაკის პროცესი ინდივიდში მიმდინარეობს, მაგრამ ენა არ არის ინდივიდუალურ-ბიოლოგიური მოვლენა: ლაპარაკი მოლაპარაკის გარდა მსმენელსაც გულისხმობს. ამიტომ მოლაპარაკე არ არის თავისუფალი: იგი ვერ იხმარს ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც სათანადო ენობრივი კოლექტივისათვის უცხოა. „ეს სახლი მაღალია“, ამის ნაცვლად ქართულად მოლაპარაკე ვერ იტყვის: ეს მეზონი ალტია, რადგანაც ეს ისევე არ გამოდგებოდა გაგებინების საშუალებად, როგორც ამავე სიტყვების ბგერათა გადასმით მიღებული უაზრო კომპლექსები („სე ილხას აილალამ“).

ყოველი ენობრივი მოვლენა, რომელიც მიღებულია გაგებინების საშუალებად, რომელსაც აქვს სოციალური სანქცია, უკვე გამართლებულია; ხმარებული ცოცხალია, ხმარებიდან გასული — მკვდარი, ხმარება, უზუსტი ყველაფერია.

სახლი, ტუნ, დომ, ჰაუს, მეზო(ნ) ერთისა და იმავე საგნის სახელია სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში. საგნის არსს არც ერთი მათგანი არ გამოხატავს, საგნის ნიშნად კი ყველა გამოდგება, რამდენადაც ქართველი ხმარობს „სახლს“-ს, სომეხი „ტუნ“-ს, რუსი „დომ“-ს, გერმანელი „ჰაუს“-ს, ფრანგი „მეზო(ნ)“-ს, რამდენადაც ამ სახელებს სოციალური სანქცია მოეპოვებათ.

ამიტომ, როცა ენაში რაიმე ცვლილება იჩენს თავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენადაა იგი გავრცელებული, როგორია მისი გამოყენების არე, როგორი შანსები გააჩნია, რომ სოციალური სანქცია მოეპოვოს.

7. როგორ დამოკიდებულებაშია გრამატიკულად სწორი სოციალურად გაბატონებულთან? ჩვეულებრივ გრამატიკულად სწორს სოციალური სანქციაც გააჩნია, მაგრამ არა ყოველთვის: ყოველს ენაში ბლომად მოიპოვება ისეთი მოვლენა, რომელიც ენის სისტემის თვალსაზრისით კანონიერად ვერ მიიჩნევა, მაგრამ სოციალური სანქცია უკვე აქვს და ერთადერთ

<sup>1</sup> ენობრივ კოლექტივს ქმნიან ერთ ენაზე მოლაპარაკენი. ცნება ენობრივი კოლექტივისა მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ცნებას ეროვნებისას: 1) ეროვნებით ქართველი, მაგრამ ქართულის არმცოდნე არ ეკუთვნის ქართულ ენობრივ კოლექტივს, პირუკუ: ქართულად მოლაპარაკე არაქართველი შედის ქართულს ენობრივ კოლექტივში; 2) ყოველი ადამიანი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთს ეროვნებას; მაგრამ ის იქნება იმდენი ენობრივი კოლექტივის წევრი, რამდენი ენაც იცის.

კანონიერ მოვლენადაა მიჩნეული. ქართულში ამის ნიმუშს წარმოადგენს: დაღმა, სადაური, აქაური, იქაური, ვზივარ, ვდგავარ, ვწევარ და მისთ.

„დაღმა“-ს „ღ“ „აღმა“-ს მიმსგავსებით გაუჩნდა (ძვ. ქართულში „ღამართ“-ია და არა „დაღმართ“-ი). მაშასადამე, „დაღმართში“ „ღ“ ისევე უკანონოა ისტორიულად, როგორც „უმფროსში“ „მ“.

„სადაური, აქაური, იქაური“ ამჟამად ადამიანის მიმართაც იხმარება და საგნისთვისაც: აქაური მცხოვრები, იქაური მოქალაქე, იქაური ღვინო... „აქაური მცხოვრები“ ისევეა ნაწარმოები, როგორც „კახური ღვინო“... „აქაური მცხოვრები“ ისევეა ნაწარმოები, როგორც „კახური ღვინო“, „გორული მეხილე“ და თუ ეს უკანასკნელი უკანონოა, ისიც უკანონო უნდა იყოს.

„ვზივარ, ვდგავარ, ვწევარ“ ფორმებში „ვარ“ ისევე უცნაური იყო ერთ დროს, როგორც ჩვენთვის დღეს „ვყვირივარ, ვფიქრივარ“-ში... მაგრამ ყველა ამ ზემოდასახელებულმა „უკანონო“ მოვლენამ მოიპოვა სოციალური სანქცია და დღეს ერთადერთ ლიტერატურულ ფორმას წარმოადგენს.

პირუკუ, არის მოვლენები, რომლებიც საგნებით კანონიერია ქართული ენის სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ არალიტერატურულად მიგვაჩნია. „იგი კაცი“, „იგი საქმე“ თავისთავად ისევე კანონიერია, როგორც „ის კაცი“, „ის საქმე“. ძველს ქართულში სწორედ პირველი იყო მიჩნეული ლიტერატურულ ფორმად:

„რას დაგეჟადა ი გ ი ყ მ ა, რა ნახა შენგან კლებული?“ (ვ. ტყ. ხ. 1167). ამჟამად „იგი ყმა“, „იგი კაცი“ თითქმის დიალექტიზმია.

ასევე გრამატიკულად უნაკლო „მოსულარიან, დაწოლილარიან“, ერთადერთი ლიტერატურული ფორმაა ძვ. ქართულისა, ამჟამად მკვეთრად დიალექტური (იმერული) ჩანს, ლიტერატურულად კი „მოსულან, დაწოლილან“ მიგვაჩნია.

მაშასადამე, სოციალურ სანქციას შეუძლია ისტორიულად უკანონო აღჭურვოს კანონიერი მოვლენის უფლებით და, პირუკუ, ისტორიულად კანონიერს აჰყაროს უფლება, რაც ცხადყოფს სოციალური მომენტის სიძლიერეს.

8. ზემოთქმული ეხება როგორც ცოცხალს ხალხურ მეტყველებას, ისე სალიტერატურო ენას: ორივე სისტემაა, ორივე სოციალური მოვლენაა — ეს საერთოა მათთვის; განსხვავდებიან კი ისინი შემდეგი ნიშნების მიხედვით: ა) სალიტერატურო ენა, როგორც წიგნის ენა, ერთია გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის, კუთხური მეტყველება (დიალექტი) კი — ერთზე მეტია; ბ) კუთხური მეტყველებას კონტროლი არ ეწევა, სალიტერატურო ენა კონტროლს ექვემდებარება, მასზე შეგნებულ ზემოქმედებას ახდენენ იმ მიზნით, რომ კულტურის ეს პროდუქტი მაქსიმალურად შეეფერებოდეს თავის დანიშნულებას: იყოს კულტურული წინსვლის მარჯვე და მკვეთრი იარაღი. განსა-

კუთრებული მნიშვნელობა ამას ჩვენში აქვს ამჟამად.

სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული კილოს ნიადაგზე, მაგრამ ის იახლოებს და უახლოვდება სხვა კილოებსაც. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მან შეასრულოს საერთო სალიტერატურო ენის როლი. სალიტერატურო ენას კილოები ასაზრდოებენ, მაგრამ სალიტერატურო ენის გზა არც ერთი კილოს განვითარებას არ ხვდება მთლიანად.

სალიტერატურო ქართული ყოველ შემთხვევაში მე-რ საუკუნიდან მკვეთრად ჩამოყალიბებული სახის მქონე სალიტერატურო ენაა. ახალი სალიტერატურო ქართული მისი გაგრძელებაა, სახეცვლილი ქართლურ-კახური ცოცხალი მეტყველების საფუძველზე.

ამ ენის ნიმუშები ყოველ შემთხვევაში მე-18 საუკუნის მესამოცე წლებიდან იკაფავს საბოლოოდ გზას და ერთადერთ სალიტერატურო ენად გვევლინება.

გასული საუკუნის მესამოცე წლებიდან მოყოლებული ამ სალიტ. ენაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური დიალექტები. თუმცა ეს მონაწილეობა ძირითადად ლექსიკის ხაზით ხორციელდებოდა, მორფოლოგიურ-სინტაქსურ სისტემას კი საფუძვლად ედგა და ამჟამადაც უძევს ქართლურ-კახური.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მორფოლოგია-სინტაქსში სხვა კილოებიდან არაფერი შემოსულა და შემოდის; ან, რაც ქართლურსა და კახურში გვხვდება, ყველაფერი ლიტერატურულია.

არ ავიხსნათ არ მოუვა აზრად ლიტერატურულად მიიჩნის ქართლური „დაწყობა“ (დაწყების მნიშვნელობით), კახური „უსათოოდ“, ქართლსა და კახეთში ხმარებული „გწერავ, შაიტანს, მამწონს, აქვ, დგა, იცვავს, იფარამს“... ლიტერატურაში ხმარებული ქართლურ-კახური „კახეთიდამ, ქართლიდამ, სოფლიდამ“-ის ნაცვლად საბოლოოდ დამკვიდრდა „კახეთიდან, ქართლიდან, სოფლიდან“, აგრეთვე: „ჩემთვინ“, აქამდისინ“, „მამლი ყვილი“ და მრავალი სხვა ამგვარი უდაოდ არალიტერატურულია.

უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნა, სოფელსა და ქალაქს შორის წინააღმდეგობის მოშლა, სოციალისტური კულტურის ძლევა-მოსილი წინსვლა შინაგანის აუცილებლობით იწვევს ქართულ სალიტერატურო ენაში ქართული დიალექტების საგანძურის კრიტიკულად გადამუშავება-ათვისებასთან ერთად უჩვეულო ზრდას სალიტერატურო ქართულის გავლენისას დიალექტებზე, რაც საბოლოო პერსპექტივაში მოგვცემს დიალექტების მოხსნას და სალიტერატურო ქართულისა და ცოცხალი კუთხური მეტყველების გაიგივებას.

ყოველივე იმის საფუძველზე, რაც ზემოთ არის ნათქვამი, საერთოდ, ენისა და, კერძოდ, სალიტერატურო ენის შესახებ, კომისიამ მოხსენების თანახმად მიიღო შემდეგი



**დასკვნა:**

1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, არ უნდა შეიქმნეს ხელოვნური ნორმები, ცოცხალი ენისაგან დაშორებული.
2. გადასინჯვას არ მოითხოვს და უცვლელად დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მონაცემი, რომელიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება მაშინაც კი, როცა ის სავსებით უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით (დაღმა, აქაური, იქაური, ვდგავარ, ვზივარ). რასაც უყოყმანო სოციალური სანქცია აქვს, ის საკითხად ვერ იქცევა.
3. როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილედ მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც:
  - ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;
  - ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას;
  - გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია და
  - დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

**შენიშვნა.** როცა ერთმანეთის მოცილედ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკულად, მაგრამ ხმარებულობის მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი დარჩნენ პარალელურად.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. ამ შემთხვევაში მოცილედ მოვლენებიდან უპირატესობა მიეცეს იმას, რომელიც:
  - ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში,
  - ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად,
  - გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით.

## 1. სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ

(მათ ის აქვს თუ აქვთ? ის თქვენ გიგზავნის თუ გიგზავნით?  
ის თქვენ დაგიდგამს თუ დაგიდგამთ?)

1. ქართული ენის სინტაქსისა და მორფოლოგიის ევოლუცია მეტერ-თმეტე საუკუნიდან დღემდე არაფერში არ ასახულა ისე მკვეთრად, როგორც მიცემითი და სახელობითი ბრუნვის სინტაქსური როლის ცვლაში.

2. თანამედროვე ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი რეალურად შეიძლება სხვადასხვაგვარ როლს ასრულებდეს: პეტრეს მოუკლავს დათვი, პეტრეს უყვარს ნადირობა, პეტრეს აქვს თოფი, პეტრეს კლავს დათვი... ოთხსავე ფრაზაში „**პეტრეს**“ მიცემითი ბრუნვაა: ეს მიცემითი პირველ შემთხვევაში გამოხატავს რეალურად მოქმედს, აქტიურს (სუბიექტს) — პეტრეს მოუკლავს; მეორე ფრაზაში — „პეტრეს უყვარს“ — ეს აქტივობა სუსტია; მესამეში — „პეტრეს აქვს“ — უჩინარია; ხოლო უკანასკნელ ფრაზაში — „პეტრეს კლავს დათვი“ — „პეტრე“ უკვე სხვისი მოქმედების საგანს წარმოადგენს: უკანასკნელი ფრაზის მიცემითი რეალური ობიექტს აღნიშნავს.

3. ძველ ქართულში მიცემითი ბრუნვა ყოველთვის ერთისა და იმავე უფლების მქონე იყო, იმისდა მიუხედავად, აღნიშნავდა იგი რეალურ სუბიექტს თუ რეალურ ობიექტს, ენისთვის ის ყოველთვის ობიექტი იყო. ამისდა კვალობაზე მისი პირი ზმნაში აღინიშნებოდა, მისი მრავლობითობა კი არა:

აქუნდა მათ მონაგებთა სიმრავლჳ აურაცხელი... (ცხოვრებად საბა ასურისაჲ).

თანაჳყვანდა მათ... ერთი მენავეთა მათგანი... (კიმენი, I).

მტერთა მათ... უნდა დამარხვად მისი... (კიმენი, I).

უყუარდა მათ რჩული... (წამებაჲ ცხრათა ძმათა კოლაელთაჲ).

გიყუარს თქუენ ზემოჯდომაჲ... (ხანმეტი ტექსტები).

ამას ხოლო გკითხავ თქუენ... (კიმენი, I).

ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ (სასულიერო პოეზია).

მეუფლა ჩუენ ნათესავი იგი პილწი სპარსთაჲ და მიყვეს ჩუენ ყოველივე ნებისაებრ მათისა... (წარტყუენაჲ იერუსალჳმისაჲ).

როცა „ჩვენ“ არის მიცემითს ბრუნვაში, ხშირად აღინიშნება ხოლმე მისი მრავლობითობა (მაგ.: ჩვენ გურწამს და აღვიარებთ... მოგუანიჭე ჩუენ ცხოვრებად და სხვ.), მაგრამ არანაკლებ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, სადაც „ჩუენ“ მიცემითს ბრუნვაშია და მისი მრავლობითობა ზმნაში აღუნიშვნელი რჩება (იხ. მაგალითები ზემოთ).

„თქუენ“ და „მათ“ მიცემითს ბრუნვაში თუ არიან, ზმნაში თავის მრავლობითობას არ აღნიშნავენ (იხ. მაგალითები ზემოთ).

4. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მიცემითს ბრუნვაში დასმული „ჩუენ“ და „თქუენ“ ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში,<sup>1</sup> მათი მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება, მესამე პირის მრავლობითობა კი ხან აღინიშნება და ხან არა. მესამე პირის მრავლობითობა აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ეს მიცემითი რეალურად მოქმედს, აქტიურს აღნიშნავს, აღუნიშვნელი რჩება, თუ იგი რეალურად უმოქმედოზე, პასიურზე მიუთითებს.

5. იმ შემთხვევაში, როცა ზმნა ბოლოვდება სუბიექტის **-ს** სუფიქსით და ზმნის ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-თ** სუფიქსი დაერთვის, ვიღებთ **-სთ** კომპლექსს.

I.	გაქვს ის შენ	—	გაქვ <b>სთ</b> ის თქვენ
	გყავს ის შენ	—	გყავ <b>სთ</b> ის თქვენ
	გმართებს ის შენ	—	გმართებს <b>სთ</b> ის თქვენ
	გაქებს ის შენ	—	გაქებს <b>სთ</b> ის თქვენ
II.	გქონდეს ის შენ	—	გქონდეს <b>სთ</b> ის თქვენ
	გყავდეს ის შენ	—	გყავდეს <b>სთ</b> ის თქვენ
III.	დაგიდგამს ის შენ	—	დაგიდგამ <b>სთ</b> ის თქვენ
	ჩაგიცვამს ის შენ	—	ჩაგიცვამ <b>სთ</b> ის თქვენ

სუფიქსების ასეთი თავმოყრა შეიძლება მივიღოთ ყველა იმ დრო-კილოში, სადაც მხოლოდობით რიცხვში სუბიექტის მესამე პირი **-ს** სუფიქსით აღინიშნება; ეს დრო-კილოებია: აწმყო, მყოფადი, კავშირებითი (კონიუნქტივი) I, II და III და თურმეობითი პირველი.

ნიმუშები მეთვრამეტე საუკუნის ძეგლებიდან:

<sup>1</sup> „თქვენ“-ის მრავლობითობა აღუნიშვნელი რჩება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სახელდობრ, თუ ზმნის სუბიექტი მრავლობითის მესამე პირია. ისინი გწერენ თქვენ... მათ მოგწერეს თქვენ... თუმცა არის მაგალითები „თქვენ“-ის მრავლობითობის აღნიშვნისა ამ შემთხვევაშიც: მოგართვესთ მათ თქვენ.

თუ კი რამ არის საყაფლანისშვილოსი, ხომ სულ იმათა ჰყავს თ... (საქართვე. სიძველენი, ტ. III, გვ. 376).

ამ თათრების საქმეც გავარიგოთ და, რომელსაც ამ ჩხუბში დანაშაულები აქვს თ, გარდავახდევინოთ... (იქვე, გვ. 377).

მეტად ავი გზაც არის და სოფელ-სოფელ ტარება წვრილის ყმარწვილებისა შეგაწუხებს თ... (იქვე, გვ. 245).

სხუას ჩვენს სიტყუას წინამძღვარი ევთიმი და ქაიხოსრო სუფრაჯი მოგახსენებს თ... (იქვე, გვ. 236).

მულამ იკითხევდენ და აჯსოვდეს თ... (საქართვე. სიძველენი, ტ. I, გვ. 183).

6. თანამედროვე სალიტერატურო ქართულს ახასიათებს მიდრეკილება ამ **სთ** კომპლექსის გამარტივებისა **ს**-ს ამოღებით; გვხვდება, ერთი მხრით: **აქვსთ, გაქვსთ, ჰყავსთ, გყავსთ** და მაგვარი ფორმები და, მეორე მხრით: **აქვთ, გაქვთ, ჰყავთ, გყავთ...** ერთიცა და მეორეც გვხვდება, მაგ., ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, დ. კლდიაშვილის, აკაკი წერეთლისა და სხვათა თხზულებებში.

ა) **ს**-ს დაკარგვა ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ფონეტიკური მიზეზით ჩანს გამოწვეული: **-ს** ვერ ძლებს წინა თანხმოვანსა და მომდევნო **თ**-ს შორის: **აქვსთ, შეგაწუხებსთ, მოგახსენებსთ...**

ამ მოვლენის ერთგვარ ანალოგიას წარმოადგენს მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა **თან** თანდებულის წინ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში: სახლს + თან = სახლთან; კაცს + თან = კაცთან.

მაგრამ **ს** შენახულია ბოლოხმოვანი სახელებში: **დასთან, ხესთან, წყაროსთან** და სხვ.; ხმოვნებს შუა მოქცეული **-სთ** რჩება.

დარჩენისათვის საჭირო ფონეტიკური პირობა — ხმოვანთა შორის მოქცევა — ზმნის დაბოლოებაში არ მოიპოვება: ზმნის ფორმა **-თ**-თი თავდება.

მიცემითი ბრუნვის **-ს**-ს ბედი და **სთ** კომპლექსის **-ს**-ს ვითარება რომ ერთმანეთს ემსგავსება, ამას ცხადყოფს ხევსურული კილო, სადაც მიცემითი ბრუნვის **-ს** ურყევად დგას **თან** თანდებულის წინ და ზმნაშიც **სთ** კომპლექსი მკვიდრად არის. მაგალითად:

მიცემითი ბრუნვის **-ს** შენახულია **თან** თანდებულის წინ:

სტუმრადაც მადენილან ამ ალუდაურსთან (ხევსურული მასალები, წელიწადეული, ტ. I-II, გვ. 175);

ჩამავიდ თავის ხალხსთან (იქვე, 169);

ნადირაის ჯმლის ნატეხნი კარავის ბოძსთან ხყრიანო (იქვე, 164);

მაშინ ეს ქალ ვერც სხვა ქმარსთან გაიხარებს (იქვე, 133).

ზმნაში **სთ** კომპლექსი დაცულია:

იმის წყალობა გქონდასთ... დასტურს დასტურობა ნუ შეგანანასთ,

ველოსან დიდხან გაგიყოლას**თ**, სოფელთაც მოგცას**თ** წყალობა; ბევრ აეს დრო მოგგვარას**თ** მშვიდობისა, გახარებისა... გაბეგრნას**თ**, გამრავლნას**თ**, თასიანებს ველთა გაამას**თ**, მემუჯლეებს მუჯლებ შაგარჩინას**თ**... (იქვე, გვ. 145 და შემდ.).

ბ) ფონეტიკურ ნიადაგზე **-ს**-ს დაკარგვას ხელს უნდა უწყობდეს შემდეგი არაფონეტიკური გარემოება: **სთ** კომპლექსი გვხვდება ორ- და სამპირიან ზმნებში. ხშირია შემთხვევა, როდესაც **ს**-თი წარმოდგენილი სახელის როლი ზმნით აღნიშნულ პროცესში სუსტია, იმ სახელის როლი კი, რომლის მრავლობითობაც ზმნაში **თ**-თია წარმოდგენილი, შეუდარებელი უფრო ძლიერია. ასეთ პირობებში სუსტი სახელის წარმომადგენლის დაჩრდილვა გაადვილებული უნდა ყოფილიყო.

ნიმუშად გამოდგება თურმეობითი პირველი. აქ მიცემით ბრუნვაში დაისმის რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი, მ ო ქ მ ე დ ი, სახელობითი ბრუნვა კ ი რ ე ა ლ უ რ ა დ ო ბ ი ე ქ ტ ს გ ა დ მ ო გ ვ ც ე მ ს:

მას დაუდგამს, მოუკლავს, უსვამს, უნახავს... ის.

მათ დაუდგამთ, მოუკლავთ, უსვამთ, უნახავთ... ის.

თუ მიცემითი ბრუნვა მრავლობითშია, ზმნას გაუჩნდება მრავლობითის ნიშანი **-თ**, მაგრამ, სახელობითი რომ მრავლობითში დავსვით, ამით ზმნა არ შეიცვლება: მას უნახავს მონადირე — მას უნახავს მონადირეები...

ამიტომ შემთხვევითი არაა, თუ თურმეობითს პირველში **სთ** კომპლექსი ამჟამად ს რ უ ლ ე ბ ი თ აღარა გვხვდება: **ს**-ს დაკარგვა აქ დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ი პ რ ო ც ე ს ი ა.

გ) მანც ფონეტიკური გარემოა ძირითადი მნიშვნელობის ფაქტორი **ს**-ს დაკარგვისათვის; ეს ცხადად ჩანს ისეთი შემთხვევებიდან, სადაც მიცემითისა და სახელობითის როლი ზმნის პროცესში ე რ თ ნ ა ი რ ი ა, ფონეტიკური პირობები კი — გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი; შდრ.: გიგზავნი**სთ** ის თქვენ — გაქებ**სთ** ის თქვენ: პირველის მსგავს შემთხვევებში, სადაც **სთ** კომპლექსს წინ ხმოვანი უძღვის, **სთ** უფრო ხშირია, ვიდრე მეორე ტიპის მაგალითებში, სადაც თანხმოვანია წინ მდგომი.

სალიტერატურო ქართულის ზმნათა **სთ** კომპლექსში **ს** ისევე იკარგება, როგორც დაიკარგა მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშანი **თან** თანდებულის წინ თანხმოვანფუძიან სახელებში (**კაცთან, სახლთან, კედელთან**). ამდენად, დღეს სალიტერატურო ქართულისათვის ბუნებრივია უ**-ს**-ანო ფორმები: **გაქვთ, გყავთ, გძულთ, აქვთ, ჰყავთ, სძულთ... გქონდეთ, გყავდეთ... ნუ მოგიშალოთ... გაგიმარჯოთ... გაცოცხლოთ...** (და არა: **გაქვსთ, გყავსთ, გძულსთ, გქონდესთ...**).

ამათვე მისდევს ის ზმნებიც, რომელთაც ობიექტად მოუღიოთ **თქვენ**: ის თქვენ **გთხოვთ, გიბრძანებთ, წარმოგიდგენთ, გიგზავნით, გაძლევთ** და სხვა ანალოგიური ფორმები. მართლაც, უ**-ს**-ანოდ ეს ფორმები ორაზ-

როვანი გამოდის, თუ სახელი არ დაემატა: „**გთხოვთ** (თქვენ)“ მე, ჩვენ, ის, **გთხოვს** კი მხოლოდ მესამე პირს გულისხმობს (ის **გთხოვს** თქვენ), მაგრამ, მიუხედავად ამისა, **ს**-ს დაკარგვის პროცესი იმდენად ძლიერია, რომ ორაზროვნების აცილების სურვილი მას ვერ აჩერებს, მით უმეტეს, რომ უამისოდაც სამი ერთგვარი, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებული ფორმა ისედაც გვაქვს: **გთხოვთ მე თქვენ, გთხოვთ ჩვენ თქვენ, გთხოვთ ჩვენ შენ**. ამათ დაემატება მეოთხეც: **გთხოვთ ის თქვენ**.

## 2. ი- და ე- პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა II ჯგუფში

(ისინი დაიმაღნენ თუ დაიმაღლენ? დაემაღლნენ თუ დაემაღლენ მას? დაესწრნენ თუ დაესწრენ? შეეჩვივნენ თუ შეეჩვიენ მას?)

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **-ნენ** დაბოლოებას ვხვდებით ნამყო ძირითადას (წყვეტილსა) და კავშირებითს მეორეში **ი-** და **ე-** პრეფიქსებით ნაწარმოებ ვნებითში:

**აწმყო:** ის იმალება, იზრდება, იწერება...

ის მას ემალება, ეზრდება, ეწერება... ესწრება, ეჩვევა...

**ნამყო ძირითადი (წყვეტილი):** ისინი დაიმაღნენ, დაიზარდნენ, დაიწერნენ ან დაიმაღლნენ, დაიზარდნენ, დაიწერნენ...

ისინი დაემაღლენ, დაეზარდნენ, დაეწერნენ, დაესწრენ, შეეჩვიენ ან ისინი დაემაღლნენ, დაეზარდნენ, დაეწერნენ, დაესწრნენ, შეეჩვივნენ...

**კავშირებითი II:** ისინი რომ დაიმაღლონ (დაიმაღლნენ), დაიზარდონ (დაიზარდნენ), დაიწერონ (დაიწერნენ)...

ისინი რომ დაემაღლონ (დაემაღლნენ), დაეზარდონ (დაეზარდნენ), დაეწერონ (დაეწერნენ), დაესწრონ (დაესწრნენ), შეეჩვიონ (შეეჩვივნენ)...

2. **ი-** და **ე-** პრეფიქსებიანი ვნებითში **-ნ-** ძველთაგანვე იყო ნამყო ძირითადას (წყვეტილსა) და კავშირებითს მეორეში, ოღონდ მრავლობითი რიცხვის პირველსა და მეორე პირში იყო **-ენ** სუფიქსი, მესამე პირში ეს **-ენ** სუფიქსი კარგავდა **ე-**ს და იღებდა **ნ-**ს სახეს:

შდრ. ძველი ქართულის ნამყო ძირითადი (წყვეტილი) და კავშირებითი II ახალი ქართულისას:

### ნამყო ძირითადი (წყვეტილი)

#### ძველ ქართულში:

მე დავიმაღლე

შენ დაიმაღლე

იგი დაიმაღლა

#### ახალ ქართულში:

მე დავიმაღლე

შენ დაიმაღლე

ის დაიმაღლა

ჩვენ დავიმალ-ენ-ი-თ	ჩვენ დავიმალეთ
თქვენ დაიმალ-ენ-ი-თ	თქვენ დაიმალეთ
იგინი დაიმალ-ნ-ეს	ისინი დაიმალ-ენ ან დაიმალ-ნენ
მე დავემალე მას	მე დავემალე მას
შენ დავემალე მას	შენ დავემალე მას
იგი დავემალა მას	ის დავემალა მას
ჩვენ დავემალ-ენ-ი-თ მას	ჩვენ დავემალეთ მას
თქვენ დაემალ-ენ-ი-თ მას	თქვენ დაემალეთ მას
იგინი დაემალ-ნ-ეს მას	ისინი დაემალ-ენ- ან დაემალ-ნენ

### კავშირებითი მეორე

#### ძველ ქართულში:

მე დავიმალო  
 შენ დაიმალო  
 იგი დაიმალოს  
 ჩვენ დავიმალ-ნ-ე-თ  
 თქვენ დაიმალ-ნ-ე-თ  
 იგინი დაიმალ-ნ-ე-ნ  
 მე დავემალო მას  
 შენ დავემალო მას  
 იგი დავემალოს მას  
 ჩვენ დავემალ-ნ-ე-თ მას  
 თქვენ დაემალ-ნ-ე-თ მას  
 იგინი დაემალ-ნ-ე-ნ მას

#### ახალ ქართულში:

მე დავიმალო  
 შენ დაიმალო  
 ის დაიმალოს  
 ჩვენ დავიმალ-ო-თ  
 თქვენ დაიმალ-ო-თ  
 ისინი დაიმალ-ო-ნ  
 მე დავემალო მას  
 შენ დავემალო მას  
 ის დავემალოს მას  
 ჩვენ დავემალ-ო-თ მას  
 თქვენ დაემალ-ო-თ მას  
 ისინი დაემალ-ო-ნ მას

3. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი მეორის საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. დავიმალოთ, დაიმალოთ, დაიმალონ... დავეწიოთ, დაეწიოთ, დაეწიონ — გაბატონებული ფორმებია (დავიმალნეთ, დაიმალნეთ, დაიმალნენ... დავეწივნეთ, დაეწივნეთ, დაეწივნენ — კავშირებით მეორეში იშვიათად თუ შეგვხვდება).

ნამყო ძირითადის (წყვეტილის) I და II პირის მრავლობითის წარმოებისას **-ენ**-იანი ფორმები (დავიმალ**ენ**ით, შევიყარ**ენ**ით, დავეკითხ**ენ**ით) დღეს სალიტერატურო ენაში აღარ იხმარება; გაბატონებულია უამსუფიქსო ფორმები (ჩვენ ვიყავით... დავიმალეთ... თქვენ იყავით, დაიმალეთ... და არა: ჩვენ ვიყავ**ენ**ით, დავიმალ**ენ**ით... თქვენ იყავ**ენ**ით, დაიმალ**ენ**ით...).

მესამე პირში კი **-ნ**-იანი ფორმა ძირითადად გავრცელების მიხედვით (ისინი იყავ**ნ**ენ, დაიმალ**ნ**ენ...) მიუხედავად იმისა, რომ პირველსა და მეორე



პირში ამ **ნ**-ს საყრდენი (**-ენ** სუფიქსი) გამოეცალა.

ამისდა მიხედვით:

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **-ნ-ენ**-იანი ფორმა უნდა დარჩეს ნამყო ძირითადის (წყვეტილის) მრავლობითის მესამე პირში, რადგანაც: ა) გრამატიკულად სწორია (აქვს ხანგრძლივი ისტორია) და ბ) ძალზე გავრცელებულია.

მაშასადამე, უნდა იყოს: ისინი დაიმა**ლნენ**, დაემა**ლნენ**; დაიხო**ცნენ**, დაეხო**ცნენ**; დაიწერ**ნენ**, ჩაეწერ**ნენ**, დაესწრ**ნენ**, დაეხმარ**ნენ**, იყვნ**ენ** (და არა: ისინი დაიმა**ლენ**, დაემა**ლენ**, დაესწრ**ენ**, დაეხმარ**ენ**, იყვნ**ენ**...).

2. იმ შემთხვევაში, როცა **ი-** და **ე-** პრეფიქსით ნაწარმოებ ვნებითი გვარის ზმნებს აწმყოში **-ევ** სუფიქსი აქვს, ეს სუფიქსი ნამყო ძირითადში (წყვეტილში) მრავლობითის მესამე პირში **ნ**-ს წინ **-ივ**-ის სახეს მიიღებს:

**აწმყო:** ის ეწე**ვა**, ეჩე**ვა**, ეხე**ვა**...

**ნამყო ძირითადი (წყვეტილი):** ის დაეწ**ია**, შეეჩ**ია**, მოეხ**ია**, ეწ**ია**, მაგრამ ისინი დაეწ**ივნენ**, შეეჩ**ივნენ**, მოეხ**ივნენ**, ეწ**ივნენ**.

ამრიგად: **ი-** და **ე-** პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების უღვლილება ნამყო ძირითადსა (წყვეტილსა) და კავშირებით II-ში ასეთი იქნება:

**ნამყო ძირითადი (წყვეტილი)**

**კავშირებითი II**

მე დავიმა**ლე**  
შენ დაიმა**ლე**  
ის დაიმა**ლა**  
ჩვენ **დავიმა**ლეთ****  
თქვენ **დაიმა**ლეთ****  
ისინი **დაიმა**ლნენ****

მე დავიმა**ლო**  
შენ დაიმა**ლო**  
ის დაიმა**ლოს**  
ჩვენ **დავიმა**ლოთ****  
თქვენ **დაიმა**ლოთ****  
ისინი **დაიმა**ლონ****

**ნამყო ძირითადი (წყვეტილი)**

**კავშირებითი II**

მე დავემა**ლე** მას  
შენ დაემა**ლე** მას  
ის დაემა**ლა** მას  
ჩვენ **დავემა**ლეთ**** მას  
თქვენ **დაემა**ლეთ**** მას  
ისინი **დაემა**ლნენ**** მას

მე დავემა**ლო** მას  
შენ დაემა**ლო** მას  
ის დაემა**ლოს** მას  
ჩვენ **დავემა**ლოთ**** მას  
თქვენ **დაემა**ლოთ**** მას  
ისინი **დაემა**ლონ**** მას

**ნამყო ძირითადი (წვეტილი)**

მე შევეჩვიე მას  
 შენ შეეჩვიე მას  
 ის შეეჩვია მას

**კავშირებითი II**

მე შევეჩვიო მას  
 შენ შეეჩვიო მას  
 ის შეეჩვიოს მას

**ნამყო ძირითადი (წვეტილი)**

ჩვენ შევეჩვიეთ მას  
 თქვენ შეეჩვიეთ მას  
 ისინი შეეჩვივნენ მას

**კავშირებითი II**

ჩვენ შევეჩვიოთ მას  
 თქვენ შეეჩვიოთ მას  
 ისინი შეეჩვიონ მას

### 3. სუბიექტის III პირის მრავლობითის ნიშანი დრო-კილოთა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებში

(ისინი აშენებდნენ თუ აშენებდნენ? იზრდებოდნენ თუ იზრდებოდნენ? გაფითრდნენ თუ გაფითრდნენ? მოვიდნენ თუ მოვიდნენ? შეჭკითხებოდნენ თუ შეჭკითხებოდნენ?)

1. ეს საკითხი ეხება:

ა) ყველა ზმნას ნამყო უსრულსა (უწყვეტელსა) და კავშირებითს პირველში;

ბ) **-დ-**თი ნაწარმოებ ვნებითს ზემოხსენებული ორი დროის გარდა აგრეთვე ნამყო ძირითადსა (წყვეტილსა) და კავშირებითს მეორეში;

გ) ნამყო ძირითადსა (წყვეტილსა) და კავშირებითს მეორეში იმ ზმნებს, რომელთა ფუძეც **-დ-**თი ბოლოვდება:

დ) ორპირიან გარდაუვალ ზმნებს თურმეობითს მეორესა და კავშირებითს მესამეში.

მაგალითები:

ა) **ნამყო უსრული (უწყვეტელი):** რას შვრებოდა?

ის აკეთებ-დ-ა — ისინი აკეთებ-დ-ენ ან აკეთებ-დ-ნენ; ის ხსნი-დ-ა — ისინი ხსნი-დ-ენ ან ხსნი-დ-ნენ.

ასეთ შემთხვევაში **-დ-** დროის საწარმოებელი სუფიქსია, **-ენ** ან **-ნენ** — მესამე პირის მრავლობითის ნიშანი.

**კავშირებითი პირველი:** რას უნდა შვრებოდეს?

ის უნდა აკეთებ-დ-ეს — ისინი უნდა აკეთებ-დ-ენ ან აკეთებ-დ-ნენ; ის უნდა ხსნი-დ-ეს — ისინი უნდა ხსნი-დ-ენ ან ხსნი-დ-ნენ.

ბ) **ნამყო ძირითადი (წყვეტილი):** რა ქნა?

ის დასახლ-დ-ა — ისინი დასახლ-დ-ენ ან დასახლ-დ-ნენ.

ამგვარ ზმნებში **-დ-** ვნებითს გვარს აწარმოებს, **-ენ** ან **-ნენ** მესამე პირის მრავლობითის ნიშანია.

**კავშირებითი მეორე:** რა უნდა ქნას?

ის უნდა დასახლდეს — ისინი უნდა დასახლდნენ ან დასახლდნენ.

გ) **ნამყო ძირითადი (წვეტილი):** რა ქნა?

ის მოვიდა — ისინი მოვიდნენ ან მოვიდნენ.

აქაც -ენ ან -ნენ მესამე პირის მრავლობითის ნიშანია, -დ კი ზმნის ფუძეს განეკუთვნება.

**კავშირებითი მეორე:** რა უნდა ქნას?

ის უნდა მოვიდეს — ისინი უნდა მოვიდნენ ან მოვიდნენ.

დ) **თურმეობითი მეორე:** რა ექნა?

ის შეჰკითხებოდა — ისინი შეჰკითხებოდნენ ან შეჰკითხებოდნენ.

**კავშირებითი მესამე:** რა უნდა ექნას?

ის უნდა შეჰკითხებოდეს — ისინი უნდა შეჰკითხებოდნენ ან შეჰკითხებოდნენ.

ამ ფორმათა -დ დროის საწარმოებელი სუფიქსია ისევე, როგორც ნამყო უსრულში (უწყვეტელში), -(ე)ნ, -ნენ კი მესამე პირის მრავლობითის დაბოლოებაა.

ამათვე ეკედლება ერთპირიანი და ორპირიანი დინამიკური ზმნები **თბება** ტიპისა, სახელდობრ: **აწყო:** ის რჩება, წყრება, ქრება; ის მას ურჩება, უწყრება, უქრება. **ნამყო ძირითადი (წვეტილი):** ის დარჩა, გაწყრა, გაქრა, მაგრამ: ისინი დარჩნენ თუ დარჩენ, გაწყრნენ თუ გაწყრენ, გაქრნენ თუ გაქრენ, გაუწყრნენ თუ გაუწყრენ? **კავშირებითი II:** ის რომ დარჩეს, გაწყრეს, გაქრეს, მაგრამ: ისინი რომ დარჩნენ თუ დარჩენ, გაწყრნენ თუ გაწყრენ, გაქრნენ თუ გაქრენ, გაუწყრნენ თუ გაუწყრენ?

2. ძველ ქართულში ზემოაღნიშნულ ფორმებში **-ნენ** დაბოლოება არ ყოფილა გამოყენებული; ნამყო დროებში: ნამყო უსრულსა (უწყვეტელსა), ნამყო ძირითადსა (წვეტილსა) და თურმეობით II-ში იხმარებოდა **-ეს** სუფიქსი, ხოლო კავშირებითში (პირველსა და მეორეში) — **-ენ**; მაგ.: იგინი აშენებდეს, წარვიდეს... უნდა აშენებდენ, წარვიდენ...

3. ახალ სალიტერატურო ქართულში უკანასკნელი 100 წლის მანძილზე **-დნენ** ძალზე გავრცელებულია. მას ხმარობდნენ ნ. ლომოური, რ. ერისთავი, ილ. ჭავჭავაძე, შ. არაგვისპირელი... იგი ერთადერთი დაბოლოებაა თანამედროვე სალიტერატურო ენაში, **-დენ** გაბატონებულია აკაკი

წერეთლის, გ. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ნაწერებში.

**-დ-ნენ**-ში პირველი **ნ** ისტორიით არაა გამართლებული: იგი ანალოგიითაა გაჩენილი.

4. **-დ-ნ-ენ** და **-დ-ენ** დაბოლოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თ ა ნ ა მ თ გ ე უ ლ ფ ო რ მ ა თ ა გ ა ს ა რ ჩ ე ვ ა დ ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა . ვინც **-დ-ნ-ენ**-ს ხმარობს, ხმარობს მას ნამყო უსრულშიც (უწყვეტელშიც) და კავშირებითს პირველშიც (ის აკეთებ-დ-ა — ისინი აკეთებ-**ნენ**; ის უნდა აკეთებ-დ-ე-ს — ისინი უნდა აკეთებ-**ნენ**...), ნამყო ძირითადას (წყვეტილსა) და კავშირებითს მეორეშიც (ის დასახლ-დ-ა — ისინი დასახლ-**დ-ნენ**; ის უნდა დასახლ-დ-ე-ს — ისინი უნდა დასახლ-**დ-ნენ**)... და ეს მიუხედავად იმისა, რომ მრავლობითის მესამე პირში ერთმანეთს ემთხვევა სხვადასხვა დროის ფორმები. ასევე განუზრახვლად იხმარება **-დ-ენ** ზემოხსენებულს დროებში: ისინი აკეთებ-დ-ენ — ისინი უნდა აკეთებ-დ-ენ; ისინი დასახლ-დ-ენ — ისინი უნდა დასახლ-დ-ენ... თანამთხვეულ ფორმათა გასარჩევად ამ ორი დაბოლოების შეგნებულად გამოყენება ხელოვნური იქნებოდა, რადგანაც თვით ენაში გარჩევისადმი მიდრეკილება არ არსებობს.

ამრიგად:

1. **დ-ს** შემდეგ (ფუძისეულია იგი თუ დროის მაწარმოებელი) როგორც ნამყო უსრულში (უწყვეტელში), ისე კავშირებითს პირველში, ნამყო ძირითადში (წყვეტილში), კავშირებითს მეორეში, თურმეობითს მეორეში და კავშირებითს მესამეში — ყველგან უნდა იხმარებოდეს **-ნენ** დაბოლოება, რადგანაც ის

ა) გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში და

ბ) მარტივია წარმოების მიხედვით (ყველა ზმნა ერთნაირი დაბოლოებით გვევლინება).

მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: **აკეთებდნენ, ხატავდნენ, მოვიდნენ, დასახლდნენ, შეჰკითხებოდნენ**.

2. ეს წესი მთლიანად გრცელდება **თბება** ტიპის დინამიკურ ზმნებზე, როგორცაა: რჩება, ქრება, წყრება, ჰკნება და სხვა ზმნები, აგრეთვე შესაბამისი ორპირიანები (უქრება, უჰკნება...), რომელთაც მრავლობითში **-ნ** არ ჰქონდათ, და ახალ ქართულში იჩენენ. მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს როგორც ნამყო ძირითადში (წყვეტილში), ისე კავშირებითს მეორეში და თურმეობითს მეორესა და კავშირებითს მესამეში: **დარჩნენ, გაქრნენ, გახმნენ... გაუწყრნენ, გასწყრომოდნენ** (ისინი მას).

#### 4. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში

(**ვშობილვარ** თუ **შობილვარ**? **ვშობილიყავი** თუ **შობილვიყავი** ან **ვშობილვიყავი**?)

მესამე ჯგუფში შემდეგი სამი დრო-კილო შედის: ა) თ უ რ მ ე ბ ი - თ ი პ ი რ ვ ე ლ ი (რა უქნია?): **გაუგზავნია, შეჭკითხებია, დამდგარა;** ბ) თ უ რ მ ე ბ ი თ ი მ ე ო რ ე (რა ექნა?): **გაეგზავნა, შეჭკითხებოდა, დამდგარიყო;** გ) კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი მ ე ს ა მ ე (რა ექნას?): **გაეგზავნოს, შეჭკითხებოდეს, დამდგარიყოს.**

##### 1. თურმეობითი პირველი

ერთპირიან ზმნებში ეს დრო შედგება ნამყო დროის მიმდევრობისა და მეშველი ზმნისაგან აწმყოს ფორმით (**ვარ**): **დავმდგარვარ, დავწოლილვარ, ვშობილვარ, გავზრდილვარ, მოვმკვდარვარ** და სხვა.

აქ მოყვანილი ფორმები პირველ პირს წარმოადგენს. დღეს გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს ეს სახე. მასში დასაბუთებას მოითხოვს გ-პრეფიქსის ხმარება.

ძველ ქართულში იყო:	ახალ ქართულში გვაქვს:
გაზრდილ ვარ	გავზრდილვარ
გაზრდილ ხარ	გაზრდილხარ
გაზრდილ არს	გაზრდილა
გაზრდილ ვართ	გავზრდილვართ
გაზრდილ ხართ	გაზრდილხართ
გაზრდილ არიან	გაზრდილან

ძველ ქართულში მეშველ ზმნას ყველა პირში შენახული აქვს თავისი სახე შეუცვლელად, ახალ ქართულში კი სხვაგვარი მდგომარეობაა: მხოლოდ პირველი რიცხვის მესამე პირში **-ა** გვაქვს და ეს **-ა** უბრალო ფორმანტია და არა მეშველი ზმნის გარკვეული ფორმა. მრავლობითის მესამე პირში მეშველი ზმნა აგრეთვე აღარსად ჩანს: „**არიან**“-ის ადგილას მხოლოდ **-ან**

დაბოლოებაა; ფორმები **„დამდგარარინ, შობილარინ, გავრდილარინ“** დღეს დიალექტიზმად მიიჩნევა.

მეშველი ზმნის ფორმანტად გადაქცევა მოასწავებს აღწერითი წარმოების ორგანულ წარმოებად შეცვლას, რასაც ხელს უწყობს ისიც, რომ მიმდებარა ფუძითაა წარმოდგენილი (**დავმდგარვარ** — პირველი თურმეობითაა ზმნისაგან „ვდგები“, შეად.: **„დამდგარი ვარ“** — აწმყო).

პროცესი აღწერითი წარმოების ორგანულ წარმოებად შეცვლისა მესამე პირში უკვე დამთავრებულია; პირველ პირში იგი იწვევს **ვ-** პრეფიქსის გაჩენას, ამით მთელ ფორმას მარტივი ორგანული წარმოების სახე ეძლევა და **„ვარ“** იჩრდილება. შეუძლებელი არ იყო „ვარ“-ს თავისი **ვ-** დაეკარგა კიდევ და მთელ ფორმას მხოლოდ თავში შერჩენოდა **ვ-** პირის ნიშნად, რომ მას ზურგს არ უმაგრებდეს, ერთი მხრით, მეორე პირის **„ხარ“** (სადაც **„ხ“**, როგორც გაქვავებული ნაშთი, ურყევად დგას), და მეორე მხრით, ანალოგიური წარმოებანი.

სალიტერატურო ქართულში კარგა ხანია, რაც დაკანონდა ისეთი ფორმები, სადაც **ვ-** პრეფიქსიც არის წარმოდგენილი და **„ვარ“** მეშველი ზმნაც დართულია. ესენია, ერთი მხრით, იმავე თურმეობითი პირველის ფორმები ორპირიან ზმნებში: **შევჰკითხებივარ** მე მას, **დავსდგომივარ** მე მას, **ვუქივარ** მე მას... და, მეორე მხრით, ერთპირიანი ზმნები აწმყო დროში: **ვზივარ, ვწევარ, ვდგავარ** და სხვა. ამგვარ ზმნებს ძველ ქართულში **„ვარ“** არ გააჩნდა (იყო: **ვუქიე** მე მას... **ვზი, ვწიე, ვდგა...** მე). მართალია, აქ **ვ-** პრეფიქსი თავიდანვე იხმარებოდა და **ვარ“** ზმნა შემდეგ დაერთო, ხოლო **„დავმდგარვარ“** და მისთანებში, პირუკუ, **„ვარ“** იმთავითვე იყო, თავსართი **ვ-** შემდეგში გაჩნდა, მაგრამ ეს გენეზისის საქმეა, ფაქტი კი ის არის, რომ სალიტერატურო ქართულის დღევანდელ სისტემაში კანონიერია ისეთი ფორმა, რომელშიც **„ვარ“** მეშველი ზმნაც მოიპოვება და **ვ-** პრეფიქსიც.

ამრიგად, ერთპირიანი ზმნების თურმეობითი პირველის ფორმები, როგორიცაა: **დავმდგარვარ, ვშობილვარ, გავრდილვარ** და მისთანები, ერთადერთი კანონიერი ლიტერატურული ფორმებია. მიუხედავად იმისა, რომ პირველ პირში ასეთი ფორმის აგებულებას ქმნის ზმნის მიმდებარა პლუს პირველი პირის თავსართი **ვ-** და ბოლოს მეშველი ზმნა **ვარ**, ფორმა მაინც კანონიერია, რადგანაც 1) ანალოგიური აგებულების ფორმებმა უკვე მოიპოვეს სალიტერატურო ქართულში სანქცია (თურმეობით პირველში: **შევჰკითხებივარ, შევდგომივარ, ვყოფილვარ**; აწმყოში: **ვზივარ, ვდგავარ, ვჩანვარ**) და 2) პროცესმა, რომლის შედეგადაც **ვ-** თავსართი

მოგვევლინა (**ვშობილვარ**), უკვე გაიმარჯვა მხოლოდობითსა და მრავლობითის მესამე პირში.

მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ **ვშობილვარ** (და არა: **შობილვარ**), **გავზრდილვარ** (და არა: **გაზრდილვარ**), **ავღელვებულვარ** (და არა: **აღელვებულვარ**), **ავმდგარვარ** (და არა: **ამდგარვარ**).

**2. თურმეობითი მეორე**

ერთპირიანი ზმნები ამ დროსაც აწარმოებენ აღწერითად, ისე, როგორც ამას ჰქონდა ადგილი თურმეობითს პირველში. განსხვავება ისაა, რომ მეშველი ზმნა იქ აწმყოში იყო (**ვშობილვარ, შობილხარ...**), აქ კი იგი ნამყო ძირითადში (წყვეტილში) დაისმის (**ვიყავ, იყავ, იყო**): **მოვმკვდარიყავ, მომკვდარიყავ, მომკვდარიყო... დავმდგარიყავ, დამდგარიყავ, დამდგარიყო... ვშობილიყავ, შობილიყავ, შობილიყო... გავზრდილიყავ, გაზრდილიყავ, გაზრდილიყო...**

ეს აღწერითი ფორმა ორგანულ წარმოებადაა ქცეული: თურმეობითს პირველში **ვ-** პრეფიქსის გამართლება ხდებოდა საჭირო (**ვ-შობილვარ**), აქ კი ანალოგიური **ვ-**ს საკითხი გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს, ოღონდ საკითხი ეხება მეშველი ზმნის „**ვიყავ**“-ის **ვ-** პრეფიქსის ყოფნა-არყოფნას.

**ძველ ქართულში**

**ახალ ქართულში**

შობილ	ვიყავ	ა) ვშობილვიყავ	ბ) ვშობილიყავ
გაზრდილ	ვიყავ	გავზრდილვიყავ	გავზრდილიყავ
ყოფილ	ვიყავ	ვყოფილვიყავ	ვყოფილიყავ
დამდგარ	ვიყვენით	დავმდგარვიყავით	დავმდგარიყავით
მომკვდარ	ვიყვენით	მოვმკვდარვიყავით	მოვმკვდარიყავით
შობილ	ვიყვენით	ვშობილვიყავით	ვშობილიყავით
ყოფილ	ვიყვენით	ვყოფილვიყავით	ვყოფილიყავით...

უკანასკნელი სახე, ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ხ მ ა რ ე ბ უ ლ ი, ძირითადი ფორმაა სალიტერატურო ქართულის განვითარების თანამედროვე საფეხურისათვის.

თურმეობითს მეორეში ერთპირიანი ზმნების პირველ პირში **ვ-** პრეფიქსი რჩება თავში მიმღეობური ნაწილის წინ, ხოლო **ვ-** პრეფიქსი აკლდება მეშველ ზმნას.

მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: **მოვმკვდარიყავ(ი), დავწოლილიყავ(ი), დავმკვდარიყავ(ი), დავმდგარიყავ(ი), ვშობილიყავ(ი), გავზრდილიყავ(ი), ვყოფილიყავ(ი)** და სხვა (და არა: **ვშობილვიყავ(ი), გავ-**



**ვზრდილვიყავ(ი), ვყოფილვიყავ(ი), დავმდგარვიყავ(ი) და სხვა, ან შობილვიყავ(ი), გავზრდილვიყავ(ი), ყოფილვიყავ(ი), დამდგარვიყავ(ი) და სხვა), ხოლო მრავლობითში: მოვმკვდარიყავით, დავწოლილიყავით, დავმდგარიყავით, ვშობილიყავით, გავზრდილიყავით, ვყოფილიყავით და სხვა (და არა: მოვმკვდარვიყავით, დავწოლილვიყავით, დავმდგარვიყავით, ვშობილვიყავით, გავზრდილვიყავით, ვყოფილვიყავით და სხვა, ან მომკვდარვიყავით, დავწოლილვიყავით, დამდგარვიყავით, შობილვიყავით, გავზრდილვიყავით, ყოფილვიყავით და სხვ.).**

## 5. ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორეში

(შევჭკითხებოდი თუ შევჭკითხებიყავი?)

თურმეობით მეორეში ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნა სალიტერატურო ქართულში ორგვარი სახითაა წარმოდგენილი:

**შევჭკითხებოდი და შევჭკითხებიყავ, შეჭკითხებოდი და შეჭკითხებიყავ, შეჭკითხებოდა და შეჭკითხებიყო; დავსდგომოდი და დავსდგომიყავ, დასდგომოდი და დასდგომიყავ, დასდგომოდა და დასდგომიყო; დავსჯდომოდი და დავსჯდომიყავ, დასჯდომოდი და დასჯდომიყავ, დასჯდომოდა და დასჯდომიყო; გავსჩენოდი და გავსჩენიყავ, გასჩენოდი და გასჩენიყავ, გასჩენოდა და გასჩენიყო.**

სალიტერატურო ქართულში ისტორიულად **-ოდ** არის გავრცელებული; ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ **-ოდ** სუფიქსიანი ფორმებია გაბატონებული:

სული დაიღეს, დადუმდეს, ორთავე ცეცხლი ს დ ე ბ ო დ ა ;

ასმათი შეჰყვა, შევიდა, მათებრ სახმილი ჰ გ ზ ე ბ ო დ ა ;

დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კვლა მიწყევ ჰ გ ე ბ ო დ ა ,

ორნივე დასხდეს, უბნობდეს, რაცა მათ ი ა მ ე ბ ო დ ა (სტროფი 99, 1957 წლის გამოცემა).

**-ოდ** სუფიქსიანი ფორმებს აქვს უპირატესობა დ. გურამიშვილის ენაში.

ამჟამად **-ოდ**-ით წარმოება გაბატონებულია სალიტერატურო ქართულში: **„იყავ“**-ით წარმოება სპორადულადღა გვხვდებოდა ძველადაც და ახლაც (მაგალ., ვაჟა-ფშაველას, ილიას და ნ. ლომოურის ნაწერებში), ჩვეულებრივია **-ოდ** სუფიქსიანი წარმოება (მაგალითად: „რომ არ გ ც ო დ - ნ ო დ ა , რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა?“ — **ილია**, „მე რომ მაშინ წიგნი მ ც ო დ ნ ო დ ა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა“. — **ილია**).

**-ოდ**-ით წარმოება სავსებით კანონიერია და გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში; სალიტერატურო ქართულის ისტორიული ტრადიცია მას უჭერს მხარს. ამდენად, უნდა დარჩეს **-ოდ**-ით წარმოება.

მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ ერთი -ოდ სუფიქსიანი ფორმა: **შე-  
ვჭკითხობდი, შეჭკითხებოდი, შეჭკითხებოდა; დავსდგომოდი, დავსჯლო-  
მოდი, გავსჩენოდი, მოვჭკვდომოდი... დასდგომოდი, დასჯლომოდი, გა-  
სჩენოდი, მოჭკვდომოდი... დასდგომოდა, დასჯლომოდა, გასჩენოდა, მო-  
ჭკვდომოდა და სხვა (და არა: შევჭკითხებიყავ, დავსდგომიყავ, დავსჯლო-  
მიყავ, გავსჩენიყავ, შეჭკითხებიყავ, დასდგომიყავ, დასჯლომიყავ, გასჩე-  
ნიყავ, შეჭკითხებიყო, დასდგომიყო, დასჯლომიყო, გასჩენიყო და სხვ.).**

**ბ. ორპირიანი -ავ და -ამ სუფიქსებიანი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველში**

**(გაუბედავს თუ გაუბედა? მოუკლავს თუ მოუკლია? დაუბამს თუ დაუბია? შეუსვამს თუ შეუსვია? უნახავს თუ უნახია?)**

ზოგი ორპირიანი გარდამავალი ზმნის აწმყოს (მყოფადის) ფუძეს აწარმოებენ სუფიქსები **-ავ** და **-ამ**. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თურმეობითი პირველის ფუძე ამ ზმნებისა აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ე. ი. თურმეობით პირველში ეს **-ავ** და **-ამ** სუფიქსები შემონახულია. ასევე იყო ძველ ქართულშიც. ძველი ქართულისაგან განსხვავებით თანამედროვე ქართულში პირველისა და მეორე სუბიექტური პირის ფორმები მეშველი ზმნის (**ვარ, ხარ, ვართ, ხართ**) დართვითაა ნაწარმოები.

**აწმყო-მყოფადი:** ნახავს ის მას

**თურმეობითი პირველი:**

უნახავს მას ის	მინახავს მე ის
უნახავხარ მას შენ	მინახავხარ მე შენ
ვუნახავვარ მას მე	გინახავს შენ ის
უნახავთ მათ ის	გინახავვარ შენ მე
უნახავხართ მათ შენ	
ვუნახავვართ მათ ჩვენ	

**აწმყო-მყოფადი:** აბამს ის მას

**თურმეობითი პირველი:**

გაუბამს მას ის	გამიბამს მე ის
გაუბამხარ მას შენ	გამიბამხარ მე შენ
გაუბამვარ მას მე	გაგიბამს შენ ის
გაუბამთ მათ ის	გაგიბამვარ შენ მე
გაუბამხართ მათ შენ	
გაგუბამვართ მათ ჩვენ	

**ასევე გვექნება:**

**-ავ სუფიქსიანი**

**-ამ სუფიქსიანი**

ის ფარავს მას	მას დაუფარავს იგი	ის დგამს მას	მას დაუდგამს იგი
ის მალავს მას	მას დაუმალავს იგი	ის სვამს მას	მას შეუსვამს იგი
ის წვავს მას	მას დაუწვავს იგი	ის ასხამს მას	მას დაუსხამს იგი
ის კლავს მას	მას მოუკლავს იგი	ის იცვამს მას	მას ჩაუცვამს იგი
ის ბედავს მას	მას გაუბედავს იგი		

(„ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს...“ — **ხალხური**).

და ამის კვალობაზე:

მე დამიმალავს	შენ დაგიმალავს
მე მომიკლავს	შენ მოგიკლავს
მე დამიდგამს	შენ დაგიდგამს
მე ჩამიცვამს	შენ ჩაგიცვამს და სხვ.

სხვა ზმნების ანალოგიით, რომელთაც თურმეობით I-ში **-ი-ა** დაბოლოება აქვთ, ასეთი ზმნებიც ზოგჯერ **-ი-ა** დაბოლოებით გვხვდება, განსაკუთრებით პირველსა და მეორე სუბიექტურ პირში. ამის გამო გვაქვს:

**III სუბიექტურ პირში:**

დაუმალავს და დაუმალა	დამიმალავს და დამიმალა
უნახავს და უნახია	მინახავს და მინახია
ჩაუცვამს და ჩაუცვია	ჩამიცვამს და ჩამიცვია
შეუწვავს და შეუწვია	შემიწვავს და შემიწვია
დაუნატავს და დაუნატა	დამინატავს და დამინატა

(„მე ევროპამ სახლში არ შემიწვია, რადგან ტფილისს მწვადი მეც შემიწვია“, — **ი. გრიშაშვილი**).

**I და II სუბიექტურ პირში:**

უნახავხარ და უნახიხარ	მინახავხარ და მინახიხარ
ვუნახავვარ და ვუნახივარ	გინახავვარ და გინახივარ
დაუნატავხარ და დაუნატაიხარ	დამინატავხარ და დამინატაიხარ
დავუნატავვარ და დავუნატაივარ	დაგინატავვარ და დაგინატაივარ
დაუმალავხარ და დაუმალაიხარ	დამიმალავხარ და დამიმალაიხარ
დავუმალავვარ და დავუმალაივარ	დაგიმალავვარ და დაგიმალაივარ
გაულახავხარ და გაულახიხარ	გამილახავხარ და გამილახიხარ
გავულახავვარ და გავულახაივარ	გაგილახავვარ და გაგილახაივარ

გვხვდება ნარევი ფორმებიც:

დაუმალვიხარ, დავუმალვივარ, დამიმალვიხარ, დავიმალვივარ, უნახვივარ, ვუნახვივარ, მინახვიხარ, გინახვივარ.

(„გოლვიან დღესა ტფილისშია, შუა ბაზრისკენ, მე ჩამივლია, ჩემო მუშავ, მინახვიხარ შენ“. — ილია).

მესამე სუბიექტურ პირში **-ია** დაბოლოებიანი ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ენაში მეტად იშვიათად გვხვდება და, თუ გვხვდება, დიალექტიზმად მიიჩნევა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ ლიტერატურულ ფორმებად უნდა დარჩეს **-ავ** და **-ამ** სუფიქსიანი ფორმები: დაუფარავს, უნახავს, დაუმალავს, დაუწვავს, მოუკლავს, გაუბედავს, დაუდგამს, შეუსვამს, ჩაუცვამს და მისთანანი, რომლებიც

- ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;
- ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;
- გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

**შენიშვნა.** ის ფაქტი, რომ თურმეობითი პირველის ეს ფორმები სამპირიანი ზმნების სასუბიექტო ქცევის აწმყო-მყოფადის ფორმებს ემთხვევა, რა თქმა უნდა, ამ ფორმათა დატოვების საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება (იგულისხმება ასეთი შემთხვევები: რას შვრება? რას იზამს? მიხატავს (დამიხატავს) მხატვარი მე სურათს. რა მიქნია? მიხატავს (დამიხატავს) მე სურათი.

რამდენადაც დაუნახიხარ, დავუნახივარ, დამიხახიხარ, დავიხახივარ ფორმები და აგრეთვე ნარევი ფორმები — დავუნახივარ, დამიხახიხარ, დავიხახივარ — დაუნახია, დამიხახია, დავიხახია ფორმათა გაგრძელებას წარმოადგენს, ეს ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს და ერთადერთ სალიტერატურო ფორმებად უნდა მიჩნეულ იქნეს დავუნახივარ, დაუნახივარ, დამიხახივარ, დავიხახივარ ფორმები.

**შენიშვნა.** პირველი სუბიექტური პირის ფორმებში **ვ** გვხვდება. ამათგან ერთი ფუძისეულია, ხოლო მეორე — მეშველი ზმნა: დავუნახივარ.

ამრიგად:

**ერთადერთ სალიტერატურო ფორმებად დარჩება:**

უნახავს მას ის  
უნახავხარ მას შენ  
ვუნახავვარ მას მე  
უნახავთ მათ ის

**არალიტერატურულად უნდა იქნეს მიჩნეული:**

უნახია მას ის  
უნახიხარ, უნახვიხარ მას შენ  
ვუნახივარ, ვუნახვივარ მას მე  
უნახიათ მათ ის

უნახავხართ მათ შენ  
 ვუნახავვართ მათ ჩვენ  
 მინახავს მე ის  
 მინახავხარ მე შენ  
 გინახავს შენ ის  
 გინახავვარ შენ მე  
 გაუბამს მას ის  
 გაუბამხარ მას შენ  
 გავუბამვარ მას მე  
 გაუბამთ მათ ის  
 გაუბამხართ მათ შენ  
 გავუბამვართ მათ ჩვენ  
 გამიბამს მე ის  
 გამიბამხარ მე შენ  
 გაგიბამს შენ ის  
 გაგიბამვარ შენ მე

უნახიხართ, უნახვიხართ მათ შენ  
 ვუნახივართ, ვუნახვივართ მათ ჩვენ  
 მინახია მე ის  
 მინახიხარ, მინახვიხარ მე შენ  
 გინახია შენ ის  
 გინახივარ, გინახვივარ შენ მე  
 გაუბია მას ის  
 გაუბიხარ, გაუბმიხარ მას შენ  
 გავუბივარ, გავუბმივარ მას მე  
 გაუბიათ მათ ის  
 გაუბიხართ, გაუბმიხართ მათ შენ  
 გავუბივართ, გავუბმივართ მათ ჩვენ  
 გამიბია მე ის  
 გამიბიხარ, გამიბმიხარ მე შენ  
 გაგიბია შენ ის  
 გაგიბივარ, გაგიბმივარ შენ მე

## 7. -ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში

(აეშენებინა თუ აეშენებია? აეშენებინოს თუ აეშენებოის?)

-ებ სუფიქსიანი ზმნებს დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ორგვარად აქვთ ნაწარმოები. ზოგი ზმნა თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში აწმყოს ფუძეს იყენებს (-ებ სუფიქსი გადაჰყვებათ), ზოგი ზმნა კი დრო-კილოთა მეორე სერიის ფუძეს (-ებ სუფიქსი ამ დრო-კილოებში არა გვაქვს). ერთი მხრით, გვაქვს ასეთი ფორმები: აშენებს — **უშენებია** და ა. შ., აკეთებს — **უკეთებია** და ა. შ., ალაგებს — **ულაგებია**, აქეზებს — **უქეზებია** და ა. შ., ხოლო, მეორე მხრით, გვაქვს ასეთი ფორმები: აქებს — **უქია** და ა. შ., აგებს — **უგია**, აგდებს — **უგდია**, ავსებს — **უვსია** და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როცა III ჯგუფის წარმოება აწმყოს ფუძეს ეყრდნობა, თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში სადავო ფორმები ჩნდება. ბადებს — **დაუბადებია**, მაგრამ გვხვდება **დაებადა** და **დაებადოს**, **დაებადებინას** და **დაებადებინოს** პარალელურად; **უბრძანებია**, მაგრამ გვხვდება **ებრძანა** და **ებრძანოს**, **ებრძანებინას** და **ებრძანებინოს** პარალელურად და ა. შ. ზოგჯერ ასეთი მოვლენა თურმეობით პირველშიც იჩენს თავს: **დაუბადებია** და **დაუბადია** („რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, სულყველას თურმე ენა აქვს“. — ვაჟა).

დრო-კილოთა II ჯგუფის ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითისა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დიალექტიზმებად უნდა იქნეს მიჩნეული. სალიტერატურო ენაში გაბატონებულია აწმყოს ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები. ამიტომ უნდა იხმარებოდეს:

**აეშენებინა** და **აეშენებინოს** და არა **აეშენა** და **აეშენოს**; **დაებადებინა** და **დაებადებინოს** და არა **დაებადა** და **დაებადოს**; **გაეკეთებინა** და **გაეკეთებინოს** და არა **გაეკეთა** და **გაეკეთოს**; **დაეშავებინა** და **დაეშავებინოს** და არა **დაეშავა** და **დაეშავოს** და ა. შ.

მაგრამ ამ შემთხვევაშიაც გვხვდება პარალელური ფორმები: **აეშენებინა** — **აეშენებია**, **აეშენებინოს** — **აეშენებოის**; **დაებადებინა** — **დაებადებია**, **დაებადებინოს** — **დაებადებოის**; **გაეკეთებინა** — **გაეკეთებია**, **გაეკეთებინოს** — **გაეკეთებოის**; **დაეშავებინა** — **დაეშავებია**, **დაეშავებინოს** — **დაეშავებოის**.



ამ პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია ნარიანი ფორმები და ესენი უნდა იქნენ მიჩნეული ერთადერთ სალიტერატურო ფორმებად.

ამგვარად:

სალიტერატურო ფორმებია:

უკუსაგდებია:

**აეშენებინა  
აეშენებინოს**

**აეშენებია  
აეშენებოს**

**დაებადებინა  
დაებადებინოს**

**დაებადებია  
დაებადებოს**

**გაეკეთებინა  
გაეკეთებინოს**

**გაეკეთებია  
გაეკეთებოს**

**დაეშაგებინა  
დაეშაგებინოს** და სხვ.

**დაეშაგებია  
დაეშაგებოს** და სხვ.

ეს წესი გავრცელდება კაუზატივებზედაც, გვექნება:

**დაეწერინებინა** და არა

**დაეწერინებია**  
**დაეწერინებოს**

**აეშენებინებინა  
აეშენებინებინოს**

**აეშენებინებია  
აეშენებინებოს**

**დაენატვინებინა  
დაენატვინებინოს**

**დაენატვინებია  
დაენატვინებოს**

## 8. ორპირიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში

(გაუტენია თუ გაუტენნია? გაეტენა თუ გაეტენნა?)

გარდამავალ ორპირიან ზმნათა წარმოებისას თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში თავს იჩენს პარალელური ფორმები.

ერთი მხრით გვაქვს:

**გაუტენია და გაეტენა  
დაუგლეჯია და დაეგლიჯა  
გაუყიდა და გაეყიდა**

მეორე მხრით გვაქვს:

**გაუტენნია და გაეტენნა  
დაუგლეჯნია და დაეგლიჯნა  
გაუყიდნია და გაეყიდნა**

ე. ი. თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში **ნ**არიანი ფორმები ჩნდება.

განსაკუთრებით იკიდებს ფეხს **ნ**არიანი ფორმები თურმეობით მეორეში, აქ **ნ**არიანი ფორმები იმ შემთხვევაშიც გვაქვს, როცა თურმეობით პირველში **ნ**არის ჩართვა შეუძლებელია: **გაუშლია** (შეუძლებელია: **გაუშლნია**), მაგრამ: **გაეშალა და გაეშალნა**.

ამგვარი ფორმები მაშინაც ჩნდება, როცა **-ავ** და **-ამ** სუფიქსიან წარმოებას თურმეობით პირველში **-ი-ა** დაბოლოებიანი წარმოება ცვლის: მართებული **გაუბედავს** ფორმის ნაცვლად **გაუბედაი-ს** პარალელურად **გაუბედნია** გვაქვს.

1. **ნ**-ს ჩართვა შესაძლებელია:

ა) იმ შემთხვევაში როცა ზმნას აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსი არა აქვს:

**ტენს: გაუტენია — გაუტენნია, გაეტენა**

ამათვე ეკედლება ფუძედრეკადი ზმნები:

**კვნეტს : გაუკვნეტია — გაუკვნეტნია, გაეკვნეტნა**

**ფლეთს : დაუფლეთია — დაუფლეთნია, დაეფლეთნა**

**ცვეთს : გაუცვეთია — გაუცვეთნია, გაეცვეთნა**

ბ) **-ავ** სუფიქსიან ზმნებს იმ შემთხვევაში, თუ მათ ეს სუფიქსი ჩამოსცილდებათ:

**ლეწავს — ლეწს: გაულეწია — გაულეწნია, გაელეწნა**  
**თესავს — თესს: დაუთესია — დაუთესნია, დაეთესნა**

გ) -ემ სუფიქსიანებს იმ შემთხვევაში, თუ სუფიქსი ფუძეს შეეხორცა:

**სცემს : უცემია — უცემნია, ეცემნა**

მაგრამ: **გამოსცემს — გამოუცია.** შეუძლებელია: **გამოუცნია** და **გამოეცნა; მისცემს — მიუცია.** შეუძლებელია: **მიუცნია** და **მიეცნა.**

დ) -ებ სუფიქსიანებს, თუ სუფიქსი ჩამოსცილდა:

**მოითაცებს — მოუთაცებია**    მაგრამ: **მოუთაცნა, მოეთაცნა**  
**დაივიწყებს — დაუვიწყებია**                    **დაუვიწყნა, დაევიწყნა**  
**დაბადებს — დაუბადებია**                    **დაუბადნა, დაებადნა**

მაგრამ არა ყოველთვის:

**აქებს — უქია — ექო**                    შეუძლებელია: **უქნია, ექნო**  
**ანთებს — აუნთია — აენტო**  
**წასცხებს — წაუცხია — წაეცხო**

II. ნ-ს ჩართვა შეუძლებელია:

ა) -ი სუფიქსიან ზმნებში;

**გვის — დაუგვია, დაეგავა.**

ამ შემთხვევაში **ნ** თურმეობით პირველში არასოდეს არ გვხვდება, მაგრამ შესაძლებელია მისი გაჩენა თურმეობით II-ში:

**თვლის — დაუთვლია — დაეთვალა // დაეთვალნა**  
**თლის — გაუთლია — გაეთალა // გაეთალნა**  
**დვრის — დაუდვრია — დაედვარა // დაედვარნა**  
**შლის — წაუშლია — წაეშალა // წაეშალნა**

მაგრამ: **ცრის — გაუცრია — გაეცრა** (შეუძლებელია: **გაეცრნა**).

თურმეობით პირველში **ნ** შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ **ყიდის** ზმნაში:

**ყიდის — გაუყიდა // გაუყიდნა.**

ბ) -ამ სუფიქსიან ზმნებში, თუნდაც -ამ სუფიქსი ჩამოშორებულ იქნეს: **დაუბა — დაება** (შეუძლებელია, **დაუბნა, დაებნა**).

გ) -ემ სუფიქსიან ზმნებში, თუ სუფიქსი შეხორცებული არაა:

**გამოუცია — გამოეცა**  
**მიუცია — მიეცა.**

- დ) **-ებ** სუფიქსიან ზმნებში, როცა **-ებ** სუფიქსი შენარჩუნებულია.  
 ე) **-ობ** სუფიქსიან ზმნებში, თუმცა **-ობ** სუფიქსი ჩამოშორებულია:

გმობს	—	უგმია	—	ეგმო
უთმობს	—	დაუთმია	—	დაეთმო
ალბობს	—	დაულბია	—	დაელბო
ალპობს	—	დაულპია	—	დაელპო
ათბობს	—	გაუთბია	—	გაეთბო
აპობს	—	გაუპია	—	გაეპო
აჭკნობს	—	დაუჭკნია	—	დაექკნო
ანმობს	—	გაუნმია	—	გაენმო
ატკბობს	—	დაუტკბია	—	დაეტკბო

- ვ) **-ევ** სუფიქსიან ზმნებში, სადაც **-ევ** სუფიქსი შემონახულია:

ათევს	—	გაუთევია	—	გაეთია
არწევს	—	ურწევია	—	ერწია
იკვლევს	—	უკვლევია	—	ეკვლია
ამტვრევს	—	უმტვრევია	—	ემტვრია
ამშევს	—	უმშევია	—	ემშია
აკმევს	—	უკმევია	—	ეკმია
არღვევს	—	ურღვევია	—	ერღვია
არჩევს	—	ურჩევია	—	ერჩია
არხევს	—	ურხევია	—	ერხია

ასევე: **აძლევს, აჩვევს, აქცევს, ამჩნევს, იწვევს, ახვევს, ურევს.**

მაშასადამე, **-ნ** სუფიქსის ჩართვა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა თურმეობითში აწმყოსეული სუფიქსი არა გვაქვს.

ზოგჯერ **-ნ** სუფიქსი ფორმათა განსხვავების მიზნით გაჩენილადაა მიჩნეული; კერძოდ, ამ სუფიქსის დართვით ხდება თითქოს განსხვავება გარდამავალი ზმნების თურმეობითი მეორისა სუფიქსიანი ვნებითების ნამყო ძირითადისაგან (წყვეტილისაგან).

მაგრამ ფორმათა შორის განსხვავებას ეს **-ნ** ვერ დაამყარებს, რადგან:

1) იგი არ დაერთვის ყველა ზმნას.

2) თუ საჭიროა გარდამავალი ზმნების თურმეობითი II-ის განსხვავება ვნებითის ნამყო ძირითადისაგან (წყვეტილისაგან), ასევე საჭიროა განსხვავდეს გარდამავალი ზმნების კავშირებითი III ვნებითის კავშირებითი II-ისაგან, გარდამავალი ზმნების კავშირებით III-ში კი **-ნ**-ს ჩართვა შეუძლებელია.

ვ) **-ნ** სუფიქსი თურმეობით პირველშიც ჩნდება, თუმცა ფორმათა განსხვავების საჭიროება ამ შემთხვევაში არ არსებობს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იმ შემთხვევაშიც კი, როცა **-ნ**-ს ჩართვა შესაძლებელია, გაბატონებულია უნარო ფორმები. ერთადერთ ლიტერატურულ ფორმებად ეს უნარო ფორმები უნდა იქნეს მიჩნეული.

**-ი-ა** დაბოლოების წინ **-ენ** დარჩება მხოლოდ იმ ზმნებში, რომელთაც ფუძეში **-ნ** მოეპოვებათ:

ესენია:

**უძღვნია, უღრღნია, გაუხსნია, გაურყვნია, გაუსკვნია, დაუტკეპნია, გაუგზავნია, დაუვარცხნია, გაუთოხნია, დაუთხუპნია, დაუკორტნია, დაუკოცნია, დაულოშნია, უშოვნია, დაუცოხნია, დაუწიწკნია, ამოუწუწნია, დაუჭიჭნია, უწვრთნია** და მისთ.

აგრეთვე **-ნ** სუფიქსიანი ზმნები:

<b>უკბენია</b>	<b>გაუფენია</b>
<b>დაუდგენია</b>	<b>დაუფრენია</b>
<b>დაუბჭენია</b>	<b>უქშენია</b>
<b>გამოუვლენია</b>	<b>შეუღრენია</b>
<b>მოუღონენია</b>	<b>დაუშენია</b>
<b>ურქენია</b>	<b>შეუცდენია</b>
<b>გაურბენია</b>	<b>გაუძვრენია</b>
<b>დაურჩენია</b>	<b>მიუწვდენია</b>
<b>შეურცხვენია</b>	<b>უწყენია</b>
<b>უსტვენია</b>	<b>დაუწვენია</b>
<b>უსმენია</b>	<b>წაუხდენია</b> და მისთ.

სტატიკური ზმნები **ცხოვრობს, მეფობს, მუშაობს**-ტიპისა, როგორც ცნობილია, დრო-კილოთა მესამე ჯგუფში დანაკლის ფორმებს გარდამავალი ზმნების ინვერსიული ფორმებით ივსებენ. ამასთან, მათი მესამე სერიის ფორმები სათანადო გარდამავალი ზმნების ფორმათაგან იმით განსხვავდება, რომ გარდამავლებს **-ებ** სუფიქსი შენარჩუნებული აქვთ, **ცხოვრობს** ტიპის ზმნები კი თუმცა გარდამავალი ზმნების ფორმებს გამოიყენებენ, მაგრამ **-ებ** სუფიქსის ჩამოშორებით; ამდენად, დასახელებული ფორმები ისედაც გარჩეულია ერთმანეთისაგან.

შდრ.: **აცხოვრებს — უცხოვრებია, ეცხოვრებინა, ეცხოვრებინოს**  
**ცხოვრობს — უცხოვრია, ეცხოვრა, ეცხოვროს.**

ამდენად, **ნ**-ს ჩართვა ამ ტიპის ზმნების თურმეობით I-სა და II-ში გასარჩევ საშუალებად არ შეიძლება გამოდგეს. ამის გამო **ნ**არიანი ფორმები ამ შემთხვევაშიც უარსაყოფია.

**ნ** ამ შემთხვევაშიც მხოლოდ იმ ზმნებში დარჩება **-ი-ა**-ს წინ, რომელთაც ფუძეში **ნ** მოეპოვებათ:

<b>კაკანებს</b>	—	<b>უკაკანია,</b>
<b>ქაქანებს</b>	—	<b>უქაქანია,</b>
<b>ჭიხინებს</b>	—	<b>უჭიხინია,</b>
<b>ბუზღუნებს</b>	—	<b>უბუზღუნია</b> და სხვ.

**ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტები (1932-34 წწ.)\***

**1. ორგანიზაციაქმნილი თუ ორგანიზებული?**

(ა. ჩ ი ქ ო ბ ა გ ა ს მოხსენების მიხედვით)

1. რუსულში -овать დაბოლოებას ვპოვებთ, როგორც საკუთრივ რუსულ ზმნების ინფინიტივში, ისე სხვა ენებიდან ნასესხებ ზმნებისაში.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ნ ი მ უ შ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა: приветствовать, способствовать, свидетельствовать, праздновать, рисовать, радовать, требовать, орудовать, ликовать, уродовать, ა გ რ ე თ ვ ე: фабриковать, титуловать, нумеровать, пробовать (აქ ზმნის ფუძე რუსულია, სახელი კი, რომლისაგანაც ზმნა არის ნაწარმოები, ნასესხებია).

ნასესხებ ზმნებში ამავე დაბოლოების მაგალითია:

- |                  |                              |
|------------------|------------------------------|
| 1. Цитовать      | Узурпировать და მრავალი სხვა |
| Пассовать        | 3. Кодифицировать            |
| Конфисковать     | Квалифицировать              |
| 2. Штудировать   | Классифицировать             |
| Реагировать      | Ратифицировать               |
| Реформировать    | Электрифицировать            |
| Провоцировать    | Модифицировать               |
| Анулировать      | Мистифицировать და სხვ.      |
| Симулировать     | 4а. Акклиматизировать        |
| Пропагандировать | Механизировать               |
| Реставрировать   | Муниципализировать           |
| Реконструировать | Конкретизировать             |
| Оппонировать     | Иронизировать                |
| Ликвидировать    | Палатализировать             |
| Корректировать   | Назализировать და სხვ.       |
| Контролировать   | 4ბ. Организовать             |
| Комбинировать    | Мобилизовать                 |
| Информировать    | Централизовать               |
| Зондировать      | Легализовать                 |
| Демонстрировать  | Локализовать                 |
| Препарировать    | Ревизовать                   |
| Ассимилировать   | Парализовать                 |
| Редактировать    | Дезорганизовать              |
| Кооперировать    | Электризовать და სხვ.        |

\* ეს პროექტები „ნორმების“ 1970 წ. გამოცემაში არ არის ასახული.

ნასესხებ ზმნათა ჯგუფში **-овать** დაბოლოების მოცილების შემდეგ დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს გერმანულში სათანადო ზმნის ფუძეს: **-ир-** რუსულმა მიიღო გერმანულისაგან, რომელსაც, თავის მხრივ, იგი უმეტეს შემთხვევაში ნასესხები აქვს ფრანგულიდან (ამჟამად ამ უკანასკნელში იგი აღარ არის).

ფრანგ. organiser	და გერმ. organisieren
centraliser	" zentralisieren
localiser	" localisieren
réaliser	" realisieren
neutraliser	" neutralisieren
desorganiser	" desorganisieren
mobiliser	" mobilisieren
ironiser	" ironisieren
restaurer	" restaurieren
qualifier	" qualifizieren
classifier	" klassifizieren
mystifier	" mystifizieren
acclimater	" akklimatisieren

როდესაც გერმანულში **-ირ-**ს წინ **-იზ** უძღვის (იშვიათად სხვა შემთხვევაშიც), რუსული იჩენს ტენდენციას **-ირ** მოკვეცოს და ფუძედ გამოიყენოს დარჩენილი ნაწილი; ასეთ შემთხვევაში რუსული ზმნის ფუძე ემთხვევა ფრანგულში არსებულ ფუძეს.

ამის ნიმუშია შემოხსენებული:

Организовать  
 Мобилизовать  
 Централизовать  
 Легализовать  
 Локализовать  
 Парализовать  
 Дезорганизовать  
 Электризовать

სხვა შემთხვევების ნიმუში იქნებოდა: **цитовать**, რომელსაც ზოგჯერ ხმარობენ **цитировать**-ის პარალელურად; **конфисковать**, რომელიც უშუალოდ უნდა ემყარებოდეს ფრ. **confisquer** (შდრ. გერმ. **konfiszieren**); **ревизовать**, რომელიც აგრეთვე ფრ. **reviser**-ს ეყრდნობა, თუ რუსულ ნიდაგზე არ არის ნაწარმოები **ревизия**-სახელისაგან; ყოველ შემთხვევაში გერმ. **revizieren**-ის ფუძე არ არის რუსულ ზმნაში გამოყენებული.

**შენიშვნა.** ამ რიგის მაგალითების განხილვისას მხედველობაში არ მიიღება ისეთი შემთხვევები, როგორიცაა **пробовать**, **номеровать**, **титловать**...: ესენი და მათი მსგავსნი რუსულში არიან ნაწარმოები



სათანადო ნასესხები სახელებისაგან, ზმნის ფუძე კი აქ ნასესხები არ არის.

2. ზემოხსენებული ტიპის ზმნების გადმოცემისას ქართულში უნდა განვასხვავოთ ორგვარი შემთხვევა:

ა) ზმნა თარგმნილია (ჩვეულებრივად ერთი სიტყვის საშუალებით); ფუძეც ქართულია, გაფორმებაც და ზმნა იცვლება ქართული უღვლილების საერთო წესების თანახმად.

ასე, მაგალითად:

Дрессировать — ვწვრთნი<sup>1</sup>

Иронизировать — დავცინი

Оппонировать — ვეკამათები

Регулировать — ვაწესრიგებ

Реставрировать — განვაახლებ

Диспутировать — ვბაეჭრობ

Датировать — ვათარილებ

Корректировать — ვასწორებ

Изолировать — ვამხოლოებ

Аннулировать — ვაუქმებ

Аргументировать — ვასაბუთებ, საბუთები მომყავს

Декорировать — ვამშვენებ

Дестиллировать (воду) — ვხდი წყალს

Организовать (курсы) — ვაწყობ კურსებს { ყოველთვის არა: მაგ.,  
(массы) = ვრაზმავ მასებს { გამოთქმაში: **организованный**  
**опыт.**

Эксплуатировать — ვყვლეფ { ყოველთვის არა: იხ. მაგ. გამოთქმა:  
эксплуатировать жел. дороги

Компрометировать — სახელს ვუტეხ

Баллотировать — კენჭს ვუყრი

Экспериментировать — ცდას ვახდენ

ამ შემთხვევაში ზმნათა ვითარება გარკვეულია; მოწესრიგება ამ ზმნებს არ ჭირდება; მათი საკითხი არც დგას.

ბ) უცხო ზმნის გადმოცემისას გამოყენებულია უცხოური ფუძე და გაფორმებაა ქართული. შედეგად მარტივ ფორმას მივიღებთ, თუ სათანადო ზმნის ფუძე სახელია და ეს სახელი ქართულშიც გვაქვს (მაგ. ПЛОМ-

<sup>1</sup> ქართულში ინფინიტივის უქონლობის გამო მეტი გარკვეულობისთვის ნახმარია პირიანი ფორმა და არა ნაზმნარი სახელი წვრთნა, დაცინვა და სხვ.

**бировать** — პლომბი — პლომბავს, **нумеровать** — ნომერი — ნომრავს) ან, თუ ხსენებული პირობა არ გავვაჩნია, გადმოცემა აღწერითი ხასიათისა იქნება.

პირველი რიგის მოვლენები (პლომბავს, ნომრავს) ძალიან მცირეა, საერთო წესით მიმდინარეობს და ამიტომაც ეს ზმნები ცალკე განხილვას არ საჭიროებენ. აბსოლუტურ უმრავლესობას მეორე რიგის მოვლენები წარმოადგენენ (აღწერითი წარმოების შემთხვევები):

**Контролировать** — კონტროლს ვუწევ

**Конфисковать** — კონფისკაციას ვუშვრები

**Ликвидировать** — ლიკვიდაციას ვახდენ

**Декретировать** — დეკრეტს ვცემ

**Гарантировать** — გარანტიას ვაძლევ (უზრუნველყოფ)

**Информировать** — ინფორმაციას ვაწვდი

**Систематизировать** — სისტემაში მომყავს

**Саботировать** — საბოტაჟს ვეწევი

**Оперировать** — ოპერაციას ვუკეთებ

**Мобилизовать** — მობილიზაციას ვახდენ

**Оккупировать** — ოკუპაციას ვახდენ (და არა: ვიპყრობ)

**Кодифицировать** — კოდიფიკაციას ვაკეთებ

**Классифицировать** — კლასიფიკაციას ვახდენ

**Квалифицировать** — კვალიფიკაციას ვუკეთებ.

3. აღწერითი წარმოება უფრო რთულია და უხერხული, ვინემ ორგანული წარმოება; განსაკუთრებით ეს იგრძნობა ნაზმნარი სახელისა და ვნებითის მიმდებარის წარმოებისას, აგრეთვე ვნებითის ხმარებისას, როცა ამას სტილისტური საჭიროება მოითხოვს. ეს ეხება მეტადრე სპეციალობათა ფრაზეოლოგიას.

ა) ამჟამად ხმარებული აღწერითი წარმოება „ქმნილი“-ს საშუალებით (ფიქსაციაქმნილი, მაგალ.) საჩოთიროა იმიტომ, რომ საჭირო შინაარსს იგი პირობით თუ გამოხატავს.

მართებული ეს წარმოება იმ შემთხვევაში იქნებოდა, „ქმნილი“ რომ იყოს მიმღეობა (ვნებ.) „უყვეს“ ფორმისა:

**Зафиксировали** — ფიქსაცია უყვეს.

**Зафиксированный** — ის, რასაც ფიქსაცია უყვეს, მაგრამ სასხვისო ქცევას („უყვეს“) მიმღეობა არა აქვს, საარვისო ქცევის მიმღეობა კი აქ არ გამოგვადგება (ქმნილი — რაც ქმნეს, რაც იქმნა, გაკეთდა, და არა რომელსაც რაღაც უყვეს, რომელსაც რაღაც გაუკეთეს).

ბ) „ქმნილი“-ს საშუალებით ვნებითის მიმღეობის წარმოება კიდევ უფრო უხერხულია, როცა აღწერითს წარმოებაში გამოყენებულია „ვუკეთებ, ვუშვრები“ ზმნა კი არა, არამედ სხვა ზმნა:

информировали — ინფორმაცია მიაწოდეს.

информированный — ინფორმაციაქმნილი: ინფორმაციაქმნილი (?) დაწესებულება.

гарантировали — გარანტია მისცეს

гарантированный — გარანტიაქმნილი: ხელშეკრულებით გარანტიაქმნილი (?) ზავი...

кооперировали — კოოპერაციაში გააერთიანეს

кооперированный — კოოპერაციაქმნილი (?); კოოპერაციაქმნილი (?) მოსახლეობა.

გ) არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ასეთი წარმოება შეუძლებელია იმიტომ, რომ სათანადო განყენებული სახელი თვით იმ ენაშიც არ იხმარება, საიდანაც ზმნა მომდინარეობს:

деклассированный элемент...

ანდა: интернированные части: „ქმნილი“-ს საშუალებით ამ გამოთქმათა გადმოცემა სრულებით შეუძლებელია, არც პირდაპირი თარგმნა ხერხდება.

4. ზემოხსენებული გარემოებანი გვაიძულებენ შევიმუშაოთ ქართულ ენის საგრამატიკო საშუალებათა გამოყენებით ორგანული ფორმა ვ ნ ე ბ ი თ ი ს მ ი მ ლ ე ბ ი ს ს ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა დ რ ო ე ბ ი ს ს ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ კ ი ს ტ ი ლ ი ს ტ უ რ ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი ს და მ ი ხ ე დ ვ ი თ.

ქართულს საამისო საჭიროებისათვის სამი შესაძლებლობა გააჩნია:

ა) **-ობ-** სუფიქსი საშუალო გვარის ზმნების საწარმოებლად სახელი-საგან:

ვაჭარი — ვაჭრობს

მრუში — მრუშობს

მეფე — მეფობს

ხუმარა — ხუმრობს

ჯავრი — ჯავრობს

ბ) **-ავ-** სუფიქსი მოქმედებითი გვარის ზმნების საწარმოებლად სახელი-საგან: ვნებითი იწარმოება **ი-ებ-ა**-თი (ან: **ი-ვ-ა**):

ცელი — ცელავს: იცელება

ბარი — ბარავს: იბარება

ფარცხი — ფარცხავს: იფარცხება

ფარგალი — ფარგლავს: იფარგლება

წებო — წებავს: იწებება

შოლტი — შოლტავს: იშოლტება

ჩარხი — ჩარხავს: იჩარხება

საზღვარი — საზღვრავს: ისაზღვრება

ნიშანი — ნიშნავს: ინიშნება

მური — მურავს: იმურება

ასეთი წარმოების ჩვეულებრივი მნიშვნელობაა: სახელით აღნიშნული საგანი არის იარაღი, მასალა თუ საშუალება, რითაც რაღაც კეთდება.

გ) **ა—ებ** მოქმედებითისათვის; ვნებითი თითქმის ყოველთვის იწარმოება უთავსართოდ, **დ**-თი; ეს წარმოება თანამედროვე ქართულისათვის აქტუალურია; **ავ**-ით წარმოება კი ძველია და ამჟამად ნაკლებ ხმარებული.

წითელი — აწითლებს: წითლდება

ლურჯი — აღურჯებს: ლურჯდება

შავი — აშავებს: შავდება

მძიმე — ამძიმებს: მძიმდება

მაგარი — ამაგრებს: მაგრდება

ოხერი — აოხრებს: ოხრდება

შეშა — აშეშებს: შეშდება

მდიდარი — ამდიდრებს: მდიდრდება

ძმარი — აძმარებს: ძმარდება

გუბე — აგუბებს: გუბდება

ფითრი — აფითრებს: ფითრდება

ჭიანური — აჭიანურებს: ჭიანურდება

ქირა — აქირავებს: ქირავდება

ფასი — აფასებს: ფასდება

თარიღი — ათარიღებს: თარიღდება

კისერი — აკისრებს: ეკისრება და მრავალზე უმრავლესი სხვა. ამ წარმოების ძირითადი მნიშვნელობაა: იმ ნიშნის მატარებლად გადაქცევა, რომელიც სახელშია მოცემული: გააწითლა — წითელი გახდა, გაწითლდა — წითელი გახდა... გაამაგრა — მაგარი გახდა, გამაგრდა — მაგარი გახდა. ეს მნიშვნელობა ერთადერთია, როცა სახელი თვისებას აღნიშნავს; მაგრამ სხვა მდგომარეობაა ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: აქირავებს, აფასებს, ათარიღებს, აკისრებს... აქირავებს — ქირით აძლევს, აფასებს — ფასს აწესებს, ფასეულად თვლის, ათარიღებს — თარიღს არკვევს, აკისრებს — კისრად ადებს, ასაფლავებს — საფლავში ათავსებს, მარხავს... და სხვ.

როგორც ვხედავთ, აღწერით გადმოცემისას აქ სხვადასხვა ზმნა გვჭირდება ისევე, როგორც ზემოხსენებულ შემთხვევებში: **информирует** — ინფორმაციას აწვდის, **кооперирует** — კოოპერაციაში აერთიანებს, **редактирует** — რედაქციას უკეთებს...

5. უცხო ზმნათა გადმოქართულებისას უნდა იქნეს გამოყენებული სამივე შესაძლებლობა; სახელდობრ:

ა) **-ობ** ს ა შ უ ა ლ ო გ ვ ა რ ი ს ზ მ ნ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ს გ ა დ მ ო -

ს ა ც ე მ ა დ, სულ ერთია, გვაქვს სახელი ცალკე თუ არა:

деградирует — დეგრადირობს: იდეგრადირა; დეგრადირებული

доктринерствует — დოქტრინიორობს: იდოქტრინიორა (პრუდონი იძულებულია იდოქტრინიოროს)...

ბ) **-აგ-** მოქმედებითი გვარის ზმნის შინაარსის გადმოსაცემად, როცა ზმნის ფუძე სახელადაც გვაქვს ნასესხები:

пломбировать — პლომბი—პლომბავს—იპლომბება—დაპლომბილი

нумеровать — ნომერი—ნომრავს—ინომრება—დანომრილი

комплектовать — კომპლექტი—კომპლექტავს—იკომპლექტება—დაკომპლექტებული.

გ) **ა—ებ** მოქმედებითი გვარის ზმნის შინაარსის გადმოსაცემად, როცა ზმნის ფუძის შესაბამის სახელი არ გაგვაჩნია. წარმოებისას ფუძედ აღებულ იქნეს ის მასალა, რაც რუსულში გვრჩება **-овать** დაბოლოების მოცილების შემდეგ<sup>1</sup>, — გარდა იმ შემთხვევებისა, როცა **-ир-**ს **-из-** უძღვის; აქ მოეკვეცება **ир-овать** და ფუძე **из-**ით გათავდება.

дифференцирует, -ся	{	ადიფერენცირებს: გაადიფერენცირა
	{	დიფერენცირდება: გადიფერენცირდა: გადიფერენცირებული
деклассирует, -ся	{	ადეკლასირებს: გაადეკლასირა
	{	დეკლასირდება: გადეკლასირდა: გადეკლასირებული
классифицирует, -ся	{	აკლასიფიცირებს: დააკლასიფიცირა
	{	კლასიფიცირდება: დაკლასიფიცირდა: კლასიფიცირებული
квалифицирует, -ся	{	აკვალიფიცირებს: დააკვალიფიცირა
	{	კვალიფიცირდება: დაკვალიფიცირდა: დაკვალიფიცირებული
интегрирует, -ся	{	აინტეგრირებს: დააინტეგრირა
	{	ინტეგრირდება: დაინტეგრირდა: ინტეგრირებული
апперцепирует, -ся	{	ააპერცეპირებს: გაააპერცეპირა
	{	აპერცეპირდება: აპერცეპირდა: აპერცეპირებული
ассимилирует, -ся	{	ასიმილირებს: გაასიმილირა
	{	ასიმილირდება: ასიმილირდა: ასიმილირებული
деформирует, -ся	{	ადეფორმირებს: გაადეფორმირა
	{	დეფორმირდება: გადეფორმირდა: გადეფორმირებული

<sup>1</sup> ამ ნაწილის ფუძედ გამოყენება ქართულში ისევეა კანონიერი, როგორც რუსულში გერმანული ფუძის გამოყენება.

кодифицирует, -ся	{ აკოდიფიცირებს: დააკოდიფიცირა კოდიფიცირდება: დაკოდიფიცირდა: დაკოდიფიცირებული
мобилизует, -ся	{ ამობილიზებს: გაამობილიზა მობილიზდება: გამობილიზდა: მობილიზებული
централизует, -ся	{ აცენტრალიზებს: გააცენტრალიზა ცენტრალიზდება: გაცენტრალიზდა: ცენტრალიზებული
милитаризует, -с	{ ამილიტარიზებს: გაამილიტარიზა მილიტარიზდება: გამილიტარიზდა: მილიტარიზებული
организует, -ся	{ აორგანიზებს: გააორგანიზა ორგანიზდება: გაორგანიზდა: ორგანიზებული...

**შენიშვნა 1.** ზმნისწინების ხმარება ასეთ ზმნებში განისაზღვრება მათი ხმარების საერთო წესებით ქართულში (მაგ.: დააკლასიფიცირა მოვლენები, მაგრამ: გაადეკლასირა ესა თუ ის ელემენტი...).

**შენიშვნა 2.** ორგანულ წარმოებას უთუოდ მივმართავთ მიმღეობის აღწერითი წარმოების („ქმნილი“-თ წარმოების) ნაცვლად; სავალდებულოა: მობილიზებული (ნაცვლად: მობილიზაციაქმნილი-სა), ორგანიზებული (ნაცვლად: ორგანიზაციაქმნილი-სა — გამოთქმებში, როგორცაა: **социально организованный опыт**), მაგრამ რჩება წინანდებურად: ძალების მობილიზაციას ახდენს... მასებს რაზმავს და სხვა.

ორგანული წარმოების ხმარება ასეთ შემთხვევებში განისაზღვრება სტილისტური საჭიროებით (იხ. § 4).

**შენიშვნა 3.** ა—ებ წარმოება შეუძლებელი არაა გამოყენებულ იქნეს ავ-ის ნაცვლადაც.

კურს-კონფერენცია: ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, 1932, III ნაკვეთი, ტფილისი, სახ. გამ-ბა

## 2. ები-ან სახელობითი ზმნის შეთანხმება რიცხვში

### (მთები მოჩანს თუ მოჩანან? ნივთიერებები იხსნება თუ იხსნებიან?)

1. მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა ძვ. ქართულში ორ სრულიად განსხვავებულ სინტაქსურ ოდენობას წარმოადგენდა იმისდა მიხედვით — **-ნი**-ანი იყო ეს სახელობითი თუ **-ბი**-ანი: **-ნი**-ანი სახელობითი ყოველთვის ითანხმებდა ზმნას რიცხვში, და მნიშვნელობა არ ჰქონდა, სუბიექტი იყო ეს სახელობითი თუ ობიექტი; **-ბი**-ანი სახელობითი, პირიქით, არც მაშინ ითანხმებდა ზმნას, როცა სუბიექტი იყო და, მით უფრო, არც მაშინ, როცა იგი ობიექტი იყო.

**-ნი**-ანი სახელობითი და ზმნა ძვ. ქართულში:

პეტრეს კლიტენი ჰქონან ცათა სასუფეველისანი (ხელნაწ. ...№ 1109, 126r): იგი აქუს მას: იგინი ჰქონან მას.

უყუარან მას ხილვად დღენი კეთილისანი (სას. პოეზ. კლვ): იგი უყუარს მას: იგინი უყუარან მას.

ქართლისა ქუეყანად დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან (ათონ. კრ. 2622): წიგნი აკლიეს — წიგნნი აკლიან.

ხოლო მეცნიერთა... დაუბრმეს უგულისხმოდ გონებისა თუალნი (სას.: პოეზ. სპლ<sup>1</sup>): თუალი დაუბრმა მათ — თუალნი დაუბრმეს მათ.

უფროდს ათას ხუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი (ათონ კრ.): წიგნი უწერიეს მას — წიგნნი უწერიან მას.

უფროდსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან (ათონ. კრებ.): წიგნი უთარგმნიეს მას — წიგნნი უთარგმნიან მას.

რომელმან განზომნა ცანი მტკავლითა თჳსითა (ხელნაწ. №19200): მან განზომა იგი — მან განზომნა იგინი.

პოვნა (მან) ძმანი შეკრებულად (ხელნაწ. №3124, 36r): მან პოვა იგი — პოვნა იგინი.

განაქარვნა დღესასწაულნი და საზორველნი მათნი (ხელნაწ. №19, 185): მან განაქარვა იგი — მან განაქარვნა იგინი.

ნუმცა ვინ უწყის და მოკლენით იგინი (ხელნაწ. №19, 226): მოკალთ იგი — მოკლენით იგინი!

განგაძლნა თქუენ თაფლითა და თქუენ ნიორისა მყრალისა გული გითქუმიდა ჭამად (ხელნაწ. №19, 155r): მან განგაძლო შენ — მან გან-

გაძლნა თქუენ.

განაძლიერნა იგინი უფროდს თქუენსა და განგაშიშულნა თქუენ (წარტყ. იერ. **ლღ**<sub>25</sub>): მან განგაშიშულა შენ — მან განგაშიშულნა თქუენ.

შიშმან და ძწოლამან დიდმან შემიბყრნა ჩუენ (კიმენ. 29<sub>26</sub>): შიშმან შემიბყრა მე — შემიბყრნა ჩუენ.

-ები-ანი სახელობითი და ზმნა ძვ. ქართულში:

და მოვიდოდა ხარჭებიცა მეფისა აგრიპადისი პეტრქსა (ხელნაწ. №19, 161): ხარჭა მოვიდოდა — ხარჭები მოვიდოდა.

და რომელ იგი სირები აღფრინდა, წარვიდეს (იგინი) კივილით (კიმენი 115<sub>16</sub>): სირი აღფრინდა — სირები აღფრინდა.

სადაცა მძორი იყოს მუნცა შეკრბეს ორბები (ოთხთავი 143<sub>17</sub>): (ორბი შეკრბეს) — ორბები შეკრბეს.

...რომელთა ძმათა აქუნდა საწუმრები მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად (ათონ. კრ. 34<sub>9</sub>): მათ აქუნდა საწუმარი — მათ აქუნდა საწუმრები.

ვაჭარსა ვისმე მოევაჭრა თუალები მრავლისა სასყიდლისაჲ (ხელნაწ. №1104, **რმ r**): ვაჭარსა მოევაჭრა თუალი — მოევაჭრა თუალები (მოევაჭრნეს თუალნი!).

ძვ. ქართულში **-ები-ანი** სახელობითი იშვიათი იყო; თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **-ები-ანი** სახელობითია გაბატონებული, **-ნი-ანი** სახელობითი იშვიათია (თუმცა უფრო ხშირია, ვიდრე **-ები-ანი** სახელობითი ძვ. ქართულში).

2. ახალს ქართულში არსებითად შეცვლილია **-ები-ანი** სახელობითის სინტაქსური ძალა; სახელობრ: **თუ ის აღნიშნავს აქტიურს, მოქმედს საგანს, უწინარეს ყოვლისა, ცოცხალ მოქმედ საგანს, ზმნა მას ეთანხმება, მრავლობითს რიცხვში დაისმის.**

მაგალ.: ოსტატები განკარგულებას იძლევიან... სჭედენ ოსტატები, ვაგონებს აცოცხლებენ... შეგირდები ოსტატებს ეჯიბრებიან... დამკვრელები ნერვიულობენ... ახალგაზრდები დღიურს წერენ... არაფერს არ იკლებენ ბიჭები... სტუმრები ჩამოვიდენ... ქალები სათოფედ არ ეკარებოდენ... გოგოები განზე იყვნენ... მოხუცები თავაზიანად სალამს მაძლევენ... ახალგაზრდები თეთრ ჭილის ქუდს აფრიალებენ... მენახირეები სახრებს ატკაცუნებენ და ქაქანებენ... მამაკაცები დედაკაცობას ნატრობდენ... ტყეს შეესეოდენ მონადირეები... ბავშვები შესცქერიან მრავლად მიმავალ ხალხს... ქალები თავსაფარს ისწორებენ... ბიჭები არ ცხრებიან... ბიჭები ოხუნჯობენ... ხარები ტკვერავენ ახალ ჩალას... უღლიანი ღორები გულის შემადონებლად ღრიტინებენ... ჩხიკვები მაღალ ჟვერში ფართხალებენ... გულთეთრა ზღვის მერცხლები უკანასკნელ მარულას უვლიან ეკლესიის გარშემო..

ოსტატები განკარგულებას იძლევა... ახალგაზრდები ქუდს აფრია-



ლებს... მოხუცები სალამს მაძლევს... და მსგავსი მოვლენები თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უმართებულოა; ეს იქნებოდა არქაიზმი, ფაქტიურად დიალექტიზმი, რამდენადაც ასეთი რამ ამჟამადაც ხშირია ზოგს ქართულს კილოში (იმერულში, მაგალ.).

ასეთი უმართებულო შეუთანხმებლობის შემთხვევები ჩვენს ლიტერატურაში მოიპოება; მაგალ.: ეს თათრები ხეირს არ დაგვაყრის... ჯარის ნაწილები დახეტილობს ცის ქვეშ... ალყათ შემოეხვია ძაბრიანი ჯარისკაცები მგზავრებს... დარჩა მგზავრები ცის ქვეშ... ცხენოსანი ყაზახები შემოერთყა ქარავანს... ამგვარს ფრაზებში ზმნის მრავლობითში დასმა აუცილებელია<sup>1</sup>.

**3. -ები-ანი სახელობითი არ ითანმებს ზმნას, არ მოითხოვს მრავლობითს, თუ მით აღნიშნული საგანი არაცოცხალი არსებაა, პასიური, არამოქმედი:**

აივსო ბინები, აივსო სასტუმროები... აივსო ვაგონები, გაზეთებში ეწერა საინტერესო ამბები... გადის წუთები... ნაწყვეტ ნაწყვეტად ისმის სიტყვები... შავი ლეღები ელაგა... მწიფე ატმები მსუქნად ეწყო... სარდაფები მარტო ღვინით არ არის სავსე... გაბრწყინდა ბროლის შუშები... ეხლა შეტრიალდა კანონები უკულმა... იყო სადღაც კრებები... იატაკზე გაიშალა სუფრები... ფრანგი გუმბაგების ხიშტები ბრჭყვიანობდა...

საკმარისია ამ ფრაზებში ზმნა მრავლობითში დავსვათ, რომ შედეგად საგანთა ერთგვარი პერსონიფიკაცია მივიღოთ: ეხლა შეტრიალდენ კანონები უკულმა (თითქოს ცოცხალი არსება თავის ნებით შეტრიალებულიყვეს)... იატაკზე გაიშალნენ სუფრები (შდრ. სტუმრები გაიშალნენ ეზოში)... იყვნენ სადღაც კრებები (შდრ.: გოგოები განზე იყვნენ — იხ. აქვე ზემოთ §2).

ამიტომაც, რომ ზმნის მრავლობითში დასმა ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი პოეტური საშუალებაა ცოცხალი სახის მისაღებად, პერსონიფიკაციის მოსახდენად: ბებერი ცაცხვები ძველებურად სდარაჯობენ ნაჭყვედის საყდრებს... მელანქოლიურად ილიმებიან ობობას ქსელით დაბლანდულ საყდრის ფანჯრები... ნიგვზები და მუხები არხევენ მდუმარებას...

მაგრამ სწორედ ამიტომვე გაუმართლებელია მრავლობითი ისეთს ფრაზებში, როგორიცაა: თვალებს მოადგენ ცრემლები... როცა კვარის სანთლები ძირამდი დაიწვებოდენ... ქვეყნის გაჩენიდან: აქ მდგარან ალბათ ეს მწვანე ტბორები...

მართალია, სალიტერატურო ქართულის განვითარებას იქითკენ მივყავართ, რომ **-ები-ანი** სახელობითის უფლებები იზრდება, **-ები-ანი** სახელობითი ცდილობს უფლებრივად გაუთანასწორდეს **ნი-ან** სახელობითს

<sup>1</sup> მრავლობითის აუცილებლობა უფრო მკვეთრად იგრძნობა ფრაზებში: მოთავსდა ყველანი სასტუმროში... გაიბარა ისინი... ვილაცანი ყველაფერს ამას ღებულობს... აქ მხოლოდობითში ზმნის დასმა შეუწყნარებელია.

(ევროპულ ენების გავლენაც აძლიერებს ამ ტენდენციას!), მაგრამ სალიტერატურო ქართულის განვითარების დღევანდელ დონეზე ზემოხსენებულ მიზეზების გამო მრავლობითში ზმნის დასმა უმართებულოა ისეთს ფრაზებში, როგორცაა: არიან სხვა ქსოვილებიც... სხვა ნაწილები მოხარული საქმლის შეწონას უნდებიან... მთელ რიგ ცვლილებათა შემდეგ ჩნდებიან ყველა ის ანატომიური ნაწილები... ბრტყელი ეპითელის უჯრედები ქერქის ფირფიტებს ჰგვანან... პატარა ნაწილები შედგებიან კიდევ უფრო პატარა ნაწილაკებისაგან... მთები მოჩანან... საკითხები ისმებიან... პრობლემები წყდებიან... ნივთიერებები სითხეში იხსნებიან...

4. **-ები**-ანი სახელობითის სინტაქსური უფლების საკითხი რთულდება, როცა ზმნა ორპირიანია და მეორე სახელი, მიცემითს ბრუნვაში დასმული, აქტიურ მოქმედ საგანს აღნიშნავს; შესაძლებელია, **-ები**-ან სახელობითს სრული უფლება ჰქონდეს ზმნა მოითხოვოს მრავლობითში, მაგრამ თუ მეორე, მიცემითს ბრუნვაში დასმული სახელის როლი სჭარბობს, ზმნაში აღინიშნება მიცემითის მრავლობითობა და არა სახელობითისა.

მაგალ.: ურუსებს ლამაზი ქალები ჰყავს... გენერლები გეყოლებათ ქართველებს: ქალები, გენერლები უთუოდ შეითანხმებენ ზმნებს, თუ ეს ზმნები ერთპირიანია ანდა ისეთი ორპირიანი, სადაც მეორე პირის როლი ჩამოუვარდება სახელობითის როლს ზმნის აღნიშნულ პროცესში: ქალები დგანან, სეირნობენ, მუშაობენ; შველიან მამაკაცებს, უვლიან საქონელს... გენერლები მუსაიფობენ, ებრძვიან ერთმანეთს, აწიოკებენ მოსახლეობას... მაგრამ არ შეიძლება: გენერლები გეყოლებიან ქართველებს, ურუსებს ჰყავენ<sup>2</sup> ლამაზი ქალები...

ა) არის ისეთი შემთხვევებიც, სადაც **-ნი**-ანი სახელობითიც კი იჩრდილება აქტიური მიცემითი ბრუნვის წყალობით: ჩემი განთიადის დღენი ბატონისა სახლში დამიღამებია (დღენი დამიღამებია მე)... მობანე კლდენი გვერდთ არ ახლავს (კლდენი ახლავს მას: და არა: ახლავან)...

ბ) ისეთი მდგომარეობაც შეიძლება შეიქმნეს, რომ ძნელი გადასაწყვეტი ხდება ზმნაში მიცემითის მრავლობითობა უნდა აღინიშნოს თუ სახელობითისა: მათ რა ეგონათ, თუ „მეხრეები მბრძანებლებად გამოუჩინდებოდნენ?“ აქ ზმნა სახელობითს უთანხმდება, შეუძლებელი არ იყო მიცემითს შეთანხმებოდა: „მეხრეები მათ მბრძანებლებად გამოუჩინდებოდათ“...

გ) ერთმა და იმავე ზმნამ შეიძლება ერთს კონტექსტში უპირატესობა მიანიჭოს სახელობითს, მეორეში კი — მიცემითს:

<sup>2</sup> იმერულში, მართალია, იხმარება „ჰყავენ“, მაგრამ იქ ეს ფორმა მიცემითში მრავლობითობას გამოხატავს და არა სახელობითისას: მათ ჰყავენ ის...

მოწაფე აკლდება გაკვეთილს { ზმნაში აღინიშნება ს ა ხ ე ლ ო-  
 მოწაფეები აკლდებიან გაკვეთილს { ბ ი თ ი ს მრავლობითობა.

ცხენები აკლდება (მას) სტანციაში { ზმნაში აღინიშნება მ ი ც ე-  
 („მგზავრის წერილები“) { მ ი თ ი ს მრავლობითობა  
 ცხენები აკლდებათ მათ სტანციაში

„აკლდება ის მას“ ორნაირი მნიშვნელობისა გამოდის; **ის** აკლდება მას (მოწაფე აკლდება გაკვეთილს ) და **მას** აკლდება ის (მოლარეს აკლდება ფული... მზეს აკლდება ძალა); კონტექსტის გარეშე აღებული ფრაზა: „აკლდება ის მას“ ორნაირს მრავლობითს მოგვცემს: „აკლდებიან ისინი მას“ და „აკლდებათ მათ ის“.

### 3. მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმება<sup>1</sup>

#### (კეთილი მოხუცის თუ კეთილ მოხუცის?)

1. ძვ. ქართულში საზღვრული ჩვეულებრივად წინ დაისმის, მსაზღვრელი კი მას მოსდევს:

იქნა მათ შორის ბ რ ძ ო ლ ა ფ ი ც ხ ე ლ ი: კიმენი, 41<sub>19</sub>.

ვხედვედ სიკუდილსა წინაშე თ უ ა ლ თ ა ჩ ე მ თ ა: იქვე, 40<sub>31</sub>.

არა რაჲ არს ჳ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა ს ა ჩ ე მ ს ა: იქვე, 39<sub>3</sub>.

გითხრა თქუენ... რომელი იგი იხილეს თ უ ა ლ თ ა ჩ ე მ თ ა: იქვე, 39<sub>29</sub>.

კ ა ც ნ ი მ ე დ გ ა რ ნ ი არიან იგინი: იქვე, 35<sub>26</sub>.

ვითარცა მ ჳ ე ც ნ ი მ ძ ვ ნ ვ ა რ ე ნ ი რბიოდეს: იქვე, 46<sub>19</sub>.

სიტყუას უგებდა მ ა თ გ უ ლ ი თ ა მ წ უ ხ ა რ ი თ ა: იქვე, 38<sub>15</sub>.

იხილეს იგი ჳ ა ბ უ კ ა დ მ შ უ ე ნ ი ე რ ა დ: იქვე, 40<sub>3</sub>.

იმავე ძვ. ქართულში ხშირია მსაზღვრელის წინ დასმა:

დაეცა იგი მკუდარი შემდგომად დ ი დ ი ს ა ტ ა ნ ჳ ვ ი ს ა: იქვე, 39<sub>11</sub>.

შემდგომად მ რ ა ვ ლ ი ს ა ყ ა მ ი ს ა მოიქცა იგი: იქვე, 29<sub>16</sub>.

ამისთვის მკნედ დაუდგეს ძ ლ ი ე რ ს ა მ ა ს ბ რ ძ ო ლ ა ს ა: იქვე, 41<sub>23</sub>.

დომნოს წყლულ იყო გუერდსა მისა ფ ი ც ხ ლ ი თ ა წ ყ ლ უ ლ ე - ბ ი თ ა (და ჳირსა დიდსა შინა იყო): იქვე, 42<sub>4</sub>.

ჳრქუა მათ მ დ ა ბ ლ ი თ ა ს ა ხ ი თ ა (და სიტყუთა ლბილითა): იქვე, 39<sub>2</sub>.

და დავყვენ მუნ მ ც ი რ ე დ ნ ი დ ლ ე ნ ი: იქვე, 38<sub>22</sub>.

ძვ. ქართულში მსაზღვრელი წარმოდგენილია ს რ უ ლ ი დ ა ბ ო - ლ ო ე ბ ი თ იმისდა მიუხედავად, წინ უძღვის იგი საზღვრულს თუ მისდევს მას: ჳელმწიფებასა ჩემსა... გულითა მწუხართა... ჳაბუკად მშუენიერად... კაცნი მედგარნი... თუალთა ჩემთა... ძლიერსა მას ბრძოლასა... ფიცხლითა წყლულებითა... მდაბლითა სახითა.... მრავლისა ყამისა... მცირედნი დღენი და სხვ.

---

<sup>1</sup> თეორიულ ნაწილში გამოყენებულია ს. ჯანაშიას სპეციალური მოხსენების („მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ირიბ ბრუნვებში“) მონაცემები.

2. ახალს ქართულში მსაზღვრელი, როგორც წესი, წინ უძღვის საზღვრულს; მასთან მსაზღვრელის ბრუნებას რიგი მოვლენები ახასიათებს; სახელდობრ:

ა) თუ მსაზღვრელის ფუძე ბოლოვდება ხმოვანზე (ა, ე, ი, ო, უ), იგი არ იცვლება არც ბრუნებისა და არც რიცხვის მიხედვით (იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც საზღვრული მრავლობითს **-ები**-თ აწარმოებს):

**მხოლოდითი რიცხვი.**

სახელ.	ბრმა მოხუცი	მხნე მოხუცი	ყრუ მოხუცი
წოდ.	ბრმა მოხუცო!	მხნე მოხუცო!	ყრუ მოხუცო!
მოთხრ.	ბრმა მოხუცმა	მხნე მოხუცმა	ყრუ მოხუცმა
მიცემ.	ბრმა მოხუცს	მხნე მოხუცს	ყრუ მოხუცს
მიმართ.	ბრმა მოხუცად	მხნე მოხუცად	ყრუ მოხუცად
ნათეს.	ბრმა მოხუცის	მხნე მოხუცის	ყრუ მოხუცის
მოქმედ.	ბრმა მოხუციით	მხნე მოხუციით	ყრუ მოხუციით
	სათნო მოხუცი		
	სათნო მოხუცო!		
	სათნო მოხუცმა		
	სათნო მოხუცს		
	სათნო მოხუცად		
	სათნო მოხუცის		
	სათნო მოხუციით		

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, ნაკვეთი V, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1933

#### 4. ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები

(ის დამპირდა, მომიყვა... მათ წარმოადგინეს, გამოაგზავნეს, გამოარკვიეს...)

1. ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებათაგანია პოლიპერსონალიზმი („მრავალპირიანობა“), ე. ი. უნარი ჰქონდეს ერთ პირზე მეტი. რუსულშიაც, გერმანულშიც, ლათინურსა და ბერძნულშიც ზმნა იცვლება პირების მიხედვით, აქვს სამი პირი (პირველი, მეორე, მესამე), მაგრამ ეს კი არა გვაქვს მხედველობაში, პოლიპერსონალიზმის („მრავალპირიანობის“) შესახებ რომ ვლაპარაკობთ, არამედ სხვა თვისება — ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ფორმაში წარმოგვიდგინოს ორი და სამი პირი. ზემოხსენებულს უცხო ენებში ასეთი რამ შეუძლებელია, იქ ზმნის ფორმაში ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთი პირი აღინიშნება.

ერთპირიანი ზმნებია: ზის, წევს, დგას... ცხოვრობს, საზრდობს... ჯდება, წვება, დგება — ქრება, დნება... ცივდება, ფითრდება, წითლდება... იღვება, იმალება, ისპობა, იშლება, იფრქვევა — **ის**.

ორპირიანი ზმნებია: უზის, უწევს, უდგას... უჯდება, უწვება, უქრება, უდნება, უცივდება, უფითრდება, უწითლდება... ეღვება, ემალება, ესპობა, ეშლება, ეფრქვევა — **ის მას** ...აგრეთვე: აცივებს, აქრობს, ადნობს, აფითრებს, აწითლებს... ლევს, მალავს, სპობს, შლის, აფრქვევს... ხატავს, წერს, გზავნის, აკეთებს, აწყობს — **ის მას**.

სამპირიანი ზმნებია: უცივებს, უფითრებს, უწითლებს... უღვებს, უმალავს, უსპობს, უშლის, უფრქვევს, უხატავს, უწერს, უგზავნის, უკეთებს, უწყობს... სთხოვს — **ის მას რაღაცას**...

ერთპირიან ზმნასთან ერთი სახელია დაკავშირებული და მხოლოდ ამ სახელის პირია ზმნაში წარმოდგენილი: ბავშვი ზის, წევს, დგას... ჯდება, წვება, დგება... ავადმყოფი ფითრდება, ცივდება, იღვება... ადამიანი ცხოვრობს, საზრდობს... ეს ერთი სახელი — სუბიექტია.

ორპირიან ზმნასთან ერთსა და იმავე დროს ორი სახელია დაკავშირებული და ორივე სახელის პირი ზმნაშია წარმოდგენილი:

ბავშვი უზის დედას (კალთაში)... სახე უფითრდება ავადმყოფს... ცეცხლი აღნობს სანთელს... მზე ათბობს დედამიწას... ბავშვი ხატავს ცხენს... ამ ორი სახელიდან ერთი სუბიექტია და მეორე — ობიექტი.

სამპირიან ზმნასთან ერთსა და იმავე დროს სამი სახელია დაკავშირებული: ვასო უწერს ანდროს სამუშაოს... თედო უგზავნის ამხანაგს წერილს... ნიკო სთხოვს სოსოს წიგნს... ამ სამი სახელიდან ერთი სუბიექტია და ორი — ობიექტი (მაგალ. პირველს მაგალითში სუბიექტია „ვასო“, ობიექტებია „ანდროს“, „სამუშაოს“... ასევე — სხვა მაგალითებშიც).

2. ზმნასთან სახელთა დაკავშირება ორგვარია: ერთია დაკავშირება აზრის მიხედვით, ზმნის მნიშვნელობის შესაბამისად, მეორეა — დაკავშირება ზმნის აგებულების მიხედვით, ზმნაში აფიქსის გაჩენის საშუალებით, ანუ, როგორც იტყვიან, დაკავშირება ფორმის საშუალებით. ფორმით დაკავშირება უთუოდ გულისხმობს დაკავშირებას მნიშვნელობის მიხედვითაც<sup>1</sup>, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით დაკავშირება სრულებით არ ნიშნავს, რომ უთუოდ ექნება ადგილი დაკავშირებას ფორმის საშუალებითაც.

ავილოთ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ქართული და რუსული წინადადება და შევადაროთ ერთმანეთს:

მონადირე კლავს ირემს

„მონადირე“ — სუბიექტი; აღნიშნულია ზმნაში **ს**-სუფიქსით; „ირემს“ — ობიექტი; აღნიშნულია ნოლ-პრეფიქსით, პოტენციალურად (ძველად აღინიშნებოდა **ჰ**-პრეფიქსით — ჰკლავს) არ შეიძლება: კლავს — შენ, მე... არამედ მხოლოდ კლავს მას (ირემს...). აზრის მიხედვით კავშირი ნათელია; ვინ კლავს? მონადირე. რას კლავს მონადირე? ირემს.

охотник убивает оленя

აზრის მიხედვით რუსულშიაც ორივე სახელი ისევე უკავშირდება ზმნას, როგორც ქართულში. მაგრამ ზმნაში აღნიშნულია მხოლოდ სუბიექტის პირი: **убивает он** (— охотник)... შეცვალეთ ეს პირი და შეიცვლება ზმნაც: **убивает он, убиваешь ты, убиваю я**. ობიექტი? ზმნისთვის სულ ერთია — მესამე პირი იქნება (**убивает оленя**), მეორე (**убивает тебя, вас**) თუ პირველი (**убивает меня, нас**).

<sup>1</sup> ზოგიერთი „გამონაკლისის“ ისტორია ცხადყოფს, რომ თავდაპირველად „გამონაკლისს“ შემთხვევებშიაც მნიშვნელობის თვალსაზრისით კავშირი არსებობდა.

რუსულში ზმნა აღნიშნავს მხოლოდ სუბიექტის პირის ცვლას; სუბიექტი ან პირველი, ან მეორე ანდა მესამე პირია; ზმნაც მხოლოდ ამ სამი პირის ფორმას იძლევა და სამივე პირი მხოლოდ სუბიექტისაა: он убивает, ты убиваешь, я убиваю... ობიექტად თითოეულს ამ პირს სამივე პირი „მოერგება“ (убивает его, их, тебя, вас, меня, нас... убиваешь себя, меня, нас, его, их...), ზმნა სამსავე პირს „იუფებს“, იმიტომ რომ ობიექტის პირები ზმნაში არ აღინიშნება, ობიექტს ზმნაში წარმომადგენელი არა ჰყავს და არც შეიძლება ჰყავდეს. ამიტომ რუსულში როცა ზმნის პირს კითხულობენ, კითხულობენ — „რომელი პირია“-ო, მაგრამ არ კითხულობენ, „რისი პირია“-ო: თავის თავად ცხადია, რომ ზმნაში წარმოდგენილი პირი სუბიექტისლა შეიძლება იყოს!

რუსულში ყოველი ზმნა მხოლოდ ერთპირიანია; რამდენი სახელიც არ უკავშირდებოდეს **მნიშვნელობის** მიხედვით ზმნას, ზმნა მაინც ერთპირიანი იქნება, ზმნაში მხოლოდ ერთი სახელის პირი აღინიშნება, სუბიექტის პირი, ზმნა მხოლოდ სუბიექტის პირთა ცვლას აღნიშნავს (როცა კი აღნიშნავს პირთა ცვლას)<sup>1</sup>.

**მნიშვნელობის მიხედვით დაკავშირება რომ აუცილებლად იწვევდეს ფორმის (პირის) მიხედვით დაკავშირებას, რუსულშიაც (და სხვა ეროვნულ ენებშიც) გვექნებოდა ორპირიანი და სამპირიანი ზმნები.**

მეტი კიდევ. ჩვენა ვთქვით: „კლავს“ ორპირიანი ზმნააო ქართულში: „მონადირე“ — „ირემს“ — ეს ორი სახელი ფორმითაც უკავშირდება ზმნას და შინაარსითაც. ხომ შეიძლება ზმნას სხვა სახელებიც დაუკავშირდეს! „მონადირე კლავს ირემს თოფით“: შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით აქ სამი სახელი უკავშირდება ზმნას: კლავს ვინ? რას? რით? „მონადირე კლავს ირემს თოფით მთებში“: შინაარსის მიხედვით აქ ოთხი სახელი უკავშირდება ზმნას: კლავს ვინ? რას? რით? სად?

„მონადირე კლავს ირემს თოფით მთებში ზამთრობით“: აქ უკვე ხუთი სახელია ზმნასთან დაკავშირებული მნიშვნელობის, შინაარსის მიხედვით. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უკანასკნელს წინადადებაში ზმნა ხუთპირიანია? სრულებითაც არა!

ზმნა „კლავს“ ყველგან ორპირიანია, რადგანაც უღვლილების პროცესში ზმნა ანგარიშს უწევს მხოლოდ ორ სახელს, სუბიექტს (მოქმედს) და ობიექტს (მოქმედების საგანს) და მხოლოდ მათ პირთა ცვლას აღნიშნავს... სხვა სახელები მნიშვნელობის მიხედვით უკავშირდებიან ზმნას, მაგრამ ზმნაში პირს არ აჩენენ.

„კლავს“ ორპირიანი ზმნა იყო. ერთპირიანი ზმნაც რომ ავიღოთ,

<sup>1</sup> არის შემთხვევები, როცა ზმნა პირის მიხედვით არ იცვლება (ნამყოში: убил...) ამას თავისი ისტორია აქვს... ძველად აქაც იცვლებოდა ზმნა პირის მიხედვით.



იგივე გამეორდება:

„ვასო ზის“: ზმნასთან შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით ერთი სახელია დაკავშირებული: ზის ვინ? ვასო.

„ვასო ზის სკამზე“: ზმნასთან შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით ორი სახელია დაკავშირებული: ზის სად? სკამზე.

„ვასო ზის სკამზე ოთახში“: ზმნასთან შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით სამი სახელია დაკავშირებული...

„ვასო ზის სკამზე ოთახში მაგიდასთან“: ზმნასთან ოთხი სახელია დაკავშირებული...

„ზის“ ზმნა კი ყველგან ერთპირიანია; მისი უღვლილების პროცესი მხოლოდ ერთი სახელის (სუბიექტის) პირს აღნიშნავს: ვასო ზის, შენ ზი-ზარ, მე ვზივარ: **მნიშვნელობის მიხედვით დაკავშირებული ყველა სახელის პირი რომ ზმნაში აღინიშნებოდეს, ქართულში გვექნებოდა არა მხოლოდ ერთი, ორი და სამპირიანი ზმნები, არამედ ოთხი, — ხუთი — და მეტი პირის მქონე ზმნები.** გარდა ამისა, **ერთი და იგივე ზმნა ერთს წინადადებაში** („ვასო ზის“) **იქნებოდა ერთპირიანი, მეორეში ორპირიანი** („ვასო ზის სკამზე“), **მესამეში სამპირიანი** („ვასო ზის სკამზე ოთახში“), **სხვაგან ოთხპირიანი** („ვასო ზის სკამზე ოთახში მაგიდასთან“) და ასე შემდეგ...

3. რამდენი სახელიც არ უნდა უკავშირდებოდეს მნიშვნელობით ზმნას რუსულში, გერმანულში (ლათინურში, ბერძნულში) მხოლოდ ერთი სახელის პირი აღინიშნება; ეს სახელია — მოქმედი, სუბიექტი; ის სახელობითს ბრუნვაშია.

ქართულში ზმნაში შეიძლება აღინიშნოს სუბიექტის გარდა ერთი ან ორი ობიექტის პირი, — გარკვეულ ბრუნვებში დასმული; ეს ბრუნვებია: **ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი, მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი და მ ი ც ე მ ი თ ი**, მაგრამ არა ყოველგვარი **მ ი ც ე მ ი თ ი, ა რ ა მ ე დ ი ს ე თ ი, რ ო მ ე ლ ს ა ც თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი** არ დაერთვის.

ამგვარად: ქ ა რ თ უ ლ ს ზ მ ნ ა შ ი ა ღ ი ნ ი შ ნ ე ბ ა ი ს ე თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს პ ი რ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც შ ი ნ ა ა რ ს ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ი ა ნ ზ მ ნ ა ს და გა დ მ ო ი ც ე მ ი ა ნ ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი, მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი და უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო მ ი ც ე მ ი თ ი თ.

„ვასო ზის სკამზე ოთახში მაგიდასთან“... ოთხივე სახელი დაკავშირებულია მნიშვნელობის მიხედვით ზმნასთან: მათგან ერთი (ვასო) სახელობითშია, სამი დანარჩენი — მიცემითში, მაგრამ სამივე მიცემითი თანდებულებიანია (სკამზე, ოთახში, მაგიდასთან...). ზმნაში აღინიშნება მხოლოდ პირველი სახელის (ვასო) პირი, ზმნა ერთპირიანია...

„მონადირე კლავს ირემს თოფით მთებში ზამთრობით“: შინაარსის

მიხედვით ზმნასთან ხუთივე სახელი მჭიდრო კავშირშია; მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია (მონადირე) სახელობითში და ერთიც მიცემითში (ირემს); სამი დანარჩენიდან ერთი მიცემითშია, მაგრამ თანდებულს დაირთავს (მთებში), ორი კიდევ მოქმედებითს ბრუნვაშია. ამიტომ: ზმნა აღნიშნავს პირველი ორის პირს (მონადირე — ირემს); აღუნიშვნელი რჩება სამი სხვა სახელის პირი (თოფით, მთებში, ზამთრობით).

4. უთანდებულო მიცემითის, სახელობითისა და მოთხრობითის პირი ყოველთვის აღინიშნება თუ არა ზმნაში? მოთხრობითისა — ყოველთვის აღინიშნება, სახელობითისა და უთანდებულო მიცემითის — ხადახან აღუნიშვნელი რჩება. ეს მაშინ, როცა სათანადო სახელი არც მოქმედს წარმოადგენს, არც მოქმედების საგანს: ვასო დ ღ ე ს მოვიდა... ანდრო დ ღ ე - დ ა დ ა მ ე მუშაობს... „ოთხი წელი ვიცნობდით ერთმანეთს“ („ქართ. მწერლ.“ ივნ.-ივლ. 1927 წ., გვ. 132)... „ორ თვეს ვიყავ თქვენსას“ (იქვე, გვ. 133).

„დღეს“, „დღედაღამე“, „ოთხი წელი“, „ორ თვეს“ არც ობიექტია, არც სუბიექტი, არამედ ე. წ. გარემოება.

5. რადგანაც ქართულს ორპირიანსა და სამპირიანს ზმნაში სუბიექტის პირის გარდა ერთის ანდა ორი ობიექტის პირიც აღინიშნება, ზმნა ქართულში ფორმებით მდიდარია, ხოლო უღვლილება რთული:

მღრ.: ის ზრდის მას, მათ: **ОН ВОСПИТЫВАЕТ (ЕГО, ИХ, ТЕБЯ, ВАС, МЕНЯ, НАС)**

„ გზრდის შენ

„ გზრდით თქვენ

„ მზრდის მე

„ გვზრდის ჩვენ.

რუსულში "ВОСПИТЫВАЕТ" ქართულში იქნება: „ზრდის, გზრდის, ვზრდით, მზრდის, გვზრდის“ — ხუთი ფორმა ერთის ნაცვლად იმისდა მიხედვით, თუ ვის ზრდიან: მას, შენ, თქვენ, მე თუ ჩვენ. რუსულისთვის კი ეს სულ ერთია; იქ ზინა იმის პირს აღნიშნავს, ვინც მოქმედებს, და არ აღნიშნავს, რომელ პირს ეხება ეს მოქმედება...

ქართული ზმნის სირთულის ერთ-ერთი წყარო ეს „მრავალპირიანობაა“; მრავალპირიანობას კი წარმოშობს სუბიექტის გარდა ობიექტის პირების აღნიშვნაც.

ბ. ქართული ორპირიანი ზმნა ორგვარია: გარდაუვალი და გარდამავალი, ეს იმის მიხედვით, სხვადასხვა დროში უღვლილებსას იცვლება თუ არა სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა.

გარდაუვალი ეწოდება ისეთ ზმნას, რომელიც არ იცვლის სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებს დროთა მეორე ჯგუფში და, ამგვარად, სუბიექტი სახელობითში აქვს, ობიექტი — მიცემითში:

1. აწმყო: შვილი ეზრდება, უკვდება დედას...  
სახე უფითრდება ავადმყოფს...  
აორისტი: შვილი გაეზარდა, მოუკვდა დედას...  
სახე გაუფითრდა ავადმყოფს...  
ეზრდება, უკვდება, უფითრდება — ორპირიანი გარდაუვალი ზმნე-  
ბია.

შევადაროთ ამათ ორპირიანი გარდამავალი ზმნები:

II. აწმყო: დედა ზრდის შვილს  
მონადირე კლავს ირემს  
კალატოზი აშენებს სახლს  
აორისტი: დედამ გაზარდა შვილი  
მონადირემ მოკლა ირემი  
კალატოზმა ააშენა სახლი.

ზრდის, კლავს, აშენებს — ორპირიანი გარდამავალი ზმნებია. გარდამავალი ეწოდება ისეთ ზმნებს, რომელთაც ეცვლებათ სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა: ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი ი ყ ო (დედა ზრდის) — გ ა დ ა ვ ი დ ა მ ო თ ხ რ ო ბ ი თ შ ი (დედამ გაზარდა), ო ბ ი ე ქ ტ ი მ ი ც ე მ ი თ შ ი ი ყ ო (ზრდის შვილს) — გ ა დ ა ვ ი დ ა ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი (გაზარდა შვილი).

ამიტომ გარდამავლობის გასარკვევად პირდაპირ შეიძლება მივმართოთ აორისტს: თუ **აორისტში ზმნა მოითხოვს სუბიექტს** (მოქმედს) **მოთხრობითში და ობიექტს** (სამოქმედოს) **სახელობითში, ზმნა გარდამავალი იქნება**. მან — შემოსაზღვრა არე, დატვირთა გემი, გამართა ნადიმი, მიჩქმალა დეფექტები, დაბეჭდა წერილი, დახარჯა ფული, გალესა დანა, დაწნა კალათი, დაიცვა ამხანაგი, დახატა სურათი... და მრავალი ამგვარი ზმნა გარდამავალია.

7. გარდამავალი ზმნები მიუთითებენ აქტიურ სუბიექტზე, რომლის მოქმედებაც ობიექტზე გადადის (იხ. ზემოთ მაგალითებში); გარდაუვალ ზმნებთან კი სუბიექტი არააქტიურია (ხშირად პასიურია): მოუკვდა შვილი დედას, გაეზარდა შვილი დედას, გაუფითრდა სახე ავადმყოფს...

მაგრამ არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ზმნა მიუთითებს აქტიურ სუბიექტზე, მაგრამ გარდამავალი არ არის; ასეთია, მაგალ., ზმნები: ეკითხება, ეშველება, ეხმარება, ეჯიბრება, ეფერება, ებრძვის, — ის მას... ამ ზმნების მნიშვნელობა აქტიურია, აგებულება — პასიური, ამიტომ ხდება ხოლმე, რომ მათ აორისტში სუბიექტს მოთხრობითს ბრუნვაში უსმენ ისე, როგორც ეს შეეფერება გარდამავალ ზმნებს: იმან დამეხმარა, შემეკითხა... წაეშველა, შეებრძოლა, და სხვ. შეცთომა; უნდა ვიხმა-

როტ: **ის** დამენმარა, შემეკითხა... წაეშველა, შეებრძოლა..

ამ შეცდომის თავიდან ასაცილებლად ორი საშუალება გავგაჩნია: ესენია კრიტერიუმი გარდამავლობისა, სახელდობრ:

ა) თუ **ორბირიანი ზმნა აორისტში** (კითხვაზე: რა ქნა? რა მოუვიდა? რა დაემართა?) **იგუებს ობიექტს მიცემითში, ის გარდაუვალი ზმნა და სუბიექტი** (მოქმედი) **სახელობითს ბრუნვაში უნდა დაისვას** (და არა მოთხრობითში), ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ: .

თუ **ორბირიანი ზმნა აორისტში ვერ იგუებს ობიექტს** (სამოქმედოს) **სახელობითში, ის გარდამავალი არ არის** (გარდაუვალი ზმნა) და **სუბიექტი** (მოქმედი) **მოთხრობითში არ დაესმის** (სახელობითში უნდა დაესვათ):

დაენმარა ვის? მას: ერთადერთი ობიექტი მიცემითშია, ზმნა გარდაუვალია, სუბიექტი სახელობითში უნდა დაისვას: დაენმარა **ის** მას...

წაეშველა ვის? მას: ერთადერთი ობიექტი მიცემითშია, ზმნა გარდაუვალია, სუბიექტი სახელობითში უნდა დაისვას: წაეშველა **ის** მას...

შეებრძოლა ვის? მას: ერთადერთი ობიექტი მიცემითშია, ზმნა გარდაუვალია, სუბიექტი სახელობითში უნდა დაისვას: შეებრძოლა **ის** მას...

შეეჯიბრა ვის? მას: ერთადერთი ობიექტი მიცემითშია, ზმნა გარდაუვალია, სუბიექტი სახელობითში უნდა დაისვას: შეეჯიბრა **ის** მას...

ბ) მეორე საკონტროლო საშუალებაა აორისტის დაბოლოება მრავლობითის მესამე პირში: **თუ ზმნა გარდამავალია, მას აორისტის დაბოლოებად მრავლობითის მესამე პირში -ის მოუდის, თუ გარდაუვალია -ენ**:

გაზარდეს, მოკლეს, ააშენეს, გააკეთეს, დაწერეს, წარადგინეს, დაბეჭდეს, დახარჯეს — გარდამავალი ზმნებია...

დაენმარ(ნ)ენ, წაეშველ(ნ)ენ, შეებრძოლ(ნ)ენ, შეეჯიბრ(ნ)ენ, დაემუქრ(ნ)ენ — გარდაუვალი ზმნებია...

პირველი საკონტროლო საშუალება სინტაქსურის ხასიათისაა, მეორე — მორფოლოგიურისა. პირველი უფრო მკვიდრია (ზოგიერთი შემთხვევის გარდა), მეორის გამოყენება მხოლოდ ახალი ქართულისთვის თუ შეიძლება; ძველს ქართულში ყველა ზმნა აორისტში მრავლობითის მესამე პირში -ის-ზე ბოლოვდებოდა და, ცხადია, დაბოლოება გარდამავალთა და გარდაუვალთა გასარჩევად ველარ გამოდგებოდა...

არის მეორე გარემოებაც: ამჟამად საქართველოს ზოგიერთს კუთხეში (ქვ. იმერეთი, გურია) აორისტში ყველა ზმნა -ენ-ზე ბოლოვდება: გაზარდენ, მოკლენ, ააშენენ, წარადგინენ, დაბეჭდენ, დახარჯენ... ასეთ შემთხვევაში აორისტის დაბოლოება სხვა გაჭირვებაში ველარ წაგვადგება. პირუტყუ: უნდა დაიძებნოს საშუალება ამ დაბრკოლების გადასალახავად...

ეს საშუალებაა ობიექტის ბრუნვა: **თუ ზმნა აორისტში დაირთავს ობიექტს სახელობითს ბრუნვაში** (ააშენა, წარადგინა, დაბეჭდა, დახარჯა — ის), **მრავლობითის მესამე პირში დაბოლოებად -ეს უნდა იქნეს ნახმარი** (ააშენეს, წარადგინეს, დაბეჭდეს, დახარჯეს — მათ ის)...

ამგვარად: გარდამავლობის კრიტერიუმია — ობიექტი სახელობითში; **არის ობიექტი სახელობითში — უნდა იყოს სუბიექტი მოთხრობითში -ეს დაბოლოება მრავლობითის მესამე პირში.**

გარდამავლობის საკითხის სწორად გადაწყვეტა თავიდან აგვაშორებს როგორც შეცთომებს სუბიექტის ბრუნვის შერჩევაში (როდის უნდა „მან“ და როდის „ის“), ისე შეცთომებს მრავლობითის მესამე პირის დაბოლოებაში (როდის უნდა **-ენ** და როდის **-ეს**)...

8. ორპირიანი ზმნებიდან ზოგი გარდამავალია და ზოგიც გარდაუვალი; ერთპირიანი ზმნები ყველა გარდაუვალია, სამპირიანი — ყველა გარდამავალი. დავიწყეთ უკანასკნელით.

„ვასო სთხოვს ანდროს წიგნს“

„ვასომ სთხოვა ანდროს წიგნი“. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, სამპირიანი ზმნის ორი ობიექტიდან ერთი დარჩა მიცემითს ბრუნვაში (ანდროს), მეორე — გადავიდა სახელობითში (წიგნს — წიგნი). ობიექტი სახელობითში მოგვეპოება, სუბიექტი, ცხადია, მოთხრობითში უნდა იყოს (ვასომ სთხოვა...).

ასევე: ვასო უგზავნის ანდროს წიგნს...

ქალაქი უშენებს მუშებს სახლებს...

მასწავლებელი აწერინებს მოწაფეს სამუშაოს.

ვასომ გაუგზავნა ანდროს წიგნი...

ქალაქმა აუშენა მუშებს სახლები...

მასწავლებელმა დააწერინა მოწაფეს სამუშაო...

სამპირიანი ზმნები შინაარსითაც აქტიურია და აგებულებაც გარდამალი ზმნის აქვთ...

მაგრამ სამპირიანთა შორის ორიოდე გარდაუვალი ზმნაც მოიპოება: „პირდება, უყვება ის მას რაღაცას“... შინაარსი ორივეს მეტ-ნაკლებად აქტიურ სუბიექტს გულისხმობს, მაგრამ აგებულებით ორივე პასიურია (ვნებითი გვარის ზმნებია).

აწმყო (რას შვრება?): ვასო პირდება დახმარებას ანდროს...

„ „ „ ვასო უყვება ამბავს ანდროს.

აორისტი (რა ქნა?): ვასო დაპირდა დახმარებას ანდროს...

„ „ „ ვასო მოუყვა ამბავს ანდროს... ასე უნდა

იყოს.

ამჟამად კი საკმაოდ გავრცელებულია: იმან დაპირდა, იმან მოუყვა... საგულისხმო ისაა, რომ „დაპირდა“-ზმნასთან ობიექტის ბრუნვაც

მერყეობს; ამბობენ: „იმან დამპირდა დახმარება“-ო. ასეთი ობიექტი გარდამავლობის საზომად აღარ გამოგვადგება. აქ მრავლობითის დაბოლოება უნდა მოვიშველიოთ:

დამპირდა — დამპირდენ: ზმნა გარდაუვალია; მაშასადამე: სუბიექტი იქნება სახელობითში („ის დამპირდა“), ობიექტი მიცემითში („დამპირდა მე დახმარებას“)...

დასკვნა: **პირდება, უყვება სამპირიანი გარდაუვალი ზმნებია; მათ აორისტში არ მოეპოვებათ ობიექტი სახელობითში, ორივე ობიექტი მიცემითში რჩება, სუბიექტი — უნდა ჰქონდეთ სახელობითში:** ის დაპირდა მას დახმარებას, ის მოუყვა მას ამბავს... (და არა: იმან დაპირდა მას დახმარებას... იმან მოუყვა მას ამბავი).

ერთპირიანი ზმნები, როგორც ვთქვით, ყველა გარდაუვალია, ე. ი. მათ მხოლოდ სუბიექტი აქვთ და ეს სუბიექტი სახელობითში რჩება როგორც აწმყოში, ისე აორისტში:

აწმყო: **ის** ღვება, წვება, ჯდება, ცივდება, ფითრდება, ქრება, იღლება, იმალება, იზრდება...

აორისტი: **ის** ადგა, დაწვა, დაჯდა, გაცივდა, გაფითრდა, გაქრა, დაიღალა, დაიმალა, გაიზარდა...

გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა ერთპირიანმა ზმნებმა, როგორცაა: **ის** — ცხოვრობს, მუშაობს, თამაშობს, მეფობს, მგზავრობს, დღესასწაულობს, ცელქობს... აორისტში გვაქვს: **მან** იცხოვრა, იმუშავა, იმეფა, იმგზავრა, იდღესასწაულა, იცელქა... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სუბიექტი სახელობითი ბრუნვისა შეიცვალა მოთხრობითით და ზმნა გარდამავლად იქცა. ეს ასე არაა: ზმნებს — ცხოვრობს, მუშაობს, თამაშობს, მგზავრობს — თავისი გააჩნიათ მხოლოდ აწმყო და მისგან ნაწარმოები ორი დრო (ნამყო უსრული და კავშირებითი მეორე: ცხოვრობდა, ცხოვრობდეს... მუშაობდა, მუშაობდეს... თამაშობდა, თამაშობდეს...). სხვა დროები კი ნასესხები აქვთ გარდამავალი ზმნებისგან:

აწმყო: ცხოვრობს...	ა/ი ცხოვრებს	ის...	(მას)
ცხოვრობდა	ა/ი ცხოვრებდა	„	„
ცხოვრობდეს	ა/ი ცხოვრებდეს	„	„
←	ა/ი ცხოვრა მან (ის)		

აწმყო: მუშაობს...	ა/ი მუშავენს	ის	(მას)
მუშაობდა	ა/ი მუშავენდა	„	„
მუშაობდეს	ა/ი მუშავენდეს	„	„
←	ა/ი მუშავა მან (ის) (დაამუშავა მან საკითხი, გამოიმუშავა მან ნორმა).		

ამიტომ ამგვარ ზმნებზე ვრცელდება ის, რაც ორპირიანი გარდამავალი ზმნების შესახებ ითქვა.

## 5. -გან თანდებულის ხმარებისათვის ნათესაობითან და მოქმედებითან

1. როგორც ცნობილია, თანდებულებად წოდებული ნაწილაკები ქართულში დაერთვის სახელს მაშინ, როდესაც რუსულში (სხვა ევროპულ ენებშიც) იგი წინ უძღვის სახელს, ამასთან ქართულში იგი სახელთან ერთად იწერება, ევროპულს ენებში — ცალკე (შდრ. ძმისაგან **от брата**, ძმასთან — **у брата...**).

თანდებულები დაერთვის ყველა ირიბ ბრუნვას: ვნებითს, მიცემითს, მოქმედებითს, ნათესაობითს. ვნებითს — **-მდის** (სოფლამდის, ქალაქამდის, სასწავლებლამდის...); მოქმედებითს — **-ურთ** (ძველებურს კონსტრუქციებში: სოფლითურთ, ქალაქითურთ...); მიცემითს — **-ზე, -ში, -თან** (სოფელზე, სოფელში, სოფელთან..); ნათესაობითს — **-კენ, -თვის** (სოფლისკენ, სოფლისთვის...).

პირდაპირი ბრუნვები სახელობითი, მოთხრობითი (და წოდებითი) თანდებულებს არ დაერთავენ: მათ თანდებულები არ მართავენ. მართალია, **-ვით**-ნაწილაკი დაერთვის სახელობითსაც (შურდულივით გაექანა, ვეფხვივით სწრაფი...), მაგრამ ეს უფრო იმის მომასწავებელია, რომ **-ვით** თანდებულები არ არის; და მართლაც იგი იხმარება მიცემითთანაც (ქვასავით, კლდესავით), იხმარებოდა ნათესაობითთანაც; გარდა ამისა: ის შეიძლება მოვაცილოთ ბრუნვას: შურდულივით — ვით შურდული, ვეფხვივით — ვით ვეფხვი... ამგვარ ოპერაციას სხვა თანდებული ვერ იტანს. ესეც საკმარისია იმისათვის, რომ -ვით თანდებულად არ მივიჩნიოთ. ამიტომ: სახელობითს რომ -ვით შეიძლება დაერთოს, ამით არ იბღალბება დებულება — თანდებულები მოთხრობითსა, სახელობითსა (და წოდებითს) არ დაერთვის.

2. თანდებულთა უმეტესობა ქართულშიაც, სხვა ენებშიაც ჩვეულებრივად თითო ბრუნვას დაერთვის; მაგრამ მოიპოვება ისეთი თანდებულებიც, რომლებიც ორს ბრუნვას მოითხოვენ: ასეთია მაგალითად **in** ლათ., **auf** გერმანულში, **на** რუსულში: **лежит на столе — положил на стол...**

ქართულში ორ ბრუნვას მოითხოვს -გან თანდებული; წერილი მომივიდა ძმისაგან — წერილი მომივიდა სოფლიდან; პირველ შემთხვევაში **-გან** დაერთვის ნათესაობითს ბრუნვას (ძმისა-გან), მეორეში კი — მოქმედებითს: სოფლიდან ← სოფლიდან ← სოფლითგან: **-გან** თანდებულმა მოქმედებითის დაბოლოება **თ** აქცია **დ**-თ (მოხდა ნაწილობრივი ასიმილაცია **გ** და

თ-სი!), -დგან კომპლექსში -გ- დაიკარგა და ამგვარად მივიღეთ თანდებული-ანი ფორმა „სოფლიდან“ — რომელშიაც მოქმედებითის დაბოლოებაც შეცვლილია (თ → დ), -**გან** თანდებულისაგან კი -**ან**-ლათა დარჩენილი.

3. როდის დაერთვის -**გან** ნათესაობითს ბრუნვას და როდის მოქმედებითს? დამოკიდებულია ეს ზმნაზე და ზმნის მნიშვნელობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე; ეს კითხვებია: ვისგან? რისგან? საიდან? პირველი ორი, ცხადია, ნათესაობითს მოითხოვს, უკანასკნელი კი — მოქმედებითს. წერილი მომივიდა ვისგან? ძმისგან. წერილი მომივიდა საიდან? სოფლიდან. ჩამოვედი საიდან? სოფლიდან...

ნიმუშები:

ა) -**გან** ნათესაობითს ბრუნვასთან (კითხვაზე — **ვისგან?** **რისგან?**) ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ გაგარჩიესო...

ნუ გეგონებით შევშინდე ჯაფისგან მოქანცულია... რ. ერისთავი, 107.

კარგი ვაჟკაცი მტრისგანაც პატივსაცემიაო...

მწევრისაგან მოღლილი ყურდგელი მეძებარმა დაიჭირაო...

მე ყანწი მიყვარს, ყანწი ნასროლი ტოლუმბაშისგან... რ. ერისთავი, 132...

დროთა ცვლისაგან ვერაფერი გადავარჩინეთ... ს. აბაშელი, გაბზარ. სარკე, 60.

ღიახ, მე აქ ვკვდები სიბერისაგან; ვიცით არავინ კვდება სიმშლით (ბერანყედან, რ. ერისთავი, 164).

თუ ლხინი გვინდა ღვთისაგან, ჭირნიცა შევიწყნაროთო...

ვის სმენია პატრონისგან ჭირსა შიგან ყმისა რიდი...

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.

მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალგულოვანი...

სუსტად მიმდინარეობს სავაჭრო კოოპერატიული ორგანიზაციების გაწმენდა... მტრული და უცხო ელემენტებისაგან... „კომუნისტი“, 1933, №112.

ასეა ეს, თუნდაც რომ ეს სოციალისტები სიტყვით იმიჯნებოდნენ კაპიტალისტებისაგან... ლენინის რჩეული თხზულებანი, ტ. II, 429.

ასეთი პოლიტიკა პირდაპირ აბუჩად აგდება იმ ხალხისა, რომელიც განიცდიდა ათასგვარ ტანჯვა-წვალებას მეფეებისაგან იქვე, 430.

აღმასრულებელი კომიტეტის პროგრამა აღარაფრით განსხვავდება „საშინელი“ ბოლშევიზმის პროგრამისაგან... იქვე, 416.

ამაშია მისი პრინციპიალური განსხვავება იმ დემონსტრაციებისაგან, რომლებიც გაიმართა რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს... იქვე, 446.

შეიძლება და საჭიროც არის დაუყოვნებლივ შევუდგეთ... კატასტროფისაგან ქვეყნის გადარჩენას, იქვე, 317.



ჩვენ ვაშენებთ სახალხო მეურნეობას კაპიტალისტური მტაცებლები-საგან განთავისუფლებული საკუთარი ქვეყნის დაგროვებათა ხარჯზე, „კომუნისტი“, 1933, №112.

-გან მოქმედებით ბრუნვასთან (კითხვაზე — **საიდან?**):  
კავკასიის მთიდან ღრუბლები გაჰფანტა მზემ და სიომა... რ. ერის-თავი, 118.

მზე ჩავიდა; საწნახლიდან მოწანწკარებს ტკბილი წყარო... იქვე, გვ. 117.

ცხენიდან გადმოვარდნა სჯობს ვირიდან გადმოვარდნასო...  
ბედაურიდან ჩამოვხტი და ვირზე შევჯექიო...  
ვალი ჭუჭრუტანიდან შეძვრება და კარებიდანაც ვეღარ გამოეტე-ვაო...

ერთი მხრიდან ძელი არ გაითლებაო...  
ერთს კაცს სოფლიდან აძევებდენ და ის კი მამასახლისობას თხოუ-ლობდაო...

თევზს ბოლოდან ვერ დაიჭერო...  
ქმარი ლაშქრიდან დაბრუნდა, ცოლი ამბავს მოუთხრობდაო...  
თათარი რომ სასამართლოდან გამოვიდა, სალაპარაკო მერე მოუვი-და თავში...

დახლიდან რომ ნემსი ამოიღო, მახათი უნდა ჩადო შიგაო...  
ქათამმა თქვა: „იმ დღესა ვფიცავ, როცა ჩემი პატრონი ორმოდან ფეტვს ამოიღებს გასაფენადაო“.

ძალი სამჭედლოდან რას გაიტანსო...  
ხელფასის წლიური ფონდები... გაიზარდა 8 მილიარდ მანეთიდან 30 მილიარდ მანეთამდე... „კომუნისტი“, 1933, №112.

რსფსრ-ში თებერვლიდან შეუდგენ სახელმძღვანელოების ბეჭდვას... „მუშა“, 1933, №112.

ომი თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა... ლენინი, III, 426.  
ყრილობას ესწრება სამი ათასი დამკვრელი და ბევრი სტუმრი მოს-კოვ-დონბასის საწარმოებიდან... „მუშა“, 1933, №112.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო ძლიერდება მოთხოვნილება საბჭო-თა სესხებზე უცხოეთიდან... „კომუნისტი“, 1933, №112.

დეე აიბარგონ ინგლისელები თურქეთიდან... ინდოეთიდან, ეგვიპტი-დან... ლენინი, III, 433.

ერთსა და იმავე სახელს -გან შეიძლება დაერთოს ნათესაობითშიაც და მოქმედებითშიც: ნიჩაბი კეთდება ხისაგან — კაცი ჩამოვარდა ხიდან...

განმარტება რედაქციისაგან — კაცი გამოგზავნეს რედაქციიდან.  
წინადადება მოგვივიდა ცეკავშირისაგან — საქონელი მოგვივიდა ცე-კავშირიდან...

არაფერს სასიკეთოს არ მოველით ინდოეთისაგან — ახალ ამბებს მოველით ინდოეთიდან...

ასეთ შემთხვევებში ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით არის აღებული: ხისაგან კეთდება: ხე — აქ მასალაა. ხიდან ჩამოვარდა — ხე აქ მცენარეა...

„რედაქციიდან გამოგზავნეს“: „რედაქცია“ აქ გარკვეულ პუნქტს წარმოადგენს... „განმარტება რედაქციისაგან“: „რედაქცია“ აქ აღნიშნავს იმ ორგანიზაციას, რომელიც ამა თუ იმ პერიოდულ (თუ არაპერიოდულ) გამოცემას ხელმძღვანელობს.

ეგვე ითქმის ცეკავშირის შესახებ: „ცეკავშირიდან საქონელი მოგვივიდა“: ცეკავშირი აქ გამგზავნი ინსტანციაა; „ცეკავშირისაგან წინადადება მოგვივიდა“: ცეკავშირი იურიდიული პიროვნებაა, რომელიც უფლება მოსილია მიმართოს სხვა ორგანიზაციას თუ პირს წინადადებით, დადოს ხელშეკრულება და სხვა...

არსებითად ამასვე გვეუბნება უკანასკნელი მაგალითი: „ახალ ამბებს მოველით ინდოეთიდან“ და „არაფერს სასიკეთოს არ მოველით ინდოეთისაგან“: პირველს შემთხვევაში „ინდოეთი“ ქვეყანაა, (მიწა-წყალი), გეოგრაფიული ოდენობა, მეორეში კი — არა მარტო ქვეყანა, როგორც გეოგრაფიული მონაცემი, არამედ ქვეყანა მისი ხალხით და მთავრობით, პოლიტიკური ოდენობა...

„ინდოეთისაგან არაფერს სასიკეთოს არ მოველით“ — აქ ქვეყანა გავაპიროვნეთ, თუ შეიძლება ასე ითქვას; საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: „ციტატები მომყავს მარქსიდან“... ცხადია, აქ მხედველობაში გვაქვს მარქსის მიერ დაწერილი წიგნი (შდრ. „ციტატები მომყავს“ „კაპიტალიდან“)...

4. ჩვენ აქ ვკმაყოფილებით ზოგადი წესის დადგენით — როდის უნდა იქნას ნახმარი **-გან** ნათესაობითთან და როდის — მოქმედებითთან. ზოგიერთი საცილობელი შემთხვევა შევა ორთოგრაფიულს ლექსიკონში; ამ თავითვე კი შეიძლება თავი დავადწიოთ ისეთ შეცთომებს, როგორც გვაქვს გავრცელებულს გამოთქმებში: „ეს წიგნი შედგება სამი ნაწილიდან“ ანდა: „ანექსია არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ფორმა, რომელიც... წარმოიშვა კაპიტალიზმიდან“ (ლენინი, ტ. III, გვ. 424)...

შეცთომა ჩვეულებრივად იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედებითს ხმარობენ ნათესაობითის ადგილას (შედგება სამი ნაწილიდან)... იშვიათად მაგრამ მაინც შევხვდებით საწინააღმდეგო მოვლენასაც: მაგალ.: „იქნება ეს სიტყვა ჯეროვანად არ არის შედგენილი ქართულად, ხოლო ეს კი უეჭველია, რომ იგი თარგმნილია რუსულად“ (ილ. ჭავჭავაძე, IX, 102). თარგმნილი საიდან? რუსულიდან, ფრანგულიდან, გერმანულიდან... მოითხოვს, მოქმედებითს ნაცვლად აქ ხმარებული ნათესაობითისა.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, სასწ.-პედაგოგიური სექტორი. 1934

## ობიექტური საზომისათვის სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დადგენისას

„ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა ცნობილი ქართველი პროზაიკოსის აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას წერილი „ქართული სალიტერატურო ენის მეურნეობისათვის“ (№25, 28, 1956 წ.).

წერილის ავტორი ზოგადად მიმოიხილავს არა ერთი სალიტერატურო ენის წარსულს და უფრო დაწვრილებით ეხება სალიტერატურო ქართული ენის განვითარების, ქართული ენის ნორმების დამუშავებისა და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის რიგ საკითხებს.

ენის საკითხებს დიდი საზოგადოებრივი და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. მით უფრო ეს ითქმის სალიტერატურო ენის შესახებ. ეს საკითხები გულდასმით განვილვას მოითხოვს. შევხებით მთავარს და შეძლებისდაგვარად მოკლედ.

\* \* \*

ვინ ქმნის ენას? ქმნიან თუ არა ენათმეცნიერები ენას? კ. გამსახურდია წერს: „არც ერთ ხალხში, არც ერთ საუკუნეში ენათმეცნიერებს არ შეუქმნიათ ენა“. ეს სრული ჭეშმარიტებაა.

ენა შეიძლება იყოს ზეპირი (ანუ სასაუბრო) და სამწერლო. სასაუბრო ენები უხსოვარი დროიდან არსებობენ; ეს ენები არც ენათმეცნიერებს შეუქმნიათ და არც მწერლებს. ეს ენები ხალხების შექმნილია.

იქნებ სამწერლო ენა შექმნა რომელიმე ენათმეცნიერმა? არა, არც ასეთი რამ მომხდარა. ენათმეცნიერები იღებდნენ მონაწილეობას საჭირო ანბანის შექმნაში, გრამატიკისა და ლექსიკონის დამუშავებაში, მაგრამ სამწერლო ენას არ ქმნიდნენ. სამწერლო ენა სათანადო ხალხის ცოცხალი მეტყველების საფუძველზე იქმნებოდა (უპირატესად ერთი დიალექტის საფუძველზე), მისი პირველი ლიტერატურა ხალხური პოეზია იყო, შემდეგ კი სამწერლო ენას მწერლები ამუშავებდნენ, ავითარებდნენ, ქმნიდნენ, — ქმნიდნენ, რა თქმა უნდა, ხალხის ენის საფუძველზე, ხალხური ენის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით. უაღრესად დამუშავებული სალიტერატურო ენაც კი ვერ იცოცხლებს, ვერ განვითარდება, კვდება, თუ მას ეს საფუძველი მოეშალა (მოვიგონოთ ლათინური).

ცნობილია ისეთი შემთხვევა, რომ ენათმეცნიერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ე. წ. საერთაშორისო ენის შექმნაში (მაგალ., დანიელმა

ენათმეცნიერმა იესპერსენმა), მაგრამ ეს ცდა ხელოვნური ენის შექმნას შეეხებოდა (ასეთი ცდა ყოველთვის უშედეგოდ დამთავრებულა; მოვიგონოთ „ესპერანტოს“ ბედი), მაშასადამე, **ბუნებრივი ენა** — სასაუბრო იქნება ის თუ სამწერლო — ენათმეცნიერებს არასოდეს შეუქმნიათ, ასეთი ენის შექმნა ენათმეცნიერებს არც უცდიათ.

მეჩვიდმეტე საუკუნეში პირველად ფრანგმა ავტორებმა სცადეს ლოგიკის პრინციპების მიხედვით გაემართათ გრამატიკა: თუ ენა აზროვნებას გამოხატავს, გრამატიკა ლოგიკას უნდა დაემყაროს. ჩამოყალიბდა რაციონალური გრამატიკა. იგი უნივერსალურიც უნდა ყოფილიყო: ერთია ლოგიკა, ერთი უნდა იყოს გრამატიკაც, რაკი ის ლოგიკას ემყარებაო. ამ თეორიის საფუძველზე ზოგმა ავტორმა მოიწადინა შეექმნა „**ფილოსოფიური ენა**“, ე. ი. ისეთი ენა, რომელიც ლოგიკურად თანამიმდევრული იქნებოდა, რაციონალურ პრინციპებს ბოლომდე გაატარებდა. ცხადია, აქ საქმე ეხებოდა სამწერლო ენას, სახელდობრ, ფრანგულს.

ამ ცდიდანაც არაფერი გამოსულა. ყოველ ენას, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი ლოგიკა აქვს, ნიშანდობლივი კანონზომიერებანი ახასიათებს. განყენებულ ლოგიკურ სქემაში არც ერთი ენა არ მოთავსებულა და ვერც მოთავსდება. ისიც უნდა ითქვას, რომ „ფილოსოფიური ენის“ შეთხზვას ცდილობდნენ ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე. ყველა ასეთი ცდა მეცნიერების ფარგლებს გარეთ რჩება.

ამასთან დაკავშირებით ანტონ კათალიკოსის ექსპერიმენტებიც შეიძლება მოვიგონოთ. ქართულს თანდებულები ახასიათებს, რუსულსა და სხვა ევროპულ ენებს — წინდებულები (ძმის-**თვის** — **для брата**)... ანტონ კათალიკოსი შეეცადა წინდებულიან ენათა მიბაძვით გაემართა ქართული, თანდებული წინდებულად ექცია. თავის გრამატიკაში ის ხმარობს ასეთ გამოთქმებს: „თჳს ჳელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა“ (= გრამმატიკოსობითი ხელოვნებისათვის, ე. ი. გრამატიკული ხელოვნების შესახებ),... „თჳს ბრუჳნჳთათა (!) სახელთა კერძობითათა“ (= კერძობითი სახელების ბრუნვათა შესახებ),... „თჳს პირუჳლისა უღლჳლებისა“ (= პირველი უღვლილების შესახებ)...

კაცი იტყვის: რით არის ცუდი „თჳს ჳელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა“? აკი ასე ხმარობს რუსული (об искусстве грамматическом, ანდა о грамматическом искусстве), აგრეთვე — გერმანული, ფრანგული, ლათინური. ყველგან ეს ნაწილაკი (**об, о** და მისი ბადალი გერმ. **über**, ფრანგ. **sur**, ლათ. **de...**) წინ უძღვის სახელს (ან სახელთა ჳგუფს) და არა მოსდევს მას... რაღა ქართული უნდა „გაკიდევანდეს“ და სიტყვის ბოლოში მოაქციოს **-თვის, -კენ, -ზე, -ში** (ძმისთვის, ძმისკენ, ძმაზე, ძმაში) და მსგავსი ნაწილაკები? რა იქნება, რომ ვუცვალოთ ადგილი ამ ნაწილაკებს, თანდებული („ბოლოსდებული“) ვაქციოთ „წინდებულად“, „გავასწოროთ“ ქართუ-

ლი ენის უცნაური წესი (თუნდაც გარკვეული სტილის საჭიროებისათვის)?

ერთი შეხედვით, ანტონ კათალიკოსის ექსპერიმენტი კარგად მოფიქრებული ჩანს, მაგრამ ეს ექსპერიმენტი ქართული ენის ბუნებას არ ითვალისწინებს, ქართული ენის გრამატიკული წყობის კანონზომიერებას ეწინააღმდეგება და ამიტომ იმ თავითვე განწირული ცდა იყო: ქართული ენა თანდებულისანი ენა იყო ანტონ კათალიკოსამდე და ასეთივე დარჩა ანტონ კათალიკოსის გრამატიკის შემდეგ.

ენის, კერძოდ სალიტერატურო ცოცხალი ენის **შექმნა** ენათმეცნიერების ამოცანაა **არც ყოფილა** და **ვერც იქნება**. რა ეკისრება, მაშ, ენათმეცნიერებას? ენათმეცნიერების ამოცანაა გამოავლინოს ის კანონზომიერებანი, რაც დამახასიათებელია შესასწავლი ენის ბგერითი სისტემისათვის, მორფოლოგიური და სინტაქსური წყობისათვის, სიტყვათმედგენილობისა და სიტყვაწარმოებისათვის, სტილისათვის.

როცა სალიტერატურო ენაში მოცილედ მოვლენები ჩნდება და საკითხი მოსაწესრიგებელია, ენათმეცნიერს ევალემა თქვას: რას წარმოადგენს ეს მოცილედ მოვლენები, როგორ გაჩნდა თითოეული მათგანი, რა კანონზომიერებას ექვემდებარება მათი განვითარება... მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სწორად გადაიჭრას საკითხი: მოცილედ მოვლენათაგან დარჩეს ერთ-ერთი (ანდა ორივე, და თითოეულს მივუჩინოთ თავ-თავისი ადგილი).

ერთი სიტყვით, სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენას წინ უნდა უსწრებდეს სათანადო მოვლენების ენათმეცნიერული „დიაგნოზი“. ეს „დიაგნოზი“ საკმარისი არ არის, მაგრამ ის სრულიად აუცილებელია: უდიაგნოზოდ მკურნალობა ალაღბედზე მოქმედება იქნებოდა.

ესაჭიროება თუ არა მწერალს იმ ენის კანონზომიერებათა გავალისწინება, რომელზედაც ის შემოქმედებას ეწევა? უთუოდ ესაჭიროება. რა თქმა უნდა, ქართული ზმნის სისტემის ანდა ქართული სიტყვაწარმოების კანონების ცოდნა ვერც ახალ „ვეფხისტყაოსანს“ დააწერინებს პოეტსა და ვერც თანამედროვე „ოთარანთ ქვრივს“ შესძენს ქართულ პროზას; და, მაინც: ოსტატმა იმ იარაღის მექანიზმი უნდა იცოდეს, რითაც ის მუშაობს (ძნელი წარმოსადგენია, რუსმა მწერალმა რუსული ენის გრამატიკა არ იცოდეს, ანდა ფრანგმა — ფრანგულისა).

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მწერალი უნდა ფლობდეს ხალხური შემოქმედების საუნჯეს, დიალექტების ლექსიკას, მშობლიური მწერლობის აწმყოსა და წარსულს, სხვა ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს და კიდევ ბევრს სხვა რასმე. ასე წარმოგვიდგენია ჩვენ მწერლის ალჭურვილობა. ვფიქრობ, აქ სადაო არაფერი უნდა გვქონდეს.

ქართველ ენათმეცნიერებს პრეტენზია არა ჰქონიათ სალიტერატურო ენას ჩვენა ვქმნითო. სალიტერატურო ქართული ენის შექმნა ქართველი მწერლების დიდი და საპატიო მოვალეობა იყო (და არის); ქართველი

ენათმეცნიერი კი ქართული ენის მსახურია ხეირიანი თუ უხეირო, მაგრამ ერთგული მსახური. სხვანაირად, რამდენადაც ვიცით, საკითხი არ მდგარა და არცა დგას.

ამიტომ გაკვირვებას იწვევს პატივცემული მწერლის სიტყვები: „ზოგ შემთხვევაში ზოგმა ჩვენმა ენათმეცნიერმა მიიტაცა ის პრეროგატივები, რომელიც აღმატებიან კიდევაც ენათმეცნიერების კომპეტენციას და უფლებასო“ („ლიტ. გაზ“, №28). რაში გამოიხატა ეს? აი თურმე რაში: „გარეგნულად ყოველივე თითქოს კარგად წარიმართა. არსებობს ნორმების დამდგენი კომისიაც, რომელშიაც ჩვენმა ენათმეცნიერებმა ისეთი პირები შეიყვანეს, ვინც პოლემიკით არასოდეს აწუხებდა მათ; მიაჩუმათეს მტკივნეული პრობლემები, რომელთა გამოც ვდავობდით. ნულარ გავიხსენებთ „ჰაეს“ და „სანის“ საკითხს, „დენ“ თუ „დნენ“, „ყვავის“ თუ „ჰყვავის“. ეს პოლემიკა... გაჭიანურდა და უშედეგოდ დარჩა“ (იქვე). „ჩვენს რედაქციებში უდევთ პროექტი ენის ნორმებისა, რომელიც ძალაში შესულია დაუკანონებლად. ამ პროექტში არავითარი ანგარიში გაუწიეს ჩვენს კანონიერ პრეტენზიებს“ (იქვე).

ამაზე შემდეგი უნდა ითქვას:

პროექტი ენის ნორმებისა, რედაქციებში რომ უდევთ, დამტკიცებულია განათლების კომისარიატის მიერ (ე. ი. დაუკანონებლად არაა შესული ძალაში)<sup>1</sup>.

ამჟამად, სალიტერატურო ენის ნორმების საკითხს ხელმძღვანელობს სახელმწიფო კომისია, სადაც ენათმეცნიერებთან ერთად მწერლები, მთარგმნელები, რედაქციათა წარმომადგენლები მონაწილეობენ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი ამუშავებს საკითხს და პროექტს განსახილველად უდგენს ამ კომისიას. დადგენილება სახელმწიფო კომისიას გამოაქვს (და არა ენათმეცნიერებს).

პატივცემულ მწერალს კ. გამსახურდიას არ შეიძლება არ მოხსენდებოდეს, რომ ენათმეცნიერები არ წყვეტენ იმ საკითხს, თუ მწერლებიდან ვინ უნდა შედიოდეს სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიაში.

არც ის არის სწორი, ვითომც ენათმეცნიერებს „მიეჩუმათებინოს“ მტკივნეული საკითხები: „ჰაე“, „სანი“, „დენ“ თუ „დნენ“, „ყვავის“ თუ „ჰყვავის“ (ეს უკანასკნელი ხომ ჰაე-სანის საკითხში შედის, მისი ცალკე გამოყოფა მეტია): „ჰაე“ და „სანი“-ის საკითხი (ჰყვავის თუ ყვავის... ჩანს თუ სჩანს...) ინსტიტუტმა დაამუშავა და განსახილველად წარუდგინა სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიას. სახელმწიფო კომი-

<sup>1</sup> იხ. სალიტერატურო ქართული ენის ნორმები. I, ტფილისი, 1936 წ. თავფურცელზე წარწერა: „დამტკიცებულია საქ. ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ“.

სია, ცხადია, განიხილავს პროექტს და მიიღებს დადგენილებას. ჰაე-სანის საკითხი, როგორც ვხედავთ, „მიჩუმათებული“ არ არის.

„დენ“ თუ „დნენ“ („აშენებდენ“ თუ „აშენებდნენ“)... ეს საკითხი ათწელზე მეტია, რაც გადაწყდა **დნენ**-ის სასარგებლოდ. საკითხების ხელახლა განხილვისას წინანდელი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა (იმის გათვალისწინებით, რომ სალიტერატურო ქართულის საყრდენ დიალექტებში, ქართლურსა და კახურში — **დნენ** არის გაბატონებული).

ასეთია ფაქტები. ეს ფაქტები არ იძლევიან საფუძველს იმ ბრალდებათათვის, რომლებიც სადისკუსიო წერილში აქვს წამოყენებული პატივცემულ მწერალს.

ახლა იმის შესახებ, რომ პროექტში ენათმეცნიერებმა ანგარიში არ გაუწიეს ავტორის „კანონიერ პრეტენზიებს“. სადისკუსიო წერილში დასახელებულია რამდენიმე საკითხი: „თბილისი“ თუ „ტფილისი“... „ლოგიკური“ თუ „ლოგიური“... „ყვავის“ თუ „ჰყვავის“... „რეგოლუცია“ თუ „რეგოლოცია“, „კომისია“ თუ „კომისისია“...

რა იწვევს დავას? ისტორიულად **ტფილისი** იწერებოდაო, ნათქვამია სადისკუსიო წერილში; „რაკი ტფილისს რუსულად **Тбилиси** ეწოდება, ითათბირეს და დაადგინეს „თბილისი“ შემოელოთო“ („ლიტ. გაზეთი“, №28). პირველი დებულება სწორია; იგი სადაო არასოდეს ყოფილა ენათმეცნიერთათვის: ძველ ქართულში გვაქვს **განტფა** (= გათბა), **ტფილი** (= თბილი), შესაბამისად — ტფილისი... ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ „თბილისი“ იმიტომ არ შემოუღიათ, რომ რუსულში **Тбилиси** იყო. პირიქით: რუსულად **Тбилиси** იმიტომ დაიწერა, რომ ქართული **თბილისი** იყო ამოსავალი (**ტფილისი** რომ ყოფილიყო ამოსავალი, რუსულად **Тпилиси** — ანდა **Тфилиси** დაიწერებოდა). **თბილის**-ის მართლწერის საკითხი ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში იდგა: ზოგი **თბილის**-ს უჭერდა მხარს, ზოგი — **თფილის**-ს: ეს იმისდა მიხედვით, „თბილ“-ს მიიჩნევდნენ სწორად თუ — „თფილ“-ს; ზოგიც ისტორიულ ფორმას იცავდა: **ტფილისი** უნდა დარჩესო... და არც თუ უსაფუძვლოდ: ქალაქის სახელი აჯობებდა დარჩენილიყო ისტორიული დაწერილობით. ეს არ მოხდა. რაკი „თბილი“ ითქმის, „თბილისი“ უნდა იყოსო. ენათმეცნიერთა თათბირი და დადგენილება აქ არაფერ შუაშია.

**ლოგიკური** თუ **ლოგიური**? ლოგიკური ისეთივე წარმოებაა, როგორცაა „ძმური“; ძმა — ძმური, ლოგიკა — ლოგიკური; მაწარმოებელია **-ური** სუფიქსი, საწარმოებელ ფუძეს ეკვეცება ბოლოკიდური **ა**. მაშასადამე, „ლოგიკური“ ისეთივე კანონიერი წარმოებაა, როგორც „ძმური“.

„ლოგიური“ როგორღა გაჩნდა? ის გაჩინა რუსული ზედსართავის **მცდარად** გაანალიზებამ: ლოგიჩესკი-სიტყვაში -ჩესკი სუფიქსად მიიჩნიეს, **ლოგი** — ფუძედ და მას **-ური** სუფიქსი დაუერთეს; მივიღეთ: ლოგიურ-ი.

ნამდვილად კი ეს **ჩ** რუსულში სახეცვლილი **კ** არის და საწარმოებელი ფუძის კუთვნილებას წარმოგვიდგენს (შდრ. человек — человеческий).

**ყვავის** თუ **ჰყვავის**? სადისკუსიო წერილში ვკითხულობთ: **ჰყვავის** უნდა იყოსო: „უხერხულია დასწერო „ჰყვავის ქვეყანას“ ნაცვლად „ყვავის ქვეყანაო“. „ცხადია, აყვავებული ქვეყანა სჯობს ყვავის ქვეყანასაო“... ე. ი. ზმნაში **ჰ** უნდა დაიწეროს (ჰყვავის), რომ არ გამოვიდეს **ყვავი**-სახელის ნათესაობითი ბრუნვა.

**ზმნის ფორმა** („ჰყვავის“), რომელსაც იცავს პატივცემული კ. გამსახურდია, ანტონ კათალიკოსის დაკანონებულია. საბუთი, რომლითაც ამ ფორმას იცავს ავტორი, ჯერ კიდევ პეტრე მირიანაშვილს აქვს წამოყენებული. „გახსოვდეთ — წერდა განსვენებული პ. მირიანაშვილი, — თუ სახელნაცვალნი ძირები **გჰ**, **ჰ** და **ჰს** არ იხმარეთ, სადაც საჭიროა ზმნათა უღვლილების დროს, მაშინ ფორმის გაუკუღმართებას მოჰყვება აზრის გაუკუღმართებაც. მაგ.: „ჰყვავის ბაღი, ყვავის ბუდე...“ (პ. მირიანაშვილი, გახსოვდე წერა-ლაპარაკის დროს... თბილისი, 1914, გვ. 10-11).

ქართული ენის ბუნება-კანონზომიერებით არც ეს ფორმა („ჰყვავის“) გამართლებული და არც საბუთია გამოსადეგი ამგვარი საკითხების გადასაწყვეტად.

ძველ ქართულში ჰაე-სანის ხმარება გარკვეულ წესებს ემორჩილებოდა (ეს დადგენილი აქვს ა. შანიძეს სპეციალურ გამოკვლევაში ამ პრეფიქსების შესახებ): ძველ-ქართულში შეუძლებელი იყო „ჰყუავის“, იყო ერთად ერთი ფორმა „ყუავის“, უ-ჰაე-ოდ (თუმცა ყვავ-ს მაშინაც ყუავ-ი ერქვა და ზმნისა და სახელის გარეგნული დამთხვევა მაშინაც ხდებოდა). ძველი-ქართულის ეს ფაქტი უთუოდ მოხსენდება პატივცემულ კ. გამსახურდიას.

სამი სტილის გასასხვავებლად ანტონ კათალიკოსმა შექმნა ხელოვნური ფორმები: თუ ზმნის ფუძე თანხმოვნით იწყებოდა, ყველა ზმნაში დაურთო **ჰ** (ანდა **ჰს**); ასე გაჩნდა: ჰბრწყინავ, ჰბრწყინავს... ვჰყუავი, ჰყუავის... ჰსდევ, ჰსდგა... ვჰსჩან, ჰსჩანს... ვჰსთქუა, ჰსთქუას... და მისთ. (შემდეგში **ჰ** ამოიღეს და ამ ფორმათა მექანიკურმა გამარტივებამ მოგვცა უმართებულო ფორმები: სჩანს, სდგას, ცხოვრობს... აქვე აღვნიშნავთ: ნორმათა პროექტი, რომელიც სახელმწიფო კომისიაშია წარდგენილი, **ჰ**-პრეფიქსს მოითხოვს ისეთ ზმნებში, როგორცაა: მას იგი — ჰყავს, ჰქონდა, ჰკიდია, ჰპარავს..., მაგრამ უარყოფს **ჰ** და **ს** პრეფიქსს **ერთბირიან** ზმნებში: ყვავის, ქრის, ქუხს, ცხოვრობს, ჩანს, დგას...). „ჰყვავის“ არც ქართული ენის ისტორიითაა გამართლებული და არც თანამედროვე ქართული დიალექტების ფაქტებით: ის ხელოვნურად შექმნილია.

ახლა საბუთზე. ყოველ ენაში არის შემთხვევები, რომ სხვადასხვა წარმოშობისა და მნიშვნელობის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. ეს ომოფორმია. ომოფორმები ყველა ენაში გვაქვს: мой стакан „ჩემი ჭიქაც“ არის



და „რეცხე ჭიქა“-ც. არავის მოსვლია აზრად ამის გამო მოწ-ზმნისათვის თავსართი დაერთო ან ბოლოსართი... ქართ. ზმნა: „გიგზავნით“ შეიძლება ნიშნავდეს: მე თქვენ გიგზავნით, ჩვენ თქვენ გიგზავნით, ის თქვენ გიგზავნით (უკანასკნელ შემთხვევაში წინათ იწერებოდა: ის თქვენ გიგზავნისთ... ამ ს-ს ენა შეეღია სათანადო შემთხვევებში. იყო: გჰყავსთ, გაქვსთ, ჰყავსთ, აქვსთ... ახლა იწერება: გყავთ, გაქვთ, ჰყავთ...). როგორ შევცვალოთ ეს „გიგზავნით“, რომ სამი განსხვავებული მნიშვნელობა ზმნაში აისახოს? ამის საკითხი არავის დაუსვამს.

ახლა „ყვავის“ ზმნა ავიღოთ. ვთქვათ, „ჰყვავის“ დავწერეთ და ხელოვნურად განვასხვავებთ ომორფორმები. აყვავდა, ააყვავა, აყვავებული... ხომ მაინც დარჩა? ფუძეში **ყვავ**-მაინც ვერ მოვაცილეთ. ხომ ვერ ვიტყვით და ვერ დავწერთ აჰყვავდა, აჰაყვავა, აჰყვავებულაო?! (ანტონ კათალიკოსს არ ეუცხოებოდა ჰაე მიმღობაში: ჰრთული-ო წერდა, მაგრამ აჰაყვავა მასაც არ შეუთხზავს). დასკვნა: საკითხის დასმა, **ჰყვავის** ფორმის დასაბუთება უმართებულოა.

ჰაე და სანის ხმარება რთულ წესებს ექვემდებარებოდა ძველ ქართულში. საუკუნეთა მანძილზე ჰაე და სანის საკითხს სირთულე თუ მოემატა, თორემ არ მოჰკლებია. ეს საკითხი ყველაზე რთული საკითხია მოსაწესრიგებელ საკითხთა შორის. ზედმეტი არ იქნებოდა ცალკე გაგვეხილა გაზეთის ფურცლებზე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ეს რთული და აქტუალური საკითხი. ოღონდ საკითხის შესახებ მსჯელობისას ენის კანონზომიერება არ უნდა უგულვებელყოთ.

**რეგოლუცია** თუ **რეგოლიუცია**? კომისია თუ კომმისია? სადისკუსიო წერილი ამ საკითხებსაც მწვავედ სვამს. სალიტერატურო ქართულ ენაში უკვე გადაწყვეტილია საკითხი „რეგოლუცია“ და მსგავსი უცხო სიტყვების მართლწერისა. რაც შეეხება ორმაგ თანხმოვნებს უცხო სიტყვებში (კომისია თუ კომმისია), ეს საკითხი არც მდგარა გასარკვევ საკითხთა შორის.

იქნებ საჭიროა გადაისინჯოს პირველი საკითხი და დაისვას მეორე? არა გვეონია და აი რატომ.

ქართულ სალიტერატურო ენაში მრავლად შემოდის რეგოლუცია, ევოლუცია, კომისია, პრესა, ტელეფონი, ტელეგრაფი და სხვა ინტერნაციონალური ხმარების სიტყვა. ეს სავსებით ბუნებრივი პროცესია<sup>2</sup>. საქმე

<sup>2</sup> კ. გამსახურდია ამ საკითხთან დაკავშირებით ეკამათება იმათ, ვინც ყველა უცხო სიტყვას თარგმნის, ამას ცრუპატრიოტიზმის გამოვლინებად თვლის (და სამართლიანადაც). როგორც მაგალითი მოჰყავს: გერმანელებმა „ტელეფონი“ თარგმნესო. ეს ყველაფერი სწორია და უდაო. მაგრამ განა ჩვენში ენათმეცნიერები როდისმე მოითხოვდნენ: ტელეფონი (და მსგავსი სიტყვები) ვთარგმნოთო? მაშ რად დასჭირდა ავტორს ეს ექსკურსი „ცრუპატრიოტიზმის“ შესახებ? გერმანელებმა რომ „ტელეფონი“ თარგმნონ, ამისთვის განა პასუხი ქართველ ენათმეცნიერებს მოეთხოვებათ?

იმას ეხება, თუ როგორ დაიწეროს ქართულად ეს სიტყვები.

ასო დ ჰქონდა ქართულს, ის უკანონოდ იყო ქართული ანბანიდან განდევნილი, ისევე შემოვიღოთ და რევოლუცია-ტიპის სიტყვებში ვიხმაროთ, მოითხოვს პატივცემული მწერალი. ამაზე შემდეგი უნდა ითქვას. თუ დ საჭიროა კვლავ შემოვიღოთ ქართულ ანბანში, ის უნდა გამოვიყენოთ ქართული სიტყვების დასაწერად. მაგრამ ქართული სიტყვების დასაწერად დ საჭირო არ არის: ილია ჭავჭავაძემ სწორედ იმიტომ ამოიღო ეს ასო ანბანიდან, რომ ქართული სიტყვების გადმოსაცემად იგი საჭირო არ იყო (სალიტერატურო ენაში). **უცხო სიტყვების გადმოსაცემად კი სალიტერატურო ენას ანბანში ახალი ასოები არ შემოაქვს.** თავისი ანბანის საშუალებით გადმოგვცემს სხვა ენის ბგერებს. გერმანულს არა აქვს **ჟ**, ფრანგულს — **ჩ**, რუსულს — **ჰ, წ, ჭ, ყ**... ჟუკოვსკი გერმანულად შუკოვსკი გამოდის (Schukowsky), ფრანგულად ჩაპლინი ტშაპლინად დაიწერება... გერმანული გვარი ჰუმბოლდტი, ფრანგ. ჰუგო რუსულად იწერება (და ითქმის) გუმბოლდტად და გიუგო-დ... წიგწივაძე, წულუკიძე, ჭავჭავაძე, ჭყონია რუსულად ცივცივაძზე, ცულუქიძზე, ჩაჩავაძზე, ჩქონია გამოდის...

„რევოლუცია“ გაცილებით უფრო ზუსტად გადმოგვცემს რუსულ революция-ს, ვინემ ზემოხსენებული გვარებია გადმოცემული ლათინური (ფრანგული, გერმანული), რუსული ანბანის საშუალებით. არავის უფიქრია ამის გამო ლათინურ (გერმანულ, ფრანგულ), რუსულ ანბანში ცვლილება შეეტანა.

თუ დ ასოს შემოღება გვინდა დავასაბუთოთ, **ეს საბუთი სალიტერატურო ქართული ენის საჭიროებაში უნდა დაიძებნოს.** ნასესხები სიტყვების გადმოცემა კი საბუთად არ გამოგვადგება.

ქართულში გვაქვს ფ (წყვილბაგისმიერი ბგერა), მაგრამ არა გვაქვს ლათ. f, რუს. ф, ბერძ. φ<sup>3</sup> (კბილბაგისმიერი ბგერა). ანტონ: კათალიკოსმა სცადა დამატებითი ნიშანი შემოეღო (ფ). ანტონი და მისი სკოლა წერდა: **ფილოსოფია, ფიზიკა, ფილიპე, ქრისტეფორე**... და მაინც ქართულ ანბანში **ფ** ვერ დამკვიდრდა: ქართული სიტყვების დასაწერად არ იყო საჭირო და იმიტომ.

**კომისია** თუ **კომისისია**? ქართული ორ თანხმოვანს იგუებსო, ვკითხულობთ სადისკუსიო წერილში; მაგალითად მოყვანილია ძველი ქართულის „დააწვინა (აქლემნი)“. ასეთი ორი თანხმოვანი ახალ ქართულშიც ბლომად გვხვდება: **ომმა, აქლემმა, გემმა**... კოსმოსს, ქაოსს, ისტორიკოსს. აქ ყველგან ერთი თანხმოვანი ფორმანტს ეკუთვნის, ფუძეში გვრჩება ერთი... ერთად ორი თანხმოვანი ქართულ ფუძეში არ დასტურდება. ეგვევ ითქმის ხმოვნების თავმოყრაზე სიტყვებში: შინაარსი, სააქაო, დედააზრი...

<sup>3</sup> სათანადო ნიშანი სომხურ ანბანსაც მოეპოვება.

აქ ან რთული ფუძე გვაქვს (შინა-არსი, დედა-აზრი), ანდა ნაწარმოები (სა-აქა-ო)... **საათი** ორ ა-ს შეიცავს და არაბულიდან შეთვისებულ სიტყვას წარმოადგენს.

რატომ არ გვაქვს ორი თანხმოვანი დაცული ნასესხებ სიტყვებში? იმიტომ, რომ ქართულ ენას საკუთარ ქართულ ძირეულ მასალაში ორი თანხმოვანი არ მოუღის. ესაა ქართული **ფონეტიკური სისტემის კანონი**. ამ კანონს უქვემდებარებს ენა ნასესხებ სიტყვებს; ასე იქცევა ყოველი ენა: სხვა ენის მასალას თავის სისტემაში მოაქცევს და მით ისისხლხორცებს, ითვისებს, უცხოს შეიგუებს.

ორი თანხმოვიდან ერთის დატოვება კანონზომიერი პროცესია ისევე, როგორც კანონზომიერია **-ი** დაბოლოების დართვა ნასესხებ სახელებში, რომელთაც ბოლოკიდურად თანხმოვანი მოუღის; ქართულად ვამბობთ: რედაქტორ-**ი**, კორექტორ-**ი**, ავტომატ-**ი**, ტრაქტორ-**ი**, ტრანსპორტ-**ი**, კომიტეტ-**ი**...

რატომ ერთვის აქ **-ი**? არც იმ ენებში, სადაც ეს სიტყვები შეიქმნა, არც იმ ენაში, საიდანაც ქართულმა ისინი შეითვისა, ბოლოში **-ი** ამ სიტყვებს არც ჰქონიათ და არცა აქვთ. მაშ, რა უფლებით ვურთავთ ქართულში **ი**-ს? რატომ არ ვწერთ: რედაქტორ ამბობს... ტრაქტორ გუგუზნებს... კომიტეტ ადგენს?...

რედაქტორ-**ი** იმიტომ ითქმის, რომ **ი** გვაქვს ქართულ სიტყვებში: მწერალ-**ი**, მგზავრ-**ი**, კარ-**ი**, სახლ-**ი**, ქარ-**ი**: მაშასადამე, უცხო სიტყვა ქართულად არის გაფორმებული, იგი ქართული **მორფოლოგიის** კანონზომიერებას მისდევს, როცა **ი** ხმოვანია დართული. ასევე: უცხო სიტყვა ქართული **ფონეტიკის** კანონზომიერებას ექვემდებარება, როცა ორი თანხმოვიდან ერთს ტოვებს და „კომისისა“, „გრამმატიკა“, „პრესსა“-ს ნაცვლად „კომისია“, „გრამატიკა“, „პრესა“-ს წერს და გამოთქვამს.

„თანამედროვე მსოფლიოს ყველა კულტურული ენა უპირატესად ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული ორმაგი თანხმოვანი წერს მასსას, რასსას, პრესსას, გრამმატიკას, კომისისასაო“ — წერს პატივცემული კ. გამსახურდია და კითხვას სვამს: „ჩვენ რად გვესაჭიროება განკერძოება ამ შემთხვევაში“-ო?

როგორც დავინახეთ, განკერძოება აქ არაფერს შუაშია<sup>4</sup>: ეს ენის კანონზომიერების გამოვლინებაა.

ისიც უნდა ითქვას, რომ „განკერძოებაში“ ბრალის დადება მეცნიერული საბუთიანობის მაგივრობას ვერ გასწევს (საერთოდ, არაა სარწმუნო იმ დებულების მეცნიერული სისწორე, რომელსაც ასეთი „საბუთების“ წაშვებება ესაჭიროება).

<sup>4</sup> რუსულშიც დგას საკითხი, თუ რა დაიწეროს: группа თუ група, оппонент თუ опонент, труппа თუ труппа (იხ. Вопросник по нормативной грамматике русского языка — Изд. Акад. Наук СССР, 1940, გვ. 9).

პატივცემული კ. გამსახურდია წერს: ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული ორი თანხმოდნით წერს სიტყვებს: „რასსა, კომისისია“...ეს, ალბათ, კალმის ცთომილებაა: რუსულად კომისია-ში ორი მ არ იწერება (комиссия). რაც შეეხება რასა-ს, მასში ორი ს იწერება გერმანულში, მაგრამ არც რუსულში, არც ფრანგულში, არც ინგლისურში „რასა“ ორ ს-ს არ შეიცავს (раса, ფრ. race, ინგლ. race).

პატივცემულმა ავტორმა ერთ სიტყვაშიც ჩაგვიწერა ორი თანხმოდნო. ესაა: კომედია — კომიური. ამ სიტყვაში ორი მ არც რუსულში იცის, არც გერმანულში, არც ფრანგულში, არც ინგლისურში და არც ბერძნულში, საიდანაც ეს სიტყვა მოდის (ორი მ ამ სიტყვას იტალიურში აქვს).

\* \* \*

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თაობაზე პატივცემული კ. გამსახურდია რიგ შენიშვნებს გვაწვდის: „არც ქართულ მწერლობას, არც ჩვენს ლინგვისტებს ჯერ-ჯერობით აღნუსხული არა აქვთ ქართული სიტყვის ულვეი საუნჯენი, რომელთაც შეიცავენ ქართლ-კახური, ფშაური, ხევსურული, გუდამაყრული და მოხეური დიალექტებიო“; — შენიშნავს მწერალი. სამართლიანი შენიშვნა გახლავთ. ჩვენის მხრით დავსძენთ: შეუსწავლელია რაჭული, იმერული, გურული და აჭარული. ვერ ვიტყვით, მუშაობა არ წარმოებდეს, მაგრამ არც ერთი ქართული დიალექტის ლექსიკა **სათანადოდ** შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის; ამ საქმის მოვლა ენათმეცნიერთა მოვალეობაა, პირველ ყოვლისა. მერე: არც ერთი ქართველი მწერლის — თვით რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას — ლექსიკონი არ მოგვეპოვება. ასეთ პირობებში, ცხადია, რა სიძნელებიც ჩნდება განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელთა წინაშე. პატივცემული კ. გამსახურდიას შენიშვნები ამ სიძნელებს ანგარიშს უწევს და მე, როგორც ლექსიკონის რედაქტორს, მადლობის მეტი არა მეთქმის რა ამისათვის.

ლექსიკონის თაობაზე გაკეთებული შენიშვნებიდან ზოგი ეხება მთავარი რედაქციის წინასიტყვაობას ანდა ჩემს შესავალ წერილს, ზოგიც — საკუთრივ ლექსიკონის ტექსტს.

ქართულის ისტორიული ურთიერთობა ხეთურთან და სუმერულთან ლინგვისტურ ჰიპოთეზებს არ გასცილება და ასე კატეგორიულად ამ ენათათესაობაზე ლაპარაკი წინასიტყვაობაში უადგილოაო, შეგვნიშნავს პატივცემული ავტორი. სუმერულთან ურთიერთობაზე მთავარი რედაქციის წინასიტყვაობაში არაფერია თქმული. ხეთურთან (ე. წ. პროტოხეთურთან) ურთიერთობა, მართალია, ჰიპოთეზას წარმოადგენს, მაგრამ ისეთ ჰიპოთეზას, რომელსაც უყოყმანოდ მხარს უჭერენ რუსი და უცხოელი ორიენტალისტები. ჩვენ ნავარაუდევად გვქონდა შესავალ წერილში დაწვრილებით მიმოგვხილა სპეციალისტთა აზრი ამ საკითხზე, მაშინ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ამ საკითხზე თქმუ-

ლი. ეს არ მოხერხდა, და მთავარი რედაქციის წინასიტყვაობაში მოექცა მეტად სქემატური მსჯელობა ამ საკითხზე. ქართულის (და საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა) ხეთური (პროტოხეთური) წრის ენებთან ნათესაური ურთიერთობის საკითხს მეცნიერებაში ამჟამად მეტად აქტუალურად თვლიან; ეს საგანგებოდ აღინიშნა ამ საკითხზე დისკუსიის დროს რუსულ ჟურნალში „ვოპროსი იაზიკოზნანია“ (1956 წ. №1).

შესავალი წერილის ავტორმა მეტად სქემატურად განიხილა ის „გრცელი და უაღრესად საინტერესო გზა, რომელიც გაიარა ქართულმა სალიტერატურო ენამ იაკობ ცურტაველიდან მოაქამომდეო“. შესავალი წერილის მიზანი არ ყოფილა **ქართული სალიტერატურო ენის განვითარება** მიმოხილვა; შესავალი წერილი ეხება მხოლოდ **ახალ** ქართულს, მასთან **მხოლოდ ერთ საკითხს**: როგორ წარმოიქმნა **ახალი სალიტერატურო ქართული ენა**; სათაურიც ამას ამბობს: „ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის“. ძველ ქართულს (V-XI ს.ს.), მის განვითარებას ამიტომ საერთოდ არც შევხებივართ.

ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის გავლენას მეტად დიდი ადგილი ეთმობაო, დიდი მნიშვნელობა ენიჭებაო. სამწუხაროდ, ანტონის გრამატიკულმა სკოლამ დიდი გავლენა იქონია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე, ანტონ კათალიკოსის ნორმების გადმონაშთები დღესაც იგრძნობა ზოგჯერ და ართულებს სალიტერატურო ენის ნორმების დამუშავების საკითხს. ამაზე აქ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით.

ახლა შენიშვნები ლექსიკონის ტექსტის შესახებ.

განმარტებით ლექსიკონში მთავარია, როგორ არის სიტყვა განმარტებული, რამდენად სწორი და სრულია განმარტება. ამ მხრივ შენიშვნები პატივცემულ მწერალს არ მოუცია (შეეძლო კი მოეცა). შენიშვნებში მთავარი ადგილი საილუსტრაციო გამოთქმებს ეთმობა, და ეს ბუნებრივიც არის: ამ გამოთქმების გარეშე სიტყვის მნიშვნელობის განმარტება განყენებული სქემა გამოვიდოდა, არაფრის მთქმელი და ხშირად არადაამაჯერებელიც. პატივცემული მწერალი შენიშნავს: „სასიხარულოა, რომ ოთხივე ტომში უხვად ციტირებულია შოთას, საბას, გურამიშვილის, ილიას, ვაჟას, აკაკის, ზოგიერთი თანამედროვე მწერლის შემოქმედებიდან ამოკრებილი სიტყვიერი საუნჯე. სამწუხაროდ, ამ მასალის გვერდით მოყვანილია უნიჭო მწერლების, ხანაც ნიჭიერთა უგერგილო, უილაჯო თქმები, არაფრის მთქმელი ფრაზები, რომელთაც არც ლიტერატურული იერი გადაჰკრავთ, არც ხალხური და საერთოდ სავსებით უადგილოდ არიან ჩაჩხირული ჩვენი კლასიკოსების ნაწერებიდან ამოღებულ ციტატებს შორის“-ო („ლიტ. გაზ.“, №28)... „რა ხვითა „სიმწრით კბილებს აკრაჭუნებდა“ (იქვე).

საილუსტრაციო გამოთქმების შერჩევას რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. იდეალური იქნებოდა ყველა სიტყვისთვის ანდაზები

და აფორიზმები დაგვერთო საილუსტრაციოდ, მაგრამ ამდენი ანდაზა და აფორიზმი, ცნობილია, რომ არც ერთ ენაში არ მოიპოვება. ამიტომ ყოველი ენის განმარტებითს ლექსიკონში საილუსტრაციოდ მოჰყავთ უბრალო, ამ ენისთვის ჩვეულებრივი და არა უჩვეულო, სტილიზებული გამოთქმები. ავიღოთ, მაგალითად: **ბაკ**-ი: ბაბუცა ნახირიდან მომავალ ძროხას მიეგება, ხბო ჩამოაცილა და ბაკში დაამწყვდია (ნ. ლომ.). სახლებისავე გვერდით გაკეთებული აქვთ ბოსლები და ბაკები (ი. გოგებ.)... **ბარგ**-ი: ჩავალავთ ბარგი ორს უზარმაზარ სკივრში (ა. ცავარ.). მაკრინე წასასვლელად ემზადებოდა, ბარგს ალაგებდა (ეკ. გაბ.).... „სიმწრით კბილებს აკრაჭუნებდა“ ასეთ საილუსტრაციო გამოთქმათა რიგს ეკუთვნის და ამ გამოთქმას, როგორც ბუნებრივს, ქართულ გამოთქმას, წუნი არ დაედება.

სხვა გამოთქმებზე აქ ვერ შევჩერდებით: ყველას ავტორი ჰყავს და მათ რედაქცია სტილს ვერ გაუხწორებდა, სიტყვას ვერ შეუცვლიდა (გაუხწორებელი დარჩენილა: „ასწრობდა“, „ვერ ასწრობდა აკრებას“. უნდა გასწორებულყო. ასეთი ხასიათის შესწორება რედაქციას შეაქვს ხოლმე)<sup>5</sup>.

ჩვენ ამით არ გვინდა ვთქვათ, თითქოს უკეთესი საილუსტრაციო გამოთქმების შერჩევა სასურველი (და საჭირო) არ იყოს. ყოველგვარ შენიშვნას, რაც ამ მხრივ დაგვეხმარება, მადლობით მივიღებთ.

საილუსტრაციო გამოთქმებთან დაკავშირებით სადისკუსიო წერილი ასეთ შენიშვნასაც გვაწვდის: „სულ არ იყო საჭირო ცალკეულ ფრაზათა, გამოთქმათა ავტორების სახელის და გვარის, თუნდაც შეკვეცილად ხსენება“ („ლიტ. გაზ.“, №28).

ციტატა მოიყვანო და ავტორი არ უჩვენო, არ შეიძლება: მკითხველმა უნდა იცოდეს, ვის ეკუთვნის გამონათქვამი. ეს სხვა ენათა განმარტებით ლექსიკონებშიც მიღებული წესია (იხ. მაგალ., რუსული ენის ოთხტომიანი განმარტებითი ლექსიკონი უშაკოვის რედაქციით, რუსული ენის აკადემიური ლექსიკონი, რომელიც ახლა გამოდის...). არ ივარგებდა ქართულ განმარტებით ლექსიკონში ეს წესი არ დაგვეცვა. ჩვენი ლექსიკონის ნაკლი ის კი არ არის, რომ საილუსტრაციო გამოთქმასთან მის ავტორზე მივუთითეთ, არამედ ის, რომ ვერ ვუჩვენეთ, რა ნაწარმოებიდან არის გამოთქმა ამოღებული. რუსული „14-ტომიანი აკადემიური ლექსიკონი ნაწარმოების სახელსაც აღნიშნავს და თავსაც, სადაც გამოთქმა არის ნახმარი (პიესა თუა, რა მოქმედება და რა გამოსვლაა; გრიბოედოვი, „ვაი ჭკუისაგან“, მოქმ. IV, გამოს. II). დოკუმენტაციას ეს მოეთხოვება. სამწუხაროდ, რვატომეულში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

საილუსტრაციო გამოთქმები ბევრიაო, შეგვნიშნავს პატივცემული მწერალი. აქაც ნაკლი გვაქვს, ოღონდ სხვაგვარი: დოკუმენტაცია მეტი უნ-

<sup>5</sup> ლექსიკონზე მუშაობის რიგ საკითხებს ჩვენ ცალკე დაფუძრულებით (ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, ამაზე ქართველ მწერლებს მოვახსენოთ).

და გვქონოდა. ლექსიკონმა უნდა გვაჩვენოს, ესა თუ ის სიტყვა რომელ მწერალს უხმარია და როგორ. ქართული ლექსიკა შეუსწავლელია. ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით. ყოველი მწერლის ლექსიკა-ფრაზეოლოგია ცალკე შესასწავლია (სამწუხაროდ, როგორც ზემოთაც ითქვა, არც ერთისა შესწავლილი არ არის). ჩვენი ლექსიკონი რვატომეულია (ამ ფარგლებს ვერ გავსცდებით). ამიტომაც საილუსტრაციო გამოთქმები იმ ოდენობით ვერ შეგვაქვს, როგორც საჭიროა.

„ძველი ქართულის ეტიმოლოგიური ფონდი არაა წარმოდგენილი“. ძველი ქართულის სიტყვათა უდიდესი ნაწილი ახალ ქართულშიც იხმარება, ზოგჯერ იმავე მნიშვნელობით, ზოგჯერ — მნიშვნელობის ცვლით. რაც ახალ ქართულში იხმარება, ყველაფერი შედის ლექსიკონში. რაც **მხოლოდ ძველი ქართულის** კუთვნილებას წარმოადგენდა (ფიჩუი, ზუერი, ინაჯი... და მისთ.), ცხადია, ვერ შევიდოდა: ჩვენი ლექსიკონი ახალი ქართულისაა (ძველი ქართულის ლექსიკონის, ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის შედგენა მეტად საჭირო საქმეა, მაგრამ ცალკე ამოცანას წარმოადგენს).

ერთი შენიშვნაც ლექსიკონში დამოწმებულ ავტორთა რაოდენობას შეეხება: „ლექსიკონში ციტირებულ ავტორთა სიას რომ თვალი გადავაფლოთ, გეგონებათ, დანდობილად აუღიანთ მწერალთა კავშირის ან ლიტფონდის წევრთა სია და განუკითხავათ ამოუწერიან მათ ნაწერებიდან თითო-ოროლა ფრაზა ან აბზაცი... აქვე მიუმატებიათ თითქმის ყოველი მწერალი ახლო წარსულისა. ერთი სიტყვით აქ უამრავი ავტორია ციტირებული. ცხადია, ამდენი მწერალი საქართველოს არა ჰყოლია იაკობ ხუცესის ეპოქიდან ჩვენს დრომდის. აქ ალბათ უხელმძღვანელიათ „არავის ეწყინოს“-ის პოლიტიკით. ამ პოლიტიკას ყოველგვარი საქმიანობის დროს უდიდესი ზიანი მოაქვს ჩვენი კულტურისათვისო“ („ლიტ. გაზ.“, №28).

ლიტფონდის სია რედაქციას არა ჰქონია. ჩვენს განკარგულებაში იყო მხატვრული პროდუქცია: ლექსები და მოთხრობები, პოემები და რომანები... აქედან ვიღებდით სიტყვებსა და საილუსტრაციო გამოთქმებს. ზოგი უფრო დიდს დახმარებას გვიწვედა, ზოგიც — მცირეს. მაგრამ ეს მცირეც სასარგებლო იყო (და მაღლობით მოსახსენებელია): ჩვენ ხომ ქართული ენის ლექსიკონის შედგენა გვევალებოდა და არა, ვთქვათ, ქართველი კლასიკოსების ლექსიკონისა. ილია, აკაკი, ვაჟა მაქსიმალურად არის დამოწმებული, მაგრამ ამით ხომ ვერ შემოვიფარგლებოდით.

რა უფლება ჰქონდა რედაქციას წერტილი აქ დაესვა და ქართული ენის ლექსიკონში არ დაემოწმებინა ალ. ყაზბეგი, დავ. კლდიაშვილი, ნ. ლომოური, სოფ. მაგლობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, იოს. დავითაშვილი... და სხვა უანგარო მოჭირნახულე ქართული მწერლობისა და ენისა (თანამედროვე მოღვაწეებზე არას ვამბობთ). „არავის ეწყინოს“ — აქ არაფერი მოსატანია.

ასეთი წესი ჩვენ არ შემოგვიღია პირველად; სხვა ენათა განმარტებითი ლექსიკონებიც ასევე იქცევიან (უშაკოვის ოთხტომეულში 150-მდე მწერალია დასახელებული და არა მხოლოდ პუშკინი, ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, მ. გორკი და ვლ. მაიკოვსკი... მათ გვერდით ბარატინსკი, პოლუჟაევი, ოდოევსკი, პომიალოვსკი, აბუხტინი და ამავე მნიშვნელობის სხვა ავტორებია დასახელებული)...

ქართველ მკითხველს (მათ შორის ქართველ ენათმეცნიერსაც) ახარებს ყოველი ახალი მოთხრობა, ახალი ლექსი, თუ მასში ცოცხალი სახე გაიღვავებს, ნიჭის ნაპერწკალი შეინიშნება. ყოველი ასეთი მოთხრობა თუ ლექსი სასიცოცხლო ძალას მატებს ქართულ სიტყვას, შენაძენია ქართული ენისა.

ვერ გავვიგია, რად უნდა აწუხებდეს ცნობილ ქართველ მწერალს კ. გამსახურდიას, თუ ქართულ ლექსიკონში შესაძლებელი აღმოჩნდა ასორმოცზე მეტი ქართველი მწერალი, მთარმნელი, მწიგნობარი დაგვემოწმებინა (მათ შორის რამდენიმე ათეული — ჩვენი თანამედროვე)<sup>6</sup>. „ამდენი მწერალი საქართველოს არა ჰყოლია იაკობ ხუცესის ეპოქიდან ჩვენს დრომდისაო“. უხერხულად ხომ არ არის ეს ნათქვამი?

\* \* \*

ორიოდე სიტყვა სალიტერატურო ქართულის ზოგად საკითხებზე.

**1. ვაჟა და დიალექტიზმები.** „დაბეჯითებით შეიძლება იმის ვარაუდი, ვაჟას რუსთაველი და სხვა ჩვენი კლასიკოსები რომ წინ არ გადაღობებოდნენ, იგი ფშავ-ხევსურულ დიალექტს მოახვევდა ქართულ ენას თავსაო“, — წერს პატივცემული მწერალი.

არ ვიცი, როგორ გადაეღობნენ ვაჟას კლასიკოსები და რაში გამოიხატა ეს (პოემებსა და ლექსებში ვაჟას აკი ვერავინ გადაეღობა). ის კი ფაქტია, რომ ვაჟას პროზაში დიალექტიზმები უფრო იშვიათია, ვინემ ილიასთან. ლექსებსა და პოემებში გამოურევა ფშავური თავისებურებები, მაგრამ ვაჟას დიდებულ პოეზიას ეს ისევე არ უკარგავს ბრწყინვალეობას, როგორც „ვეფხისტყაოსანს“ დიალექტური „აქანამდის“, „დაიჭირავს“ და მისთ.

ლექსიკონზე მუშაობისას გამოირკვა, რომ ქართული ლექსიკონის სიმდიდრის მხრივ ვაჟა ილია და აკაკიზე წინ თუ დგას, თორემ არ ჩამორჩება.

ვაჟას ენა ქართული სიტყვის ოქროს საგანძურს ეკუთვნის. ვაჟა ილიასა და აკაკის გვერდით დგას და იდგება (გრიგოლ ორბელიანი კი სხვა ზომის ვარსკვლავია).

**2. ილია და რადიკალიზმი ენის საკითხებში.** სიჭაბუკის პერიოდში ილიას მექანიკურად გადმოჰქონდა ზოგჯერ ენის საკითხებში პოლიტიკური რადიკალიზმის იდეებიო... რადიკალური პოლიტიკური იდეების მექანიკუ-

<sup>6</sup> პირველ ტომში ავტორთა სიაში გვაკლია ზოგი ახალგაზრდა პოეტი, რომლებიც შემდეგს ტომებშია დამოწმებული (ამაზე VIII ტომში ითქმის).



რად გადმოტანა ენის საკითხებში დიდად საზიანოა“-ო, — წერს პატივცემული კ. გამსახურდია. მერე და რაში გამოიხატა ეს? თურმე ქართული ანბანის გამარტივებაში: „ხელოვნური გამარტივების ტენდენციამ გამოიწვია ოთხი ასოს ქართული ალფაბეტიდან გაქვევებაცაო“.

ილიას პოლიტიკური რადიკალიზმი ენის საკითხებში მექანიკურად არ გადმოუტანია, ილიას ხელოვნურად არ გაუმარტივებია ქართული ანბანი. მან ის ასოები მიიჩნია მეტად, რასაც ცალკე ბგერის გადმოცემა არ ეკისრებოდა სალიტერატურო ქართულში (წ, მ, ჟ, ჯ, ჭ), მაშასადამე, ისეთი ასოები, რომელთა სწორად ხმარება ჭირდა. ამ ასოთა ამოღება ისევე აუცილებელი იყო ქართული ანბანისათვის, როგორც ზ და თ ასოებისა რუსულ ანბანში.

არც ის ყოფილა ნებისმიერი, რომ ილიამ „ქველი ქართული ინტონაციები“ მოაცილა ახალ სალიტერატურო ქართულს და ხალხური მეტყველების საიმედო ბურჯზე დაამყარა სალიტერატურო ქართულის აწმყო და მომავალი. ილიამ ამით გაამრთელა სალიტერატურო ენის გზა, გამრუდებული სამი სტილის თეორიით. ილიამ ამით დიდი სახალხო საქმე გააკეთა. ამ საკითხის გადასინჯვისთვის საფუძველი არ არსებობს.

**3. მეცხრამეტე საუკუნის მწერლები და თანამედროვეობა.** „არც ისაა მართებული, თანამედროვე ქართულ მწერლობას ვინმემ მიუთითოს XIX საუკუნის მწერლების გზით იარეთო... უბედურება იქნებოდა, ქართულ ენას ამის შემდეგ წინ არ გადაედგა ნაბიჯი“, ამბობს მწერალი.

რა თქმა უნდა, XIX საუკუნის შემდეგ ქართული ენის ლექსიკა გამდიდრდა, გრამატიკული წყობა ბევრი მხრივ დაზუსტდა და დაიხვეწა.

ჩვენი მწერლობის საბატიო ვალია ამ ქართულ ენაზე შექმნან ისეთი ნაწარმოებები, როგორც იყო თავის დროისათვის „ოთარაანთ ქვრივი“, „ბაში-აჩუკი“, „ბახტრიონი“... XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობა და ამ მწერლობის დიდი მნიშვნელობის აღიარება მათ ისევე არ დაუშლის ხელს, როგორც არ უშლის მ. შოლოხოვს ლ. ტოლტოის უკვდავი „ომი და ზავი“, ანდა ნ. ტიხონოვს ა. პუშკინის „ეგვინი ონეგინი“.

XIX საუკუნის მწერლობის დიდ მემკვიდრეობას, საუკეთესო ტრადიციებს კი არ უნდა დავუპირისპირდეთ, არამედ დავემყაროთ, დავემყაროთ მადლიერნი და წავიდეთ წინ ქართული ლიტერატურის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. ეს იქნება ქართული ენის გამარჯვებაც, ქართული კულტურის გამარჯვებაც, — ეს იქნება ქართველი ხალხის გამარჯვება.

„ლიტერატურული გაზეთი“, №229,  
1956, 3 აგვისტო, გვ. 2-4.

## ჩემი სურვილი

გაზეთი „კომუნისტი“ საბჭოთა სოციალისტური კულტურისათვის მებრძოლი ორგანოა. ქართული გაზეთი დღეს საქართველოს ყოველ რაიონში გამოდის. „კომუნისტი“ მთელ რესპუბლიკას ემსახურება, რამდენიმე ათეულ ათას ცალად იბეჭდება.

ათეულ ათას ცალად ქართული გაზეთის გამოსვლა მხოლოდ სოციალისტურ საქართველოში გახდა შესაძლებელი. ეს დიდი საქმეა. ასეთ გაზეთს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ერთიანი სახალხო სალიტერატურო ქართულის ფართო მასებში დამკვიდრების საქმეში.

როგორ უძღვება ამ საქმეს „კომუნისტი“?

გაზეთის მასალა მრავალფეროვანია: საგარეო და საშინაო პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ტექნიკა და მეცნიერება, თეატრი და კინო, ახალი მშენებლობა და ახალი მანქანა, და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ არის, რის შესახებაც ესაუბრება გაზეთი ყოველდღიურად თავის მკითხველებს.

გაზეთის ლექსიკაც შესაბამისად მრავალფეროვანია. ლექსიკა დღემუდამ მდიდრდება. ენაში ახალი სიტყვები და გამოთქმები შემოდის. არა ერთ ახალ სიტყვასა და გამოთქმას შეუძლვა გაზეთი „კომუნისტი“ სალიტერატურო ქართულში და დანერგა მკითხველთა ფართო მასებში ხშირი სისტემატური ხმარების შედეგად.

მართლწერის ნორმათა გატარების მხრივაც გაზეთ „კომუნისტის“ ღვაწლი დასაფასებელია.

მაგრამ გაზეთის ენა რომ კარგი იყოს, ამისათვის არც ახალი სიტყვის შემოღება კმარა და არც მართლწერის ნორმათა დაცვა. ეს ყველაფერი აუცილებელია, მაგრამ საკმარისი როდია. მთავარია, სათანადოდ გამოვიყენოთ ქართული ენის შესაძლებლობანი სათქმელი შინაარსის გადმოსაცემად, — მთავარია სტილი.

აქ კი „კომუნისტს“ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. „კომუნისტის“ წერილები მძიმე წიგნურად ყდერს.

გვეტყვიან: ნათარგმნი მასალა გვაქვს და ის ამძიმებს სტილსაო. ეს მთლად ასე არ არის. რასაკვირველია, თარგმნილ ტექსტს, ძნელია, არ დაეტყოს თარგმნილობა. მაგრამ რატომ უნდა ჩამოჰგავდეს თარგმანს ორიგინალური წერილები, კერძოდ, წერილები ადგილობრივი ცხოვრების შესა-

ხებ. ქარხნის მუშაობა, გამოცდილება უმაღლეს სასწავლებლებში, ჭაობების ამოშრობა, ახალი არხის გაყვანა, სოფელში ელსადგურის ამუშავება, სასამართლო ქრონიკა — ჩვეულებრივ ხომ თარგმანი არ არის?! რატომ არ შეიძლება ამის შესახებ მკითხველს მოვუთხროთ სადად, ცოცხლად, უპრეტენზიოდ?!

კორესპონდენცია რომ კორესპონდენციაა, ისიც — ჩვენს „კომუნისტში“ — უთუოდ **გრძელი** უნდა გამოვიდეს (ორი-სამი სვეტი და მეტიც!), რატომღაც **ვრცელი** შესავლით უნდა დაიწყოს, მერე კი... გაისმის **რიტორიკული** ფორმულა: „ავამეტყველოთ ფაქტები!“ შედეგი: უხალისო, გაჭიანურებული თხრობა. „ამეტყველებულ ფაქტებამდე“ ზოგჯერ შეიძლება ვერც მიატანოს მკითხველმა. მოკლე სხარტული თხრობა მეტ მასალას მოგვათავსებინებს გაზეთის ფურცლებზე, გაზეთი უფრო შინაარსიანი და საინტერესო გამოგვივა.

ენის საკითხი კულტურის საკითხიც არის. ქართული ლიტერატურის კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას (პროზის) ენა იყო ჭეშმარიტად ხალხური: ძარღვიანი და ძლიერი, დახვეწილი და მსუბუქი. ქართული საბჭოთა მწერლობა აგრძელებს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების საუკეთესო ტრადიციებს.

ვუსურვებთ „კომუნისტს“ უკეთესად გამოიყენოს ქართული სალიტერატურო ენის მდიდარი სტილისტური შესაძლებლობანი.

გაზ. „კომუნისტი“, 1953, 5 მაისი, გვ. 3

## თქმა მართლისა...

(გაზ. „კომუნისტის“ დაარსების 60  
წლისთავთან დაკავშირებით)  
რუბრიკა: მილოცვა და სურვილები

ქართული პრესის ფლაგმანს „კომუნისტს“ 60 წელს ვულოცავთ.

ქართულ გაზეთს იმდენი მკითხველი არაოდეს ჰყოლია, რამდენიც დღესა ჰყავს, — მკითხველი, საქმით დაინტერესებული და მომთხოვნი.

პირველი, რასაც მკითხველი მოელის გაზეთებისაგან, ეს არის თქმა მართლისა სამართლისა (ამის მაგივრობას ვერაფერი გასწევს), — ისე თქმა, რომ ორიგინალური სტატია ნათარგმნს არა ჰგავდეს. არ არსებობს სალიტერატურო ენა, რომ კალკიანი გამოთქმა არ გამოერიოს, მაგრამ რაც ქართულად ითქმის, იქ კალკი უადგილოა.

გამოცდილი მუშაკები ქართულ პრესას წინათაც ჰყოლია, ახლაც არ აკლია. ოღონდ მონდომება იყოს.

ვუსურვოთ „კომუნისტის“ სარედაქციო კოლექტივს წარმატება მის პასუხსაგებსა და მოუსვენარ მუშაობაში!

გაზ. „კომუნისტი“, 1982, 23 იანვარი, გვ. 3

## რაიონული გაზეთი სალიტერატურო ენის სადარაჯოზე

გაზეთ „ავანგარდის“ ენა სხვა რაიონული გაზეთებისას ოდნავადაც არ ჩამოუვარდება. ეს შეიძლება გადაუჭარბებლივ ითქვას (და არა იმიტომ, რომ აქაო-და, საიუბილეო თარიღია და მხოლოდ კარგის თქმა გვმართებს იუბილარ გაზეთზეო).

ჩანს: რედაქცია სერიოზულად ეკიდება ენის სიწმინდის საკითხს. ეს ცხადად ეტყობა მასალას, რომელიც ადგილობრივს ცხოვრებას ეხება და რომლისთვისაც მხოლოდ რედაქციას ეკისრება პასუხისმგებლობა.

საკუთრივ მართლწერის წესები კარგად არის დაცული. თითო-ორ-ო-ლა შეცოდება აქაც შეინიშნება: ჩვენს მიერ (უნდა იყოს: ჩვენ მიერ... „ჩვენს მიერ“, „თქვენს მიერ“, სამწუხაროდ, არა მხოლოდ „ავანგარდში“ შეგვხვდება — „მის მიერ“-ის მიმსგავსებით).

„აღნიშნულ და სხვა ამხანაგებმა“ — აჯობებდა: „აღნიშნულმა და სხვა ამხანაგებმა“, ანდა: „როგორც აღნიშნულმა, ისე სხვა ამხანაგებმა“... (მაინცდამაინც ბოლომოკვეცილი „აღნიშნულ“ უფრო ადვილი ასატანია, ვინემ არალიტერატურული: დიდი წვიმამ, დიდი წვიმას... დიდი მიღწევა-თა... ეს მართლწერის უხეში დარღვევაა; მას სუსტ მოწაფეთა ნაწერებში ხშირად შეხვდებით; „ავანგარდში“ ასეთი რამ თითქოს არ შეგვინიშნავს, — და მაინც ამაზე თვალი უნდა გვეჭიროს).

სწორად არ არის ნაწარმოები: არაერთჯერ (უნდა იყოს: არაერთხელ)...

ნაკლოვანებების გამოსწორება (აჯობებდა „ნაკლოვანებათა გამოსწორება“)... „გეგმის ზევით“ — თარგმანია (აჯობებდა: გეგმის გადაჭარბებით)...

„...პირუტყვის მიერ ამას წინათ განადგურდა თუთის ხის ნარგავი“ — „პირუტყვის მიერ განადგურდა“ სტილისტურად მძიმეა: ქართული ენა ასეთ შემთხვევაში უპირატესობას აძლევს მოქმედებითი გვარის ზმნას („პირუტყვი განადგურა“...).

„...გ. ჟ. ხშირად არ ესწრება მეცადინეობას, რის შედეგად მისი თეორიული დონე დაბალია“ — სტილისტურად გაუმართავია: არა ჩანს, ვისი დონეა დაბალი — „მეცადინეობისა“ თუ „გ. ჟ.-ისა“ რომელიც არ ესწრება მეცადინეობას...

„ოქმში დამეგებულია მთელი რიგი შეცდომები, რაც იწვევს აზრთა

**წინააღმდეგობას**“ — აქ სტილისტურად უადგილოა „წინააღმდეგობას“ („აზრთა წინააღმდეგობა“: ალბათ: „აზრის ბუნდოვანობა“ იგულისხმება)...

„სიმინდის **კულტურის ქვეშ** უნდა მოხნას“ — ქართული სიტყვებისაგან შედგება, მაგრამ ქართული არაა. ქართულად ამას, ალბათ, ასე იტყოდნენ: „სიმინდის დასათესად უნდა მოხნას“...

ასეთი მაგალითები აქა-იქ თუ გამოვჩვენებ. მაინც მეტი ყურადღება გვმართებს, რომ მსგავსი გამოთქმები გაზეთში არ გარჩეს.

ვუსურვებთ რედაქციას უკეთესად ემუშაოს, კერძოდ, გაზეთის ენა გაეუმჯობესებინოს: სანიმუშო ქართულით ეწეროს.

რაიონის მასწავლებლები კარგს იზამდნენ, თუ „ავანგარდის“ ენას თვალყურს სისტემატურად მიაღვევებდნენ და **ყველა შენიშვნას** — ენის შესახებ — რედაქციას მიაწვდიდნენ.

ეს დაეხმარებოდა რედაქციას, და თვით შენიშვნების ავტორებისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდებოდა.

ცხაკაიას რაიონული გაზ. „ავანგარდი“,  
№139, 1953, 7 ივნისი, გვ. 2

## დავიცვათ ენის სიწმინდე!

გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ ენის საკითხი დასვა: ქართული ენის სიწმინდე დავიცვათო. საკითხის დასმა ბუნებრივია. ქართული ენა სოციალისტური საქართველოს ეროვნული ენაა. ეს ენა ქართველი ხალხის შექმნილია და ქართველი ხალხის კუთვნილებას წარმოადგენს. ქართული ენა ქართული კულტურის ყველაზე ძვირფასი განძია, ჩვენი კულტურული წინსვლის იარაღია და ამ იარაღს, ამ განძს, ამ საქვეყნო დოვლათს უნდა მოვუაროთ.

ქართულ სამწერლო ენას თხუთმეტი საუკუნის ისტორია აქვს. უკვე მეთერთმეტე საუკუნეში ქართული სამწერლო ენა იმდენად დამუშავებული და მდიდარი იყო, რომ ამ ენაზე ფილოსოფიური თხზულებები ითარგმნებოდა და იქმნებოდა. და თუ მეთორმეტე საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა, ამას დიდი კულტურული და, კერძოდ, ლიტერატურული ტრადიცია უსწრებდა. „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის დიდებაა. მეცხრამეტე საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობა (ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა) დიდი ხალხის დიდ მწერლობას დაამშვენებდა.

ქართული საბჭოთა პოეზიისა და პროზის მიღწევები ცნობილია; თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე (რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე), არამედ დასავლეთ ევროპის ხალხთა ენებზედაც (ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად), ინდოეთის ზოგ ენაზედაც.

საბჭოთა საქართველოში ქართული ენის განვითარება არა მხოლოდ მდიდარ საბჭოთა მწერლობაში პოვებდა გამოხატულებას. საბჭოთა წლებში შეიქმნა და დაიხვეწა მეცნიერებისა და ტექნიკის, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის სპეციალური მეტყველება: დამუშავდა სპეციალური სიტყვები (ტერმინები) და გამოთქმები, რაც ამ დარგებს ესაჭიროებოდა. განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა მათემატიკისა და ფიზიკის (და მათთან დაკავშირებული ტექნიკის) ტერმინოლოგიის შესაქმნელად. ახლა მოსწავლე საშუალო სკოლაშივე ითვისებს ისეთ ტერმინებს, როგორცაა: „წილადი“, „ამრიცხველი“, „თხევადი“... ჩვენმა ახალგაზრდამ (და ხშირად „არაახალგაზრდამაც“) შეიძლება ვერ გაითვალისწინოს, რომ ორმოციოდე

წლის ისტორია აქვს ისეთ სიტყვებს, რომელთაც ახლა საყოველთაოდ ხმარობენ: „შეგებულება“, „საშვები“, „კავშირგაბმულობა“, „სალარო“, „უწყისი“, „განაწესი“, „ბრძანებულება“ და მრავალი სხვა.

სათანადო დარგების სპეციალისტებმა შექმნეს (ენათმეცნიერთა კონსულტაციით) ტექნიკის ტერმინოლოგია, რომლის პირველი გამოცემა 1935 წელს გამოვიდა (მეორე, შეესებულებული და შესწორებული გამოცემა 1957 წლისაა). სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის გაერთიანებული ტერმინოლოგიაც უკვე გამოსულია.

რა თქმა უნდა, ეს დარგები სწრაფად ვითარდება. ახალი ტერმინების შემუშავებაც საჭირო ხდება. არის ტერმინები, რომელთაც თარგმნა არ ესაჭიროება: „ტრაქტორი“, „კომბაინი“, „მექანიკოსი“, „აგროტექნიკოსი“, „ფერმა“ და ბევრი სხვა. ასეთი ინტერნაციონალური ტერმინი თვით რუსულში უთარგმნელად რჩება. მაგრამ არის ტერმინები, რომელთა ქართულად გადმოცემა საჭიროა; ვთქვათ, ისეთი ტერმინი, როგორიცაა **автопилка** (თვითსარწყულბელი), ანდა **вертолет** (შვეულმფრენი)... ანდა ისეთი საერთოდ სახმარი სიტყვა, როგორიცაა **неудача** (წარუმატებლობა), ანდა **звеньевой** (მერგოლური) და სხვ.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან დაკავშირებით ამჟამად ტრაქტორისტების, მექანიკოსებისა და მექანიზატორების, აგროტექნიკოსების, ზოოტექნიკოსების მრავალრიცხოვანი კადრები მომზადდა და მზადდება. ეს არის საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის ახალი რაზმი. ბუნებრივია, რომ ქართველმა ზოოტექნიკოსმა ქართულად ლაპარაკის დროს „ავტოსარწყულბელი“ იხმაროს და არა „ავტოპილიკა“ (მთავრობის სათანადო დადგენილების ტექსტშიც „ავტოსარწყულბელია“ აკი).

ასევე ბუნებრივია, რომ ტექნიკოსმა „ქანჩი“ თქვას (და არა „გაიკა“), თუ ის ქართულად ლაპარაკობს (პირუკუ: რუსულად ლაპარაკის დროს „გაიკა“ უნდა თქვას და არა „ქანჩი“). თუ ჩონა-ახალუხი აცვიათ, შლაპას არავინ დაიხურავს და, პირიქით, კოსტიუმში გამოწყობილი ტრაქტორისტი ყაბალახს თავზე არ წაიკრავს. თუ აჭრელებული ტანისამოსი საჩოთიროდ მიგვაჩნია, მით უფრო უხერხული, არაბუნებრივი და საჩოთიროა აჭრელებული მეტყველება.

ქართულ ენაზე ხევსურეთში განსხვავებულად ლაპარაკობენ („თავისებურად უქცევენ“) და გურიაშიც თავისებურად... მეტ-ნაკლებად ასევე სხვა კუთხეებშიც. მაგრამ როცა საჯაროდ გამოდის (ანდა, როცა რასმე წერს), გურულიცა და ხევსურიც, კახელიცა და იმერელიც შეგნებულად ცდილობს სალიტერატურო ქართულით ილაპარაკოს, კუთხური არ შემოუტრიოს („აქანეი“, „იქინეი“, „მადანეი“, „მევიდა“ და „მოიდა“, „იმისანა“ და „იმითანა“, „დოუძახა“, „დლუძახა“, „დაუძახაყე“ და მისთანანი ცდილობს არ გამოუტრიოს)...



გავურბით კუთხურს, დიალექტურს, რომ დავიცვათ ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, ჩვენი დედაენა, კულტურული განვითარების ეს ძვირფასი და სათუთი იარაღი მთელი ქართველობისათვის, კახელია თუ ქართლელი, ფშაველი თუ მეგრელი, ხევსური თუ სვანი, თუში თუ აჭარელი.

გავურბით ქართულს, თუ ის კუთხურია. მით უფრო ცხადი უნდა იყოს, რომ არაბუნებრივია ქართულად ლაპარაკის დროს შემოგუთრიოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართული არ არის და რომლის შესაბამისი ქართული სიტყვა მოგვეპოვება.

დავიცვათ ენის სიწმინდე!

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1960,  
№258, 9 აგვისტო, გვ. 3

## განათლების ზოგიერთი საკითხი ჩვენში

საყოველთაოდ ცნობილია განათლების საქმის დიდი წარმატება საბჭოთა კავშირში, საერთოდ, საქართველოში, კერძოდ.

განხორციელდა სავალდებულო რვაწლიანი სწავლება, დღის წესრიგში დგას სავალდებულო ათწლიანი საშუალო განათლების საკითხი.

სწავლა უფასოა. სკოლის გარეშე არ რჩება სასკოლო ასაკის არც ერთი ბავშვი.

რუსეთში 1914-15 წლებში 123 ათას დაწყებითსა და საშუალო სკოლაში სწავლობდა 9.650 ათასი მოსწავლე, 105 უმაღლეს სკოლაში — 127.423 სტუდენტი.

საბჭოთა კავშირში 1969-70 წლებში სწავლობდა — ყველა საფეხურისა და ტიპის სასწავლებელში — 78 მილიონი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში — 49 მილიონი, უმაღლეს სასწავლებლებში — 4,5 მილიონი კაცი.

1969 წელს რვაწლიანი სკოლა დაამთავრა 4.400 ათასმა ახალგაზრდამ, სრული საშუალო სკოლა — 2.500 ათასმა (აქედან მუშა ახალგაზრდობის სკოლაში რვაწლიანი განათლება მიიღო 450 ათასმა, საშუალო — 600 ათასზე მეტმა).

1969 წელს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩაირიცხა 2.200 ათასი ახალგაზრდა, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 895 ათასი („დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის წელიწდეული“, 1970, გვ. 105).

საქართველოში 1970 წელს გვქონდა 4500 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. აქ სწავლობდა 1.036 ათასი მოსწავლე, ასწავლიდა 73 ათასი მასწავლებელი.

1970 წელს საქართველოში 18 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 89 ათასი სტუდენტი.

ექსტენსიური ზრდა უჩვეულოა. ბუნებრივია, თუ აქ რიგი საკითხი ჩნდება და მოითხოვს მოგვარებას.

მთავარია სწავლების ხარისხი, საფუძვლიანი ცოდნის ხარისხი. ეხება ეს საშუალო სკოლასაც და უმაღლეს სასწავლებელთა ყველა ტიპს.

მოსავარებელ საკითხთა შორის ერთი წყება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან არის დაკავშირებული (შენობა, სადაც სწავლა მიმდინარე-

ობს, ინვენტარი, სასწავლო კაბინეტები — ქიმიისა, ფიზიკისა, ბიოლოგიისა, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა...).

ესაა სწავლების ნორმალურად წარმართვის ტექნიკური პირობები; აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ბევრი რამ კეთდება ცენტრალიზებული წესით თუ ადგილობრივი ინიციატივით.

მაგრამ ამ რიგის საკითხები მთლიანადაც რომ მოგვარდეს, მაინც შეუძლებელი იქნება საშუალო სკოლამ და უმაღლესმა სასწავლებლებმა თავისი პირდაპირი ამოცანის ჯეროვნად გადაწყვეტა შეძლოს — საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდობა მოუმზადოს ქვეყანას, თუნდაც რომ ყველა საგანში დახელოვნებული მასწავლებელი და ლექტორი გვყავდეს. მიზეზთა მიზეზი შეუფერებელი სასწავლო გეგმებია. ისწავლება მრავალი საგანი, ისწავლება დიდი მოცულობით.

გვინდა ახალგაზრდობამ ყველაფერი იცოდეს. შედეგი: საფუძვლიანად ცოტა რამ იცის, ხშირად საფუძვლიანად არაფერი იცის.

ენციკლოპედიზმი სწავლების მიზანი ვერ იქნება: ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია. მთავარია — ძირითადი იცოდეს და გაეგებოდეს, თავის დარგში აზროვნება შეეძლოს და მაშინ ის შეძლებს თავის ცოდნის გაღრმავებას დამოუკიდებლივ: საჭირო წიგნსაც იპოვის და გამოიყენებს ისე, როგორც განათლებულ ადამიანს შეეფერება.

როცა ამას მივალწევთ, საჭირო არ იქნება მასწავლებელთა, ექიმთა, ლექტორთა გადასამზადებელი თუ „კვალიფიკაციის ასამაღლებელი“ კურსები.

ვფიქრობთ, არც „ათეიზმის კურსი“ დაგვჭირდება უმაღლეს სკოლაში; საშუალო სკოლა საკმარისი იყო იმისათვის, რომ ათეიზმი დაენერგა სწავლა-განათლებას.

ახლანდელი სასწავლო გეგმების პირობებშიც ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი საფუძვლიან ცოდნას იღებს, მაგრამ ეს ნაწილი მცირეა (საშუალოდ, ალბათ, ათ პროცენტს თუ აღწევს).

მართალია, ეს ათი პროცენტი რაოდენობით რამდენიმეჯერ წააჭარბებს იმ სპეციალისტთა რაოდენობას, რასაც რეგოლაციამდელი რუსეთის უმაღლესი სკოლა ამზადებდა, მაგრამ წარსულთან შედარებით დიდი წინსვლა არ ნიშნავს, რომ ახლანდელ ამოცანას თავი გავართვით. წარსულთან შედარება ნუგეშად არ გამოგვადგება.

ასეა ჰუმანიტარულ დარგებში, და ზოგ სხვა დარგშიც, რომლებიც ამზადებენ საშუალო სკოლის მასწავლებელს.

კარგი პედაგოგი, მომზადებული მასწავლებელიც კი, ვერ შეათვისებინებს მოწაფეთა მეტ წილს ახლანდელი პროგრამით გათვალისწინებულ ჭარბ მასალას, სუსტი მასწავლებელი კიდევ გამოსავალს იმაში ეძებს, რომ „დამაკმაყოფილებელი“ ნიშნის დაწერით გავიდეს ფონს.

თუ ენერგიული მშობელი ჩაერია საქმეში, შეიძლება მასწავლებელმა „კარგის“ დაწერაც არ მიიჩნიოს შეუძლებლად.

უმაღლესი სკოლა საშუალოს ესაყვედურება: მოუმზადებელია აბიტურიენტიო. საშუალო კიდეც უმაღლეს სკოლას აბრალებს — მოუმზადებელი მასწავლებელი გამოგვიგზავნეო.

ორივეს წილი უდევს არსებულ ვითარებაში — საშუალოსაც და უმაღლესსაც. მაგრამ უფრო ვინ არის ბრალში, ამის გარკვევას ისეთივე აზრი აქვს, რაც ჰქონდა სქოლასტიკურ კამათს — ქათამი გაჩნდა ადრე თუ კვერცხი.

სასურველ მდგომარეობას ვერ მივადწევთ, სანამ სასწავლო გეგმა არ განიტვირთება ისე, რომ სტუდენტს შეეძლოს გამოცდისათვის ერთი წიგნი მაინც შეისწავლოს საფუძვლიანად, საშუალო სკოლის მოსწავლემ კიდეც — საშინაო დავლება შეასრულოს ისე, რომ ოჯახის წევრების დახმარება არ დასჭირდეს, გაკვეთილიც ისწავლოს (და არ კი მხოლოდ გადაათვალიეროს).

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ საყოველთაო რვაწლიანი სწავლება ერთი პროგრამით წარმოებს ქალაქად და სოფლად (და ყველა ოჯახში არა გვეყავს მათემატიკოსი, ინჟინერი და ფილოლოგი, რომ ბავშვს რეპეტიტორობა გაუწიოს). სკოლის ამ გასაჭირზე ბევრი იწერება ცენტრალურ პრესაში („პრავდაში“, „ლიტერატურნაია გაზეტაში“...).

ასე, მაგალითად, „ლიტერატურნაია გაზეტას“ 1973 წლის №5-ში (გვ. 6) რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ი. კლენიკაია წერს: „ი. ფონიაკოვას წერილი მწვავე საკითხს ეხება: რატომაა, რომ რუსული ენის შესწავლა მრავალი მოსწავლისათვის არ არის საყვარელი საქმე? ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ რუსული ენის შესწავლის დროს უპირატესობა ენიჭება არა პრაქტიკულ, არამედ თეორიულ მხარეს... (იგულისხმება გრამატიკის სწავლება — ა. ჩ.).“

...ერთ სკოლაში მშობელთა კრებაზე მასწავლებელმა დაუფარავად განაცხადა, რომ უწიგნურობაში ყოველთვის ბავშვებს ვერ დავდებთ ბრალს, რადგან, პროგრამაში თეორიული მასალის სიმრავლის გამო, თითქმის არ რჩება დრო წიგნიერი წერის ჩვევების გამოსამუშავებლად“.

მაგრამ, ქართული სკოლა თუ წაიფორხილებს, შეიძლება ამის მიზეზად ზოგმა ვინმემ ეროვნული განათლება (საშუალო, უმაღლესი) მიიჩნიოს. ერთი სიტყვით, ეროვნული სკოლის პრესტიჟის საკითხიც დგას. და ეს მხარეც გასათვალისწინებელია.

\* \* \*

საშუალო განათლების საქმე საბჭოთა კავშირში მოიგებდა, რვაწლიანი საერთო საგანმანათლებლო სკოლის შემდეგ უფრო ფართოდ, ე. ი.

სისტემატურად, დაგვეწერა სპეციალიზაცია; საშუალო სამწლიანი სკოლა გვექონოდა, ვთქვამთ: ფიზიკა-მათემატიკის განხრით, ქიმია-ბიოლოგიის განხრით, გეოგრაფია-გეოლოგიის განხრით, ისტორია-ლიტერატურის განხრით... (ჩამოთვლა საილუსტრაცია).

სამ წელიწადს ახალგაზრდა ისწავლიდა სპეციალიზებული პროგრამით, და უმაღლეს სკოლებსაც უფრო მომზადებული კონტინგენტი მიუვდიოდა.

ეს საკითხები ადრე თუ გვიან დაისმის. საშუალო განათლების თანამიმდევრული სპეციალიზაციის საკითხიც, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების რაციონალურად აგების საკითხიც.

არაფერი დაშვებოდა, თუ ამ მხრივ ინიციატივას გამოვიჩინდით და სადირექტივო ორგანოებს სათანადო მოხსენებას წარვუდგენდით (ხელმძღვანელ ამხნაგებსაც ჰყავთ ოჯახში მოსწავლეები და თავის თვალთხედავენ მათ გასაჭირს).

მაგრამ ჯერჯერობით სკოლა — უმაღლესი, საშუალო — მუშაობს ახლა არსებული სასწავლო გეგმების შესაბამისად, დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ამ ვითარებაში უნდა დაიძებნოს ისეთი ღონისძიება, რის განხორციელებაც, როგორც პალიტივისა, ახლა შესაძლებელი იქნებოდა.

\* \* \*

სანიმუშოდ აქ დავასახელებთ ორიოდ ღონისძიებას — უმაღლესი სკოლისათვის და საშუალოსათვის (უმაღლესი სკოლის ჰუმანიტარული სპეციალობანი იგულისხმება).

1. უმაღლეს სკოლაში სტუდენტს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა და მტკიცედ მოვთხოვოთ, საფუძვლიანად შეისწავლოს 6-10 საგანი, ე. ი. წელიწადში შეისწავლოს ორი საგანი თავისი სპეციალობისა, ორი საპროფილო საგანი.

2. ამ საგნებში გამოცდები უნდა ტარდებოდეს ჯერ წერილობით, მერე — ზეპირად. გამოცდა კომისიამ უნდა მიიღოს.

3. რაც შეეხება სპეციალურ საგნებს, ასეთი საგნები უნდა ვასწავლოთ შერჩევით (ჯგუფის ერთი ნაწილი ერთ საგანს ისმენს, მეორე — მეორეს, მესამე — მესამეს) და არა ყველა სპეციალური საგანი — ყველას, როგორც ახლაც მიღებული. სპეციალური საგნებიდან ზოგი გამოცდით თავდება, ზოგიც — ჩათვლით.

4. ყველა საგანში, საპროფილოშიც, სპეციალურსა თუ ფაკულტეტურში, — ლექციის პარალელურად უნდა წარმოებდეს პროსემინარული მუშაობა. ამ გზით სტუდენტი დაძლევეს რთულ ცნებებს და ლექციის მოსმენა მისთვის საინტერესო იქნება.

5. ფილოსოფიური საგნები (დიამატი, ისტმატი, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფიის ისტორია) გარკვეული თანამიმდევრობით უნდა ისწავლებოდეს. დიალექტიკის კატეგორიებს შეგნებულად ვერ შეითვისებს მსმენელი, რომელიც ლოგიკის ელემენტარულ ცნებებში ვერ ერკვევა (რაა „ცნება“, „მსჯელობა“, „დასკვნა“, „ცნების მოცულობა და შინაარსი“...).

ფილოსოფიის ისტორია არაფერს მოგვცემს, თუ ის ისწავლება დიამატი-ისტმატის შემდეგ და ისიც ერთ სემესტრში.

6. ენა არ შეიძლება კაცმა ისწავლოს გრამატიკის მეშვეობით. ამიტომ რუსულის სწავლება ჩვენს სასწავლებლებში პრაქტიკულ ვარჯიშობას უნდა ემყარებოდეს: კითხვა-პასუხი, წინადადებათა შედგენა, ზეპირად, დაფაზე წერით... ერთი სიტყვით, სტუდენტის აქტიური მონაწილეობით.

როცა სტუდენტი პრაქტიკულად გაიწაფება ენაში, მაშინ გრამატიკის ძირითადი წესები პრაქტიკულ ცოდნას გაააზრიანებს.

უცხო ენის შესწავლისას გრამატიკით დაწყება აგრეთვე არაა გამართლებული.

ენის შესწავლისას ლექსიკის გამდიდრება თანამიმდევრულად უნდა წარმოებდეს და გარკვეული პროგრამით (ამდენი და ასეთი სიტყვა ასეთი თანამიმდევრობითა და ამ დროის განმავლობაში).

უხერხულია, როდესაც უმაღლეს სკოლაში სწავლებისას სტუდენტს „დამაკმაყოფილებელს“ თუ „კარგს“ უწერს ლექტორი, და საშუალო სკოლაში მასწავლებლის კუროზული შეცდომების შესახებ იგივე ლექტორი გაზეთის ფურცლებზე ლაღადებს...

მოპასუხე უნდა იყოს, მომჩივანის როლში კი გამოდის.

7. ზეპირად ლაპარაკის დროს კულტურულ ადამიანს მჭევრმეტყველება არ მოეთხოვება, მაგრამ ნაწერი უნდა იყოს ზუსტი და ნათელი, ყოველი სიტყვა სათქმელს უნდა ეფარებოდეს.

ესაა მეტყველების კულტურის ძირითადი ამოცანა. და სწორედ აქ გვიჭირს: კაცს დიპლომი უჭირავს ხელში და წერა არ შეუძლია; აზრს ვერ გამოთქვამს წესიერად, ე. ი. წიგნიერება აკლია.

დიპლომი არ შეიძლება მიეცეს მცირე წიგნიერს, მით უფრო უწიგნურს.

ხშირად ვჩივით: მავანი და მავანი რუსულად ვერ წერსო. ის კი არა, თუ ეს მავანი და მავანი ქართულადაც ვერ წერს... იშვიათია, რომ რუსული ენა არ იცოდეს და ქართულად ჩინებული მწიგნობარი იყოს.

8. სალიტერატურო ენას ვერ დაეუფლება კაცი, ვინც ლიტერატურულ ნაწარმოებს და წიგნს, საერთოდ, არ კითხულობს.

ლიტერატურას ლიტერატურის სახელმძღვანელო ვერ გვასწავლის. ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების შესწავლა, შემდეგ — სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურის კითხვა — უამისოდ სალიტერატურო

ენას ახალგაზრდა ვერ დაეუფლება.

ამ მხრივ უმაღლესი სასწავლებელიც, საშუალო სკოლაც სცოდავს. იქაც, აქაც ლიტერატურის სახელმძღვანელო დგას წინ. მხატვრული ნაწარმოების გარჩევაა ძირითად მიზნად მიჩნეული, შინაარსიც სახელმძღვანელოდან იციან. ნაწარმოები კი მოსწავლეს არ წაუკითხავს.

ეს იგივეა, რაც გრამატიკის მეშვეობით ენის შესწავლა.

ჯერ მხატვრული ნაწარმოები (მასთან, არა ყველა მწერლისა და ყველა ნაწარმოები ერთობლივ, არამედ მკაცრად შერჩეული) უნდა წაიკითხოს მოსწავლემ, მერე აქვს აზრი გარჩევას. სტუდენტიც კი ხშირად არ იცნობს იმ ნაწარმოებს, რომელსაც არჩევს.

სალიტერატურო ენას მხატვრული ლიტერატურის გარეშე ახალგაზრდა ვერ დაეუფლება.

9. საშუალო სკოლის სახელმძღვანელო არ შეიძლება იყოს უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს კონსპექტი. ამას ანგარიში არ ეწევა. პირველ ყოვლისა, საკითხი უნდა მოგვარდეს ისეთ საგანთა სწავლებისას, რომელთა სახელმძღვანელოებს ჩვენ ადგილობრივ ვადგენთ (საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, ქართული ენის გრამატიკა...).

10. მოსაფიქრებელია სასკოლო ფონდის შექმნის საკითხი. ინტელიგენციამ, კერძოდ, სამეცნიერომ, ნაბეჭდი პროდუქციის ჰონორარის ათი პროცენტი რომ გაიღოს, რაიონის სოფლებში სკოლას საჭირო სასწავლო კაბინეტის შექმნას შევადლებინებდით. ბევრგან ასეთი კაბინეტი სკოლას არ მოეპოვება.

ქელები ჩვენში დიდძალ თანხას ნთქავს და ხალხის ზნეობრივ დაქვეითებას უწყობს ხელს.

ქელების გამართვის ნაცვლად მიცვალებულის ხსოვნის პატივსაცემად გარკვეული თანხა რომ სკოლის ფონდში შეიტანონ, ხოლო ვის სამახსოვროდაც არის შეტანილი, საგანგებოდ აღინიშნოს რაიონის გაზეთში (ანდა სხვა გზით), ბუნებრივი იქნებოდა.

ამის განხორციელება ძნელი არ არის, თუ ინტელიგენცია სათანადო პროპაგანდას გასწევს და ხელისუფლება საქმეს ორგანიზაციულ ღონისძიებას წააშველებს.

სხვათა შორის, 1905 წლის რევოლუციის დროს ქელებების მოსპობა ერთ-ერთი ღონისძიება იყო გურიასა და სამეგრელოში.

11. რაიონის სკოლებში ბევრი გამორჩევით ნიჭიერი ბავშვი სწავლობს (ნიჭიერი ან საერთოდ, ან ამა თუ იმ დარგში). ხშირად საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ასეთი ახალგაზრდა უმაღლეს სკოლაში ვერ ხვდება: ან მშობლებს ამის თავი არა აქვთ და საშუალო სკოლას სჯერდებიან, ანდა, თუ უმაღლესი სკოლის მისაღებ გამოცდაზე გავა, მას გზას უღობავს ნაკლებ ნიჭიერი და ნაკლებ მომზადებული ახალგაზრდა, რო-

მელსაც ენერგიული მშობელი ზურგს უმაგრებს.

განათლების სამინისტროსთან ერთად ასეთი გამორჩევით ნიჭიერი ახალგაზრდები უნდა გამოვავლინოთ, მათ სწავლას თვალი ვადევნოთ და უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვა შევაძლებინოთ.

\* \* \*

სკოლის საკითხი საბჭოთა კავშირში სოციალისტური კულტურის აწმყოსა და მომავლის საკითხია. ქართულ სკოლაში კიდევ ამას ახლავს სხვა მომენტიც — ეროვნული განათლების პრესტიჟის საკითხი.

ამიტომ სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას და, მოსაგვარებელი რაც არის, მის მოგვარებას საერთო ძალღონით ვეცადოთ.

(პუბლიკაცია მოამზადა **ვაჟა შენგელიამ**).

ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“,  
1982, №1, გვ. 120-23



## ქართველ ენათმეცნიერთა მიღწევები

35 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ამ ხნის განმავლობაში ქართულმა კულტურამ, საერთოდ, და ქართულმა მეცნიერებამ, კერძოდ, საბჭოთა ხელმძღვანელობის მზრუნველობითა და ხელისშეწყობით დიდ წარმატებას მიაღწია. ეს ჩანს ენათმეცნიერების მაგალითითაც.

კავკასიაში მრავალი ენა გვაქვს, განსხვავებული წარმოშობისა და ნაირ-ნაირი აგებულებისა. მართოდენ ქართული და მისი მონათესაე აფხაზურ-ჩერქეზული, ჩაჩნური და დაღესტნური ენები რომ ავიღოთ, 12 სამწერლო და თითქმის ორი ამდენი უმწერლო ენა აღმოჩნდება. ამ მონათესაე (იბერიულ-კავკასიური) ენების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიც. ჩვენს ენათმეცნიერებს, პირველ ყოვლისა, ამ მხრივ აკისრიათ პასუხისმგებლობა მეცნიერების წინაშე.

ქართული ენათმეცნიერების პირველი კერა, ისევე როგორც ქართული მეცნიერებისა საერთოდ, ჩვენი უნივერსიტეტი იყო. 35 წლის წინათ უნივერსიტეტში სამი საენათმეცნიერო კათედრა არსებობდა (ქართული ენისა, სომხური ენისა, ზოგადი ენათმეცნიერებისა). ამჟამად უნივერსიტეტში საენათმეცნიერო მუშაობას 8 კათედრა ეწევა. ქართული ენის კვლევა წარმოებს აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენის კათედრებზე (ქუთაისში, ბათუმში, გორში, სოხუმში, თელავსა და სტალინირში). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რომელიც უნივერსიტეტში გაზრდილი ძალებით შეიქმნა და ამჟამად ენათმეცნიერული კვლევა-ძიების ცენტრს წარმოადგენს ჩვენში, შესწავლის საგანია ყველა ქართველური ენა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეტი წილი. ჩვენში მოიპოვებიან ცნობილი სპეციალისტები სემიტური ენებისა (კერძოდ, არაბულისა), თურქულისა, ირანული ენებისა. ჩვენში მომზადდნენ (პროფ. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით) სპეციალისტები წინა აზიის ისეთი ძველი კულტურული ენებისა, როგორიც არის ურარტული, ხეთური...

1922 წელს ჩვენში ენათმეცნიერების მხოლოდ ორი დოქტორი იყო (აღ. ცაგარელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, და აკ. შანიძე). დღეს კი მხოლოდ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო

საბჭოში შედის ფილოლოგიის მეცნიერებათა 12 დოქტორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ენათმეცნიერთაგან 5 ნამდვილი წევრია და 2 წევრ-კორესპონდენტი.

გაფართოვდა ქართველ ენათმეცნიერთა კონტაქტი რუს, უკრაინელ, აზერბაიჯანელ, სომეხ, ლატვიელ, ბულგარელ, უნგრელ ენათმეცნიერებთან. გახშირდა საქმიანი თანამშრომლობის შემთხვევები. ასე, მაგალითად, უმაღლესი განათლების სამინისტროს დავალებით ენათმეცნიერების შესავლის სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ლ. ბულახოვსკი და ამ წერილის ავტორი; ამ წიგნის მეორე გამოცემა ითარგმნა ჩინურ, ბულგარულ და ჩეხურ ენებზე. ჩინურ ენაზე ითარგმნა თ. შარაძენიძის ერთი სტატია, რომელიც გამოქვეყნდა რუსულ ჟურნალში „ენათმეცნიერების საკითხები“.

ქართველ ენათმეცნიერებს ამჟამად ჯეროვანი ადგილი უკავიათ საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ეს შედეგია იმ მუშაობისა, რაც აქამდე ჩატარებული საბჭოთა ხელისუფლების ხელისშეწყობის პირობებში. ეჭვი არ არის, ქართველი ენათმეცნიერები არ დაკმაყოფილდებიან მოპოვებული წარმატებით და პირნათლად მოიხდიან თავიანთ ვალს მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე.

გაზ. „კომუნისტი“, 1957, №237, 29/VII, გვ. 3.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრს, ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, საქართველოს სსრ სახელმწიფო და მოსკოვის უნივერსიტეტის ლომონოსოვის სახელობის პრემიების ლაურეატს, დიდ ქართველ ენათმეცნიერს არნოლდ ჩიქოვას დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის კოლექტივი ღვაწლმოსილ მეცნიერს ულოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ დღევარტელობას და შემდგომ ნაყოფიერ მეცნიერულ-შემოქმედებით მუშაობას მშობლიური ერის საკეთილდღეოდ.

### **ენა, ენათმეცნიერება, ქართული ენა: პრობლემები და პერსპექტივები**

1. მეტყველება უნიკალური მოვლენაა: ფიზიკურად ალიქმის და ფსიქიკურს აყალიბებს და ავლენს; ინდივიდშია მოცემული და ინდივიდთა ურთიერთობის საშუალებად წარმოგვიდგება.

მეტყველების კონკრეტიზაცია ცალკეულ ენებში გვაქვს.

ენის გარეშე, ურთიერთობის საშუალების გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა.

ენის გარეშე წინა თაობის მიღწევა შემდგომ თაობას ვერ გადაეცემა; ენა პროგრესის შესაძლებლობას ქმნის.

ენა სხვადასხვა თაობას აკავშირებს ერთ ხალხად, ხალხის მეობის არსებით ნიშანს წარმოადგენს.

ენის პატივისცემა ხალხის პატივისცემაც არის და პირუკუ. საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ იგი გახაზავს მეტყველების განსაკუთრებულ მნიშვნელობას კაცობრიობის პროგრესისათვის, ერთი მხრივ და ენის მნიშვნელობას ხალხისათვის, მისი თვითმყოფობისათვის: სოციალური ფენების მეტყველებაში სხვაობა გვაქვს, მაგრამ ენა ერთია, ესაა საერთო სახალხო ენა. კლასობრივი ენა არ არსებობს.

მეტყველების მნიშვნელობის შესახებ ადამიანის პროგრესისათვის უცხოეთშიც ბევრი თქმულა. ხალხის ენის მნიშვნელობას კი ხალხისათვის საბჭოთა ენათმეცნიერება აღიარებს სათანადოდ და ეს მისი სპეციფიკაა.

2. ენას ენათმეცნიერება სწავლობს, ოღონდ ენათმეცნიერება არ არის ერთდერთი მეცნიერება ენის შესახებ (ისევე, როგორც გეოლოგია ანდა გეოგრაფია არ ითქმის ერთადერთ მეცნიერებად დედამიწის შესახებ).

ენას შეისწავლის ფილოსოფიაც, ფსიქოლოგიაც, ფიზიოლოგიაც, სოციოლოგიაც, კიბერნეტიკაც — ყველა თავ-თავისი თვალსაზრისით.

ყველაზე ძველია ენის ფილოსოფია. იგი წარმოიქმნა ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ფილოსოფიას ენის რაობის საკითხი აინტერესებდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საკითხს, რატომ, რის მიხედვით ეწოდება საგანს ეს სახელი და არა — სხვა.

ენის ფსიქოლოგია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იქცა მნიშვნელოვან თეორიულ დარგად მეტყველების პროცესთან ანალიზის მიზნით პირველ ყოვლისა.

მას შემდეგ, რაც XIX ს. პირველ მეოთხედში წარმოიქმნა ენათმეცნიერება, ცხადია, ენის რაობისა და ენის ცვლის კანონზომიერებათა საკითხებს თეორიულ ენათმეცნიერებაშიც სათანადო ადგილი დაეთმო.

ამისდა მიუხედავად, ენის ახალ ფილოსოფიურ კონცეფციასა შექმნის ტრადიცია არ შეწყვეტილა.

ენათმეცნიერების სპეციალური მეთოდების, ენათმეცნიერების დარგობრივი შედგენილობისა თუ სხვა სპეციფიკური ენათმეცნიერული საკითხები ენის ფილოსოფიის განხილვის საგანი, ცხადია, ვერ გახდებოდა, მაგრამ ენის რაობის ანალიზი ფილოსოფიაში, აგრეთვე ფსიქოლოგიაში დიდ გავლენას ახდენდა და ახდენს თეორიულ ენათმეცნიერებაზე.

ენათმეცნიერება, ენის ფილოსოფია, ენის ფსიქოლოგია... რეალურ ენას სწავლობენ:.

კიბერნეტიკის ანალიზის საგანი კი ფორმალიზებული ენაა: საინჟინრო ენათმეცნიერება გამოყენებითი დისციპლინაა, მას მეტად დიდი — გამოყენებითი — მნიშვნელობა აქვს (მაგ., ავტომატური თარგმანი), მაგრამ იგი ენათმეცნიერებას ვერ დაუპირისპირდება, მით უფრო ენათმეცნიერების მაგივრობას ვერ გასწევს (ისევე, როგორც, ვთქვათ, ტოპოგრაფიულ ანატომიას ქირურგია ვერ დაუპირისპირდება, ანდა ფიზიოლოგიას — თერაპია).

გამოყენებითი დისციპლინა თეორიულის მაგივრობას ვერ გასწევს.

3. თანამედროვე ენათმეცნიერებაში დასტურდება აზრთა უჩვეულო სხვაობა ძირითადად საკითხთა გაგებაში: სტრუქტურა თუ ფუნქცია, სინქრონია თუ დიაქრონია, ინდუქცია თუ დედუქცია, ენათმეცნიერება ჰუმანიტარული მეცნიერებაა თუ საბუნებისმეტყველო, ენის რა ფუნქცია ვცნოთ ძირითადად (კომუნიკაცია, ექსპრესია, ობიექტივაცია).

სადავო საკითხები მეცნიერებაში ყოველთვის გვაქვს, თეორიულ ენათმეცნიერებაშიც არ გვაკლდა. აქ კი საქმე გვაქვს უჩვეულო სხვაობასთან. ამ სხვაობას ზოგი ავტორი კრიზისს უწოდებს, ზოგიც ინტენსიური განვითარების გამოვლინებად თვლის.

აქ სხვაობის დაფასება გვაქვს, ჯერ კი ახსნაა საჭირო.

ახლანდელი ვითარება არ გამოუწვევია ენათმეცნიერების შინაგან განვითარებას, კერძოდ, მოუგვარებელი თეორიული საკითხების სიჭარბეს.

მიზეზი სხვა იყო: მეოცე საუკუნეში დიდი ცვლილება მოხდა იმ დარგებში, რომლებიც ქმნიან ამინდს თეორიულ ენათმეცნიერებაში; ცვლილება მოხდა ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, შეირყა საძირკველი: თუ XIX საუკუნის მეორე ნახევარში პოზიტივიზმი და ფსიქოლოგიზმი განსაზღვრავდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თეორიას, მათ შორის ენათმეცნიერებისასაც, მეოცე საუკუნეში მათი ადგილი დაიკავა ნეოპოზიტივიზმმა (ლოგიკურმა პოზიტივიზმმა), გავლენა მოიპოვა ფენომენოლოგიამ, ფსიქოლოგიაში გაძლიერდა ბიპევიორიზმი და ა.შ.

ამის გაუთვალისწინებლად გაუგებარი იქნებოდა ბევრი რამ თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

მაგალითად: თანამედროვე ენათმეცნიერებაში გაბატონებული ანტი-ისტორიზმი, სინქრონიის პრიმატი, ლოგიკური პოზიტივიზმის წარმონაქმნია; მთავარია არა ცვალებადობის შესწავლა, არამედ ის, რაც უცვლელია, ზედროულია... და ეს მაშინ, როდესაც ენობრივი ფაქტის გაგება მისი ისტორიის გაუთვალისწინებლად ხშირად შეუძლებელია.

ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ, ბუნებრივია სწავლობდეს ენობრივი ფაქტის სტრუქტურასაც და ფუნქციასაც, სინქრონიული (სტატიკური) თვალსაზრისითაც და დიაქრონიული (ისტორიული) თვალსაზრისითაც: ესენი ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს, მათი დაპირისპირება ენათმეცნიერების თვალსაზრისით გაუმართლებელია.

დასკვნა: ფილოსოფია-ფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლად თეორიულ ენათმეცნიერებაში გარკვევა შეუძლებელია. ენათმეცნიერების თეორია ვერ დაივიწყებს იმას, რომ ის ფილოსოფიაა, კონკრეტულ სამეცნიერო ნაკვალევზე დამყარებული, მაგრამ მაინც თეორია, ე. ი. თავისი ბუნებით ფილოსოფია.

ენათმეცნიერების ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა შესანიშნავი ფილოლოგები სრულიად უმწეონი აღმოჩენილან ენათმეცნიერების თეორიის აგებაში სწორედ იმიტომ, რომ უზრუნველობას იჩენდნენ ფილოსოფია — ლოგიკა — ფსიქოლოგიის ცნებებისა და თეორიებისადმი.

4. თეორიულ ენათმეცნიერებაში ყველაზე მცირე ყურადღება ექცევა საკითხს: რა აზრი აქვს ენის მეცნიერულ შესწავლას.

გამოყენებითი მნიშვნელობა ცნობილია: სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია, ლოგოპედია, ავტომატური თარგმანი და საინჟინრო ენათმეცნიერების საკითხები.

რაც შეეხება ენათმეცნიერების თეორიულ აზრს, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაზრისით აქ მთავარია ორი რამ:

ერთია მიმართება კულტურასთან და კულტურის ისტორიასთან.

მეორეა — მიმართება აზროვნებასთან და აზროვნების ისტორიასთან.

სხვა, უფრო არსებითი თეორიული ამოცანა ენის მეცნიერულ შესწავლას არც წინათ მოეპოვებოდა და არც ახლა აქვს.

5. ჩვენს სინამდვილეში, პირველ ყოვლისა, ქართული ენის საკითხი დგას: ქართული ენის მოქმედი გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკა.

შემდეგ — სვანურისა და ზანურის ჩვენებათა მოხმობით, მერე კი — მრავალრიცხოვან მთის კავკასიურ ენათა (აფხაზურ-ადიღურ, ნახურ-ქისტურ და დღესტურ ენათა) ჩვენებების გათვალისწინებით.

ამ მთის კავკასიურ ენათაგან ამ ორმოცდაათი წლის წინათ არც ერთი არ იყო შესწავლილი იმ დონეზე, რაც ქართულისათვის გვქონდა; ზოგიც საერთოდ შეუსწავლელი იყო.

6. ქართულის ისტორიისათვის მთის კავკასიურ ენათა მონაცემების მოხმობის საჭიროება გათვალისწინებული ჰქონდა იმთავითვე ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელს ივ. ჯავახიშვილს; მისი რექტორობის დროს 1924 წ. მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა აფხაზური ენის კურსი და საამისოდ მოწვეული იყო დიმ. გულია.

ივ. ჯავახიშვილმა შემდგომში კაპიტალური შრომა უძღვნა ქართული ენის ნათესაობას მთის კავკასიურ ენებთან.

გამოკვლევა დაფუძნებული იყო არსებული სპეციალური ლიტერატურის ანალიზზე. დიდი მონოგრაფია „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ 1937 წ. გამოვიდა.

ივ. ჯავახიშვილი იკვლევდა აგრეთვე დიდმნიშვნელოვან პრობლემას, რასაც გულისხმობს ქართულის ურთიერთობა წინა აზიის ძველი ცივილიზაციის ენებთან.

ქართულ-კავკასიურ პრობლემატიკას დიდი ადგილი ეკავა ნიკო მარის იაფეტური თეორიის ევოლუციის ერთ პერიოდში (1908-1920 წწ.), არა ერთი შრომაც მიუძღვნა ნ. მარმა სათანადო საკითხს მისი ნიჭისა და დიდი ინტუიციის შესაფერისი, მაგრამ შემდეგში ნ. მარმა ენის ისტორია პალეოლოგიით შეცვალა და თავისი წინანდელი გატაცება „ძველი, დრომოჭმული ფორმალური რეაქციული ენათმეცნიერებისათვის“ გადახდით ხარკად მიიჩნია. ხოლო ენათა წარმოშობითი ნათესაობა კი ნ. მარმა რასობრივ თეორიად გამოაცხადა, ე. ი. ისეთ საკითხად, რომელსაც არ შეიძლება იკვლევდეს საბჭოთა სპეციალისტი.

7. ქართულისა და მთის კავკასიური ენების შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს უცხოეთშიც: პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, დემოკრატიულსა და ფედერაციულ გერმანიაში, ნორვეგიასა და ჰოლანდიაში, საფრანგეთსა და ინგლისში, შეერთებულ შტატებში... ინტერესი აქ ორგვარია: **ზოგადლინგვისტური** ანდა **კულტურულ-ისტორიული**.

1936 წ. ახალი ქართული ენის ორიგინალური კურსი გამოაქვეყნა ნორვეგიელმა ქართველოლოგმა ჰანს ფოგტმა. მანვე 1971 წ. გამოსცა ქართული ენის გრამატიკა (ორივე ფრანგულ ენაზე). ავტორს ქართულის თავისებური სტრუქტურა აინტერესებდა.

1930 წ. გერმანულ ენაზე გამოვიდა გერჰარდ დეეტერსის ვრცელი გამოკვლევა „ქართველურ ენათა ზმნა“. წიგნი მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა უღვლილების ისტორიის თვალსაზრისით.

მაგრამ წიგნი გამოსცა ინდო-გერმანული ენების „ინსტიტუტმა“. რატომ? რედაქტორის პროფ. ჰ. იუნკერის წინასიტყვაობაში ნათქვამია: არა-ინდოგერმანული — უნგროფინური და კავკასიური ენები ჩვენთვის საინტერესოა ინდოგერმანულ ენათა ისტორიის რთული საკითხების გარკვევის თვალსაზრისითაო.

ეტირუსკოლოგიამ, აგრეთვე მცირე აზიის ძველი ენების კვლევამ კავკასიურ ენათა სამყარო ბოლო წლებში ძლიერ წამოსწია წინაო.

ამ კონტექსტში ბასკურის აქტუალურობაცაა ნახსენები.

უფრო ადრე, 1914 წელს ად. დირი წერდა: კავკასიური ენები გარდამავალი საფეხურია, ერთის მხრით, ინდოევროპულსა და ქამიტურ-სემიტურ ენებს შორის, მეორე მხრით, აქ გაკვრით შეიძლება ვახსენოთ, რომ კავკასიურ ენათა კვლევა, ალბათ, შუქს მოჰფენს ისეთი ენების საკითხს, როგორცაა ბასკური, შუმერული და მცირე აზიის ძველი იდიომებიო...

8. ამრიგად, ქართულის წარმომავლობის საკითხი ორი წრის პრობლემებს აღძრავს: ერთია ქართულ-კავკასიური ურთიერთობა, მეორე — მთლიანად იბერიულ-კავკასიურის ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობა ცოცხალ ბასკურთან და წინა აზიის ძველ არაინდოევროპულ და არასემიტურ ენებთან (ურარტულ, ჰურიტულ, პროტოხეთურთან, პირველ რიგში, შემდეგ კი ელამურსა და შუმერულთან).

პირველი საკითხი — იბერიულ-კავკასიურ ენათა **შინაგანათესაობას** ეხება, მეორე — **გარე ნათესაობას**.

პირველი პრობლემის გადაწყვეტა უცილობელ წინაპირობას შეადგენს მეორე პრობლემის მეცნიერულად დასმა-გადაწყვეტისათვის.

იბერიულ-კავკასიური ენები არქაული სტრუქტურის ენებია.

ჯერ კიდევ 1864 წ. ფრ. მიულერმა ბასკურიცა და კავკასიური ენებიც რელიქტურ ენებად, ე. ი. გადმონაშთად მიიჩნია: ძველად მეტნი

უნდა ყოფილიყვნენ და კავკასიის ფარგლებს გარეთაც გავრცელებულიო.

მაგრამ ეს გადმონაშთი ამჟამად 32 ენას ითვლის. აქედან 20 უმწერ-  
ლოა... დიდი წილი იმდენად არ იყო შესწავლილი, რომ მეთოდური შედა-  
რება შესაძლებელი გამხდარიყო და განვითარების ისტორია თუნდაც მთა-  
ვარ ხაზებში წარმოგვედგინა.

ისიც ცხადი იყო, რომ ერთეული მკვლევარები ზღვა მასალას, მას-  
თან მეტად ჭრელს, თავს ვერ გაართმევდნენ.

თბილისის უნივერსიტეტის აღდგენისას 1933 წ. იანვარში დაარსდა  
კავკასიურ ენათა კათედრა, სექტემბრიდან ფილოლოგიურ ფაკულტეტზე  
ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება. დამუშავდა სპეციალური სა-  
სწავლო გეგმაც.

1936 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტი-  
ტუტში შეიქმნა მთის კავკასიურ ენათა განყოფილება. იგი კომპლექტდე-  
ბოდა კავკასიურ ენათა განყოფილების მეშვეობით.

1937-1977 წლების მანძილზე კავკასიურ ენათა განყოფილებას ჰქონ-  
და 41 გამოშვება ქართულ ჯგუფისა და 27 გამოშვება მთიულური  
ჯგუფისა (იგი 1946 წელს ჩამოყალიბდა).

კავკასიურ ენათა განყოფილება დაამთავრა 421 კაცმა. აქედან სამეც-  
ნიერო-კვლევითსა თუ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა 144 კაცი.

მათგან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვს 86 კაცს, ფილოლო-  
გიურ მეცნიერებათა დოქტორია 27.

მუშაობენ ისინი (ამასთან არა მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათ-  
მეცნიერებაში) ჩვენს უნივერსიტეტში, აკადემიის ჰუმანიტარულ ინსტიტუ-  
ტებში, ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების ინსტიტუტებსა  
და უმაღლეს სასწავლებლებში (ორი დოქტორი, ყაბარდოელი, საკავშირო  
მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც მუშაობს, ორი  
კანდიდატი — იმავე ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალში).

დამუშავდა 15 ენის მთლიანი გრამატიკული ანალიზი, დაბეჭდილია  
13.

გამოიცა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანოს („იბერიულ-კავკა-  
სიური ენათმეცნიერების“) 19 ტომი.

1974 წლიდან მოყოლებული გამოდის „იბერიულ-კავკასიური ენათ-  
მეცნიერების წელიწდეული“ (გამოვიდა 4 ტომი).

„წელიწდეული“ საკავშირო ორგანოა, ჩვენს აკადემიას მისი გამოცე-  
მა დაკისრებული აქვს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ.

1965 წლიდან მოკიდებული ორ წელიწადში ერთხელ იმართება რე-  
გიონალური სამეცნიერო სესიები იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და  
ისტორიის საკითხებზე კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკაში და ავტონომი-  
ურ ოლქში.



9. ჩატარებული მუშაობის ზოგადი შედეგი: 1933 წ. მთის სამი ენის სპეციალისტიდა გყავდა, ახლა ყველა 29 ენის მასალაზე მიგვიწვდება ხელი.

ძირითადი სამეცნიერო შედეგი კიდევ ისაა, რომ გარკვეულია იბერიულ-კავკასიურ ენათა არქეტიპი: სიტყვის ფუძის სტრუქტურა და სახელისა და ზმნის ამოსავალი მორფოლოგიური სტრუქტურა.

დიდი სხვაობა, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ამჟამად არსებობს, მეტწილად მეორეულია: სხვაობა გამოუწვევია იმას, რომ ენათა სხვადასხვა ჯგუფს განვითარების განსხვავებული გზით უვლია. ცვლილა სხვადასხვაგვარი გავლენის შედეგად, რაც განვითარების შინაგანი ტენდენციების შედეგზე თავისებურად მოქმედებდა.

გარე გავლენა გულისხმობს, როგორც მონათესავე ენების გავლენას, ისე უცხო წარმომავლობისა და სხვაგვარი წყობის ენათა გავლენას.

როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდი ცვლილება განუცდია ლექსიკას, მის შედგენილობას. იმ შემთხვევაშიც, როცა საერთო ფუძე დაცულია, ეს ფუძე იმდენად ცვლილა სხვადასხვა ენაში, რომ ცნობა ჭირს<sup>1</sup> და, რაც მთავარია, ცვლის ზოგადი ფონეტიკური კანონზომიერება დაჩრდილულია მიკროპროცესებით, რომელნიც ხშირად ფონეტიკური ცვლის ერთი მეორის საწინააღმდეგო ტენდენციას გამოავლენენ: აბრუპტივიზაცია — დეზაბრუპტივიზაცია, ლაბიალიზაცია — დელაბიალიზაცია, აფრიკატიზაცია — დეზაფრიკატიზაცია და ა. შ.

მიკროპროცესთა ეს თავისებურება ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც საგულისხმო ჩანს.

სახელისა და ზმნის ფუძის დიფერენციაცია იბერიულ-კავკასიურ ენებში მეორეულია. ზმნური ფუძე სახელის ფუძისგან მოდის, რაც ნასახელარ ზმნათა პირველობას მოწმობს.

ფუნდამენტური მორფოლოგიური კატეგორია გრამატიკული კლასებისა და ყველა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენას ახასიათებდა ძველად: შინ-კლასი უპირისპირდებოდა რა კლასს.

დღეს ეს კატეგორია დაუცავს ყველა ნახურ ენას, დაღესტნის 20 ენიდან — ჩვიდმეტს, აფხაზურ-ჩერქეზული ენებიდან კი — მხოლოდ აფხაზურს.

არც ადიღურ ენებს, არც უბიხურს, არც ქართველურ ენებს ეს მორფოლოგიური კატეგორია არ მოეპოვებათ. შინ და რა კატეგორიათა სემანტიკური დაპირისპირება კი ყველგან ერთი და იგივეა, ვინ — მხოლოდ

<sup>1</sup> „გულ“ ფუძე საერთოა ყველა იბერიულ-კავკასიურისათვის: აგუ, გულ, დუოგ, დაკ, რაკ, რაკვა, ურკ, უკ, იკვ.. ოცი ვარიანტი დასტურდება: ზოგ ვარიანტს სხვასთან არც ერთი საერთო ბგერაც კი არ მოეპოვება, იმდენად ცვლილა ამოსავალი თუ საერთო ფუძე კლასნიშნისანი და-გუ.

ადამიანზე ითქმის, რა — ნივთზე, ცხოველზე „რა“ ითქმის.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის დონე ჩვენში უკვე შესაძლებელს ხდის ცალკეულ ჯგუფთა სისტემატური ისტორიულ-მედარებითი ანალიზი (გრამატიკა) იყოს დაწყებული, დაწყებულიც არის აფხაზურ-ჩერქეზულსა და ნახურ ენებში.

ამრიგად, ზოგი რამ გაკეთდა.

10. მეტიც შეიძლებოდა გაკეთებულიყო, „უამინდობა“ რომ არა.

ჯერ იყო და, ენათა ისტორიულ-გენეზისური ნათესაობის საკითხი საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის უცხოდ, იდეოლოგიურად მიუღებლად, ე. ი. უკანონო საკითხად იყო გამოცხადებული ნ. მარის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“, შემდეგ ამ მოძღვრების მიმდევართა მიერ და ეს გრძელდებოდა 20 წელზე მეტს, 1950 წლის დისკუსიამდე.

წინათ ნ. მარი თვითონ იკვლევდა ქართულისა და მთის კავკასიური ენების ნათესაობას, მაგრამ ნ. მარის მიმდევრები გვეუბნებოდნენ: ესაა ძველი, საბჭოთა პერიოდამდელიო. ის უარყო თვითონ ავტორმა, თქვენ კი ამ ძველს იღებთ, ახალს, საბჭოთა პერიოდში შექმნილს ნ. მარის მიერ არ სცნობთო (ივ. მეშჩანინოვი).

ბოლოს, 1949 წ. 29 ივლისს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საგანგებო დადგენილებაც მიიღო ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება მატერიალისტური მარქსისტული მოძღვრებააო“ და შეაჩვენა, ვინც ამ მოძღვრებას არ ეთანხმებოდა (დასახელებული იყვნენ: ვ. ვინოგრადოვი, არნ. ჩიქობავა, ა. ფრეიმანი, მ. პეტერსონი, ა. რეფორმატსკი...).

1950 წლის დისკუსიის შემდეგ ვითარება შეიცვალა; „ახალი მოძღვრება“ იმავე აკადემიამ უფრო შესაფერისად შეაფასა, ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერება უფლებებში აღდგა.

მისმა დაცვამ კი ბევრი დრო და ენერგია წაიღო, რაც საქმეს შეიძლებოდა და უნდა მოხმარებოდა.

11. 1954 წელს ახალმა საენათმეცნიერო მართებლობამ შემოგვტივა: იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა სარწმუნო არააო. იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი კი წინა აზრის ძველ ენებთან მავნე საკითხია. კავკასიის მცოდნეთა დეზორიენტაციას იწვევსო (ეგვ. ბოკარევი). მეტადრე დემოკრატიული ქვეყნების სპეციალისტები არიან ამის წინააღმდეგო.

დისკუსია წელიწადნახევარს გრძელდებოდა.

ჩვენმა ორიენტალისტებმა დუმილი არჩიეს. უცხოელი სპეციალისტებიდან მხოლოდ ერთმა მიიღო მონაწილეობა, ბულგარელმა ენათმეცნიერმა აკად. ვლადიმერ გეორგიევმა; მისი დებულება იყო: ურარტული, ჰურიტული და პროტოხეთური („ხათური“) კავკასიური ენებიაო, ე. ი. ჩვენ დაგვიჭირა მხარი.

დისკუსია სასარგებლო აღმოჩნდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პრესტიჟისათვის.

ჩვენს საპასუხო წერილში („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ორი ძირითადი საკითხის შესახებ“ — „Вопросы языкознания“, 1955, №6) იბერიულ-კავკასიურ ენათა გარენათესაობის საკითხი (ე. ი. ბასკურთან და წინააზიის ძველ ენებთან ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის პრობლემა) დავიცავით: ეს საკითხი არა თუ არ არის მავნე, არამედ მას აქტუალური მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ თუ უარს ვიტყვით მის დამუშავებაზე, საკითხი ამით არ მოიხსნება, ოღონდ ამის გამო ჩვენი ენათმეცნიერება ჩამორჩება (ისევე, როგორც ჩამორჩა საბჭოთა ენათმეცნიერება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების უარყოფის შედეგად „ახალი მოძღვრების“ ბატონობის დროს-თქო).

ამრიგად, გარენათესაობის პრობლემაც დავიცავით, იბერიულ-კავკასიურ ენათა შინაგანი ნათესაობაც უფრო სარწმუნო გამოჩნდა.

როცა რაიმე მნიშვნელოვანი კეთდება, იშვიათია, რომ წინააღმდეგობა არ შეხვედეს... ეს სამწუხაროდ, ჩვეულებრივია. თავისებურია ჩვენი შემთხვევა იმით, რომ ეს წინააღმდეგობა ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა, მასთან ბრძოლის ისეთი საშუალებებიც გამოუყენებიათ, რაც მეცნიერებისათვის შეუფერებელია, უცხოა.

12. გაკეთებული ცოტა გვაქვს. გასაკეთებელი კი — ბევრი. მაგრამ გეზი სწორია: გაკეთებულს გადაკეთება არ ესაჭიროება, კვლევა-ძიების მიმართულებას — შეცვლა.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა კედლების ამოყვანა, საძირკველი კი მტკიცეა და სეისმურ სიურპრიზებს, ვფიქრობ, გაუძლებს.

საჭიროა ოღონდ თვითკმაყოფილებამ არ დაგვძლიოს და დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

ამით მოიხდიან ქართველი კავკასიოლოგები ვალს ქართული მეცნიერების წინაშე, და ენის შესახებ მეცნიერებაშიც თავის წვლილს შეიტანენ.

## სახელოვან იუბილარს

20 წელი შეუსრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მის იუბილესთან დაკავშირებით მეც, სხვა ამხანაგებთან ერთად, რომელნიც სტუდენტებად მოვიდნენ მასში ამ ოცი წლის წინათ, სტუდენტის განცდები მერევა, ოცი წლის წინანდელ ვითარებას სტუდენტის თვალით ვუყურებ.

დღევანდელ დღესავით ვხედავ იმ ოთახს, სადაც საბუთები წარვადგინე. ეს საბუთები იქვე გადაათვალიერა უნივერსიტეტის საბჭოს მაშინდელმა მდივანმა, აწ. განსვენებულმა პროფ. ი. ყიფშიძემ (ყველასათვის, ვინც მას იცნობდა, და მეტადრე სტუდენტებისათვის სიყვარულით მოსაგონარი, ტკბილი იოსები ახალ შემომსვლელთადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა).

მას, ენათმეცნიერს, ეტყობოდა, არ ეწყინა, რომ განცხადება შემქმნდა საენათმეცნიერო განხრაზე (პირველ კურსზე სულ 4 სტუდენტი ვიყავით ამ განხრაზე, მეორე წლიდან ორნი დავრჩით).

იქვე მომცა დარიგება: ენებს მთავარი ყურადღებაო.

ოთახი, სადაც განცხადებებს იღებდნენ, წიგნთსაცავიც იყო. 1918 წლის სექტემბერში ოთახის ნაწილი ეკავა უნივერსიტეტის წიგნთსაცავს, რომელიც ახლა რამდენიმე ასეულ ათას ტომს შეიცავს და ცალკე შენობას საჭიროებს.

ერთი ფაქტიც: 1918 წლის შემოდგომის სემესტრში მთელი კვირის ცხრილი... 20 საათს შეიცავდა, მთელ ფაკულტეტზე ექვსი დღის განმავლობაში 20 საათი იკითხებოდა.

ასეთი იყო დასაწყისი, ასე ამოიღვა ენა ქართულმა სამეცნიერო აზროვნებამ.

დღეს, 20 წლისთავზე, თბილისის უნივერსიტეტს 9 ფაკულტეტი აქვს, 300-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი ჰყავს, მასში ოთხ ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

დღეს უნივერსიტეტი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელია ჩვენში; მასში გაზრდილი სამეცნიერო ძალები უვლიან ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, სამედიცინო ინსტიტუტს, სამამასწავლებლო ინსტიტუტს...

უნივერსიტეტმა შვა ის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, რომ-

ლებიც მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს ქმნიან.

თბილისის უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის იმ მოწინავე და ძლიერ უნივერსიტეტთა წყებაში ჩადგა, რომელთაგან არც ერთს არა აქვს საუკუნეზე ნაკლები ისტორია.

თბილისის უნივერსიტეტი ქართული კულტურის უდიდესი ფაქტორია.

თბილისის უნივერსიტეტის ზრდაში მოსჩანს ქართული კულტურის ზრდა-განვითარება; უნივერსიტეტის იუბილე იმ გამარჯვებათა შეჯამებაა, რომელიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის შედეგად.

20 წლის წინათ იგი დიდი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის თაოსნობამ და უანგარო თავდადებულმა საქმიანობამ შექმნა. მადლობას უძღვნის მას ყველა, ვისთვისაც ჩვენი ხალხის კულტურული წინსვლა ძვირფასია. ღრმა მადლობას უძღვნის მას იმ სტუდენტთა წყებაც, რომლებიც ამ უნივერსიტეტის მსმენელები იყვნენ მისი არსებობის პირველ წლებში და დღეს თავს აღმზრდელ უნივერსიტეტში თანამშრომლობენ.

გაზ. „მუშა“, 1938, 29 მაისი, გვ. 3

## გვანსოვდეს და ვაფასებდეთ

1. მთავარია პირველი შთაბეჭდილება... უნივერსიტეტში შევედი 1918 წლის სექტემბერში (უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს); ჩემი მატრიკულის ნომერია 536... ომიანობა იყო (პირველი მსოფლიო ომი 1918 წლის დამლევსდა შეწყდა). ლექციები ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიწყო. მაშინ მხოლოდ ერთი ფაკულტეტი იყო — სიბრძნისმეტყველებისა (ე. ი. ფილოსოფიისა); მასში შედიოდა ჰუმანიტარული დარგები (ისტორიისა, ლიტერატურისა, ენათმეცნიერებისა, ფილოსოფიისა...) — ერთის მხრივ, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებისა — მეორე მხრივ (ახლა 13 ფაკულტეტი)...

უნივერსიტეტს ეკავა ახლანდელი პირველი კორპუსი (ისიც არამთლიანად). ქართული კერძო გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ქართული კერძო უნივერსიტეტი საინიციატივო ჯგუფის თაოსნობით; ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო ივანე ჯავახიშვილი, დიდი მეცნიერი და მოქალაქე, ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინების მესვეური (იმხანად პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი).

თავისებური იყო სტუდენტთა შედგენილობა: მხედველობაში მაქვს ასაკი; ჩვეულებრივ, გიმნაზიას ამთავრებდნენ 19-20 წლის ახალგაზრდები (ხშირად უფრო მოწიფულნიც). მაგრამ ასაკზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში აბიტურიენტების ასაკი კი არა მაქვს; უნივერსიტეტში ბევრი ისეთი პირიც შემოვიდა, რომელთაც უმაღლესი განათლება უკვე მიღებული ჰქონდათ (მეტწილად რუსეთის უნივერსიტეტებში), და მაინც კვლავ სტუდენტები გახდნენ: უმაღლესი სასწავლებლის კურსები (საგნები) ქართულ ენაზე სურდათ მოესმინათ. აუდიტორიაში ახალგაზრდებთან ერთად ჭაღარა, წვერებიანი მოქალაქეები და ხანშესული მანდილოსნებიც იხსდნენ და ბევრთად იწერდნენ ლექციებს, ახალგაზრდებთან ერთად ემზადებოდნენ პრაქტიკული მეცადინეობისა და სემინარებისათვის. ლექციის ქართულ ენაზე წასაკითხავად ემზადებოდნენ პროფესორებიც, თავისი საგნის ცნობილი სპეციალისტები (მაგალითად, ცნობილი ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, ჩვენი უნივერსიტეტის პირველი რექტორი). ქართულ ენაზე ლექციის წაკითხვა არ იყო ადვილი (ტერმინოლოგია ჭირდა). მთელი რიგი სამეცნიერო დარგი (ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, ფსიქოლოგია...) უნივერსიტეტში პირველად ამეტყველდა ქართულად. ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება

დაიწყო პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. ამის მნიშვნელობას გრძობდნენ პროფესორებიცა და სტუდენტობაც. ყოველი ახალი ლექცია ახალ აზრსა და ახალ სიტყვას მოასწავებდა და ინტერესსაც შესაბამისს იწვევდა.

საყოფაცხოვრებო პირობები მძიმე იყო; რბილად რომ ვთქვათ, ჭირ-და ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა... სტუდენტების მეტი წილი „მსახურობდა“, მუშაობდა, რომ თავი ერჩინა. სტიპენდიასა და საერთო საცხოვრებელზე ლაპარაკიც მეტია. 1920 წელს სტუდენტებს გადაეცა ერთი სასტუმროს შენობა; სტუდენტთა გამგებამ სასადილოც გახსნა (კიროვის ქუჩაზე). სტუდენტი სწავლის ფულს იხდიდა (კერძო უნივერსიტეტს ბიუჯეტი არა ჰქონდა). ლექციები მხოლოდ საღამოობით იყო 5-9 საათზე. უნივერსიტეტის შენობა არ თბებოდა. განათება კერძო თბოელექტროსადგურის შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული; შუქი ხშირად ქრებოდა და ლამფა შემოჰქონდათ... ერთი სიტყვით, ეს იყო 1918 წელი.

აუდიტორიები კი მაინც სავსე იყო (დასწრების აღრიცხვა, რა თქმა უნდა, აზრად არავის მოუვიდოდა უნივერსიტეტში). მძიმე პირობებში პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი, მისი პროფესურა და სტუდენტობა გატაცებით მუშაობდა.

2. განსაკუთრებით ერთი სასაცილო შემთხვევა მაგონდება. სტუდენტის ცხოვრებაში მას რა გამოლევს. აი თუნდაც ასეთი. სოფლიდან გამოვემგზავრე სექტემბრის დამლევს. სადგურ ახალ სენაკში (ახლანდელი ცხაკაია) რკინიგზის სადგურზე ბაგაჟად ჩავაბარე ერთი მოზრდილი წნული კალათა (ჩემოდნის მაგივრობას ეწეოდა). ჩემი ბარგი-ბარხანა შიგ იყო. ქვითარი მომცეს. თბილისის სადგურზე მოვიკითხე. ირკვევა: ბარგი ქუთაისში გაუგზავნიან. ქვითარიც საამისო მოუციანთ, მე კი არხეინად ვგრძობ თავს, დარწმუნებული, რომ ბარგი თბილისში გამოგზავნეს: ქვითარზე არ დამიხედავს! ვიკადრე ქუთაისში გამგზავრება ჩემი საცოდავი ბარგისათვის. ამასობაში პირველი ოქტომბერია და პირველი ლექცია უნდა გავაცდინო! ბედად, სამი დღით გადაიდო შემოდგომის სემესტრის დაწყება და პირველი ლექციაც არ გამიცდა...

საბჭოთა წლებში რა ცვლილება მოხდა სტუდენტების ცხოვრებაში?

ბევრგვარი. მაგრამ მე უნივერსიტეტი 1922 წლის ივნისში დავამთავრე. სწავლის ფული გაუქმდა და ეს საგრძნობი იყო. სხვა მხრივ ცვლილებები მე არ მომსწრებია.

3. რას ვუსურვებდი უნივერსიტეტს? ვუსურვებდი: ჩვენი უნივერსიტეტი იყოს ისეთი, როგორიც შეეფერება საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს; მასში სწავლობდეს ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც ყველაზე უფრო არის ამის ღირსი: ცოდნა-მომზადებითაც და კაცობითაც; უნივერსიტეტში კურსდამთავრებული იყოს არა მხოლოდ დიპლომის პატ-

რონი, არამედ უმაღლესი განათლებით აღჭურვილი მოქალაქე, საზოგადოების ღირსეული წევრი (და არა ხელეჩო, რომ მუდამ თავისკენ თლის და „კეთილი ცხოვრების უნარი“ აქვს ყოველგვარი საშუალებით)...

და კიდევ: ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტსა და ლექტორს არაოდეს დავიწყებოდეს, რა მნიშვნელობაც აქვს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას (რევოლუციამდელ რუსეთში ეს წარმოუდგენელი იყო!), არაოდეს დაივიწყოს ეს და ჯეროვნად აფასებდეს! თორემ შევეჩვიეთ და არ ვაფასებთ...

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“,  
1967, 2 დეკემბერი, გვ. 2



## თბილისის უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება

**ზოგი რამ ისტორიიდან.** მიმდინარე წლის 26 იანვარს შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, პირველი უნივერსიტეტი ქართული კულტურის ისტორიაში. უნივერსიტეტი დაარსდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით; საქმის მოთავე და სულის ჩამდგმელი **ივანე ჯავახიშვილი** იყო.

უნივერსიტეტი თავისებურ უმაღლეს სასწავლებელს გულისხმობს: უნივერსიტეტში გვაქვს ერთობლივ როგორც ჰუმანიტარული, ისე მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (ლათინური *universitas* „ერთობლიობა“, „კომპლექსი“).

ძველ საბერძნეთსა და რომში უნივერსიტეტები არ ყოფილა. უნივერსიტეტები შუა სუკუნეებში შეიქმნა — იტალიაში, ინგლისში, საფრანგეთში...

ყველაზე ძველ უნივერსიტეტად ითვლება უნივერსიტეტი ბოლონიაში (იტალია, 1152 წ.), შემდეგ მოდის ოქსფორდის უნივერსიტეტი (1168 წ., ინგლისში), პარიზის უნივერსიტეტი (1200 წ.), ნეაპოლისა (1224 წ.), კემბრიჯისა (ინგლისში, 1229 წ.)... პრატისა (ჩეხეთში, 1358 წ.), კრაკოვისა (პოლონეთში, 1364 წ.), ვენისა (1365 წ.), ჰაიდელბერგისა (გერმანიაში, 1386 წ.), ლაიფციგისა (გერმანიაში, 1409 წ.), ფრაიბურგისა (გერმანიაში, 1457 წ.)...

ყველა ამ უნივერსიტეტში სწავლება **ლათინურ** ენაზე იყო — იტალიაშიც, ინგლისშიც, საფრანგეთსა თუ გერმანიაში...

შუა საუკუნეებში უნივერსიტეტები საკორპორაციო წესზე იყო აგებული. უნივერსიტეტში ჩვეულებრივ ოთხი ფაკულტეტი არსებობდა: ზოგად-საგანმანათლებლო (სადაც „შვიდი ხელოვანება“ ისწავლებოდა: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა; არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა): ეს ფაკულტეტი საშუალო სკოლის მაგეირობას ეწეოდა: ვინც ამ „ფაკულტეტს“ დაამთავრებდა, აგრძელებდა სწავლას ან თეოლოგიურ (ანუ ფილოსოფიურ), ანდა სამედიცინო, ან კიდევ იურიდიულ ფაკულტეტებზე (ბოლონიის უნივერსიტეტს სახელი მოუხვეჭა იურიდიულმა ფაკულტეტმა, ვენის უნივერსიტეტი ცნობილი გახდა სამედიცინო ფაკულტეტით...).

რუსეთის ყველაზე ძველი უნივერსიტეტი, მოსკოვისა, 1755 წ. დაარ-

სდა (ორასი წლის იუბილე 1955 წელს გადაიხადა); 1803 წლიდან არსებობს ვილნიუსის უნივერსიტეტი, 1804 წელს გაიხსნა ტარტუს და ყაზანის უნივერსიტეტები, 1805 წელს — ხარკოვისა, 1819 წელს — ლენინგრადისა, 1834 წელს — კიევისა და ა. შ.

მეფის რუსეთში 1917 წელს 11 უნივერსიტეტი არსებობდა. საბჭოთა კავშირში ამჟამად უნივერსიტეტთა რიცხვი ოთხ ათეულს აჭარბებს.

მეფის რუსეთში არა ერთხელ აღუძრავთ საკითხი თბილისში, როგორც კავკასიის სამეფისნაცვლის ცენტრში, უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თაობაზე. სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ პირველი ასეთი ცდა 1857 წელს ეკუთვნის: მეფისნაცვლის ბარიათინსკის დავალებით კავკასიის ოლქის მზრუნველს ბარონ ნიკოლაის შეუდგენია ლ ი ც ე უ მ ი ს პროექტი; ლიცეუმი ორი ფაკულტეტი უნდა ყოფილიყო: იურიდიულ-პოლიტიკური და მათემატიკური (გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი, 1948 წ., გვ. 15). ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

1861 წელს, ალექსანდრე II-ის ქუთაისში ყოფნისას, შემდეგ 1871 წელს ალექსანდრე II-ის კავკასიაში ყოფნისას უმაღლესი სასწავლებლის გახსნა უთხოვიათ მეფისათვის. მესამედ, 1880 წელს — ალექსანდრე II-ის მეფობის 25 წლის თავზე... კვლავ 1901 წელს — ნიკოლოზ II-ის დროს, — რუსეთთან შეერთების 100 წლის თავზე — უთხოვიათ — უშედეგოდ.

მეფის მთავრობა შიდა რუსეთშიც კი (მაგალითად, ვორონეჟში) „თავს იკავებდა“ უმაღლესი სასწავლებლის, მეტადრე უნივერსიტეტის გახსნისაგან — კრამოლას გააძლიერებსო! კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნას როგორღა მისცემდა დასტურს?!

1912 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ინსტიტუტის გახსნის თაობაზე უშუამდგომლია (სასოფლო-სამეურნეო, ქიმიური, მექანიკური და ეკონომიკური განყოფილებებით). ამის თანხმობა მიუღიათ... პროექტიც განუხილავთ, სახელმწიფო სათათბიროშიც წარუდგენიათ (1914 წელს) და იმავე წლის 4 მაისს პოლიტექნიკუმის შენობისათვის საძირკველიც ჩაუყრიათ (გ. გამყრელიძე, იქვე, გვ. 23).

თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მუშაობა დაუწყია 1917 წელს (იქვე, გვ. 30).

ეს იყო სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, რუსეთის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, სწავლებაც მხოლოდ რუსულ ენაზე იყო.

თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა, როგორც **ქართული** უნივერსიტეტი, და იგი შეიძლება ყოფილიყო მაშინ (1917 წელსაც და 1918 წლის იანვარშიც!) მხოლოდ **კერძო** უნივერსიტეტი.

ეს გარემოება უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, როცა ვლაპარაკობთ, თბილისის უნივერსიტეტის გახსნა ითავა ივანე ჯავახიშვილმაო: საქმე მართო ის კი არ იყო, რომ საკითხი აღედრათ — დაესაბუთებინათ,

უნივერსიტეტი საჭიროაო, ანდა პროექტი შეედგინათ — უნივერსიტეტში ესა და ეს ფაკულტეტები უნდა იყოს, მუშაობა უნივერსიტეტში ასე და ასე წარმართოსო, ერთი სიტყვით, განმარტებითი ბარათი შეედგინათ და უნივერსიტეტის დებულება დაემუშავებინათ.

პატარა საქმე არც ეს გახლდათ. და მაინც ამოცანა გაცილებით უფრო რთული იყო: **ვინ** უნდა ასწავლოს? პროფესორ-ლექტორთა პირველი შემადგენლობა ვინ უნდა იყოს, როგორ დაიქვინოს?

**სად** უნდა იმუშაოს უნივერსიტეტმა? ბიბლიოთეკა-ლაბორატორიები როგორ შეიქმნას?

რა **სახსრებიდან** გაიცეს პროფესორ-ლექტორთა გასამრჯელო, ანდა სხვა ხარჯები რით დაიფაროს?

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტის პირველსავე რიცხვებში შედგა პეტროგრადში (აწინდელ ლენინგრადში) თათბირი ივ. ჯავახიშვილის ბინაზე (თათბირს დასწრებიან: იოსებ ყიფშიძე, შ. ნუცუბიძე, აკ. შანიძე, სილიბისტრო ლომია, ელენე ჩიჯავაძე... გ. გამყრელიძე, იქვე, გვ. 31):

ამას მოჰყვა საჯარო სხდომები, საჯარო მოხსენებები — უნივერსიტეტის შესახებ ივანე ჯავახიშვილისა (თბილისში 1917 წ., 12 მაისს, ქუთაისში — 17 მაისს), დაარსდა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“, დამუშავდა საზოგადოების წესდება, საზოგადოებამ დაიწყო ზრუნვა სახსრების შეგროვებაზე...

უნივერსიტეტის პროექტი, განხილული და მიღებული უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ, სათანადო განმარტებითი ბარათითურთ წარედგინა „ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს“ („ოზაკომ“-ს, ეს იყო „დროებითი მთავრობის“ წარმომადგენელი ამიერკავკასიაში!)... კომიტეტმაც პროექტი „დროებითს მთავრობას“ გაუგზავნა... (იქვე, 33-36)...

უნივერსიტეტის პროექტი დასკვნისათვის დროებითმა მთავრობამ გადასცა აკად. ნიკო მარს, როგორც კავკასიისმცოდნეობის საკითხებში უდიდეს ავტორიტეტს.

ბ. მარის დასკვნა არსებობს (ვრცელი სტატია "О Кавказском университете в Тифлисе" დაიბეჭდა რუსეთის აკადემიის მოამბეში, "Известия Акад. Наук", 1918, გვ. 1496-1516): თბილისის ქართული უნივერსიტეტი თუ შეიქმნება, უნდა გადაუდებლივ გაიხსნას „კავკასიის უნივერსიტეტიც“, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტიო.

ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლები ივ. ჯავახიშვილი, იოს. ყიფშიძე, ა. შანიძე პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილები იყვნენ, და იმ სკოლიდან გამოვიდნენ, რომელსაც ნიკო მარი ხელმძღვანელობდა.

ხელმძღვანელმა, რბილად რომ ვთქვათ, არ დაუჭირა მხარი იმ დიდ საქმეს, რაც მის ხელმძღვანელობით აღზრდილებმა წამოიწყეს.

ცნობილი ქართველოლოგი ნ. მარი ქართული უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ გამოვიდა, როცა მის მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართულ უნივერსიტეტს კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსული უნივერსიტეტი დაუპირისპირა. მოწაფეები წამივიდნენ, იაფეტური თეორია დაზარალდაო! „მე“ წინ დადგა, „ჩვენ“ დავიწყებას მივცა.

საბჭოთა წლებში არ დარჩენილა არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, რომ იქ უნივერსიტეტი არ გაეხსნათ, მაგრამ ეს იყო შემდეგ (და არა 1918 წელს)! უნივერსიტეტების გახსნა უკვე სახელმწიფო ღონისძიება იყო და არა — კერძო ინიციატივის შედეგი.

როცა საქმე გამარჯვებით მთავრდება, მობანე და ტაშისმცემელი საბედძარი არაა. როცა რთული მდგომარეობა ან გაურკვეველი, მხარის დაჭერით თავს ძნელად თუ ვინმე შეიწუხებს ჩვენში.

ქართული კულტურის, ქართული მეცნიერული აზროვნების მომავლის დიდი და მტკიცე რწმენა იყო საჭირო, რომ ისეთ ვითარებაში, როგორც მაშინ იყო, კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრათ უნივერსიტეტის მოთავეებს.

„ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შორის, მეცნიერნიც კი, — წერდა ივ. ჯავახიშვილი 1938 წელს, უნივერსიტეტის ოცი წლის თავთან დაკავშირებით, — რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველებისთვისაცვე დამღუპველად ჰქონდათ პრესაშიც კი აღიარებული. კულტურული დაქვეითების მეტი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელიო და იმავე დროს იგი პეტერბურგში (აწ ლენინგრადში) დიდი გაჭირვებითა და ხანგრძლივი მუშაობით შექმნილი სომხურ-ქართული ფილოლოგიის ერთადერთი კერის გავერანებას უდრისო“ („კომუნისტი“, 1938, 30 მაისი).

\* \* \*

**ასე იწყებოდა...** 1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა; ფაკულტეტი იყო ერთი: სიბრძნისმეტყველებისა (ანუ ფილოსოფიური). 1918 წლის გაზაფხულის სემესტრზე (1 თებერვლიდან — 12 ივნისამდე) ლექციები იკითხებოდა მხოლოდ ჰუმანიტარულ საგნებში (როგორცაა: საქართველოს ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, მსოფლიო ისტორია, არქეოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფიის შესავალი, ფსიქოლოგია, ენათმეცნიერების შესავალი... და ენები: ძველი ქართული ენა, სანსკრიტი, არაბული, სომხური, სპარსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური...).

ლექციები იკითხებოდა სადამოშობით, ხუთი საათიდან ცხრა საათამდე, უნივერსიტეტის ახლანდელ პირველ კორპუსში.

პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობა 1918 წლის დასაწყისისათვის 18 კაცს ითვლიდა, მათგან შვიდი პროფესორი იყო, დოქტორისა ანდა მაგისტრის ხარისხის მქონე (პეტრე მელიქიშვილი, **ივანე ჯავახიშვილი**, იოსებ ყიფშიძე, ანდრია ბენაშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე და ფილიპე გოგიჩაიშვილი); ხუთი — პროფესორის მოადგილე, მაგისტრანტი (ანდ. რაზმაძე, სიმ. ავალიანი, შალ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე), ორი — მეცნიერი ხელმძღვანელი (იუსტ. აბულაძე, ექვთ. თაყაიშვილი), ოთხი — ლექტორი, ევროპულ ენათა (ელ. ორბელიანისა, არტ. ლაისტი, ილ. ყიფშიძე, ვანდა ღამბაშიძისა).

1918 წელს, უნივერსიტეტის გახსნისას, მაისში 386 სტუდენტი ირიცხებოდა. იმავე წლის სექტემბერში სტუდენტთა რიცხვი რამდენიმე ასეულს უდრიდა (ამ სტრუქტურების ავტორს მატრიკული რომ მიეცა სექტემბერში, მისი ნომერი იყო 536).

დასწრება თავისუფალი იყო: არავინ კითხულობდა, ვინ მოვიდა ლექციაზე, ვინ არ დასწრებია (სიის ამოკითხვა უნივერსიტეტისათვის დიდ ხანს იყო უცხო).

და მაინც აუდიტორიები სავსე იყო. სტუდენტთა შემადგენლობა ასაკობრივ თავისებურად გამოიყურებოდა: ორმოცი წლისა თუ მეტი ხნის მსმენელი, ხანში შესული ჭადარა სტუდენტი არც თუ იშვიათი იყო.

მსმენელთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც მიღებული ჰქონდათ უმაღლესი განათლება, და მაინც ჩაირიცხნენ სტუდენტებად, რომ ქართულ ენაზე მოესმინათ სავნები.

ამჟამად თბილისის უნივერსიტეტში რამდენიმე ათასი სტუდენტი სწავლობს 14 ფაკულტეტზე: იმდენი ფაკულტეტი გვაქვს, რამდენიც პროფესორი და პროფესორის მოადგილე გვყავდა უნივერსიტეტის გახსნისას.

გასული 50 წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არაერთი სამეცნიერო მიმდინარეობა — მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ავტორიტეტიც ამას შეესაბამება.

პაწაწინა ნაკადული, ძლივს შესამჩნევი სათავეში, იქცა მდინარედ, რომელიც უნივერსიტეტთა რუკაზე ჯეროვნად აისახება.

\* \* \*

მაგრამ თბილისის უნივერსიტეტის ზრდა-განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, თუ რამდენი ფაკულტეტი ჩამოყალიბდა უნივერსიტეტში, რამდენი სპეციალისტი მოუშადა მან ქვეყანას, რამდენი პროფესორი მუშაობს მასში და რა სამეცნიერო ავტორიტეტი აქვს უნივერსიტეტს მოპოვებული.

თბილისის უნივერსიტეტის წიაღში ჩაისახა საბჭოთა საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი:

**პოლიტექნიკური ფაკულტეტის** საფუძველზე 1928 წელს შეიქმნა ინდუსტრიული ინსტიტუტი (ამჟამად — პოლიტექნიკური ინსტიტუტი და რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი).

**აგრონომიული ფაკულტეტის** ნიადაგზე 1930 წელს შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

**სამკურნალო ფაკულტეტის** საფუძველზე ჩამოყალიბდა 1930 წელს სამედიცინო ინსტიტუტი, შემდეგ — ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტიც და ქიმია-ფარმაცევტული ინსტიტუტიც.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაარსდა 1933 წელს, როგორც უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის გამონაყოფი და ა. შ.

საქართველოს მეცნიერებათა **აკადემიის დაარსებაც** 1941 წელს **შეუძლებელი** იქნებოდა, უნივერსიტეტს რომ საამისო ნიადაგი არ მოემზადებინა: თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არა ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც ამჟამად ჩვენი აკადემიის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებს წარმოადგენენ.

ასეთებია: მათემატიკის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, გეოლოგიის ინსტიტუტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი... უნივერსიტეტში მომზადდა აგრეთვე კადრები სხვა დარგებისთვისაც.

როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა 1941 წელს, პირველი შემადგენლობის **16 ნამდვილი წევრიდან 13 წევრი** თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

უნივერსიტეტის მუშაობა ქართულ ენაზე **საუნივერსიტეტო კურსების დამუშავებას** გულისხმობდა.

ამისათვის კი სხვადასხვა დარგის **ტერმინოლოგია** უნდა შექმნილიყო. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავებას ჩაეყარა საძირკველი.

თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა პირველი **საუნივერსიტეტო კურსები** მეცნიერებისა და ტექნიკის, აგრონომიისა და მედიცინის ყველა ძირითად დარგში: ქართულად ამეტყველდა უმაღლესი მათემატიკა და ფიზიკა, ფიზიოლოგია და გეოლოგია, ქიმია და ბოტანიკა, მასალათა გამძლეობა და პათოლოგიური ფიზიოლოგია...

ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ **საუნივერსიტეტო კურსები ქართულად იკითხება**. შევეჩვიეთ იმდენად, რომ გვიჭირს იმის გათვალისწინება, რამდენად ძნელი იყო ეს მაშინ, გვაგიწყდება ისიც, თუ რა დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა ამას ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებისათვის.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, პირველი **ქართული** უნივერსიტეტის შექმნა მოასწავებდა **ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას**. ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით ესაა ყველაზე არსებითი.

უნივერსიტეტის ფუძემდებლის **ივანე ჯავახიშვილის** სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ქართული უმაღლესი განათლებისა და ქართული კულტურის განვითარების ეს ჭეშმარიტად სახალხო საქმე, დიდი საქვეყნო საქმე.

ჟ. „ცისკარი“, 1968, №10, გ.ვ. 121-125.

## Тбилисский университет и возрождение грузинской научной мысли

26 января текущего года исполнилось пятьдесят лет со дня открытия Тбилисского университета, первого университета в истории грузинской культуры. Он был основан по инициативе группы грузинских ученых; его организатор – *Иванэ Джавахишвили*.

Под словом **университет** подразумевается своеобразное высшее учебное заведение, в котором наряду с гуманитарными изучаются математические и естественные науки.

В древней Греции и Риме университетов не было. Они возникли в средние века – в Италии, Англии, Франции...

Самым старым считается университет в Болонье (Италия, 1152 г.), затем Оксфордский (Англия, 1168 г.), Парижский (1200 г.), Неаполитанский (1224 г.), Кембриджский (Англия, 1229 г.), Пражский (Чехословакия, 1358 г.), Краковский (Польша, 1364 г.), Венский (Австрия, 1365 г.), университет в Гейдельберге (Германия, 1368 г.), Лейпцигский (Германия, 1409 г.), Фрейбургский (Германия, 1457 г.)...

Во всех этих университетах занятия велись на латинском языке.

Университеты средних веков были созданы на корпорационных правах. В них обычно бывало по четыре факультета: общеобразовательный, на котором изучалось "семь искусств": грамматика, риторика, диалектика, арифметика, геометрия, астрономия, музыка, – как бы заменял среднюю школу. Студент, закончивший этот факультет, продолжал учебу на технологическом (или философском), медицинском или же юридическом факультетах.

Примечательно, что какая-либо отрасль науки преподавалась в том или ином университете на особенно высоком уровне. Так, например, Болонский университет прославился своим юридическим факультетом, Венский – медицинским...

Самый старый университет в России – Московский – основан в 1755 году; с 1803 года существует университет в Вильно, в 1804 году открылись университеты в Тарту и Казани, в 1805 году – в Харькове, в 1819 году начал работать Петербургский университет, в 1834 году – открылся университет в Киеве...

В царской России в 1917 году существовало одиннадцать университетов. Сегодня в Советском Союзе их насчитывается около сорока.

До революции не раз поднимался вопрос об основании университета в Тбилиси, в центре Кавказа.

В специальной литературе указывается, что первая такая попытка относится к 1857 году. По поручению наместника царя Барятинского попечитель



Кавказского округа барон Николай составил проект лицеума; в нем должно было быть два факультета: юридико-политический и математический. Опыт, однако, не удался.

В 1861 году, в бытность Александра II в Кутаиси во второй приезд царя на Кавказ в 1871 году его просили содействовать открытию высшего учебного заведения в Грузии. В третий раз ходатайствовали об этом в 1880 году, в годовщину 25-летия его царства, не безрезультатно.

Царское правительство и в самой России воздерживалось от организации новых высших учебных заведений и тем более университетов, опасаясь, что они усилят "крамолу", так что молчание царя в ответ на многочисленные просьбы было вполне естественно и закономерно.

В 1912 году наместник царя на Кавказе Воронцов-Дашков выступил ходатаем основание в Тбилиси политехнического института с отделениями: сельского хозяйства, химии, механики и экономики. Согласие получили, даже рассмотрели проект, представили его в 1914 году в Государственную Думу и в том же году заложили фундамент здания. В 1917 году Тбилисский политехнический институт начал работать.

Это было специальное высшее учебное заведение России, обучение в нем велось на русском языке.

Тбилисский университет был основан как грузинский, но тогда (в 1917 году) он мог существовать только как частный университет.

Мы должны учитывать это обстоятельство, когда говорим, что Иванэ Джавахишвили возглавил работу по его основанию: дело было не только в том, чтобы поставить и обосновать вопрос о необходимости университета или представить проект его факультетов и направления их работы, одним словом, вопрос сводился не к составлению *объяснительной записки и разработки университетского положения*, хотя и это имело немаловажное значение, – задача была куда более сложной: *кто* должен преподавать? Как найти и определить профессорско-преподавательский состав нового университета?

*Где* должен работать университет? *Как* создать библиотеку, лаборатории?

Из *каких* средств выдавать гонорар лекторам или *чем* покрывать другие расходы?

После Февральской революции в первых же числах марта 1917 года в Петрограде на квартире Иванэ Джавахишвили состоялось совещание. В нем приняли участие И. Кипшидзе, Ш. Нуцубидзе, Ак. Шанидзе, С. Ломиа, Елена Чиджавадзе и Г. Гамкрелидзе.

После этого в Тбилиси и в Кутаиси в мае того же года Иванэ Джавахишвили публично выступил с докладом по вопросу создания университета. Вскоре было основано "Общество грузинского университета", разработан его устав, начался сбор средств...

Проект университета, рассмотренный и принятый "Обществом", с соответствующей запиской был представлен "Закавказскому чрезвычайному комитету" – Озаккому, – представительству Временного правительства в Закавказье... Озакком переслал проект Временному правительству, которое передало его для заключения академику Николаю Марру, как авторитетнейшему

ученому в области кавказоведения.

Заключения Н. Марра существует. Эта обширная статья "О кавказском университете в Тифлисе" опубликовано в Вестнике Российской Академии ("Известия Академии наук", 1918 г., стр. 1496-1516).

Основатели тбилисского университета – Ив. Джавахишвили, И. Кипшидзе и А. Шанидзе были воспитанниками Петербургского университета и вышли из той школы, которой руководил Н. Марр.

В годы советской власти не осталось союзной республики, где бы не открылся национальный университет, но это произошло позже (а не в 1918 году)!

Открытие университета стало уже государственным мероприятием, а не результатом частной инициативы.

Когда начатое дело венчается успехом, в хоре голосов славословящих нет недостатка. А когда положение сложное или неясное, едва ли кто обеспокоит себя и поддержит его, во всяком случае, сделать это стоит немалых усилий.

Надо было иметь великую, непоколебимую веру в будущее грузинской культуры, в будущее грузинской научной мысли, чтобы в тех обстоятельствах и в то время взять на себя ответственность организации частного университета. Ведь были и такие, – писал И. Джавахишвили в связи с двадцатилетием университета в 1938 году, – которые весь этот план и начатое дело считали погибельным для самих грузин и даже писали об этом в прессе, заявляя, что от осуществления этого плана нечего ждать, кроме как упадка грузинского научного мышления, и в то же время он, – этот план, – равен уничтожению очага армяно-грузинской филологии, созданного в Петербурге с таким трудом и долгой работой" ("Комунисти", 1938, 30 мая).

26 января 1918 года открылся грузинский университет с единственным факультетом – философским, в летний семестр (с 1 февраля по 12 июня). Лекции читались только по гуманитарным предметам: истории Грузии, истории грузинского права, всемирная история, археология, политическая экономия, введение в философию, психология, введение в языкознание. Преподавались языки: древнегрузинский, санскрит, арабский, армянский, персидский, французский, немецкий, английский...

Лекции проводились по вечерам с пяти до девяти часов в помещении нынешнего первого корпуса университета.

Профессорско-преподавательский состав к началу учебного года насчитывал 18 человек, среди них семь профессоров, имеющих степень доктора или магистра (П. Меликишвили, И. Джавахишвили, И. Кипшидзе, А. Бенашвили, К. Кекелидзе, Д. Узнадзе и Ф. Гогичайшвили), пять заместителей профессоров, магистрантов (А. Размадзе, С. Авалиани, Ш. Нуцубидзе, Г. Ахвледиани, Ак. Шанидзе), два научных руководителя (Ю. Абуладзе и Э. Такайшвили), четыре лектора, преподавателя европейских языков (Е. Орбелиани, А. Лайст, И. Кипшидзе, В. Гамбашидзе).

В 1918 году к началу занятий в университете было зачислено 386 студентов. В сентябре того же года их число увеличилось (в сентябре 1918 года ав-

тору этих строк выдали матрикул за номером 536).

Посещение было свободным: никто не спрашивал, присутствует или же нет такой-то студент на лекциях, журнал не заводился довольно долгое время, и все же аудитории всегда были переполнены. Весьма своеобразно выглядел и возрастной состав студенчества: слушатель сорока или более лет, пожилой студент был явлением не таким уж редким.

Были среди слушателей и люди с высшим образованием, но все же поступившие в университет с целью изучить предмет на грузинском языке.

В настоящее время в Тбилиском университете, на четырнадцати его факультетах, обучается несколько тысяч студентов. Сейчас у нас столько же факультетов, сколько было профессоров и помощников профессоров в первый год работы университета.

За истекшие пятьдесят лет в Тбилиском университете возникло не одно научное направление в различных областях математических, естественных и гуманитарных наук, и его научный авторитет соответствует его работе.

Маленький ручеек, едва видимый у его истоков, превратился в реку, которая в строгой последовательности изобразилась на карте университета.

\* \* \*

Однако рост и развитие Тбилисского университета примечательны не только тем, сколько открылось в нем факультетов, сколько специалистов выросло в его стенах, сколько в нем работает профессоров и какой он снискал научный авторитет.

*В недрах Тбилисского университета зародились почти все высшие учебные заведения Советской Грузии.*

На основе *политехнического факультета* в 1928 году был создан индустриальный, ныне политехнический институт.

На основе *агрономического факультета* в 1930 году возник сельскохозяйственный институт.

*Лечебный факультет* – явился началом основанного в том же году медицинского института, а затем института усовершенствования врачей и химико-фармацевтического института.

В 1933 году открылся Кутаисский педагогический институт, ответвление педагогического факультета Тбилисского университета.

Основание *Грузинской Академии наук* было бы невозможно, если бы университет не подготовил соответствующей почвы (базы) для его возникновения: в Тбилиском университете был создан не один научно-исследовательский институт. Таковы институты: математики, физиологии, геологии, языкознания, истории, литературы, институт истории искусств. Университет подготовил кадры и для целого ряда других научных учреждений.

Когда в 1941 году открылась Грузинская Академия наук, из 16 действительных членов академии тринадцать были профессорами Тбилисского университета.

Работа университета на грузинском языке подразумевала *разработку университетского курса*. Для этого необходимо было создать на грузинском

языке терминологию различных областей науки. Разработке научной терминологии был заложен прочный фундамент с первых же дней работы университета под руководством и при непосредственном участии И. Джавахишвили.

В Тбилисском университете были созданы первые *университетские курсы* во всех основных областях науки и техники, агрономии и медицины: стало возможным изучать на грузинском языке высшую математику и физику, физиологию и геологию, химию и ботанику, сопротивление материалов и патологическую анатомию...

Основание Тбилисского университета, первого *грузинского* университета, предвещало именно *возрождение грузинской научной мысли*.

С именем основателя нашего университета Иванэ Джавахишвили неразрывно связано развитие высшего образования в Грузии и поистине народное, великое дело развития грузинской культуры.

ქ. "Литературная Грузия", 1968, №1, 83.

## ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს, როგორც დიდმნიშვნელოვან თარიღს ქართული კულტურის ისტორიაში. ეს გასაგებია არის.

წარსულში ქართველ ხალხს შეუქმნია განათლების არა ერთი მძლავრი კერა (მათ შორის: გელათისა და იყალთოს აკადემიები), მაგრამ უნივერსიტეტი, როგორც სპეციფიკური უმაღლესი სასწავლებელი, ძველმა სამყარომ არ იცოდა (ყველაზე ძველ უნივერსიტეტად ითვლება ბოლონიის უნივერსიტეტი იტალიაში XII საუკუნეში დაარსებული).

თბილისის უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია ქართული კულტურის ისტორიაში.

1919 წლის იანვარში უნივერსიტეტს ერთი ფაკულტეტი ჰქონდა (სიბრძნის-მეტყველებისა ანუ ფილოსოფიისა), 14 პროფესორი და პროფესორის მოადგილე ჰყავდა, მასში ოთხასამდე სტუდენტი ირიცხებოდა).

დღეს უნივერსიტეტში თითქმის იმდენივე ფაკულტეტი გვაქვს, რამდენიც მაშინ პროფესორი გვყავდა.

უნივერსიტეტმა ჩვენს ქვეყანას მოუშადა მრავალი ათასი სპეციალისტი.

უნივერსიტეტში სათავე დაიდო თითქმის ყველა ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებელმა. სამედიცინო ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი უნივერსიტეტის ყოფილი ფაკულტეტებია; ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტის გამონაყოფია.

უნივერსიტეტმა შეამზადა ნიადაგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისათვის. უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი რიგ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია (ეს ინსტიტუტებია: მათემატიკისა, ფიზიოლოგიისა, გეოლოგიისა, ენათმეცნიერებისა, ქართული ლიტერატურისა, ქართული ხელოვნების ისტორიისა...).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველკი შემადგენლობის 16 წევრისაგან 13 ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არა ერთი სამეცნიერო მიმდინარეობა მათემატიკაში, ფიზიოლოგიაში, გეოლოგიაში, ასტრონომიაში... ფსიქოლოგიასა და რიგ სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

თბილისის უნივერსიტეტში ჩაისახა, კერძოდ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ავტორიტეტი იზრდება და იზრდება იმისდა კვალად, რა მიღწევები გვაქვს სამეცნიერო კვლევა-ძიების მხრივ: მეცნიერებაში ეს ერთადერთი საზომია.

ამ მიღწევებმა მოუპოვეს ჩვენს უნივერსიტეტს საპატიო ადგილი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებს შორის.

და მაინც ჩვენი უნივერსიტეტის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის არ ამოიწურება აქამდე თქმულით.

მეცნიერების შინაარსი ერთია, ითქმის კი სხვადასხვა ენაზე.

ჰუმანიტარულ დარგებს ჩვენში ქართულად მეტყველების გარკვეული ტრადიცია ჰქონდათ; საბუნებისმეტყველო დარგებს კი (ქიმია, ფიზიკა...) ამ მხრივ მცირე მემკვიდრეობა მოეპოვებოდათ.

თანამედროვე სამეცნიერო დარგების ცნებებს ქართული ტერმინები ესაჭიროება; ეს ტერმინები არ გვქონდა და უნდა შექმნილიყო. უნივერსიტეტის დამაარსებელი ივ. ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა ტერმინოლოგიის დამუშავების ძალზე საჭირო საქმეს; სხვადასხვა დარგის სპეციალისტები (მათემატიკოსები, ქიმიკოსები, მედიცინის, ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები) გატაცებით მუშაობდნენ იმისათვის, რომ თავიანთი დარგის ტერმინოლოგია შეექმნათ და ქართულად საუნივერსიტეტო კურსები წაეკითხათ.

**ამჟამად არ არსებობს ისეთი სამეცნიერო სპეციალობა, რომ მისი შინაარსის გადმოცემა ქართულად არ შეიძლებოდეს.**

ქართული ენა ამჟამად, როგორც იტყვიან, **პოლივალენტური სალიტერატურო ენაა**, ე.ი. ენა, რომელსაც ფუნქციათა მაქსიმუმი მოეპოვება, და ამაში სამეცნიერო დარგების, მათი ტერმინოლოგიის ქართულად დამუშავებას დიდი წილი უდევს.

დღეს ეს სატერმინოლოგიო მუშაობა ისევე, როგორც ქართული სალიტერატურო ენის განვითარება სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენს.

სახელმწიფოს ზრუნვის საგანია უნივერსიტეტის ზრდა-განვითარება: ამ ზრუნვის ხელშესახები გამოხატულებაა უნივერსიტეტის ახალი კორპუსი — თოთხმეტსართულიანი შენობა, უნივერსიტეტს რომ გადაეცა საიუბილეო დღეებში.

ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა მეცნიერთა კერძო ჯგუფის ინიციატივით; საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი იყო დიდი ქართველი მეცნიე-

რი და მოქალაქე ივანე ჯავახიშვილი, რომლის სახელს განუყრელად უკავშირდება ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინების საქვეყნო საქმე.

ჭეშმარიტად დიდი საქმის ნამდვილი მნიშვნელობის სწორად დანახვას დისტანცია ესაჭიროება: ეს მნიშვნელობა შორიდან უკეთ ჩანს.

ორმოცდაათ წლისთავზე ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობა კარგად ჩანს. ჩაივლის წლები და ეს მნიშვნელობა უკეთ გამოჩნდება.

გაზ. „თბილისი“, 1968, 21 ოქტომბერი, გვ. 3

## დედაბოძი

დღეს ჩვენი უნივერსიტეტის 60 წლის თავს აღვნიშნავთ.

1968 წელს რესპუბლიკამ ზეიმით გადაიხადა უნივერსიტეტის 50 წლის იუბილე.

სამართლიანად არის ნათქვამი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სათავე უმაღლესი განათლებისა ჩვენში, რომ უნივერსიტეტის წიაღში ჩაისახა სამედიცინო ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტი...

რომ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა მთელი რიგი სამეცნიერო სკოლები, ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ამით შესაძლებელი გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება...

რომ თბილისის უნივერსიტეტში, რომლის დაარსების ინიციატივა და ორგანიზაცია ეკუთვნის დიდ ქართველ მეცნიერსა და მოქალაქეს ივანე ჯავახიშვილს, სათავე დაედო ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას.

დღეს ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში რვა უნივერსიტეტი გვაქვს. თბილისის უნივერსიტეტი იყო პირველი უნივერსიტეტი კავკასიის მიწა-წყალზე. მისი დაარსება შესაძლებელი გახდა მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ.

თბილისის უნივერსიტეტი ერთი ფაკულტეტით დაიწყო, მაშინ უნივერსიტეტს თოთხმეტი პროფესორ-მასწავლებელი ჰყავდა და რამდენიმე ასეული სტუდენტი.

დღეს უნივერსიტეტში რამდენიმე ათასი სტუდენტი სწავლობს (დასწრებული სწავლებისა!). სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები აქ ერთიან მეგობრულ კოლექტივს ქმნიან.

ჩვენს უნივერსიტეტში ამჟამად წარმოდგენილია მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა დარგი; გვაქვს ფაკულტეტები: მათემატიკა-მექანიკისა, კიბერნეტიკისა, ფიზიკისა, ქიმიისა, გეოგრაფია-გეოლოგიისა, ბიოლოგიისა, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიისა, სამართლისმეცნიერებისა, ისტორიისა, ფილოლოგიისა, აღმოსავლეთმცოდნეობისა, დასავლეთ-ევროპის ენათა და ლიტერატურათა...

მოპოვებული მიღწევები შრომის წითელი დროშის ორდენით აღინიშნა.



მეცნიერული-კვლევითი პოტენციალის მიხედვით ჩვენი უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტთა პირველ ათეულში დგას. უნივერსიტეტების რიცხვი კი საბჭოთა კავშირში სამოცდახუთს აღწევს; მათ შორის არის დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტები — მოსკოვისა (დაარსებული 1755 წელს), ტარტუსი (1802 წ.), ყაზანისა (1804 წ.), ხარკოვისა (1805 წ.), ლენინგრადისა (1819 წ.), კიევისა (1864 წ.), ოდესისა (1865 წ.).

მაღალი კვალიფიკაციის კადრებს ვერ მოვამზადებთ, თუ ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას არ ვეწევი.

მეცნიერებამ შეღავათი არ იცის. მეცნიერული ჭეშმარიტება ერთნაირ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს იმისდა მიუხედავად, თუ სად ითქვა იგი და ვინა თქვა.

ჩვენი უნივერსიტეტის ვალია მოპოვებული მიღწევები შეინარჩუნოს, განამტკიცოს და გაზარდოს, აღმოფხვრას ნაკლი, რასაც შეუძლია ჩრდილი მიაყენოს უნივერსიტეტის ავტორიტეტს, რომ შემდგომშიც ღირსეულად ატაროს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ფლაგმანის სახელი, საპატიო და დიდად პასუხსაგები.

## მაშინ და ახლა

მაშინ — ესაა 1918 წლის შემოდგომა, ქართული უნივერსიტეტის არსებობაში პირველი წელი (მისი მეორე სემესტრი).

უნივერსიტეტს ერთი ფაკულტეტი აქვს — ფილოსოფიური („სიბრძნისმეტყველებისა“) და ამ ფაკულტეტზე ორი განყოფილებაა: ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური... ორივე განყოფილებაზე რამდენიმე ასეული სტუდენტი ირიცხება (ჩემი მატრიკულის ნომერია 536: მე სექტემბერში ჩავირიცხე)... უნივერსიტეტს უჭირავს ახლანდელი პირველი კორპუსის ერთი ნაწილი... ომია, პირველი მსოფლიო ომის ბოლო თვეები... ცხოვრება, რბილად რომ ვთქვათ, ჭირს: მომარაგება საბარათო წესით... ჩასაცმელი, ვისაც რა შემორჩა (ზოგ სტუდენტს ქეჩის ფარაჯა აცვია, უცნაურად გამოყვანილი)...

სტუდენტობის მეტი წილი მსახურობს (9ს — 3ს)... ლექციები იკითხება 5-დან 9 საათამდე... უნივერსიტეტის შენობა არ თბება... ლექციის დროს შუქი ხშირად ქრება (ლექცია გრძელდება ლამპის შუქზე... ლამპის შუშა ოთხკუთხედს წარმოადგენს: ბორჯომის შუშის ქარხნის ნაწარმიაო).

ერთი სიტყვით: არ ითქმის — ახლად ფეხადგმულ უნივერსიტეტს მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონიაო.

აუდიტორიები კი სავსეა. „საქართველოს ისტორია“, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, „ფილოსოფიის შესავალი“, „ლოგიკა“, „ფსიქოლოგია“, „პოლიტიკური ეკონომია“... დიდ აუდიტორიებში იკითხებოდა, და ტევა აღარ იყო: საუნივერსიტეტო კურსები პირველად იკითხებოდა ქართულ ენაზე, და მეცნიერულ აზრს, ქართულ ენაზე თქმულს, ხარბად ეწაფებოდა არა მხოლოდ ახალგაზრდა; აუდიტორიაში ჩვენს გვერდით ისხდნენ უფროსი თაობის ადამიანები; ზოგ მათგანს უმაღლესი განათლება ჰქონდა და სტუდენტებად ჩარიცხულიყვნენ, რომ სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობა ქართულად მოესმინათ.

სხვათა შორის, იმ ხანად სტუდენტთა დასწრებას არავინ ამოწმებდა, არც ჯგუფებებს დაჰქონდათ დავთრები და მისაღები გამოცდებიც არ ტარდებოდა (საშუალო სკოლის, გიმნაზიის ატესტატის წარდგენა იყო საკმარისი).

ასე იყო სამოცი წლის წინათ.

ახლა კი... ჩვენი უნივერსიტეტი დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური და-წესებულებაა, პირველ კორპუსს ორი დიდი და რამდენიმე პატარა შეემატა... ახლა უნივერსიტეტს მეტი პროფესორ-მასწავლებლები ჰყავს, ვინემ მაშინ სტუდენტი სწავლობდა... შენობებიც კარგად თბება... საერთო საცხოვრებლებიც აგვიშენეს... სასადილოც გვაქვს... სტიპენდიებსაც გვაძლევენ (ჩინსებსაც ვიცვამთ!).

გატაცება, ახალგაზრდული გატაცება საქმით (და არა — გასართობით!) გვაკლია. არც იმას ვაფასებთ ყოველთვის სათანადოდ, რომ დედა-ენაზე უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა გვაქვს.

რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტზე ეს არ ითქმის.

რამდენიმე ასეული სტუდენტი, თუ მეტი არა, ახლაც გვყავს ისეთი, რომ უნივერსიტეტის სახელსა და ღირსებას დაიცავს უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფნის დროსაც და მის შემდეგაც. მაგრამ ეს ცოტაა.

სტუდენტობის დიდი უმეტესობა კომკავშირელია. კომკავშირი კი — გატაცება, ენთუზიაზმი.

ვუსურვებ ჩვენს სტუდენტობას ესახელებინოს აღმზრდელი უნივერსიტეტი ახალგაზრდული გატაცებით სწავლაშიც, შრომაშიც, კაიკაცობაშიც.

სამოცი წლის წინანდელი პირველკურსელი სტუდენტი.

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1978, 10 ნოემბერი, გვ. 6

## ტიპიურ შეცდომათა ანალიზი საშუალო სკოლის მოწაფეთა წერიტს სამუშაოებში

მშობლიური ენის საკითხი საშუალო სკოლაში მეტია, ვინემ ერთ-ერთი, თუნდაც ძირითადი საგნის საკითხი; ენის საკითხი აზროვნების საკითხსაა შედუღებული; მეტყველების კულტურისათვის ბრძოლა აზროვნების კულტურისთვის ბრძოლას ნიშნავს; და ეს იმ მარტივი, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ფაქტის გამო, რომ მეტყველება მოლაპარაკისათვის აზროვნების დანაწევრება-გაფორმების საშუალება-იარაღია. ამ იარაღის სათანადოდ მომარჯვება უცილობელი წინაპირობაა მეცნიერებათა ელემენტების საფუძვლიანად შეთვისებისათვის, წინაპირობაა სკოლის ძირითადი მიზნების მიღწევისათვის.

25 აგვისტოს და 5 სექტემბრის დადგენილებით პარტიამ და ხელისუფლებამ მთელი სიმწვავეით დასვეს მშობლიური ენის შესწავლის საკითხი სკოლაში, არა ერთი წერილი მიეძღვნა ამ საკითხს. საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაციისათვის ეს აუცილებელი იყო. საქმის მოგვარებისათვის ბრძოლამ მოითხოვა პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადასინჯვა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხზე ყურადღების გამახვილება. ცხადია, კამპანიის ხასიათი ამ საკითხის შესახებ მსჯელობას არ უნდა მიეცეს. საჭიროა ყოველდღიური სისტემატური ბრძოლა.

ეს ბრძოლა რომ მიზანშეწონილად წარმოებდეს, აუცილებელია, პირველ ყოვლისა გავარკვიოთ, სად ჭირს ყველაზე მეტად, რაში გამოიხატება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მეტყველების უკულტურობა“, რა იწვევს მას და რა ზომებია საჭირო არსებული ნაკლის გამოსწორებისათვის.

წერიტი სამუშაოების შეცდომათა ანალიზი ამ მიზნებს ემსახურება. ჩვენ ხელთ გვქონდა ტფილისის არასრული საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმის წერიტი სამუშაოები. აქ წარმოდგენილია ტიპოლოგიურად დამახასიათებელი შეცდომები.

ყველა შეცდომა შესაძლებლად მივიჩნიეთ ორ ძირითად ჯგუფად დაგვინაწილებინა: გრამატიკული შეცდომები ამ სიტყვის ფართო გაგებით.

გრამატიკული შეცდომები ან ორთოგრაფიული ხასიათისაა, ან მორფოლოგიური ნორმის დარღვევითაა გამოწვეული ანდა სინტაქსურ კონსტრუქციას ეხება. დავიწყით პირველით.

გული მწყტებოდა (საჭირო იყო: მწყდებოდა): „მწყტებოდა“ იმერულ-გურულისთვისაა დამახასიათებელი!

მეფე მხიარულათ შეხვთა (საჭირო იყო: შეხვდა); ესეც დასავლური კილოებისაა!

იმიტომ დაქვტოვესო (საჭირო იყო: დაგვტოვესო): **ქ** აქ მოდის მხოლოდბითიდან: მან დაქვტოვა (დაგვტოვა-ს ნაცვლად — ნაწილობრივი ასიმილაცია), ქვ. იმერულსა და გურულშია ხშირი.

ვსწავლოფ... მის შემდეგ ვმუშაოფ აქ (საჭირო იყო: ვსწავლობ, ვმუშაობ): ცოცხალი მეტყველებიდან მოდის (იმერ.-გურ.).

სილამაზე სუფებდა: გამოთქმა უვარგისია; გარდა ამისა მეორე სიტყვის მართლწერაა მცთარი: „სუფევედა“ უნდა.

სალაპარიკო ენა (საჭირო იყო: სალაპარაკო ენა); ლაპარიკი იმერიზმია.

ჩემი ჯინი ქონდათ: ჯინი — ჟინის ნაცვლად დასავლურია; გამოთქმა ლიტერატურული არაა.

ავარბელი... (აუარბელი-ს ნაცვლად).

ძეგლი არის მხატრული ენით დაწერილი: მხატვარი — მხატვრული უნდა ყოფილიყო.

მალე მეც მივახწიე დანიშნულ ადგილას: „მივაღწიე“ უნდა ყოფილიყო; „მივახწიე“ სალიტერატურო ქართულშიც არა იშვიათად გვხვდება.

კარგად დავათვარიელე (საჭირო იყო: დავათვალიერე); დათვარიელება რ და ლ-ს ადგილმონაცვლეობამ გააჩინა; მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოს კილოებშია შემჩნეული.

ვესწრობოდი... სწავლა იწყობაო (საჭირო იყო: ვესწრებოდი, სწავლა იწყებაო) — დასწრობა, დაწყობა — ქართლურიდან მომდინარე დიალექტიზმებია.

გარს არტყავს ხშირი ტყეები (საჭირო იყო არტყია): -ავ- სუფიქსის უადგილო ხმარება (ასხავს, სვავს) აღმოს. საქართველოს ბარის კილოებშია ჩვეულებრივი.

მაინძ და მაინც: აქ ძ ფონეტიკური წერის თვალსაზრისით თუ გამართლდება; წიგნის გავლენა მეტად სუსტი უნდა იყოს, რომ ფონეტიკური სიზუსტის ამისთანა შემთხვევაში წინ არაფერი აღუდგეს.

დეემსახურებინა შაჰის ერთგულება (და-პრევერბი შეცვლილია დე-თი: ასიმილაცია!).

ყველა ამ და ამგვარ შემთხვევაში ცალკე სიტყვის დაწერილობაა შემცთარი; მეცთომის უმთავრესი წყაროა ფონეტიკური პროცესი: გამოთქმის დროს ერთი ბგერა ემსგავსება მეორეს ან მთლიანად, ან ნაწილობრივ (მაინძ და მაინც... მწყტებოდა... მივახწიე... დაქვტოვესო...); ანდა სიტყვის ბოლოს მყდერი თანხმოვანი ყრუვდება (ვსწავლოფ... ვმუშაოფ); ან კიდევ

თანხმოვანთა ჯგუფში ერთი თანხმოვანი იჩრდილება (მხატრული...).

ყველაფერი ეს ახასიათებს გამოთქმას, ცოცხალს მეტყველებას, ჩვეულებრივად კუთხურს, იმას, რაც მოსწავლეს ოჯახში ესმის (აქედანვე: ვლ-პარაკობ... ვესწრობოდი... დავათვარიელე...). წიგნის გავლენა იმდენად სუსტია, რომ ვერ ახერხებს ისეთი ელემენტარული შემთხვევების მოწესრიგებას, როგორცაა: ლაპარაკი... მაინძ და მაინც... ვსწავლოფ... ვმუშაოფ. გრამატიკის ცოდნაზე ასეთ პირობებში ლაპარაკი უადგილო იქნებოდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ზემოხსენებული (და მათი მსგავსი შეცთომები) VI, და უფრო VII და VIII კლასის მოწაფეთა სამუშაოებში მოიპოვება.

ცნობილია, რომ ქართულს სიტყვაში ძირს ორი ერთნაირი მომდევნო თანხმოვანი არ შეიძლება ჰქონდეს; ეს იმდენად არსებითია ქართული ფონეტიკისათვის, რომ უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვაშიაც ორი თანხმოვნის ნაცვლად ქართული მხოლოდ ერთს ხმარობს: მასა... პროცესი... გრამატიკა... სილოგიზმი... ასისტენტი... ასიმილაცია. მაგრამ ქართულისათვის ნორმალურია ორი მეზობელი ერთნაირი თანხმოვნის ხმარება, როცა ერთი ძირეულია, მეორე კი ფორმანტი ან ნაწილაკია): მ-გავს — გგავს... მათგან — მათგან...

რვეულებში არც თუ იშვიათია ერთი თანხმოვნის წერა ასეთ შემთხვევაშიაც: გადავხედე თბილის... (საჭირო იყო: ტფილისს; „იცავდა თავის კლას“ (უნდა ყოფილიყო: „იცავდა თავის კლასს“))...

**-ზე** და **-ში** თანდებულების წინ მიცემითის ნიშანი **-ს-** იკარგება, ფუძისეული **-ს-** რჩება; მოწაფეთა სამუშაოებში აქაც ხშირია **ს-**ს დაკარგვა:

მანგლიში ძალიან ლამაზი ნაძვის ტყეებია...

ჩამოვედი თბილისში... ქალაქ ტფილისში...

გაცილებით უფრო ხშირია ორი ხმოვნის ნაცვლად ერთის წერა (ამ ორი ხმოვნიდან ერთი ფუძისაა, მეორე — ფორმანტისა):

მოახლოვდა ოქტომბრის რევოლუციის მე-16ტე (!) წლის თავი...

დაშორებულია სამტრედიდან...

ყველა მისწრაფოდა სააგარაკოთ...

მიღო ცოტა განათლება...

დასრულა სასწავლებელი...

გაშენოს თუთები...

ბრძოლის გამომხატველი არსებული წყობილების წინაღმდეგ...

კლდეებს... მზიანი დღეებია...

პირადად ჩვენთვის სრულებით მოულოდნელი იყო „არ“ — ნაწილაკის, „და“ — კავშირის ერთად წერის შემთხვევები...

**არ**მოსწონს...

**არ**მოდის გაზეთი...

**არ**არის სამკითხველო...

წავილე ორი წიგნი **და**ის წავიკითხე.

თავისებურია რიცხვთა დაწერასთან დაკავშირებული შეცდომები:

ოქტომბრის რევოლუციის მე-16**ტე** წლის თავი (საჭირო იყო: მე-16-ე ან-  
და: XVI; ყოველ შემთხვევაში **-ტ-** უადგილოა; ტ „თექვსმეტ“-ის  
ნაწილია, ამ რიცხვს ციფრი 16 წარმოგვიდგენს“).

გ. ერისთავი მე-19**შეტე** საუკუნის პოეტია (!): აქ „მეტ“ არის უადგილო.

სექტემბრის 29 **ცხრას**: **ცხრა** ასოებითაც არის გამოსახული და ციფრი-  
თაც.

ე. ნინოშვილი არის მე XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მწერალი: მოსწავ-  
ლემ არ იცის, როგორ იწერება 19 რომაული ციფრით.

რეპეტიციები დაიწყო პი1ელ ნომბერს: აქ პი — თავსართის როლს ასრუ-  
ლებს (შდრ.: მე-2-ე, მე-3-ე), **-ველ** ბოლოსართისას (მე-2-ე).

ასეთი ორიგინალური შეცდომა მხოლოდ ერთი შემხვდა (V კლ.).

შედარებით მცირეა მორფოლოგიური შეცდომები:

ინგრევა თანდათანობით ფეოდალიზმი და ნვითარდება მშრომელი ინტე-  
ლიგენცია... სტილისტურად უვარგისი ფრაზაა; ჩვენ აქ გვინტე-  
რესებს „ნვითარდება“. ეს **-ნ-** მოდის ზმნისაგან „ანვითარებს“, სა-  
დაც იგი **გან-**ვითარების უკანონოდ გარჩენილ ნაგლეჯს წარმოად-  
გენს.

ღზრდის ახალგაზრდობას... აქაც **-ლ** ისეთივე უკანონო ნარჩენია **ალ-** პრე-  
ვერბისა: ალზრდა — აღზარდა — ღზრდის...

ეს ჰავიოგრაფიული ნაწარმოები აგვიწერავს... შუშანიკის ცხოვრებას: აგ-  
ვიწერავს დიალექტური ფორმა (ქართლ-კახური).

სექტემბრის პირველს გამოგვიცხადენ (უნდა ყოფ.: გამოგვიცხადეს): ქვ-  
იმერულისა და გურულის დამახასიათებელია (გამოგვიგზავნენ,  
დაგვიძახენ, გაგვიკეთენ...).

ჩვენ დაგვყავდენ სასეირნოთ ტყეში (უნდა ყოფ.: ჩვენ დაგვყავდა): ისეთივე  
შეცდომაა, როგორც: გვქონდენ, გვყავდენ...

იმ ხუთმეტ დღეში ბეური არ მიმუშავებია (უნდა ყოფ.: ბევრი არ მიმუშა-  
ვია)...

ვემზადებით წარმოდგენი**ზა** (უნდა ყოფ.: წარმოდგენისათვის): წარმოდგენი**ზა** გურუღია სახეცვლილი ოდესღაც ლიტერატურული — „წარმოდგენისდა“...

ვარსქენ პიტიახში წავიდა სპარსეთის მეფეს**ან** (უნდა ყოფ.: მეფესთან); ეს იმერული ვარიანტია ქართლური „მეფეფთან“-ისა.

შემდეგ ვარქსენმა (!) მონიღომა ერთად პური ჭამა: ამგვარი ქართლური დიალექტიზმი VIII კლ. ძლიერი მოსწავლის ნაშრომშია!

მეორე**ს** მხრით... (უნდა ყოფ.: მეორე მხრით); მეორეს მხრით — ანალოგიური წარმოებაა: ერთის მხრით — მეორეს მხრით: გავრცელებულია სალიტერატურო ენაშიც.

სახელის ბრუნება და ზმნის უღვლილება მკვიდრად უნდა იცოდეს მოწაფემ თეორიულადაც და **პრაქტიკულადაც** (ვარჯიშობა!), რომ ალიკვეთოს შეცთომები, როგორიცაა: პური ჭამა... მეფესან... წარმოდგენიზა... გამოგვიცხადენ... აგვიწერავს... დაგვყავდენ... ნივთარდება... ღზრდის...

მართო თეორიული ცოდნა არ კმარა, საჭიროა მკვიდრი ჩვევის გამომუშავება; ამისათვის კი წერითი მუშაობაა თავი და თავი...

სინტაქსური კონსტრუქციების ხაზით ხშირია ასეთი შეცთომები:

როდესაც იაკობმა მტირალი შუშანიკი იხილა, ატირდა მასთან ერთად და **მოუწოდა მოთმინება**... ე. ნინოშვილი **მოუწოდებს** მშრომელს ხალხს არა სტიქიურად **ბრძოლას**, არამედ ორგანიზებულად... (უნდა ყოფილ.: მოუწოდა რისკენ? მოთმინებისაკენ...). პირველ მაგალითში შესაძლოა „მოუწოდა“ იყოს ნახმარი „ურჩევს“-ის ნაცვლად.

ეს ძეგლი დაწერილია მე**V**ს. მწერლის **მიერ** იაკობ ხუცესიდან (უნდა ყოფილიყო: დაწერილია მე V ს. მწერლის იაკობ ხუცესის მიერ); საინტერესოა, რომ მოსწავლემ დაიწყო სალიტერატურო ენაში ჩვეულებრივად ხმარებული კონსტრუქციით (დაწერილია მწერლის მიერ), მაგრამ ბოლომდის ვერ გაატანა და დიალექტური კონსტრუქციით გაათავა: „იაკობ ხუცესიდან“... ეს უკანასკნელი მოქმედებითს ბრუნვას წარმოადგენს გან-თანდებულით; აქ კი საჭიროა ნათესაობითი ბრუნვა.

ის სპარსეთის მეფე**დან** მიიღებდა... (უნდა ყოფილიყო: მიიღებდა სპარსეთის მეფისაგან); აქაც შეცთომით „გან“ თანდებული მოქმედებით ბრუნვასთან არის ნახმარი ნათესაობითის ნაცვლად; შდრ.: მიიღებდა — ვისგან? ძმისაგან, ამხანაგისაგან.... მიიღებდა — საიდა? ქალაქიდან, სოფლიდან...



ვარსკენი, გამხეცებული ცოლის ასეთი მოქცევაზე, სცემს უშუალოდ... (უნდა ყოფილიყო: გამხეცებული ასეთი საქციელით: გამხეცებული რით და არა — რაზე?).

ლტოლვილება ტარიელისა გამოიხატება ორ საგანში: ღვინოში და ქალებში (ლტოლვილება რისადმი და არა: რაში; გამოთქმა სტილისტიკურადაც უხეიროა).

მას წინააღმდეგობას უწევს ფეოდალიზმის კლასის წარმომადგენლები (უნდა ყოფილიყო: წინააღმდეგობას უწევენ წარმომადგენლები).

ამ მოთხრობაში, ერთის მხრით, არის დასურათებული ძალაძეები, ხოლო მეორე მხრით დროიძეები... (უნდა ყოფილიყო: არიან წარმოდგენილი ძალაძეები...).

მაგრამ ისეთი მოწაფეები რომელიც დარჩენ მეშვიდე ჯგუფში... ჯავრზე იყვნენ (უნდა ყოფილიყო: რომლებიც დარჩნენ).

მოგვადგა კარზე ის დღეები, რომელიც სწყვეტდა ჩვენს ბედს (უნდა ყოფილიყო: დღეები, რომლებიც სწყვეტდა...).

თანაც სხვადასხვა წიგნებს ვკითხულობდი როგორცაა ტროადის ომი, კაპიტანი კუკი (უნდა ყოფილიყო: ვკითხულობდი სხვადასხვა წიგნებს, როგორცაა „ტროადის ომი“, „კაპიტანი კუკი“: მთავარი წინადადების ბოლოს ნორმალურია იყოს ის სიტყვა, რომლის განმარტებაც ეკისრება დამოკიდებულს წინადადებას!).

ამ დროს საქართველოს პოლიტიკური მებატრონე იყო სპარსეთი. უკანასკნელნი იყვნენ ცეცხლის თავვანისმცემელნი... „უკანასკნელნი“ ნახმარია „სპარსეთის“ ნაცვლად; მრავლობითი აქ უადგილოა.

აქამდის განხილული მაგალითები იძლეოდა ან ცალკე სიტყვის შემცთარ დაწერილობას ანდა ორი სიტყვის უმართებულო შეწყობას; ცალკე სიტყვაში ან ძირეული ნაწილი იყო შემცთარი (მწყებოდა... ლაპარაკი... ჭინი) ანდა გრამატიკული ფორმა (გსწავლოფ.. ვმუშაოფ... დაქვტოვეს... დეემსახურებინა... მანგლიში... აგვიწერავს... გამოგვიცხადენ...). შეიძლება ცალკე აღებული სიტყვები სწორად იყოს დაწერილი, მაგრამ შენაერთი შემცთარი გამოვიდეს: ე. ნინოშვილი მოუწოდებს მშრომელ ხალხს ბრძოლას; ამ გამოთქმაში ყველა სიტყვა სწორია, გამოთქმა კი სწორი არ არის: „მოუწოდებს“ ზმნის შემდეგ არ შეიძლება ვიხმართო მიცემითი ბრუნვა; მაშასადამე, შეცთომის წყარო ის იყო, რომ ორი სიტყვა ერთმანეთს არ შეეფარებოდა ფორმის მიხედვით.

ე. ნინოშვილი მოუწოდებს ხალხს ბრძოლას... შევადართო ამას გამოთქმა: მაგრამ უშუალოდ მტკიცედ იცავს თავის გადაწყვეტილებას,

**აღჭურვილი იმ გრძნობით,** რომ აქ მოთმენით „საიქოს“ სამოთხეს დევ-  
უფლება...

„აღჭურვილი გრძნობით“ არ არის სწორი; ეს ორი სიტყვა ფორმით ერთმანეთს შეეფერება („აღჭურვილი“ მოითხოვს მოქმედებითს ბრუნვას: აღჭურვილი — რით? ცოდნით, მაგალ.), მაგრამ შინაარსით კი — არა: ამ ორი სიტყვიდან ან ერთი უნდა შეიცვალოს ან მეორე, რომ წესიერი გამო-  
თქმა მივიღოთ; „აღჭურვილი გრძნობით“ არ ვარგა, მაგრამ წესიერია: „აღჭურვილი ცოდნით“ — „გამსჭვალული გრძნობით, რწმენით“...

ამ კონტექსტში მეორე გამოთქმა იქნებოდა გამოსადეგი იმ აზრის მიხედვით, რომელიც მოწაფეს უნდა გადმოეცა.

ამგვარი შეცთომა სტილისტიკური შეცთომაა. რა არის ამგვარი შე-  
ცთომისათვის დამახასიათებელი? ის, რომ ერთი სიტყვა არ შეეფერება მე-  
ორეს შინაარსის მიხედვით, ზოგადად რომ ვთქვათ, სიტყვა (თუ სიტყვები)  
აზრთან შეფარდებული არ არის; აქ მრავალგვარი შესაძლებლობაა,  
დაწყებული ისეთი ბარბაროსული გამოთქმიდან, როგორცაა „ისეთი  
მდგომარეობა დამემართა“, „შეურაცხყოფა გაუკეთა“ და გათავებული  
უხერხული პლენონასტური გამოთქმებით, რომელთა ნიმუშად გამოგვადგე-  
ბოდა, ვთქვათ, ასეთი მაგალითი: „იაკობ ხუცესი **პირველი ქართველი  
მწერალია.** იგი **პირველად** „გამოვიდა განათლების ასპარეზზე“ (პირველი  
მწერალი იმიტომ, რომ „პირველად გამოვიდა“ — მეორე გამოთქმა ზედ-  
მეტად გახაზავს იმას, რაც პირველში უკვე ითქვა). უხეში სტილისტიკური  
შეცთომა იქნება თუ შედარებით მსუბუქი, სულ ერთია, ყველგან შეცთო-  
მის ერთი და იგივე წყარო გვაქვს: **უმართებულო შეფარდება სიტყვისა  
აზრთან, უმართებულო გამოყენება სიტყვისა გადმოსაცემი აზრისათვის.**

ამგვარი შეცთომა განსაკუთრებით ხშირია მოწაფეთა ნაშრომებში...  
ჩვეულებრივად სტილისტიკურ შეცთომებს ზედ ერთვის ორთოგრაფიული,  
მორფოლოგიური და სინტაქსური შეცთომები და იქმნება მძიმე სურათი  
ქაოტური აზროვნებისა არალიტერატურული ქართულით.

აი მრავალი მაგალითიდან მცირე:

**ნათლათ იძლევა აზრს რომ... როგორ... რათა:** მეორე შესანიშნავი მო-  
თხრობა „ქამუშაძის გასაჭირი“ **ნათლათ იძლევა იმ აზრს, რომ**  
გალატაკებული თ. აზნაურობა **როგორ** ისწრაფვის ქალაქისკენ  
რათა თავისი მდგომარეობა გამოასწოროს (უნდა ყოფილ.: ნა-  
თლად გვაჩვენებს, თუ როგორ ისწრაფვის ქალაქისაკენ გალატაკე-  
ბული თავად-აზნაურობა...).

**უმთავრესად... სულ: უმთავრესად** ჩემი თავისუფალი დრო **სულ** წიგნების  
კითხვაში გავატარე... (ან „სულ გაატარებდა“, ან „უმთავრესად“:  
ერთსა და იმავე დროს ორივეს ხმარება შეუსაბამობა).

**ორთქლმავალმა შეჭვირა:** ბნელდებოდა, როდესაც **ორთქლმავალმა** ერთი **შეჭვირა** და გაუღვა გზას (საყვირი ყვირის — ორთქლმავალი კივის...).

**ფულადი მეურნეობის შემოჭრა:** ე. ნინოშვილი თავის მოთხრობა „სიმონა“-ში აგვიწერს გლეხობის მდგომარეობას ფულადი მეურნეობის შემოჭრის შემდეგ („კაპიტალი შემოიჭრა“ სწორი გამოთქმაა, მაგრამ „მეურნეობა შემოიჭრა“ — უვარგისია).

**სარკაზმი სთქვა:** აი ნელი, ნაზი, მაგრამ მწვავე სარკაზმი, რომელიც დ. კლდიაშვილმა სთქვა თავის კლასისთვის (სარკაზმი გესლიან დაცინვას ნიშნავს; სარკაზმის თქმა არ შეიძლება; ზმნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოწაფეს „სარკაზმი“ ესმის, როგორც „სიტყვა“... აქედან ცხადია: სწორ გამოთქმას ვერ შევადგენთ, თუ სახმარ სიტყვათა მნიშვნელობა ნათელი არაა).

**ოცნებაში ვიყავით:** ჩვენ ოცნებაში ვიყავით, თუ გამოცდებს როგორ ჩავაბარებდით (ალბათ მოწაფეს უნდოდა ეთქვა: იმის ფიქრში ვიყავით, თუ გამოცდებს როგორ ჩავაბარებდით).

**უხეშად სცემს...** ვარსკენი, გამხეცებული ცოლის ასეთ მოქცევაზე, უხეშად სცემს უშუალოდ (გამხეცებულ ადამიანს „ნაზად ცემა“ არ გამოუვიდოდა; საფიქრებელია, რომ აქ „დაუზოგავად ცემა“ უნდოდა ეხმარა დამწერს).

**„მეტოქეობას უწევს“, „ატყვევებს“:** საშინელ მეტოქეობას უწევს დავითი სიმონას და მას რამდენჯერმე ატყვევებს („მეტოქეობას უწევს“ ლიტერატურული გამოთქმაა; „ატყვევებს“ — სიტყვაც ცუდი არ არის, ოღონდ აქ არც ერთია გამოსადეგი, არც მეორე: დავითი სიმონას ავიწროებს და რამდენჯერმე აპატიმრებინებს მას; მოწაფე ალბათ ვერ არჩევს, რა განსხვავებაა დაპატიმრებასა (საპატიმროში ჩასმასა) და დატყვევებას (ტყვედ წაყვანას) შორის. არც პირველი გამოთქმა („მეტოქეობას უწევს“) ესმის სწორად.

**სილამაზე სუფებდა იმით:** მანგლისის გზაზე ძალიან სილამაზე სუფებდა იმით რომ როდესაც გადმოვიხედე ავტომობილიდან და გადავხედე თბილისს და ძალიან მომეწონა მისი სილამაზე (შეიძლებაოდა ასე გვეთქვა: მანგლისის გზა ლამაზია... ავტომობილიდან ტფილისს რომ გადავხედე, ძალიან მომეწონა).

**გვამი იყო მომკვდარი:** როგორც პრისტავი ლაპარაკობდა ეს იყო მის მიერ მოკლული ხოლო სიმართლით კი ეს გვამი იყო მომკვდარი (გვამი ცოცხალი ვერ იქნება, თუ სიტყვას პირდაპირი მნიშვნე-

ლობით ვინმართ; უნდა ყოფილ.: ნამდვილად კი ეს იყო თავისით მკვდარი... საგულისხმოა, რომ სასვენი ნიშნები არსად ჩანს!).

**ინტერესით არის მოცული... ავიწროებდა ზნეობრივად...:** ტ. მკლავაძე ავიწროებდა ოჯახს და ქალს ზნეობრივად რადგან ტარიელი მხოლოდ ამ ინტერესით არის მოცული (ამას არც განმარტება ესაჭიროება, ამის არც გასწორება შეიძლება).

**გაავრცელოს... ზოგიერთი ქრისტიანების მთმენლობა:** ეს ძეგლი იმ მიზნით არის დაწერილი, რომ გაავრცელოს ეკლესიებში და სახლში ზოგიერთი ქრისტიანების მთმენლობა (აქ აზრი გაუგებარია, ე. ი. ცუდ სტილთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ნოლ-სტილთან, როცა სიტყვა უძლურია მიგვახვედროს, რას ეხება საქმე).

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც დამხმარე სიტყვებია უმართებულოდ ნახმარი:

**მხოლოდ:** სიმონა არის გლენთა წრიდან, დავითიც არის გლენთა წრიდან, **მხოლოდ** ის არის გამდიდრებული ვაჭრობით (უნდა ყოფილ.: ოღონდ ის არის გამდიდრებული...).

**აგრეთვე:** სიმონა არის პატიოსანი მშრომელი გლენი და **აგრეთვე** მას ახასიათებს თავის თავმოყვარეობა („თავის თავმოყვარეობა“ უჩვეულო პლენონაზმია; მაგრამ ამჟამად გვინტერესებს „აგრეთვე“ სიტყვის ხმარება: „აგრეთვე“ გულისხმობს გარკვეულ შინაარსს, რომელსაც კიდევ ერთვის რაღაც მისი შესაფერი: დავითი წარჩინებით სწავლობს და აგრეთვე ეწევა საზოგადოებრივ მუშაობას).

**და:** მეც ამ მშვენიერი ბუნებისთვის თვალი ვერ მომეშორებია **და** თანდათან შეუმჩნეველად გადიოდა დრო („და“-თი აქ დაკავშირებულია ორი წინადადება, რომელთა აზრი ერთმანეთთან არავითარს კავშირში არ იმყოფება. ასეთი კავშირის არსებობა კი საჭიროა „და“-ს ხმარებისათვის; ხანდახან მხატვრულს ლიტერატურაში „და“-თი აკავშირებენ ერთმანეთისათვის სრულად უცხო გამოთქმებს: „ხვალ პირველი მაისია და მე ამეღამ არ მეძინება“ (ჭ. ლომთათიძე: „პირველი მაისი“): ეს ფაქტიზი სტილისტიკური ხერხია: „და“ კავშირი გვაგრძნობინებს, რომ არსებობს გარკვეული კავშირი იმას შორის, რომ „ხვალ პირველი მაისია“ და იმ ფაქტს შორის, რომ მე ამეღამ არ მეძინება“... ასეთი სტილისტიკური ექსპერიმენტი ცხადპყოფს, როდის არ შეიძლება „და“-კავშირის ხმარება.

**შემდეგ:** (წაკითხული წიგნებიდან) ყველაზე საინტერესო იყო ტროადის

ომი რობინზონ კრუზო და სტუმარ-მასპინძელი. **შემდეგ** წავედი ბიძაჩემთან მოსამზადებლად...

„შემდეგ“ გულისხმობს აზრის მიხედვით თანამიმდევრობას; გუშინ დიდხანს ვიმუშავე, შემდეგ დავისვენე (ანდა: შემდეგ ამტკივდა თავი)... შდრ.: გუშინ დიდხანს ვიმუშავე, შემდეგ ამოვარდა ქარი...

**[მეორე]:** მოთხრობა სიმონა დაწერილია ე. ნინოშვილის (უნდა ყოფილიყო: დაწერილია ე. ნინოშვილის მიერ).

არც ისე იშვიათია სტილისტიკურად აუტანელი გამეორებითი ხმარება ერთი და იმავე სიტყვისა („ჭრიაშვილიზმის“ ერთ-ერთი სახე).

„ფეოდალური არისტოკრატია საშინელ ეკონომიურ სივიწროვეს **განიცდის**. იგი უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ამ ეპოქის თავად-აზნაურობა **განიცდის** პოლიტიკურ-ეკონომიურ დაქვეითებას“...

„ტ. მკლავაძე, როგორც **განადგურების** პროცესში მყოფი ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელი **ანადგურებს** მშრომელი ხალხისთვის მებრძოლ ინტელიგენტს... ტ. მკლავაძე **ანადგურებს** სპ. მცირიშვილის ოჯახს, რის შემდეგაც **ნადგურდება** თითონაც“...

ასეთ შემთხვევაში პირველ ყოვლისა სტილი ნადგურდება.

იაკობ ხუცესი **პირველი** ქართველი მწერალია. იგი **პირველად** გამოვიდა განათლების ასპარეზზე...

მე **სახლში** რო მივედი ვიყიდე ბილეთი „მატარებლის“ და წავედი **სახლში**. **სახლში** რომ მივედი, ძალიან გაუხარდათ (პირველი „სახლში“ ბინას უნდა ნიშნავდეს, მეორე — „სახლს“ სოფელში; პირველ შემთხვევაში „ბინა“ უნდა ეხმარა, მეორეში — „სოფელი“ (გავემგზავრე სოფელში), მესამეში — „შინ“ (შინ რომ მივედი...)).

როცა დანაწევრებული აზრის გადმოცემისას სიტყვას ნათლად მოხაზული ადგილი არ გააჩნია, შინაგანის აუცილებლობით ჩნდება მრავალსიტყვაობა; ეს უკანასკნელი ამიტომ უტყუარი მოწმეა იმისა, რომ სიტყვა აზრს უხეიროდ ემსახურება, მის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს; ამგვარივე წარმოშობისაა ხმაურიანი ფრაზებიც, როცა ბევრია თქმული, მაგრამ არაფერია ნათქვამი:

ახლოვდებოდა ჩვენთვის სანატრელი დღე, რომელიც საბოლოოდ **ამჟღავნებდა** და **აფასებდა** ჩვენს წლიურ შრომას (თუ აფასებდა, ამით ამჟღავნებდა კიდევც). თხზულება მხატვრული, **დახვეწილი** და **დამუშავებული** ენით არის დაწერილი (დახვეწილი არ შეიძლება არ იყოს დამუშავებული).

ძალიან გახარებული და აღტაცებული მივდიოდი სოფელში...

ასე დამთავრდა ჩემთვის საყვარელი და სანატრელი ზაფხული...

ებრძვიან ცხოვრებას... მაგრამ ეს ბრძოლა უიმედო და უმნიშვნელოა...

შუშანიკის ექვს წელს ცოცხლობს და მეშვიდე წელში, რომ გადადგა სულ დასივებული, დამახინჯებული და წყალმანკიანი გარდაიცვალა...

იგი მზათაა **მოსპოს გაანადგუროს** და **არარად აქციოს უმწიკვლო უსუსური** არსება, შვილი თავისივე მამისა...

ხშირად წავაწყდებით პრიმიტიულ თქმას; მიზეზი: სიტყვა ვერ დაძლია:

ტარიელ მკლავაძე **სოციალური წარმოშობით** იყო აზნაური... (ტ. მკლავაძე აზნაური იყო არა მხოლოდ წარმოშობით. ახლა „სოციალური წარმოშობით“-ო რომ ვამბობთ, ეს იმიტომ, რომ ამჟამად ჩვენში ყველა მოქალაქეა; მოქალაქეთაგან სოციალური წარმოშობით ზოგი თავადია, ზოგი — აზნაური, ზოგი — გლეხი...

იაკობ ხუცესი... ხშირად მალულად შედის მასთან, იზიარებს მის მწუხარებას და **ყოველმხრივ** ანუგეშებს...

ექვსი წელი დაყო შუშანიკმა ასეთ წამებაში **სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით...**

ვინც მიიღებდა ცეცხლთაყვანისმცემლობას ის სპარსეთის მეფედან მიიღებდა **აუარებელ** ქონებას...

ამ ძეგლს (ე. ი. შუშანიკის წამებას) დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც **პოლიტიკურათ** ისე **ეკონომიურად...** (რა შუაშია?).

დასასრულ ორიოდ ნიმუში სტილისტიკური უბედურების აპოთეოზისა; დუხჭირ სტილს ემატება მორფ.-სინტაქსური შეცდომები:

მოგვადგა კარზე ის დღეები, **რომელიც** სწყვეტდა ჩვენს ბედს. მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ გადავიტანე ეს ტვირთი ზურგიდან და სიამოვნებით სავსე გავემგზავრე სოფლად **შვების** და **ლხენის** მოსაპოებლად. მგზავრობის დროს თვალწინ გადაშლილი იყო **გაზაფხულის ქონებით** მოორთული ბუნება

მწვანეთ შემოსილი ტყეები სადაც **ბუმბერაზი** ხეები **მრისხანეთ** გამოიყურებიან, მეტ სილამაზეს **სდებს** თელავს. მას შუაზე ყოფს მდინარე რომელიც **აბობოქრებული** მოქუხს და თითქოს წალეკვას უპირებს თელავს (!!!). მრავალი წყაროები მეტის მეტად ცი-

ვი და ანკარა — აი ყველა ეს შეადგენს თელავის **სილამაზეს და სიდიადეს...**

...არა მარტო დავითი არამედ მისი შვილებიც, მაგალითად ტიტო-კო რომელიც **ადმოცენებულია კაპიტალის და სამხედრო პოლიციური ბატონობის საფუძველზე. რის შემდეგ** სიმონა გავარდება ფირალად და შურს იძიებს **სტიქიურად** დროიძეებზე...

აი რა მთავარმა მომენტმა **უბიძგა** დ. კლდიაშვილს, რომ მას მოეცა თ. აზნაურობის მთლიანი ცხოვრება...

...დ. კლდიაშვილი იყო მოწაფე ილია ჭავჭავაძის რომელიც თავის **ყოველგვარი მოხერხებით** იცავდა თავის კლას და სწორედ კლდიაშვილიც გვევლინება ასევე, ეს ირონიული მოთხრობები **თითქმის ყველა დამცველია მწერლის წინაპრებისა...**

მე XIX საუკ. მეორე ნახევარი ეს ის პერიოდია, როდესაც **მძლავრათა** შემოჭრილი საქართველოში სავაჭრო კაპიტალიზმი. კაპიტალიზმის **მძლავრმა** განვითარებამ დააჩქარა ფეოდალური მეურნეობის რღვევა და **სულიერად ეკონომიურათ** გააღატაკა მაშინდელი პრივილეგიური წოდება, შეადულა გლენობასთან ეს წოდება **ეკონომიური პირობების უქონლობამ**. აი სწორედ ამ დროს **გაშალა ფრთები დ. კლდიაშვილმა ზემოიმერეთის ტერიტორიაზე**. აი დ. კლდიაშვილის **სამუშაო ობიექტი**, მისი სამწერლო მოღვაწეობის და სამშობლო მხარე.. დ. კლდიაშვილი წევრია ილიას ოჯახის როგორც წარმოშობით ისე მოღვაწეობით, მაგრამ უფრო თანამედროვე ხანის ასახვაში ე. ი. მისი **მოღვაწეობა ხდება** (უმთავრესათ) ილიას მოღვაწეობის შემდეგ...

დ. კლდიაშვილის ეს მოთხრობა სავსეა **იუმორით და კომიზმით...**

სასვენი ნიშნების შესახებ მოკლედ მოვჭრით. **ისეთი სამუშაო არ შეგვხვედრია, რომ სასვენი ნიშნები სულ არ იყოს, არც ისეთი სამუშაო, რომ ამ მხრივ შეცდომა არ იყოს**. არის შემთხვევა, როცა დამოკიდებული წინადადების შემდეგ მძიმის ნაცვლად წერტილია დასმული (იხ. ზემოთ! ... სამხედრო-პოლიციურ ბატონობის საფუძველზე. რის შემდეგ სიმონა გავარდება ფირალად); ჩვეულებრივად კი მძიმეებს არ სმენ, წინაწკლებს არ ხმარობენ. ორიოდ ნიმუში:

ეს მოთხრობა მაჩვენებელია იმისა თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა თ. აზნაურობა თუ როგორ გამოეთხარა ძირი მატერიალურ სიმდიდრეს დაგირავდა ბანკებში და ბანკებშივე დარჩა... (არც ერთი მძიმე!).

ხალხი ამ სოფლისა სადაც სიმონა ცხოვრობდა მიეჩქარება ხიდის თავთან სადაც იყო მოკლული სიმონას გვამი... (არსად მძიმე!).

მოთხრობა „სიმონა“-ში სიმონას დაწყებული გზის გასაგრძელებლად, რჩება სიმონა. „რჩება“-ს წინ მძიმე!

პავლე ნადირობს და როდესაც ოჯახში გაყრა არის ის მიმინოს ეფერება და სხვა ივანე — უსაქმოთ დადის და ქეიფობს მას უნდა ცხოვრება ახალ ყაიდაზე **დააყენოს...**

დასასრულ ერთი კერძო მნიშვნელობის საკითხის შესახებ. მხედველობაში გვაქვს ნაწერის გარეგნობა — ასოთა მოხაზულობა. სრულებით მოუგვარებელი ჩანს ეს საკითხი:

1. არის შემთხვევა, როცა მოწაფე ყველა ასოს სტრიქონს ზევით ათავსებს, ყველა ასო ერთი სიმაღლისა გამოუდის, მთავრულად წერს.
2. ჩვეულებრივია ისეთი მოვლენა, როდესაც ასოს ყველა ნაწილი თანაბარი სიმსხოს ხაზებითაა გამოყვანილი, არაა გარჩეული წვრილი და მსხვილი ხაზები (ყველა ნაწილი ბეწვა ხაზით არის გამოყვანილი). ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს ასოს სწორი მოხაზულობისათვის.
3. ცნობილია, რომ ყოველი ასოს მოხაზულობის გამოსაყვანად საჭიროა ხელის მოძრაობა გარკვეულის თანამიმდევრობით. ამ თანამიმდევრობის შეცვლა შედეგად თვალსაჩინო განსხვავებას იძლევა. სკოლებში ამას არავითარი ყურადღება არ ექცევა (ისევე როგორც მსხვილი და წვრილი ხაზების გარჩევას). შედეგი ერთბაშად ჩანს: რ, ბ, ზოგჯერ დ ისე გამოიყურება, რომ ცნობა ჭირს.
4. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლეს კალამი შებრუნებით უჭირავს. შედეგი: მსხვილი ხაზი იქ აღმოჩნდება, სადაც წვრილი უნდა იყოს და პირუკუ...

დავასკვნათ. რას მოწმობს ყოველივე ის, რაც აქამდის განვიხილეთ? საშუალო სკოლის ზოგი მოსწავლე ვერ ხმარობს სასვენ ნიშნებს, თავს ვერ ართმევს ელემენტარულ ორთოგრაფიულ საკითხებს, ხშირია უხეში მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები და, რაც მთავარია, მოსწავლეს სრულიად არ უვარგა სტილი; კონკრეტულად:

ა) მოსწავლე ვერ ხმარობს სალიტერატურო ქართულისთვის დამახასიათებელ სიტყვებს და გამოთქმებს უბრალო აზრის გამოსახატავად: ვერ ახერხებს საზღვრულისთვის შესაბამის მსაზღვრელის დაძებნას (მოსპოს უმწიკვლო უსუსური არსება), სახელისათვის სათანადო ზმნის შერჩევას ანდა ზმნისთვის — ამხსნელი სიტყვისას (ბუმბერაზი ხეები **პრისხანეთ** გამოიყურებიან... სილა-



მაზე **სუფებდა...** აი ამ მთავარმა მომენტმა **უბიძგა** დ. კლდიაშვილს... ყოველ-მხრივ ანუგეშებს). წესიერ გამოთქმებს მოწაფე იმიტომ ვერ აღგენს, რომ ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობა მისთვის არ არის ნათელი;

ბ) მოსწავლე უძლურია შეადგინოს რთული წინადადება, გაანაწევროს აზრი სათანადოდ, დააკავშიროს დამოკიდებული წინადადება მთავართან;

გ) სიტყვის არაზუსტი ხმარება ბაღებს მრავალსიტყვაობას და აზრის ბუნდოვნობას (მგზავრობის დროს თვალწინ გადაშლილი იყო გაზაფხულის ქონებით მორთული ბუნება). რთული წინადადებისადმი მიდრეკილება, დამხმარე სიტყვათა (საერთოდ, რასაკვირველია, აგრეთვე, გამომდინარე)... წარა-მარა ხმარება და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების კორიანტელი მეტყველების დაბალი კულტურის უტყუარი ნიშანია.

როგორ ვებრძოლოთ ამ მოვლენებს?

1. სასვენი ნიშნების, ორთოგრაფიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები გრამატიკამ უნდა მოაგვაროს.

2. სტილის საქმეს მარტო ქართული ენა ვერ მოაგვარებს, თუმცა აქაც ქართულ ენას წამყვანი როლი ენიჭება. მარტო ქართული ენა იმიტომ ვერ მოაგვარებს, რომ სტილის საკითხი აზროვნების საკითხია და მოსწავლის აზროვნების დონისათვის პასუხისმგებელია ყველა საგანი, მთელი სასწავლებელი. წამყვანი როლი ქართულ ენას იმიტომ ენიჭება, რომ ენაზე მუშაობისას უნდა გაირკვეს სტილისტიკური შეცთომების არსი, შეცთომათა ძირითადი სახეები და აგრეთვე ისიც, თუ რა გზით შეიძლება ისინი თავიდან ავიცილოთ.

3. პირველ ორ მუხლში დასახული მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ წერითს სამუშაოებს სათანადო ადგილი არ დაეთმო სკოლაში-აც და შინ მუშაობისასაც.

აქ მთავარია ვარჯიშობა კონკრეტული მხატვრული მასალის შინაარსის გადმოცემაზე; ასეთ შემთხვევაში მოსწავლე ძალა-უნებურად იძულებულია გამოთქმები შეითვისოს; მორფოლოგიურ-სინტაქსური და ორთოგრაფიული ნორმების ხმარებაში გავარჯიშებაც ამას ბუნებრივად მოჰყვება.

4. მთელმა სასწავლებელმა დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მრავალსიტყვაობას, ჭრიაშვილიზმებს და დევიზად დასახოს: ცოტა სიტყვაში ბევრის თქმა, მარტივ სიტყვებში რთული აზრის გადმოცემა, კერძოდ, არ გააჭაჭანოს რთული წინადადება, როცა მარტივი, რამდენიმე სიტყვიანი გამოთქმის შედგენა ჯერ კიდევ ჭირს.

**საჭიროა თუ არა ენის სწავლება საშუალო  
სკოლის უკანასკნელ კლასებში?  
(ღია წერილი საშუალო სკოლის მასწავლებლებს)**

იყო დრო, როცა ჩვენს საშუალო სკოლაში დედა-ენა, მისი გრამატიკა, სულ არ ისწავლებოდა. სადირექტივო ორგანოების სპეციალურმა დადგენილებებმა ენერგიულად მოაბრუნეს სწორი გზისაკენ სკოლის მუშაობა, საერთოდ, და ჯეროვანი ადგილი მიუჩინეს დედა-ენის სწავლებას, კერძოდ.

ამ მხრივ საშუალო სკოლას ძირითად ამოცანად დაუსახეს: მოწაფე უნდა დაეუფლოს კულტურული წინსვლის ძლიერ იარაღს, რომელსაც სალიტერატურო ენა ეწოდება; კი არ გაეცნოს მას, არამედ დაეუფლოს: შეისწავლოს მისი ძირითადი თვისებები და პრაქტიკულად შეითვისოს სალიტერატურო მეტყველება, ზეპირი და წერილიც, შეითვისოს ისე, რომ სალიტერატურო ენის ნორმები ჩვევად ექცეს (რაც, რა თქმა უნდა, ამ ნორმათა შეგნებულ ცოდნას კი არ გამოორიცხავს, არამედ გულისხმობს).

რამდენიმე წელია, რაც ჩვენი სკოლა იბრძვის ხსენებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის. გარკვეული შედეგები უთუოდ გვაქვს კიდევ: მოწაფეს გააჩნია გრამატიკული მასალის ელემენტარული ცოდნა, ეჭვი არ შესდის, რომ სასვენი ნიშნები საჭიროა, მეტ ყურადღებას აქცევს წერილს მეტყველებას, მოწაფეთა ერთი ნაწილი რიგიანად წერს და დალაგებულად ლაპარაკობს კიდევ.

და მაინც: დასმული ამოცანის გადაწყვეტაზე შორსა ვართ. საშუალო სკოლის კურს-დამთავრებულს ჩვეულებრივად უძნელდება აზრის დანაწევრება და უჭირს გამართული მეტყველება სალიტერატურო ენით, ვერ ერევა განყენებულ ცნებათა აღმნიშვნელ სიტყვებს, თავის ადგილას ვერ ხმარობს უცხო სიტყვებს (არ ესმის მათი შინაარსი და იმიტომ!), ეპოტინება რთულ დამოკიდებულ წინადადებებსა და პერიოდებს (ეთაკილება სადად ლაპარაკი!), თხზავს არეულ ფრაზებს, უადგილოდ აკერებს დამხმარე სიტყვებსა და ზოგადს გამოთქმებს („მამასადამე“, „რასაკვირველია“, „აქედან გამომდინარე...“), თავის ადგილას ვერ სვამს სასვენ ნიშნებს და სხვა: ბევრჯერ თქმულა, მოსაწყენია გამეორება.

ახალგაზრდობამ დაამთავრა საშუალო სკოლა; ის ან მასწავლებლად ეწყობა და ნერგავს თავის ჩვევებს ან სწავლას აგრძელებს უმაღლეს სასწავლებელში (ეს უფრო ხშირია).

ამოიგება თუ არა ზოგადი განათლების ხსენებული ხარვეზი უმაღლეს

სკოლაში? ან სულ არა, ანდა მხოლოდ ნაწილობრივ. უმაღლეს სკოლას საკუთარი რთული საქმე აქვს, საშუალო განათლების ხარვეზის ამოსავლებად იქ არც დრო რჩება, არც ორგანიზაციული შესაძლებლობა გაგვაჩნია.

შემთხვევითი არაა ამიტომ, თუ უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნიც არა იშვიათად გლახა ჭრიაშვილივით აჯახირებენ სიტყვას და წერენ უხეიროდ (კერძოდ, გულისგამაწვრილებელია ასოთა მოყვანილობა).

საშუალო სკოლის მუშაობის სისუსტეს ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავედ გრძობს ის დარგი, რომელმაც ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უნდა მოამზადოს: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტები.

აქედან უნდა მივიღოთ ის ძალები, რომლებმაც ენის სწავლების ნორმალური დონე უნდა უზრუნველყონ საშუალო სკოლაში.

მაგრამ რა უნდა ქნას უმაღლესმა სკოლამ, თუ ახალგაზრდამ სასვენი ნიშნების დასმა არ იცის? როგორ „დაახალისოს“ ასეთი მასალა და მოგვცეს კვალიფიციური სპეციალისტი?

ლამის არის, გამოუვალი წრე შეიქმნება: საშუალო სკოლა მოუმზადებელ ახალგაზრდებს უგზავნის უმაღლეს სკოლას; უმაღლესი სკოლა, თავის მხრივ, მოუმზადებელ მასწავლებელს აწვდის საშუალო სკოლას, ორივე ჩივის და ერთი მეორეს აკისრებს პასუხისმგებლობას.

პასუხისმგებლობას ვერც საშუალო სკოლა გაექცევა და ვერც უმაღლესი. კერძოდ, უმაღლესი სკოლა განზე ვერ გადგება და ხელს ვერ დაიბანს: პასუხს არ ვაგებ ჩემი მუშაობისათვის, მოუმზადებელი მსმენელები მომივიდა, შედეგები საშუალო სკოლამ ზღოსო.

უმაღლესი სკოლა ვალდებულია საგანგებო და ეფექტური ზომები მიიღოს და სტუდენტთა საჭირო მომზადება უზრუნველყოს. უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრამ დააყენა საკითხი ქართული ენის სწავლების შესახებ ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე. პროფ. ვ. თოფურია მოითხოვდა სისტემატური წერითი სამუშაოების შემოღებას I და II კურსზე. ფაკულტეტის საბჭომ ეს გაიზიარა. ძნელი სათქმელია, მოხერხდება თუ არა მისი გატარება. აუცილებელი კია.

აუცილებელია, როგორც დროებითი გადაუდებელი ღონისძიება. აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის: საჭირო იქნება განათლების კომისარიატმა მოიწვიოს სპეციალური თათბირი ყველა იმ უმაღლეს სასწავლებელთან მონაწილეობით, რომლებიც ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ამზადებენ — სხვა აუცილებელ, დროებით ღონისძიებათა შესამუშავებლად და განსახილველად.

უმაღლესმა სკოლამ თავისი კედლებიდან არ უნდა გამოუმვას ისეთი მასწავლებელი, რომელიც მოწოდების სიმაღლეზე არ იდგება. ეს უნდა უზრუნველყოთ სპეციალური ღონისძიებებით.

ეს — მიღებული კონტინგენტისათვის. მისაღები კონტინგენტი კი უნდა შევარჩიოთ ნამდვილი საკონკურსო გამოცდების საშუალებით.

ამრიგად, უმაღლეს სკოლებში არსებული მდგომარეობის გამოსწორება სპეციალური დროებითი ღონისძიებებით უნდა დავიწყოთ, მაგრამ ამას წესად ვერ ვაქცევთ: საშუალო სკოლის ტვირთს უმაღლეს სკოლას ვერ დავაკისრებთ.

საკითხის რადიკალური გადაწყვეტა საშუალო სკოლამ უნდა მოგვეცეს. თუ საშუალო სკოლამ თავის საქმეს ვერ მოუარა, უმაღლეს სკოლაში ნორმალური მდგომარეობა არ შეიქმნება.: რა შეუძლია ამთავითვე იღონოს საშუალო სკოლამ? ენის სწავლება უნდა გავაგრძელოთ VIII, IX და X კლასებში.

რა უნდა ვასწავლოთ? ამას პროგრამა დააზუსტებს. მთავარია: ლექსიკურ-სტილისტიკური ვარჯიშობა, ზეპირიკა და წერიტიცი; სალიტერატურო ენის ნორმათა გამეორება, როცა მასალა უსწავლიათ წინა კლასებში, და შესწავლა, როცა ხარვეზები გვაქვს წინა კლასების მასალის დამუშავებაში.

ცნობილია, რომ ხშირად არასრული საშუალო სკოლა ისეთ მოწაფეებს აძლევს VIII კლასს, რომელთაც გრამატიკის ელემენტარული ცოდნა არა აქვთ: არასრული საშუალო სკოლის ხარვეზი სრულმა საშუალო სკოლამ — ე. ი. მომდევნო კლასებმა — უნდა ამოავსოს. ამისი საშუალება VIII-X კლასებში ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს უნდა მიეცეს (არ ივარგებს, თუ არასრული საშუალო სკოლის ცოდვა უმაღლეს სკოლას გადაუღოცეთ).

მაშინაც კი, როცა არასრული საშუალო სკოლა ნორმალურად მუშაობს, საჭიროა შემდგომი მუშაობა სალიტერატურო მეტყველების ჩვევათა განსამტკიცებლად.

VIII-IX-X კლასებში თითო საათი (შვიდღიურში) რომ გამოიყოს ამისათვის, ხელშესახებ შედეგს მივიღებთ. მაშინ უმაღლეს სკოლაში სპეციალური ღონისძიებები არ დაგვჭირდება (მდგომარეობა გაუმჯობესდება იმ უმაღლეს სასწავლებლებშიც, იმ დარგებზედაც, სადაც სპეციალური ღონისძიებების — თუნდაც დროებითის — მიღება მოუხერხებელია და ენის საკითხი მოუგვარებელია).

სად ვიშოვოთ ეს ერთი საათი? თუ საჭიროდ ვცნობთ, დროც გამოიძებნება. უკიდურეს შემთხვევაში ლიტერატურას უნდა დავესესხოთ. ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდის“ შესწავლა, ეჭვი არაა, კარგი საქმეა, მაგრამ რას წაადგება ბაირონი იმას, ვისაც „ოთარანთ ქვრივი“ არ წაუკითხავს, ანდა სასვენი ნიშნის დასმა არ იცის?!

ვფიქრობთ, საშუალო სკოლის საქმეს ჩახედული მუშაკები თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვიან საკითხის შესახებ — საჭიროა თუ არა ენის სწავლება გავაგრძელოთ VIII-X კლასებში?

გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, №70, 1940, გვ. 2

## პრესტიჟი ეროვნული სკოლისა

სკოლის გარეშე თანამედროვე ცხოვრება, საერთოდ, წარმოუდგენელია, მეტადრე კიდევ ჩვენს ქვეყანაში, სადაც სწავლება უფასოა და სავალდებულო; შვიდი წლის მოქალაქეს აქ „დედა-ენა“ უჭირავს ხელში და ებმება იმ დიდს, თავისებურსა და საინტერესო საქმეში, რაც მას მოელის სკოლაში. პირველი სექტემბერი დიდი დღეა არა მხოლოდ იმათთვის, ვინც პირველად აღმოჩნდა სასკოლო მერხზე. სკოლაში პატარა მოქალაქე ამხანაგ-მეგობრებს გაიჩენს, მას აღმზრდელ-მასწავლებელიც დაუხვდება, საშინაო დავალებათა შესრულებასაც მიეჩვევა.

ეს ეხება ყველა ქვეყნის სკოლას, ყველა ხალხის ბავშვს, და ყველგან მასწავლებელია ის დიდი ძალა, რომელსაც შეუძლია შეაყვაროს ბავშვს სწავლაც და სკოლაც, თან ჩაუნერგოს ის თვისებები, რომელთა გარეშე ადამიანი პიროვნებად არ ითქმის, ჩაუნერგოს ადამიანობა (ლათინურად რომ „ჰუმანიზმს“ ეტყვიან), ჩაუნერგოს მოვალეობის შეგნება (ამის გარეშე ხომ თავგერდა, „ეჩო-კაცი“ გაიზრდება, მუდამ „თავისკენ რომ მიითლის“)...

აღზრდა ხომ შრომის ჩვევათა გამომუშავებასაც უცილობლად გულისხმობს. ყოველივე ეს ოჯახში იწყება და სკოლაში უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს, თუ, რასაკვირველია, ოჯახი და სკოლა ერთმანეთს მხარს აუბამს (უამისოდ კი არა გამოვა რა, გარდა იმისა, რომ მშობელი სკოლისაკენ იშვერს ხელს — „იმისი ბრალია, ჩემი ბავშვი თუ ასეთიაო“... სკოლაც, თავის მხრივ, მშობლებს უჩივის — „ოჯახი ხელს არ გვიწყობსო“...).

სკოლისა და ოჯახის უფლება-მოვალეობათა საკითხი ბავშვის აღზრდაში ძველი საკითხია. ეს საკითხი ყველა ქვეყანაში დგას.

ჩვენს ეროვნულ სკოლას, გარდა ამისა, სხვა საკითხიც უდგას: ესაა ეროვნული სკოლის **პრესტიჟის** საკითხი, ეროვნულ ენაზე **ჩეროვანი** განათლების მიღების საკითხი.

ქართულ ენაზე საგნების სწავლება დაწყებითსა და საშუალო სკოლებში 1917 წლის შემდეგ შემოიღეს; უმადლეს განათლებას კი საძირკველი ჩაუდგა უნივერსიტეტმა, რომლის დაარსებაც სამუდამოდ დაკავშირებულია დიდი ქართველი მეცნიერისა და მოქალაქის **ივანე ჯავახიშვილის** სახელთან (ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წელს, როგორც კერძო უმადლესი სასწავლებელი „ქართული უნივერსიტეტი“; სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებები შემდეგ მიანიჭეს).

\* \* \*

სამოცი წელია, რაც ეროვნული სკოლა გვაქვს. ცოტანილა დარჩნენ იმათგან, ვინც რევოლუციამდელ სკოლაში სწავლობდა, ვინც იცის, რომ იმხანად ქართულად მხოლოდ სამრევლო სკოლებში ასწავლიდნენ (სამრევლო სკოლა ეკლესიასთან არსებობდა, მასწავლებლად მღვდელი იყო და სკოლაში „დედა-ენასა“ და საღვთო სჯულს ასწავლიდა).

მთავრობის სკოლები (ე. წ. „სამინისტროს სკოლები“) ერთკლასიანი (სამწლიანი) და ორკლასიანი (ხუთწლიანი) სკოლები — ყველა სოფელს არ ჰქონდა.

სამინისტროს სკოლებში საგნები ქართულად არ ისწავლებოდა.

ორი ქართული კერძო გიმნაზიაც არსებობდა (ერთი თბილისში, მეორე — ქუთაისში), მაგრამ ამ გიმნაზიებშიც ქართულად მხოლოდ სამი საგანი ისწავლებოდა („ქართული ენა“, „ქართული ლიტერატურა“ და „საქართველოს ისტორია“).

გიმნაზიის დამთავრებისას მოსწავლეს კომისია ცდიდა (მის თავმჯდომარეს, ე. წ. „დეპუტატს“, კავკასიის სასწავლო ოლქი გზავნიდა. გამოცდაზე „დეპუტატი“ იწვევდა „ასისტენტებს“ მთავრობის გიმნაზიის მასწავლებელთაგან). „სადეპუტატო“ გამოცდებზე მოსწავლეს უნდა ჩაებარებინა ყველა საგანი, რაც მას ესწავლა, პირველი კლასიდან მოკიდებული; თავის მასწავლებელს რაც ჩააბარა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სამრევლო სკოლა ყველა ეკლესიასთან როდი არსებობდა. „სამინისტროს სკოლებშიც“ სასკოლო ასაკის ბავშვთა მცირე ნაწილსა აბარებდნენ; მათი მეტი წილი მეორე და მესამე განყოფილებამდე თუ მიაღწევდა... წერა-კითხვის მცოდნე სოფლად ცოტა იყო.

\* \* \*

საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე გადაუდებელ ამოცანად დასახა წერა-კითხვის უცოდინარობის („უწიგნურობის“) ლიკვიდაცია, და მოკლე ხანში განახორციელა ეს ამოცანა; ეს იმიტომ, რომ წერა-კითხვას **დედა-ენაზე ასწავლიდნენ**. თუ ენა უმწერლო იყო, დამწერლობას ქმნიდნენ (რამდენიმე ათეულ ენაზე შეიქმნა დამწერლობა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში).

ამჟამად ჩვენ გვაქვს ეროვნული სკოლა, არა მხოლოდ დაწყებითი და საშუალო, არამედ უმაღლესიც (უნივერსიტეტი და პედაგოგიური ინსტიტუტები, სამედიცინო, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო სპეციალური ინსტიტუტები). ამჟამად არ არსებობს საგანი, რომ მისი სწავლება ქართულად არ შეიძლებოდეს. დამუშავებულია ყველა სპეციალობის ტერმინოლოგია (მათ შორის კრებსითი ტერმინოლოგიები ტექნიკასა და სოფლის მეურნეობაში).

მაგრამ უმაღლესი განათლება **ზედა** სართულია. ის ემყარება საშუალო განათლებას, **ქვედა** სართულს, ამას კიდევ დაწყებითი სკოლა აქვს **საძირკვლად**.

ეროვნული განათლება სავალდებულო საყოველთაო სწავლების პირობებში ჩვენი ქვეყნის დიდი მიღწევაა. ჩვენ ისე მივეჩვიეთ იმას, რომ დედა-ენაზე გვაქვს სწავლება, — ხშირად ვერ ვამჩნევთ, რასაც ნიშნავს სკოლის ცხოვრებაში და ხალხის კულტურისათვის დედა-ენაზე სწავლება.

დედა-ენაზე სწავლება არ ნიშნავს, რომ სხვა ენის ცოდნა საჭირო არ იყოს. მართოდენ თავისი ენით დღესდღეობით ვერც ერთი ხალხი ფონს ვერ გადის. საჭიროა ვიცოდეთ რუსულიც, ერთ-ერთი ევროპული ენაც. განათლებულ ადამიანს ლათინური ენის ელემენტების ცოდნაც სჭირდება, რომ ინტერნაციონალური ტერმინოლოგიის ვითარებაში გაერკვეს.

\* \* \*

ყოველი ახალგაზრდა, ვინც კი სკოლამ ცოდნით აღჭურვა, ძალას მატებს ჩვენს ეროვნულ კულტურას. ასევე ყოველი ახალგაზრდა, რომელსაც ხელთ ატესტატი აქვს, მაგრამ შესაბამისი ცოდნა არ მოეპოვება, **ვალად აწვება** ჩვენს სკოლას, ჩვენს კულტურას. და რაც უფრო მეტია ასეთი ვალი, მით უფრო ძძიმე დღეში აღმოჩნდება ჩვენი სკოლა, ჩვენი ეროვნული განათლება.

ახალგაზრდობის თაობათა აღზრდა და საჭირო ცოდნით აღჭურვა დიდი საქვეყნო საქმეა, ჩვენი ხალხის მომავლის საქმეა. ეს საქმე მთელი საზოგადოების შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს, ყოველდღიურ ზრუნვასა და დახმარებას საჭიროებს, უკეთესისათვის დაუცხრომელ ბრძოლას გულისხმობს.

ამ ბრძოლის მოწინავე რიგებში მასწავლებლობა დგას, მათ შორის კი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ეკისრება განსაკუთრებული მისია ჩვენს სკოლებში.

ვისურვოთ, ჩვენი ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ მომავალშიც მასწავლებლის საიმედო მრჩეველი ყოფილიყოს!

მასწავლებელი დიდი ძალაა, როდესაც მან თავისი უანგარო მოღვაწეობით, ობიექტურობითა და პირუთვნელობით მოსწავლის, — პირველ ყოვლისა, მოსწავლის, — პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

პატივი და დიდება ახალგაზრდობის აღმზრდელს, სკოლის ბურჯს, განათლების საქმის მედროშეს, მასწავლებელს.

ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“,  
1978, №2, გვ. 90-93.

## Сопоставительное изучение языков как метод исследования и как метод обучения

О б с у ж д а е м  
статью Б. Серебrenникова

### «Всякое ли сопоставление полезно?»

Сопоставительное изучение языков может ставить целью исследование языков, в частности древнейших этапов их истории, или же может служить вспомогательным приемом обучения языку. В первом случае сопоставительное изучение выступает в роли *методологической* (сопоставление – метод исследования), во втором же – сопоставление относится к сфере *методики* (сопоставление – метод обучения).

Методический аспект сопоставительного изучения языков более ясен и менее спорен; методологический же – намного сложнее.

Признание сопоставления как метода исследования требует, прежде всего, определить его отношение к сравнительному методу изучения языков.

Сравнительный метод следует рассматривать как метод изучения истории *родственных* языков, т. е. таких языков, которые берут начало от общего языка-основы. В таком случае сравнение призвано быть средством для уяснения того процесса развития, в результате которого диалекты исходного языка-основы сформировались в самостоятельные языки, в родственные языки. Родство языков может быть близким (русский – украинский – белорусский), родство может быть более отдаленным (русский – польский), родство может быть весьма отдаленным (русский – испанский, английский – ирландский). Путь, пройденный в процессе дифференциации общего исходного материала, предстоит вскрыть с помощью сравнения. Конечно, нельзя забывать и о документальной истории. Но, прослеживаемая по письменным источникам, она в не состоянии – даже в самых лучших случаях – выявить все богатство и многообразие процесса становления родственных языков. Сравнительный метод органически связан с историей родственных языков. Следовательно, нет оснований считать сравнительным методом сопоставление фактов любых языков в целях педагогических и методических, неправомерно называть «сравнительной грамматикой» результаты сопоставительного изучения двух языков: ведь при этом дело касается лишь двух языков (сравнительная грамматика, как правило, изучает всю родственную группу); эти два языка могут быть как родственными, так и неродственными (обычно эти два языка – неродственные, тогда как сравнительная грамматика анализирует родственные языки); сопоста-



вительное изучение не ставит целью уяснение вопросов истории (сравнительная же грамматика призвана обслуживать историю – в этом ее смысл).

\* \* \*

Особый вопрос – сравнение неродственных языков. Сравнительная грамматика в этом случае не разрабатывается, но история остается целью: это не история родственных языков, а история процессов, имеющих место в жизни различных языков, история возникновения и развития категорий, прослеживаемых в различных по происхождению и грамматическому строю языках.

Такое сравнение в принципе не может оспариваться. В определенных случаях оно может привести к положительным результатам, весьма ценным с точки зрения историко-сравнительного языкознания.

В качестве иллюстрации ограничимся ссылкой на один пример, где результат такого сравнения может считаться общепризнанным. Мы имеем в виду толкование происхождения категории грамматического рода в индоевропейских языках. Казалось бы, различая мужской и женский род, соответствующие языки исходят из различия между существами мужского и женского пола, имеющегося в действительности. «Основу для возникновения грамматического рода, – писал Герм. Пауль, – образует е с т е с т в е н н о е р а з л и ч и е п о л а (der natürliche Geschlechtsunterschied) людей и животных. Если же, кроме них, мужской и женский роды прилагаются и к другим существам, а также к обозначению свойств и деятельности, то в этом проявляется действие ф а н т а з и и, которая воспринимает эти существа по аналогии с человеком (nach Analogie der menschlichen Persönlichkeit)»<sup>1</sup>. Такое понимание выдвигалось и до Пауля, и после выхода в свет первого издания «Принципов истории языка» Г. Пауля (в 1880 г.); оно разделялось и другими авторами, специалистами индоевропейских языков (напр., Бругманом).

В своей «Психологии народов», первые два тома которой посвящены языку, В. Вундт выдвинул положение, согласно которому в основе категории грамматического рода лежит не реальный род (пол – das natürliche Geschlecht), а различение по признаку ценностей, которое приписывается обозначаемым предметам и явлениям (die einfache Wertunterscheidung)<sup>2</sup>.

К такому выводу Вундт пришел на основе учета показаний языков различного строя и происхождения: сопоставив материалы индоевропейских и семитических языков с данными языков банту (в Африке), индийских языков (в Америке), полинезийский и др. языков, Вундт выделил различные принципы классификации: различение категорий в ы с ш ы х («высокоценных») и н и з ш и х существ, различение категорий ч е л о в е к а и в е щ и, категорий ж и в о г о и н е ж и в о г о, категории рода (мужского, женского, среднего).

При этом Вундт подчеркивает, что в трехчленной классификации индоевропейских языков средний род (udéteron, букв. «ни то, ни другое») противопоставляется двум остальным (мужскому, женскому), как категория неживого категории живого.

<sup>1</sup> H. Paul. Prinzipien der Sprachgeschichte, § 181, 33. 203-204, IV изд. (1909).

<sup>2</sup> W. Wundt. Die Völkerpsychologie, Bd. II. Die Sprache, II Teil (1912), 33. 20-21.

Теперь такое понимание можно считать общепринятым: трехчленное деление индоевропейских языков (муж., жен., средн.) рассматривается как идущее из двухчленного деления (на живое и неживое), причем живое впоследствии дифференцировалось на мужской и женский род, к неживому восходит средний род. А. Мейе подчеркивает, что мужской, женский и средний роды не являются однородными категориями, что и семантически, и морфологически «противопоставление мужского – женского и среднего является противопоставлением одушевленного и неодушевленного»<sup>3</sup>, т. е. живого-неживого.

К категориям живого и неживого возводят в новой литературе мужской и женский род семитических языков (см., напр., Грея).

Итак, деление по родам (мужской, женский, средний), засвидетельствованное в индоевропейских языках, воплощает не единственный, а лишь один из возможных принципов деления; деление по родам отнюдь не первично, а результат переосмысления категорий «живого» и «неживого».

Новое понимание генезиса категории грамматического рода получено в результате сопоставления показаний различных по происхождению языков (индоевропейских, банту, индейских).

Сопоставительное изучение языков не ведет к созданию сравнительных грамматик: не может быть сравнительной грамматики языков банту и индейских языков Америки: общего, исходного материала у них не имеется, они по происхождению разнятся; далее: для уяснения истории одних категорий они могут сопоставляться с одними языками, в другом случае – с другими: систематического сопоставления грамматических фактов не получится.

Сопоставительное изучение языков, безусловно, ценно для изучения общих вопросов формирования и развития определенных грамматических категорий, общих процессов и закономерностей, представляющих актуальный интерес с точки зрения общелингвистической.

Сопоставительное изучение языков такого рода, помогая разработке определенных вопросов научной истории языка, оправдано с точки зрения задач исторического языкознания и, конечно, не может противопоставляться историко-сравнительному языкознанию.

\* \* \*

Теперь о сопоставлении как методическом приеме обучения языку. Оно ставит целью довести до сознания учащегося те расхождения, которые существуют между строем родного языка и строем изучаемого языка. Не будь таких расхождений между языками, изучение нового языка свелось бы к усвоению лишь его лексики.

Сопоставляя структуру неродного языка со строем родного языка, учащийся сознательно усваивает особенности изучаемого языка и одновременно глубже вникает в родную речь. Осознание того факта, что в различных языках могут иметься разные способы выражения однозначных мыслей, естественно, расширяет кругозор учащегося и имеет, несомненно,

<sup>3</sup> „L'opposition du masculin-féminin et du neutre est donc une opposition de animé-inanimé – A. Meillet. Linguistique historique et Linguistique générale, 1921, 33. 211.

общеобразовательное значение. Все это, конечно, в том случае, если умело использовать прием сопоставления: судьба методического приема неотделима от того, как искусно он применяется.

Сопоставляют, как известно, *р а с х о ж д е н и я* – в звуковом составе, морфологии и синтаксисе, во фразеологизмах, в стиле.

Расхождения могут быть двоякого рода: в родном языке имеются категория (явления), которых нет в изучаемом языке, или, наоборот, в изучаемом языке представлены категории (явления), которых нет в родном языке. Посмотрим эти случаи на примере изучения русского языка в школах национальных республик.

1. В русском языке различаются три рода. Но категория грамматического рода отсутствует в ряде языков (например, грузинском, армянском, тюркском). Учащийся с таким родным языком склонен одну форму (форму мужского рода) употреблять для всех родов.

2. Может случиться и так, что в языке будут различаться формы прилагательных, а расхождения остаются, и их приходится преодолевать. Например, прилагательные аварского языка могут различать три формы: *кҭудийау* – *большой*, *кҭудийай* – *большая*, *кҭудийаб* – *большое* (во множественном числе: *кҭудийал* – *большие*). Казалось бы, каждая форма русского прилагательного имеет соответствие и, казалось бы, налицо совпадение; в действительности же эти формы прилагательных далеко не эквивалентны: в аварском языке они выражают различие грамматических классов, не родов; это сразу же даст себя знать, как только прилагательные выступят в атрибутивных словосочетаниях: *кҭудийау* – *большой* может быть определением лишь имени, обозначающего мужчину, *кҭудийай* – *женщину*, но ни та, ни другая форма не может быть определением названия животного или предмета; с другой стороны, *кҭудийаб* – *большое* может относиться к названиям всех животных, конкретных и отвлеченных предметов, кроме человека. Поэтому для языкового сознания аварского школьника естественным кажется *большое дерево*, *большое дело*, но для него странно звучит: *большая река*, *большой дом*, *большой ветер*. Во всех этих примерах он склонен употреблять лишь *большое* сообразно с нормами родного языка.

3. В языках с эргативной конструкцией нет винительного падежа; обычно на его месте выступает именительный (так, в дагестанских и нахских языках; в грузинском, сванском – именительный используется вместо винительного в группе времен прошедшего основного). Нередко учащиеся строят фразу с заменой винительного именительным падежом: *товарищ купил книга*, *ученик написал работа*.

4. Проще задача, когда налицо расхождение, так сказать, технического порядка: примером может быть соответствие русских предлогов послелогам в аварском, грузинском, тюркских языках. Благодаря сопоставлению, такие категории усваиваются легче.

5. В русском языке богато представлены формы причастий и деепричастий. Эквивалентных образований часто недостает в иберийско-кавказских языках. При обучении русскому языку следует уделять причастиям и деепричастиям большое внимание и потому, что удельный вес причастных и деепричастных оборотов в русском литературном языке исключительно велик.

6. Наконец, заслуживают внимания и те случаи, когда в языке учащегося имеются формы, не находящие соответствия в русском языке. Следует ли на них останавливаться, раз дело касается обучения русскому языку, где данной формы нет? Возьмем, например, инфинитив (неопределенную форму) аварского языка. Инфинитив в аварском может иметь три формы в зависимости от грамматического класса, к которому он относится: *в-екеризе* (I грам. кл.), *й-екеризе* (II грам. кл.), *б-екеризе* (III грам. кл.) – бежать (*р-екеризе* – форма множественного числа).

Расхождения подобного рода нельзя обходить, поскольку ни одна из форм аварского инфинитива не является эквивалентной неопределенной форме русского глагола.

Сопоставительное изучение языка должно фиксировать внимание в принципе на всех случаях расхождения, т. е. на всех случаях, где нет эквивалентных фактов, в первую же очередь на тех случаях, где расхождения наиболее существенны.

ქუჩბ. "Русский язык в национальной школе", №240, 1957, გვ. 1-4.

## პირველკლასელებისა და პირველკურსელების სამახსოვრო დღე

არა ერთი ათასი ქართველი ახალგაზრდა დღეს პირველად მოისმენს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში პირველ ლექციას. რამდენიმე ათეული ათასი პაწაწინა მოქალაქე დღეს პირველად შეაბიჯებს საკლასო ოთახში „დედა-ენით“ ხელში. პირველი სექტემბერი, — უწინარეს ყოვლისა, — პირველკლასელებისა და პირველკურსელების დღეა.

გვეტყვიან: სად პირველკურსელი სტუდენტი და სად პირველკლასელი ბავშვი, ზოგჯერ სკოლაში მარტო წასვლა რომ უჭირსო? ვინც ანბანს სწავლობს და ვინც მეცნიერებას ეუფლება, ერთს გზაზე დგას — სოციალისტური კულტურის შეთვისების გზაზე. ერთი ამ გზაზე პირველ ნაბიჯსა დგამს, მეორე კიდეც ამ გზის ბოლო მონაკვეთის გავლას იწყებს. თუ ამ პირველმა წლებმა მტკიცე საძირკველი არ ჩადგეს, უმაღლესი განათლება საჭირო საფუძველს მოკლებული აღმოჩნდება (პირველი წლების ხარვეზი შემდეგშიც შეუვსებელი რჩება).

პირველკლასელიცა და პირველკურსელიც ახლის მოლოდინშია: რა იქნება სკოლაში? როგორი იქნება პირველი ლექცია? ხშირად პირველი ლექცია სტუდენტს მოლოდინს არ უმართლებს: უმაღლეს სასწავლებელში პირველკურსელი განსაკუთრებულს მოელის... ზოგჯერ ლექტორსაც მიუძღვის წილი, რომ პირველკურსელ სტუდენტს მოლოდინი არ გაუმართლდა. სტუდენტს უნდა ახსოვდეს: ცალკეულმა ლექტორმა შეიძლება მას მოლოდინი არ გაუმართლოს, მაგრამ უმაღლესი სასწავლებელი იმედს არ გაუცრუებს იმას, ვინც მუშაობა იცის).

ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრება მეცნიერულ საფუძველზე იგება. ცოდნა აქ გამოუყენებელი არასოდეს რჩება. მეცნიერებას დიდი პატივი აქვს და დიდი პასუხისმგებლობაც აწევს.

ახალგაზრდობას ხალხის მომავალი აბარია. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, თქმა არ უნდა, — ნიჭიერია, ბევრი მათგანი გამორჩეულად ნიჭიერიც. ჩვენს ქვეყანაში წინათ არნახული შესაძლებლობა არსებობს — ახალგაზრდამ სწავლის წყურვილი მოიკლას, ქვეყნისთვის სასარგებლო მოქალაქე დადგეს. ეს შესაძლებლობა საბჭოთა ხელისუფლებამ შეგვიქმნა. ამ შესაძლებლობას გამოყენება უნდა.

ნიჭიერი ახალგაზრდა ხშირად ამას არ იყენებს. რა გვიშლის ხელს?

ნიჭი გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ მუშაობაში გამძლეობა გვაკლია, სისტე-

მატური შრომის უნარი ხშირად ძალზე მოიკოჭლებს. ესაა ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი. ვისაც ახალგაზრდობის ბედი აინტერესებს, ამ ნაკლზე თვალს ვერ დახუჭავს.

ახალგაზრდობის ეს ნაკლია, რომ სკოლას მუშაობას ურთულებს, ხოლო ბევრ მშობელს გულს უწყლულებს. გაურჯელობის შედეგი სექტემბერში არა ჩანს, იანვარსა და ივნისში მწარედ იგრძნობა.

პიროვნებას ხასიათი ქმნის. ხასიათი შრომაში იწრთობა ახალგაზრდობიდანვე. შრომა პირველი კლასიდანვე უნდა ვისწავლოთ, რომ შინაგან მოთხოვნილებად იქცეს. ფუქსავატი სურვილების ამყოლი ახალგაზრდა ღირსეული მოქალაქე ძნელად თუ დადგება.

„ასე მსურს“ უნდა შეცვალოს „ასე უნდა“, „ასეა საჭირო“-მ. ნიჭი გარჯილობამ უნდა დაამშვენოს.

მაშინ ქართული სკოლის სახელი უფრო აიწევს, ქართული კულტურის სასიცოცხლო ძალა გაიზრდება, მშობლების ამაგიც დაფასდება, სოციალისტურ სამშობლოს ღირსეული მოქალაქეები შეეძინება.

მხურვალე სალამი პირველკლასელებსა და პირველკურსელებს!

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1951,  
1 სექტემბერი, №160, გვ. 3

## **„გამარჯვებას გისურვებთ კეთილშობილურ საქმეში!“**

მიმართვა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა  
პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის  
მონაწილეებისადმი (ქუთაისი, 1975)

ხვალ ქუთაისში იხსნება ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები. კონფერენციის მონაწილეები იმსჯელებენ ახალგაზრდა მეცნიერთა როლზე წარმოებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვა.

პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციისადმი ინტერესს ზრდის ისიც, რომ მის მუშაობას განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებიან ჩვენი მეცნიერების სახელოვანი წარმომადგენლები, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა სპეციალისტთა შრომაზე.

გთავაზობთ აკადემიკოს არნ. ჩიქობავას სიტყვას კონფერენციის მონაწილეებისადმი.

ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები — ჩვენი ხვალისდელი დღეა, ჩვენი მომავალია: მათ ეკისრებათ გააგრძელონ და განავითარონ ყველაფერი ფასეული, რაც წინა თაობას შეუქმნია მეცნიერებაში.

ცნობილია არა ერთი შემთხვევა, რომ ძლიერი სამეცნიერო კერა ჩაქრა, რაკი სამეცნიერო კვლევა-ძიებას გამგრძელებელი არ აღმოაჩნდა.

ამიტომაც ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებთან პირუთვნელი საუბარი გვმართებს.

მეცნიერება თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია, მაგრამ ის არ უპირისპირდება ნაციონალურს, პირიქით, გულისხმობს მას: ინტერნაციონალურია მეცნიერების შინაარსი, ნაციონალურია ამ შინაარსის გადმოცემის საშუალება, ენა. ეს ქმნის საფუძველს ვილაპარაკოთ „ქართული მეცნიერების“, „რუსული მეცნიერების“, „ფრანგული მეცნიერების“ შესახებ და ასე შემდეგ.

იყო დრო, როცა მთელს ევროპაში სამეცნიერო ტრაქტატები, ფილოსოფიური თხზულებანი ლათინურ ენაზე იწერებოდა. ლათინური ენა იყო მეცნიერების ენა (ამის ნაშთია წამლების ლათინური ტერმინოლოგია აფთიაქებში).

მთელს ევროპაში სწავლულები ლათინურად წერდნენ და ლაპარა-

კობდნენ სამეცნიერო საკითხებზე, ევროპის ხალხებმა კი (ფრანგებმა, ინგლისელებმა, გერმანელებმა...) ლათინური ენა არ იცოდნენ: მეცნიერება ასეთ ვითარებაში ხალხისათვის მიუწვდომელი იყო, მეცნიერთა ვიწრო წრის კუთვნილებად იყო ქცეული.

ახლა ჩვენ საშუალება გვაქვს ფიზიკის, მათემატიკის, ასტრონომიის, გეოლოგიის, ბიოლოგიის... დებულებები ვთქვათ რუსულადაც, ქართულადაც, სომხურადაც... ეს დიდი საქმეა.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტი შეიძლება დასჯერდეს მხოლოდ ქართულის ცოდნას. სხვა ენებზე დაწერილიც უნდა იცოდეს თავის სპეციალობაში. საჭიროა იცოდეს არა მხოლოდ ქართული და რუსული ენები, არამედ ხელი მიუწვდებოდეს იმ მასალებზედაც, რაც დასავლეთ ევროპის ენებზე (ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე...) მოიპოვება. ამის გარეშე სპეციალისტს სერიოზული მუშაობა თავის სპეციალობაში გაუჭირდება.

ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაში ეს მტკივნეული საკითხია და მას მოგვარება ესაჭიროება. ეს მოითხოვს წლების მანძილზე სისტემატურ მუშაობას და სწორედ ახალგაზრდობის წლებში უნდა შევძლოთ ამ მტკივნეული საკითხის მოგვარება.

მეცნიერება ჭეშმარიტებას იძიებს, სიმართლეს იცავს და კულტურის პროგრესს, ხალხის კეთილდღეობას ემსახურება.

ამჟამად მეცნიერება საწარმოო დიდ ძალად იქცა. საპატიო საქმეა მეცნიერებაში მუშაობა. მაგრამ ამ მუშაობას დიდი პასუხისმგებლობაც ახლავს: სამეცნიერო მუშაობა „სხვათა შორის“ არ შეიძლება. სამეცნიერო მუშაობა ადამიანის მთელ შესაძლებლობას მოითხოვს. სამეცნიერო მუშაობა სასიცოცხლო საქმეს უნდა წარმოადგენდეს, თუ გვინდა მეცნიერებას ვემსახუროთ, და არა „მეცნიერებაში ვიმსახუროთ“. ამათ შორის დიდი ზღვარია.

ჭეშმარიტებას ვინც ეძიებს, ჭეშმარიტების უკომპრომისო დამცველიც უნდა იყოს (კომპრომისი მეცნიერებასთან შეუთავსებელია).

მეცნიერი შეიძლება შეცდეს. ეს სამწუხარო იქნება. მაგრამ არ შეიძლება, შეუწყნარებელია, მეცნიერი ტყუოდეს. ეს სამარცხვინო იქნებოდა: ამით კავშირი მეცნიერებასთან სამუდამოდ გაწყდებოდა.

სამეცნიერო კვლევა-ძიება საჭიროებს: სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებს, საანალიზო ზუსტ მეთოდიკას (შესასწავლი ობიექტის შესაბამისად), რათა მტკიცედ დადგენილი ფაქტები მოვიპოვოთ. საანალიზო მეთოდიკა მეცნიერების ტექნიკაა.

მეთოდოლოგიური პრინციპები და საანალიზო ტექნიკა აუცილებელია ყოველი მეცნიერისათვის. მაგრამ საკმარი არაა. მეცნიერებას აქვს და უნდა ჰქონდეს ეთიკა, რომ სამეცნიერო კოლექტივი „სუფთა ჰაერით სუნ-



თქავდეს“, ერთის წარმატება კვლევა-ძიების საქმეში მეორეს — ამხანაგი იქნება ეს მისი თუ ხელმძღვანელი — უნდა ახარებდეს.

საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „შური არს სხვისა კეთილისათვის წუხილი“ (შურიანს აწუხებს სხვისი კარგი), ხალხს სამართლიანად შეუნიშნავს: „შურმა დალივა სოფელიო“ (ე. ი. დალია, გააჩანაგა ქვეყანაო). შური სამეცნიერო კოლექტივის ჟანგია: შურიანი სხვას წამლავს, თავის თავსაც ტანჯავს...

მოკლედ ასე.

გამარჯვებას გისურვებთ, ახალგაზრდა კოლეგებო, თქვენს მართალსა და კეთილშობილურ საქმეში.

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“,  
9 დეკემბერი, 1977, გვ. 3

## სახელიანი ივლიდეთ!

### მცოვანი მეცნიერი მიმართავს ახალგაზრდობას

ოთხმოცი წელი... „გზა ყივის წამავალისა!“

გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე — მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა, და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს.

ენის საშუალებით გადაეცემა შემდგომ თაობას, რაც წინა თაობას ცოდნა-გამოცდილება დაუფროვებია. ეს რომ არა, კულტურის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა.

ბუნებრივია, რომ ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს დედა-ენა.

ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებოდეთ: „სხვისი ენა“ აკი ვილაცისთვის დედა-ენაა.

რა თქმა უნდა, ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს. მისთვის ყველა ენა ერთია. ის კოსმოპოლიტია და არა — ინტერნაციონალისტი.

ქართულ ენაზე მდიდარი მწერლობა მოგვეპოვება. ეს მწერლობა ჩვენი კულტურის დიდი ძალაა, თუკი მკითხველი და, პირველ რიგში, ახალგაზრდობა მას სათანადოდ მოეკიდება.

ქვეყანას სჭირდება განათლებული ახალგაზრდობა. ზერელე ცოდნა, უვიცობა პატრიოტული ვერ იქნება...

დიდი მოვალეობა აწევს, კერძოდ, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს განავითარონ ის დარგები, სადაც აქამდე ძლიერი სკოლა და სამეცნიერო ტრადიციები არ შექმნილა, ხოლო იქ, სადაც გარკვეული ტრადიციები მოგვეპოვება, წავიდეთ წინ ახალი მიღწევებისაკენ: კარგს უკეთესი უნდა შეემატოს.

ნიჭიერი ახალგაზრდა ჩვენში საძებარი არ არის. ნიჭს დამკვიდარი შრომის უნარი უნდა ზურგს უმაგრებდეს. ეს კი ხშირად გვაკლია.

შრომა ყველა დარგს, ყოველ საქმეს ესაჭიროება. მშრომელი ახალგაზრდობა ქვეყნის ბურჯია, ხალხის ნათელი მომავლის საფუძველია.

გამარჯვება ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდობას შრომაში, სწავლაში, კაიკაცობაში!

სახელიანი ივლიდეთ ცხოვრების გზაზე!

## **Овладевайте языком великого русского народа**

Русский язык – язык великого русского народа, первым в истории сбросившего ярмо капитализма.

Русский язык – это язык Ленина и Толстого, Пушкина и Горького, Менделеева и Павлова. На русском языке говорит великий зодчий коммунизма, наш родной и любимый Сталин. На этом языке создана самая идейная в мире литература, которая обогащает духовную сокровищницу человечества.

Сотни тысяч прогрессивных людей за пределами нашей великой Родины изучают язык Октябрьской революции. Естественно, что народы Советского Союза считают своей обязанностью владеть русским языком, языком межнационального общения народов нашей Родины.

Дело чести нашей молодежи – овладеть языком великого русского народа, одним из богатейших по своим выразительным средствам языков мира. О необходимости знания русского языка писал в свое время классик грузинской литературы Илья Чавчавадзе. Глубоко овладеть русским языком призвал нашу молодежь руководитель большевиков Грузии тов. К. Н. Чарквиани в своей речи на XVII съезде комсомола республики.

Я с удовлетворением прочитал в газете "Молодой сталинец" письмо горийских школьников своим тбилиским друзьям, в котором они делятся опытом изучения русского языка. Конечно, язык великого русского народа с увлечением изучают не только горийские школьники, но и многие граждане нашей республики.

Вот почему мы решили высказать несколько соображений общего порядка по этому вопросу.

Товарищ Сталин учит, что основу языка составляет основной словарный фонд и грамматический строй. Можно знать слова, но без грамматики одними словами мысли не выразишь. Грамматический строй каждого языка составляет нечто цельное, представляет собой систему. Ни одна языковая система не совпадает с другой. Расхождения могут быть незначительные, но могут быть существенные. Не будь этих расхождений в грамматических системах языков, можно было бы изучить "одну грамматику", а в дальнейшем пришлось бы усваивать лишь словарь других языков. Общеизвестно, что это не так: приходится изучать и словарь, и грамматическую систему всякого изучаемого языка. Правильно сказано: как нельзя ориентироваться в расположении улиц, площадей одного города, имея в руках план другого города, так же нельзя разобраться в системе (в грамматическом строе) одного языка при помощи грамматики другого языка. Кстати, ни один турист так не поступает. Но, изучая язык, некоторые так делают. Нередко эту "разницу двух городов" проглядывают и преподаватели языков.

В грузинском языке, например, не различаются твердые и мягкие согласные. В русском же языке это очень важно (стал – сталь; пыл – пыль). В грузинском языке не различаются также грамматические роды. В грамматическом строе русского языка род играет большую роль (высокий, высокая, высокое... – нельзя путать; "холодный вода" – совершенно нетерпимое сочетание слов).

В грузинском склонении нет винительного падежа. Учащемуся поэтому трудно дается употребление этого падежа.

Все ли наши преподаватели уделяют должное внимание особенностям изучаемого языка? Думается, что не все и не всегда.

Но изучение языка только в школе далеко не достаточно, тем более для такого богатого языка, как русский. Без самостоятельной работы наша молодежь не сумеет овладеть русским языком. Необходимо больше читать.

Что читать? Конечно, в первую очередь художественную литературу. Как читать? Бывает так, что, читая художественное произведение, задерживаются на каждом слове, ищут разъяснения в словаре. В результате текст становится понятным вполне, но чтение подвигается медленно, дело не идет дальше одной-двух страниц, сюжет не захватывает... Лучше читать внимательно и как можно больше, стараясь следить за сюжетом и лишь отмечая или выписывая незнакомые слова, чем корпеть над каждым словом. Незнакомое слово, попадаясь в различных контекстах, может стать понятным из самого контекста, а если это не случится, лучше уже потом заглянуть в словарь (тогда запоминается тверже) и все внимание сосредоточить на содержании, на сюжете: сюжет может увлечь, слова станут более "ясными", знакомыми, и дело пойдет на лад. Конечно, текст должен подбираться в общем доступный: нет смысла читать совершенно недоступный текст.

Бывает и так: читают много, понимают читанное, но говорят мало (налицо лишь пассивное знание языка). Часто стесняются говорить, боясь допустить ошибки и вызвать неуместные замечания бестактного слушателя. Таким товарищам следует помнить: сидя на берегу, нельзя научиться плавать, даже если основательно усвоил все правила плавания.

Можно много читать, можно уметь свободно говорить по-русски, но не уметь грамотно писать. "Уметь писать" значит правильно и точно излагать свои мысли, с одной стороны, и соблюдать правила орфографии – с другой стороны. Поэтому надо много писать – списывать с текста, писать пересказы, составлять конспекты и т. д.

Много читать, много упражняться в разговорной речи, много писать по-русски – лишь этим путем сможет наша грузинская молодежь в полной мере овладеть богатейшим языком великого русского народа.

## **ფაშიზმი პროგრესის უარყოფილობა**

კაცობრიობის **იდეური პროგრესი** უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე არაფერში გამოხატულა ისე მკაფიოდ, როგორც **გონების ძალის აღიარებასა და ადამიანის უფლებათა ცნობაში**.

ორივე ეს მოვლენა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ორივე ნიშანდობლივია ახალი საუკუნეებისათვის და უპირისპირებს მათ საშუალო საუკუნეებს (და წინამავალ ხანას).

საშუალო საუკუნეებში სარწმუნოებრივი აზროვნება ბატონობდა, მეცნიერება ღვთისმეტყველების მოსამსახურედ იყო აღიარებული.

ახალი საუკუნეები მეცნიერული აზროვნების ჰეგემონიით დახასიათდება. სარწმუნოების ერა შეიცვალა გონების ერთად.

თანამედროვე კაცობრიობის კულტურა არსებითად განსხვავდება ძველი ეგვიპტის, შუამდინარისა თუ საბერძნეთ-რომის კულტურისაგან იმით, რომ მას **საფუძვლად უდევს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები**.

ორთქლისა და ელექტრონის ძალა ახალი ადამიანის ხელში იქცა მორჩილ და ძლიერ იარაღად ადამიანის ბატონობისათვის ბუნებაზე; შეუძლებელი წინათ ახლა შესაძლებელი გახდა: მეცნიერული აზრის შესაძლებლობათათვის საფულისხმოა ის წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია ატომის ბირთვის აგებულების შესწავლისას, ერთი მხრივ, და ვარსკვლავთა შედგენილობის რკვევისას, მეორე მხრივ.

ახალ ხანას ხშირად **ორთქლისა და ელექტრონის** ხანად ნათლავენ. და ეს საფუძვლიანია, რამდენადაც **ტექნიკური პროგრესის** საშუალებები აქვთ მხედველობაში. ახალ დროებას ზოგჯერ **გონების** საუკუნედ მიიჩნევენ და ეს არანაკლებ სამართლიანია.

მეცნიერებისა და ტექნიკის გასაოცარი მიღწევები ახალ ხანაში გამოსახავს გონების ტრიუმფს და ურყევ საფუძველს ქმნის გონებისადმი უსაზღვრო რწმენისათვის.

**მეცნიერების უფლებათა შეუზღუდველი ცნობა, მეცნიერების მონაპოვართა ნიადაგზე დგომა პროგრესის შედეგიცაა და წინსვლის საწინდარიც.**

გონების პრიმატთან შინაგან კავშირშია ადამიანის უფლებათა აღიარება, ბატონყმობის მოსპობა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში და რიგ სხვა ქვეყნებში, მონობის მოსპობა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე დიდი ფაქტებია ადამიანის უფლებათა აღიარების.

რების საქმეში მეთექვსმეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მანძილზე.

ადამიანის უფლებათა აღიარებაში დიდი როლი ითამაშა XVIII ს. საფრანგეთის საგანმანათლებლო ფილოსოფიამ (რუსო, ვოლტერი, მონტესკიე, დიდრო და სხვა ენციკლოპედისტები).

უფლებები საშუალო საუკუნეებშიაც ჰქონდა ადამიანს, თუ ის ფეოდალური არისტოკრატის წრეს ეკუთვნოდა... წოდებრივი უთანასწორობის პირობებში უფლებრივი თანასწორობის პრინციპის წამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თანასწორობის პრინციპი, პირველ ყოვლისა, „ცისფერსისხლიანი“ არისტოკრატის პრივილეგიათა წინააღმდეგ იყო მიმართული: თანასწორობის პრინციპი დემოკრატიის პრინციპი იყო, ბრძოლა თანასწორობისათვის იყო ბრძოლა დემოკრატიისათვის, ბრძოლა არისტოკრატის წინააღმდეგ.

შემთხვევითი სრულებით არაა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საკონსტიტუციო აქტები პირველ რიგში იხსენიებენ ამ პრინციპს:

„ყველა ადამიანი იბადება, როგორც თავისუფალი და თანასწორი“ (§1, 1791 წლის კონსტიტუციისა).

„ყველა ადამიანი თანასწორია დაბადებით და კანონის წინაშე“ (§1, 1793 წლის კონსტიტუციისა).

ეს პრინციპი დეკლარაციულად გამეორებულია 1848 წლის კონსტიტუციაშიც:

„საფრანგეთის რესპუბლიკა პრინციპად აღიარებს თავისუფლებას, თანასწორობასა და ძმობას“.

რა თქმა უნდა, ეს თანასწორობა იყო **უფლებრივი თანასწორობა ეკონომიური უთანასწორობის პირობებში, ე. ი. თანასწორობა ფორმალური და არა ფაქტობრივი.**

კაპიტალისტური სამყარო საკმაოზე მეტ მასალას იძლეოდა და იძლევა იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი სხვაობაა ადამიანის ფორმალურ და რეალურ უფლებათა შორის, რომ კერძო საკუთრებისა და ფულის ბატონობის პირობებში უსახსრო ადამიანის უფლებები, ჰუმანიზმი და სხვა მაღალი მატერიები პირმოთნეობაა — და ხშირად — გესლიანი ფარისევლობა.

მართალი თანასწორობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოისპობოდა ექსპლოატაცია ადამიანისა ადამიანის მიერ, თუ სოციალური საძირკველი გამოეცლებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას.

მეცხრამეტე საუკუნემ ეს საკითხი დააყენა დღის წესრიგში. მეცნიერული სოციალიზმის არსს სწორედ ის შეადგენდა, რომ მოძებნილიყო გზა **რეალური თანასწორობისათვის, მართალი დემოკრატიისათვის, სოციალუსტური დემოკრატიისათვის.**

საკითხის სიმწვავე ნათელი იყო პროგრესულად მოაზროვნე ყველა მოწინავე ადამიანისათვის.

„დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა ამ მომავალს საუკუნესო“, — წერდა წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“<sup>1</sup> **ილია ჭავჭავაძე** (იხ. თხზულებათა სრული კრებული პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. VI, გვ. 8).

„ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია. და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდი ხნიდან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება აქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილება ისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებებისამებრ, ყოველის კლასობრივი, სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასების წარსამატებლად“. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად... აქ ღვაწლადებული იგი საუკუნეა, რომელმაც გუშინ გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, — ეხლა შენ იცი და შენმა ძალ-ღონემო“... კითხულობთ იქვე.

ქართველი დიდი პროგრესისტის ნათელ აზრს, როგორც ვხედავთ, მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი, საით მიყვავართ კაცობრიობის წინსვლას და რა მოგვცა ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნემ: სოციალური ტკივილები განკურნებული ოდნავადაც არ არის, მაგრამ საკითხი უკვე დასმულია...

„მეცხრამეტე საუკუნემ“ მაგარ საფუძველზე დააყენა მოძღვრება, რომ „ყოველი ადამიანი ადამიანია და, ვითარცა ადამიანი, ყველასთან თანასწორი“...

„ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა თაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისა-

<sup>1</sup> ეს წერილი დაისტამბა გაზ. „ივერიამი“ მეთაურად 1900 წლის 1 იანვარს (ე. ი. მიმდინარე საუკუნის დამდეგს).

სო“ — ამბობს **ილია ჭავჭავაძე** იმავე წერილში.

რასაკვირველია, ეს წყრომა და რისხვა არც მეცხრამეტე საუკუნეში და არც შემდეგ ბურჟუაზიულ სამყაროში არ ყოფილა ისეთი ძალისა, რომ უსამართლო მოქმედება აღეკვეთა, — ძალადობის აქტებით მეცხრამეტე საუკუნეც მდიდარი იყო (ხოლო მეოცემ ამ მხრივ განსაკუთრებით „ისახელა“ თავი), მაგრამ ისიც უდაოა, რომ მეცხრამეტე საუკუნემ შესაძლებელი გახადა ვილაპარაკოთ „კაცობრიობის მსჯავრზე“, რომელიც ძალადობას გმობს, „ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას თაკილობს“...

კაცობრიობის შეგნებაში ამ მხრივ უთუო ცვლილება მოხდა. ჩვეულებრივად ცდილობენ ხოლმე თვალთმაქცურად სამართალსა და სამართლიანობას ამოეფარონ მაშინაც კი, როცა ერთიცა და მეორეც მათ წინააღმდეგ ლაპარაკობს.

არა ერთი შრომა დაწერილა იმის გასარკვევად, თუ ვისი მიზეზით ატყდა პირველი იმპერიალისტური ომი: ყველა ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ის აიძულეს ომში ჩაბმულიყო. რატომ იყო ეს საჭირო? რომ თავიდან აეცდინათ პასუხისმგებლობა იმ საშინელი კატასტროფისათვის, რომელიც თავს დაატყდა ხალხებს იმპერიალისტური ომის სახით, რომელმაც იმსხვერპლა რამდენიმე მილიონი ადამიანი, გაანადგურა უამრავი ნივთიერი დოვლათი, გააღატაკა მშრომელი მასა და ოქროს ხვავები დაუყენა კაპიტალისტებს.

ვერავინ ბედავდა ეთქვა: „დიახ, ომი მე წამოვიწყე! მე დავატეხე კაცობრიობას ეს უბედურება! შეხედეთ, რა ვაჟკაცი ვარო!“

პირიქით, ყველას პირზე ეკერა მშვიდობიანობის დაცვა, ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო გაიძახოდა: „ვომობთ იმისათვის, რომ ეს ომი იყოს უკანასკნელი ომი“.

ომის შემდეგ ყველა იმპერიალისტი ლაპარაკობდა შეიარაღებათა შეკვეცაზე მაშინაც კი, როცა ეს შეიარაღება და, მაშასადამე, ომისათვის მზადება გაძლიერებული ტემპებით წარმოებდა.

პირველი იმპერიალისტური ომის დროს ასევე ყველა იმპერიალისტს პირზე ეკერა ერთა უფლებები, პატარა ერთა განთავისუფლება, თუმცა მაშინაც ცხადი იყო, რომ პატარა ხალხის მშველელი დიდი ხალხი კაპიტალისტურ სამყაროში შეუძლებელია დაიძებნოს: პატარა ერთა უფლებებს უნდა „გაეპატიოსნებინა“ უმაგალითო სისხლის ღვრა...

დიდისა და პატარის, ძლიერისა და სუსტის უფლებრივი თანასწორობის ცნობა იყო ამოსავალი ამ შემთხვევაში.

აღიარება ადამიანის უფლებებისა, ცნობა პატარა ხალხის ღირსებისა, **სიტყვიერი ცნობა**, მაგრამ **მაინც ცნობა და არა უარყოფა** — ამაში ჩანს კაცობრიობის უფლებრივი შეგნების პროგრესი, ეს განასხვავებდა მეოცე საუკუნეს მთრვან ყრუისა და ჩინგიზ-ყაენის დროთაგან.



აი სწორედ აქ თქვა „ახალი“ სიტყვა ფაშიზმმა.

მეოცე საუკუნე თანასწორობის პრინციპის **რეალურად განხორციელებას** სახავდა მიზნად: ფორმალურად ეს პრინციპი მეცხრამეტე საუკუნეშიც უკვე იყო აღიარებული.

ფაშიზმმა ამას დაუპირისპირა **თანასწორობის უარყოფა, — უარყოფა პრინციპში.**

**თანასწორობის ეს პრინციპული უარყოფა ამოსავალი დებულებაა ფაშიზმისა, საერთოდ, და გერმანული ფაშიზმისა, განსაკუთრებით.**

გერმანული ფაშიზმი, თვლის რა კულტურის შემოქმედად მხოლოდ გარკვეულ რასას, ხალხთა (რასათა) **პრინციპულ უთანასწორობას** ემყარება და ქადაგებს. **ხალხთა უთანასწორობის** ეს პრინციპი **ხალხის შიგნით სოციალურ უთანასწორობას ასაბუთებს: ღირებულია მხოლოდ გარკვეული ხალხები... ღირებულია ამ ხალხებში მხოლოდ გარკვეული ნაწილი.**

გაბატონებული და დამონებული თურმე ისტორიული წყევლა კი არაა, გარდამავალი სიავე როდია, ესაა თურმე ნორმა, ძალის მქონე ყველა დროისათვის...

გაბატონებულსა და დამონებულს შორის მოციქული ძალაა და არა სამართალი...

სიბრალული, თანაგრძნობა, კაცთმოყვარეობა თურმე უძლურთა მოგონილია...

ომი გადახალისების საშუალებაა, სამუდამო მშვიდობიანობა — თურმე, ნუ იტყვით, — კაცობრიობას დალუპავდა...

ფაშისტური ავტორების დაფორმულებით ზემოხსენებული აზრები ასეთ სახეს იღებს:

„ნაციონალ-სოციალიზმი (ე. ი. გერმანული ფაშიზმი) არის პოლიტიკური მოძღვრება გარკვეული მსოფლმხედველობის საფუძველზე, და ეს მსოფლმხედველობა დაფუძნებულია რწმენაზე რასაში“-ო, ამბობს ლენცე.<sup>2</sup>

„თანამედროვე კაცობრიობა იმყოფება გააფთრებული ბრძოლის მდგომარეობაში, რომელსაც ერთმანეთთან აწარმოებენ დედამიწის აურაცხელი „ნაციონალური და რასობრივი ინდივიდუალობანი“. ეს ბრძოლა, რომელიც ექვემდებარება ბუნებრივი შერჩევის ყველა კანონს, ბრძოლა, რომელიც საბოლოოდ გაანადგურებს სარწმუნოებას და სპობს მეცხრამეტე საუკუნის ილუზიებს, ეს ბრძოლა გაიშალა

<sup>2</sup> ესა და ქვემოთ მოცემული სხვა ამონაწერები ამოღებულია კრებულიდან: „Против фашистского мракобесия и демагогии“, 1936, Москва. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის გამოცემა.

მთელი მისი ბიოლოგიური სიმწვავითა და ბუნებრივი სი-  
შიშვლით. გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში ის რასა, რომელიც  
აღმოჩნდება უფრო ძლიერი და წმინდა. ამ გარდამავალი  
ფინალისაგან კაცობრიობას ვერ იხსნის ვერანაირი ნაციათა  
ლიგა, ვერავითარი პან-ევროპა, ვერავითარი პაციფიზმი.  
ქვეყნის ნანგრევებზე თავის გამარჯვების დროშას აღმართავს  
ის რასა, რომელიც აღმოჩნდება ყველაზე ძლიერი და რომე-  
ლიც ნაცარ-ტუტად აქცევს მთელს კულტურულ სამყაროს“-ო,  
ბრძანებს ბერგმანი (დაწერილია ომამდის — ა. ჩ.).

„არ არსებობს მსოფლიოს ისტორია, არის მხოლოდ ის-  
ტორია სხვადასხვა რასათა და ხალხთა, სხვადასხვა სულთა,  
რომელნიც ებრძვიან ერთმანეთს“-ო, გაიძახის როზენბერგი.

„ორი სხვადასხვა რასის ადამიანს შორის შეიძლება  
იყოს მეტი განსხვავება, ვინემ ადამიანსა და ცხოველს შო-  
რი“-ო. ეს „ნასიბრძნი“ ეკუთვნის დიუბინგს, რომლის შეხე-  
დულებათა სრული უსაფუძვლობა ცხადყო თავის დროზე  
ენ გ ე ლ ს მ ა (დიუბინგის ამ აფორიზმს დიდი გასავალი  
აქვს გერმანელ ფაშისტებში).

ჩ რ დ ი ლ ო უ რ ი რ ა ს ა ა თ უ რ მ ე ბ ა ტ ო ნ თ ა  
რ ა ს ა .

**„სხვა, არაჩრდილოური, რასის ადამიანი გარდამავალ  
საფენურს წარმოადგენს ადამიანსა და ცხოველს შორის.  
ის უფრო ანლოსაა მაიმუნთან, ვინემ ადამიანთან. მას  
არც ეთქმის ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელო-  
ბით“-ო, — აცხადებს გერმ. გაუხი.**

ჩრდილოური რასაა სრულფასოვანი, სხვა — სუროგატია... არის თუ  
არა რასის ყოველი წარმომადგენელი სრულფასოვანი? სხვანაირად რომ  
ვთქვათ: რასებს შორის არ არის თანასწორობა; **გვაქვს თუ არა თანასწო-  
რობა თვით ერთი რასის შიგნით?** პასუხი ასეთია:

„იქნებოდა სიგიჟე, დაგვეყო ადამიანები მათი რასობრი-  
ვი ღირებულების მხრივ და მით გამოგვეცხადებინა ომი  
მარქსისტული დებულებისათვის (— რომ „ადამიანი ადამი-  
ანის თანასწორია“ —) და არ გაგვეკეთებინა აქედან თანა-  
მიმდევარი დასკვნები... თანამიმდევრობა კი მოითხოვდა,  
რომ სისხლის მნიშვნელობისა და აქედან **რასობრივ სა-  
ფუძველთა აღიარება გადაგვეტანა ცალკეულ ადამიანებ-  
ზედაც. დებულება, რომ ხალხებს მათ რასობრივ თავისე-  
ბურებებთან დაკავშირებით სხვადასხვა ღირებულება  
აქვთ, უნდა იქნეს გადატანილი ადამიანებზე ხალხის შიგ-  
ნით... ის მსოფლმხედველობა, რომელიც, უარყოფს რა  
დემოკრატიულ მოძღვრებას, ცდილობს საუკეთესო**

**ხალხს და, მაშასადამე, საუკეთესო ადამიანებს დაუმი-  
კვიდროს ქვეყანა, ხალხის შიგნით სრული ლოგიკურო-  
ბით უნდა მიჰყვეს არისტოკრატიულ პრინციპს“-ო, —**  
წერს ჰიტლერი...

„არისტოკრატიული პრინციპები არის თვით ბუნების  
პრინციპი“-ო (იგივე).

როზენბერგი ქებას ასხამს ნიცშეს იმისათვის, რომ ის  
წინააღმდეგია „ყველაფრის გამათანასწორებელი დემოკრა-  
ტიის სქოლასტიკისა და ნიჰილიზმისა და მარტო გამოვიდა  
საბრძოლველად ღირებულებათა ახალი იერარქიისათვის“...

სხვა ავტორები უფრო მკვეთრად აღნიშნავენ თავის დამოკიდებულე-  
ბას თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს პრინციპისადმი:

თანასწორობა — „ესაა სიგიჟე, პლებსად (ბრბოდ)  
გადაქცევის საფრთხეს უქმნის ევროპის მოსახლეობას“-ო...  
„თანასწორობის ყალბი იდეა საფრთხეა ერის მთელი ცხოვ-  
რებისათვის, კულტურისათვის, მორალისათვის“-ო (ლენცე).

**„თანასწორობა არის სიცოცხლის დასასრული:** მხო-  
ლოდ რანგი, განსხვავება ნიშნავს სიცოცხლეს. რანგის მი-  
ხედვით განსხვავების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს  
სამყარო. რანგების წესი არის აუცილებლად საპირისპირო  
იმ წესისა, რომელიც ღირებულებათა თანასწორობას გუ-  
ლისხმობს“-ო. ამბობს შპანი.

დაქვემდებარებული ადამიანი თურმე „გრძნობს, რომ მალა მდგომ-  
თადმი მორჩილებით იგი პოულობს თავის ნამდვილ ადგილს, ნამდვილ  
ღირებულებასა და რანგს“ (შპანი).

საბუთი? **საიდან ჩანს, რომ ესაა სწორი მეცნიერულად, გამარ-  
თლებული კაცობრიობის პროგრესის თვალსაზრისით, მართებული ადა-  
მიანური თვალსაზრისით?**

ფაშიზმის იდეოლოგიის **სათავე**, როგორც ცნობილია, **გობინოსა** და  
**ნიცშეს** შეხედულებებია: გობინოს „ნარკვევი ადამიანის რასათა უთანას-  
წორობის შესახებ“ (1853 წ.) მეცნიერული შრომა როდია, რომ მეცნიერუ-  
ლი საბუთიანობა მოვთხოვოთ, ესაა დიპლომატის გონებახვილობის პრო-  
დუქტი, „მაშხალა, რომელიც ავტორისათვის ერთგვარ გასართობს წარმო-  
ადგენდა“...

ფრ. ნიცშეს ნააზრევი კი (— „ბატონების მორალითა“ და „ძალადო-  
ბის აპოლოგიით“ —) სულით ავადმყოფის განცდებს უფრო ასახავს, ვინემ  
ახალი საუკუნის იდეურ პროგრესს.

იმის დავიწყება მაინც არ შეიძლება, რომ ნიცშეს სძულდა პროლე-  
ტარიატი, და „თანაგრძნობის პროლეტარული ეთიკა მიაჩნდა სიცოცხლის  
აღსასრულად“, როგორც ამას მოწონებით აღნიშნავს ფაშისტისტი ციმერმანი.

დიონეოს სამართლიანი თქმით, ისიც ცნობილია, რომ გობინოს „სურვილი იყო დახმარებოდა იმათ, ვინც ბრძოლას აწარმოებს თანასწორობისა და პროლეტარიატის განთავისუფლების წინააღმდეგ“...

მაგრამ რა შუაშია აქ მეცნიერება, პროგრესი, სამართალი?...

საქმეც ისაა, რომ ფაშიზმს მეცნიერული საბუთი არც სჭირდება, მეცნიერული აზროვნების წესებს ის არ დაგიდევთ, კაცობრიობის პროგრესის ობიექტური ლოგიკა მას არ ზღუდავს.

**„ჩვენი სამართალი არის ბატონების სამართალი და არა — მონების სამართალი...“** ძალა — ძლიერს, თავისუფლება — თავისუფალს, — აი ჩვენი სამართლის მიზანი“-ო, ქადაგებს ფრანკი.

ახლა — მეცნიერების შესახებ. აქ იერიში მიტანილია „რაციონალიზმის“ პრინციპის წინააღმდეგ, მეცნიერების უფლებათა წინააღმდეგ.

უკვე საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ თავისი გამანადგურებელი მუშაობა დაიწყო რაციონალისტურმა კრიტიკამ, რომელიც ამყარებდა უწოდებდა თავის თავს განათლების ფილოსოფიას“-ო, ამბობს შპენგლერი.

„რაციონალური აზროვნება უარყოფს სიცოცხლის საფუძვლებს, არღვევს სისხლსა და იმ წმინდა წესს, რომელიც დაფუძნებულია ადამიანთა უთანასწორობაზე“-ო, შენიშნავს ლენცე...

ამ გადაჭარბებულ რაციონალიზმს მივყავართ საზოგადოების დანგრევისა და იმ ძალების მოსპობისაკენ, რომლებიც საზოგადოებაშია დაფარული“-ო, გვარწმუნებს იგივე ლენცე.

**„...რაციონალიზმთან ერთად უნდა იქნეს უკუგდებული შეხედულება, თითქოს ისტორია იყოს პროგრესული წინსვლითი მოძრაობა“-ო, ასკენის კრიკი.**

„პროგრესი იმ გაგებით, როგორც ეს წარმოუდგენია ლიბერალიზმს..., სრულებით არ არსებობს... **აზრი განვითარების შესახებ სიყალბეა...** პროგრესი ამჟამად ნიშნავს თვითმკვლელობას“-ო (ლენცე)...

როგორც ზევით ითქვა, ახალი საუკუნეების **იდეური პროგრესი მეცნიერული აზრისადმი რწმენითა და ადამიანის უფლებათა აღიარებით ნასიათდება.**

**ადამიანის უფლება ადამიანთა თანასწორობის პრინციპს გულისხმობს.**

ფაშიზმმა უარყოფს თანასწორობის პრინციპი, უარყოფს თანასწორობას რასებს შორის, ხალხებს შორის, უარყოფს ერთსა და იმავე ხალხში ადამიანებს შორის.

სრულიად ბუნებრივია, რომ ის უარყოფს იმ რაციონალიზმსაც, რომელიც მეცნიერული აზროვნების პირველობაზეა დაფუძნებული და ამ პირველობას ასაბუთებს...

ამრიგად, **უარყოფილია ორი ძირითადი მონაპოვარი კაცობრიობის თანამედროვე პროგრესისა.**

**გონებიდან — ბრმა ინსტინქტისაკენ, სამართალიდან — ძალადობისაკენ, — ასეთია არსი ფაშისტური რეაქციისა.**<sup>3</sup>

ადამიანურ სამართალს სცვლის „მგლური ინსტინქტი“: ვისაც რა შეუძლია, იმის უფლებაც აქვს.

კაცობრიობის პროგრესი ლამობს სამართალი აქციოს რეალურ ძალად; ფაშისტური რეაქციის ლოზუნგია: „ძალაა სამართალი“; ძალადობაა სახელმწიფოებრივი საქმიანობის გამართლებული მეთოდი.

1914 წელს ვილჰელმის გერმანიამ გადათელა ბელგია, რომ საფრანგეთს შესეოდა. ბელგია ნეიტრალური სახელმწიფო იყო; მის ნეიტრალიტეტზე ხელი ეწერა გერმანიასაც. საერთაშორისო უფლებების უჩვეულო დარღვევამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. გერმანელი მილიტარისტების პასუხი იყო: „ძალაა სამართალი“.

გერმანელმა ფაშისტებმა დიდად გაუსწრეს თანამემამულე მილიტარისტებს: თანამიმდევრულად გააბატონეს მათ ეს პრინციპი საშინაო და საგარეო სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში.

უარყოფილია ადამიანის (და ხალხების) ის უფლებები, რომელიც კაცობრიობის განვითარების არაკლები მიღწევაა, ვინემ რადიო და თვითმფრინავი.

მეცნიერებამ ცხადყო, რომ ადამიანის წინაპარი მაიმუნის ჯილაგის ცხოველი იყო. ადამიანდ ქცევის პროცესი მოასწავებს ცხოველურის, მხეცურის, დაჩრდილვასა და **ადამიანურის** გაძლიერებას: გაადამიანების პროცესი ამის გარეშე წარმოუდგენელია. მომავლის ადამიანი მაქსიმალურად „ადამიანური ადამიანი“ უნდა იყოს, როგორ უცნაურადაც არ ისმოდეს ეს გამოთქმა.

„ადამიანი — ეს ბგერს ამაყადო“, ათქმევინა თავის პიესის ერთ მოქმედ პირს მაქსიმ გორკიმ.

**ესაა იდეალი, აქეთკენ მიიმართება პროგრესი, ესაა ობიექტური შედეგი კაცობრიობის წინსვლისა.**

**მოშალეთ ეს და ყველაფერს დაეკარგება აზრი, ყველაფერი განდება დასაშვები და შესაძლებელი...**

<sup>3</sup> მთელი თანამედროვე ცივილიზაციიდან გერმანული ფაშიზმისათვის მისაღებია მხოლოდ ტექნიკის მიღწევები და ისიც იმდენად, რამდენადაც ტექნიკა გამოყენებული იქნება ფაშისტური ბატონობის დასამყარებლად, ქვეყნების ასაოხრებლად და ხალხების გასანადგურებლად.

ფაშიზმი რეაქციაა, უკეთ ვთქვათ, რევრესი, უკუსვლა დიდი მასშტაბისა. მეცნიერება და პროგრესი მას ვერ გაამართლებს. მისი უარყოფა არც კი იქნებოდა საჭირო: იმდენად სუსტია მისი თეორიული საფუძველი.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ პროგრესის უარყოფელი ეს ძალა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი მიღწევით. ცივილიზაციის მიერ შექმნილი ძლევამოსილი იარაღი ამრიგად აღმართულია საკაცობრიო კულტურის წინააღმდეგ.

ამაშია საფრთხე. ამიტომვეა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კულტურისათვის, ბრძოლა პროგრესისათვის, ბრძოლა ადამიანისა და მისი მართალი უფლებებისათვის.

გასაგებია ისიც, რომ მთელი პროგრესული კაცობრიობა ამდგარია გერმანული ფაშიზმის მოსასპობად, და ამ ბრძოლას მეთაურობს საბჭოთა ქვეყანა, რომელშიაც ამ მეოთხედი საუკუნის სიგრძეზე ხორცი შეისხა ადამიანისა და ერების მართალმა უფლებებმა, შრომის თავისუფლებამ, ჭეშმარიტმა პროგრესმა.

17. VIII. 1941

## **ვისურვოთ მშვიდობიანი შრომის ბედნიერი ახალი წელი!**

ახალ, 1951 წელს საბჭოთა ქვეყანა ხვდება დიდი წარმატებებით, რაც მიღწეულია გასულ წელს მეურნეობისა და კულტურის დარგში, და დიდი შემოქმედებითი გეგმებით, რომელთა განხორციელებაც წინ გვიდევს.

სოციალისტურ შრომას, ადამიანთა გაერთიანებულ ძალას, როცა ის სასიკეთოდ არის მიმართული, შეუძლია სასწაულები მოახდინოს. ასეთ სასწაულს უდრის, ძველი დროის საზომით რომ მივუდგეთ, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა ვოლგაზე, დნებრზე, ამუ-დარიასა და დონზე, რომელთა მიზანიცაა ხრიოკი და უდაბური ადგილები წალკოტად აქციოს ადამიანის საკეთილდღეოდ.

ამგვარი გეგმების განხორციელებას მძლავრი ტექნიკის გარდა ადამიანთა უჩვეულო გარჯა და შრომის ერთუზიანში ესაჭიროება. ნათქვამია: ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამი გაფრენით მეტიაო. საბჭოთა ადამიანებს შრომაში გარჯაც სჩვევიათ და თავის ნაშრომის ვაჟკაცურად დაცვაც იციან.

ისტორიაში პირველად ხდება, რომ ძლიერი ქვეყანა მშვიდობას ემხრობა. ეს ქვეყანა საბჭოთა კავშირია, შრომას დანდობილი და სიმართლისა და საკუთარი ძალის მოიმედე.

მთელი ქვეყნის უბრალო ადამიანები მშვიდობიან შრომას ესწრაფვიან და შეშფოთებით უყურებენ, როგორ დაანთეს იმპერიალისტებმა ომის ხანძარი შორეულ აღმოსავლეთში, როგორ აწვიმს ცეცხლი თავისუფლებისმოყვარე კორეელ ხალხს, როგორ უდაბურდება ომის გამჩალებლების მიერ კორეელთა ქვეყანა.

მთელი ქვეყნის უბრალო ადამიანები იმედით შეჰყურებენ სოციალისტურ საბჭოეთს, რომელიც მშვიდობიანობის სადარაჯოზე დგას და რომელსაც მესაჭედ ჰყავს მთელი მოწინავე კაცობრიობის ბელადი დიდი სტალინი.

სხვა მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად ქართველი ხალხი ახალ წელს ხვდება თავის აწმყოსა და მომავალში დარწმუნებული.

ახალ წელიწადს სურვილებით ხვდებიან, ბედნიერებას ისურვებენ და უსურვებენ ერთმანეთს. ქვეყნის ბედნიერების საძირკველს ყოველთვის ქმნიდა თავისუფალი შემოქმედებითი მშვიდობიანი შრომა ხალხისა. ვუსურვოთ ჩვენს ხალხს, გულადსა და პურადს, ჭადარასა და უბერებელს, სტალინისა და რუსთაველის მშობელ ქართველ ხალხს, მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად — მშვიდობიანი შრომის ბედნიერი ახალი წელი.

## თანამედროვეობის უდიდესი ამოცანა

საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა საფრანგეთში, მისი შეხვედრები საფრანგეთის საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენასთან, მისი მოლაპარაკება პრეზიდენტ დე გოლთან მიზნად ისახავდა — ხელი შეეწყო ურთიერთგაგებისათვის, განემტკიცებინა მშვიდობიანობის საქმე.

მშვიდობიანობის დაცვისაკენ მიმართულ ამ ღონისძიებებს მთელი საბჭოთა ხალხი იწონებს და ერთსულოვნად მხარს უჭერს.

საკითხი „მშვიდობიანი თანაარსებობა თუ ომი“ — ატომისა და წყალბადის იარაღის ეპოქაში — ლამის არის, იქცეს საკითხად — „თანაარსებობა თუ არარსებობა“.

ისტორიას არ ახსოვს, რომ ომი ხალხს დაეწყო. ომით გამოწვეული უბედურება კი ყველაზე მეტად ხალხს ატყდებოდა თავზე.

მშვიდობიანობის დაცვა თანამედროვეობის უდიდესი ამოცანაა. ჩვენი ვალია ამ ამოცანის გადაჭრას შევუწყოთ ხელი.

გაზ. „კომუნისტი“, 1960, 7 აპრილი, გვ. 1



## ქართული კულტურის დიდი მკვლევარი

(ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო)

ძნელია მის შესახებ წერა, როგორც იმ ადამიანის შესახებ, რომლის აზროვნებაც შეწყდა: თვით მისი სახელი ინტენსიური აზროვნების სიმბოლოა, დაუცხრომელი მეცნიერული შემოქმედებითი მუშაობის იშვიათი ნიმუშია.

ფართო საზოგადოება მას იცნობდა, როგორც ისტორიკოსს და ეს ბუნებრივიცაა: ქართველი ხალხის მდიდარი წარსული, — საქართველოს პოლიტიკური ისტორია, ეკონომიური ისტორია, სამართლის ისტორია — პირველწყაროების მიხედვით გამოკვლევათა მრავალტომეულში აისახა მის ხელში.

მაგრამ მისი სამეცნიერო ინტერესები გაცილებით უფრო ფართო იყო: ქართული და კავკასიური ენათმეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემებზე ის მუშაობდა არა ნაკლები გატაცებით.

მან აღმოაჩინა უძველესი ქართული სამწერლო ძეგლები — ხანმეტი და ჰემეტი ტექსტების სახით და ამით ახალი თავი შესძინა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას.

ქართული და ქართველური ენების კავკასიურ ენებთან გენეტურ ურთიერთობას მან უძღვნა კაპიტალური შრომა, რომლის მნიშვნელობის ჯერონად შეფასება მომავლის საქმეა.

ქართული მუსიკის ისტორიას მან განუკუთვნა ვრცელი მონოგრაფია.

ქართული ნივთიერი კულტურის ისტორიის შესწავლის მიზნით მან ჩაატარა ახალგაზრდა თანამშრომლების მეშვეობით მუშაობა საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში და იშვიათი მეცნიერული ღირებულების უზარმაზარ მასალას მოუყარა თავი. ის ოცნებობდა ამ მასალათა დამუშავებაზე — „როგორც კი გადაუდებელ სამუშაოებისაგან მოვიცილიო“.

ივანე ჯავახიშვილი ქართული კულტურის დიდი მკვლევარია, პატარა ხალხის დიდი კულტურის დიდი მკვლევარია.

და ეს მისი კვლევა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უანგარო სიყვარულით იყო გამთბარი, იმ კეთილშობილი სიყვარულით, რომელსაც ბუნებრივად ეთვისება სხვა ხალხების პატივისცემა და სიყვარულიც.

ივ. ჯავახიშვილმა თავის მხრებზე იტვირთა დიდი სიმძიმე პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა (1918 წ.). ქართველ მეცნიერთა მცირე ჯგუფის კერძო ინიციატივამ საქვეყნო საქმეს ჩაუყარა საძირკველი მაშინ, რო-

დესაც ამ წამოწყების მომავალი ცოტა ვისმე სწამდა. ეს მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმის სულის ჩამდგმელი იყო ივ. ჯავახიშვილი, მისი უდრეკი ნებისყოფა და უმაგალითო რწმენა ქართველი ხალხის შემოქმედებითი შესაძლებლობისადმი, ქართველი ხალხის მომავლისადმი.

თბილისის უნივერსიტეტი იქცა განახლებული ქართული მეცნიერული კულტურის სათავედ.

ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ინდუსტრიული ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი პირველად აქ ჩამოყალიბდნენ, როგორც უნივერსიტეტის ფაკულტეტები.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც წარმოშობით უნივერსიტეტს უკავშირდებიან და უნივერსიტეტში აღზრდილი ძალებით დადგნენ ფეხზე. ამით მტკიცე საძირკველი ჩაეყარა საბჭოთა სპეციალისტების ახალი კადრების მომზადებას...

გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ივ. ჯავახიშვილის სახელს მოსავს დიდი ავტორიტეტი და სპეციალისტისათვის უმაგალითო პოპულარობა.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მისი ამაგი მშობელი ქვეყნის წინაშე, ხოლო ქართველმა ხალხმა ნდობით აღჭურვა და ქვეყნის უმაღლეს ორგანოში წარგზავნა იგი, როგორც დეპუტატი.

მისმა სამეცნიერო ავტორიტეტმა მას მოუპოვა საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის საპატიო და ღირსეულად დამსახურებული სახელი.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი სახელი უანდერძა ქართული კულტურის ისტორიას.

## **ივანე ჯავახიშვილი — თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი და ქართული კულტურის ისტორიის მკვლევარი**

( თ ე ზ ი ს ე ბ ი )

**1.** თბილისის უნივერსიტეტის დაარსება (1918 წ.) ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას მოასწავებდა: ამჟამად არ არსებობს თეორიული თუ გამოყენებითი მეცნიერების არც ერთი დარგი, რომლის შინაარსიც ქართულად არ გადმოიცემოდეს. ეს შესაძლებელი გახდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ.

**2.** ივანე ჯავახიშვილი, როგორც უნივერსიტეტის რექტორი, ზრუნავდა არა მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებაზე: ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით უნივერსიტეტში შეიქმნა მედიცინის, აგრონომიული და პოლიტექნიკური ფაკულტეტები (შემდეგში — ინსტიტუტები).

**3.** ახალი დარგების განვითარება გულისხმობდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავებას. წლების განმავლობაში ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა ტერმინოლოგიის კომიტეტს.

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილი არ თვლიდა საჭიროდ ინტერნაციონალური გავრცელების ტერმინთა (როგორცაა: გრადუსი, კონუსი, ტელეფონი..) თარგმნამ, ასეთი ტერმინების უთარგმნელად დატოვებას ბუნებრივად თვლიდა.

**4.** ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა მეცნიერებათა აკადემია დაუარსები-ათ უნივერსიტეტზე ადრე (და მერე საჭირო გამხდარა გიმნაზია დაეარსებინათ აკადემიასთან — აკადემიისათვის კადრების მოსამზადებლად. ჩვენშიაც ჰყოლია მომხრეები აკადემიას (უნივერსიტეტის ნაცვლად).

ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტს აძლევდა უპირატესობას და სამართლიანადაც: კადრები უმაღლესმა სკოლამ უნდა მიაწოდოს აკადემიის ინსტიტუტებს.

თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არა ერთი სამეცნიერო სკოლა (მათემატიკოსთა, ფიზიოლოგთა, გეოლოგთა...), რამაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ძირითადი სამეცნიერო ინსტიტუტები შესძინა: თბილისის უნივერსიტეტმა შეამზადა მეცნიერებათა აკადემიის დაარსება ჩვენში. უნივერსიტეტის დამაარსებელი აკადემიის დაარსებას ვერ მოესწრო, მაგრამ აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო და არის.

**5.** ივანე ჯავახიშვილი აღიზარდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ფილოლოგიურ ტრადიციებზე: ქართველოლოგი ძველ სომხურ ტექსტებში ისევე ერკვეოდა, როგორც ძველ ქართულისაში, სპარსული ენის რეალიები მისთვის ისევე ხელმისაწვდომი იყო, როგორც სირიულსა.

ისტორიის უძველესი პერიოდის შესწავლისას ივანე ჯავახიშვილი ფართოდ იყენებდა ენის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ჩვენებას. ენობრივი ფაქტების შედარებისას ემყარებოდა თავისი დროის ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერების მიღწევებს.

**6.** ფართო ფილოლოგიურმა თვალსაზრისმა ივანე ჯავახიშვილის კვლევის არეში მოაქცია ქართველი ხალხის ისტორიისა და მისი დამხმარე დარგების (როგორცაა ეკონომიკის ისტორია, სამართლის ისტორია, პალეოგრაფია, ნუმიზმატიკა-მეტროლოგია...) გარდა.

ძველი ქართული ენის ისტორიის საკითხები (სამწერლო ქართულისა და ძველი ქართულის დიალექტების ურთიერთობა, ხანმეტი ძეგლებისა და ხანმეტობის ისტორია, გრამატიკული სქესი მორფოლოგიაში...).

*მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული კლასიფიკაცია და ამ ენათა ისტორია-გენეზისის საკითხები...*

რუსთველოლოგიისა და ქართული არქეოლოგიის ძირითადი საკითხები ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული კომპეტენციის სფეროში შემოდინდა.

ივანე ჯავახიშვილი იყო ქართული კულტურის ისტორიის დიდმასშტაბიანი მკვლევარი.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის 31-2 სამეცნიერო სესია.  
1976 წ. 30 ნოემბერი — 1 დეკემბერი. მუშაობის გეგმა  
და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1976, გვ. 9-11

## Ценный вклад в советскую науку

Акад. И. А. Джавахишвили. "Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков"

В издании Института языка, истории и материальной культуры им. Н. Я. Марра при Грузинском филиале Академии наук СССР вышла капитальная работа академика-орденоносца И. А. Джавахишвили: "Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков".

Многолетний труд маститого ученого представляет собой лингвистическое введение в историю грузинского народа или, точнее, один из трех томов этого "Введения".

Язык – воплощение истории человеческой мысли, язык – отражение исторического развития языкового коллектива. Ясно, почему ни философия, ни психология, ни история вообще и, в частности, история культуры, не могут обойти вопросов языковедения. В. И. Ленин отводит истории языка почетное место в перечне научных дисциплин, "из коих должна сложиться теория познания и диалектика" (Ленинский сборник, т. XII, стр. 315).

Обыкновенно в распоряжение психолога, философа или историка поступает обработанный лингвистический материал. К сожалению, этого нельзя сказать о картвельских и тем более других кавказских языках. Здесь пока что лингвистика в долгу перед историей; научная разработка соответствующих языков пока еще не поспевает за требованиями, которые предъявляют к ней историки, и поэтому им приходится братья за разъяснение лингвистических проблем.

Следуя строгим требованиям методики лингвистического анализа, академик И. А. Джавахишвили проделал колоссальную работу, проанализировав исключительно разнохарактерные материалы о картвельских и других кавказских языках.

Исходное положение автора: глубокое изучение истории грузинского языка немисливо вне связи с данными других кавказских языков (абхазско-адыгейской, чечено-ингушской и дагестанской групп языков). Это положение, не впервые выдвигаемое в специальной литературе, находит в исследовании акад. И. А. Джавахишвили впервые планомерное, строго последовательное применение и блестящее подтверждение.

На протяжении 625 страниц основного текста автор тщательно анализирует проблему грамматического рода (классов), имена числительные, местоимения, а также систему спряжения глаголов, привлекая материалы более 28 языков и наречий Кавказа.

На основе сравнительно-исторического анализа застывших, сросшихся

с корневыми элементами аффиксов\*, автор устанавливает наличие грамматических родов (классов) на древних этапах развития картвельских языков. Тем самым устраняется одна из основных помех на путях генетического сближения картвельских языков – лишенных грамматического рода – и других кавказских языков, в большинстве своем сохранивших грамматические классы.

Исследование других морфологических явлений и лексических материалов (глаголов, имен числительных, местоимений) дает веское основание признать, что глубокое расхождение между кавказскими языками по ряду явлений отнюдь не изначально, а результат сложного пути развития, самостоятельно пройденного этими языками. Работа акад. И. А. Джавахишвили устанавливает наличие более тесной связи между языками абхазско-адыгейской, чечено-ингушской и дагестанской (по автору: "легоалбанской") групп.

В предисловии автор справедливо отмечает, что при современном состоянии изучения этих языков в работе о них не может не быть спорных толкований, не говоря о мелких дефектах.

Это и понятно: работа опережает монографическое исследование отдельных языков. В этом ее исключительная ценность, в этом же источник спорности отдельных пунктов.

Работа, задуманная как введение в историю грузинского народа, является ценнейшим вкладом в лингвистическую литературу по кавказским языкам, далеко оставляющим за собой все имеющиеся в этой области исследования. Этот труд приближает нас к правильному решению проблемы взаимоотношения картвельских и других кавказских языков с языками древнего Ближнего Востока, к решению одной из основных "проблем по мировой истории древнейшего культурного человечества" (Н. Марр).

Книга "Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков" вышла в свет в то время, когда наша советская общественность готовится отметить сороколетие научной, педагогической и общественной работы акад. И. А. Джавахишвили.

В ряде трудов, созданных им за сорок лет научной деятельности, фундаментальная монография о картвельских и других кавказских языках лишний раз подтверждает исключительные заслуги акад. И. А. Джавахишвили перед народами Кавказа, перед советской наукой.

გაზ. "Заря Востока", №66, 1939, 5 февраля, გვ. 2

---

\* Аффикс – часть слова, добавленная к основе и меняющая значение или выражающая отношение данного слова к другим словам контекста.

## აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას

(1876-1940)

1976 წლის 11 აპრილს (ახალი სტილით 23 აპრილს) სრულდება 100 წელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან.

ივანე ჯავახიშვილი ქართველი ხალხის ისტორიის, ქართული კულტურის ისტორიის დიდი მკვლევარია.

ქართველი ხალხის ისტორიის ყვლა დარგს ივანე ჯავახიშვილი იკვლევდა პირველწყაროთა მიხედვით, იკვლევდა გამოწვლილვით, წყაროთა მკაცრი კრიტიკული ანალიზის გამოყენებით, რათა მეცნიერებას თეორიული განზოგადებისათვის მტკიცე საფუძველი მოეპოვებინა.

კოლოსალურია ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა. საკმარისია დავასახელოთ:

1. „ქართველი ერის ისტორია (უძველესი დროიდან XVII საუკუნემდე)“ 4 ტომად, თბილისი (III და IV ტომები გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ — 1941 წ., 1948 წ.), სულ 1368 გვ.

2. „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, თბილისი, ტ. I (1930 წ.), VII+428 გვ.; ტ. II (1935 წ.), XX+704 გვ.

3. „ქართული სამართლის ისტორია“, თბილისი, წიგნი I (1928 წ.), 220 გვ.; წიგნი II (ორ ნაკვეთად — 1928 წ., 1929 წ.), VIII+233 გვ., XVI+581 გვ.

წყაროთა კრიტიკასა და ისტორიის დამხმარე დისციპლინებს მიეძღვნა:

4. „ძველი ქართლი საისტორიო მწერლობა“, თბილისი, I გამოც. 1916 წ., მესამე შეესებული გამოცემა 1945 წ., 448 გვ.

5. „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა“ ანუ „ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“, თბილისი, 1925 წ., VI+170 გვ.

6. „ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, თბილისი, 1926, VI+199 გვ.

7. „ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, თბილისი, 1926, XIV+240 გვ.

8. ქართველი ერის ისტორიის შესავლად არის ნაგარაუდები კაპიტალური მონოგრაფია: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, თბილისი, 1937 წ., XIX+754 გვ.

გრამატიკული სქეს-კატეგორიის (კლას-კატეგორიის), რიცხვითი და ნაცვალსახელების სისტემატური შედარებითი ანალიზის საფუძვლზე ივანე ჯავახიშვილი ასკვნის: „თავდაპირველად ქართველური და ე. წ. [მთის] კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და რომ მხოლოდ შემდგომში... დროთა განმავლობაში დაჰშორებინ ერთმანეთს და სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან“ (წინასიტყვაობა, XIII).

ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად ფიქრობდა, რომ „მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადასურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისთვის ე. წ. [მთის] კავკასიური ერებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა“ (წინასიტყვაობა, XI).

„ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია, — წერდა ივანე ჯავახიშვილი, — ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნისა“ (იქვე, XV).

მთის კავკასიურ ენათა გარდა მცირე აზიისა და წინა აზიის ძველი მკვდარი ენების (ურარტულის, ხეთურის, სუმერულის...) წარმომავლობისა და ქართველურ-კავკასიურ ენებთან მათი ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის კვლევა ივანე ჯავახიშვილს საპროგრამო საკითხად ესახებოდა (ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 8; „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“, თბილისი, 1950).

ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა პალიმფსესტებში უძველესი ქართული ტექსტები, ე. წ. „ხანმეტი“ ტექსტები (დაიბეჭდა გამოკვლევითურთ „ტფილისის უნივერსიტეტის შრომებში“, ტ. II, 1922-1923).

ივანე ჯავახიშვილს ბევრი სხვა შრომაც მოეპოვება (საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიღებულია დადგენილება, გამოიცეს ივანე ჯავახიშვილის რჩეული შრომები 15 ტომად).

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის სათანადოდ შეფასებას დრო სჭირდება. ამ შრომათა ჯეროვანი შეფასება მომავლის საქმეა.

\* \* \*

ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და თავდადებული შრომა-ზრუნვით 1918 წ. დაარსდა ქართული უნივერსიტეტი თბილისში,



პირველი უნივერსიტეტი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და პირველი უნივერსიტეტი საერთოდ კავკასიის მიწა-წყალზე.

უნივერსიტეტის დაარსება შესაძლებელს ხდიდა უმაღლესი განათლების მიღებას ქართულ ენაზე.

უნივერსიტეტის დაარსება მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას.

1918 წელს უნივერსიტეტი დაარსდა, როგორც კერძო უნივერსიტეტი.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეს ნაციონალური უნივერსიტეტი, იხსენიება საბჭოთა კავშირის მოწინავე უნივერსიტეტებს შორის.

1918 წელს ცოტა ვისმე სჯეროდა ქართული უნივერსიტეტის მომავალი. ქართველი ხალხის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ურყევი რწმენა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ უნივერსიტეტის დაარსება ეთავა მათ, და ამ ურყევმა რწმენამ და შეუდრეკელმა ნებისყოფამ შეაძლებინა ივ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის დაარსება თავს ედვა და დიდოსაქვეყნო საქმე განეხორციელებინა.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ივანე ჯავახიშვილის სახელთან არის და იქნება ყოველთვის განუყრელად დაკავშირებული.

\* \* \*

ივ. ჯავახიშვილი იყო მოვალეობის ადამიანი ამ სიტყვის მაღალი და სრული მნიშვნელობით: მოვალეობა მეცნიერების წინაშე, მოვალეობა ქვეყნის წინაშე — ეს განსაზღვრავდა მის მოღვაწეობას.

ეს ახასიათებდა ივ. ჯავახიშვილს, როგორც პროგრესულ საზოგადო მოღვაწეს და იწვევდა მისდამი ღრმა პატივისცემას ყველაში, ვინც მის საქმიანობას იცნობდა.

ყოველ ხალხში გამოირჩევიან ადამიანები, რომლებშიც თითქოს ხორცი შეუსხამს; შენივთებულა მშობელი ხალხის საუკეთესო თვისებები.

მათი სახელები უკვდავია ხალხის მეხსიერებაში და თვით ხალხი უკვდავია ამ სახელებში.

ქართველი ხალხისათვის ერთი ასეთი სახელია ივ. ჯავახიშვილი. რაც დრო გაივლის, მით უფრო სრულად გამოჩნდება მისი ნაღვაწის დიდი სამეცნიერო და საქვეყნო მნიშვნელობა.

ქ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, II, 1975, გვ. 13-15

## Памяти акад И. А. Джавахишвили

(1876-1940)

11 апреля (по новому стилю 23 апреля) 1976 года исполняется 100 лет со дня рождения выдающегося грузинского ученого и общественного деятеля, действительного члена АН СССР Ивана Александровича Джавахишвили.

И. А. Джавахишвили – крупнейший исследователь истории грузинского народа, истории грузинской культуры.

Все разделы истории грузинского народа И. А. Джавахишвили исследовал по данным первоисточников, исследовал детально, на основе строгого критического анализа источников, тем самым закладывая надежную основу для теоретических обобщений.

Научное наследие И. А. Джавахишвили громадно. Достаточно назвать следующие труды:

1. "История грузинского народа (с древнейших времен до XVII века)" в 4-х томах, Тбилиси (III и IV тома были изданы после смерти автора – в 1941 г., 1948 г.), всего 1368 стр.

2. "Экономическая история Грузии", Тбилиси, т. I (1930 г.), VII+428 стр.; т. II (1935 г.), XX+704 стр.

3. "История грузинского права", Тбилиси, книга I (1928 г.) 220 стр.; книга II (в двух частях – 1928, 1929), VIII+233 стр.; XVI+581 стр.

Критике источников и вспомогательным дисциплинам истории посвящены:

4. "Дневрегрузинская историческая литература" (Тбилиси, I изд., 1916 г., третье дополненное издание в 1945 г., 448 стр.).

5. "Грузинская нумизматика - метрология", Тбилиси, 1925 г., VI+170 стр.

6. "Грузинская дипломатика", Тбилиси, 1926, VI+199 стр.

7. "Грузинская палеография", Тбилиси, 1926, XIV+240 стр.

8. В качестве введения в историю грузинского народа рассчитана капитальная монография И. А. Джавахишвили – "Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков", Тбилиси, 1937, XIX+754 стр.

На основе систематического сравнительного анализа категории

грамматических классов ("родов"), числительных и местоимений И. А. Джавахишвили приходит к следующему выводу: "...Первначально и картвельские и [горские] кавказские языки были одной и той же природы и близкородственны и лишь потом... с течением времени дифференцировались и превратились... в самостоятельные языковые группы" (Предисловие, XIII).

И. А. Джавахишвили справедливо считал, что "невозможно на основе анализа языкового материала лишь грузинского и картвельских языков уяснить и решить вопросы происхождения и древнейшей культуры грузинского народа. Для этого необходимо использовать этнографические и лингвистические материалы хотя бы [горских] кавказских языков и народов" (Предисловие, XI).

"Каждый образованный грузин обязан, – писал И. А. Джавахишвили, – так же знать историю этих народов и их языков, как своего народа и своей страны" (там же, стр. XV).

Кроме горских кавказских языков, исследование древних мертвых языков Малой и Передней Азии (урартского, хеттского, шумерского...) и их историко-генетических взаимоотношений с картвельскими языками представлялось И. А. Джавахишвили в качестве актуальной научной задачи (Известия ИЯИМК, т. I, Тб., 1937, стр. 8; "Историко-этнологические проблемы Грузии, Кавказа и Ближнего Востока", Тбилиси, 1950, 337 стр.).

И. А. Джавахишвили в палимпсестах открыл древнейшие грузинские тексты, т. н. "ханмэтные" тексты (с соответствующим исследованием были опубликованы в "Известиях Тифлисского университета", т. II, 1922-1923).

У И. А. Джавахишвили имеется немало и других трудов (в связи с юбилейной датой Президиумом АН Грузинской ССР решено издать избранные труды И. А. Джавахишвили в 15 томах).

Надлежащая оценка научного наследия И. А. Джавахишвили требует времени. Такая оценка этих трудов – дело будущего.

\* \* \*

По инициативе И. А. Джавахишвили, благодаря его огромной организаторской работе, в 1918 году в Тбилиси был основан Грузинский университет, первый университет во многовековой истории грузинского народа, и первый вообще университет на земле Кавказской.

Основание университета сделало возможным получение высшего образования на грузинском языке.

Основание университета знаменовало возрождение грузинской научной мысли.

В 1918 году университет был основан как частный университет.

Ныне Тбилисский государственный университет, национальный университет Грузии, стоит в одном ряду с передовыми университетами Советского Союза.

В 1918 году мало кто верил в будущее грузинского университета. Необходима была непоколебимая вера в интеллектуальные возможности грузинского народа, чтобы в те годы взять на себя ответственность

за такое дело, большое и трудное. Эта непоколебимая вера и непреклонная воля дали возможность И. А. Джавахишвили взять на себя инициативу основания университета и осуществить дело всенародной важности.

Основание Тбилисского университета связано и навсегда неразрывно будет связано с именем И. А. Джавахишвили.

\* \* \*

И. А. Джавахишвили был человеком долга в высоком и полном смысле этого слова: долг перед наукой, долг перед родиной – вот чем определялась вся его деятельность.

Это было характерно для И. А. Джавахишвили, как прогрессивного общественного деятеля, и вызывало глубокое уважение к нему.

У всех народов выделяются отдельные лица, в которых как-будто воплощены лучшие черты родного народа.

Имена таких людей бессмертны в памяти народной, и сам народ бессмертен в таких именах.

Для грузинского народа одним из таких имен является имя И. А. Джавахишвили. Чем больше времени пройдет, тем полнее и зримее предстанет научное и всенародное значение его деятельности.

ქ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების  
წელიწდეული“, II, 1975, გვ. 16-18

## TO THE MEMORY OF IVANE JAVAKHISHVILI

(1876 – 1940)

April 11 (April 23 by Gregorian calendar) 1976 will be the centennial of birth of **Ivane Javakhishvili**, eminent Georgian scientist and public figure, member of the Academy of Sciences of the USSR.

Ivane Javakhishvili was a great specialist of the history of Georgian people and Georgian culture.

He investigated every question of the history of Georgian people from original sources and investigated thoroughly, critically analysing the sources so that to obtain a reliable basis of theoretical generalisations.

His scientist heritage is colossal. Among his works are:

1. "The History of Georgian People (Since ancient times till the XVII century)", 4 volumes, Tbilisi (The 3<sup>rd</sup> and 4<sup>th</sup> volumes were published after the author's death, in 1941, 1948), 1368 pages in total.

2. "Economic History of Georgia", Tbilisi, v. 1 (1930), VII+428 pages; v. 2 (1935), XX+704 pages.

3. "The History of Georgian Law", Tbilisi, book 1 (1928), 220 pages; book 2 (in two parts – 1928, 1929), VIII+233 pages, XVI+581 pages.

[To the criticism of the sources and to auxiliary disciplines were dedicated:]

4. "Ancient Georgian Historical Literature", Tbilisi, I edition – 1916, third supplemented edition – 1945, 448 pages.

5. "Georgian Numismatology – Metrology", Tbilisi, 1925, VI+170 pages.

6. "Georgian Diplomatics", Tbilisi, 1926, VI+199 pages.

7. "Georgian Paleography", Tbilisi, 1926, XIV+240 pages.

8. "The Original Nature and Relationship of Georgian and Caucasian Languages", Tbilisi, 1937, XIX+754 pages. The latter is a fundamental work outlined as an introduction of the history of Georgian people.

On the basis of the systematic comparative analysis of class-categories (gender-categories), numerals, pronouns, I. Javakhishvili made the following conclusions: "...originally Kartvelian and the so-called [mountain] Caucasian languages were of common nature, they were closely related but afterwards... in the course of time they became more differentiated and gave three or

Five big groups of languages" (Foreword, XIII).

I. Javakhishvili was fully confident of the fact that "it is impossible to solve the problem of the origin and ancient culture of Georgian people only on the basis of analysis of Kartvelian language material. It is necessary to take into consideration the ethnographic and linguistic data concerning [mountain] Caucasian peoples and languages as well" (Foreword, XI).

“Every educated Georgian is obliged, – wrote I. Javakhishvili, – to know the history of those languages and those peoples as well as that of his own people and country” (Ibidem, XV).

Besides the Caucasian languages, I. Javakhishvili planned to investigate the ancient dead languages (Urartian, Khetian, Sumerian...), their origin and historical-genetic relation to the Kartvelian-Caucasian languages (“Bulletin of the Institute of Language, History and Material Culture”, I, 1937, p.8; “Historical and Ethnological Problems of Georgia, the Caucasus and Near East”, Tbilisi, 1950, 337 ps).

I. Javakhishvili found in palimpsests the most ancient Georgian texts, the so-called Khanmetian texts (the texts and their investigation were published in the “Bulletin of the Tbilisi University”, v. II, 1922-1923).

I. Javakhishvili is the author of great many other books (in accordance to the special resolution concerning the jubilee, it is planned to publish I. Javakhishvili’s selected works in 15 volumes).

Estimation of the scientific heritage of Ivane Javakhishvili according to its deserts is still the matter of future.

\* \* \*

With the leadership and efforts of I. Javakhishvili in 1918 was founded the Georgian university in Tbilisi, the first university in the century-old history of Georgian people and the first university on the Caucasian land.

The foundation of the University made it possible to get the higher education in Georgian.

The foundation of the University meant the renaissance of Georgian scientific thought.

In 1918 the university founded was a private university.

At present the Tbilisi state university, the national university of Georgia, is one of the leading universities of the USSR.

In 1918 not many believed in the future of the Georgian university. One must have had an unshakable conviction of the intellectual abilities of Georgian people to take the leadership of founding the university. Such unshakable conviction and strong will had helped I. Javakhishvili to take the responsibility for founding the university which is the most important civic deed.

The foundation of the Tbilisi university is and will always be connected with the name of Ivane Javakhishvili.

\* \* \*

I. Javakhishvili was a man of duty in the true and finest sense of the word: duty before science, duty before his country – that was determining his work.

Such was I. Javakhishvili – a progressive public figure who inspired profound respect in any person who knew his activities.

In every country there are persons who seem to be the very incarnation of the best features of their people.

Their names are immortal in the memory of the people and the people are immortal in such names.

One of such names for the Georgian people is I. Javakhishvili. Time will make more obvious the scientific and mondial importance of his work.

## პროფესორი იოსებ ყიფშიძე და თბილისის უნივერსიტეტი

(მასწავლებლის ხსოვნას)

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი და ფილოლოგი იოსებ ალექსისძე ყიფშიძე თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ის იყო ივანე ჯავახიშვილის უახლოესი თანამშრომელი, უნივერსიტეტის გამგეობის სწავლული მდივანი, ქართული ენის პირველი ლექტორი — პროფესორი და პირველი კათედრის გამგე.

იოსებ ყიფშიძე დაიბადა ზემო იმერეთში, სოფელ რგანში. საბუთების მიხედვით, მისი დაბადების თარიღად მიჩნეულია 1885 წლის 25 აგვისტო, მაგრამ სინამდვილეში ორი თუ სამი წლით უფრო ადრე ყოფილა დაბადებული. სოფლის სკოლის შემდეგ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სემინარია. 1907 წელს შევიდა პეტერბურგის (აწ ლენინგრადის) უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, პარალელურად ისმენდა ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ლექციებს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, რომელზედაც შემდეგ გადავიდა; დაამთავრა ეს ფაკულტეტი 1911 წელს, დატოვებულ იქნა ნ. მარის მიერ „პროფესორობისათვის მოსამზადებლად“. მეგრულის შესასწავლად ჩაატარა ოთხი ექსპედიცია სამეგრელოში (1909-1912 წწ.). 1914 წელს გამოაქვეყნა და წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია „მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით“.

ამ ნაშრომს ქართველოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის. ავტორი იზიარებდა აკად. ნიკო მარის იაფეტურ თეორიას ქართული ენის სემიტურ ენებთან ახლო ნათესაობის შესახებ. მისი მეგრულის ფონეტიკა-მორფოლოგიის სისტემა იაფეტური თეორიის პრინციპებზეა აგებული და იმეორებს ნ. მარის „ჭანური ენის“ სისტემას, ე. ი. მეგრულის (იაფეტურის) სისტემას არაბულის (სემიტურის) სისტემის მიხედვით ალაგებს და განმარტავს (1920 წ. ნ. მარმა ეს პრინციპი თვითონვე მცდარად მიიჩნია); მაგრამ მეგრულის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ფაქტები ზედმიწევნით და საკმაო სისრულით აქვს ავტორს გაანალიზებული, ტექსტებში ყველა კილოკავის მასალაა წარმოდგენილი, საენათმეცნიერო ანალიზისათვის საიმედო, ლექსიკა (გვ. 189-424) მდიდარ მასალას შეიცავს, მასთან ტოპონიმიკურსა და ონომასტიკურსაც.

ნ. მარი სამართლიანად აღნიშნავდა თავის რეცენზიაში ი. ყიფშიძის დისერტაციის შესახებ: „სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად რომ წარმოედგინა ავტორს, ისევე უყოყმანოდ მივანიჭებდით, როგორც ახლა მაგისტრის ხარისხს ვანიჭებთ“.

ფასდაუდებელია იოსებ ყიფშიძის ღვაწლი ჭანურის შესწავლის საქმეში. მან ორჯერ იმოგზაურა ჭანურის შესასწავლად: 1910 წელს ჭოროხის ხეობაში იმყოფებოდა ჩხალური კილოკავის გასაცნობად და შეკრიბა დამატებითი მასალა, კერძოდ, პროზაული ტექსტები; 1917 წელს, მსოფლიო ომის დროს, როცა რუსეთის ჯარმა დაიკავა შავი ზღვის სანაპირო ტრაპიზონამდე, იოსებ ყიფშიძემ კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის მივლინებით 17 ივლისიდან 27 აგვისტომდე მოიარა ჭანეთი და ჩაიწერა ტექსტები, მეტწილად პროზაული, ყველა კილოკავისა (ათინური, ვიწური, არქაბული, ხოფური) — „სულ მცირე 15 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით“, როგორც ანგარიშიში წერს ი. ყიფშიძე. ამ მასალის გადარჩენილი ნაწილი (სულ ექვსიოდნე თაბახი) გამოსცა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა 1939 წელს, მაგრამ ესეც მეცნიერულად ძვირფასია, როგორც ადგილობრივ ჩაწერილი ზედმიწევნითი დოკუმენტაცია ჭანური მეტყველებისა (იგი მიღევაზეა თურქულის მოძალების შედეგად: ასეთი მასალის მოპოვება თურქეთის ჭანეთში ამჟამად ფაქტობრივ შეუძლებელია).

1915 წლიდან იოსებ ყიფშიძეს პრივატ-დოცენტის თანამდებობა ეჭირა პეტერბურგის უნივერსიტეტში და კითხულობდა ქართული ენის კურსს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. მაგრამ ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი როგორც კი დადგა, უყოყმანოდ დატოვა პეტერბურგის უნივერსიტეტი და თბილისს მოაშურა.

ქართული კულტურის სასიცოცხლო ძალების ურყევი რწმენა უნდა ჰქონოდათ ივანე ჯავახიშვილსა და მის უახლოეს თანამებრძოლებს, რომელთაც ითავებს ქართული უნივერსიტეტის დაარსება, იკისრეს პასუხისმგებლობა ამ დიდი საქვეყნო საქმისათვის, ისიც უჩვეულოდ მძიმე ვითარებაში.

უნივერსიტეტის დაარსებას მოულოდნელი დაბრკოლებები ეღობებოდა. საჭირო იყო რუსეთის დროებითი მთავრობის ნებართვა. სათანადო შუამდგომლობა ოზაკომ-მა<sup>1</sup> გადაუგზავნა დროებითი მთავრობის განათლების მინისტრს პროფ. მანუილოვს; ამ უკანასკნელმა დასკვნისათვის მეცნიერებათა აკადემიას მიმართა.

აკადემიამ დასკვნის დაწერა აკად. ნ. მარს დააკისრა. ნ. მარის დასკვნა უარყოფითი აღმოჩნდა: კავკასიას უნივერსიტეტი უნდა ჰქონდეს,

<sup>1</sup> ამიერკავკასიის კომიტეტი (სათათბიროს დეპუტატთაგან).



მაგრამ ეს უნდა იყოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი რუსულ ენაზე.

ნ. მარის ეს დასკვნა სამინისტროს არ მოსვლია. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ის ზედმეტი გახადა. უცნაური ის არის, რომ ეს თავისი დასკვნა, ვრცელი წერილის სახით, ნ. მარმა მაინც გამოაქვეყნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში<sup>1</sup>.

ნ. მარი მძიმედ განიცდიდა, რომ თბილისის მიაშურეს მისი სკოლის ისეთმა სპეციალისტებმა, როგორც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, დავით ყიფშიძე, სილიბისტრო ლომია, რათა ქართული უნივერსიტეტის დაარსება ეთავათ თუ მისთვის ხელი შეეწყოთ. ნ. მარი ამას აფასებდა იაფეტური თეორიის თვალსაზრისით, უკეთ — პირადული თვალსაზრისით: ჩემს თეორიას მუშაკები შემოეცალა, მარტო დავრჩიო.

ივ. ჯავახიშვილსა და იოსებ ყიფშიძეს მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი მოპოვებული ჰქონდათ პეტერბურგის უნივერსიტეტში და, იმ დროის წესების მიხედვით, სახელმწიფო (ე. წ. „საიმპერატორო“) უნივერსიტეტის პროფესორები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

„საიმპერატორო უნივერსიტეტი“ დატოვო და კერძო უნივერსიტეტში — რომლის მომავალიც გაურკვეველია — მუშაობა ირჩიო, მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის დონეს გულისხმობს.

ბუნებრივი იქნებოდა, ნ. მარი აქ, თავის მოწაფეებთან ერთად ყოფილიყო. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

1918 წლის იანვარში ოფიციალურად გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, ქართული უნივერსიტეტი. ეს იყო კერძო უმაღლესი სასწავლებელი. ერთი წლის განმავლობაში ის არსებობდა უნივერსიტეტის ხელშემწყობი საზოგადოების შეგროვილი სახსრებით და სწავლის ფულით (სემესტრში — 100 მანეთი). ლექტორები — რამდენიმე პირის გარდა — შეთავსებით საშუალო სკოლებში მუშაობდნენ დირექტორებად, მასწავლებლებად. სტუდენტთა დიდი წილი მსახურობდა. ლექციები იკითხებოდა საღამოს 5-დან 9 საათამდე.

პირველი მსოფლიო ომი ჯერ არ იყო დამთავრებული. 1918 წლის გაზაფხულის სემესტრი ადრე შეწყდა: თურქებმა მდ. ჩოლოქზე შემოტევა იწყეს, სტუდენტთა დიდი წილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

ომი არ იყო დამთავრებული, ყველაფერი ჭირდა და მაინც უნივერსიტეტი თითქოს ყველაფერს ფარავდა: ლექციები ქართულად იკითხებოდა. ენთუზიაზმი იყო უჩვეულო. ქართული უმაღლესი ეროვნული განათლების აღორძინების ხანა იწყებოდა.

სტუდენტებად ჩარიცხულთა შორის უმაღლესი სკოლის კურსდამ-

<sup>1</sup> Н. Я. Марр, О Кавказском университете в Тифлисе: ИАН, 1918, гв. 1495-1516.

თავრებულნიც ერივნენ. ასე, მაგალითად, ჩვენთან ერთად ლექციებს I და II კურსზე ისმენდა თამარ ლომოური, რომელსაც 1907 წელს ჰქონდა დამთავრებული პეტერბურგის ქალთა უმაღლესი კურსები და თბილისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად მუშაობდა (შემდგომში თამარ ლომოური ისტორიის ფაკულტეტზე დოცენტი იყო, წყაროთმცოდნეობასა და პალეოგრაფიას კითხულობდა).

ლექციებს ქართულ ენაზე (საქართველოს ისტორიაში, ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ფილოსოფიის შესავალში...) ისმენდნენ ახალგაზრდებთან ერთად წვერებჭაღარა სტუდენტებიც.

იოსებ ყიფშიძე თბილისის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის პირველი ხელმძღვანელი და ქართული ენის პირველი საუნივერსიტეტო კურსის ლექტორი იყო (მაშინ უნივერსიტეტში ძველი ქართული იკითხებოდა).

ძველი ქართულის გარდა უნივერსიტეტში ი. ყიფშიძე უძღვებოდა სემინარს მეზობეთა შესახებ. ტექსტის აღდგენას აქ ძირითადი ყურადღება ეთმობოდა.

უკანასკნელი ლექცია, რაც ძველ ქართულში წაიკითხა იოსებ ყიფშიძემ 1918 წლის დეკემბერში, ეხებოდა საკითხს, თუ რამდენი უღვლილება აქვს ქართულ ზმნას.

ეს ლექციები შემდგომ სემესტრში არ განახლებულა: იოსებ ყიფშიძე გარდაიცვალა ისე, რომ მას ამ კურსის დამთავრება არ დასცალდა. პარტახტიანი სახადის ეპიდემიამ იმსხვერპლა 1919 წლის თებერვალში. მაშინ იოსებ ყიფშიძე 37 წლისაც არ იყო.

ჩუმი და თავდადებული, იგი ივანე ჯავახიშვილის მარჯვენა ხელი იყო უნივერსიტეტის ორგანიზაციის რთულ პროცესში, მტკიცე საყრდენი იყო ახლად ფეხადგმული უნივერსიტეტისა.

იოსებ ყიფშიძე დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. სულ მალე იქვე პოვა განსასვენებელი იოსების ძმამ დავითმა, რომელსაც უნივერსიტეტში ძველი სომხური უნდა ეკითხა (გარდაიცვალა ტუბერკულოზით). ახლა მათ საფლავს ალბათ იშვიათად თუ ვინმე მიაკითხავს.

იოსებ ყიფშიძე თვალსაჩინო მეცნიერი და ქართული უმაღლესი განათლების აღორძინების თავდადებული მოღვაწეა. საცა სამართალია, ასეთ მოღვაწეთა სახელი დავიწებას არ უნდა მიეცეს.

„მქმნელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყო ცნობილი!“

## სიტყვა აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს

ფილოლოგიის ფაკულტეტი მხურვალედ მიესალმება ფაკულტეტის სამეცნიერო კოლექტივის ღვაწლმოსილ წევრს კორნელი კეკელიძეს და ულოცავს მას სახელოვან 75 წლისთავს.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ათეულ ფაკულტეტს შეიცავს, ქართული სოციალისტური კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენს და საბჭოთა კავშირის 34 უნივერსიტეტის პირველ ხუთეულში დგას სამეცნიერო ძალების მიხედვით.

უნივერსიტეტი საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღებისა და ზრუნვის საგანს წარმოადგენს. 38 წლის წინათ, როდესაც აქ პროფ. კორნელი კეკელიძე პირველ საუნივერსიტეტო კურსს კითხულობდა, თბილისის უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბებული, და მასში ერთი ფაკულტეტიდა მოიპოვებოდა.

ეს იყო პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი, რომლის სამეცნიერო ავტორიტეტიც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად შეიძლებდა ახლად ფეხადგმული უნივერსიტეტი საუნივერსიტეტო კურსების სათანადო სამეცნიერო დონეზე დაყენებას; ქართული უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ავტორიტეტის დაცვა იმხანად დიდი მნიშვნელობის საქვეყნო საქმეს წარმოადგენდა.

უნივერსიტეტის მოღვაწეთა პირველი თაობა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. კორნელი კეკელიძე იდგა იმ პროფესორთა პირველ რიგებში, რომელთაც უნივერსიტეტის არსებობის პირველი სამი წლის განმავლობაში ქართული უმაღლესი სასწავლებლის ღირსების საქმე იტვირთეს და სახელოვნად გაუძღვნენ მას.

ქართული უმაღლესი განათლების ისტორიაში ეს დავიწყებას არაოდეს არ მიეცემა.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა უნივერსიტეტის დაარსებამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კორნელი კეკელიძის მეცნიერული კვლევა-ძიება დიდი ინტენსიურობით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

ამ მუშაობას ნაწილობრივ აჯამებს კორნელი კეკელიძის დიდი ორტომეული — „ქართული ლიტერატურის ისტორია“, პირველწყაროების ღრმა ცოდნასა და ფაქიზ ანალიზზე დაფუძნებული. ამ ფუნდამენტალურ

შრომაზე ქართველი საბჭოთა ფილოლოგების თაობები აღიზარდა.

კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ქართული ფილოლოგიის ქვაკუთხედს ქმნის.

მარტოოდენ პირველი ტომიც რომ ავიღოთ, იგი ერთი სპეციალისტის სასიცოცხლო საქმეს ეტოლება.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო აზროვნებას პირველწყაროთა ღრმა და ფაქიზი ანალიზი ახასიათებდა და ახასიათებს.

კორნელი კეკელიძის პირველი საუნივერსიტეტო კურსების ერთ-ერთ მსმენელთაგანს მე არ შემიძლია მადლობით არ მოვიგონო წარუხოცელი შთაბეჭდილება, რასაც მსმენელზე ტოვებდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტების, თითქოს შემთხვევითი ხასიათის ჩვენებათა ამეტყველება კულტურის ისტორიის რთული და ბუნდოვანი საკითხების გარკვევისას კ. კეკელიძის ლექციებზე.

მეცნიერება არ არის ფაქტების გროვა, მაგრამ ვერავითარი გონება-მასხვილი აზროვნება ვერ იქცევა მეცნიერულ ცოდნად, თუ ის არ ემყარება მტკიცედ დადგენილ ფაქტებს. ამ ფაქტების დადგენა ჰუმანიტარულ დარგებში იმდენადვე ძნელია, რამდენადაც აუცილებელი.

მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართო შარაგზა და მხოლოდ მას შეუძლია მაილწიოს მეცნიერების ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა, რომელსაც მის კლდოვან ბილიკებზე ასვლა მოითხოვს, — წერდა კ. მარქსი.

კორნელი კეკელიძის ლექციები ახალგაზრდობას უნერგავდა პირველწყაროებზე მუშაობის, ფაქტების ანალიზის კლდოვან ბილიკებზე სვლის ძნელი და მიუცილებელი საქმის პატივისცემასა და სიყვარულს.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო აზრი დღესაც ისევე ნათელი და საინტერესოა, როგორც ის იყო ამ 36 წლის წინათ, როცა თავის პირველ კურსს კითხულობდა.

დიდხანს ცოცხლობდეს ღვაწლმოსილი იუბილარი ჩვენი უნივერსიტეტის სასახელოდ — საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის მშრომელად!

(კრებული „დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე, გამ-ბა „მეცნიერება“, თბ., 1965)

## აკადემიკოსი ევგენი ხარაძე (დაბადების 70 წლისთავზე)

აკადემიკოსი ევგენი ხარაძე ცნობილია, როგორც მეცნიერი და როგორც მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორი.

მის კალამს ეკუთვნის, სხვათა შორის, ასტრონომიის პირველი საუნივერსიტეტო კურსი ქართულ ენაზე.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია თუ პულკოვოს და ბიურაკანის ასტრონომიულ ობსერვატორიათა გვერდით იხსენიება და საქვეყნოდ ცნობილია, ეს ევგენი ხარაძის დამსახურებაა.

ექვსი წლის განმავლობაში იყო აკადემიკოსი ევგენი ხარაძე ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი და თავისი მუშაობით დაიმსახურა ყველას მადლობა, ვისთვისაც ძვირფასია უნივერსიტეტის სახელი და, საერთოდ, ჩვენი ეროვნული უმაღლესი განათლების ავტორიტეტი და პრესტიჟი.

ხუთი წელია მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის რთულსა და პასუხსაგებ მოვალეობას ღირსეულად ასრულებს.

აკადემიკოს ევგენი ხარაძეს მუშაობის გარკვეული სტილი ახასიათებს. ურთიერთობაში ოფიციალურია, მასთან, ზედმიწევნით თავაზიანი, მომთხოვნი და სამართლიანი: საქმის ვითარებაში ნათლად ერკვევა და საქმეს ბოლომდე მიიყვანს, მოვალეობის ადამიანია და თავისი სიტყვის პატრონი.

რა საკითხზედაც უნდა მსჯელობდეს აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, მისი მსჯელობა ნათელი და თანამიმდევრულია, აზრი ჩამოყალიბებული, მეტყველება დახვეწილი, თავისუფალი როგორც შაბლონისაგან, ასევე — ცრუ პათოსისაგან.

70 წელს აკადემიკოსი ევგენი ხარაძე ხვდება ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე.

ჩვენი სურვილია, ეს ენერგია ხმარდებოდეს — და ხმარდებოდეს კიდევ დიდხანს — ჩვენი მეცნიერების წინსვლა-განვითარების საქმეს (და არ იხარჯებოდეს ისეთ საქმეზე, რომელსაც ბევრი სხვაც მოუვლის).

სახელოვან 70 წლისთავს გულით ვულოცავთ აკადემიკოს ევგენი ხარაძეს.

## შემოქმედების სინარული

თანამედროვე ქართული მწერლობა მდიდარი და მრავალფეროვანია. პოეზიას რაც შეეხება, ჩვენ ბევრი და კარგი პოეტი გვყავს — არა ერთი შესანიშნავიც.

სამოცი წელი შეუსრულდა გიორგი ლეონიძეს, საქართველოს სახალხო პოეტს (და ქართული ლიტერატურის მკვლევარს), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს. ლიტერატურისმცოდნეობა ჩვენგან შორს არის, მაგრამ ქართული ლიტერატურა ისევე ახლოსაა, როგორც ყოველი ქართველი მკითხველისათვის. მეც მკითხველის შთაბეჭდილებებზე თუ შემიძლია ვილაპარაკო. საამისოდ, ბუნებრივია, მომაგონდეს ორიოდ ლექსის ნაწყვეტი, ნიშანდობლივი გ. ლეონიძის პოეტური ხმისათვის.

მანამდე — ერთი ეპიზოდი. მატარებლის საერთო ვაგონში ბრმა მემუსიკე შემოდგა. საკმაოდ დანჯღრეული ხმით, თან დიდი განცლით, ლექსს ამღერებდა:

შინ მოუსვლელი, სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა?

სად ლბება შენი ქოჩორი, თვალი სად ამოგიღამდა?! (შინ მოუსვლელი ბევრი იყო და ბრძოლაში დაღუპულთ ხალხი არ ივიწყებდა). მე არ ვიცოდი, რომ ეს ლექსი სიმღერად აქცია დიდმა კომპოზიტორმა, ხალხი რომ ჰქვია. ხალხურობა, როცა ის ნამდვილია, პოეზიის ძალაა.

გ. ლეონიძის ლექსებში ცოტაა ისეთი, რომ ხსოვნაში ერთი-ორი სტროფი არ აღებეჭდოს მკითხველს:

„სიმღერა დილას ნამღერი შვიდასი წელი გრძელდება“ („ვეფხისტყაოსანზე“ თქმული) ანდა: „შენ მოგვიზომე სამშობლო, შენი ჩონგურის სიმებით“ (აკაკის ეტყვის) ანდა: „შენ ძირს დაგცეს ფოთოლივით და მთასავით წამოდექი“ (ილიას ხსოვნას)... და კიდევ: „შენ დაგმარხეს ბორკილებით, ჩვენ დროშებით ამოგიღეთ“ (ვაჟას ნეშტის მთაწმინდაზე გადასვენებისას თქმულიდან).

ჩვენი მწერლობის სამ უდიდეს მოღვაწეს უძღვნა გ. ლეონიძემ ლექსი და ყველას ის უთხრა, რაც მათ ჰფერობდა... და განა მარტო მაგათ: უჩინარ იოსებ დავითაშვილს გულსაკლავი სიტყვები შეუთრჩია: „არ იცოდი, დიდებას ბევრი ცრემლი სჭირდება, გადაგჩენეს, დაგლუპეს, წითელგულა ჩიტებმა“.

სამოქალაქო ჰანგები ძლიერად ჟღერს გ. ლეონიძის პოეზიაში. ერთი

მაგალითი მრავალთაგან — ქართველი გლეხის ქალზე გ. ლეონიძემ თქვა სიტყვები, რომლებიც ყოველმა მოსწავლემ უნდა იცოდეს:

„საქართველოს კერის ცეცხლი შენ გეზარა გაუმქრალი!...“

დიდ ვაჟკაცებს, დიდ ოსტატებს შენი კაბის კალთა ზრდიდა,

ვინც ეტრატზე წერდა ქართულს, ვინც ჩუქურთმას ქვაზე ჰკრიდა!“

მსგავსი ძალისა და სილამაზის სტროფებს ხშირად ვპოვებთ გ. ლეონიძის ლექსში, თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს ეხმაურება იგი, თუ გარდასულ დღეთა ამბებს მოგვითხრობს.

გ. ლეონიძის ჯავარიანი სიტყვა, ბარაქიანი ქართული ხალხური მეტყველების ამოურწყველი საგანძურიდან უხვად მოედინება.

ქართული ლექსის მეწინავე მედროშეთაგან, გ. ლეონიძეს ვუსურვოთ კიდევ დიდ ხანს არ მოჰკლებოდეს შემოქმედების სინარული და არ დაეწეოს არც ერთი ლექსი, სადაც არ იქნება ერთი-ორი სტროფი მაინც აქ ნახსენები ძალისა და სილამაზისა.

(გაზ. „კომუნისტი“, 1959, 27 დეკემბერი, გვ. 4)

## ამხანაგი, მეგობარი

ქართველ ენათმეცნიერთა რიგებს უდროოდ გამოეთიშა პროფესორი ვარლამ თოფურია, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი უნივერსიტეტში, ქართველურ ენათა განყოფილების გამგე — წლების მანძილზე — ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ქართულმა ენათმეცნიერებამ დაკარგა ცნობილი სპეციალისტი, ნათელი აზრის მკვლევარი, სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ზუსტი და საფუძვლიანი.

მის გამოკვლევებს ქართული ენის ისტორიაში, ქართულ დიალექტოლოგიაში, ქართველურ ენათა შედარებითს ფონეტიკასა და მორფოლოგიაში სპეციალისტი გვერდს ვერ აუვლის.

ვარლამ თოფურია რედაქტორია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მესამე ტომისა.

ვარლამ თოფურიას ეკუთვნის დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა სვანური ზმნის შესახებ, დაფუძნებული მდიდარი დიალექტური მასალის გამოწვლილვითს ანალიზზე.

ეს გამოკვლევა სპეციალისტების მიერ აღიარებულია ფუნდამენტალურ გამოკვლევად. იგი ქართული ენათმეცნიერების ოქროს ფონდს განეკუთვნება.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ვარლამ თოფურია ლაკურ ენას იკვლევდა, ლაკურს უძღვნა რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა, კითხულობდა ლაკური ენის კურსს უნივერსიტეტში. მოამზადა სამი ლაკი, ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და ერთიც დოქტორი.

საბჭოთა კავშირის, აგრეთვე უცხოეთის რიგ სამეცნიერო ცენტრებში ვარლამ თოფურიას იცნობდნენ როგორც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წამყვან სპეციალისტს.

დიდ ყურადღებას უთმობდა ვარლამ თოფურია ახალი ქართული ენის სწავლებას უნივერსიტეტში, ქართული ენის მეთოდის საკითხთა დამუშავებას, ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებას რესპუბლიკის უმაღლესსა და საშუალო სასწავლებლებში; კერძოდ, მან დანერგა ქართული ენის კათედრათა რესპუბლიკური პერიოდული კონფერენციების მოწვევა.

ვარლამ თოფურია აქტიურ მონაწილეობას იღებდა სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა კომისიის მუშაობაში. მან შეადგინა — ივ. გიგი-



ნეიშვილის თანაავტორობით — ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (მეორე გამოცემა ამჟამად იბეჭდება).

ვარლამ თოფურია თავმდაბლობით გამოირჩეოდა, ტრაბახი და რეკლამა სძულდა.

ძნელია ამბობდე „ასეთი იყო“ ამხანაგისა და მეგობრის შესახებ, რომელთან ერთად გისწავლია უნივერსიტეტის პირველი კურსიდან, რომელთან ერთად გიმუშავია ორმოცი წელი უნივერსიტეტში, ოცდაათი წელი ინსტიტუტში, რომელთან ერთად ყოფილხარ ჭირსა და ლხინში.

„ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი“! — მძიმე ბიბლიური სიბრძნეა ამ სიტყვებში...

და მაინც: ადამიანი მიდის, საქმე-ნამოქმედარი რჩება. ტრადიცია შემდგომადობის გარეშე არ არსებობს. მეცნიერება საზოგადოებრივი საქმეა.

ვარლამ თოფურიას ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი აღუზრდია. მათი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ვალია გააგრძელონ ის პატიოსანი, შესანიშნავი ტრადიციები, რაც ვარლამ თოფურიას სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ახასიათებდა.

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 24 აგვისტო, გვ. 3

## **ვარლამ თოფურია როგორც მკვლევარი**

მკვლევრის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, პირველ ყოვლისა, მისი დამოკიდებულება ფაქტებისადმი, შესაბამისად როლი, რომელიც განეკუთვნება ნაკვლევში ანალიზსა და სინთეზს. მტკიცედ დადგენილი ფაქტების გარეშე მეცნიერება არ არსებობს. ამით განსხვავდება მეცნიერული ნააზრევი აპრიორულ-დედუქციური ნააზრევისაგან, რის ნიმუშსაც სპეკულაციური ფილოსოფიის სისტემები იძლევა, და კიდევ უფრო — რელიგიურ-მეტაფიზიკური ნააზრევისაგან.

მეცნიერება, რომელიც ფაქტებს ანგარიშს არ უწევს, აღარ არის მეცნიერება. მაგრამ მეცნიერება არ უდრის ფაქტების გროვას, რაგვარი სიზუსტითაც არ იყოს ეს ფაქტები დადგენილი. მეცნიერება ფაქტების კავშირს არკვევს, კანონზომიერებათა დადგენას ისახავს მიზნად. მხოლოდ ამის მეოხებით შეიძლება აშენდეს მეცნიერება, როგორც ცოდნის სისტემა, კანონზომიერებათა სისტემა.

ყოველ შემთხვევაში ენათმეცნიერებას მოეთხოვება ეს, სხვა ჰუმანიტარულ სპეციალობათ რომ თავი დავანებოთ.

თქმულის გათვალისწინებით გვინდა ყურადღება მივაქციოთ ზოგ რასმე, რაც მიგვაჩნია დამახასიათებლად ვარლამ თოფურიასთვის, როგორც ენათმეცნიერ-მკვლევრისთვის.

ვარ. თოფურიას ფუნდამენტურ გამოკვლევად არის აღიარებული მონოგრაფია სვანური ზმნის შესახებ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართული ენათმეცნიერების ოქროს ფონდში შედის.

ეს გამოკვლევა სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენს; ვარ. თოფურიამ იგი დაწერა, როცა 28 წლისა იყო (შრომა გამოვიდა 1931 წ., მაგრამ ბეჭდვა დაწყებული იყო 1929 წ.). იმ ხანად უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებული პირი სადოქტორანტო გამოცდებს აბარებდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, შემდეგ ერთს დისერტაციას იცავდა, სადოქტოროს. იგულისხმება, რომ მას დისერტაციამდე არაერთი გამოკვლევა ექნებოდა გამოქვეყნებული. დისერტაცია, რა თქმა უნდა, დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო.

ამ კონტექსტში უფრო საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ თემას დოქტორანტი თვითონ ირჩევდა, არავის ამ თემას არ უთანხმებდა, არავითარ კონსულტაციას არ ითხოვდა (კათედრამ ოფიციალურად არც იცოდა,

რა თემასაც ამუშავებდა დოქტორანტი). გამოკვლევას ფაკულტეტი ბეჭდავდა, მასთან, ყოველგვარი რეცენზირებისა და განხილვის გარეშე.

დოქტორანტს დამოუკიდებელი მკვლევრის უფლებები ჰქონდა; მოვალეობაც ამ უფლებებს შეესაბამებოდა.

ვარ. თოფურის სადოქტორო დისერტაციის თემად თავდაპირველად არჩეული ჰქონდა ფონეტიკური საკითხი, რედუქცია ხმოვნისა ძველ ქართულში. საკმაო მასალაც იყო ამოწერილი ქართული ენის ძეგლებიდან, ნაბეჭდი ტექსტებიდან და ხელნაწერებიდანაც.

კარგა ხნის მუშაობის შემდეგ ვარ. თოფურამ ამ თემაზე მუშაობა შეწყვიტა: ხმოვანთა რედუქცია-ამოღება ხან დასტურდება, ხან — არა, თუმცა ფონეტიკური პირობები ერთგვარიაო, ერთი სიტყვით, კანონზომიერების დადგენა არ ხერხდებაო<sup>1</sup>. სხვადასხვა დიალექტური წრის არსებობა ართულებდა საკითხს.

კანონზომიერება რომ არ დასტურდება, ესეც შედეგია, ოღონდ ნეგატიური, ასეთი შედეგი კი ვარ. თოფურის არ აკმაყოფილებდა, ის ამოცანად ისახავდა, ძიებას პოზიტიური შედეგი მოეცა, გარკვეული კანონზომიერება გამოევიდა.

ახალი თემა აიღო, სვანური ზმნის უღვლილება. უღვლილების სისტემა უნდა გარკვეულიყო. პირველ ყოვლისა, დრო-კილოთა წარმოება მოითხოვდა ახსნას: რამდენი ნაკვთი გვაქვს, რა რისგან იწარმოება, რის მეშვეობით იწარმოება, რა განსხვავება გვაქვს კილოთა მიხედვით, რა ფონეტიკური პროცესები მოქმედებს და რა შედეგს იძლევა მორფოლოგიაში, მაგალ., პირის ფორმანტების ფონეტიკურ სახესხვაობაში, სრულებით თავისებური სახეობის პრევერბებთან შეხამებით და სხვა. უღვლილების სისტემა ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებასა და მორფოლოგიური ვითარების რეკონსტრუქციას ისახავდა მიზნად, შინაგან რეკონსტრუქციას (რამდენადაც სვანური დიალექტების ნაირგვარ მონაცემთა შეპირისპირება-შედარება იყო აუცილებელი), პირველ ყოვლისა, და რეკონსტრუქციას უფრო ფართო მასშტაბით (როდესაც ძველი ქართულისა და მეგრულ-ჭანურის მონაცემებთან შედარება წარმოებდა). ამ რეკონსტრუქციის გარეშე ზმნის უღვლილების სისტემაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ეს მუშაობა წარმატებით შესრულდა, რიგი ძირითადი საკითხი გაირკვა, რიგი ახალი საკითხი დაისვა, მათ საკვლევად ნიადაგი შემზადდა.

<sup>1</sup> ხმოვანთა ამოღების საკითხზე ვარ. თოფურამ 1948 წელს დაბეჭდა წერილი „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“ (იკე, I, გვ. 63-90), რომელშიც ვკითხულობთ: „ერთი და იგივე სიტყვა ხან ექვემდებარება რედუქციას, ხან — არა... და ისიც ერთსა და იმავე ძეგლში; კიდევ მეტი, ერთსა და იმავე გვერდზე... თანამედროვე ქართულის რედუქციიანი ფორმები ურედუქცია ძველ ქართულში და პირუკუ“.

ვფიქრობთ, ეს არის ადრე წარმოებული მუშაობის შედეგი.

რა თქმა უნდა, სვანურის რთულ ფონეტიკურ ვითარებაში გარკვევას დიდად ხელი შეუწყო იმან, რომ არსებობდა აკ. შანიძის გამოკვლევა „უძველესი სვანურში“ (1925 წ.), შინაგანი რეკონსტრუქციის თვალსაზრისით სანიმუშო გამოკვლევა.

მაგრამ გასაკეთებელი ამის გარეშეც ბევრი რჩებოდა. თვით უძველესის მოვლენებში ზოგი საკითხი ახსნას მოითხოვდა, და ახსნილ იქნა კიდევ ვარ. თოფურის ნარკვევში „კვლავ უძველესისათვის სვანურში“.

აქამდე ვლაპარაკობდით ამოცანებზე, რომელთაც ვარ. თოფურის კვლევა-ძიება ისახავდა და ამ კვლევა-ძიებას ახასიათებდა.

ვარ. თოფურის სამეცნიერო კვლევა-ძიებას არანაკლებ ახასიათებს ისიც, თუ რა ემპირიული, კონკრეტულ-ენობრივი მასალა იყო მოხმობილი სვანური ზმნის უღვლილების სისტემის დადგენისას.

1200-მდე ზმნა იყო ნაუღვლები აწმყოს, აორისტსა და მყოფად სრულში ბალსზემოური დიალექტიდან, ნაუღვლები და გაანალიზებული. ასეთი გამოწვლილვითი კვლევის შედეგებია ასახული გამოკვლევაში „სვანური ენა. I. ზმნა“.

კვლევა-ძიებისათვის საჭირო წინასწარი მუშაობის ბოლომდე მიყვანაზე არ მოქმედებდა არც ნივთიერი ხელმოკლეობა იმ დროისა, როცა სვანური ზმნა იწერებოდა. ხელმოკლეობა, ჩვენთვის ახლა ძნელად წარმოსადგენი, არც მძიმე საბინაო პირობები (დღისითაც ელექტრონის შუქზელა შეიძლებოდა მუშაობა ვარ. თოფურის მაშინდელ ბინაში).

კვლევა-ძიების მეთოდს ეს პირობები, ცხადია, ვერ გაგვირკვევს, მაგრამ მკვლევრის პირობებს უთუოდ ახასიათებს: მეცნიერულად საჭიროა და უნდა გაკეთდეს პირობებისდა მიუხედავად!

1942 წელს ვარ. თოფურამ უნივერსიტეტის შრომებში (XXV, გვ. 147-154) დაბეჭდა წერილი „დ-თავსართიანი ზმნები ქართულში“. გაანალიზებულია ზმნები დეგ- (II დგას II დგებ-ი-ს) და თქუა; ერთი გარდაუვალი ზმნაა, მეორე — გარდამავალი. ერთშიაც დ- არის გამოყოფილი და მეორეშიაც (თქუა ← დ-ქუა) მეგრულის და სვანურის სათანადო ფუძეებთან შეპირისპირებით (მეგრ. გე-რ-ე, სვან. ლგ „დგას“; სვან. რა-ქუ „თქვა“, ხა-ქუ „პრ-ქუ-ა“), რა აქვს საერთო გარდაუვალსა და გარდამავალ ზმნას, რომ საერთო პრეფიქსის გამოყენება აგვიხსნას? (ასე ისმის საკითხი და მასზე გარკვეული პასუხია გაცემული). ორსავე ზმნაში დ-(დე-) პრეფიქსი ერთისა და იმავე ფუნქციისაა. ნივთის გრამატიკულ კლასს აღნიშნავს (თანახმად იმ ძირითადი პრინციპისა, რომელიც ძალაშია ახლაც კლასოვანი უღვლილების ენებში, ნახური ჯგუფის ყველა ენაში და დადესტნურ ენათა უმეტესობაში), სახელდობრ, გარდაუვალი ზმნა სუბიექტის გრამატიკულ კლასს აღნიშნავს, გარდამავალი ზმნა კი — მხოლოდ ობიექტისას. გარდაუვალი ზმნის უღვლილება სუბიექტურ-

კლასოვანია, გარდამავალი ზმნისა კი — ობიექტურ-კლასოვანი, მასთან სუბიექტსაც და ობიექტსაც ერთი და იგივე ნიშნები მოუღის.

ამრიგად, ქართული ზმნის უღვლილებაში დადასტურებულია კლასოვანი უღვლილების კვალი, მასთან, კლას-ნიშანი იმავე ბგერითაა გადმოცემული, რაც ნივთის ერთ-ერთი დამახასიათებელია ნახურ ენებსა და დაღესტნურ ენათა წყებაში.

კანონზომიერია ისიც, რომ გაქვავებული სახით სწორედ ნივთის კლას-კატეგორიის მაჩვენებლებია მეტწილად შემონახული გრამატიკული კლასების მოშლისას.

კლასოვანი უღვლილების კვალის დადასტურება ქართულ ზმნაში უღვლილების ისტორიისათვის არსებითია.

ვ. თოფურისა წერილი **ღ**-პრეფიქსიანი ზმნების შესახებ მოცულობით პატარაა, მნიშვნელობა კი დიდი აქვს.

ამ წერილში ჩანს მკვლევარი, რომელსაც ქართველურ ენათა ჩვენების შედარებითი ანალიზიც ემარჯვება, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კლასოვანი უღვლილების პრინციპებსაც ფლობს და, რაც მთავარია, აქვს მკვლევრის ალღო, რომ იგრძნოს ისტორიული კავშირი იმისა, რაც სახელთა ანალიზმა გვიჩვენა ქართველურ ენებში, იმასთან, რაც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კლასოვანი უღვლილებისათვის ნიშანდობლივია.

ვარ. თოფურისა ეს გამოკვლევა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის ცნობილი დებულება: ქართული ენის ისტორიისათვის მთის კავკასიური ენების მონაცემთა გათვალისწინება აუცილებელია.

სვანურ ზმნათა რელიქტური **ლ**-პრეფიქსის (ლგგ, ლჰსჷ, ლალემ...) ინტერპრეტაცია, როგორც **ღ**-პრეფიქსის ფუნქციის კლას-ნიშნისა (ნ. ანდლულაძის მიერ) ცხადყოფს, რა შედეგაინიც შეიძლება იყოს ის კვლევა-ძიება, რომელიც ვარ. თოფურისა ხსენებულმა გამოკვლევამ გამოიწვია.

დასასრულ, ერთი ნარკვევის შესახებ. ეხება იგი ჯ და ხ-ს ხმარებას სიბილანტებთან მეზობლობაში: სიბილანტების წინ ჯ გვაქვს, სიბილანტების შემდეგ -ხ: ჯც, ჯს: მჯცემ, ჯსენება, მაგრამ ცხ, სხ, ...ცხოვრება, სხუა... ასეთია ძირითადი დებულება. ამრიგად დადგენილია ფონეტიკური კანონზომიერება, რაც ძველ ქართულს ახასიათებს, — პირველი კანონზომიერება თანხმოვანთკომპლექსებისა ქართულში.

იგი არაერთი ბგერის შედგენილობას აგვიხსნის. იხსნება, კერძოდ, რყევა, რაც „გულისჴმა“ სიტყვაში შეინიშნება ძველ ქართულში: გულისჴმაც გვაქვს, გულისხმაც გვხვდება.

**ჴმა** ფარინგალურ ჴ-ს შეიცავს ძველ ქართულში და ეს თანხმოვანი დაცულია, სანამ რთული ფუძის (გულის-ჴმა) ეტიმოლოგიური შედგენილობა დაიჩრდილებოდა. სიტყვის დეეტიმოლოგიზაციის შედეგად სხ- კომ-

პლექსი ერთი ფუძის შედგენილობაში მოექცა და სიბილანტთა კანონზომიერებას დაექვემდებარება (შდრ. თავ-ყანის ცემა — დეეტიმოლოგიზაციის შედეგად თავყანისცემა → თავყანისცემა → თავყანისცემა).

ამით მოიხსნა ის გაგება, რომლის თანახმადაც **გულისცემა**-ში **ხუმა** ფუძეს ხედავდნენ: გულის გაღებაო — გაგება, რომელიც ჯერ კიდევ საბას აქვს მოცემული და რომელსაც შემდეგ ზოგი ავტორი იზიარებდა<sup>1</sup>.

ეს ნარკვევი ვ. თოფურიას, როგორც მკვლევრის, მკვეთრ აღლოს მოწმობს. როცა ეს ნარკვევი დაიბეჭდა, ვ. თოფურია 26 წლისა იყო.

ანალიზის საფუძვლიანობა და საღი ინტუიცია, ანუ ნიჭი, რის მაგივრობასაც ვერავითარი ჯაფა ვერ გასწევს, განსაზღვრავს ვარ. თოფურიას კვლევა-ძიებასა და ნაკვლევის მნიშვნელობას. ცალკე აღნიშვნის ღირსია რომ ვ. თოფურია პათოსანი აზრის სპეციალისტი იყო. ამასთან დაკავშირებით ნ. მარის „ახალი მოძღვრების“ ბატონობის დროს არაერთი უსიამოვნებაც შეხვედრია. მეტადრე 1930-1934 წლებში.

სამწუხარო ისაა, რომ მას არ დასცალდა სისტრულეში მოყვანა თავისი არაერთი ჩანაფიქრი, მათ შორის ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის დამუშავება.

დასანანია ისიც, რომ მას ზოგჯერ ისეთ სამუშაოზე დაუხარჯავს თავისი ნიჭი და ენერგია, რის გაკეთებაც სხვებსაც შეეძლოთ; ის კი, რაც მის პირდაპირს სამეცნიერო მოწოდებას შეეფერებოდა, გაუკეთებელი დარჩა.

და მაინც ის, რისი გაკეთებაც მოასწრო, საპატიო ადგილს დაიკავებს ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში.

აქ ბუნებრივია მოგვაგონდეს სიტყვები, რომლებიც დიმ. უზნაძემ თქვა უდროოდ გარდაცვლილი ერთი ქართველი ფსიქოლოგის შესახებ: „ჩვენ მიწას მივაბარეთ ის, რაც მასში წარმავალი იყო, ხოლო ის, რაც წარუვალა იყო, სამარადისოდ ჩვენთან დარჩებაო“.

უ. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
შრომები“, B 6-7 (151-152), 1974

<sup>1</sup> „გულის-ხმა ესე არს გონებით ახმა და გულთა შედება, რომელ ითქმის გულის-ხმად“ (საბა).

## ვარლამ თოფურია — 80

### მოსაგონარი

80 წელის შესრულდა ვარლამ თოფურიას დაბადებიდან (8.I.1901) და თხუთმეტ წელზე მეტი მისი გარდაცვალებიდან (21.VIII.1966).

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1933 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1944 წ.), ქართულისა და სვანურის გამოჩენილი მკვლევარი, ახალი ქართული ენის კათედრის დამაარსებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ვარლამ თოფურია ამავე უნივერსიტეტის აღზრდილი იყო.

თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს. ვარლამ თოფურია უნივერსიტეტში ჩაირიცხა 1918 წლის სექტემბერში (სიბრძნის-მეტყველების, — ე. ი. ფილოსოფიის, — ფაკულტეტზე ენათმეცნიერების დარგზე).

უნივერსიტეტი დაამთავრა 1922 წლის ივნისში. პროფ. აკ. შანიძის წარდგინებით დატოვებულ იქნა კათედრასთან ასპირანტად („საპროფესოროდ მოსამზადებლად“, როგორც მაშინ იტყოდნენ... ასპირანტს მისაღები გამოცდები არ სჭირდებოდა).

1924 წელს ვარლამ თოფურიამ ჩააბარა საასპირანტო მინიმუმის საგნები (მაშინდელი ტერმინოლოგიით: „სადოქტორანტო გამოცდები“), ხოლო 1926 წლის შემოდგომიდან დაეკისრა დამოუკიდებელი კურსები ეკითხა „ენათმეცნიერების შესავალსა“ და „ქართულ დიალექტოლოგიაში“ პედაგოგიური ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე.

ჩვენ ერთ დროს ვსწავლობდით ერთსა და იმავე განყოფილებაზე, ერთად დავამთავრეთ ეს განყოფილება, შემდეგ — ასპირანტურა; ლექციების კითხვაც ერთდროულად დაგვეკისრა.

ვარლამ თოფურიას სტუდენტობამდე არ ვიცნობდი, თუმცა ისიც ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა და მეც. გიმნაზია მე 1917 წელს დავამთავრე, მან — 1918 წელს.

პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როდესაც უნივერსიტეტის მეორე სემესტრი, შემოდგომის სემესტრი, დაიწყო და დაიწყო არა პირველ სექტემბერს, არამედ 3 ოქტომბერს.

უნივერსიტეტში მივიჩქაროდი, როცა სტუდენტმა, ვისთანაც დროე-

ბით ვცხოვრობდი, გამაცნო ახალგაზრდა: ესეც სტუდენტი იყო. ეს გახლდათ ვარლამ თოფურია. ისიც ენათმეცნიერების განყოფილებაზე ჩარიცხულიყო, ისიც იმავე ლექციაზე მიდიოდა.

ენათმეცნიერების განყოფილებაზე სულ ოთხი სტუდენტი აღმოვჩნდი. ჩვენ ორის გარდა, ამავე დარგის სტუდენტები იყვნენ შალვა ამირანაშვილი (მეორე კურსიდან ხელოვნებისმცოდნეობის განყოფილებაზე გადავიდა, იყო ხელოვნებისმცოდნეობის კათედრის გამგე, ჩვენი აკადემიის წევრი, საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და გრიგოლ თუთბერიძე (მესამე კურსიდან ქართული ლიტერატურის სპეციალობით განაგრძო სწავლა, მასწავლებლად მუშაობდა; ვგონებ, დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში).

ენათმეცნიერების განყოფილებას შევრჩით ვარლამ თოფურია და მე.

იმხანად უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაც თავისებური იყო და სტუდენტის საქმიანობაც ახლანდელთან შედარებით საკმაოდ სხვაობდა.

უნივერსიტეტი პირველ წელს ერთფაკულტეტისანი გახლდათ. ამ ფაკულტეტს — „სიბრძნისმეტყველებისას“ (ე. ი. ფილოსოფიურს) — ორი განყოფილება ჰქონდა: ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური. ჰუმანიტარული განყოფილების დარგები იყო: საქართველოს ისტორიისა, ქართული ლიტერატურისა, ფილოსოფია-ფსიქოლოგიისა, ენათმეცნიერებისა. ყველა სტუდენტი ისმენდა საფაკულტეტო საგნებს: ფილოსოფიის შესავალს, ლოგიკას, ფსიქოლოგიას; გარდა ამისა, აბარებდა ერთ-ერთ ევროპულ ენას.

ენათმეცნიერების დარგზე — გარდა ამ ყველასათვის სავალდებულო საგნებისა — პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში უნდა ჩაგვებარებინა: ენათმეცნიერების შესავალი, ქართული ენა, არაბული ენა, ძველი ინდური ენა (სანსკრიტი).

საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსები პირველად იკითხებოდა ქართულად, და ამ კურსებს ყველა ისმენდა იმისდა მიუხედავად, ევალებოდა მისი ჩაბარება თუ არა.

ახალბედა სტუდენტების გვერდით ჭაღარა მსმენელებიც ისხდნენ. ზოგ მათგანს უმაღლესი განათლებაც ჰქონდა მიღებული, მაგრამ უნივერსიტეტში ჩარიცხულიყო, რომ ლექცია ქართულად მოესმინა<sup>1</sup>.

ლექციები გვეკითხებოდა ხუთიდან ცხრა საათამდე. სტუდენტობის

<sup>1</sup> ჩვენთან ერთად რიგ საგანს ისმენდა თამარ ლომოური (ნიკო ლომოურის ასული). მას პეტერბურგის ქალთა უმაღლესი კურსები დაემთავრებინა. ათიოდე წლის სტაჟიც ჰქონდა გიმნაზიაში მასწავლებლობისა და ლექციებს არ ტოვებდა... შემდეგში საქართველოს ისტორიაში დასპეციალდა. იყო უნივერსიტეტის დოცენტი... ქართული ენის განმარტებითი (რვატომიანი) ლექსიკონის დამუშავებაში მონაწილეობდა აქტიურად, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი.



მეტი წილი მსახურობდა დილის საათებში (9-3).

დასწრება თავისუფალი იყო... სტუდენტთა სიის ამოკითხვა აზრად არავის მოუდიოდა. აუდიტორიაში კი ტევა არ იყო: „საქართველოს ისტორია“ (ივ. ჯავახიშვილი), „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (კორნ. კეკელიძე), „ფილოსოფიის შესავალი, ლოგიკა“ (შ. ნუცუბიძე), „ფსიქოლოგია“ (დიმ. უზნაძე) დიდ აუდიტორიებში იკითხებოდა. თუ სტუდენტი ცოტათი აღრე არ მივიდოდა, ფეხზე დგომა მოუწევდა.

ვარ. თოფურია და მე ერთად ვისმენდით ჩვენი დარგის საგნებს: „ქართულ ენას“ გვიკითხავდა **იოსებ ყიფშიძე**, მისი გარდაცვალების შემდეგ (1919 წ.) — **აკაკი შანიძე**; „ენათმეცნიერების შესავალს“ — **გიორგი ახვლედიანი**; არაბულ ენას — **აკაკი შანიძე**; სანსკრიტს — **გიორგი ახვლედიანი**; ინგლისურ ენას — **ვანდა ღამბაშიძე**.

1922 წელს ივნისში ვარ. თოფურიამ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი, სადიპლომო შრომა წარუდგინა პროფ. აკ. შანიძეს (სახელმწიფო გამოცდები არ ივარაუდებოდა), და მისივე წარდგინებით ფაკულტეტმა ვარ. თოფურია დატოვა უნივერსიტეტთან საპროფესოროდ მოსამზადებლად (ახლანდელი ტერმინოლოგიით: „ასპირანტად“). საამისოდ პროფესორის რეკომენდაცია მაშინ საკმარისი იყო (ასპირანტურაში მისაღები გამოცდები საჭიროდ არ მიაჩნდათ).

ორი წლის შემდეგ ვარ. თოფურიამ ჩააბარა „სადოქტორანტო გამოცდები“: ქართულ ენაში, ზოგად ენათმეცნიერებაში, მეგრულ-ჭანურში, სვანურსა და ძველ სომხურში. ეს გამოცდები ტარდებოდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. გამოსაცდელი ხელმძღვანელს წინასწარ უდგენდა სათანადო საგნის პროგრამას: რა პრობლემები ჰქონდა საგანში დამუშავებული, რა ლიტერატურა — საამისოდ გამოყენებული... თუ ფაკულტეტი მიიჩნევდა ამას საკმარისად, გამოცდაზე დაუშვებდნენ... ფაკულტეტის სხდომაზე საგნის სპეციალისტი ცდიდა, მაგრამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებიც იძლეოდნენ შეკითხვებს (ზოგჯერ უფრო ძნელსაც, ვინემ საგნის სპეციალისტი...).

დოქტორანტს უფლება ჰქონდა დაემუშავებინა სადოქტორო დისერტაცია. უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი ხარისხი იყო: დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (საკანდიდატო ხარისხის მაგივრობას სადოქტორანტო გამოცდები ეწეოდა: დოქტორანტისათვის შეიძლებოდა დამოუკიდებელი კურსის კითხვა მიენდოთ).

სადოქტორო დისერტაციის წარდგენამდის ახალგაზრდა სპეციალისტს ათიოდე გამოკვლევა მაინც უნდა ჰქონდა გამოქვეყნებული.

სადოქტორო დისერტაციის თემას დოქტორანტი თვითონ ირჩევდა და არავის უთანხმებდა. ხელმძღვანელსაც კი შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რა თემაზედაც მუშაობდა კათედრის წევრი-დოქტორანტი: დოქტორანტს

დამოუკიდებელი მუშაობა მოეთხოვებოდა. დამთავრებულ გამოკვლევას ფაკულტეტის დადგენილებით უნივერსიტეტი აქვეყნებდა (რაც არ ნიშნავდა, რომ ფაკულტეტმა დისერტაცია დაცვის ღირსად ცნო... ეს მერე ირკვეოდა, როცა დაბეჭდილ შრომას წარადგენდა ავტორი).

ვარ. თოფურიას არა ერთი სპეციალური წერილი ჰქონდა გამოქვეყნებული ასპირანტად ყოფნის დროს.

1926 წელს დაიბეჭდა პირველი წერილი სერიიდან: „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“. ამ სერიის მეორე წერილი (1927 წ.) ეხებოდა თანხმომავთა გარკვეული კომპლექსების საკითხს ძველ ქართულში; მასში დადგენილი იყო კანონზომიერება: ბუნებრივი კომპლექსი **სხ**, ერთის მხრით, **ჟს** — მეორე მხრით; გამორიცხულია **სჯ** და **ხს** (ამიტომაც: როდესაც გამოთქმა „გულის ჯმა“ კომპოზიტად, ერთ რთულ ფუძედ იქცა, **ჯ** ბერას **ს**-ს შემდეგ **ხ** შეენაცვლა: „გულის ჯმა“ იქცა „გულისხმა“-დ (გაჩნდა შესაძლებლობა „გულისხმა“ ახლებურად გაეაზრებინათ: გულისხმა — გულის ხემა, ე. ი. „გულისგაღება“-ო (კარგი მაგალითია იმისა, თუ რა სირთულე შეიძლება გამოიწვიოს ფონეტიკურმა ცვლამ ენობრივი ფაქტის ინტერპრეტაცია-გაგებაში).

ძველი ქართულის თანხმომავთა კომპლექსების კვლევაში მნიშვნელოვანი კანონზომიერება გამოვლინდა, და ეს კანონზომიერება დოქტორანტ ვარ. თოფურიას ეკუთვნოდა.

სადოქტორო დისერტაციის თემა ვარ. თოფურიას ისევ ძველი ქართულიდან ჰქონდა შერჩეული: ხმოვნის რედუქცია-ამოღება ძველ ქართულში. კარგა ხანს იმუშავა და მერე თავი დაანება: კანონზომიერება არ ჩანსო (ამხანაგები ერთმანეთს ვუზიარებდით შთაბეჭდილებას): სიჭრელეს დიალექტები იწვევდნენ.

ახალი თემა ვარ. თოფურიამ აიღო სვანურიდან, რომელსაც დიალექტების მიხედვით სწავლობდა სისტემატურად წლების მანძილზე. ამგვარად შეიქმნა ვრცელი მონოგრაფია: „სვანური ენა: I. ზმნა“, 1931, გვ. 11-260. შრომა დაიბეჭდა „ტფილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით“ (თავფურცელზე აღნიშნულია, რომ წიგნის აწყობა დაუწყვიათ 18.VII.1926; ბეჭდვა დამთავრებულა 18.11.1931, როდესაც უნივერსიტეტი ინსტიტუტებად იყო დაყოფილი, და წიგნსაც აწერია: საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური **ინსტიტუტის** გამოცემა).

იმ ხანად ინსტიტუტებში დისერტაციების დაცვა აღარ წარმოებდა. 1933 წლის იანვრიდან უნივერსიტეტი ისევ აღადგინეს და იმავე წლის ზაფხულში ვარ. თოფურიამ ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „სვანური ენა. I. ზმნა“.

1925 წელს დაიბეჭდა აკ. შანიძის გამოკვლევა „უმლაუტი სვანურში“. ამ ფონეტიკური პროცესის ძირითად კანონზომიერებათა გარკვევა

სვანური მორფოლოგიის საკითხთა ანალიზსაც ხელს უწყობდა (ვარ. თოფურიაც იღებდა მონაწილეობას უმლაუტის კერძო საკითხების დამუშავებაში). არსებობდა სხვა გამოკვლევებიც სვანურზე. და მაინც: ვარ. თოფურიას „სვანური ზმნა“ ქართული ენათმეცნიერების დიდი მონაპოვარია. სვანური ზმნის უღვლილებს არა ერთი საკითხი დღესაც სხვადასხვაგვარ გაგება-განმარტებას იწვევს, მაგრამ ზმნის მორფოლოგიური სისტემა და მისი დიალექტური ვარიანტები ამ წიგნით საფუძვლიანად არის შესწავლილი და მით შექმნილია მტკიცე საფუძველი შემდგომი მუშაობისათვის. ვარ. თოფურიას ამ გამოკვლევას („სვანური ენა. I. ზმნა“) ვერც ერთი ქართველოლოგი გვერდს ვერ აუქცევს.

მაგონდება ის ბინა (ცალქალამანიძის პატარა სახლი, ჯავახიშვილის ქუჩის ჩიხში ჩაჭედული), სადაც „სვანური ზმნა“ დაიწერა და მისი ერთობრთული კორექტურა სწორდებოდა: ოთახში არა თუ მზის სხივი არ ატანდა (წინ კედელი იყო აღმართული!), დღისითაც ლამფის შუქზე თუ შეიძლებოდა მუშაობა...

ვარ. თოფურიას არა ერთი გამოკვლევა ეკუთვნის ქართულისა და ქართველურ ენათა მორფოლოგიის, ფონეტიკისა თუ სინტაქსის საკითხებზე და ყველა შრომა მკვლევრის უტყუარ ალლოსა და საფუძვლიან მსჯელობას ავლენს. მათ შესახებ ნაშრომები არსებობს.

ფასეულია ვარ. თოფურიას გამოკვლევები ლაკური ენის საკითხებზე, დაბეჭდილიც და დაუბეჭდავაც.

ვარ. თოფურია 65 წლისა გარდაიცვალა. მას კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო.

სამწუხაროა, რომ ის მთელ თავის დროს სამეცნიერო კვლევა-ძიებას ვერ ახმარდა: „ელხის“ სწავლული მდივანი, პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე და სხვა... ყველაფერი ეს დროსა და ენერგიას მოითხოვდა...

თქმა არ უნდა, ყველაფერი ეს საზოგადოებრივად საჭირო საქმე იყო. მაგრამ ამ საქმეთა მოვლა სხვასაც შეეძლო. ვარლამ თოფურიას მაგვირობას კი ქართულ ენათმეცნიერებაში ეს „სხვა“ ვერ გასწევდა...

სპეციალისტები ადრე თუ გვიან მიდიან. მეცნიერება კი რჩება, და მეცნიერებაში რჩება სპეციალისტის „ნამუშავენი“.

„ნამუშავენი ჩანს, მუშაკი მტუერ და ნაცარტუტაჲ“ — როგორც იტყოდა ძველი ქართველი მწიგნობარი.

## მცირეოდენი — მოგონებიდან

(სიმონ ჯანაშიას დაბადების 70 წლისთავის გამო)

სიმონ ჯანაშია 1908 წლიდან მახსოვს: ის ძველი სენაკის ქართული — ოთხგანყოფილებიანი — სკოლის მოწაფე იყო. მისი მამა ნიკო ჯანაშია ამ სკოლაში მასწავლებლობდა და მეტად პოპულარული პიროვნება იყო: უბრალო, თავაზიანი ადამიანი, მოწინავე მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე<sup>1</sup>. მე სოფლის სკოლაში (ე. წ. „სამინისტროს ორკლასიან სკოლაში“) ვსწავლობდი (ამ სკოლაში ხუთი განყოფილება იყო — I-III განყოფილება ერთ კლასს უდრიდა, IV-V განყოფილება — მეორეს. სწავლა პირველი განყოფილებიდანვე რუსულ ენაზე იყო).

1908 წელს აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით ძველი სენაკის ქართულ სკოლაში ლიტერატურული დილა გაიმართა. სოფლის სკოლიდანაც რამდენიმე მოწაფე ვიღებდით მონაწილეობას: აკაკის ლექსები უნდა გვეთქვა (მე წილად მხვდა „პოეტი და მდიდარი“). ლიტერატურული დილისათვის ვემზადებოდით და საამისოდ ქართულ სკოლაში დავდიოდით.

სიმონი — ბავშვებში მოთამაშე, ძალიან ცოცხალი, ცქრიალა — დამამახსოვრდა. ათი წლის შემდეგ, 1918 წლის ოქტომბერში, უნივერსიტეტის პირველი აუდიტორიის<sup>2</sup> კარებთან შევხვდით ერთმანეთს, პირველი კურსის სტუდენტები.

ეს უკვე ის სიმონი იყო, რომელსაც ცქრიალა არ ეთქმოდა: დინჯი ახალგაზრდა, სოლიდურიც კი.

სტუდენტობის დროიდან მოყოლებული თითქმის ოცდაათი წელი უნივერსიტეტი თუ ინსტიტუტი (აკადემია) გვაკავშირებდა. ბევრი რამ შეიძლება მომგონებოდა.

აქ იმით დავკმაყოფილდებით, რაც სიმონ ჯანაშიას, როგორც ენის სპეციალისტსა და როგორც დაწესებულების ხელმძღვანელს ახასიათებდა.

სიმონ ჯანაშიას სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტის ორი განყოფილება ჰქონდა დამთავრებული: საისტორიო და ენისა.

ძველი ქართული, მეგრულ-ჭანური, აფხაზურ-ჩერქეზული აინტერეს-

---

<sup>1</sup> ძველი სენაკის ქართული სკოლიდან სამუშაოდ სოხუმს გადავიდა და იქ ქართული სკოლა დააარსა.

<sup>2</sup> ახლანდელ პირველ კორპუსში ამჟამად იქ მეცნიერ მუშაკთა სამკითხველო დარბაზია.

ებდა ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ ამ ენათა მასალაზე ხელი მიუწვდებოდა, როგორც ენის სპეციალისტს (მეგრულ-ჭანური და აფხაზური ხომ პრაქტიკულადაც იცოდა). სიმონ ჯანაშიას საგულისხმო დაკვირვება მოეპოვება, კერძოდ, სვანურში ჩერქეზული (ადილეური) სუბსტრატის შესახებ<sup>1</sup>.

როცა ფილოლოგიის ფაკულტეტზე კავკასიურ ენათა კათედრა დაარსდა (და კავკასიურ ენათა განყოფილება ჩამოყალიბდა 1933/1934 წწ.), სიმონ ჯანაშია ამ კათედრის წევრი იყო და აფხაზურ ენას უკითხავდა კავკასიურ ენათა განყოფილების სტუდენტებს წლების მანძილზე, სანამ მისი მოწაფე — ქეთევან ლომთათიძე — ასპირანტურას დაამთავრებდა.

როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა, პირველ ყოვლისა, აფხაზურისა და ჩერქეზულის მკვლევარს, მას უთქმელი დარჩა ბევრი რამ, ალბათ, იმაზე მცირე არა, რაც არ დასცალდა ეთქვა როგორც ისტორიკოსს.

სიმონ ჯანაშია გამოირჩეოდა არა მხოლოდ ნიჭითა და მაღალი კულტურით, მას ფართო ხედვა ჰქონდა; ყველასთან თავდაჭერილი და სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ თუ საჭიროდ დაინახავდა, აზრს ადეკვატურ გამოსახულებას შეურჩევდა.

\* \* \*

სიმონ ჯანაშია იყო ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმიკი“-ს) დირექტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

ორიოდე ეპიზოდი სიმონ ჯანაშიას მუშაობიდან ამ თანამდებობებზე.

საქართველოს ფილიალის წლიური მუშაობის შესამოწმებლად მოსკოვიდან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კომისია ჩამოვიდა. ენიმიკის მუშაობის შედეგებს ეცნობოდნენ ისტორიკოსი აკად. გოტიე და თურქოლოგი პროფ. მალოვი.

ყველა დამთავრებული სამუშაო მოითხოვეს: ჩვენი თვალთ უნდა ვნახოთო: "Деньги на бочку!" როგორც თქვეს, ვითომდა ხუმრობით (ეტყობოდა, ანგარიშს არ ენდობოდნენ: ჩანს, ცარიელი ანგარიშის შედეგების დიდი ოსტატები ენახათ). დირექტორმა არ შეიმჩნია ეს უადგილო ფრაზა. საჭირო ნაშრომები კომისიას წარუდგინეს. კომისიის წევრები ახლა სხვაგვარად ალაპარაკდნენ: კარგი შთაბეჭდილება მივიღეთო. დირექტორმა არც ეს მოწონება შეიმჩნია.

როცა კომისიამ მუშაობა დაამთავრა და თავისი დასკვნაც — დადე-

<sup>1</sup> იხ. ს. ჯანაშიას „სვანურ-ადილეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“ — ს. ჯანაშიას შრომები, ტ. III, გვ. 81-117; აგრეთვე — მეტად საინტერესო „ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში“ — ექსპედიციის დღიური — „შრომები“, ტ. IV, გვ. 5-171.

ბითი — გააცნო საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმს, კომისიის წევრებს ვახშამი გაუმართეს აწინდელ ინტურისტში. სიმონ ჯანაშია მასპინძლობდა: გაწლილ სუფრაზე სტუმრები მიიწვია: „გთხოვთო!“ და დაუმატა: "Трудящийся достоин пропитания!".

ამით ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, თავაზიანად და ღირსეულად.

1945 წელს გაზაფხულზე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. კომაროვი, აფხაზეთში სამკურნალოდ მიმავალი, ეწვია ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმს და მოისურვა აკადემიის საქმიანობას გასცნობოდა. პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა გაიმართა. ჯერ საბუნებისმეტყველო დარგებისა მოახსენეს, შემდეგ — ჰუმანიტარულისა.

ვიცე-პრეზიდენტ ს. ჯანაშიას ინფორმაცია იყო მოკლე: მხოლოდ არსებითი ითქვა, ითქვა ისე, როგორც სწორი სწორს ეტყვის, აკადემიის წარმომადგენელი აკადემიის საპატიო სტუმარს, თავაზიანად, მშვიდად და ღირსეულად.

როცა სამეცნიერო დაწესებულება შესაფერისად არ არის წარმოდგენილი, ეს მძიმეა, პირუკუ: დიდ შინაგან კმაყოფილებას იწვევს, როცა სამეცნიერო დაწესებულების ადგილი და ღირსება შესაფერისად არის წარმოდგენილი: არც ტრაბახი დ არც თითის წვერებზე დგომა! ეს შეეძლო სიმონ ჯანაშიას, და ეს მისი ძალა იყო.

უნაკლოდ სრული ხელმძღვანელი, ისიც ჰუმანიტარული დარგებისა, ძნელად მოიპოვება და ეს უნდა გავითვალისწინოთ.

\* \* \*

დასასრულ, ერთი თავისებურებაც, რაც სიმონ ჯანაშიას ახასიათებდა: ბავშვები უყვარდა და ბავშვურის გაგება შეეძლო.

რუსთაველის პროსპექტზე, ახლა რომ მთავრობის სახლია, იმის წინ ეკლიანი ხე, გლედია იდგა. გვიანი შემოდგომა იყო. ხეს მალა პარკები შერჩენოდა. ორი ბიჭუნა პარკების მოწყვეტას ლამობდა. ერთი ხეზე აძრომას ცდილობდა, მეორე კი ხეს მიკვროდა და ძლივს იჭერდა მხრებზე შემდგარ თავგამეტებულ ამხანაგს.

სიმონი შეჩერდა და დიდი ინტერესით უყურებდა ამ სცენას. თვალებში სიცილი ჩაუდგა. მერე ჩაილაპარაკა: „ვინმე ფილისტერმა ეს რომ ნახოს, ბიჭებს დატუქსავს: რუსთაველის პროსპექტზე, დახეთ, რას სჩადიანო! ამ ბავშვებისათვის კი ამ პარკებზე ძვირფასი ახლა არაფერიაო. ბავშვს ასეთი რამ როგორ უნდა დაუშალოო!“

კრებ. „ქართული ისტორიოგრაფია“, 2, თბ., „მეცნიერება“, 1971, გვ. 141-143

## თვალსაჩინო მეცნიერი, ნათელი მოქალაქე

(გრიგოლ კიკნაძის გარდაცვალების გამო)

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი, ვაჟა-ფშაველას კაბინეტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი გრიგოლ კონსტანტინეს ძე კიკნაძე.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას გამოაკლდა ერთ-ერთი თავკაცი, რომელმაც მთელი თავისი აზრიანი ცხოვრება უანგაროდ მოახმარა მშობელი ხალხის სამსახურს. დიდი ერუდიცია და პრინციპულობა, მიზანდასახული შრომისმოყვარეობა და სისპეტაკე, ღრმა აზროვნება და უაღრესად ადამიანური განცდის უნარი საოცრად იყო შერწყმული ერთ მთლიან პიროვნებად, რომელიც ჭეშმარიტი, უზადო მოქალაქის სახეს წარმოადგენდა.

გრიგოლ კიკნაძის ფუნდამენტურ მონოგრაფიებსა და ცალკეულ მეცნიერულ გამოკვლევებში, რომელთაგან უნდა დავასახელოთ „მეტყველების სტილის საკითხები“, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ“ და სხვანი, ნათლად გამოჩვენდა მკვლევრის უტყუარი ალღო და ღრმა მეცნიერული ანალიზის უნარი. გრიგოლ კიკნაძის ფილოლოგიური ნაშრომების განსაკუთრებული ღირსება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნითაც იყო განპირობებული, რაიც მან უშუალოდ შეითვისა თავისი დიდი მასწავლებლის დიმიტრი უზნაძისაგან.

გრიგოლ კიკნაძე იყო განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პედაგოგი. მისი ყოველი ლექცია მეცნიერული კვლევის ნიმუშს წარმოადგენდა. მას ჰქონდა უნარი, დიდი საქმისადმი ერთგულება და სიყვარული მრავალთა გულში აღენთო. ამიტომაც იყო, რომ მას ბევრი მოწაფე ჰყავდა, რომელთაგან დიდი ნაწილი წარმატებით მოღვაწეობს სამეცნიერო ასპარეზზე.

1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრიგოლ კიკნაძის თაოსნობით შეიქმნა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მოკლე ხანში გადაიქცა დიდი პოეტის შემოქმედების შემსწავლელ რესპუბლიკურ სამეცნიერო ცენტრად. გრიგოლ კიკნა-

ქემ ამ კაბინეტში გააერთიანა მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწენი, სხვადასხვა თაობის პოეტი, მხატვარი თუ მოქანდაკე, კომპოზიტორი თუ მსახიობი, ფილოლოგი, ენათმეცნიერი თუ ეთნოგრაფი, ბიოლოგი და გეოგრაფი, პედაგოგი თუ სტუდენტი და ყველანი დარაზმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობის ყოველმხრივ შესასწავლად. ამ დიდი მუშაობის შედეგად საზოგადოებამ მიიღო ვაჟას კაბინეტში მომზადებული შესანიშნავი კომპლექსური გამოკვლევები, რომელთა მეცნიერული ღირებულება დიდია. ამ მხრივ აღსანიშნავია: „ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“, „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, „ვაჟას კრებული“, „ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, ალბომი „ვაჟასეული ადგილები“ და სხვა... მალე მკითხველი მიიღებს გრიგოლ კიკნაძის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებულ მონოგრაფიული ხასიათის კრებულს „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, კაბინეტში დაწყებულია მუშაობა ვაჟა-ფშაველას ენის სიხშირის ლექსიკონის გამოსაცემად.

თორმეტი წლის მანძილზე ვაჟა-ფშაველას კაბინეტი დიდმნიშვნელოვან სამეცნიერო დაწესებულებად იქცა. ამჟამად მის ფონდში ინახება ვაჟას სიმფონია-ლექსიკონისათვის ამოწერილი მილიონზე მეტი ბარათი, პოეტის მრავალი ხელნაწერის ფოტოკოპირი და აგრეთვე ილუსტრაციები, რომელთაგან ბევრი საგანგებოდ ამ კაბინეტისათვის შეიქმნა. რა მონდომებით და სიყვარულით აგროვებდა მთელ ამ მასალას გრიგოლ კიკნაძე, რა გაუტეხელი სიჯიუტით ებრძოდა განუკურნავ სენს, რათა სასიცოცხლო ენერჯის უკანასკნელი, უკვე ჩამქრალი შესაძლებლობაც გამოეძალა და საქვეყნო საქმისათვის მოეხმარებინა.

ღირსეულად გაილია ჭეშმარიტი მეცნიერისა და მოქალაქის გრიგოლ კიკნაძის ცხოვრება. მეგობრებისა და მოწაფეებისათვის დაუვიწყარი იქნება მისი კაცობის მაღლი და ის გონიერი სიკეთე, რაც ასე დამახასიათებელი იყო მისთვის.

არნოლდ ჩიქობავა,  
ანა კალანდაძე,  
ჯუმბერ ჭუმბურიძე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,  
1974, 26 აპრილი, გვ. 4



## **გამოჩენილი მეცნიერი, მოქალაქე**

(აკადემიკოს ილია ვეკუას გარდაცვალების გამო)

ილია ვეკუას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ წინათაც თქმულა, ამ მწუხარების დღეებშიც ითქვა დამაჯერებლად. უფრო სრულად ითქმის მომავალში.

ითქმის, პირველ ყოვლისა, იმათგან, ვინც მასთან თანამშრომლობდა უნივერსიტეტისა თუ მეცნიერებათა აკადემიაში და მის საქმიანობას ჯერონად იცნობს.

ხოლო რაც მის მათემატიკურ ნააზრევს შეეხება, ამაზე კონკრეტულად მსჯელობის მეცნიერული უფლება მხოლოდ ამ დარგის სპეციალისტს, მათემატიკოსს აქვს.

და თუ მაინც თავს ნებას ვაძლევ, ორიოდ სიტყვა ვთქვა აკად. ილია ვეკუას შესახებ, ეს, ბუნებრივია, შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილება თუ მოსაზრება იმის თაობაზე, რაც არასპეციალისტისათვისაც ცხადია.

ილია ვეკუას სახელი ცნობილია ყველა ქვეყნის მათემატიკოსისათვის, ვინც კი მუშაობს მათემატიკის სათანადო დარგებში.

მათემატიკურ ჭეშმარიტებას ვერც სივრცე ზღუდავს, ვერც — დრო. ვინც აქ წარმატება მოიპოვა, ის თვითონაც სახელიანია და, რაც მთავარია, მან ამით ის ხალხიც ასახელა, ვინც ასეთი მუშაკი აღუზარდა მეცნიერებას.

ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების გარეშე (ეროვნული ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, ენის მეცნიერული შესწავლის... გარეშე) შეუძლებელი იქნებოდა ქართული მეცნიერების შესახებ ლაპარაკიც კი. ეს უდავოა.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქართული მეცნიერების საერთაშორისო პრესტიჟს განსაზღვრავს, პირველ ყოვლისა, ისეთ მეცნიერებათა წინსვლა-განვითარება, როგორცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია...

ამიტომაც, რომ ქართველი მათემატიკოსის მეცნიერული ნაღვაწი ერთობლივ ქართული მეცნიერების ავტორიტეტის ზრდას მოასწავებს, საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ქართული მეცნიერება ღირსეულად გამოჩნდეს.

სწორედ ასეთი მათემატიკოსი გვყავდა აკად. ილია ვეკუას სახით.

ახლა ორიოდ სიტყვა აკად. ილია ვეკუას მუშაობის თაობაზე ჩვენი აკადემიის პრეზიდენტად. სულ რამდენიმე წელს გაგრძელდა ეს მუშაობა.

აკადემიის პრეზიდენტი აკადემიის უშუალო ამოცანებით არ იფარგლებოდა. აკადემიის მოვლეობა მას უფრო ფართოდ წარმოედგინა.

მისი ინიციატივით ჩვენი აკადემიის პრეზიდენტთან შეიქმნა კომისია უმაღლესი სკოლისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით (კომისიაში, აკადემიის მუშაკების გარდა, შევიდნენ უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები).

აკად. ილია ვეკუას უნივერსიტეტში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, უმაღლესი სკოლის სატკივარს გრძნობდა და იმას ითვალისწინებდა, რომ მეცნიერებათა აკადემია უნდა ეხმარებოდეს უმაღლეს სკოლას.

კიდევ ერთი მაგალითი.

აკად. ილია ვეკუამ საფუძველი ჩაუყარა სვანეთის კომპლექსურ სამეცნიერო შესწავლას და არა მხოლოდ შესწავლას, არამედ ისეთი საკითხების დასმას რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე, რომელთა მოგვარებას სვანეთის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების წინსვლა მოითხოვდა.

ილია ვეკუას ამგვარი ინიციატივით ჩვენში აკადემიამ სათავე დაუდო საქვეყნო საქმეს: ესაა ჩვენი რესპუბლიკის მთის რაიონებისათვის დახმარების აღმოჩენა.

ილია ვეკუა სოფლის ცხოვრებას ბავშვობიდანვე ზედმიწევნით იცნობდა და ხალხიდან გამოსული, სოფლის საჭიროებას გრძნობდა და მის მოსაგვარებლად დროსა და ენერჯიას არ იშურებდა.

აკად. ილია ვეკუას ხსოვნის ნამდვილი პატივისცემა ის იქნება, თუ არ შეწყდება, არამედ განვითარდება (ყველაფერი, კერძოდ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი), რაც მან წამოიწყო.

\* \* \*

უკანასკნელი ათი წლის მძილზე ილია ვეკუა შეუპოვრად ებრძოდა უკუბრუნებელ სენს, და მაინც მის ინტელექტს ინტენსიური მეცნიერული შემოქმედებითი მუშაობა არ შეუწყვეტია...

ბრალია, ასეთი ინტელექტი უდროოდ ჩაქრეს!

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“,  
9 დეკემბერი, 1977, გვ. 3

## რამდენიმე სიტყვა ილია აბულაძის მოსაგონრად\*

1. ილია აბულაძე ჩემი უმცროსი კოლეგა იყო, ჩვენ შორის სამიოდე წლის განსხვავება იყო. მაგრამ ილია აბულაძემ ენისა და ლიტერატურის განყოფილების შემდეგ საენათმეცნიერო განხრითაც განაგრძო სწავლა, და ისე მოხდა, რომ ზოგადი ენათმეცნიერების სემინარში შევხვდით ერთმანეთს: მე — ახალბედა ლექტორი და ილია აბულაძე — სტუდენტი და სემინარის ერთადერთი მონაწილე. მაგონდება, როგორ ვამუშავებდით ჰერმან პაულის ცნობილი კურსის („პრინციპები ენის ისტორიისა“) შესავალს, ე.წ. „პრინციპთმოდერებს“ (Prinzipienlehre).

3. პაულის კურსი ახლა რუსულად თარგმნილია (1960 წ.), მაშინ კი (1929 წ.) გერმანული დედანი გვექონდა და მას ვარჩევდით: ჯერ ვთარგმნიდით და მერე — ავტორის აზრის ადეკვატურ გაგებასა და ინტერპრეტაციას ვცდილობდით. პაულის კონცეფცია შინაარსით რთულია (ფსიქოლოგიზმის ორიგინალურ ვარიანტს წარმოადგენს, საკმაოდ სადაოს, თავის დროზე ვ. ვუნდტის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია). რთულ შინაარსს მძიმე ენა ერთვის. თითო ჯერზე თითო აბზაცს თუ დავძლევდით<sup>1</sup>.

საჭირო ზოგადი მომზადება ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში იქნებ სტუდენტს აკლდა, მაგრამ პაულის ნააზრევის სათანადო გაგება-შეფასება მაინც მიღწეული იყო. და ეს ილია აბულაძის მუშაობის წესსა და ხასიათს შეეფერებოდა: ღინჯი მუშაობა იცოდა და საფუძვლიანი მსჯელობაც სჩვეოდა.

2. ცნობილია პალეოგრაფიული ალბომი, რომელიც ილია აბულაძემ შეადგინა („ქართული წერის ნიმუშები“, 356 გვ.) და ჩვენმა უნივერსიტეტმა გამოსცა 1949 წ. მრგლოვანი, კუთხური და გარდამავალი მხედრულის ნიმუშებს ერთვის ქარაგმათა გახსნის ვრცელი ინდექსი (გვ. 330-356).

---

\* აკად. ა. ჩიქობავას ეს წაკითხული იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებლის ი. აბულაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 1981 წ. 9 დეკემბერს. ამჟამად დაცულია ი. აბულაძის პირად არქივში (№686). რედაქციამ მიზანშეწონილად ჩათვალა ამ წერილის დაბეჭდვა „მრავალთავის“, საიუბილეო კრებულში.

<sup>1</sup> ეს სემინარი იმ ხანად უკანასკნელად ჩატარდა: მეორე (1930 წლიდან) უნივერსიტეტი ინსტიტუტებად იყო დაყოფილი და ბრიგადულ-ლაბორატორიულმა მეთოდმა ეს სემინარიც მოშალა და „ზოგადი ენათმეცნიერების“ სწავლებაც.

მაშინ ილია აბულაძე პროფესორი იყო. გაცილებით ადრე სტუდენტმა ილია აბულაძემ ჩემი თხოვნით დაამუშავა „სავარჯიშო ქართულ პალეოგრაფიაში“ ორ რვეულად (1927-28 წწ.) და ლითოგრაფიულად გამოსცა უნივერსიტეტმა.

1924 წლიდან ქართული ენის კათედრის დავალებით ქართული პალეოგრაფიის პრაქტიკუმს ვატარებდი: მდაბიურად რომ ვთქვათ, სტუდენტებს ვასწავლიდი ასომთავრულისა და ნუსხური ასოების წერას და შესაბამისი ხელნაწერების კითხვას. ასოთა ტიპურ ნიმუშებს მე ვაწვდიდი.

შემდეგ ჩემი თხოვნით ეს „რვეულებით“ გაკეთდა: ხელნაწერები (X-XII სს.) ილია აბულაძესთან ერთად შევარჩიეთ. ილიამ კალკით გადაიღო და ლითოგრაფიულად დაბეჭდა. კაცმა რომ თქვას, კალკის გარეშეც შეეძლო გადმოეცა ილია აბულაძეს ხელნაწერთა ასოების ვარიაციები.

ილია აბულაძის ხელნაწერს არ სჭირდებოდა მანქანაზე გადაბეჭდვა. ყოველ ნაბეჭდზე უფრო გარკვეული იყო (მხოლოდ გრიგოლ წერეთლის ბერძნული პალეოგრაფიის გამოჩენილი სპეციალისტის, ხელით ნაწერი — რუსული თუ ლათინური ან ბერძნული ტექსტი — შეეძლო კაცს შეედარებინა ილია აბულაძის ნაწერისათვის).

ეს უმნიშვნელო ტექნიკური თავისებურება როდია, ამაში პიროვნება ჩანს, მისი ხასიათი და, იქნებ, სპეციალობაც — ფილოლოგისა, ნიადგ რომ ხელნაწერებს უტრიალებს (აკი ძველი ხელნაწერის — მთავრული იქნებოდა თუ ნუსხური — გადამწერი ხელს არ იცვლიდა: ხელის სხვაობა გადამწერთა სხვაობას მოასწავებს).

ხელის ასეთი თავისებურება ოღონდაც რომ მისაბაძია, მიბაძვა რომ ადვილი იყოს.

**3.** 1939 წელს, თუ არ მეშლება, ილია აბულაძემ უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა (მონოგრაფია შუშანიკის ქართული და სომხური ტექსტის შესახებ). დისერტაცია გამოქვეყნებული იყო, დაცვა — ჩინებული და შეფასებაც — მაღალი).

დაცვის შემდეგ საბჭო მსჯელობდა დაცვის შესახებ (ახლანდელი ინსტრუქცია ამგვარ მსჯელობას წესის დარღვევად თვლის). საბჭოში აზრთა სხვაობა არ ყოფილა.

საბჭოს ერთმა წევრმა იკითხა: „რა აკლია ამ დისერტაციას, რომ ის სადო-ქტოროდ მივიჩნიოთ, და სათანადო შუამდგომლობაც აღვძრათ“.

წინადადებას არავინ გამოხმაურებია. როგორც შემდეგ გამოირკვა, კათედრის ხელმძღვანელთან (ილია აბულაძე მაშინ არმენოლოგიის კათედრის წევრი იყო) ურთიერთობა კი გაართულა, ეს კი წინადადების ავტორს აზრად არ მოსვლია (წინადადების გულუბრყვილო ავტორი ამ სტრიქონების დამწერი გახლავთ. მას კარგა ხანს ვერ გაეგო, მეცნიერებაში ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო).

სადოქტორო დისერტაცია ილია აბულაძემ რამდენიმე წლის შემდეგ დაიცვა.

**4.** ილია აბულაძე რამდენიმე წლის მანძილზე ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო. როცა გავიგე, დეკანად დანიშნესო, გამიკვირდა, როგორ იკისრა-მეთქი. რთული წლები იყო (ლიტერატურისმცოდნეობაშიც და ენათმეცნიერებაშიც: დადგენილება ლენინგრადის სალიტერატურო ჟურნალების შესახებ, ენის ახალი მოძღვრების მძაფრი შემოტევა მონოპოლიის დასამკვიდრებლად).

ილია აბულაძემ ღირსეულად გაართვა თავი სირთულეებს. მადლობით ვიგონებ, როგორ ექომაგებოდა თურმე ზოგ ათვალისწინებულ სახელმძღვანელოს, სადაა ნაცვალი რუსულ ენაზეო?

ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ, თავის სიმართლეში დარწმუნებული, დაწესებულების ხელმძღვანელს მოურიდებლად მოახსენებდა თავის აზრს... და ხელმძღვანელიც ამას ურიგდებოდა (ის ობიექტურობასა და საქმის სიყვარულს ანგარიშს უწევდა).

1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ აგვისტოში უმაღლესი განათლების სამინისტრომ უმაღლესი სკოლის მუშაკთა საკავშირო თათბირი გამართა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ილია აბულაძე თათბირზე მონაწილეობდა და სიტყვაც წარმოთქვა, საბუთიანი და სამართლიანი (მანამდე არსებული ვითარების შესახებ).

**5.** ილია აბულაძე 1950 წლის დამლევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

ადგილი მისთვის არ ყოფილა გამოყოფილი, მაგრამ საექსპერტო კომისიაში გიორგი ჩუბინაშვილმა დაასახელა ილია აბულაძის კანდიდატურა, და კომისიამაც მხარი დაუჭირა. მას უკვე ჰქონდა ქართული და სომხური ფილოლოგიის წამყვანი სპეციალისტის, პირველწყაროთა ავტორიტეტული მკვლევრის სახელი.

მარტო ის რადა ღირს, რომ მან მიაკვლია ალბანურ ანბანს სომხურ ხელნაწერში მატენადარანში მუშაობისას და პირველი ინფორმაციაც მის შესახებ გამოაქვეყნა.

კავკასიის ალბანეთისა და ალბანური დამწერლობის პრობლემა დიდი მნიშვნელობის პრობლემად ითვლება, და ამ პრობლემის განხილვისას ილია აბულაძის დამსახურება მით უფრო ნათლად გამოჩნდება, რაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა პრობლემას.

**6.** სომხურ-ქართული ფილოლოგიის დონე ნიკო მარის შესანიშნავი გამოკვლევების შემდეგ ისე მაღლა არა მდგარა, როგორსაც მან მიაღწია ილია აბულაძის შრომებში (მასთან ილია აბულაძის თვალსაზრისი სომხურ-

რი და ქართული ფილოლოგიის ისტორიული ურთიერთობის პროცესს უფრო ობიექტურად ასახავდა).

„ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ იმ სახითაც, რაც მას აქვს ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემაში, ერთგვარად აჯამებს იმ ფილოლოგიურ მუშაობას, რაც ილია აბულაძის სასიცოცხლო საქმეს წარმოადგენდა. ეს ლექსიკონი ფასდაუდებელ განძად დარჩება ნაკვლევი ძველი ქართულის შესახებ.

**7.** ილია აბულაძის სახელთან არის დაკავშირებული ხელნაწერთა ინსტიტუტის შექმნაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში<sup>1</sup>.

ინსტიტუტის დაარსებით ხელნაწერთა დაცვა-მოვლა უზრუნველყოფილ იქნა, და მით საქვეყნო საქმე გაკეთდა, — დიდი საქვეყნო საქმე, და ეს ილია აბულაძის სახელთან იქნება დაკავშირებული.

**8.** ხელნაწერთა ინსტიტუტი არა მხოლოდ იცავს და უვლის ხელნაწერებს, არამედ აღწერს და იკვლევს მათ, საამისოდ კადრებია საჭირო, კადრებს პოვნა და წვრთნა უნდა.

კადრების მომზადება ადვილია, თუ ფორმალურად მოვეკიდებით, მაგრამ რთული და ძნელია, გამწევი ძალა გვინდა შეგვემატოს.

ილია აბულაძე სწორედ ასეთ კადრებს ამზადებდა, კერძოდ, მან ინსტიტუტში მტკიცე ნიადაგზე დააყენა ძველი ბერძნულისა და ძველი სომხურის (აგრეთვე აღმოსავლური ენების) შესწავლა. ილია აბულაძე ახალგაზრდა სპეციალისტებს უნერგავდა სისტემატური მუშაობის ჩვევებს. ეს არცთუ მარტივი იყო (მოქმედებდა სხვა ჰუმანიტარულ ინსტიტუტებში არსებული ვითარება).

და თუ დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივი გამორჩევა სისტემატური საკვლევადიებო მუშაობითა და ამ მუშაობის ნაყოფიერი შედეგებით (ჩვენი აკადემიის ჰუმანიტარულ ინსტიტუტებს შორის), ამას უნდა ვუმადლოდეთ ილია აბულაძეს და იმათ, ვინც ილია აბულაძის ამ ტრადიციას აგრძელებს.

16. XI. 1981

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი საკავშირო მეცნიერებათა სისტემაში არ არსებობს („მატენადარანიც“ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არ ექვემდებარება). ზოგ სპეციალისტს ჩვენში ეეჭვებოდა: ხელნაწერთა ინსტიტუტს არ დაამტკიცებენო. აკად. ა. ნესმეიანოვის (საკავშირო აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის) მხარდაჭერას გადაეწყვიტა საკითხი: „რესპუბლიკური აკადემიები თავის სტრუქტურაში იმეორებენ საკავშირო აკადემიას, აქ კი თავისებურება გვაქვს, და ეს მოსაწონიაო“.

## ენის ერთგული მუშაკი

ქართული ენის სპეციალისტთა რიგებს სამუდამოდ განშორდა ცნობილი ენათმეცნიერი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივანე გიგინეიშვილი, რუსთაველის ენის მკვლევარი, ქართული მხატვრული ლიტერატურის ენის ღრმა მცოდნე, დიალექტოლოგი და ლექსიკოგრაფი. უნივერსიტეტის აღზრდილი, ის წლების მანძილზე კითხულობდა ქართულის კურსს უნივერსიტეტში.

აქტიურ მონაწილეობას იღებდა ივანე გიგინეიშვილი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის დამუშავებაში, როგორც ლექსიკონის სწავლული მდივანი 1954-64 წლების მანძილზე.

როგორც მერვე ტომის თანარედაქტორს, ივანე გიგინეიშვილს 1971 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია.

ივანე გიგინეიშვილი თანაავტორია დიდი შრომისა „ქართული დიალექტოლოგია“, ტ. I, რომელიც დამუშავდა ივანე ქავთარაძესთან თანამშრომლობით, ვარლამ თოფურის ხელმძღვანელობით.

სამაგიდო წიგნს წარმოადგენს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც ივანე გიგინეიშვილს დამუშავებული აქვს ვარლამ თოფურისთან ერთად. და მაინც, განსაკუთრებული ღვაწლი ივანე გიგინეიშვილს მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის ერთიან ნორმათა დამუშავება-დანერგვის საქმეში.

ათეული წლების მანძილზე ივანე გიგინეიშვილი იყო ნორმათა შემზადების კომისიის სწავლული მდივანი და ნორმათა სახელმწიფო კომისიის სწავლული მდივანიც.

ივანე გიგინეიშვილის რედაქციითაა გამოსული 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“.

როდესაც ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა მეტყველების კულტურის განყოფილება, მას სათავეში ჩაუდგა ივანე გიგინეიშვილი.

განყოფილებამ გაიჩინა ცალკე ორგანო „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. პირველი წიგნი გამოვიდა 1972 წ., მეოთხე წიგნი 1981 წ. ეს წიგნები მომზადებულია რედაქტორისა და განყოფილების გამგის ივანე გიგინეიშვილის მიერ.

მეტყველების კულტურის განყოფილება ეწეოდა და ეწევა დიდ საკონსულტაციო მუშაობას წერილობითსა თუ ზეპირ შეკითხვებზე.

და ეს კონსულტაცია იყო კომპეტენტური სპეციალისტის ივანე გიგინეიშვილის მიერ გაწეული სათანადო კონსულტაცია.

ახლა ეს კონსულტანტი დადუმდა. სალიტერატურო ქართული ენის ერთგული მუშაკის დიდად საჭირო საქმიანობა შეწყდა.

მაგრამ გვჯერა, რომ ამ სამუშაოს ხელში აიღებენ ის ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთაც დიდი მონდომებით არჩევდა, წვრთნიდა და მომუშავე კოლექტივად კრავდა ივანე გიგინეიშვილი.

და ეს მათი მუშაობა იქნება ივანე გიგინეიშვილის ღვაწლის ჯეროვანი დაფასება.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,  
1982, 5 თებერვალი. გვ. 12.

გადაიბეჭდა ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა  
სკოლაში“, 1982, №1, გვ. 120-23



## მეცნიერებისათვის საყვარელი პოეტი

(სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით)

ქართველ მკითხველს, ვისაც კი ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ბედის აინტერესებს, გული დიდად დასწყდება, რომ გაიგებს სიმონ ჩიქოვანის, გამოჩენილი საბჭოთა პოეტისა და შესანიშნავი მოქალაქის უდროოდ გარდაცვალებას.

ორიგინალური პოეტური აზროვნება, გულწრფელი განცდა, მაღალი კულ-ტურა საპატიო ადგილს განუკუთვნიებს სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებას თანამედროვე მდიდარ ქართულ პოეზიაში.

გაზ. ლიტერატურული საქართველო,  
1966, 29 აპრილი, გვ. 3

## უცხოელი ქართველოლოგები

### ჰუგო შუხარდტი, როგორც ქართველოლოგი

(თ ე ზ ი ს ე ბ ი )

1. ქართული ენის მკვლევართა შორის თუ მარი ბროსე იყო პირველი უცხოელი **ორიენტალისტი**, რომელსაც ქართული ენის მასალაზე მიუწვდებოდა ხელი, ქართულის მცოდნე პირველ უცხოელ **ენათმეცნიერად** გვევლინება ჰუგო შუხარდტი, ინდოევროპული ენების გამოჩენილი სპეციალისტი და ცნობილი თეორეტიკოსი-ენათმეცნიერი.

2. ჰ. შუხარდტის შრომებს („ქართული ენის შესახებ“, ვენა, 1895 წ., „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში“ და სხვ.) დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

3. შუხარდტს წამოყენებული აქვს საყურადღებო დებულებები ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა: მკვეთრი თანხმობების თავისებურება ქართულში, მახვილის ბუნება, მოქმედებითი ბრუნვის ერთი ვარიანტი, მოთხრობითი ბრუნვი-სა და გარდამავალი ზმნის რაობა...

3. შუხარდტი საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ქართული ენის ურთიერთობის თაობაზე მთის კავკასიურ და აგრეთვე წინა აზიის ძველ ენებთან.

3. ჰ. შუხარდტს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქართველოლოგიას მოეპოვება ხანმეტი არაპალიმფსესტური ძეგლი.

4. ჰ. შუხარდტის დამსახურება ისიც არის, რომ გზა მიეცა ტერმინს „ქართველური ენები“.

5. ჰ. შუხარდტი წინამორბედია ქართული და ქართველური ენების იმ აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიებისა, რომელიც ასე ნაყოფიერად გაიშალა უცხოეთში ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან (გ. დეეტერსი, კ. შმიდტი, რ. ლაფონი და მეტადრე — ჰ. ფოხტი...).

*ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის ქართული ენის კათედრათა გაერთიანებული სამეცნ. სესია. 15-16 მაისი, ქუთაისი, 1964, გვ. 5*

## **პროფესორ რ. ლაფონის ლექციები ბასკური ენის შესახებ**

პირველად თბილისის უნივერსიტეტში (და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებში) იკითხება ლექციების ციკლი ბასკების, ბასკური ენის, მისი ბგერითი შემადგენლობის, სიტყვის აგებულებისა და წინადადების სტრუქტურის შესახებ.

ლექციებს კითხულობს ფრანგი მეცნიერი, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი რენე ლაფონი. იგი ცნობილია როგორც ბასკური ენის უდიდესი სპეციალისტი. კერძოდ, იგი ავტორია კაპიტალური შრომისა „ბასკური ზმნის სისტემა (XVI ს.)“, რომელიც გამოქვეყნდა ორ ტომად (1944), და რიგი გამოკვლევისა ბასკური ენის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის შესახებ.

ამ ენათა ურთიერთობა კერძოდ ვლინდება მორფოლოგიურ მასალაში.

რ. ლაფონის ეს შრომები მნიშვნელოვან გამოკვლევებად მიაჩნიათ თვით იმ სპეციალისტებს, რომლებიც სკეპტიკურად ეკიდებიან ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაურ ურთიერთობას (პროფესორი ჰ. ფოქტი).

რ. ლაფონი როგორც ლინგვისტი კარგად იცნობს ქართული ენის რეალიებს: ამავე დროს მან პრაქტიკულადაც იცის ქართული ენა. ჩვენს ტელემაყურებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა მოესმინათ ქართულ ენაზე მისი გამოსვლა და მისასალმებელი სიტყვა, რომელიც მან წაიკითხა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

დღეს არა ერთი უცხოელი მეცნიერი სწავლობს ქართულ ენას და ზოგჯერ მშვენივრადაც იციან და იკვლევენ მას (მაგ., ნორვეგიელი მეცნიერი ჰ. ფოქტი).

რ. ლაფონი პირველი სპეციალისტია: ერთდროულად გამოჩენილი ბასკოლოგი და ქართველოლოგი (კავკასიოლოგი).

ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობის ფართო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ ბასკური ენის მიმართ.

ბასკური ენა თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში მოქცეულია ინდოევროპულ ენათა გარემოცვაში ესპანეთსა და საფრანგეთში, მაგრამ იგი მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპულ ენათაგან არსებითი მომენტების მიხედვით: სიტყვის (სახელის, განსაკუთრებით კი ზმნის) აგებულებისა და — ამის შესაბამისად — წინადადების სტრუქტურის მიხედვით.

და აი სწორედ ამ მომენტების მიხედვითაა, რომ შეინიშნება გასაოცარი დამთხვევები იბერიულ-კავკასიურ ენებთან.

სწორედ ამ გარემოებამ მიიყვანა კავკასიური ენების შესწავლის საჭიროებამდე ცნობილი ინდოევროპეისტი, რომანული ენების უდიდესი სპეციალისტი პ. შუხარდტი (პ. შუხარდტი დასავლეთ ევროპაში პირველი იყო, რომელმაც შეისწავლა ქართული ენა).

რით აიხსნება ამგვარი შეხვედრები ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენებისა? შემთხვევითია თუ არა ეს?

საკითხი ისმის ენობრივი მონაცემების მიხედვით.

ეს გვაიძულებს დავსვათ დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემა — ძველი ხმელთაშუა ზღვის, წინა აზიისა და კავკასიის ხალხთა და კულტურათა ურთიერთობის პრობლემა, რომელიც არა ერთხელ დაუსვამთ კიდევ საბჭოთა ენათმეცნიერებსაც და უცხოელ სპეციალისტებსაც.

ხშირად სვამენ კითხვას, არის თუ არა ბასკური ქართულის მონათესავე? ცდილობენ ეს ნათესაობა დაინახონ ამა თუ იმ სიტყვათა ბგერობრივი მსგავსების მიხედვით.

როცა ენები ახლო მონათესავენი არიან (მაგ., რუსული, უკრაინული, ბელორუსული), მაშინ ადვილად ხერხდება მონათესავე ენათა სიახლოვის ჩვენება მსგავსი სიტყვების, ლექსიკის დიდი მარაგის მიხედვით. ასეთი ენების ნათესაობა ერთი შეხედვითაც ნათელია.

მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. ენათა ნათესაობის გამოსავლინებდად ჩვეულებრივ საჭიროა ენათა ისტორიის დიდ სიღრმეზე „გათხრა“.

ბასკურ-კავკასიური კავშირები მოითხოვენ სწორედ ამ ენათა ისტორიის ღრმად გათხრა-გაბურღვას.

ასეთი მუშაობისათვის საჭიროა ბასკოლოგებისა და კავკასიოლოგების თანამშრომლობა, უფრო ზუსტად — **ბასკოლოგ-კავკასიოლოგებისა და კავკასიოლოგ-ბასკოლოგების** თანამშრომლობა.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული პრობლემების გარკვევა.

ცნობილია, რომ დიდი პრობლემები ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება. ისიც ცნობილია, რომ ისინი ვერასოდეს გადაწყდება, თუ არ იქნა დასმული.

სწორედ ამ საკითხის სათანადოდ დასმისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცნობილი ბასკოლოგ-კავკასიოლოგის, პროფესორ რენე ლაფონის ლექციებს თბილისში.

## ცნობილი ბასკოლოგ-კავკასიოლოგი

რენე ლაფონი ბასკური ენისა და ლიტერატურის პროფესორია ბორდოს უნივერსიტეტში; დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოპოვებული აქვს სორბონაში; ბასკური ენის გამოჩენილი მკვლევარი რენე ლაფონი ბასკური ენისა და ლიტერატურის აკადემიის წევრია..

ბასკური ენის წარმომავლობის საკითხი დღემდე არაა გარკვეული. ბასკური ენის სტრუქტურის (სახელთა ბრუნების, ზმნის უღვლილების) გასაოცარი მსგავსება იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურასთან აღძრავს საკითხს ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების (კერძოდ, ქართულის) ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის შესახებ.

გამოჩენილი ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხარდტი წერს, კავკასიური ენების შესწავლამდე ბასკურმა მიმიყვანაო. ბასკურ-კავკასიურ პრობლემას ეხებოდა აკად. ნიკო მარი და რიგი სხვა ავტორი, მეტწილად უცხოელი.

ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობის პრობლემა ისევე რთულია, როგორც აქტუალური მეცნიერული თვალსაზრისით.

ამ პრობლემის მეცნიერული დამუშავება მოითხოვს მკვლევრისაგან, როგორც ბასკურის, ისე ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ცოდნას.

ჩვენს დროში პროფ. რენე ლაფონი ერთადერთი ბასკოლოგია, რომელსაც ხელი მიუწვდება იბერიულ-კავკასიურ ენათა, განსაკუთრებით ქართული ენის, რეალიებზე (ქართული ენა მან პრაქტიკულადაც იცის).

შ. რუსთაველის იუბილეზე 1966 წელს რენე ლაფონმა სიტყვა ქართულად წარმოთქვა.

თუ პროფ. რენე ლაფონმა, ბასკურის ცნობილმა სპეციალისტმა, ქართული ისწავლა, ქართველი კავკასიოლოგები, იმედი უნდა ვიქონიოთ, მალე ბასკურის შესწავლას მოჰკიდებენ ხელს, რათა ამ ენის რეალიებს დაეუფლონ. ეს კი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ბასკურისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის საკითხი ჯეროვნად იკვლიონ ჩვენში.

ასეთი რთული პროფილის სპეციალისტების მომზადება ბასკოლოგის დახმარებას საჭიროებს.

დარწმუნებული ვართ, ამ საქმეში თავის წვლილს შეიტანს დიდად

პატივცემული პროფ. რენე ლაფონი, ბასკურის ცნობილი სპეციალისტი, ამერიიდან თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ვუსურვოთ ბასკურ-კავკასიოლოგიურ ურთიერთობათა კვლევა-ძიებას ჩვენში ასულიყოს იმ სიმაღლეზე, რასაც პრობლემის მნიშვნელობა მოითხოვს.

პირველ ბასკოლოგ-კავკასიოლოგს, ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს პროფ. რენე ლაფონს მივულოცავთ 70 წლის თავს და ვუსურვებთ კიდევ მრავალი წლის ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას მეცნიერების პროგრესისა და ხალხთა კეთილი ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“,  
1969, 20 ივნისი, გვ. 2

## „რენე ლაფონი და საქართველო“

(რეცენზია)

სერგო თურნავას ნაშრომი „რენე ლაფონი და საქართველო“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969 წ.), მიზნად ისახავს ქართველ მკითხველს გააცნოს, რა დამსახურება მიუძღვის ფრანგ მეცნიერს, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორს, ქართული ენის შესწავლის საქმეში, ქართული ენათმეცნიერების მიღწევათა და, საერთოდ, ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ავტორი დაწვრილებით განიხილავს პროფესორ რენე ლაფონის ღვაწლს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილების ფრანგულად მთარგმნელისა, აგრეთვე პროფესორ რენე ლაფონის მონაწილეობას საქვეყნო ზეიმში რუსთაველის დღეებთან დაკავშირებით (1966 წლის სექტემბერში), მის გამოსვლას საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე, მოგვითხრობს პროფესორ რენე ლაფონის ლექციებზე ბასკური ენის შესახებ (თბილისის უნივერსიტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში); დასასრულად გადმოცემულია, რა მოხსენებაც გააკეთა პროფესორმა რენე ლაფონმა საქართველოში ყოფნის შესახებ (1966 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ.

წიგნი დაწერილია რენე ლაფონის 70 წლისთავთან დაკავშირებით, როდესაც თბილისის უნივერსიტეტმა მას საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა დიდი დამსახურებისათვის ბასკოლოგიისა და კავკასიოლოგიის, კერძოდ, ქართველოლოგიის წინაშე.

სერგო თურნავა სამართლიანად ასკვნის, რომ საჭიროა ითარგმნოს პროფესორ რენე ლაფონის გამოკვლევები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ (გვ. 87). ჩვენ დავსძენთ: რიგი სხვა გამოკვლევებიც ბასკურისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესახებ.

შესავალ ნაწილში (გვ. 5-30) ავტორი მოგვითხრობს არა ერთ ფაქტსა და სპეციალისტის საქმიანობაზე, რაც მოწმობს ქართული კულტურით დაინტერესებას საფრანგეთში. ეს ნაწილი საინტერესო ფაქტებს შეიცავს, მაგრამ მთლიან რასმე არ წარმოადგენს.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა სერგო თურნავამ უთუოდ სასარგებლო საქმე გაკეთა.

ახალ გამოცემაში სასურველი იქნებოდა რენე ლაფონის საენათმეცნიერო ნაკვლევის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა მკით-

ხველისათვის: პროფესორი რენე ლაფონი ერთადერთი სპეციალისტია ამ-  
ჟამად, ბასკურის ცნობილი მკვლევარი და ქართულ-კავკასიურის საფუძ-  
ვლიანი მცოდნე.

თითო-ორი ფაქტს დაზუსტებაც დასჭირდება. რაც მთავარია, კო-  
რექტურას ყურადღება აკლია (გვ. 86-ზე ერთი სტრიქონი ორ აბზაცშია  
გაერთიანებული, მასთან ერთგან დამახინჯებულად).

მეტადრე მწვავედ დგას კორექტურის საკითხი ფრანგულ ტექსტში  
(გვ. 89-91, 93-94; აგრეთვე თავფურცელზე), ასე დატოვება არ შეიძლება.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“,  
1970, 2 ივლისი, გვ. 3



## ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები

დღევანდელი სხდომა ეძღვნება გამოჩენილი ფრანგი ბასკოლოგისა და კავკასიოლოგის რენე ლაფონის ხსოვნას.

ქართველოლოგია და კავკასიოლოგია დიდად არის დავალებული ფრანგი მეცნიერებისაგან.

პირველი ვრცელი ქართული გრამატიკა უცხოეთში დაწერა მარი ბროსემ (Marie Brosset. *L'art libéral ou Grammaire géorgienne*, პარიზი, 1934). მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული ენის ეს გრამატიკა წარმოადგენდა ქართულის არმცოდნე უცხოელი მეცნიერებისათვის ერთადერთ წყაროს ქართულის გასაცნობად.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ძვირფას დოკუმენტაციასა და მეცნიერულად ფასეულს ანალიზს იძლევა ჟორჟ დიუმეზილის შრომები უბიხურისა და ადიღურ-ჩერქეზული დიალექტების შესახებ. ასევე — შემაჯამებელი შრომები: „შედარებითი ძიებანი ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა შესახებ“ (*"Etudes comparatives sur les langues caucasiennes du Nord-Ouest"*, პარიზი, 1932) და „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში“ (*"Introduction à la Grammaire comparée des langues caucasiennes du Nord"*, პარიზი, 1933).

ქართველური ენები ჟ. დიუმეზილს ამ კონტექსტში არ განუხილავს — ჰანურზე მუშაობას თუ არ ჩავთვლით. თურქეთში ჰანური ტექსტების ჩაწერა კი ჟ. დიუმეზილმა წარმატებით აწარმოა და ფასეული დოკუმენტაცია შეგვძინა. დიდ კოლექტიურ ნაშრომში „მსოფლიოს ენები“ (*"Les langues du monde"*), მის მეორე გამოცემაში (1952 წლისა), „კავკასიურ ენათა მიმოხილვა“ ჟ. დიუმეზილს ეკუთვნის. ჟ. დიუმეზილის ნაკვეთს აფხაზურ-ადიღურ ენათა შესწავლის საქმეში ნაყოფიერად აგრძელებენ გ. შარაშიძე და კატრინ პარი (C. Paris).

ჟ. დიუმეზილის მონოგრაფია „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში“ განიხილავს საკითხს „ჩრდილო-კავკასიური ენები და ბასკური“, ესაა ბოლო, მეხუთე თავი, გვ. 123-149.

---

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად რ. ლაფონის ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე უნივერსიტეტში 1974 წ. 14 ივნისს.

ჟ. დიუმეზილი წერს: ბასკურის შეხვედრები სამხრულ-კავკასიურ ენებთან მეტად ფრაგმენტულია (*trop fragmentaires*). ჩრდილო-კავკასიურ ენებთან შეხვედრები კი — ყველა მნიშვნელოვან პუნქტში თითქმის სრულია (*la coincidence est sur tous les points importants presque complète*, გვ. 124). ბასკურის კავკასიურთან მიმართების საკითხს ჟ. დიუმეზილი სვამს ა. ტრომბეტისა და ჰ. შუხარდტის ნაშრომთა გათვალისწინებით. ეს იყო 1933 წ.

როგორც ცნობილია, ა. ტრომბეტი მონოგენეზისის თვალსაზრისზე იღვას: ყველა ენა ერთი წარმოშობისაა, ერთ საერთო მასალას ემყარება, ე. ი. ყველა ენა მონათესავეა. კვლევა ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ნათესაობის მეტ-ნაკლებ სიახლოვე-სიშორეს შეიძლება ეხებოდეს.

ჰ. შუხარდტმა ბასკურით დაიწყო და, როგორც თვითონ ამბობს, ბასკურმა მიიყვანა კავკასიურ ენებამდე. ჰ. შუხარდტი ქართულს მეცნიერული სიღრმით იკვლევდა.

რ. ლაფონის ნარკვევი ბასკურისა და ქართულის მორფოლოგიურ შეხვედრათა შესახებ იმავე 1933 წელს გამოქვეყნდა (*"Revue Internationale des Etudes Basques"*, გვ. 150-172). სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვქონია ეს შრომა.

ჟ. დიუმეზილი მთის კავკასიურ ენათა ფაქტებს უდარებდა ბასკურს, რ. ლაფონი ქართულთან შედარებით იწყებს, შემდეგში — მთის კავკასიურ ენათა მასალასაც შემოიტანს კვლევის არეში.

ჩვენ ლაფონის სახით ერთ სპეციალისტში შეთავსდა ბასკური ენის გამოჩენილი მკვლევარი და ქართული ენის პრაქტიკულად მცოდნეც, მკვლევარიც.

1944 წელს ბორდოს უნივერსიტეტმა გამოსცა რ. ლაფონის გამოკვლევა ორ ტომად „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“ (*"Système du verbe basque du XVI siècle"*). პირველ ტომს ერთვის ბასკურ-კავკასიური შეხვედრები, ორმოცდაათამდე; მათგან, როგორც ავტორი ამბობს, მეტი წილი ადრე ყოფილა აღნიშნული. ზოგიც — ახალია (რ. ლაფონი, „მორფოლოგიური შეხვედრები ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის“ — ჟურნ. "Word", ტ. 7, №3, 1951 წ., გვ. 228).

1944 წლიდან მოყოლებული, როცა რ. ლაფონის სადოქტორო დისერტაცია („ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“) გამოქვეყნდა, ოცდაათი წლის მანძილზე რ. ლაფონი დაუცხრომელ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა ბასკური ენის მორფოლოგიისა და ფონეტიკის საკითხებზე. რ. ლაფონს ეკუთვნის რიგი წერილი ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ.

რ. ლაფონს ეკუთვნის არა ერთი რეცენზია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ცალკეული ტომისა, აგრეთვე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ რიგი ტომებისა.

ეს რეცენზიები იბეჭდებოდა „პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების ბიულეტენში“, „სააზიო საზოგადოების შრომებში“, „ქართველოლოგიის მიმოხილვაში“.

ეს დაწვრილებითი რეცენზიები მიზნად ისახავდა სწორად გაეცნო სპეციალისტებისათვის ის მუშაობა, რაც ჩვენში წარმოებდა.

რენე ლაფონის ხსოვნის საღამოს საჭიროა ეს აღინიშნოს და აღინიშნოს მადლობით.

\* \* \*

რენე ლაფონის ნაშრომთა შორის ზოგადი მნიშვნელობა აქვს მის წერილს „მორფოლოგიური შეხვედრები ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის“ (*"Concordances morphologiques entre le basque et les langues caucasiques"*, ჟურნ. *"Word"*, ტ. 7 (1951), №3, გვ. 207-224... ტ. 8 (1952), №1, გვ. 80-94), აგრეთვე წერილს: „ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის“ (*"Pour la comparaison du basque et des langues caucasiques"* – *"Revue de Kartvelologie"*, XXV, 1968). განხილულია ბასკურ ზმნაში პირის ნიშნები და მოცემულია წინანდელი ვითარების აღდგენის ცდა).

აქ შევჩერდებით პირველ წერილზე და იმ მეთოდოლოგიურ საკითხებზე, რასაც ეს წერილი აღძრავს. სულ 35 ფაქტია დასახელებული (პირველ წერილში — 21, მეორეში — 14).

ზოგი ბრუნების ფორმანტია, ზოგიც — უღვლილებისა თუ სიტყვაწარმოებისა, ანდა ნაცვალსახელოვან ფუძეებს წარმოგვიდგენს.

ორიოდე მაგალითი შეპირისპირებათაგან, რასაც რ. ლაფონი იძლევა.

ბასკ. კაუზატივის პრეფიქსი *r(a)* : *bil* „სვლა“ (*marcher*) *ra-bil* „ტარება“, „დაძვრა“, „ადგილის გადანაცვლება“ (*faire marcher, mouvoir, déplacer*) შედარებულია აფხ. კაუზატივის *r-* პრეფიქსს.

ბასკ. *ni* „მე“, პირის პრეფ. *n-*, სუფ. *-d* — ლაკ. *na* „მე“, დარგ. (წუღახარ. კილო): სახ. *du*, ერგ. *du*, მიც. *dam*, ნათ. *dil*.

ბასკ. *gu* „ჩვენ“ და ქართ. **გვ** პრეფ. („გვაქო ჩვენ“...).

ბასკ. *zu* „თქვენ“, პირის პრეფიქსი *z* — აფხ.-ადილ. ... *šu*...

ბასკ. *d* — მესამე პირის პრეფიქსი — აფხ. *-d* „ჩვენებითი ნაცვალსახელი“ და მესამე პირის ნაცვალსახელი.

ბასკ. *-le*, ბისკ. *-la* „მოქმედის აღმნიშვნელი სუფიქსი“ — ჩერქ. *le*, ლაკ. *ala* „მოქმედის აღსანიშნად ხმარებული“.

ბასკ. *-ala* „კნინობითის სუფიქსი“ (*suffixe diminutif*).

ლაკ. **ცა** „კინობითის სუფიქსი“.

ბოლოს შემაჯამებელი სქემა ერთვის: აქ ნათქვამია, რომ ბრუნებაში საერთო გამოვლინდა 10 ერთეული; ჩვენებითი ნაცვალსახელი და ნაწილაკი საერთოა — **ნ**, კითხვითი — **ვ**, უარყოფის ნაწილაკი — **1**, ზმნის ფუძის საწარმოებელი — **1**, პირის ფორმანტები — **ნ**, ნამყოს სუფიქსი — **1**, „არაპიროვანი ფორმები“ — **2**, მიმართებითი სუფიქსი — **1**, სიტყვაწარმოებითი — **4**... ნაჩვენებია ბასკურის შესაბამის მოვლენათაგან — რა დასტურდება კავკასიურ ენათა ოთხსავე ჯგუფში, რა — სამში, რა — ორში და რა — ერთში.

რა შეიძლება ითქვას ამგვარი შედარების შესახებ?

სხვადასხვა ენა ერთმანეთს რაღაცით ჰგავს და რაღაცით განსხვავდება. შედარების მიზანი ყოველთვის იყო და ახლაც არის იმის გარკვევა, თუ რაა ენებს შორის საერთო და რა განსხვავებულებები, ოღონდ ხან წინა რიგში დგას საერთოს კვლევა, ხან კიდევ ჯერ განსხვავებულებები მოქცევა ყურადღების ცენტრში, რომ შემდეგ საერთო იკვლიონ და ზოგადი კანონზომიერება გამოავლინონ.

ენა დინამიკური სისტემაა: „საერთოცა“ და „განსხვავებულიც“ ცვლადს ოდენობას წარმოადგენს და ყველა იმ სირთულეს აჩენს, რაც „ცვლადის“ შესწავლას ახასიათებს.

ამ სირთულის დიაპაზონი ადვილი წარმოსადგენია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ცვლა მიმდინარეობდა არა ერთი ათასწლეულის მანძილზე, მასთან, ცვლის შინაგან ტენდენციებს გარდა, გარე ფაქტორებიც მოქმედებდნენ: ენათა კონტაქტი სხვადასხვა ძალისა და განსხვავებული შედეგისა... აი, ცვლის საილუსტრაციო ერთი მაგალითი. ზმნა იუღვლება, ე. ი. იცვლება მოქმედი პირის მიხედვით: ლათ. **lego, legis, legit** „აკითხულობ“, „აკითხულობ“, „კითხულობს“; ასეთ ზმნას მიჩვეული ვართ.

მაგრამ ეს როდია ერთადერთი შესაძლებლობა: დადესტინის ენები ერთმანეთის მონათესავე ენებია. ეს არავის ეეჭვება; ამ ენებს კი უღვლილების ოთხი სხვადასხვა პრინციპი აქვს გამოყენებული:

I. ზმნა აღნიშნავს მხოლოდ იმას, რა გრამატიკული კლასისაა სახელი (**ვინ** კატეგორიისა თუ **რა** კატეგორიისა?), მაგრამ პირებს („მე“, „შენ“, „ის“) ზმნა არ განასხვავებს (საამისოდ ნაცვალსახელი უნდა დაურთო).

ეს კიდევ არაფერი. ზმნა თუ გარდამავალია, მასში მხოლოდ ობიექტი აღნიშნება, სუბიექტი არა ჩანს — არც პირი, არც კლასი.

ასეთია ხუნძური ზმნის კლასოვანი უღვლილება, პირგაურჩეველი.

II. ზმნაში ნაჩვენებია სახელის კლასიცა და პირიც: ესაა უღვლილება კლასოვან-პიროვანი: ამის ნიმუში გვაქვს თაბასარანულში, ნაწილობრივ ლაკურსა და დარგულში.

III. ზმნაში მხოლოდ პირებია გარჩეული ისევე, როგორც ქარ-

თულ ერთპირიან (აბსოლუტურ) ზმნაში (ანდა ლათინურში). უღვლილება პიროვანი, ოღონდ სუბიექტური, ასეთია უდური ზმნა (ობიექტის არ აღნიშნავს: მეკითხები, გაქებს და მსგავსი ფორმები მისთვის უცხოა).

IV. ზმნა უღვლილების პროცესში არც კლასს აღნიშნავს, არც პირსა და არც რიცხვს: აწმყოში, ნამყოში მხოლოდ ფუძე გვაქვს: ვინ აკეთებს, რას აკეთებს, ამას ცალკე სიტყვა გადმოგვცემს, ზმნა ამას არ გვანიშნებს.

ასეთი ზმნა გვაქვს ლეგიურსა და აღულურ ენაში.

ის, რაც დადესტინის ენებში თავმოყრილია, ცალ-ცალკე სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში გვაქვს:

ოდენ კლასოვანი უღვლილება ჩაჩურსა და ინგუშურშია მოცემული, კლასოვან-პიროვანი — აფხაზურში, ბაცბურში. ოდენ პიროვანი — ქართველურ ენებში, ადიღურ-ჩერქეზულსა და უბიხურში, ოღონდ აქ ზმნა სუბიექტის პირებს გარდა ობიექტის პირებსაც აღნიშნავს (მასთან ორისა და სამისასაც ადიღურ-ჩერქეზულში...).

ბასკური უღვლილება ამჟამად პიროვანია, მასთან მეტ წილად აღწერილია. რას უნდა შევუდაროთ ის? ერთი შეხედვით ადიღურ-ჩერქეზულსა და ქართველურს, თუ ადიღურ-ჩერქეზულისა და ქართველურის ვითარებაა ძველი და ბასკურისაც ასევე ძველია.

გარკვეულია, რომ პიროვანი უღვლილება მომდინარეობს კლასოვან-პიროვანისაგან, ეს კიდევ — კლასოვანისაგან... ქართული და სვანური ზმნის უღვლილებაში გამოვლენილია იმის კვალი, რომ ზმნა კლასების მიხედვით იუღვლებოდა.

ეს ნიშნავს: ზმნის უღვლილების ნაირგვარობა ამჟამად ასახავს ევოლუციის სხვადასხვა საფეხურს, საჭიროა საერთო ამოსავალი საფეხურის მიკვლევა: საჭიროა ევოლუციის სხვადასხვა საფეხურის ისტორიული გაერთმნივნელები და მაშინ შეგვიძლია ერთი საფეხურის მოვლენათა შედარება, და ასეთ შედარებას აქვს მნიშვნელობა ენათა ისტორიულ-გენეზისური საკითხების კვლევისას, ამის საჭიროება ჯერ კიდევ ავგ. შლაიხერს ჰქონდა ნაჩვენები გასულ საუკუნეში.

ენათა შედარება, ამრიგად, ადვილიც არის და ძნელიც — იმის მიხედვით, ზედაფენებს ვადარებთ, თუ სიღრმისეული ვითარების გარკვევას ვისახავთ მიზნად.

ზედაპირის მოვლენათა მიხედვით მსჯელობა ისტორიული ვითარების შესახებ დაახლოებით იმ რიგისა იქნებოდა, რომ გვეთქვა: <sup>7</sup> მეტია,

100

ვიდრე  $\frac{2}{3}$  იო... არითმეტიკაში ასეთ რამეს არ იტყვიან. ენათმეცნიერებაში

ასეთი რამ ითქმის (ხანდახან აპლომბითაც: მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა ესააო! ასეთია, მაგალითად, ნოსტრატული თეორია; ქართულ ლექსიკურ ფაქტებს უდარებს ინდო-ევროპულს, სემიტურს, უნგრულ-ფინურს, თურქულ-ალათაურს, დრავიდულს ენებს; ეს კია, რომ ქართული მასალის შედარება აფხაზურ-ჩერქეზულთან, ნახურ-ქისტურთან, დაღესტნის ენებთან ყურადღების გარეშე რჩებათ: მთის კავკასიური ენები საერთოდ არა ჩანს).

შესადარებელი ფაქტების ადგილის გარკვევა სათანადო ენის სისტემასა და ისტორიაში — აი ეს იგულისხმება, როცა ისტორიის ღრმა ფენების გათხრაზე ვლაპარაკობთ და სიღრმისეულ მოვლენათა შედარებას ვთვლით საჭიროდ. პ. უსლარს ეკუთვნის სიტყვები: კავკასიურ ენებს გასაოცარი ნაირგვარობა ახასიათებს და ღრმა ფენებში ნათესაობის ნიშნებია (при поразительном разнообразии глубоко родственные черты).

ამ თვალსაზრისით ბუნებრივი იქნებოდა გვეკვლია: ბასკური ზმნის უღვლილება იმთავითვე პიროვანი იყო თუ არა, და კლასოვანი უღვლილების კვალი ხომ არ დარჩენილა... ეს ბასკური ენის ისტორიის საქმეა...

ის, რაც ზმნის უღვლილების ნაირგვარობაზე ითქვა, ეხება სახელთა ბრუნებასაც, სიტყვაწარმოებას, ფონემურ შედგენილობას: ყველგან იმ რიგის საკითხები დგას, რაც ზმნის უღვლილებისას აღინიშნა. ასე, მაგალითად, აფხაზურში სახელი ბრუნვებს (ერგატივს, დატივს, გენიტივს) არ განარჩევს, სათანადო სინტაქსური ურთიერთობანი ზმნის ფორმათა მეშვეობით გადმოიცემა. ადიღურში ერგატივი და მოქმედებითი გაირჩევა, თუმცა ადამიანთა სახელები არც ერგატივის ნიშანს დაირთავენ, არც სახელობითისას: ამ ბრუნვათა ნიშნები განსაზღვრებითი ნაწევარია (ასეთი ნაწევარი ადამიანის სახელს არ ესაჭიროება: ძველ ქართულში ადამიანთა სახელები ერგატივისა და სახელობითის დაბოლოებას ყოველთვის არ დაირთავდნენ, ფუძის სახით გვევლინებოდნენ ამ ორ ბრუნვაში; ქართულში ესაა გადმონათი ძველი ვითარებისა, რომელიც ადიღურს დღემდე შემოუნახავს).

ქართველურ ენებში, ნახურსა და დაღესტნურ ენებში ბრუნების სისტემა მდიდარია: ძირითად ბრუნვებს (ერგატივს, დატივს, გენიტივს) აქ ერთვის თანდებულიან ბრუნვათა რთული სისტემა... ყველაზე რთული ზმნა აფხაზურ-ადიღურ ენებს აქვს, სახელის ბრუნვა აქ ყველაზე მარტივია. დაღესტნურ ენებში მეტწილად ამის საპირისპირო მდგომარეობა დასტურდება: აფხაზური ენა და ლეზგიური ენა ამ მხრივ სხვაობის მაქსიმუმს იძლევა.

\* \* \*

ყველაფერი, რაც დღემდე გაკეთდა უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრაზე და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაზე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიის სიღრმეში ჩაწვდომას ისახავდა მიზნად. ეს იყო ძირითადი ამოცანა. ცალკე ენათა შესწავლა ამ მიზანს ემსახურებოდა.

ჯერ-ჯერობით იმას მივალწიეთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ცალკეული ჯგუფების ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისა და მორფოლოგიის მეცნიერული საფუძვლიანობით ჩამოყალიბება შეიძლება იქნეს დაწყებული, მასთან, ყველაზე რთულ უბანზეც, როგორცაა აფხაზურ-ადიღურ ენათა სინამდვილე.

როცა ამ გზით ჩვენი ენების ოთხივე ჯგუფი დამუშავდება, მაშინ შეგვეძლება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული სახე დავინახოთ და ბასკურის ასეთსავე ძველ ვითარებას შევუდაროთ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ რ. ლაფონი ისტორიის ფენების „ღრმად თხრის“ საჭიროებას სავსებით იზიარებს.

თვით წერილში „მორფოლოგიური შეხვედრები“ რ. ლაფონი აღნიშნავს: კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფს შორის სხვაობა არსებობს, და ამას მოვლა უნდაო — საჭიროა დამუშავდეს შედარებითი ფონეტიკა და შედარებითი მორფოლოგია ჩრდილო-კავკასიური, სამხრულ-კავკასიური ენებისა, მერე — ერთობლივ კავკასიურ ენათაო... („მორფოლოგიური შეხვედრები...“, — "Word", 1952, №1, გვ. 94).

ბასკურ-კავკასიური შეხვედრები, ჩვენ რომ გამოვყავით, წინასწარი ხასიათისააო. ბასკურს ვერ მივიჩნევთ ერთ-ერთ კავკასიურ ენად. ბასკურის ვითარება ჩვენ უნდა ვიკვლიოთ ერთობლივ კავკასიურთან მიმართებაშიო.

რ. ლაფონი დასძენს: ასეთივე სამუშაო უნდა შესრულდეს ბასკური-სათვის, რადგანაც ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება ბასკური დიალექტების ნამდვილი შედარებითი გრამატიკაო ("on ne possède pas encore une véritable grammaire comparée des dialectes basques", იქვე, გვ. № 97).

ამ მიმართულებით ბასკურის სპეციალისტები, როგორც ცნობილია, ამჟამად მუშაობენ კიდევ. უკვე მოგვეპოვება ბასკურის ისტორიული ფონეტიკა ("Fonética Histórica Vasca" por Luis Michelená, სან-სებასტიანი, 1961), დაიბეჭდა მონოგრაფია: „ბასკურის ძველ თანხმოვანთა შესახებ“ ("Las antiguas consonantes vascas") — იმავე ავტორისა.

\* \* \*

ბასკური ენა სხვადასხვა სპეციალისტს სხვადასხვა დროს სულ სხვადასხვა ენისათვის შეუდარებია (ურალურ-ალათურ, ქამიტურ, ჩრდილო ციმბირის ე. წ. პალეო-აზიურ ენებისათვის...).

ყველაზე მეტი სიახლოვე ბასკურს მაინც იბერიულ-კავკასიურ ენებთან აქვს. ამას გრძნობდნენ: ფრ. მიულერი, ჰ. შუხარდტი, კ. ულენბეკი, ნ. მარი..., სხვადასხვა სტილისა და მეთოდის მკვლევარნი. ამას ამოიკითხავთ ლარუსის ენციკლოპედიაში, საბჭოთა ეთნოგრაფების შრომაში ("Народы зарубежной Европы", ტ. II, 1965 წ.).

ამ გრძნობას განსაზღვრავდა ენობრივი სისტემის შინაგანი ფორმა: ამ მხრივ ეხმაურება, პირველ ყოვლისა, ბასკური ენა იბერიულ-კავკასიურს: ნაწევრის პოსტპოზიცია, ერგატიული ბრუნვა, ობიექტის აღნიშვნა ზმნაში, თვლის ოცობითი სისტემა... ცალ-ცალკე ისეთი მოვლენები შეიძლება რაგინდარა ენაში აღმოჩნდეს... ნიშანთა კომპლექსი კი — სხვაა.

ბასკურის შესწავლისას სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზი იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამოუკიდებელი უნდა ჩატარდეს, რომ მორფემის, სიტყვის, სინტაქსის ახლანდელი მოდელი დადგინდეს.

ეს ხელს შეუწყობს, დაენმარება ძირითადი ამოცანის ამოხსნას, რასაც ამ ენათა ისტორიის შესწავლა ქმნის.

მხოლოდ ამ გზით შევიძლებთ იმის გარკვევას, რა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობაა ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის.

ამთავითვე ცხადია ერთი რამ: ეს ენები არქაული ენებია, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ძველი ხალხებია. ისტორიის გარიჟრაჟზე ლიგურები იყვნენ ფართოდ გავრცელებულნი ესპანეთსა და მახლობელ მიწა-წყალზე. იყვნენ და აღარ არიან. მათგან არაფერი დაგვრჩა.

იბერები ასევე ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი. აღარ არიან. მათი წარწერები დარჩა...

ზოგი ავტორი (გ. ჰუმბოლდტი) იბერებს ბასკების წინაპრად სახავს. ზოგიც ამას უარყოფს, იბერთა წარწერები ბასკურად არ იკითხებაო. ეს გარემოება საკითხს ვერ გადაწყვეტს. იბერიული ბასკურის წინაპარი არ არის, მაგრამ ბასკურის მონათესავე ჩანს. (ძველი ალბანური ენა კავკასიაში ლეზგიური ქვეჯგუფის ენა იყო. ძველი ალბანური წარწერები გამოვლინდა, მაგრამ ლეზგიურად არ იკითხება, თუმცა ალბანური ენები ლეზგიური წრისა იყო). ენა იცვალა... არსებობდა ურარტული ენა. წარწერები დაგვრჩა. იბერიულ-კავკასიურ სამყაროს მიგვანიშნებს ზოგი მორფოლოგიური ფაქტი ამ ენისა, რაზედაც ჯერ კიდევ ალფ. ტრომბეტი მიუთითებდა: ერგატივის ნიშანი **-შე** (-še) ურარტულში და ერგატივის ნიშანი ბაცბურში, ადამიანის სახელებში (ს-).

მეთოდურად თანამიმდევრული ძიებაა საჭირო, რომ მეცნიერულად გადაიჭრას საკითხი, — კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი საკითხი.



თხი: ვინ არიან ეს ძველი ხალხები და რა ენებია მათი ენები: ეს არქაული ენები ხმელთაშუაზღვეთის — წინაინდოევროპულის — ძველი ენობრივი სამყაროს ნარჩენებია, თუ ამ ძველი ენების ადგილსამყოფელი მცირე აზია იყო და იქიდან მოედინებოდა მიგრაციის ნაკადი, რომელმაც აპენინისა და პირენეს ნახევარკუნძულებამდე მიაღწია.

ენის ისტორია თვითმიზანი არ არის. ენის ისტორია კულტურის ისტორიისა და აზროვნების ისტორიის საკითხთა კვლევას ემსახურება.

ენათა ისტორია, კერძოდ, მონათესავე ენათა ისტორია დამხმარე საშუალებად შედარებას იყენებს: ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება სათანადო ენათა წარსულის გათვალისწინების საშუალებაა (ფუძე-ენის აღდგენა მის მიზანს არ უნდა შეადგენდეს: ფუძე-ენა რეგულატიურ ცნებას წარმოადგენს; ფუძე-ენის რეალურობა ვივარაუდოთ, ეს როდი ნიშნავს, ამ ენის აღდგენა შესაძლებელი იყოს).

ენის (ენათა) ისტორიული წარსულის გათვალისწინება დამოკიდებულია „მოწმეთა“ ჩვენებაზე: ინდო-ევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და ლექსიკონი ვერ დაიჩემებს ისეთ სიზუსტესა და სისრულეს, რაც რომენულ ენათა ისტორიულ-შედარებითს გრამატიკას (და ლექსიკონს) ახასიათებს. ნესიტურ-ხეთური ენის მასალამ, ამ „ახალი მოწმის“ ჩვენებამ ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებაში მანამდე მიღებული შედეგების გადასინჯვა მოითხოვა (ზმნისა და სახელის მორფოლოგიის რიგი საკითხი, „კენტუმ“ და „სატემ“ ენათა გავრცელების არელების საკითხი...).

ინდოევროპულ ენათაგან რომ მხოლოდ ირლანდიური (კელტური), პოლონური (სლავური) და სომხური შემოგვრჩენოდა, არა თუ ინდო-ევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შედგენა გაჭირდებოდა, არამედ თვით ამ (ინდო-ევროპულ) ენათა ნათესაობის საკითხიც დამაჯერებელი ვერ იქნებოდა.

ანალოგიურ სიძნელეს ვხვდებით ბასკურ-კავკასიურ (ეუსკარო-კავკასიურ) ენათა წარსულის კვლევისას. კავკასიის მიწა-წყალზე შემოგვენახა იბერიულ-კავკასიურ (პალეო-კავკასიურ) ენათა დიდი ჯგუფი (32 ენა). ახლანდელი ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რა ცვლილებებიც განუცდიათ ამ ენებს (ნიმუში: ზმნის უღვლილების ნაირგვარობა დაღესტნის ენებში — იხ. ზემოთ).

შორეულ წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენათა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო (უღური, ბუღურხური, ხინალუღური, კრიწული ამჟამად კუნძულებადღა არის შემორჩენილი აზერბაიჯანის სსრ მიწა-წყალზე). აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენები ახლა ოთხ ერთეულს ითვლის; მეტი უნდა ყოფილიყო (უბიხური ენა ჩვენ თვალწინ ქრება...). ეგევე ითქმის ნახური და ქართველური ენების შესახებაც.

ბასკური ენა იმთავითვე მარტოხელა არ ყოფილა...

ეს ნიშნავს: ისტორიულ-მედარებითი კვლევა-ძიება დიდ სირთულეთა წინაშე დგას იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისას. განუზომლად უფრო რთულია ბასკურისა და იბერიულ-კავკასიურის წარსულის კვლევა და მათი ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის ძიება.

ჩვენ არ გვითქვამს წინათ და არც ახლა ვამბობთ: ბასკურის ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამტკიცებულიაო, არც იმას ვამბობთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხივე ჯგუფის ისტორია მთლიანად და საესებით აღდგენილი გვაქვსო.

ჩატარებული კვლევა ერთ რასმე მოწმობს: წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენებს მეტი სიახლოვე ახასიათებდა, ვიდრე ახლა ვხედავთ. ზედაპირზე სხვაობა ჩანს, სიღრმისეულ ფენებში სხვაობა მცირდება, საერთო (ერთობა) მატულობს: საერთო — ძველია, განსხვავებული — ახალი.

ბასკური ენის „შინაფორმის“ ისეთი თვისებები, როგორცაა ზმნის სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება და ბრუნებაში ერგატივი, სხვა რომ არაფერი იყოს; კავკასიის ენობრივი სინამდვილისაკენ წარმართავს მკვლევრის ყურადღებას: ჰუგო შუხარდტი, როგორც თვითონ ამბობს, ერგატიულმა კონსტრუქციამ მიიყვანა ბასკური ენიდან კავკასიურ ენებთან.

ერთი წარმომოხიბვლა შეიძლება დროთა ვითარებაში იმდენად დამორღვეს ერთმანეთს, რომ საერთო აღარაფერი დარჩეს, ანდა ეს საერთო ისე გადასხვაფერდეს, რომ მისი მიკვლევა შეუძლებელი აღმოჩნდეს.

მაგრამ თუ ეს საერთო ჩანს და ეს საერთო სპეციფიკურ მოვლენებს ეხება, სპეციალისტის ვალია ამას სათანადო ყურადღებით მოეკიდოს და მისი რაობა და წარმომავლობა შეისწავლოს. ძნელი შეუძლებელს არ ნიშნავს. ძნელი საკითხი არასოდეს გადაწყდება, თუ ის არ დაისვა, თუ ის კვლევის საგანი არ გახდა.

ყოველი მეცნიერება ჰიპოთეზით იწევა. ჰიპოთეზა კვლევა-ძიებას მოითხოვს. ჰიპოთეზა გამართლებულია, თუ ამ კვლევა-ძიებამ მეცნიერული ცოდნის წინსვლა განსაზღვრა, ის გაარკვია, რასაც მანამდე მეცნიერული აზრი ვერ ხედავდა, — თუ ახალი პერსპექტივები დასახა.

\* \* \*

ქართველი კავკასიოლოგების ძირითადი ამოცანა იყო იბერიულ-კავკასიური ენების მეცნიერული ისტორიის შექმნა.

აქ წინსვლა ხელშესახებია, თუმცა წინსვლის ტემპები ნელია. ეს ძირითადი ამოცანა კვლავაც მოითხოვს ყურადღებას: მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

მორიგი ამოცანა: ბასკურში „ავიდგათ ენა“, ბასკურის მასალაზე მიგვიწვდებოდეს ხელი. მაშინლა შევძლებთ ბასკოლოგებთან ერთად მუშაობას ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის პრობლემებზე. კავკასიოლოგ-ბასკოლოგი რ თ უ ლ ი პ რ ო ფ ი ლ ი ს სპეციალისტს გულისხმობს: ის უნდა ერკვეოდეს ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს ის ტ ო რ ი ა შ ი, მთის ძირითად იბერიულ-კავკასიურ ენებში (ს ა მ ი ვ ე ჯგუფიდან თ ი თ ო შ ი მაინც: აფხაზურში ანდა ადიღურ ენებში, ჩაჩნურში ანდა ბაცბურში, ხუნძურში ანდა ლაკურ-დარგულში, ანდა ლეზგიურსა თუ არჩიბულში...), ერკვეოდეს თ ე ო რ ი უ ლ ე ნ თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი იმდენად, რომ ახალ თეორიებსა და ცნობებში ფასეული გაარჩიოს მოდურისაგან.

ასეთი სპეციალისტის მომზადება რთულ ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს და გარჯა თუ დაემატა, საქმეს მოვევლება.

ბასკოლოგია ამჟამად მსოფლიო მეცნიერების პრობლემას წარმოადგენს, — წერდა 1940 წ. აკად. ვლ. შიშმარიოვი.

ეგევე ითქმის კავკასიოლოგიის შესახებაც.

ბ ა ს კ ო ლ ო გ - კ ა ვ კ ა ს ი ო ლ ო გ ი გვყავდა რ. ლაფონის სახით — სახელმძღვანელო სპეციალისტი.

უნდა მომზადდეს კ ა ვ კ ა ს ი ო ლ ო გ - ბ ა ს კ ო ლ ო გ თ ა კადრები.

ეს იქნებოდა მეცნიერულად აქტუალური პრობლემის დამუშავებაში ჯეროვანი მონაწილეობის მიღება.

ეს იქნებოდა გამოჩენილი ბასკოლოგ-კავკასიოლოგის რენე ლაფონის ხსოვნის პატივისცემა.

წიგნში: „რენე ლაფონი, ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“, თბ, თსუ გამ-ბა, 1976, გვ. 99-110

## რენე ლაფონის გახსენება

ქართველი ხალხის მეგობარი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, გამოჩენილი ბასკოლოგი, კავკასიოლოგი და ქართველოლოგი, პროფესორი რენე ლაფონი წლეულს 80 წლისა შესრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი ს. თურნავა ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს არნოლდ ჩიჰოზავას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბარს.

რენე ლაფონი სამეცნიერო-კვლევით მუშაობას იწყებს 1937 წელს. 1944 წლის 2 მაისს სორბონის უნივერსიტეტში მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“.

პროფესორ რენე ლაფონის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია ზემოთ ხსენებული „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“ (ორ ტომად), რომლისთვის ავტორმა მიიღო საფრანგეთის ინსტიტუტის ვოლნეის პრემია, „ბასკური და კავკასიური ენების შესწავლის საკითხები“, „ქართული ენის უკეთ გაცნობისათვის“, „თხრობის ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“ (ფატმანის ეპიზოდი), „ქართული და ბასკური მონათესავე ენებია?“, „ერგატივი და პასივი ბასკურსა და ქართულში“, „ბასკური ენა“, „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“, „კავკასიური ენათმეცნიერება საქართველოში“, „იბერიულ-კავკასიური ენები“, „ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის“ და არაერთი სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს პროფესორ რენე ლაფონის რეცენზიები და სტატიები, მიძღვნილი ქართველი მეცნიერების ნაშრომებისადმი. ეს რეცენზიები სისტემატურად ქვეყნდებოდა საფრანგეთის ჟურნალებსა და კრებულებში (ასეთია, კერძოდ, რეცენზიები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მთელ რიგ ტომზე).

პროფესორ რენე ლაფონს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევისა და უცხოეთში პოპულარიზაციის საქმეში. „ბასკურისა და ქართულის შესწავლისა და ერთმანეთთან შედარების მხრივ, — წერს აკად. აკაკი შანიძე, — ყველაზე მეტი მნიშვნელოვანი შექმნა პროფესორმა რენე ლაფონმა... პროფესორი რენე ლაფონი ისე კარგად ფლობს ქართულს, რომ მიწერ-მოწერა ქართულად გვაქვს“.

მკითხველის ყურადღებას იქცევს რენე ლაფონის გამოკვლევა „ქართული ენის უკეთ გაცნობისათვის“, რომელიც დაიბეჭდა ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე ქართველოლოჟის“ 1958-1963 წლების ოთხ ნომერში. ფრანგი მეცნიერი მიზნად ისახავს, თავის ხალხს გააცნოს ქართული ენის სტრუქტურა; მისი გრამატიკული მოვლენები... ავტორის აზრით, ქართულ ენას უნდა იცნობდნენ არა მარტო საფრანგეთში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც, რადგანაც „ქართული ძალიან ლამაზი, ლიტერატურით მდიდარი ენაა“.

აღსანიშნავია რენე ლაფონის როგორც ქართული ლიტერატურის მკვლევრისა და მთარგმნელის მოღვაწეობა. პროფესორმა ქართულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა ზოგიერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“, ფრანგულ ენაზე თარგმნა აკაკი წერეთლის „სულიკო“, ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“, ირაკლი აბაშიძის „ხმა გოლგოთასთან“ (ელენე წერეთელთან ერთად), აკაკი შანიძის მეცნიერული წერილი „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“ და სხვა მრავალი.

პროფესორი რენე ლაფონი თავის მეუღლე ალბერტინასთან ერთად ჩამოვიდა თბილისში 1966 წლის სექტემბერში. აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ სხდომებში, რომლებიც მიეძღვნა რუსთაველის დაბადების მე-800 წლისთავის იუბილეს. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ სიტყვას, რომელიც პროფესორმა ქართულ ენაზე წარმოთქვა საზეიმო სხდომაზე უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

პროფესორმა ლაფონმა საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ 1966 წლის 11 დეკემბერს წაიკითხა პარიზში ორი ლექცია, პირველი — სორბონის უნივერსიტეტში და მეორე — პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბის“ რედაქციაში. შემდეგ მკვლევარმა დაწერა სპეციალური წერილი „კავკასიური ენების შესწავლის მდგომარეობა საქართველოში“.

სამწუხაროა, რომ პროფესორ რენე ლაფონის დაბადების მე-80 წლისთავის აღნიშვნა გვიხდება მაშინ, როდესაც იგი აღარ არის. ის 1974 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა მოულოდნელად. ჟურნალმა „რევიუ დე ქართველოლოჟიმ“ მის ხსოვნას მიუძღვნა სპეციალური ნომერი, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა ფრანგი მეცნიერის დამსახურებას ხალხებს შორის მეცნიერული, ლიტერატურული და მეგობრული კონტაქტების განვითარების საქმეში.

გაზ. „კომუნისტი“, 1979, 20 ოქტომბერი, გვ. 4

(გადაბეჭდილია გაზ. „სამშობლოში“, №24, ნოემბერი, გვ. 8)

## О басках пиренейских и кавказских

В "Неделе" (№ 49) была опубликована статья Александра Кикнадзе под заголовком "Баски. Откуда они?" В ней автор рассказывает о своей поездке в Испанию и, в частности, встрече с одним из баском. "Это было как во сне: в чужом, далеком Мадриде, – пишет А. Кикнадзе, – я слышал грузинские слова. И тогда я вдруг понял, что мой собеседник очень напоминает грузина..." Далее автор повествует об интересной гипотезе – родство древних басков и древних грузин.

Статья эта не прошла бесследно – ее прочли многие в Грузии. Естественно, родились и разные мнения. Учитывая, что тема эта представляет определенный интерес, редакция "Вечернего Тбилиси" обратилась с просьбой к академику Академии наук Грузинской ССР Арнольду Степановичу Чикобава высказать свое мнение по затронутому вопросу.

Ниже приводится мнение А. С. Чикобава.

Туристские впечатления, возможно, и не лишены интереса, но научные проблемы на основе таких случайных впечатлений, как известно, не решаются. Нередко они дискредитируют саму проблему.

Баски – малочисленный народ: в Испании их насчитывается около 700 тысяч, во Франции (по данным 1959 г.) – 150 тысяч. Баски двуязычны: в Испании второй язык у них испанский, во Франции – французский. Такое положение не ново; оно не способствует сохранению баскского языка. За последние сто лет басков эмигрировало в Центральную и Южную Америку, где им труднее было противостоять ассимиляции. И все-таки в Аргентине, Бразилии, Мексике и теперь насчитывается более 90 тысяч басков.

Баски, судя по топонимике (т. е. следам их пребывания, запечатленным в географических названиях), в далеком прошлом, как предполагают историки, занимали Испанию, Францию и Северную Италию. Баски – теперь малочисленный народ, но проблема басков, их происхождение – проблема большой научной важности: с ней тесно связана доиндоевропейского населения западного Средиземноморья, и далее восточного Средиземноморья и древней Передней Азии, т. е. всех тех стран, где теперь население говорит на индоевропейских, семитических или тюркских языках. А раньше были распространены языки Ю которые не являлись ни индоевропейскими, ни семитическими, ни тюркско-алтайскими. На Кавказе такие языки сохранились в лице иберийско-кавказских языков (картвельских, абхазско-адыгских, нахско-чеченских, дагестанских).

Язык справедливо считается древнейшим и правдивым свидетелем истории. Баскский язык находится в окружении индоевропейских языков (ла-

тинского и впоследствии испанского, каталонского, французского) на протяжении по крайней мере двух тысяч лет, усвоил немалое количество индоевропейских слов. Но структура языка и, прежде всего, морфологический строй баскского языка, расходится со структурой индоевропейских языков в такой степени, что ни одному специалисту в голову не приходило сводить баскский язык к индоевропейским или семитическим.

Структура баскского языка очень своеобразна. Так, например, в склонении имен существительных наличен специальный падеж, т. н. активный или эргативный; им обозначается подлежащее (субъект) переходных глаголов.

Этого падежа нет в древних индоевропейских, ни в семитических, ни в тюркских языках. Но этот падеж характерен для грузинского и всех иберийско-кавказских языков. Винительного падежа в баскском языке нет; чужд он и склонению иберийско-кавказских языков.

Спряжение баскского глагола двухличное, субъектное: глагол одинаково обозначает и субъект (подлежащее) и объект (дополнение). Такое спряжение чуждо индоевропейским языкам, но оно характерно для грузинского, адыгейского и абхазского; в различных вариациях представлено в нахских (чеченских) и дагестанских языках. При этом объект переходного глагола и субъект непереходного стоят в одном и том же падеже; черта, в равной мере присущая и баскскому, и иберийско-кавказским языкам...

Итак, образно говоря, Кантабрийские горы Пиренейского полуострова перекликаются по грамматической структуре, по способу языкового мышления с Кавказскими горами, около которых сохранились языки архаического строя; языки иберийско-кавказские.

Структурную близость баскского с иберийско-кавказскими языками подметил еще в прошлом веке Фр. Мюллер (1864, 1885 гг.). Крупнейшего специалиста романских языков Гуго Шухардта именно особенности спряжения и склонения баскского языка привели, как он сам пишет, к изучению кавказских языков. Г. Шухардту принадлежит известное исследование "О пассивном характере переходного глагола в кавказских языках" (1895 г. на немецком языке); работа посвящена анализу вышеозначенных структурных особенностей кавказских языков.

О баскском языке и его связях с яфетическими – с привлечением лексического материала – писал увлекательно академик Н. Марр, побывавший у французских басков и сделавший ряд интересных наблюдений этнографического характера. К сожалению, грамматический строй Н. Марром не был привлечен к анализу, а лексика дает максимум расхождений.

Баскско-кавказскими лингвистическими связями занимаются в наше время французский ученый Жорж Дюмезиль, немецкий кавказовед Карл Бода и особенно интенсивно – профессор Бордоского университета Рене Лафон, крупный специалист баскского и прекрасный знаток грузинского языка.

В чем же трудность, которая мешает решению вопроса?

Сравнивать две дроби, как известно, невозможно, не приводя их к общему знаменателю. Такой общий знаменатель нужен и при сравнении языков – общий исторический; только при наличии этого условия **структурно-типологическая характеристика получает значение весомого аргумента в решении вопроса о родстве языков**, вопроса по существу историко-генетического порядка.

Такая работа по приведению к общему историческому знаменателю ведется теперь над иберийско-кавказскими языками, где при изумительном разнообразии прослеживаются, – как писал известный русский кавказовед Петр Услар, – глубоко родственные черты.

Это "изумительное разнообразие" следует объяснить, докапываясь до глубинных слоев истории, где "родственные черты" проступают более "ощутимо, весомо, зримо".

Среди иберийско-кавказских языков грузинский язык является древне-письменным (памятник с V века). Баскский язык документирован текстами лишь с XVI века. Большинство иберийско-кавказских языков известны и по отрывочным данным лишь с XVIII века. В этих условиях воссоздать историю баскского языка можно лишь при помощи всестороннего анализа богатых диалектных данных (ведь в баскском языке насчитывается более пяти диалектов). Такая работа ведется прежде всего со стороны баскских языковедов.

Интенсивно изучаются и иберийско-кавказские языки в Тбилиси, где предметом анализа являются почти все эти языки (двадцать девять из тридцати двух), в автономных республиках Северного Кавказа, в Москве и ряде зарубежных стран (в Норвегии, Голландии, Франции, США и т. д.).

Сделано многое. Предстоит еще больше сделать, чтобы добыть надежный материал, способный выдержать громадную нагрузку, которую несет проблема. Из необожженного кирпича высотного здания не построишь. А здание, именуемое "иберийско-кавказским языкознанием", призвано ответить, не только на вопрос об историческом смысле баскско-кавказских лингвистических сходжений, но и на вопрос об историко-генетических взаимоотношениях иберийско-кавказских языков с индоевропейскими, несемитическими языками древней Передней Азии (с урартским, протохеттским, эламским...).

Их было много, этих древних, ныне мертвых языков Передней Азии и Средиземноморья. Среди них были и индоевропейские (большинство этих языков сами индоевропейцы не считают индоевропейскими). Живые свидетели древней истории остались на Пиренейском полуострове и Кавказском перешейке. Их показания важны не только для истории соответствующих народов, но и для истории одного из древних очагов цивилизации. Важности научной задачи соответствует мера ответственности, которую несут специалисты, занятые анализом показаний этих языков.

Вот почему, говоря о научной актуальности вопроса, касающейся баскского языка, нам приходилось и приходится подчеркивать необходимость серьезного подхода к его решению. Кавалерийским рейдом задачи не решить! Предстоит длительная упорная работа, которая после должной подготовки приведет к успеху, к прочному успеху в решении большой научной проблемы.



## **Лекции по баскскому языку профессора Р. Лафона**

Научная общественность Грузии с большим интересом встретила лекции французского ученого Рене Лафона. Впервые в истории Тбилисского университета, да и вообще университетов страны, он читает у нас цикл лекций о басках, баскском языке, его звуковом составе, структуре баскского слова и предложения.

Профессор бордоского университета Рене Лафон известен как крупнейший специалист баскского языка. Ему принадлежат капитальный труд "Система баскского глагола (XVI в.)" в двух томах (1944) и ряд работ, посвященный историко-генетическим связям баскского языка с иберийско-кавказскими языками.

Вопрос об этих связях прослеживается, в частности, на материале морфологических сходжений. Соответствующие работы Р. Лафона признаны значительными, а в отношении баскского материала — авторитетными даже специалистами, которые скептически относятся к проблеме баскско-кавказских связей (проф. Г. Фогт).

Р. Лафон владеет реалиями грузинского языка, как лингвист; к тому же он практически знает грузинский язык: наши телезрители имели возможность слушать его выступление, приветственное слово на грузинском языке, зачитанное им на торжественном заседании, посвященном 800-летию Руставели.

В наши дни не один зарубежный лингвист изучает грузинский, а порой его не только прекрасно знает, но и исследует (например, норвежский ученый Г. Фогт). В лице Р. Лафона басколог и грузиновед (кавказовед) впервые совмещены в одном лице.

Интерес к баскскому языку в широких кругах ученых-специалистов в этой области не случаен. Баскский язык в Испании и Франции находится в окружении индоевропейских языков на протяжении почти двух тысяч лет. Однако он резко отличается от индоевропейских по самым существенным моментам: структуре слова (имени, особенно же глагола) и соответственно структуре предложения.

В то же время именно по этим моментам наблюдаются поразительные сходжения баскского языка с иберийско-кавказскими, именно это обстоятельство натолкнуло на изучение кавказских языков Г. Шухардта, известного индоевропеиста, крупнейшего специалиста по романским языкам (Г. Шухардт был на Западе первым лингвистом, изучившим грузинский язык).

Откуда подобные сходжения между баскским и иберийско-кавказскими языками? Случайны ли они?

Этот вопрос, который ставится показаниями языка, выдвигает проблему большой культурно-исторической важности — проблему народов и культур древнего Средиземноморья, Передней Азии и Кавказа, которая не раз стави-

ლასь как советскими учеными, так и зарубежными специалистами.

Часто спрашивают: родственен ли баскский язык с грузинским? Пытаются находить это родство в звучании тех или иных слов.

Когда языки близкородственные (как, например, русский, украинский, белорусский), звучание слов, целых пластов лексики может демонстрировать близость родственных языков. В таких случаях родство лежит на поверхности.

Но так дело обстоит далеко не всегда. Обычно родство требует глубокого "бурения", "бурения" в глубь истории.

Баскско-кавказские историко-генетические связи, естественно, требуют "бурения" на большую глубину. Необходимы, так сказать, "сверхглубокие скважины".

Для таких работ необходимо сотрудничество баскологов и кавказоведов, точнее, баскологов-кавказоведов и кавказоведов-баскологов.

Только таким путем можно дать научно обоснованный ответ на культурно-историческую проблему мирового значения.

Общеизвестно, что большие проблемы не решаются одним махом. Известно и то, что они никогда не будут решены, если их не ставить. Именно для должной постановки вопроса и важны лекции басколога-кавказоведа проф. Рене Лафона в Тбилиси.

## საენციკლოპედიო სტატიები

### Николай Марр

**Марр**, Николай Яковлевич (1864-1934) – советский ученый-филолог и археолог. Академик с 1909. М. родился в Кутаиси в семье агронома; его отец по национальности шотландец, мать – грузинка. Окончил восточный факультет Петербургского университета в 1888. С 1900 – профессор Петербургского (впоследствии Ленинградского) университета. Начав с изучения генетических связей грузинского языка, М. выдвинул «яфетическую теорию», которая первоначально представляла собой попытку доказать родство грузинского (и вообще иберийско-кавказских языков) с семитическими языками. Разрабатывая далее свою «яфетическую теорию», М. постепенно придал ей характер общелингвистического, т.е. «нового учения» о языке. Согласно этому учению, язык якобы надстроечная категория и классовое явление; реально существовали и существуют, по мнению М., лишь классовые Языки, а общенародный язык – фикция. Звуковой язык, зародившийся будто бы в классово-дифференцированном обществе – в среде магов (не как средство общения людей между собой, но как средство общения с тотемом), с самого начала был классовым. Так называемое «новое учение» выдвигало концепцию единого языкотворческого (глоттогонического) процесса развития всех языков мира и их стадиальную классификацию. М. бездоказательно утверждал, будто все языки берут начало и общего материала, т.н. четырех элементов (**сал, бер, йон, рош**), будто из них произошли все языки мира, то ли в процессе непрерывного скрещивания, то ли как порождение революционных взрывов в языке, отражавших смену социально-экономических формаций. Процесс языкотворчества, по М., – един. Развитие языков стадиально (причем не установлено ни количество стадий, ни лингвистические признаки понятия «стадии языка»). Древнейшая стадия человеческой речи – «моносиллабический» китайский язык; новейшая (и тем самым – высшая) – индо-европейские языки (романские, германские). Выводя все языки и четырех элементов, М. отвергал возможность существования различных по исходному материалу языковых групп и не признавал происхождения от общего языка-основы родственных языков, составляющих семью или группу. Сравнительно-исторический метод, применимый лишь к родственным по происхождению языкам и основывающийся на звуковых соответствиях, М. отрицал как формальный, заменяя его идеалистическим четырехэлементным анализом.

И. В. Сталин в труде «Марксизм и вопросы языкознания», опубликованном в связи с языковедческой дискуссией в 1950, развил дальше учение Маркса – Энгельса – Ленина о языке как общественном явлении и об основных законах его развития, заложил твердую методологическую основу общей марксистской теории языка и доказал, что ни одно из общелингвисти-

ческих положений т.н. «нового учения» не является научно-состоятельным, т.к. оно представляет собой вульгаризаторскую немарксистскую «теорию». «Н.Я. Марр действительно хотел быть и старался быть марксистом, но он не сумел стать марксистом. Он был всего лишь упрости́телем и вульгаризатором марксизма...» (С т а л и н И., «Марксизм и вопросы языкознания», 1952, стр. 33).

Ученики и последователи М. стремились ара́кчеевскими приемами навязать всему советскому языкознанию пресловутое «новое учение» как якобы единственную революционную теорию, что привело к застою в развитии советской науки о языке. Преодоление ошибок М. и ликвидации ара́кчеевского режима в языкознании явились необходимым условием дальнейшего развития марксистской науки о языке.

Научную ценность представляют филологические работы М. (серия «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии»), а также его исследования, посвященные некоторым языкам Кавказа [«Грамматика чанского (лазского) языка», 1940, «Грамматика древ-нелитературного грузинского языка», 1925, статьи о сванском языке и др.], поскольку эти работы более или менее свободны от ошибочных оушелингвистических установок «нового учения» о языке.

Порочные взгляды М., в особенности теория стадий и отрицание миграций народов, оказали вредное влияние также на развитие археологии и этнографии. Последователи М. в этих науках, извращая факты, утверждали, что различные культуры, сменявшие друг друга на одной и той же территории и принадлежавшие разным народам, являются «стадиями» местного (автохтонного) развития.

*С о ч. М.:* Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1910; Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925; Избранные работы, т. 1-5, Л., 1933-37.

*Лит.:* Сталин И. В., Марксизм и вопросы языкознания М., 1952; Против вульгаризации и извращения марксизма в языкознании. Сб. Статей, ч. 1-2, М., 1951-52 (Академия Наук СССР, Институт языкознания).

## Макс Мюллер

**Мюллер**, Макс (1823-1900) – английский филолог. Родился в Германии. Сын немецкого поэта В. Мюллера. Исследователь индийской литературы, автор трудов по истории религии и сравнительной мифологии. Профессор Оксфордского университета. Редактор и переводчик «Ригведы» (6 тт., 1849-74), серии «Священные книги Востока» (49 тт., 1879-1904) и др. Известен как популяризатор науки о языке. В «Лекциях об языкознании», прочитанных в 1861 и 1863, М. Пытался обосновать натуралистическую концепцию языка и относил языкознание к числу наук о природе. Подчеркивая важность изучения бесписьменных языков и обосновывая ведущую роль живой диалектной речи в жизни и «росте» языка, М. Еще до выступления младограмматиков выдвинул ряд положений, ставших впоследствии достоянием сравнительно-исторического языкознания. Основным недостатком работы М. «Опыт сравнительной филологии индо-европейских языков» (1851) является отсутствие историзма.

*С о ч. М.:* Müller F.M., Chips from German workshop, v. 1-5 [4 ed.], N. Y., 1889-91; History of the ancient Sanscrit literature, L., 1859; Lectures on the science of language, 4 ed. L., 1864; Introduction to the science of religion, L., 1873; в рус. пер. – Сравнительная мифология, М., 1863; Наука о языке, Воронеж, 1868.

## Фридрих Мюллер

**Мюллер**, Фридрих (1834-1898) – австрийский этнограф и языковед, профессор Венского университета. В работе «Общая этнография» (1873) М. сопоставлял понятие «семья народов» с понятием «семья народов», пытаясь классификацию языковых семей увязывать с

Различиями рас, к которым относятся соответствующие народы, что научно несостоятельно. В «Очерках языкознания» (4 тт., 1876-87) даны краткие сведения о грамматическом строе всех более или менее изученных языков. До сих пор представляют научную ценность отдельные статьи М., посвященные выяснению места осетинского языка в кругу иранских языков, происхождению грузинского и армянского шрифта, вопросу об историческом месте иберийско-кавказских языков.

*С о ч. М.:* Müller F., Allgemeine Ethnographie, 2 Aufl., W., 1879; Reise der oesterreichischen Fregatte Novara um die Erde... Linguistischer Theil, W., 1867.

## სტალინის უკვდავი სახელი მარად იცოცხლებს მის უკვდავ საქმეებში

ამ მძიმე გლოვის დღეებში საბჭოთა ქვეყანა ეთხოვება მშობლიურ სტალინს, ბრძენ ბელადსა და საყვარელ მასწავლებელს;

ეთხოვება ადამიანს, რომელმაც თავისი უმაგალითო გმირული სიცოცხლე — სიჭაბუკიდან მოკიდებული უკანასკნელ ამოსუნთქვამდე — მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას შეაღწია;

ეთხოვება ადამიანს, რომელსაც ისტორიამ არგუნა — უკვდავ ლენინთან ერთად — საძირკველი ჩაედგა პირველი სოციალისტური სახელმწიფოსათვის და — ლენინის შემდეგ — ეშენებინა ეს სოციალისტური სახელმწიფო, განემტკიცებინა მისი ძლიერება, სწორუბოვრად დაეცვა განსაცდელის ჟამს და ექცია იგი მშვიდობიანობისა და პროგრესის მედროვე უძლეველ ძალად მთელ მსოფლიოში.

თითქმის მთელი 30 წლის მანძილზე სტალინის გენიას მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა, — დიდი საბჭოეთი, დედამიწის ერთი მეექვსედი, — ახალი სოციალისტური წყობილების გზით კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ, — მიჰყავდა იმ გზით, რომლითაც ისტორიაში მანამდე არც ერთ ხალხს არ ევლო, — მიჰყავდა განახლებული, თავისუფალი კაცობრიობის ახალი გზით.

ამ გზით სვლა მძიმე ბრძოლებს მოითხოვდა. სტალინის სიბრძნემ და უდრეკმა ნებისყოფამ ეს გზა აქცია საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა გზად.

სოციალიზმის დროშა, აღმართული 1917 წლის ოქტომბერში, დიდი საკაცობრიო სიმართლის დროშა იყო. ეს მართალი სიმართლე მტკიცე ძალის გარეშე ვერ გაიმარჯვებდა.

ეს მართალი სიმართლე უძლეველ ძალად სტალინმა აქცია. სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ ერთ ძალად შეკრა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ენერჯია, სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ შექმნა მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა ურდვევი მეგობრობა, სტალინმა გამოსჭედა უძლეველი საბჭოთა არმია, რომელმაც გაანადგურა ფაშიზმი და ისხნა კაცობრიობა ფაშისტური ბარბაროსობისაგან.

სოციალისტური საბჭოთა კავშირის ძალა დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობის ძალას წარმოადგენს. სტალინის სახელი მთელ სამყაროს გადასწვდა. სტალინის სახელს სასოებითა და გამარჯვების რწმენით წარმოსთქვამს მთელ მსოფლიოში ყველა ჩაგრული ადამიანი და ჩაგრული

ხალხი, ყოველი ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანური ცხოვრება, მშვიდობიანობა, კაცობრიობის წინსვლა.

სტალინის საქმე მთელი პროგრესული კაცობრიობის საქმე იყო, არის და იქნება.

სტალინის სიცოცხლე შეწყდა. მსოფლიო-ისტორიული საქმე, რომელსაც ეს სიცოცხლე მტლად დაედო, სტალინის უახლოესი თანამოსაგრეების, ბრძოლებში გამოწრთობილი ერთგული მოწაფეების საიმედო ხელშია.

მთელი საბჭოთა ხალხი, — მუშა, კოლმეურნე თუ ინტელიგენტი, პარტიის წევრი და უპარტიო, — გლოვის ამ მძიმე დღეებში — მჭიდროდ დარაზმულია საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომ თავდადებით ემსახუროს ლენინისა და სტალინის საქმეს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებისა და დაცვის საქმეს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

ამ მართალ საქმეს, დიდსა და კეთილშობილურ საქმეს, მთელ თავის ძალღონეს მოახმარს ყოველი პათიოსანი საბჭოთა მოქალაქე.

სტალინი ისევე, როგორც ლენინი, იყო უდიდესი მეცნიერ-რევოლუციონერი, შემოქმედებითი, მეცნიერული მარქსიზმის კლასიკოსი.

სტალინის გენიალური შრომები ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში გზას უნათებენ სოციალისტურ მეცნიერებას და ახალ მიღწევათა მტკიცე საფუძველს ქმნიან.

ჩვენი ვალია ვიმუშაოთ ისე, რომ გავამართლოთ ის დიდი ყურადღება, რასაც სტალინი გვითმობდა მეცნიერების მუშაკებს ყველა დარგში, ისტორია იქნებოდა ეს თუ ენათმეცნიერება, ბუნებისმეტყველება თუ პოლიტიკური ეკონომია.

ჩვენი ვალია ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს სტალინის საყვარელი სახელი, ვიმუშაოთ ისე, როგორც ეს შეეფერება სოციალისტური მეცნიერების ღირსებას, ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირის უძლეველი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. მხოლოდ ამით მოვიხდით ჩვენ, მეცნიერების მუშაკები, ჩვენს ვალს სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

სოციალიზმის დიდი მედრომის სტალინის სიცოცხლე შეწყდა. ლენინ-სტალინის დრომა კვლავ წინ მიგვიძღვის, როგორც მშვიდობიანი შრომის, მშვიდობიანობისთვის ბრძოლის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უძლეველი დრომა. სტალინის სიცოცხლე შეწყდა, დიდმა სიცოცხლემ გზა დაუთმო დიდი ადამიანის უკვდავებას. სტალინის უკვდავი სახელი მარად იცოცხლებს სტალინის უკვდავ საქმეებში, საბჭოთა ადამიანების ახალ გამარჯვებებში, კაცობრიობის ნათელ მომავალში.



## Ученые сплочены вокруг партии

Угасла жизнь Сталина. Великая жизнь уступила место бессмертию великого человека. Вместе со всеми трудящимся советские ученые прощаются с родным Сталиным.

Гениальные работы Сталина по вопросам языкознания, по экономическим проблемам социализма в СССР, опубликованные в последние годы жизни вождя, являют собой классические образцы творческого применения марксизма-ленинизма в различных областях социалистической науки, вооружают строителей коммунизма.

К Сталину обращались советские ученые за разрешением сложнейших вопросов, когда развитию научной мысли угрожала опасность застоя. Загруженный неотложными делами по руководству государством, Сталин находил время, чтобы оказать помощь советской науке. Вскрывая подлинные причины застоя, развенчивая ложных новаторов, отмечая начетничество, талмудизм, Сталин давал марксистское решение сложнейших теоретических вопросов. Так было, в частности, в языкознании.

Трогательно внимательный к людям науки, Сталин сурово осуждал всякое проявление беспринципного приспособленчества, конъюнктурного делячества.

Сталинское отношение к вопросам науки, к людям науки оставляло неизгладимое впечатление у всех, кому доводилось встречаться с ним, получать его мудрые указания. Творчески применять марксизм во всех областях научного знания, честно служить научной правде, поставить науку на службу народу – этому учил нас Сталин.

Советские ученые в эти скорбные дни сплочены, как никогда, вокруг Партии, Правительства, вокруг верных соратников Сталина и приложат все усилия к тому, чтобы выполнить свой долг перед Родиной.

## როდის იყო და როგორ

ჩვენი მოკლე მოხსენება (ნ. მარის ენის განვითარების სტადიების შესახებ)<sup>1</sup> დაწერილია დიდი ხნის წინათ — ჯერ კიდევ 1949 წელს (როცა საბჭოთა ენათმეცნიერებაში გაბატონებული იყო აკად. ნ. მარის „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“).

მოხსენება დაიწერა რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის, რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (I ტ. — 1950 წ., VIII ტ. — 1964 წ.) კურატორის — კანდიდ ჩარკვიანის<sup>2</sup> წინადადებით.

1949 წელს ნ. მარი ცოცხალი აღარ იყო (იგი გარდაიცვალა 1934 წელს), მაგრამ „ახალი მოძღვრება“ შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდა: იმხანად იგი ითვლებოდა ერთადერთ მარქსისტულ თეორიად, რომელიც „ბურჟუაზიულ რეაქციულ ინდოევროპეისტიკას უპირისპირდებოდა“.

ნ. მარის „ახალი მოძღვრება“ შეიქმნა 1923-26 წლებში. მას საფუძვლად დაედო ოთხელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზი, რომლის მიხედვით ივარაუდებოდა, რომ ყველა ენისათვის ამოსავალი იყო სატომო სახელწოდებანი (**Sal, Ber, Jon, Roš**) და მათი კომბინაციები. რის საფუძველზე გამოიყოფოდა მაინცდამაინც „ოთხი ელემენტი“, ეს ნ. მარს, ცხადია, არ დაუზუსტებია (ეს იყო ნებისმიერი ჰიპოთეზა „ამოსავალი ვითარების“ შესახებ).

მაგრამ ნ. მარს მიაჩნდა, რომ ამოსავალი ელემენტის გამოვლენა ნებისმიერ სიტყვაში ახლაც შესაძლებელია და საჭირო: უამისოდ ენათა შედარება დაუშვებელია; ხოლო, თუკი ეს ელემენტი „გამოვლენილია“, შეუზღუდავად შეიძლება ერთმანეთს შევუდაროთ ნებისმიერი ენის (ჩინურის, ფინურის, ქართულის, ებრაულის...) სიტყვები.

ასე იკიდებდა ფეხს გაუგონარი განუკითხაობა სიტყვათა და ენათა შედარებაში.

ამგვარ „მსჯელობებს“ სხვა შემთხვევაში არავინ გაუწევდა ანგარიშს, მაგრამ ამას აცხადებდა აკადემიკოსი მარი, საყოველთაოდ ცნობილი ორიენტალისტი, ავტორი დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევებისა სომხური და ქართული ფილოლოგიის დარგში, ქართველურ ენათა და კავკასიის რიგი სხვა ენის ცნობილი სპეციალისტი.

<sup>1</sup> მოხსენება წერილის ბოლოში ერთვის.

<sup>2</sup> ამჟამად — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

პალეონტოლოგიურ ელემენტოვან ანალიზს შინაგანად უკავშირდება მარისეული სტადიური განვითარების თეორია: თუ ამოსავალი მასალის თვალსაზრისით ენები ერთიანობას აღწევენ, განვითარების საფეხურების (სტადიების) მიხედვით ისინი სხვაობენ.

ნ. მარი და მისი „ახალი მოძღვრება“ ემყარებოდა არა მარტო და არა იმდენად ნ. მარის ძველი შრომების მეცნიერულ ავტორიტეტს.

1928 წელს ნ. მარი წერდა: „ამჟამად სხვა გზა არ არსებობს: იაფეტურ თეორიას ვეღარსად გაექცევინ (sic!) — ვერც ერთ ქვეყანაში, ვერანაირ სამეცნიერო — გარე თუ შინა — ემიგრაციაში“<sup>3</sup>.

ამგვარი საშუალებებით საზრდოობდა უწინარეს ყოვლისა ნ. მარის ოთხელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზის მონოპოლიური მდგომარეობა.

ნ. მარი 1934 წელს გარდაიცვალა. ნ. მარის მიმდევარმა — აკად. ი. მეშხანიანოვმა ელემენტებს (და მათს ფონეტიკურ „დასაბუთებას“) მიუძღვნა წერილი „ძირითადი ლინგვისტური ელემენტები (იაფეტიდოლოგიური თვალსაზრისით)“<sup>4</sup>; მაგრამ ნ. მარის შემდეგ იგი არც ელემენტების გამოყენებას და არც მათს დასაბუთებას აღარ ცდილა.

მაგრამ „ახალი მოძღვრების“ მონოპოლიურ მდგომარეობაზე მას უარი არ უთქვამს: მონოპოლია შენარჩუნებული იყო სტადიალურ-ტიპოლოგიური სქემების საფუძველზე.

1940 წელს ლიტერატურისა და ენის განყოფილების სხდომაზე, რომელზედაც განიხილებოდა არნ. ჩიქობავას მოხსენება ენის არსის შესახებ პაულის, სოსიურის, ფოსლერის,... მარის ინტერპრეტაციებში (საბჭოთა ენათმეცნიერების პრინციპულ საფუძველზე დაყრდნობით), განყოფილების ხელმძღვანელმა აკად. ი. მეშხანიანოვმა განაცხადა, რომ ენისა და აზროვნების ინსტიტუტი „არ მუშაობს ელემენტების მიხედვით“, და რომ მოსმენილი მოხსენება დაიბეჭდებოდა „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების მოამბეში“ (ამან სხდომის ზოგი მონაწილის აღშფოთება გამოიწვია).

მოხსენება, რომელიც შეიცავდა მარის ელემენტოვანი პალეონტოლოგიის კრიტიკას, „მოამბეში“ არ დაბეჭდილა,<sup>5</sup> სამაგიეროდ, დაიბეჭდა ი. მეშხანიანოვის სარედაქციო წერილი, რომელშიც პალეონტოლოგიური ელემენტების

<sup>3</sup> Н. М а р р, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком? — "Доклад печатается в последней отделеке, как он был читан в Тифлисе" (апрель 1928 г.) — Н. Марр, Избр. работы, т. 2, гл. 414.

<sup>4</sup> "Язык и мышление" (сборник ИЯМ), т. II, гл. 7-31.

<sup>5</sup> იგი სრულად დაიბეჭდა „ენიკის მოამბეში“ (ტ. X) სათაურით „ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის, პრობლემა...“, გვ. 355-409.

მენტები უკვე აღარ ყოფილა უკუგდებული: „ახალი მოძღვრება“ ელემენტების გარეშე არ გამოდიოდა. ელემენტების დიქტატური კვლავ გრძელდებოდა.

1947 წელს, როცა დღის წესრიგში დადგა ომის წლების მძიმე შედეგების დაძლევა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში მოეწყო დისკუსია ბიოლოგიის საკითხებზე. ბიოლოგიური მეცნიერების ბედი ტ. ლისენკოს — მცენარეთა განვითარების სტადიური თეორიის ავტორის — ხელში აღმოჩნდა.

ეს თეორია იჩემებდა, თითქოს შეეძლო „კარტოფილის ორი მოსავლის“, „დატოტვილი ხორბლისა“ და სხვა სიკეთეთა უზრუნველყოფა. დაიწყო აკად. ტ. ლისენკოსა და მისი სტადიური თეორიის მონოპოლიის მძიმე ხანა.

1948 წელს ლენინგრადში ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა საგანგებო სესია მიუძღვნა ბიოლოგიის საკითხებზე გამართული დისკუსიის შედეგებს: თუ მეცნიერთა განვითარების სტადიურმა თეორიამ ოფიციალური სანქცია მიიღო, იმასვე იმსახურებდა მარისეული ენათა სტადიური განვითარების თეორია.

1949 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საგანგებო სხდომაზე იმსჯელა „ენათმეცნიერების ფრონტზე არსებული მდგომარეობის“ შესახებ და დაადგინა: „აკად. ნ. მარის „ახალი მოძღვრება“ მიჩნეულ იქნეს ენის შესახებ ერთადერთ მატერიალისტურ მარქსისტულ თეორიად, დანარჩენი სხვა კი, რომელიც მას არ ეთანხმება, გადაჭრით იქნეს უკუგდებული.

მართალია, ეს არ იყო სადირექტივო ორგანოს დადგენილება, მაგრამ იგი მომდინარეობდა ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულებისაგან. მონოპოლია საბჭოთა ენათმეცნიერებაში ნ. მარის „ახალი მოძღვრებას“ მიეკუთვნა.

სხვაგვარად მოაზროვნეთ ბრალად ედებოდათ ყველა მომავდინებელი ცოდვა — იდეოლოგიურიც, პოლიტიკურიც.

ელოდნენ საორგანიზაციო დასკვნებს. ადგილობრივ ინიციატივასაც არ დაუხანებია (მაგალითად, სომხეთში ერევნის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს აკად. ჰრაჩია აჭარიანი — ცნობილი ენათმეცნიერი, და ლიტერატურისა და ენის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გრ. ხაფანციანი).

1949 წელი საბჭოთა ენათმეცნიერებაში მძიმე წელი იყო.

\* \*  
\*

წერილის დასაწყისში აღინიშნა, რომ 1949 წლის გაზაფხულზე მე დამევალა დამეწერა მოხსენება ნ. მარის „ენის განვითარების სტადიების“ შესახებ.

1950 წლის აპრილის დამდეგს ჩვენი რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოდან შემატყობინეს, რომ უახლოეს დღეებში მოსკოვს უნდა გავმგზავრებულყავი: „ენათმეცნიერების საკითხებზე იქნება მსჯელობა ცენტრალური კომიტეტის მდივანთან და უნდა მოემზადოთ“.

და, აი, 10 აპრილის საღამოს ჩვენ (პირველი მდივანი კ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორი მინისტრი და მე) აღმოვჩნდით მოსკოვში, სტალინის აგარაკზე.

ამჯერად განხილვის საგანი იყო მხოლოდ ენის საკითხები: სტალინის შენიშვნები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ (რომლის პირველი ტომი ახალი გამოსული იყო) და ნ. მარის „ახალი მოძღვრება“...

გადაწყდა დისკუსიის მოწყობა; სადისკუსიო სტატიის დაწერა მე დამევალა: „დაწერეთ, ვნახოთ. თუ გამოდგა, დაგბეჭდავთ. თქვენს მოხსენებას კი გიბრუნებთ“; და სტალინმა საქაღალდე მაგიდაზე დადო (მასში იყო მოხსენება ენის სტადიების შესახებ), მაგრამ იქვე დასძინა: „თუმცა არა — ჯერ კიდევ დავიტოვებ: ვნახოთ, ახლა როგორ დაწერთ ამ საკითხებზე, მოხსენებასაც მერე დაგიბრუნებთ“.

\* \*  
\*

სადისკუსიო წერილი, რომლის დაწერაც დამევალა 1950 წლის 10 აპრილს, ი. სტალინმა ორჯერ წაიკითხა და შენიშვნებიც დაურთო. ამ შენიშვნების განსახილველად ორჯერ მომიხდა ი. სტალინის აგარაკზე მისვლა. თითოეული საუბარი 2-3 საათს გრძელდებოდა.

სტალინი ბუნდოვანებას ვერ ითმენდა. ენის საკითხები მას არსებითად აინტერესებდა ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, მასთან კამათი შეიძლებოდა. ზოგჯერ ის გვეთანხმებოდა კიდევ („ამაში თქვენ მართალი უნდა იყოთ!“).

მარის პალეონტოლოგიური ელემენტოვანი ანალიზის შესახებ (რომელსაც დისკუსიის დროს სტალინი „ყავაზე მკითხაობას“ უწოდებდა) მას ინფორმაცია არ მოეპოვებოდა, მაგრამ მარისეული ულტრამემარცხენე მყვირალა ფრაზა მისთვის დამარწმუნებელი არ იყო („მარი ბევრს გაჰყვიროდა მარქსიზმის შესახებ, მაგრამ მარქსისტი იგი არ იყო“, — ეს მისი სიტყვებია, რომლებიც მან გვითხრა 1950 წ. 10 აპრილის შეხვედრაზე).

ი. სტალინი მარს დადებითად, როგორც ჩანს, არც დისკუსიამდე ეკიდებოდა.

ასე, მაგალითად, 1930 წ. XVI ყრილობაზე ი. სტალინს საშუალება ჰქონდა მოესმინა ნ. მარის მისასაღმებელი გამოსვლა **ВАРНITCO**<sup>6</sup>-ს სახე-

<sup>6</sup> **ВАРНITCO** — Всесоюзная ассоциация работников науки и техники...

ლით. ეს გამოსვლა დამახასიათებელი იყო ნ. მარისათვის არა მხოლოდ სტილის თვალსაზრისით:

„ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე მე შეძლებისდაგვარად მხარში ვედექი კომუნისტ ამხანაგებს და ასეთივე სულისკვეთებით გამსჭვალულ უპარტიოებთან ერთად ხელს ვუწყობდი უმაგალითო მასშტაბის რევოლუციური მეცნიერულ-კულტურული აღმშენებლობის საქმეს... ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა ყველა მშრომელი, მათ შორის მეცნიერებიც, რომლებიც იტანჯებოდნენ შავბნელი იდეალიზმის ტყვეობაში“.

„სრული თავისუფლების პირობებში, რომელსაც ანიჭებს მეცნიერებას საბჭოთა ხელისუფლება, როცა იგი ეხმარება ყველაზე გაბედულ სამეცნიერო ძიებას ჭეშმარიტად მატერიალისტური მსოფლმხედველობის სფეროში, მე ვცდილობდი და კვლავაც ვცდილობ — ამჯერად კომუნისტ მეცნიერ მუშაკთა და მტკიცე უპარტიო თანამებრძოლთა ახალ კადრებთან ერთად — განვავითარო თეორიული მოძღვრება ენის შესახებ, რომელიც ჩემი მეცნიერული კვლევის საგანია. ამჟამად, როცა მე შევიგნე აპოლიტიკურობის ფიქცია და, ბუნებრივია, უკუვავადე კიდევ იგი, გამწვავებული კლასობრივი ფრონტის მებრძოლის მოცემულ მომენტში მტკიცედ ვდგავარ სამეცნიერო-კულტურული ფრონტის მებრძოლის პოსტზე — პროლეტარული მეცნიერული თეორიის ნათელი გენერალური ხაზისა და კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის დასაცავად. ასეთი უპარტიო, ვფიქრობ, უფლებამოსილია ჰქონდეს მაღალი პატივი გააცნოთ თქვენ, ამხანაგებო, საპასუხისმგებლო დოკუმენტი ВАРНИТСО-ს სახელით“<sup>7</sup>.

ВАРНИТСО-ს დელეგაციის ხელმძღვანელი, უპარტიო ნ. მარი სკპ (ბ) XVI ყრილობაზე ისეთი სიტყვით გამოვიდა, რომ თვით პარტიის ძველ წევრსაც კი შეშურდებოდა.

მალე ნ. მარი პარტიაში მიიღეს და მან გადაწყვიტა ანგარიში გაესწორებინა სხვაგვარად მოაზროვნეთათვის.

ეს უწინარეს ყოვლისა, თბილისის უნივერსიტეტს ეხებოდა, სადაც 1933 წ. მას რექტორობას სთავაზობდნენ (საქართველოს კპ ცკ-ის მუშაკი კ. ორაგველიძე), მაგრამ ამაზე მოსკოვმა არ მისცა თანხმობა (იმ დროს მარი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო).

მოულოდნელად წამოიჭრა საკითხი მოსკოვში ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლისათვის (არასაიუბილეო თარიღის!) აღნიშვნის

<sup>7</sup> А. А. М и х а н к о в а, Николай Яковлевич Марр, Очерк его жизни и научной деятельности, Л., 1948.

ძნელი დასაჯერებელია, რომ აკად. ნ. მარს, ამ მკვეთრად მემარცხენე გამოთქმების ავტორს, 1910 წ. შეეძლო მეცნ. აკადემიის წევრებისათვის ეწოდებინა „იმპერიის უპირველესი ენა“, ხოლო კავკასიისათვის — „სამეფო გვირგვინის მარგალიტი“. და ეს ხდებოდა ოცი წლის წინათ...

თაობაზე. ამას არ შეიძლებოდა მარი არ დაეეჭვებინა (ნ. მარი ვერ მოესწრო თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლისთავს).

\* \*  
\*

ერთხელ, წერილის პროექტის ტექსტზე მსჯელობისას, ი. სტალინმა ყოველგვარი კონტექსტის გარეშე წარმოთქვა: „ლისენკო გასაქანს არავის აძლევს“ (ტრ. ლისენკოს მიერ კოლეგების დამუშავება, მათთვის „ვეისმანიზმ-მორგანიზმის“ დაბრალება, როგორც ჩანს, ი. სტალინს არ მოსწონდა).

მეორე შეხვედრის დროს მან კვლავ გაიმეორა: „ლისენკო ხომ გასაქანს არავის აძლევს“.

„ამბობენ, კარტოფილის ორი მოსავალი, დატოტვილი ხორბალიო“, — ვთქვი მე (იმდროინდელ გაზეთებში ბევრს წერდნენ ამის შესახებ).

„კარტოფილის ორი მოსავალი! დატოტვილი ხორბალი!“ — ეს ჯერ კიდევ საკითხავია: ლისენკო კი გასაქანს არავის აძლევს, — და დასძინა: „ჩვენ მას გავაკრიტიკებთ“.

\* \*  
\*

ტრ. ლისენკოსეული „მცენარეთა სტადიური განვითარება“ გახდა იმის საფუძველი, რომ მოეთხოვათ (ნ. მარის მიმდევართ) მონოპოლიური მდგომარეობა ნ. მარისეული ენის შესახებ სტადიური მოძღვრებისათვის.

ახლა კი ცხადი გახდა როგორც ერთის, ისე მეორის უსაფუძვლოება.

\* \*  
\*

დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი, რომლის მოწმე გავხდით ი. სტალინთან მის აგარაკზე პირველი შეხვედრის დროს (1950 წ. 10 IV).

მან შეიტყო, რომ სომხეთში სამუშაოდან მოხსნეს სომხეთის სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსები ჰრაჩია აჭარიანი (ერევნის უნივერსიტეტიდან) და გრ. ხაფანციანი (სომხეთის სსრ მეცნ. აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი), რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ნ. მარის „ახალ მოძღვრებას“. ი. სტალინმა დაწვრილებით გამოგვიკითხა ამ სპეციალისტების შესახებ, შემდეგ კი იქვე ტელეფონით დაუკავშირდა ერევანში სომხეთის კპ ცკ-ის მდივანს არუთინოვს.

საუბარი მოკლე გამოდგა.

მისაღმების შემდეგ ი. სტალინმა იკითხა:

„თქვენთან პროფესორები აჭარიანი და ხაფანციანი მოხსნეს?“...

„რატომ?“

„სხვა მიზეზები არა ყოფილა?“...

„არასწორად მოქცეულხართ, ამხანაგო არუთინოვ!“...

და დადო ყურმილი.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ეს საუბარი ჩვენ დიდი კმაყოფილების გრძნობით მოვისმინეთ.

აკად. ჰ. აჭარიანი და აკად. გრ. ხაფანციანი აღადგინეს სამუშაოზე ჯერ კიდევ დისკუსიის დაწყებამდე.

\* \*  
\*

ჩვენი წერილი „საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი ძირითადი საკითხის შესახებ“ გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“ 1950 წლის 9 მაისს (ამით გაიხსნა ცნობილი დისკუსია საბჭოთა ენათმეცნიერების საკითხებზე).

#### აკად. ნ. მარის ენათა სტალიური კლასიფიკაცია (1949 წლის 21 აპრილის მოხსენება)

აკად. ნ. მარის იაფეტური თეორიის დედაარსს პალეონტოლოგიური მეთოდი შეადგენს. ამ მეთოდთან არის შინაგანად დაკავშირებული ორი თეორიული დებულება: 1. ერთიანი გლოტოგონიური (ენობრივი შემოქმედების) პროცესის შესახებ და 2. ენათა სტადიური (საფეხურებრივი) განვითარების შესახებ (ენათა სტადიური კლასიფიკაცია).

სწორედ ეს დებულებები ცხადდება იაფეტური თეორიის ძირითად მონაპოვრად, რაც, თითქოს, ბურჟუაზიული ენათმეცნიერების რასისტული პრინციპების უარყოფაა.

არის კი ეს ასე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც გაირკვევა — რას ეყრდნობოდა მოძღვრება ენათა სტადიურობის შესახებ? რას ამტკიცებს ის? საით მივყავართ მას?

დავიწყოთ საკვანძო მომენტით — პალეონტოლოგიური მეთოდით. ენის პალეონტოლოგია შეისწავლის ადამიანის მეტყველების უძველეს საფეხურებს. აკად. ნ. მარის იაფეტურ თეორიაში პალეონტოლოგიურ მეთოდს ემსახურება ელემენტოვანი ანალიზი (ე.წ. ოთხელემენტოვანი ანალიზი).



ამ ანალიზის ფორმულა გვაუწყებს: დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვა შედგება ოთხი ელემენტისაგან (**სალ, ბერ, ფონ, როშ**). „რაგინდარა ენის ლექსიკურ შედგენილობაში არ მოიპოვება სიტყვა, რომელიც შეიცავდეს მეტს რასმე, ისევე და ისევე ამ ოთხი ელემენტის გარდა“. „სიტყვის დაშლის გარეშე მასში წარმოდგენილ ელემენტებად... არ შეიძლება ვაწარმოოთ შედარება, ასეთი ანალიზის გარეშე შედარებით მეთოდს ძალა არა აქვს“.<sup>8</sup>

ელემენტოვანი ანალიზი — ეს არის „ენის შესახებ ახალი მოძღვრების ტექნიკა“. ის არ გამოორიცხავს შედარებას; პირიქით, სწორედ ეს არის შედარების ახალი ტექნიკა, — ელემენტოვანი შედარება. რა შეიძლება შევუდაროთ ერთმანეთს? ნებისმიერი ენის ნებისმიერი სიტყვა: ქართული სიტყვა შეიძლება შევუდაროთ ჩინურს ისევე, როგორც ლათინურს, არაბულს — ისევე, როგორც ჩუვაშურს, თურქულს ისევე თავისუფლად, როგორც ბასკურსაც... საკმარისია მხოლოდ გამოვანახოთ, რა ელემენტი „უღევს“ სიტყვას საფუძვლად. ასე, მაგ., აკად. ნ. მარი ერთმანეთს უდარებს კიდევ: „ქართ. წყალ -ს, სომხ. ჯურ -ს „წყალი“, თურქ. სუ -ს „წყალი“, ჩინურ შუ -ს „წყალი“ — ყველა ისინი უკავშირდება სალ ელემენტს... ელემენტების მეშვეობით ერთმანეთს „უკავშირდება რუს. и з - р е к - а т ь „წარმოთქმა“, სვან. რ ა ქ ე „თქვა“, სომხ. ძ ა მ ნ „ხმა“, ქართ. ე ნ ა, ინგლ. t o n g u e „ენა“, ლაზური ჭ ა ნ ა ფ ა „დაძახება“... ელემენტოვანი ანალიზის მეშვეობით აკად. ნ. მარი ამტკიცებს, რომ „იფეტტი“, „კარაპეტი“, „პრომეთე“ ლინგვისტურად ერთი და იგივეა. იმავე ელემენტოვანი ანალიზის გზით ნ. მარი „ადგენს“, რომ კ უ ლ ტ უ რ ა თურქული სიტყვაა, (იხ. Н. Марр, О лингвистической поездке в Восточное Средиземноморье: 1934, გვ. 95).<sup>9</sup>

ასეთია ენის შესახებ ახალი მოძღვრების, აკად. ნ. მარის იაფეტური თეორიის ანალიზის მეთოდი.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა: დავუშვათ, რომ დედამიწის ყველა ენის **ყველა სიტყვა** მომდინარეობს ოთხი ელემენტისა-

<sup>8</sup> Н. М а р р, Яфетическая теория. Общий курс учения о языке. — Избр. работы, т. II, 1928, გვ. 16.

<sup>9</sup> ელემენტოვანი ანალიზის დახმარებით — შედარების ახალი ტექნიკით — აკად. ნ. მარი ამტკიცებს, რომ: „თურქული ენა უკავშირდება მიდიურს, ელამურს, შუმერულს, ხალდურს“ (Н. Марр, О лингвист. поездке в Восточное Средиземноморье: 1934, გვ. 62-61); „...თურქულ ენას აქვს „მნიშვნელობა მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით“ (იქვე, გვ. 25); ქართული ენის თურქულთან ნათესაობა „საფუძველშივე უდავოდებულეა“ (იქვე, გვ. 25)... „ისტორიულად დოკუმენტირებულ არც ერთ ეპოქაში ხმელთაშუა ზღვის აუზის წარმოდგენა თურქების გარეშე და თურქებისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის გარეშე ყოვლად შეუძლებელია“ (იქვე, გვ. 9)... თურქები იმყოფებიან ევროპული ცივილიზაციის „უძველეს შემქმნელთა რიცხვში“ (გვ. 97)... და ა. შ.

გან (სალ, ბერ, ღონ, რომ).

რა გამოდის აქედან? სად მივყავართ მტკიცებას, რომ იმთავითვე იყო ოთხი ელემენტი?

რაკი ყველა ერთი და იმავე (ოთხი!) ელემენტისაგან მომდინარეობს, ყველა ენას საერთო წარმომავლობა ჰქონია: მაშასადამე, არ არის და არც შეიძლება იყოს ენები, რომლებიც განსხვავდებიან ამოსავალი ენობრივი მასალით, ამოსავალი სიტყვაძირებით (გამოდის, რომ — ტექნიკური ენით თუ ვილაპარაკებთ — ყველა ენა ერთი ძირისაა).

მაშ, ასე, ელემენტებმა — ამ საერთო ამოსავალმა მასალამ ნ. მარის მიხედვით განაპირობა წარმოშობითი ერთობა და შემდეგ — ენობრივი შემოქმედების (გლოტოგონიური) პროცესის ერთობა: ერთობა და არა ერთგვარობა (საერთო ამოსავალი მასალის გარეშე, როდესაც გვაქვს განვითარების საერთო ფაქტორები — ჩვენ გვეჩვენებოდა ერთგვარობა და არა გლოტოგონიური პროცესის ერთობა). ადამიანის მეტყველების ერთიანი საწყისი, ენობრივი შემოქმედების ერთიანი პროცესი — ნაკარნახევია ამოსავალი მასალის ერთობით (ოთხი ელემენტით).

მაგრამ განსხვავებული ენები კი არსებობენ: განსხვავებულნი — ლექსიკური შემადგენლობით, განსხვავებულნი — სიტყვის აგებულებით, განსხვავებულნი წინადადების წყობით, მეტად თუ ნაკლებად განსხვავებულნი ბგერითი შედგენილობით: ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

საიდან მივიღეთ ეს სხვაობა? თუკი დასაბამიერი მასალა ყველა ენას საერთო აქვს, თუკი ენობრივი შემოქმედების პროცესი ერთიანია, როგორ წარმოიშვა სხვადასხვა ენები? რით არის განპირობებული ენათა განსხვავება?

ნ. მარის პასუხი ასეთია: სხვადასხვა ენები განასახიერებენ განვითარების სხვადასხვა საფეხურებს: ენათა განსხვავება განპირობებულია იმ ადგილით, რომელიც მოცემულ ენებს (ენათა ჯგუფს, ენათა ოჯახს) ეკუთვნის ენობრივი შემოქმედების ერთიან პროცესში (გლოტოგონიაში). ნ. მარი ერთიანი გლოტოგონიური პროცესის დიდ მონაკვეთებს **განვითარების სტადიებს** უწოდებდა. ერთი სტადიის ფარგლებში შეიძლება მოთავსდეს რამდენიმე ენობრივი სისტემა (ე. ი. ენათა ოჯახები).

\* \*

\*

რით არის განპირობებული სხვადასხვა სტადიები? ისინი გამოხატავენ „ძვრებს ენასა და აზროვნებაში“, რომლებიც თავის მხრივ განპირობებულია „ძვრებით წარმოების ტექნიკაში“ — ასეთია ზოგადი პასუხი.

როგორი უნდა იყოს ეს „ძვრები ენაში“, რომ შეგვეძლოს ლაპარაკი ახალი სტადიის შესახებ? სხვა სიტყვებით: რა ნიშნების მიხედვით გამოიყოფა „ენის სტადია?“ ცნობილი არ არის: პასუხს ამ კითხვაზე ვერ ვი-

პოვით ვერც ნ. მართან, ვერც მის მიმდევრებთან.<sup>10</sup>

რამდენი ენობრივი სტადია გვაქვს არსებულ ენებში? ეს ზუსტად ცნობილი არ არის. ნ. მარის ენებს განვითარების სტადიების მიხედვით საორიენტაციოდ აჯგუფებს შემდეგი სქემის მიხედვით:

- I. ენები... პირველადი პერიოდისა: 1. ჩინური, 2. შუა და შორეული აფრიკის ენები.
- II. ენები... მეორეული პერიოდისა: 1. უნგრულ-ფინური ენები, 2. თურქული ენები, 3. მონღოლური ენები.
- III. ენები... მესამეული პერიოდისა: 1. იაფეტური ენები, 2. ქამიტური ენები (ახლო და შორეული აფრიკის ენები).
- IV. ენები... მეოთხეული პერიოდისა: 1. სემიტური ენები (არაბ., ებრ.), 2. ინდოევროპული ენები (კლასიკური დამწერლობის ენები: ინდური, ბურძნული, ლათინური). **Н. М а р р, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком? — Избр. раб., ტ. II, გვ. 405).**

ამ სქემაში ენები განლაგებულია ოთხ ქრონოლოგიურ „ფენად“, იმის შესაბამისად — „როდის გაჩნდნენ ისინი“, „განვითარების რა საფეხურს წარმოადგენენ“.

როგორც სქემიდან ჩანს, განვითარება ჩინური ენიდან იწყება, ინდოევროპული ენებით კი სტადიური განვითარება ბოლოვდება. რა ადგილია უჭირავს ჩვენს ენებს, იბერიულ-კავკასიურ ენებს (იაფეტურ ენებს — ნ. მარის ტერმინოლოგიით)? ნ. მარის სქემაში ჩვენი ენები ერთი საფეხურით უფრო დაბლა დგას, ვიდრე ინდო-ევროპული ენები, — ისინი მიჩნეულია მესამეული პერიოდის ენებად, — ისინი წინ უსწრებენ ინდოევროპულ ენებს: ინდოევროპული ენები სხვა არაფერია, თუ არ მათი მომდევნო საფეხური, იაფეტური ენები წინა საფეხურია.

ნ. მარის წერს: „ინდო-ევროპული ენები წარმოადგენენ იმავე იაფეტური ენების მხოლოდ ახალ ფორმაციას“.<sup>11</sup>

როგორ წარმოიშვა ეს ახალი ფორმაცია? ნ. მარის ამბობს: „ინდო-ევროპული ენები... განსაკუთრებული სახის შეჯვარების შედეგია, რაც გამოწვეული იყო საზოგადოებაში მომხდარი გადატრიალებით; ეს დამოკიდებუ-

<sup>10</sup> „საკითხი სტადიებისა და სისტემების შესახებ წამოყენებული იყო ზოგადი მსჯელობის საფუძველზე ისე, რომ ენები ახლად წამოყენებული პრინციპის მიხედვით კონკრეტულად განაწილებული არ ყოფილა. სტადიების რიცხვი დაზუსტებული არ არის, არ არის აგრეთვე გამოვლენილი არც სტადიის დამახასიათებელი ნიშნები, ცალკეული ენობრივი ჯგუფების სისტემები კი (ე. ი. ენათა ოჯახები — ა. ჩ.) სრულიად არ არის დეტალურად დამუშავებული“ (Акад. И. Мещанинов, Проблема классификации языков в свете нового учения о языке, 1935, გვ. 31).

<sup>11</sup> მაინც არ არის ნათქვამი, თუ რაში გამოიხატება ეს — არც აქ, არც სადმე სხვაგან!

ლი იყო წარმოების ახალ ფორმაზე, რომლებიც, როგორც ჩანს, ლითონების აღმოჩენასა და მეურნეობაში მათ ფართო გამოყენებასთან არის დაკავშირებული (Н. Марр, *Индоевропейские языки Средиземноморья*. — Избр. раб., I, გვ. 185).

ამგვარად, ფაქტი დადგენილია; განმარტებაც მოცემულია: მეტალურგიის განვითარება — ეს ბაზისშია; იაფეტური ენების ტრანსფორმაცია ინდოევროპულ ენებად — ეს ზედნაშენია; „ძვრები წარმოების ტექნიკაში“ — „ახალი საფეხური ენათა განვითარებაში“ — ერთი სიტყვით, ნამდვილი მარქსიზმია, მეცნიერულად დასაბუთებული დებულება!

ერთია მხოლოდ საკვირველი: მეტალურგიის შემქმნელები ჩვენი ხალხებია (იაფეტიდები); ეს ყველასათვის ცნობილია (თვით ნ. მარს ეს არა ერთხელ გაუხაზავს). მეტალურგია ვითარდება იაფეტურ ხალხებთან; ამან გამოიწვია შესაბამისი ენების განვითარება, რის შედეგადაც გაჩნდნენ... ინდოევროპული ენები. თვით იაფეტურ ენებს კი რა მოუვიდათ? ისინი გარჩნენ მესამეულ პერიოდში, იმყოფებიან განვითარების იმავე საფეხურზე, რომელზედაც იყვნენ მეტალურგიის განვითარებამდე.

როგორაა შესაძლებელი ასეთი რამ?

ნ. მართან ამაზე გარკვეულ პასუხს ვერ იპოვით (საერთოდაც, ბუნდოვანება არის იაფეტური თეორიის საიმედო ფარი).<sup>12</sup>

ნ. მარის ცალკეული გამონათქვამების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განვითარების სურათი მას დაახლოებით ასე ჰქონდა წარმოდგენილი: ენა — „მშობელი“ გარჩება თავის საფეხურზე (სტადიაზე), „წარმოქმნილი ენა კი“ განაგრძობს განვითარებას.

აი, რას ამბობს ნ. მარი: „მთელი მსოფლიოს ენები წარმოდგენს ერთიანი გლოტოგონიური პროცესის პროდუქტს და წარმოშობის დროის მიხედვით განეკუთვნება ამა თუ იმ სისტემას, რომლებიც ერთმანეთს ცვლის, თანაც შეცვლილი სისტემების ენები განასხვავებენ ხალხებს, რომლებიც ჩამოსცილდნენ საერთო მსოფლიო მოძრაობას — მიუხედავად იმისა, ისევ ჩაითრია ისინი თუ არა მსოფლიო მეურნეობამ და მსოფლიო საზოგადოებამ ცხოვრების მსოფლიო ფერხულში — გაიარეს თავისი დიდი კულტურული განვითარების ახალი ისტორიული გზა იმ ენასთან ერთად, რომელიც ჩამოსცილდა სისტემის საერთო განვითარებას, თუ იმ ენასთან ერთად, რომლის სისტემამ დრო მოჰაშა — ან ესა თუ ის ხალხები მთლიანად, მეურნეობითაც და საზოგადოებითაც, გაჩნდნენ კაცობრიობის განვითარების შესაბამის საფეხურზე (Н. Марр, *Язык*. — Избр. раб., ტ. II, გვ. 135).

<sup>12</sup> ახლად განვითარებულ ენასა და ენას, რისგანაც განვითარდა ის, ერთად არ შეუძლია არსებობა; სხვათა შორის ამით თუ განსხვავდება ენა ცოცხალი ორგანიზმისაგან; აქ თანაარსებობა შეუძლებელია ორ თაობას, მამასა და შვილს, ზოგჯერ კი ოთხივე თაობას — პაპიდან შვილიშვილის შვილამდე.

ამ ფრაზის აზრი ასეთია: ერთიან გლოტოგონიურ პროცესში სისტემები (ჯგუფები, ენათა ოჯახები) ერთმანეთს ცვლიან; შეცვლილი სისტემები — ეს დრომოჭმული სისტემებია; ასეთი დრომოჭმული ენები დამახასიათებელია იმ ხალხებისათვის, რომლებიც „ჩამოსცილდნენ საერთო მსოფლიო მოძრაობას“.

ასეთი ენები (ე. ი. შეცვლილი ენები) გარჩება ხოლმე გარკვეულ სტადიაზე: მეტად ისინი ვერ განვითარდებიან, მაშინაც კი, თუ ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები კვლავ იქნებიან ჩათრეული მსოფლიო ცხოვრების ფერხულში — მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო საზოგადოების მიერ: „იძულებული ვიქნებით დაგვყოფილდეთ დრომოჭმული სისტემის ენით, იძულებული ვიქნებით, რომ „დიდი კულტურული განვითარების ახალი ისტორიული გზა“ ასეთი ენით განვვლოთ.

ასე იქნება, რასაკვირველია, საუკეთესო შემთხვევაში; უარეს შემთხვევაში კი შეიძლება „გავრჩეთ“ „კაცობრიობის განვითარების“ განსაზღვრულ „საფეხურზე“ არა მარტო ენით, არამედ მეურნეობითაც და საზოგადოებითაც.

ერთი სიტყვით: „მსოფლიო მოძრაობისაგან“ გამოთიშვა წყვეტს ენის განვითარებას, ამ ბედუკუდმართ მსოფლიო მოძრაობაში კვლავ ჩართვა კი არ განაახლებს განვითარებას.

მაშასადამე, განაჩენი „შეცვლილი ენების“ მიმართ, რომლებიც გამოეთიშნენ მსოფლიო მოძრაობას, — საბოლოოა: ეს ენები დაკავშირებულია ერთიანი გლოტოგონიური პროცესის განსაზღვრულ საფეხურთან, — ისტორიამ მიუზომა მათ საზღვრები, რომელთაც ვერ გადალახავენ.

„მსოფლიო მოძრაობიდან“ ამოვარდნილი ასეთი შეცვლილი ენებითაა ავსებული ნ. მარის სტადიური სქემის პირველი, მეორე და მესამე პერიოდები. მხოლოდ ასეთი გაყინვით გარკვეულ სტადიებზე შეიძლება აიხსნას ის, რომ ახლა ერთადაა წარმოდგენილი ჩინური ენაც (ენა პირველი პერიოდისა) და ინდოევროპული ენებიც (ენები მეოთხეული პერიოდისა): ყველა ოთხი სტადიის ენები არსებობს ერთმანეთის გვერდით.

როგორია ჩვენი ენების ბედი ნ. მარის სტადიური სქემის მიხედვით? იაფეტიდებმა, მეტალურგიის შემქმნელებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ „მსოფლიო მოძრაობის“ პროცესში, სიცოცხლე მიანიჭეს ინდოევროპულ ენებს, თვითონ კი გამოეთიშნენ „მსოფლიო მოძრაობას“ და გარჩნენ მესამეულ პერიოდში ისე, რომ ვერ მიაღწიეს „მეოთხეულ“ პერიოდამდე: „მეოთხეული“ პერიოდი, რომელიც წარმოშობის დროის მიხედვით ყველაზე გვიანდელია და განვითარების საფეხურის მიხედვით ყველაზე მაღალი, სემიტურ (არაბ., ებრ...) და ინდოევროპულ ენათა ზვედრი აღმოჩნდა.

იაფეტურმა ენებმა ვერ მიაღწიეს მეოთხეულ პერიოდამდე, ისინი — თუ დაუჭერებთ ნ. მარის იაფეტურ თეორიას — მას ვერც ვერასოდეს

მილწევინ: იაფეტური ენები „შეცვლილი სისტემა“, ამოვარდნილი „მსოფლიო მოძრაობიდან“.

მაშასადამე, ქართულმა ენამ ვერ მიიღო ლათინური ენის დონემდე: გარჩა განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე; ადრეული საფეხური ტოლფარდია დაბალი საფეხურისა — ამ საფეხურზე ის მიჯაჭვულია, ნ. მარის სტადიური თეორიის თანახმად.

ასეთია ისტორიის განაჩენი, თუ დავუჭვრებთ იაფეტურ თეორიას. თუმცაღა საეჭვოა, ამ განაჩენმა ვინმე შეაშფოთოს: ხალხებს, რომლებიც გამოეთიშნენ ისტორიული განვითარების ნაკადს და არა აქვთ განვითარების უნარი, მატერიალისტური მეცნიერება არ იცნობს; არ არის ცნობილი არც ასეთი ენები.

იაფეტური ენები (ე. ი. იბერიულ-კავკასიური ენები) განვითარების არა რაღაც მითოლოგიური სტადიაა, რომელიც ამასთანავე კიდევ იაფეტური თეორიის გამოგონილი სქემის საამებლად არ ვითარდება, გაყინულია.

იაფეტური ენები — ძველი მრავალრიცხოვანი ენათა ჯგუფის ცოცხალი წარმომადგენლებია, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები კი კაცობრიობის ისტორიაში მიჩნეულია წინა აზიის უძველესი ცივილიზაციის შემქმნელად, ცივილიზაციისა, რომელმაც გამოკვება ბერძნულ-რომაული ძველი ცივილიზაცია და, მაშასადამე, დასავლეთ ევროპის მთელი კულტურა.

ამ უძველესი ცივილიზაციის მკვდარი ენები — ხეთური ენები, ხურიტული, ურარტული (ხალდური), არ არის არც ინდოევროპული, არც სემიტური და არც ურალურ-ალთაური (როგორც ამ ენათა ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტები ფიქრობენ).<sup>13</sup>

ეს ენები თავისებურია; ისინი გენეტურად შეიძლება დავუკავშიროთ მხოლოდ ასეთივე თავისებურ ცოცხალ იბერიულ-კავკასიური წრის ენებს (სადაც შედის აგრეთვე ბასკური ენაც). ჩვენ წინ ხეთურ-იბერიული წრის ენათა თვითმყოფადი სამყაროა.

ასე ფიქრობდა ერთ დროს ნ. მარიც. ასე ფიქრობს დღემდე ბევრი ავტორიტეტული სპეციალისტი, ამასთან, არა მარტო ჩვენი, საბჭოთა მეცნიერები, არამედ უცხოელებიც, რომლებიც საეჭვოა, საზოგადოებრივად დაინტერესებული იყვნენ იმის აღიარებით, რომ არსებობს გენეტური კავშირი ჩვენსა და წინა აზიის უძველეს ენებს შორის.

„ჩვენ უნდა დავეთანხმოთ შუხარდტს იმაში, — წერდა, მაგ., იტალიელი ლინგვისტი — პოლიგლოტი ტრომბეტი, — რომ კავკასიის ფარგლებ-

<sup>13</sup> ფ. ჰროზნი ზოგიერთი ხეთური ენის ინდოევროპულობაზე ლაპარაკობს მხოლოდ მორფოლოგიაზე მითითებით: ამ ენათა ლექსიკა, ფ. ჰროზნის აზრითაც კი, თავის საფუძველში არ არის ინდო-ევროპული; მაგრამ მორფოლოგიაშიც სადაოდ გაუხდიათ სხვა საზღვარგარეთელ მეცნიერებს (მაგ., ფორერს) ხეთური ენების ინდო-ევროპულობა.

ში თავი მოუყრიათ ხალხებს, რომელნიც წინათ გავრცელებული იყვნენ გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე. უახლესი გამოკვლევები, ჩანს, იმაში ეთანხმება ერთურთს, რომ ოდინდელ კავკასიურ ენათა ჯგუფს მეტნაკლებად უკავშირდება შემდეგი ენები: ხალდური, მიტანი (ჰურიტული), ელამური, ხეთური, ეტრუსკული, კრეტული, იბერიული (ესპანეთში) და ბასკური“ (იხ. ა. ღირი: „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი“, 1928 წ., გერმ. ენ.).

ასე წერენ — იძულებული არიან წერონ საქმის რეალური ვითარების გამო! — უცხოელი სპეციალისტები. ეკადრებათ განა საბჭოთა მეცნიერებს აშკარა ფაქტების წინააღმდეგ ამტკიცონ: არა, ეს ენები მხოლოდ და მხოლოდ განვითარების საფეხურია, ამასთანავე კიდევ გაყინული, ამოვარდნილი „მსოფლიო განვითარების“ საერთო პროცესიდან.

აკად. ს. ჯანაშია, როდესაც ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა დიდი შრომა გასწია იაფეტურ ენათა შესასწავლად აკად. ნ. მარმა, შენიშნავდა: „მაგრამ შემდეგ ნ. მარი შეცდა, ყველა ენა მათი განვითარების განსაზღვრულ, ძველ საფეხურზე იაფეტურად რომ ცნო“ (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია: „საქართველოს ისტორია“ — რუსული ტექსტი, 1946 წ. გამოცემა, გვ. 17). ავტორი ნ. მარის შეცდომას სწორედ იმაში ხედავს, რომ იაფეტური ენები გამოცხადებული იყო განვითარების სტადიალად.

ნ. მარის სტადიურ სქემაში იაფეტურ ენათა ბედი ნიშანდობლივია. სხვა ენებიც არ არის უკეთეს დღეში (რასაკვირველია, გარდა ინდო-ევროპული და სემიტური ენებისა).

როგორ წყდებოდა ამ ენების საკითხი „ძველ ენათმეცნიერებაში“? მხედველობაში გვაქვს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, რომელიც, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, წარმოიშვა ენის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის შედეგად.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, რომელიც ამოსავალში განსხვავებულ ენობრივ მასალას ვარაუდობს, ენებს აჯგუფებს წარმოშობის მიხედვით (გენეტური პრინციპის მიხედვით). ასე, მაგ., „სამის“ ლათინური სახელია *tres* („ტრეს“), ძვ. ინდურად — *trayas* („ტრადას“), რუს. — *три* „სამი“: ამ შემთხვევაში რუსულს, ლათინურს, ინდურს აქვს საერთო ამოსავალი მასალა, საერთო ძირი. ქართულად ამ რიცხვითი სახელისათვის გვაქვს „ს ა მ ი“, თურქულად — „უჩ“: ქართული „სამი“ არ უკავშირდება არც თურქულ „უჩ“-ს, არც ლათინურ „ტრეს“-ს: ესენი სხვადასხვა ძირებია. მათი შედარება არ შეიძლება: ქართული ენა არ ენათესავება არც ინდოევროპულ ენებს, არც თურქულ ენას.

მონათესავე ენები ქმნიან ჯგუფს, ე. ი. „ენათა ოჯახს“. ასეთებია, მაგალითად: ხეთურ-იბერიული ოჯახი (ცოცხალი იბერიულ-კავკასიური ენე-

ბით), ინდოევროპული ენები, სემიტური ოჯახი, უნგრულ-ფინური ოჯახი.

ასეთია ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია ოჯახების მიხედვით (ე. ი. წარმოშობით, ამოსავალი მასალის მიხედვით).

გენეალოგიურ კლასიფიკაციაში ენათა ოჯახები განლაგებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას — „ჰორიზონტალურ სიბრტყეზე“, „ერთმანეთის გვერდით“; მათ აქვთ დამოუკიდებელი წარმოშობა, კონკრეტული ენობრივი ინდივიდუალობა და დამოუკიდებელი განვითარების ისტორიული გზები (რაც, რასაკვირველია, არ გამორიცხავს განვითარების განსაზღვრული მომენტების ერთგვარობას, განპირობებულს ხალხთა საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების განვითარების საერთო მომენტებით; მაგრამ ეს ერთგვარობაა და არა ერთობა, რამდენადაც განვითარების ამოსავალი მასალა სხვადასხვაგვარია).

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მოწოდებულია, ენათა ისტორიული განვითარების გზები ჯერ ცალკეული ოჯახების ფარგლებში გააშუქოს და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰკიდოს ხელი, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა კონკრეტული მასალა, იმის გარკვევას, თუ ისტორიულად რა ურთიერთობა არსებობს სხვადასხვა ოჯახებს შორის.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ქებით მოიხსენია ენგელსმა (იხ. ანტი-დიურინგი, VI რუს. გამოც., გვ. 233): ენგელსი ისტორიულ-შედარებით მეთოდს იყენებდა თავის საენათმეცნიერო გამოკვლევებში (მარქსი ენგელსს შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტს უწოდებდა).

თავის ნაშრომებში („ანტი-დიურინგი“, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, გამოკვლევები გერმანულ დიალექტებზე) ენგელსი გენეალოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისზე დგას. აქედან ჩანს, სხვათა შორის ის, თუ რამდენად უსაფუძვლოა ნ. მარის მტკიცება, თითქოს გენეალოგიური კლასიფიკაცია არის რასისტული ცნება.

ნ. მარის იაფეტურმა თეორიამ უარყო ისტორიულ-შედარებითი მეთოდი: ის შეცვალა პალეონტოლოგიურმა მეთოდმა (ელემენტოვანმა ანალიზმა). ნ. მარის იაფეტური თეორია უარყოფს მასალის მიხედვით ენათა სხვადასხვაგვარ წარმოშობას. გენეალოგიური კლასიფიკაცია შეცვალაო სტადიურმა: ჰორიზონტალური განლაგება შეიცვალა ვერტიკალურით — იმ ადგილის მიხედვით, რაც უპირავს მას ერთიან გლოტოგონიურ პროცესში.

ნ. მარმა გააუპიროვნა ენები, როდესაც ყველა ისინი დაიყვანა ოთხ ელემენტამდე, ადამიანის მეტყველების მთელი სიმდიდრე გაუთანაბრა მის მიერ შექმნილ მისტიკურ ოთხ ელემენტს. ნ. მარი ამ გაუპიროვნებელ ენებს განვითარების საფეხურებად ალაგებს და ინდოევროპული (და სემიტური) ენების განსაკუთრებულ უპირატესობას ამტკიცებს: ვერც ერთმა ენამ ვერ მიაღწია იმ საფეხურს, რაზედაც აღმოჩნდნენ ინდოევროპული



ენები, — ყველა სხვა ენა გაიყინა მეტად თუ ნაკლებად ადრეულ, არქაულ საფეხურზე.<sup>14</sup>

და ყველაფერი ეს კეთდება ვითომდაც რასიზმთან ბრძოლის ნიშნით. მაგრამ ასეთ მტკიცებამდე ზომ არც ერთი რასისტი არ მისულა!

ძირითადი სიავე ნ. მარის იაფეტური თეორიისა არის — „მოძღვრება ელემენტებზე“, — ელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზი. ჩვენ დავინახეთ, სადამდე მივყავართ მას. მაინც როგორ გაჩნდა ეს მოძღვრება? მაინც როგორ და სად მოხერხდა დამტკიცება იმისა, რომ ყველა ენა მომდინარეობს ოთხი ელემენტისაგან (სალ, ბერ, ფონ, რომ)? ეს არსად არავის დაუმტკიცებია: ასეთი რამ საერთოდ არ შეიძლება დამტკიცდეს; ნ. მარს არც უცდია, სადმე დაემტკიცებინა თავისი ძირითადი დებულება; დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! (ეს ელემენტები — ტომთა სახელები — ნ. მარმა ნებისმიერად შეარჩია: ტომთა სახელები ყველაზე ძველი სახელებია!).

აბეზარ კითხვაზე — რატომ მაინცა და მაინც ოთხი ელემენტი, — ნ. მარი ფანტასტიკურ განმარტებას იძლევა (როგორცაა: ქვეყნის ოთხი მხარე — ოთხი ელემენტი!), ბოლოს მან ისიც კი თქვა, რომ „ზოგიერთი რამ არ საჭიროებს დამტკიცებას, მათი მხოლოდ ჩვენება შეიძლება“ (Н. Марр, К Бакинской дискуссии об яфетидологии и марксизме, 1932, გვ. 44).

ასე გამოცხადდა თეორემა, რომლის დამტკიცება შეუძლებელია, აქსიომად.

წარმოვიდგინოთ, რომ თავიდან (ე. ი. მრავალი ათეული ათასი წლის წინ) იყო ოთხი ელემენტი. აქედან წარმოიქმნა რამდენიმე ასეული ენა და სულ ცოტა, რამდენიმე ათასი ძირი. შესაძლებელია კი დღეს მივაგნოთ ამ ძირებს, დავადგინოთ რომელი ელემენტი უდევს საფუძვლად სიტყვის ძირს (ნ. მარის მიხედვით — „ამის გარეშე შედარებითი ანალიზი ფუჭია“)?

თანამედროვე ენათა სიტყვებში ასეთი საწყისი ელემენტების ძიება ნიშნავს, გააუქმო ისტორია, რომელმაც წარმოქმნა მრავალი სრულიად სხვადასხვა ენა, ეს ნიშნავს იმას, რომ მეცნიერება (ენის შესახებ) ჩამოაქვეითო ექიმბაშობამდე.

ნ. მარის მოძღვრება ელემენტების თაობაზე არის გამოხატვა საოცარი ანტიისტორიზმისა, ეს არის უარის თქმა აზროვნების ელემენტარულ მეცნიერულ ხერხებზე.

<sup>14</sup> ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება არ უარყოფს ამა თუ იმ ენაში არქაული თვისებების არსებობას, უფრო არქაული ან ნაკლებად არქაული ენების არსებობას, მაგრამ ამას არ მივყავართ დისკრიმინაციამდე: ბასკური ენის არქაული არ ქმნიდა საშიშროებას, რომ ის ლათინურ ენასთან შედარებით გამოცხადებული იქნებოდა განვითარებას მოკლებულ ენად: ბასკური და ლათინური სხვადასხვა ძირის, სხვადასხვა წარმოშობის ენებია. გარდა ამისა, ბასკური ენის არქაულობა სრულიადაც ვერ ართმევს მას განვითარების უნარს.

დამახასიათებელია, რომ თურქი რასისტები მოეჭიდნენ ნ. მარის ელემენტოვანი ანალიზის პრინციპს; მაგრამ უფრო მოსახერხებლად მიიჩნიეს „დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვა დაეყვანათ არა ოთხ, არამედ ერთ ელემენტამდე — ესაა თურქ. „გაუნ-“ „მზე“: ასე მარტივად „დამტკიცებულ იქნა“, რომ ყველა ენა წარმოიშვა თურქული ენისაგან!

როგორია დასკვნები?

1. ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია (მოდერნება სტადიებზე) მჭიდროდ არის დაკავშირებული პალეონტოლოგიურ მეთოდთან (ელემენტოვანი ანალიზი!) და იაფეტური თეორიის დებულებასთან ერთიანი გლოტოგონიური (ენობრივი შემოქმედების) პროცესის შესახებ.

2. ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია, რომელიც გამომდინარეობს ელემენტების შესახებ მოძღვრებისაგან, მეცნიერულად უსაფუძვლოა, საზოგადოებრივად მიუღებელი.

5. მარის ლიტონი განცხადების მიუხედავად, სტადიური კლასიფიკაცია არათუ არ უთხრის ძირს ცრუმეცნიერული რასიზმის პრინციპულ დებულებებს, არამედ შინაგანი აუცილებლობით თავად მივყავართ მას ანტი-მარქსისტულ, ანტიმეცნიერულ რასისტულ მტკიცებამდე.

3. მხოლოდ რეალური ვითარების უცოდინარობის შემთხვევაში ან პასუხისმგებლობის გრძნობის სრული უქონლობის პირობებში შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ნ. მარის იაფეტურ თეორიაში (ელემენტოვანი) პალეონტოლოგიური ანალიზი, დებულებები ერთიანი გლოტოგონიური პროცესისა და ენათა სტადიური კლასიფიკაციის თაობაზე, არის მატერიალისტური ენათმეცნიერების მიღწევა: ამ „მიღწევებმა“ შეიძლება მხოლოდ სახელი გაუტეხოს მატერიალისტურ მეცნიერებას ენის შესახებ, — საბჭოთა ენათმეცნიერებას.

4. ნ. მარის იაფეტური თეორიის მარცხის მიზეზია საოცარი ანტიისტორიზმი. ამ ანტიისტორიზმის განსახიერებაა ელემენტოვანი ანალიზი: როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ნაწილშიც (ბურჟუაზიული ენათმეცნიერების კრიტიკა).

ელემენტოვან ანალიზზე ნ. მარის მიმდევრებმა უარი თქვეს 1940 წ., დებულებებს კი, რომლებიც წარმოქმნა ამ ანალიზმა,<sup>15</sup> დღემდე წარმო-

<sup>15</sup> შეიძლება კი ელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზის გარეშე დაისვას საკითხი ენის სტადიურობის შესახებ? შეიძლება, — მაგრამ მხოლოდ ენათა ისტორიის საფუძველზე. მაშასადამე, **სტადიურ ანალიზს არ შეუძლია** შეცვალოს ისტორიული მიდგომა, მაგრამ უნდა ეფუძნებოდეს მას; გენეალოგიური კლასიფიკაციის შეცვლა

გვიდგენენ როგორც მატერიალისტური ენათმეცნიერების მიღწევებს.

5. ეს შეინიშნება არა მარტო ზოგი „უენო ლინგვისტის“ ნაკლებად საპასუხისმგებლო გამოსვლაში (მაგ., პ. სერდიუჩენკოსი „ლიტერატურულ გაზეთში“).

უმაღლესი სკოლის სამინისტროს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლის სამმართველო საქვეუწყებო დაწესებულებებს ავალებს „ენათმეცნიერების შესავლის“ პროგრამაში შეიტანოს ნ. მარის მოძღვრება სტადიუმზე, მოძღვრება ერთიან გლოტოგონიურ პროცესზე, როგორც აუცილებელი სასწავლო მასალა.

ჟ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების  
წელიწადეული“, XII, 1985, გვ. 24-38

---

სტადიური დახასიათებით არ შეიძლება, ის უნდა ეყრდნობოდეს ენათა ისტორიულ-შედარებითი (გენეალოგიური) კლასიფიკაციის ზუსტ მონაცემებს.

აი, ეს კი იაფეტიდოლოგებს არა აქვთ (არა აქვს, კერძოდ ი. მეშჩანოვს, რომელმაც უარი თქვა ნ. მარის ელემენტოვან ანალიზზე, მაგრამ არ დადგა ისტორიზმის პრინციპზე).

## КОГДА И КАК ЭТО БЫЛО

Краткий наш доклад (О стадиях развития языка Н. Марра)<sup>1</sup> написал давно, в 1949 г. (в разгар господства в советском языкознании "Нового учения о языке" акад. Н. Я. Марра).

Доклад был написан по предложению тогдашнего руководителя Республики — Чарквиани Кандида Несторовича,<sup>2</sup> куратора 8-томного "Толкового словаря грузинского языка" (I т. — 1950 г., VIII т. — 1964 г.).

В 1949 г. Н. Я. Марра не было в живых (он скончался в 1934 году), но "Новое учение" Н. Я. Марра неограниченной властью пользовалось как воплощение единственной марксистской теории, противостоящей "буржуазной" реакционной индоевропеистике".

"Новое учение" Н. Марра создавалось в 1923-1926 гг. на основе четырехэлементного палеонтологического анализа: все языки якобы ведут начало от одного и того же материала (племенных названий: S a l, B e r, J o n, R o ſ, и их многообразных скрещений). Почему именно "четыре элемента", конечно, не уточнялось Н. Марром (вольная гипотеза об "изначальном состоянии").

Однако Н. Марр считал, что и т е п е р ь в любом слове можно и должно выявить исходный элемент: без этого сравнение языков недопустимо; если же элемент "выявлен", можно сравнивать без ограничений слова любых языков (китайского, финского, грузинского, еврейского...).

Так насаждался неслыханный произвол в сравнении с л о в и я з ы - к о в.

Никто не стал бы считаться с такими "суждениями", но это заявлял академик Марр, крупнейший востоковед, автор ценнейших исследований по армянской и грузинской филологии, известный исследователь картвельских языков и ряда других языков Кавказа.

С п а л е о н т о л о г и ч е с к и м э л е м е н т н ы м анализом внутренне связана и марровская теория стадийного развития: по исходному материалу в языках наблюдается единство, различаются же они по ступеням (с т а д и я м) развития.

Н. Марр и его "Новое учение" опиралось не только и не столько на научный авторитет старых работ Н. Марра.

В 1928 году Н. Марр писал: "Теперь некуда уходить: от разлагающих старое учение семян яфетической теории нельзя спастись (!) ни в какой стра-

---

<sup>1</sup> Доклад прилагается в конце статьи.

<sup>2</sup> Ныне — доктор экономических наук, директор НИИ экономики и планирования народного хозяйства.

не, ни в какой научной эмиграции, ни внешней, ни внутренней".<sup>3</sup>

На подобных средствах прежде всего и держалось монопольное положение четырехэлементного палеонтологического анализа Н. Марра.

Н. Марр скончался в 1934 году. Продолжатель Н. Марра — акад. И. И. Мещанинов — элементам (и их фонетическому "обоснованию") посвятил статью "Основные лингвистические элементы (в яфетидологическом их освещении)",<sup>4</sup> но после Н. Марра ни использованием элементов, ни их обоснованием не занимался.

Однако от монопольного положения "Нового учения" не отказывался: монополия сохранилась на основе стадильно-типологических схем.

В 1940 г. на заседании Отделения Литер. и Языка АН СССР, где обсуждался доклад А. С. Чикобава о сущности языка в понимании Пауля, Соссюра, Фосслера..., Марра... (с принципиальных установок советского языкознания), руководитель ОЛЯ акад. И. И. Мещанинов заявил, что Институт Языка и Мышления "не работает по элементам" и заслушанный доклад будет опубликован в "Известиях ОЛЯ АН СССР" (это вызвало возмущение ряда участников заседания).

Доклад с критикой элементной палеонтологии Марра в "Известиях ОЛЯ" не был напечатан,<sup>5</sup> зато была напечатана редакционная статья И. И. Мещанинова, где палеонтологические элементы уже не отклонялись: "Новое учение" без элементов не получалось. Диктатура элементов продолжалась.

В 1947 г., когда требовалось преодолеть тяжелые последствия военных лет, в Академии наук СССР была проведена дискуссия по вопросам биологии. Судьбы биологической науки оказались в руках акад. Т. Лысенко, автора стадильной теории развития растений.

Теория эта якобы могла обеспечить "двойной урожай картофеля", "ветвистую пшеницу" и т. п. блага. Началась тяжелая эра монополии акад. Т. Лысенко и его стадильной теории.

В 1948 г. в Ленинграде Института Языка и Мышления имени Н. Я. Марра провел специальную сессию, посвященную результатам дискуссии по вопросам биологии: если теория стадильного развития растений получила официальную санкцию, того же заслуживает теория стадильного развития языков Марра.

В 1949 г. Президиум Академии Наук СССР на специальном заседании обсудил "положение на лингвистическом фронте" и постановил: считать "Новое учение" акад. Н. Марра единственной материалистической марксистской теорией языка, а все, несогласное с нею, решительно устранить.

Правда, это не было постановлением директивного

<sup>3</sup> Н. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком?... "Доклад печатается в последней отделке, как он был читан в Тифлисе" (апрель 1928 г. — Н. Марр, Избранные работы, т. II, Л., 1936, с. 414.

<sup>4</sup> "Язык и мышление" (сборник ИЯМ), т. II, Л., 1934, с. 7-31.

<sup>5</sup> Он напечатан полностью в 1942 г. в "Известиях ИЯИМК". т. X, Тбилиси ("Проблема языка, как предмета языкознания..."), с. 355-409.

ორგანა, но постановление исходило от самого авторитетного научного учреждения Страны; монополия в советском языкознании была признана за "Новым учением" Н. Марра.

Инакомыслящих обвиняли во всех смертных грехах — идеологических, политических.

Ждали оргвыводов. Они уже принимались по местной инициативе (как в Армении из Ереванского гос. университета были отстранены акад. Грачья Ачарян известный лингвист, и академик-секретарь ОЛЯ акад. Гр. Капанцян).

1949 г. был не из легких в советском языкознании.

\*  
\*   \*

В начале статьи было отмечено, что весной 1949 г. мне было поручено написать статью о "стадиях развития языка" Н. Марра.

В начале апреля 1950 г. меня предупредили из директивного органа нашей Республики, что на днях мне предстоит поездка в Москву: "Вопросы языкознания будут там обсуждаться с секретарями ЦК и Вам следует подготовиться".

И вот 10 апреля вечером мы (первый секретарь К. Чарквиани, Председатель Совета Министров Республики, два министра и я) оказались в Москве на даче И. Сталина.

Обсудили лишь вопросы языка: замечания Сталина о "Толковом словаре грузинского языка" (первый том которого перед тем вышел) и вопрос о "Новом учении" Н. Марра...

Было решено провести дискуссию; дискуссионную статью поручили написать мне: "Напишите, посмотрим. Если подойдет, напечатаем. А это ваш доклад, возвращаю", и Сталин положил на стол папку (с докладом о стадиях языка), но тут же добавил: "Впрочем, пока оставлю у себя: посмотрим, как об этих вопросах Вы теперь напишете, а потом доклад верну".

\*  
\*   \*

Дискуссионную статью, написать которую мне поручили 10 апреля 1950 г., И. Сталин читал два раза и делал свои замечания. Для их обсуждения мне пришлось дважды побывать на даче И. Сталина, где обсуждения эти длились по 2-3 часа.

Сталин терпеть не мог неясностей. Вопросами языка он интересовался по существу в связи с национальным вопросом. Вопреки распространенному мнению, спорить с ним можно было. Бывало он и соглашался ("В этом Вы, пожалуй, правы!").

О палеонтологическом элементном анализе Марра ("Гадания на кофейной гуще", как это во время дискуссии называл Сталин) он информации не имел, но ультралеваая крикливая фраза Марра его отнюдь не убеждала ("Марр много кричал о марксизме, но он не был марксистом" — его выражение на встрече 10. IV. 1950 г.).

Положительно к Марру И. Сталин, видимо, не относился и до дискуссии.

Так, летом 1930 г. на XVI съезде И. Сталин имел возможность слушать приветственное выступление Н. Марра от имени ВАРНИТСО<sup>6</sup> (характерное для Н. Марра не только по стилю):

"С первых же Октябрьских дней я встал по мере своих сил плечом к плечу с товарищами-коммунистами и вместе с беспартийными созвучного закала помогал делу беспримерного по размаху революционного научно-культурного строительства... Октябрьская революция раскрепостила всех трудящихся, в числе их и ученых, томившихся в плену беспросветного идеализма".

"В условиях полной свободы, которую дает науке Советская власть, помогающая самым смелым, самым дерзким научным исканиям в области подлинного материалистического мировоззрения, я старался развивать и продолжаю, уже с новыми кадрами научных работников-коммунистов и стойких беспартийных соратников, развивать теоретическое учение о языке, в области которого я веду свою научную работу. Осознав фикцию аполитичности и, естественно, отбросив ее, в переживаемый момент обострившейся классовой борьбы я твердо стою на своем посту бойца научно-культурного фронта — за четкую генеральную линию пролетарской научной теории и за генеральную линию коммунистической партии. Такой беспартийный, я думаю, имеет право быть уполномоченным для высокой чести огласить перед вами, товарищи, ответственный документ от имени ВАРНИТСО".<sup>7</sup>

Будучи руководителем делегации ВАРНИТСО, беспартийный Н. Марр выступил на XVI съезде ВКП(б) с речью, который позавидовал бы старый член партии.

Вскоре Н. Марра приняли в Партию, и он решил расправиться с инакомыслящими.

Прежде всего это касалось Тбилисского университета, где в 1933 году ему предлагали быть ректором (работник ЦК КП Грузии К. Орагвелидзе), но Москва не дала согласия (Марр был вице-президентом АН СССР).

Неожиданно возник в Москве вопрос о чествовании 45-летия научной деятельности Н. Марра (дата неюбилейная!), что не могло не насторожить его (Н. Марр не дожил до 45-летия научной деятельности).

\*  
\*   \*

В один из очередных дней обсуждения текста проекта доклада И. Сталин в н е к о н т е к с т а произнес: "А Лысенко никому жить не дает" (про-работки биологов Тр. Лысенко, обвинения биологов в "вейсманизме-

---

<sup>6</sup> ВАРНИТСО — Всесоюзная ассоциация работников науки и техники...

<sup>7</sup> А. А. М и х а н к о в а, Николай Яковлевич Марр. Очерк его жизни и научной деятельности, Л., 1948.

Трудно поверить, что акад. Н. Я. Марр, автор этих ярко левых высказываний, в 1910 г. мог называть членов Академии наук "первенствующим в Империи сословием", а Кавказ — "жемчужиной короны". И это — лет двадцать тому назад...

морганизме" не одобрялись, видимо, И. Сталиным).

В следующий раз он повторил: "Лысенко ведь никому жить не дает".

"Говорят, — сказал я, — двойной урожай картофеля, ветвистая пшеница" (об этом тогда много писалось в газетах!).

"Двойной урожай картофеля! Ветвистая пшеница" — это еще вопрос: Лысенко же жить никому не дает", и добавил: "Мы будем его критиковать!".

\*  
\*   \*

"Стадиальное развитие растений" Тр. Лысенко было основой для того, чтобы требовать монопольного положения для "стадиального учения о языке" Н. Марра (со стороны последователей Н. Марра).

Теперь выявилась несостоятельность и того, и другого.

\*  
\*   \*

Характерен эпизод, свидетелем которого мы стали во время первой встречи с И. Сталиным на его даче (10. IV. 1950).

Ему стало известно, что в Армении освобождены от работы несогласные с "Новым учением" Н. Марра академики АН Арм. ССР Грачья Ачарян (из Ереванского университета) и Гр. Капанцян (академик-секретарь АН Арм. ССР). И. Сталин расспросил нас об этих специалистах и затем вызвал тут же по телефону из Еревана секретаря ЦК КП Армении Арутюнова.

Разговор был кратким.

Поздоровавшись, И. Сталин спросил:

"У вас там снимали профессоров Ачаряна и Капацьяна?"...

"Почему?"...

"Других причин не было?"...

"Неправильно, товарищ Арутюнов, поступили..."

И положил трубку.

Откровенно говоря, мы выслушали разговор с чувством глубокого удовлетворения.

Акад. Ачарян и акад. Капанцян были восстановлены на работе еще до начала дискуссии.

\*  
\*   \*

Наша статья "О некоторых основных вопросах советского языкознания" была напечатана в газете "Правда" 9 мая 1950 года (этим открылась известная дискуссия по вопросам советского языкознания).



## СТАДИАЛЬНАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ЯЗЫКОВ АКАД. Н. МАРРА

(доклад от 21 апреля 1949 г.)

Ядро яфетической теории акад. Н. Я. Марра составляет палеонтологический метод; с этим методом внутренне связаны два теоретических положения: 1) об единстве глоттогонического (языкотворческого) процесса и 2) о стадийном (ступенчатом) развитии языков (стадийная классификация языков).

Эти-то положения и объявляются основным приобретением яфетической теории, как нового учения о языке, опрокидывающим расистские принципы буржуазной лингвистики.

Так ли это? Ответить на этот вопрос можно будет, выяснив: На чем основано учение о стадиях языка? Что оно утверждает? К чему ведет?

Начнем с узлового момента — с палеонтологического метода. Палеонтология языка изучает древнейшие состояния человеческой речи. В яфетической теории акад. Н. Марра методом палеонтологии служит анализ по элементам (т. н. четырехэлементный анализ).

Формула этого анализа гласит: **Все слова всех языков земного шара состоят из четырех элементов** (Сал, Бер, Йон, Рош). "В лексическом составе какого бы то ни было языка нет слова, содержащего что-либо сверх все тех же четырех элементов". "Без разложения слова на наличное в нем количество элементов нельзя сравнивать, без такого анализа сравнительный метод недействителен".<sup>1</sup>

Анализ по элементам — это "техника нового учения о языке". Она не исключает сравнения; напротив, это и есть новая техника сравнения, — сравнения по элементам. Что можно сравнивать? Любые слова любых языков: грузинское слово можно сравнивать с китайским так же, как и с латинским, с арабским — так же, как и с чувашским, с турецким так же свободно, как и с баскским... Стоит только высмотреть, какой элемент "лежит" в основе слова. Так, напр., акад. Н. Марр и сравнивает: грузин. ц к а л и "вода", армян. д ж у р "вода", турец. с у "вода", китайское ш у й "вода"; все они восходят к элементу Сал... С помощью элементов "сравниваются" друг с другом рус. из-рек-ать, сван. р а к в "сказал", арм. д з а й н "голос", груз. э н а "язык", англ. t o n g u e "язык", лазское ч а п а н а "звать". Благодаря элементному анализу акад. Н. Марр утверждает, что "Я ф е т", "К а р а п е т", "П р о м е т е й" лингвистически одно и то же. Путем того же элементного анализа Н. Марр "устанавливает", что к у л ь т у р а — турецкое слово (см. Н. Марр, О лингвистической поездке в Восточное Средиземноморье, 1934, с. 95).<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Н. М а р р, Яфетическая теория. Общий курс учения о языке. 1928 г. — Избранные работы, т. II, Л., 1936, с. 16.

<sup>2</sup> С помощью элементного же анализа — новой техники сравнения — акад. Н. Марр утверждал, что: "турецкий язык связан с мидийским, эламским, шумерским, халдским, хеттским ("О лингвист. поездке в Восточное Средиземноморье", 1934, с. 61-62)... турецкий язык имеет "значимость в мировой установке языкознания" (там же, с. 25); родство грузинского языка с турецким "бесспорное в основе положение" (там же, с. 25). "...представить

Таков метод анализа по элементам нового учения о языке, яфетической теории акад. Н. Марра.

Допустим на мгновение, что это так и есть: допустим, что все слова всех языков земного шара восходят к четырем элементам (Сал, Бер, Йон, Рош).

Что вытекает из этого? К чему ведет утверждение об изначальности четырех элементов?

Раз все языки идут от одних и тех же (четырёх) элементов, у всех языков общее происхождение: следовательно, нет и не может быть языков, различных по исходному языковому материалу, различных по исходному корнеслову (выходит, что — говоря техническим языком — все языки одного корня).

Итак, элементы — этот общий исходный материал — по Н. Марру — обусловили единство происхождения и в дальнейшем — единство языкотворческого (глоттогонического) процесса: единство, а не единообразие процесса (без общего исходного материала — при наличии общих факторов развития — мы имели бы единообразие, а не единство языкотворческого процесса). Единое начало речи человеческой, единый процесс языкотворчества — диктуется единством исходного материала (четырёх элементов).

Но разные-то языки ведь налицо: разные — по словарному составу, разные — по строению слова, разные — по строю предложения, более или менее разные по звуковому составу: факт буквально общеизвестный.

Откуда эта разница пошла? Раз изначальный материал у всех языков общий, раз процесс языкотворчества единый, как возникли разные языки? Чем обусловлено различие языков? Ответ Н. Марра гласит: разные языки олицетворяют разные ступени развития: различие языков обусловлено местом, которое принадлежит тем или иным языкам (группы языков, семьи языков) в едином процессе языкотворчества (глоттогонии).

Крупные отрезки единого языкотворческого процесса Н. Марр именовал **стадиями развития**. В пределах одной стадии может уместиться несколько языковых систем (т. е. языковых семей).

Чем обусловлены разные стадии? Они выражают "сдвиги в языке и мышлении", обусловленные "сдвигами в технике производства" — таков общий ответ.

Каковы должны быть эти "сдвиги в языке", чтобы можно было говорить о новой стадии? Иными словами: по каким признакам выделяется "стадия языка"? Неизвестно: ответа на этот вопрос не найти ни у Н. Марра, ни у его последователей.<sup>3</sup>

---

себе Средиземноморье без турок и турок без Средиземноморья никак нельзя ни за какую исторически документированную эпоху" (там же, с. 9)... турки находятся "в числе древнейших создателей европейской цивилизации (с. 97)... и т. д.

<sup>3</sup> Вопрос о стадиях и системах был выдвинут на основе общих построений без конкретного распределения языков по вновь предлагаемому принципу. Число стадий не уточнено, также не выявлены отличительные стадийные признаки, системы же (т. е. языко-

Сколько лингвистических стадий имеется в наличных языках? Точно не известно. Ориентировочно Н. Марр распределяет по стадиям развития в виде следующей схемы:

- I. Языки... первичного периода: 1. Китайский, 2. Языки средне- и дальнеафриканские.
- II. Языки... вторичного периода: 1. Угро-финские, 2. Турецкие, 3. Монгольские.
- III. Языки... третичного периода: 1. Яфетические языки, 2. Хамитические языки (ближне- и дальнеафриканские).
- IV. Языки... четвертичного периода: 1. Семитические языки (араб., евр.)... 2. Индоевропейские языки (классические письменные: индийский, греческий, латинский)... Н. Марр, "Почему так трудно стать лингвистом-теоретиком?" — Избр. работы, т. II, с. 405.

В этой схеме языки расположены в четыре хронологических яруса сообразно с тем — "когда они возникли", "какую ступень развития представляют".

Как видно из схемы, китайским языком начинается развитие, индоевропейскими же языками стадияльное развитие замыкается. Какое же место занимают наши языки, иберийско-кавказские языки (яфетические языки — по терминологии Н. Марра)? Наши языки в схеме Н. Марра стоят ступенью ниже, чем индоевропейские языки, — они отнесены к третичному периоду, — они предшествуют индоевропейским языкам: индоевропейские языки не что иное, как последующая ступень, яфетические языки — предшествующая ступень.

Н. Марр пишет: "Индоевропейские языки представляют собою лишь новую формацию<sup>4</sup> тех яфетических языков" (Избранные работы, т. I, Л., 1933 с. 187).

Как возникла эта новая формация? Н. Марр говорит: "Индоевропейские языки... порождение особой степени скрещения, вызванной переворотом в общественности в зависимости от новых форм производства, связанных, по видимому, с открытием металлов и широким их использованием в хозяйстве" (Н. Марр. Индоевропейские языки Средиземноморья. — Избр. работы, т. I, с. 185).

Итак, факт установлен; объяснение тоже дано: развитие металлургии — это в базисе; трансформация яфетических языков в индоевропейские — это в надстройке; "сдвиги в технике производства" — "новая ступень в развитии языков!" Словом, подлинный марксизм, научно-обоснованное положение!

Странно только одно: творцами металлургии являлись наши народы (яфетиды); это общеизвестно (сам Н. Марр раньше не раз это подчеркивал). Металлургия развивалась у яфетических народов; это вызвало развитие соот-

---

вые семьи — А. Ч.) вовсе не проработаны в деталях отдельных языковых группировок (акад. И. Мещанинов. "Проблема классификации языков в свете нового учения о языке", 1935, Л., с. 31).

<sup>4</sup> Не сказано, однако, в чем это выражается — ни здесь, ни где-нибудь в другом месте.

ветствующих языков, а в результате этого народились... индоевропейские языки. А сами-то яфетические языки? Они застряли на третичном периоде, т. е. сидят на той же ступени развития, на какой и обрелись до развития металлургии.

Как мыслимо такое положение? Определенного ответа на это у акад. Н. Марра не найти (вообще, неясность и служит надежным панцирем яфетической теории).<sup>5</sup>

Судя по отдельным высказываниям Н. Марра, картина развития представлялась ему примерно так: язык = "родитель" застревает на своей ступени (стадии), "рожденный же язык" двигается дальше.

Вот как высказывается Н. Марр: "Языки всего мира представляют продукты одного глоттогонического процесса, в зависимости от времени возникновения, принадлежат к той или иной системе, сменявшейся одна другую, причем языки сменных систем отличают народы, отпавшие от общего мирового движения — независимо от того, вовлечены ли они снова мировым хозяйством и мировой общественностью в круговорот мировой жизни — прошли новый исторический путь своего высокого культурного развития с языком, оторванной от общего развития системы или с языком отжившей системы — или те или другие народы застряли и хозяйством, и общественностью целиком на соответственных ступенях развития человечества" (Н. Марр. Язык. — Избр. работы, т. II, с. 135).

Смысл этой фразы сводится вот к чему: в процессе единого языкотворчества одни системы (группы, семьи языков) сменяются другими; сменные системы — это отжившие системы; такие отжившие языки характерны для народов, "отпавших от общего мирового движения".

Такие языки (т. е. сменные языки) застревают на определенной стадии: дальше уж им не двинуться, даже если говорящие на таких языках народы снова будут "вовлечены в круговорот мировой жизни — мировым хозяйством и мировой общественностью": придется довольствоваться языком отжившей системы, придется с таким языком проходить "новый исторический путь высокого культурного развития".

Это, конечно, в лучшем случае, в худшем же случае можно "застрять" не только языком, но и хозяйством и общественностью на определенной "ступени развития человечества".

Словом: выключение из "мирового движения" прерывает развитие языка, включение же обратно в это злополучное мировое движение не возобновляет развития.

Стало быть, приговор "сменным языкам", языкам, отпавшим от мирового движения, — окончательный: языки закреплены на определенных ступенях развития единого глоттогонического процесса, — история указала им пределы, иже не преjdeши.

Таковыми отпавшими от "мирового движения" сменными языками и за-

<sup>5</sup> Вместе не могут существовать новоразвившийся язык и язык, из которого он развивался; между прочим, и этим отличается язык от живого организма (здесь могут сосуществовать два поколения, отец и сын, а то и все четыре поколения — от прадедушки до пра внука).

полнены первый, второй и третий периоды стадиальной схемы Н. Марра, Толко таким застыванием на определенных стадиях и можно объяснить, что теперь налицо и китайский язык (язык первого периода) и индоевропейские языки (языки четвертичного периода): языки всех четырех стадий существуют рядом друг с другом.

Какова участь наших языков по стадиальной схеме Н. Марра? Яфетиды — эти творцы металлургии, участвуя в процессе "мирового движения", вызвали к жизни индоевропейские языки; но, отпавши от "мирового движения", застряли на третичном периоде, не дотянув до "четвертичного"; "четвертичный" период — самая поздняя по времени возникновения и самая высшая по ступени развития стадия — оказалась уделом семитических (араб., евр.) и индоевропейских языков.

Яфетические языки не достигли четвертичного периода, они — если верить яфетической теории Н. Марра — его никогда не достигнут: яфетические языки "сменная система", отпавшая от "мирового движения".

Стало быть, грузинский язык не дорос до латинского: застрял на более ранней ступени развития; ранняя ступень равнозначна низшей ступени — и к этой ступени он пригвожден, согласно стадиальной схеме Н. Марра.

Таков приговор истории, если верить яфетической теории. Этот приговор, впрочем, вряд ли кого смутит: народов, выбивших из потока исторического развития и неспособных к развитию, материалистическая наука не знает; неизвестны и такие языки.

Яфетические языки (т. е. иберийско-кавказские языки) не какая-то мифическая стадия развития, к тому же еще застывшая в своем развитии в угоду надуманной схеме яфетической теории.

Яфетические языки — живые представители древней многочисленной группы языков, носители которых выступают в истории человечества создателями древней цивилизации Передней Азии, цивилизации, вскормившей греко-римскую древнюю цивилизацию и, следовательно, всю культуру Западной Европы.

Мертвые языки этой древней цивилизации — хеттские языки, хуритский, урартский (или халдский) не являются ни индоевропейскими, ни семитическими, ни урало-алтайскими (по мнению наиболее авторитетных специалистов данных языков).<sup>6</sup>

Эти языки своеобразны; они генетически могут быть увязываемы лишь с такими же своеобразными живыми языками иберийско-кавказского круга (куда входит также и баскский язык). Перед нами самобытный мир хеттско-иберийского круга языков.

Так думал в одно время и Н. Марр. Так думают поныне многие авторитетные специалисты, притом не только наши советские ученые, но и зарубежные, которые общественно вряд ли заинтересованы в признании генетической

---

<sup>6</sup> О индоевропеизме некоторых хеттских языков говорит Ф. Грозный лишь со ссылкой на морфологию: лексика этих языков, даже по мнению Ф. Грозного, не является в своей основе индоевропейской; но и в части морфологии индоевропеизм хеттских языков оспаривается другими зарубежными учеными (напр., Форером).

связи между нашими языками и древними языками Передней Азии.

"Мы должны согласиться с Шухардтом в том, — писал, напр., итальянский лингвист-полиглот Тромбетти, — что в области Кавказа сконцентрировались народы, которые раньше были распространены на значительно более широкой территории. Новейшие исследования, как видно, в действительности сходятся на том, что с исконной кавказской группой языков более или менее непосредственно связаны следующие языки: Халдский, Митанни (Хурийский), Эламский, Хеттский, Этрусский, Критский, Иберийский (в Испании) и Баскский" (См. А. Дирр. Введение в изучение кавказских языков, 1928 г., на нем. яз.).

Так пишут — вынуждены писать силой вещей! — зарубежные специалисты. К лицу ли советским ученым — вопреки очевидным фактам — утверждать: нет, эти языки всего на всего ступень развития, притом еще застывшая, отпавшая от общего процесса "мирового развития".

Акад. С. Джанашиа, говоря о том, что акад. Н. Марр много потрудился над изучением яфетических языков, замечает: "Впоследствии, однако, Н. Марр впал в заблуждение, признав яфетическими все языки на определенной древней ступени их развития" (И. Джавахишвили, Н. Бердзенишвили, С. Джанашиа. "История Грузии", рус. текст., издание 1946 г., с. 17). Автор в том именно и видит заблуждение Н. Марра, что яфетические языки были объявлены стадией развития.

Судьба яфетических языков в стадияльной схеме Н. Марра показательна. Не в лучшем положении оказываются и другие языки (кроме индоевропейских и семитических языков, конечно).

Как решался вопрос об этих языках в "старой лингвистике"? В виду имеется сравнительно-историческая лингвистика, возникшая, как видно из названия — в результате применения исторической точки зрения на язык.

Сравнительно-историческая лингвистика группирует языки по происхождению (по генеалогическому принципу), предполагая разный исходный языковой материал. Так, напр., название числа "три" звучит по-латински tres ("трес"), на древ.-индийском языке traṣas ("траяс"); у русского, латинского, индийского в данном случае общий исходный языковой материал. Так, напр.: груз. название числа "три" звучит "с а м и", на турецком — "у ч": груз. "сами" нельзя свести ни к турецкому "у ч", ни к латинскому "т р е с"; это разные корни. Их нельзя сравнивать: грузинский язык не родственен ни с индоевропейскими языками, ни с турецким языком.

Родственные языки образуют группу — т. н. "семью языков". Таковы, к примеру: хеттско-иберийская семья (с живыми иберийско-кавказскими языками), индоевропейская семья, семитическая семья, угро-финская семья.

Такова генеалогическая классификация языков по семьям (т. е. по происхождению, по исходному материалу).

В генеалогической классификации семьи языков располагаются, если можно так выразиться — "в плоскости горизонтальной", "рядом друг с другом" — имея самостоятельное происхождение, конкретную языковую индивидуальность и самостоятельные исторические пути развития (что, конечно,

не исключает единообразия определенных моментов в развитии, обусловленного общими моментами в развитии общественно-экономической жизни народов; но это — единообразие, а не единство, поскольку исходный материал развития различный).

Сравнительно-исторический метод призван осветить исторические пути развития языков в пределах отдельных семей и лишь затем заняться вопросом об историческом взаимоотношении различных семей, насколько то позволяют конкретные материалы.

Сравнительно-историческому языковедению лестную характеристику дал Энгельс (см. "Анти-Дюринг", изд. VI, с. 233); сравнительно-исторический метод применялся Энгельсом в его лингвистических исследованиях (Маркс называл Энгельса специалистом сравнительного языкознания).

На точке зрения генеалогической классификации стоит Энгельс в своих работах ("Анти-Дюринг", "Происхождение семьи, частной собственности и государства", исследования о германских диалектах). Отсюда, между прочим, видно, насколько несостоятельно утверждение Н. Марра, будто генеалогическая классификация является расистским понятием.

Яфетическая теория Н. Марра отбросила сравнительно-исторический метод: его заменил палеонтологический метод (анализа по элементам). Яфетическая теория Н. Марра отрицает различное по материалу происхождение языков. Генеалогическую классификацию заменила стадияльная классификация: горизонтальное расположение сменилось вертикальным — по месту, занимаемому в едином глоттогоническом процессе.

Сведя все языки к четырем элементам, Н. Марр обезличил языки, приравняв все богатство человеческой речи к производным мистическим четырем элементам.

Расположив же эти обезличенные языки по ступеням развития, утверждает исключительное превосходство индоевропейских (и семитических) языков: никакие языки не достигли той ступени, на которой оказались индоевропейские языки, — все другие застыли на более или менее ранних, архаических ступенях.<sup>7</sup>

И все это под видом борьбы с расизмом. Но до такого утверждения ведь ни один расист не доходил!

Основное зло яфетической теории Н. Марра — "учение об элементах", палеонтологический анализ по элементам. Мы видели, к чему он ведет. Откуда же он взялся? Как и где удалось все-таки доказать, что все языки идут от четырех элементов (Сал, Бер, Йон, Рош)? Нигде никто этого не доказывал: такое вообще недоказуемо. Более странно другое: у Н. Марра нигде и не дана попытка доказать основное свое положение; невероятно, но факт! (Эти элементы — названия племен — произвольно были подобраны Н. Марром: пле-

---

<sup>7</sup> Сравнительно-историческая лингвистика не отрицает наличия архаических черт в тех или иных языках, наличия более архаических или менее архаических языков, но это не ведет к дискриминации: архаичность баскского языка не влекла опасности, что он будет объявлен недорослем латинской речи: баскский и латинский — языки разного корня, разного происхождения. Кроме того, архаичность баскского языка вовсе не отнимает у него способности развиваться.

менные названия, мол, самые древние слова!).

На докучливые вопросы — почему именно четыре элемента, Н. Марр давал фантастические разъяснения (вроде: четыре части света — четыре элемента!), договорившись наконец до того, что "некоторые вещи доказывать нет надобности, их можно показывать" (Н. Марр: "К бакинской дискуссии об яфетидологии и марксизме", 1932, с. 44).

Таким образом, недоказуемая теорема была объявлена аксиомой.

Вообразим, что вначале (т. е. много десятков тысяч лет назад) было четыре элемента. Отсюда образовалось несколько сот языков и по меньшей мере несколько тысяч корней. Можно ли теперь докопаться до этих корней, установить, какой элемент лежит в основе слова (по Н. Марру, "без этого сравнительный анализ недействителен")?

Искать такие изначальные элементы в словах современных языков, значит упразднить историю, породившую множество разнообразнейших языков, это значит низвести науку (о языке) до уровня знахарства.

Учение об элементах Н. Марра есть выражение чудовищного антиисторизма, это отказ от элементарных научных способов мышления.

Характерно, что турецкие расисты ухватились за принцип элементного анализа Н. Марра; только нашли более удобным "все слова всех языков земного шара сводить не к четырем, а к одному элементу — турец. "г ю н " "солнце": таким нехитрым способом "было доказано", что все языки произошли от турецкого языка!

Каковы выводы?

1. Стадиальная классификация языков (учение о языках) Н. Марра тесно связана с палеонтологическим методом (анализ по элементам!) и с положением об единстве глоттогонического (языкотворческого) процесса яфетической теории.

2. Стадиальная классификация языков Н. Марра, вытекающая из учения об элементах, научно несостоятельна, общественно неприемлема.

Вопреки голословным заявлениям Н. Марра, стадиальная классификация не только не подрывает принципиальных основ лженаучного расизма, но с внутренней неизбежностью сама ведет к антимарксистским, антинаучным расистским утверждениям.

3. Только при незнании с реальным положением вещей или же при полном отсутствии чувства ответственности можно утверждать, что палеонтологический анализ (по элементам), положения об едином глоттогоническом процессе и стадиальной классификации языков в яфетической теории Н. Марра являются д о с т и ж е н и я м и советской материалистической лингвистики: эти "достижения" могут лишь дискредитировать материалистическую науку о языке, — советскую лингвистику.

4. Корень злоключений яфетической теории Н. Марра — чудовищный антиисторизм. Воплощение этого антиисторизма — анализ по элементам: он определяет собою основные моменты яфетической теории Н. Марра как в позитивной, так и в негативной части (критика буржуазной лингвистики).



От элементного анализа последователи Н. Марра отказались в 1940 г. Положения же, порожденные этим анализом,<sup>8</sup> до сих пор преподносятся, как достижения материалистического языкознания.

5. Это наблюдается не только в малоответственных выступлениях некоторых "лингвистов без языка" (напр., Г. П. Сердюченко в "Литературной газете").

Управление педагогическими вузами Министерства Высшей школы обязывает подведомственные учреждения включать в программу по "Введению в языкознание" учение о стадиях, учение об единстве глоттогонического процесса Н. Марра в качестве необходимого учебного материала.

ж. "Ежегодник Иберийско-Кавказского языкознания", XII, 1985, с. 9-23

---

<sup>8</sup> Можно ли ставить вопрос о стадийности языка независимо от палеонтологического анализа по элементам? Можно, — но лишь на основе истории языков. Стало быть, стадийный анализ не может заменить исторического подхода, но должен базироваться на нем; стадийной характеристикой нельзя подменить генеалогическую классификацию, она должна опираться на точных данных историко-сравнительной (генеалогической) классификации языков. А этого-то у яфетидологов нет (нет, в частности, у акад. И. И. Мещанинова, отказавшегося от элементного анализа Н. Марра, но не ставшего на позицию историзма).

## WHEN AND HOW IT HAPPENED

The appended short paper ("Stadial Classification of Languages according to N. Marr")<sup>1</sup> was written way back in 1949 (at the height of the domination of Acad. N. Marr's "New theory of Language" in Soviet linguistics).

The paper was written at the suggestion of Kandid N. Charkviani, the then leader of the Republic and supervisor of the publication of the 8-volume Explanatory Dictionary of the Georgian Language (1st volume was off the press in 1950; 8th volume, in 1964).

In 1949 Marr was no longer alive (he died in 1934) but his "New Theory" enjoyed unlimited power as an embodiment of the only Marxist theory opposed to "the reactionary bourgeois Indo-European linguistics".

The "New theory" of Marr was created in 1923-26, on the basis of a four element palaeontological analysis, according to which all languages allegedly originated from the same material of tribal names (**Sal, Ber, Yon** and **Roš**) and their manifold crossing. Why precisely "four elements" was never specified by Marr (an arbitrary hypothesis on the "primary state").

Marr believed, however, that even at present an original element could and should be identified in any word: a comparison of languages was impermissible unless this was done; if the element was "detected" words of any languages (Chinese, Finnish, Georgian, Hebrew, ect.) could be freely compared.

An unheard of arbitrariness in the comparison of words and languages was thus inculcated.

Nobody would have taken seriously such "reasonings", but they came from Academician Marr, a major orientalist, the author of most valuable studies on Armenian and Georgian philology, and a well-known student of Kartvelian and a number of other languages of the Caucasus.

Marr's theory of stadial development is intrinsically connected with the palaeontological element-analysis: languages display unitariness in their original material but differ in their stages of development.

Marr and his "New theory" rested not only and not so much on the scholarly prestige of his earlier studies.

In 1928 Marr wrote: "Now there is nowhere to go: there is no salvation in any country, or in any scholarly emigration — external or internal — from the seeds of the Japhetic theory, that undermines the old teaching(!)".<sup>2</sup>

It was on such methods that the dominant position of Marr's four-element pa-

---

<sup>1</sup> See pp. 44-52.

<sup>2</sup> N. M a r r. "Why is it so difficult to become a linguist-theorist?" "The paper is printed in its final edition as it was read in Tiflis" (April, 1928 — n. Marr. Selected works, vol. 2, p. 414).

laeontological analysis was maintained.

Marr died in 1934. His follower, Acad. I. I. Meshchaninov, devoted to the elements (and their phonetic "substantiation") the article: "Basic Linguistics Elements (from the Japhetological Viewpoint)",<sup>3</sup> but after Marr's death he never dealt either with the elements or their substantiation.

However, he never rejected the monopoly of the "New theory": the monopoly was preserved on the basis of stadial-typological patterns.

In 1940, at the meeting of the Department of Literature and Language (DLL), at which Arn. Chikobava's paper on the essence of language according to the conceptions of H. Paul, F. de Saussure, K. Fossler,... N. Marr... was discussed (the problem being treated from the principled positions of Soviet linguistics), the head of the indicated department, Acad. Meshchaninov, stated that the Institute of Language and Thinking "does not work on the elements" and the paper just delivered will be published in the "Izvestija of the DLL" (this caused the indignation of some participants of the meeting).

The paper containing criticism of Marr's elemental palaeontology was not printed in the "Izvestija"<sup>4</sup>; instead, an editorial by Meshchaninov was published, in which the palaeontological elements were not rejected, since the "New theory" failed to work without the elements. The dictatorship of the elements continued.

In 1947, when the country was engaged in overcoming the grave consequences of the war years, the Academy of Sciences of the USSR held a discussion on the problems of biology. The fortunes of biological science were in the hands of Acad. T. Lysenko, the author of the stadial theory of the evolution of plants.

This theory could allegedly assure a "double harvest of potatoes", "branched wheat" and such like blessings. The heavy period of the monopoly of Acad. Lysenko and his stadial theory set in.

In 1948, the N. Ja. Marr Institute of Language and Thinking organized in Leningrad a special session devoted to the results of the discussion of the problems of biology: if the theory of stadial evolution of plants received official approval, Marr's theory of stadial development of languages deserved the same.

In 1949 the Presidium of the USSR Academy of Sciences discussed at its special meeting the "Situation at the linguistic front", and arrived at the following decision: "Acad. N. Marr's "New theory" be considered the only materialistic, Marxist theory of language, and everything that disagrees with it be resolutely rejected".

True, this was not a decision taken by a directive organ, but it came from the most authoritative scientific institution of the country; hence the monopoly of Marr's "New theory" in Soviet linguistics was recongnized.

Those who held dissentient views were accused of all mortal sins — ideological and political.

Practical measures were expected, and were actually taken on local initiative (thus, in Armenia Acad. Hrachja Acharjan, a well-known linguist, was suspended

<sup>3</sup> "Language and Thinking", Collection of the Institute of Language and Thinking, vol. 11, p. 7-31).

<sup>4</sup> It was published in 1942 in the collected papers of the Institute of Language, History and Material Culture, X. "Problem of Language as an Object of Linguistics", pp. 355-409.

from Yerevan State University, as well as Acad. H. Kapantsjan, Academician-secretary of the Department of Literature and Language.

\*  
\*   \*

As noted at the outset, in the spring of 1949 I was requested to write an article on Marr's "Stages of language development".

In early April, 1950, I was notified from the directive organ of the Republic that in a few days I was to travel to Moscow: "Problems of linguistics will be discussed there with the secretaries of the Central Committee"; I was told to prepare myself for it.

Thus, in the evening of 10 April we (the First Secretary K. Charkviani, the Chairman of the Council of Ministers, two ministers and I) were in Moscow, at J. Stalin's villa.

Only problems of linguistics were discussed, namely: Stalin's remarks on the Explanatory Dictionary of the Georgian language (the first volume of which just come out), and the question of Marr's "New theory".

It was decided to hold a discussion: I was charged with writing a special paper for the discussion (J. Stalin: "Write it, and we shall see. If it answers the purpose, we shall have it published. And this is your paper, I am returning it", and he put the folder with my paper on the language-stages on the table; but then he added: "I shall better keep it for the time being: let us see how you will write now about these problems and then I shall return your paper").<sup>5</sup>

\*  
\*   \*

The article for the discussion that I was requested to write on 10 April, 1950 was read by Stalin twice; at the same time he made notes, and to discuss them I visited him twice at his villa, the discussions continuing 2-3 hours.

Stalin hated ambiguities. He was interested in problems of language actually in connection with the national question. Against the prevalent view, it should be noted that one could argue with him. At times he agreed on some point saying: "After all, you seem to be right in that".

He was not informed on Marr's palaeontological element-analysis" ("reading the tea-leaves", as he referred to it during the discussion but he was not at all con-

---

<sup>5</sup> I soon received, though K. Charkviani, my paper on Marr's stadial development of languages, with J. Stalin's notes.

vinced by Marr's ultra-left, loud slogans ("Marr professed Marxism loudly, but he was not a Marxist" — Stalin's words at our meeting on 10 April, 1950).

Apparently, Stalin's attitude to Marr was not positive even prior to the discussion.

Thus, in the summer of 1930 at the 16th Congress of the Party Stalin had an opportunity to hear Marr's greeting on behalf of the VARNITSO,<sup>6</sup> typical of Marr not only in style:

Marr: "Since the very first days of the October Revolution I have stood shoulder to shoulder with comrades-communists, and together with other non-party people of congenial temper, have helped the cause of revolutionary scientific and cultural construction, unprecedented in scope... The October Revolution liberated all the working people, including scholars languishing in the thralls of dark idealism".

"Under conditions of complete freedom granted to science and scholarship Soviet power that aids the boldest and most audacious scientific quests in the sphere of genuine materialistic outlook, I endeavoured to evolve and now too continue to develop — already with a new personnel of scholars-communists and staunch non-party comrades-in-arms, — a theoretical teaching on language — the area of my scholarly work. Having realized the falsity of indifference to politics and, naturally, rejecting it, at the present moment of intensified class struggle, I am standing firmly at my post of a fighter of the scientific-cultural front — for the clear-cut general line of proletarian scientific theory, and for the general line of the Communist Party. Such a non-party person, I believe, has the right to be charged with the high honour of reading out to you, comrades, this responsible document on behalf of the VARNITSO".<sup>7</sup>

As the head of the VARNITSO delegation, the non-party Marr delivered a speech at the 16th Congress of the Communist Party that could have been envied by any old Party-member.

Soon Marr was admitted to the party and he decided to put the dissentient out of his way.

This referred primarily to Tbilisi University whose rectorship he was offered in 1933 (by K. Oragvelidze, a department chief at the Central Committee of the Communist Party of Georgia), but Moscow did not agree (for Marr was vice-president of the Acad. Sci. USSR).

Unexpectedly the question arose of marking the 45th anniversary (not a jubilee date!) of Marr's scholarly activity, and this must have aroused Marr's suspicions. Marr did not live till the 45th anniversary of this scholarly activities.

<sup>6</sup> Russian abbreviations for the "All-Union Association of Workers of Science and Engineering..."

<sup>7</sup> A. M i k h a n k o v a. "Nikolaj Jakovlevich Marr. Essay on his life and scholarly activities". Leningrad, 1948.

It is difficult to believe that Acad. Marr, author of this clearly leftist statement, could — in 1910 — have called the members of the Academy of sciences "the predominant estate in the Empire", and the Caucasus, "the pearl of the Crown". All this — some twenty years earlier.

At one of our meetings to discuss the draft of the paper, Stalin said — out of context: "And Lysenko does not let anybody live in peace". I said: "There is talk of a double harvest of potatoes and branched wheat" (At that time the newspapers wrote about these things!)

"Double harvest of potatoes! Branched wheat — that is questionable; and Lysenko does not let anybody live in peace"; then he added: "we shall criticize him".

\*  
\*   \*

Lysenko's stadial development of plants was the basis for demanding (on the part of Marr's followers) a monopoly for Marr's stadial theory of language.

Now the untenability of the one and the other had come to light.

\*  
\*   \*

An episode we witnessed during the first meeting with Stalin at his villa (10th April, 1950) is characteristic:

He had learnt that in Armenia Academicians Hrachja Acharjan (from Yerevan University) and H. Kapantsjan (from the Department of Literature and Language of the Acad. Sci. Armenian SSR), dissenting with Marr's "New theory", were dismissed. Stalin asked me about these specialists, and then called Arutjunov, the first secretary of the Central Committee, in Yerevan, to the telephone.

The conversation was short.

After greeting him, Stalin asked:

"Have Professors Acharjan and Kapantsjan been dismissed?"...

"Why?"...

"There were no other causes?"...

"That was a wrong action take, comrade Arutjunov", he said putting the receiver down.

Frankly speaking, we listened to the conversation with a feeling of profound satisfaction.

Academicians Acharjan and Kapantsjan were reinstated to their posts before the discussion began.

\*  
\*   \*

Note: The present writer's "On some questions of Soviet linguistics" was published in the "Pravda" newspaper on 9 May, 1950 (opening the wellknown discussion on problems of Soviet linguistics).

STADIAL CLASSIFICATION OF LANGUAGES  
ACCORDING TO N. MARR  
(21 April, 1949)

The palaeontological method constitutes the core of Acad. N. Marr's Japhetic theory, the following two theoretical propositions being intrinsically connected with the indicated method: (a) on the unitariness of the glottogonic (language-creative) process, and (b) stadial (stage-) development of languages (stadial classification of languages).

The indicated propositions are declared to be the basic achievement of the Japhetic theory as a new doctrine of language that overturns the racist principles of bourgeois linguistics.

Is this really so? This question can be answered after the clarification of (a) What is the doctrine of language stages based on? (b) What does it establish? and (c) Where does it lead to?

To begin with the crucial point: the palaeontological method. This method studies the earliest stages of human speech. In Marr's Japhetic theory the analysis of elements (the so-called four-element analysis) serves as the palaeontological method.

The formula of the analysis runs: All words of all languages of the world consist of four elements (**Sal, Ber, Yon and Roš**). **"In the vocabulary of no language can there be found anything more than these four elements"**. **"Unless a word is analysed according to the number of the elements it contains, comparison is impossible; without such an analysis the comparative method is invalid"**.<sup>1</sup>

Analysis in terms of elements is the "technique of the new theory of language". It does not exclude comparison; on the contrary, it represents a new technique of comparison — comparison according to the elements. What can be compared? Any words of any language: a Georgian word can be compared with a Chinese one, or with Latin, Arabic, as well as with Chuvash, Turkish as freely as with that of Basque. The only thing to do is to "identify" the element that "underlies" the word (e. g. Marr compares the Georgian **çqali** "water", Armenian **jur** "water", Turkish **su** "water", Chinese **šuj** "water" — all deriving from the element **Sal**... With the help of the elements the Russian **iz-rek-at'** "to utter", Svanian **rakw** "said", Armenian **zajn** "voice", Georgian **ena** "tongue", English **tongue**, Laz. **čanapa** "to call" are "compared"... On the basis of this analysis according to the elements Marr declares that the names **Japheth, Karapet** and **Prometheus** are linguistically identical. By means of the same element-analysis Marr "establishes" that **culture** is a Turkish word (see N. Marr. On a linguistic mission to the eastern Mediterranean, 1934, p. 95).<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> N. M a r r, "Japhetic theory. General course of the theory of language", 1928, Selected works, vol. 2, p. 16 (Bold type by the present writer).

<sup>2</sup> As a result of the application of the analysis in terms of elements — a new technique of comparison — Marr asserted that: "The Turkish language is connected with Median, Elamite, Sumerian, Chaldean, Hittite" ("On a linguistics mission the eastern Mediterranean", 1934, pp. 61-

Such is the method of analysis according to the elements in Marr's new doctrine of language.

Let us assume for a moment that this is actually the case, i. e. all words of all the languages of the world derive from the four elements **Sal, Ber, Yon** and **Roš**. What follows from this? Where does the postulation of the original four elements lead to?

Since all languages come from the same (four) elements, all languages are of common origin: hence, neither there are nor can there be any languages differing in the original material — differing in terms of the original element (it follows that — technically speaking — all languages are of the same root).

Thus, the elements — this common original material, according to Marr — were responsible for the unity of origin, and later of the unity of language-creation (glottogonic) process: unity and not uniformity of the process (without a common original material — in the presence of common factors of development we would have had uniformity rather than unity of the language-forming process). The unitary origin of human speech — the unitary process of language-formation is conditioned by the unitariness of the original material (the four elements).

But the existence of different languages is undeniable: different in terms of their vocabulary, or word- or sentence-structure, more or less different in terms of their phonetic systems — a fact universally known.

Whence this difference? Since the initial material of all languages is common, and since the process of language-creation is unique how did different languages emerge? To what are different languages due? This is Marr's answer: Different languages represent different stages of development: the difference is due to the place a language (a group of languages) occupies in the unitary process of language-creation (glottogony).

Major periods of the unitary glottogonic process were referred to by Marr as stages of development. A single stage can comprise several language systems (i. e. language families).

To what are the different stages of language due? They reflect "changes in languages and thinking" due to "the changes in the mode of production" — such is the general answer.

What should these "changes in language" be like to warrant speaking of a new stage? In other words: according to what characteristics is a "language stage" identified? This is not known: neither with Marr nor with his followers can one find an answer to this question.<sup>3</sup>

---

62)... The Turkish language is "important in the world setting of linguistics" (ibid, p. 25); the relationship of the Georgian language with Turkish is a basically indisputable proposition (ibid., p. 25). "It is impossible to imagine the Mediterranean without the Turks or the Turks without the Mediterranean in any historically documented period of time" (ibid., p. 9)... The Turks belong to "the oldest of European civilisation" (p. 97), etc.

<sup>3</sup> The question of stages and systems was advanced on the basis of general postulates without a concrete distribution of languages according to the new principle proposed. The number of stages has not been specified, nor have the distinctive stadial characteristics been identified; as for the systems (i. e. language families — A. Ch.), they have not been elaborated in detail in terms of



How many stages are in evidence in the available languages? This is not known precisely. Marr arranged languages tentatively according to the stages of development as follows:

- I. Languages... of the primary period: (1) Chinese and (2) Middle- and Far-African Languages.
- II. Languages... of the secondary period: (1) Ugro-Finnish, (2) Turkic, and (3) Mongolian
- III. Languages... of the tertiary period: (1) Japhetic languages, and (2) Hamitic languages (near- and Far-African)
- IV. Languages... of the quaternary period: (1) Semitic languages (Arabic, Hebrew), and (2) Indo-European Languages (classical written languages: Sanskrit, Greek, Latin). See: N. Marr, "Why is it so difficult to become a linguist-theoretician?" Selected Works, vol. 2, p. 405).

In this table languages are arranged in for chronological tiers according to "when they originated", and "which stage of development they represent".

As is seen from the table, the process of evolution begins with Chinese and is completed with the Indo-European languages. What place is occupied by our, i. e. Ibero-Caucasian languages (Japhetic languages — according to Marr's terminology)? These languages in Marr's table occupy a stage lower than that of the Indo-European languages being assigned to the tertiary period; they precede the Indo-European languages: the Indo-European languages are none other a subsequent state, the Japhetic being a preceding stage.

Marr writes: "Indo-European languages represent only a new formation<sup>4</sup> of the same Japhetic languages" (Selected works, vol. I, p. 187).

How did this new formation emerge? Marr says: "The Indo-European languages... are the result of a special degree of hybridization, caused by a revolution in the society's mode of production, apparently connected with the discovery of metals and their use in the economy" (N. Marr. The Indo-European languages of the Mediterranean. Selected Works, vol. I, p. 185).

Thus, the fact has been established; an explanation is also given: the development of metallurgy — a phenomenon of the basis, and the transformation of Japhetic languages into Indo-European — a phenomenon of the superstructure; "changes in the mode of production" and "a new stage in the development of languages!" In a word, genuine Marxism — a scientifically substantiated proposition!

However, one thing seems strange; our peoples (i. e. the Japhetids) were the creators of metallurgy, this being well-known (Marr himself emphasized this more than once). Metallurgy development with the japhetic peoples, leading to the development of corresponding languages, and as a result... Indo-European languages came into being. And what about Japhetic languages proper? They became arrested in the tertiary period, i. e. they remain at the same stage of development in which

---

separate language groups (Acad. I. Meshchaninov, The problem of classification of languages in the light of the new doctrine of language, 1935, p. 31).

<sup>4</sup> It is not explained, however, what this means, neither in the said work, nor elsewhere.

they were before the development of metallurgy.

How can such a situation be conceived? Marr does not give a definite answer to this question (in general, ambiguity serves as a reliable armour to the Japhetic theory).<sup>5</sup>

Judging by separate pronouncements of Marr, he viewed the picture of development roughly as follows: the "parent" language becomes arrested at its own stage, while the "born" language moves forward.

To quote Marr: "Languages of the whole world represent the product of a single glottogonic process, belonging to one or another system, one superceding another; the languages of the superceded systems characterize the peoples fallen away from the general world movement, irrespective of whether they have again been brought into the world main — stream of life — by world economy or world community or whether they have traversed a new historical path of their high cultural development of the system, i. e. with the language of an outmoded system — or some peoples become arrested by their economy and society at respective stages of the evolution of humanity" (N. Marr. Language. In: Collected Works, vol. 2, p. 135).

The gist this passage is as follows: in the process of unitary language-creation some systems (groups, families of languages) are superceded by others; the superceded systems are obsolete; such obsolete languages are characteristic of peoples "fallen away from the general world movement".

In short, falling out of the "world movement" interrupts the development of a language, but a return to that ill-fated world movement does not renew its development.

Thus, the verdict on the "superceded languages", i. e. those that have fallen out of the world movement, is final: languages are fixed at definite stages of development of the unitary glottogonic process, history having set them boundaries which they cannot cross.

The first, second and third periods of Marr's stadial scheme are made up of such obsolete, superceded languages, fallen out of "the world movement". Only in terms of such an arrest at definite stages can the existence at present of Chinese (a language of the first period) and of Indo-European languages (languages of the quaternary period) can be accounted for: i. e. the languages of all four stages coexist.

What is the fate of our languages according to Marr's stadial scheme? The Japhetids, the creators of metallurgy, participating in the process of "world movement", gave life to Indo-European languages, but having dropped out of the process of "world movement", got stuck at the tertiary period, short of the "quaternary" period: the "quaternary" period — the latest in terms of the time of its origin and the highest as to stage of development — proved to be destined for Semitic (Arabic, Hebrew, etc.) and Indo-European languages.

The Japhetic languages failed to reach the quaternary period and, if we put trust in Marr's Japhetic theory, they will never reach it, for the Japhetic languages

---

<sup>5</sup> A newly formed language and the language from which it has developed cannot coexist; incidentally, it is in this also that language differs from a living organism, the latter permits of the coexistence of two generations: father and son, and even of four — from great-grandfather to great-grandson.

represent a "superceded system" — one that has dropped out of the process of "world movement".

Hence, the Georgian language has not reached the level of Latin: it got stuck at an earlier stage of development; an earlier stage amounts to a lower one, and Georgian is pinned down to this stage, according to Marr's stadial scheme.

Such is the verdict of history according to the Japhetic theory. This verdict, though, can hardly embarrass anybody, for materialistic science does not know peoples that have dropped out of the process of historical development and are incapable of developing: neither are such languages known.

The Japhetic languages (i. e. Ibero-Caucasian languages) is by no means a mythical stage of development — frozen, moreover, at a definite period of its development, to suit the far-fetched scheme of the Japhetic theory.

The Japhetic languages are living representatives of an ancient group of numerous languages, the speakers of which were the creators of the ancient civilization of the Near East — a civilization that nourished the Greco-Roman ancient civilization, and hence, the entire culture of Western Europe.

The dead languages of this ancient civilization — Hittite, Hurrian, Urartian (or Chaldean) — are neither Indo-European, nor Semitic and Uralo-Altaiic (this is the view of eminent authorities on the indicated languages).<sup>6</sup>

The languages just cited are peculiar; genetically they can be related only to the equally peculiar living languages of the Ibero-Caucasian cycle (Basque included). We are confronted with an original world of Hittite-Iberian languages.

This is what Marr himself thought at one time. This is what many authorities still think, and not only our Soviet scholars but foreign specialists as well, the latter hardly being socially interested in acknowledging the genetic relationship with the ancient languages of the Near East.

"We must concur with Schuchardt" — wrote the Italian linguist-polyglot Trombetti — that peoples that were earlier spread over a vaster territory have become concentrated in the region of the Caucasus. The most recent investigations appear to be agreed that the following languages: Chaldean, Mitanni (Hurrian), Elamite, Hittite, Etruscan, Cretan, Iberian (in Spain) and Basque are more or less directly related to the original Caucasian group of languages (see: A. Dirr, *Einführung in das Studium der Kaukas. Sprachen*; 1928).

That is what foreign scholars write — what they are obliged to write by force of facts! Does it become Soviet scholars to assert — against obvious facts — that these languages represent nothing but a stage of development, obsolete at that, and dropped out of the unitary process of "world development".

Acad. S. Janashia, writing about Marr's contribution to the study of Japhetic languages, points out: "Later, however, Marr fell into error in acknowledging all languages to have been Japhetic at a definite early stage of their development". —

---

<sup>6</sup> The Indo-Europeanism of some Hittite languages was suggested by F. Hrozny, only with reference to morphology; the vocabulary of these languages, even according to Hrozny, is not basically Indo-European; however, even with regard to morphology, the Indo-European character of Hittite languages is disputed by other Western scholars (e. g. Forrer).

Acad. I. Javakhishvili, N. Berdzenishvili and S. Janashia. A History of Georgia (Russian variant, 1946, p. 17). Janashia saw Marr's delusion in the latter's declaration of the Japhetic languages to be a stage development.

The fate of the Japhetic languages in Marr's stadial scheme is significant. Neither do other languages fare better (barring the Indo-European and Semitic languages, of course).

How was the question of these languages solved in "old linguistics"? Implied here is historical-comparative linguistics which originated — as is seen from its designation — as a result of the application of an historical point of view on language.

Comparative-historical linguistics groups languages according to their origin (on the genealogical principle), assuming differing original language material. This, e. g., the word denoting "three" (**tri** in Russian) in Latin sounds as **tres**, in Sanskrit **trayas**, in this case Russian, Latin and Sanskrit having common original material, a **common root**. "Three" in Georgian sounds as **sami**, in Turkish as **üç**, hence the Georgian **sami** can be reduced neither to the Turkish **üç**, nor to the Latin **tres**, their roots being different. They cannot be compared, for Georgian is not related to Indo-European languages, or to Turkish.

Related languages form a group — a so-called "family of languages". Such are, for example: the Hittite-Iberian family (comprising the living Ibero-Caucasian languages), the Indo-European family, the Semitic family, the Ugro-Finnish family.

Such is the genealogical classification of languages into families (i. e. according to their origin — original material).

In the genealogical classification language families are arranged, if one may put so, "on the horizontal plane", "side by side", as having an independent origin, a concrete language individuality, and independent historical paths of development (which, of course, does not exclude **uniformity** of definite features **in the development**, due to common features in the development of the socio-economic life of peoples; but this is **uniformity** rather than **unity**, inasmuch as the original material is different).

The comparative-historical method aims at elucidating the historical paths of the development of languages within separate families, and only then to tackle the problem of the historical interrelationship of different language families, as far as the available concrete material will allow it.

F. Engels gave a complimentary characterisation of comparative-historical linguistics (see: "Anti-Dühring", 6th ed., p. 233); he applied the comparative-historical method in his linguistic research (Marx called Engels a specialist in comparative linguistics).

In his works Engels adheres to the point view of genealogical classification (see: "Anti-Dühring"; "The origin of the family, private property and state"; his research into Germanic dialects). Incidentally, this demonstrates the untenability of Marr's claim that genealogical classification was a racist concept.

Marr's Japhetic theory rejected the comparative-historical method, replacing it by the palaeontological method (element-analysis). Marr's Japhetic theory denies the difference in the original material of languages. Genealogical classification was replaced by stadial classification: horizontal arrangement was replaced by vertical, according to the place occupied in the unitary glottogonic process.

By reducing all languages to the four elements, Marr deprived them of indi-

viduality, equating all the wealth of human speech to derivatives of the mystical four elements.

By arranging these "depersonalized" languages according to stages of development, he further asserted the exclusive superiority of the Indo-European (and Semitic) languages: no other languages have reached the stage that was attained by the Indo-European languages — all other languages have become arrested at more or less earlier, archaic stages.<sup>7</sup>

All this was done under the guise of combating racism. But no racist has ever run into such an allegation!

The basic evil of Marr's Japhetic theory is "the doctrine of elements", palaeontological element-analysis. We have seen where it leads to. What gave rise to it? How and where has anyone succeeded in proving that all languages derive from the four elements (**Sal, Ber, Yon** and **Roš**)? Nowhere and nobody has ever proved it, for it cannot be proved. More strange is the fact that Marr never made an attempt to prove his basic proposition; this is incredible but a fact (The indicated elements — tribal names — were chosen by Marr arbitrarily, because — he reasoned — tribal names are the most ancient words!).

To the annoying question — why precisely four elements? — Marr gave fantastic explanations something like the following: the four parts of the world — the four elements!); ultimately he came to assert that "Some things need not be proved — they can be demonstrated" (N. Marr, Concerning the Baku Discussion on Japhetology and Marxism, 1932, p. 44).

Thus, an indemonstrable theorem was declared an axiom.

Let us imagine that at the beginning (i. e. many thousands of years ago) there were four elements, from which hundreds of languages and thousands of roots emerged. Is it possible to trace these roots back and establish which element makes the root of a word? ("Without this a comparative analysis is impossible", according to Marr).

To look for such primeval elements in words of modern languages means to abolish history that gave rise to many most diverse languages, or to bring down the science (of language) to the level of sorcery.

Marr's doctrine of elements is an expression of monstrous anti-historicism, it is a denial of elementary scholarly methods of thinking.

It is characteristic that Turkish racists grasped at the principle of Marr's element-analysis but found it more convenient "to reduce all the words of all languages of the world not to the four but to one element, namely, to the Turkish *gün* "sun"; by such a simple method "it was proved" that all languages were derived from the Turkish language!

What are the conclusions?

1. Marr's stadial classification of languages (theory of stages) is closely con-

---

<sup>7</sup> Comparative-historical linguistics does not deny the presence of archaic features in languages i. e. the existence of languages of more or less archaic character, but this does not lead to discrimination: the archaic character of the Basque language did not entail the danger of it being qualified as an inferior variant of Latin; Basque and Latin are languages of different origin. The archaic character of the Basque language does not deprive it of the ability to develop.

nected with the palaeontological method (element-analysis!) and with the proposition on the unitary glottogonic (language creational) process of the Japhetic theory.

2. Marr's stadial classification of languages, resulting from the doctrine of elements is scientifically untenable, and socially unacceptable.

Notwithstanding Marr's unsubstantiated statement, the stadial classification — far from undermining the basic principles of pseudo-scientific racism — intrinsically leads to anti-Marxist, anti-scientific racist claims.

3. Only when one is unfamiliar with the real situation or totally lacks responsibility can he claim that the palaeontological analysis (in terms of elements), and the propositions on the unitary glottogonic process and the stadial classification of languages in Marr's Japhetic theory constitute achievements of Soviet materialistic linguistics: these "achievements" can only discredit Soviet linguistics — a materialistic science of language.

4. The monstrous anti-historicism of Marr's Japhetic theory lies at the root of all its vicissitudes. Analysis in terms of elements is an embodiment of this anti-historicism, determining the principal aspects of Marr's Japhetic theory — both in its positive and critical (critique of bourgeois linguistics) parts.

Marr's followers renounced element-analysis in 1940, while the propositions resulting from the indicated analysis<sup>8</sup> are to the present day proclaimed to be achievements of materialistic linguistics.

5. This is seen not only in the irresponsible statements made by some "linguists without language" (e. i. G. B. Serdjuchenko in "Literaturnaja gazeta").

The department of Pedagogical Institute at the Ministry of Higher Education enjoins its institutes to include in the curricular course of "Introduction to Linguistics" the theory of stages, Marr's doctrine of the glottogonic process as a necessary instructional material.

J. "Annual of Ibero-Caucasian Linguistics" XII,  
1985, 39-55

---

<sup>8</sup> Is it possible to pose the question of the stadialness of languages independently of the palaeontological element-analysis? Yes, it is, but only on the basis of the history of languages. Hence, stadial analysis cannot take the place of an historical approach, but should be based on it; genealogical classification cannot be substituted for stadial characterisation, it should be based on the exact data of an historical-comparative (genealogical) classification of languages. And it is this that is lacking with the Japhetologists (viz., with Acad. Meshchaninov who renounced Marr's element-analysis but did not adopt the position of historicism).

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი ეწვია გამოჩენილ საბჭოთა ენათმეცნიერს, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას და სთხოვა მას ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე. ვაქვეყნებთ მეცნიერის პასუხებს.

## ნიჭი და შრომა

### ინტერვიუ

— რესპუბლიკის ახალგაზრდობა თქვენ გიცნობთ, როგორც მის ერთ-ერთ გულითად ქომავსა და მოამაგეს, აღმზრდელსა და გზის მაჩვენებელს.

როგორია თქვენი შეხედულება დღევანდელ ახალგაზრდობაზე, კერძოდ, სტუდენტობაზე. მიგაჩნიათ თუ არა, რომ იგი სათანადო გულმოდგინებითა და მონდომებით ეკიდება მეცნიერული დისციპლინების დაუფლებას?

— ჩვენი სტუდენტობა უფრო ნიჭიერია, ვინემ შრომისმოყვარე: სტუდენტ ახალგაზრდას აქვს ის, რაც თან დაჰყვა; აკლია ის, რაც უნდა შეეძინა, სანამ უმაღლეს სასწავლებელში შევიდოდა — აკლია დამჯდარი შრომის ჩვევა.

იმ ნიჭს, რაც ჩვენს ხალხს ახასიათებს და ახალგაზრდებს მოცემული აქვთ, ბეჭითი სისტემატური შრომა როცა ემატება, შედეგი ოღონდაც გასახარია.

მაგრამ საამისო მაგალითი არცთუ ბევრია (რაც მთავარია, არ მატულობს). გახშირდა შემთხვევები, როცა დიპლომს ეტანებიან, ენერგიულად მიიწევენ იმ უფლებებისაკენ, რაც დიპლომიან მოქალაქეს აქვს, ცოდნაზე კი არას ნაღვლობენ.

დასანანი ის არის, რომ მისაღები გამოცდები ყოველთვის არ უზრუნველყოფს უკეთესის შერჩევას. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელ ახალგაზრდათა კონკურსი არაიშვიათად მშობლების კონკურსს ჩამოჰგავს.

სოფლიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს ხშირად მეტი მონდომება აქვთ, მაგრამ საერთო განათლება აკლიათ. უნივერსიტეტში შემოსვლა თუ შეიძლეს, ხარვეზებს თანდათანობით იცებენ და უფროს კურსებზე მეტწილად რიგიანი მომზადების სტუდენტებად გვევლინებიან. უნივერსიტეტის სახელს ასეთი სტუდენტები არ შეარცხვენენ.

გადაუჭარბებელი შეიძლება ითქვას: ქალაქებისა და — კიდევ უფრო — სოფლების საშუალო სკოლებში საკმაოზე მეტია ნიჭიერი და ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა, მაგრამ ხშირად უმაღლეს სასწავლებლამდე ვერ აღწევს.

გამორჩეულად ნიჭიერი მოსწავლეები (ყველა საგანშიც რომ ხუთონები არ იყვნენ) შეიძლება და უნდა აღვრიცხოთ, უფროს კლასებში მათ მუშაობას თვალი მივადევნოთ, ოლიმპიადებზე შევკრიბოთ (როგორც ამას მათემატიკოსები აკეთებენ კიდევ) და უმაღლეს სასწავლებლებს არ დავუკარგოთ.

რა თქმა უნდა, ეს მარტივი არაა; საქმის ორგანიზაციას მოფიქრება უნდა, მაგრამ ჩვენი ერთ-ერთი უმაღლესი განათლების მომავალს ეხება საქმე. თავის შეწუხება გვმართებს, კერძოდ, უმაღლესი სკოლის მუშაკებსაც (შეზარხოშებული მოქალაქის პატრიოტულ სიტყვას, ძალიან მგზნებარეც რომ იყოს, ქვეყანა არაოდეს აუშენებია: ეს დიდი ხანია ცნობილია).

— ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი განათლება თითქმის მასობრივ ხასიათს იღებს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ უმაღლესი განათლების ხარისხი ჩვენში ასეთსავე მაღალ დონეზეა?

— სასურველ დონეზე ჩვენი უმაღლესი განათლება ვერა დგას. პირდაპირ უნდა ითქვას: დიპლომის მქონეთა რიცხვი სჭარბობს ნამდვილი უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვს, სჭარბობს ხელშესახებად.

მართალია, ყოველწლიურად ათასამდე განათლებული სპეციალისტი — სხვადასხვა დარგისა — რომ შეემატოს ქართველობას, პატარა საქმე როდია, მაგრამ ათას ნამდვილ სპეციალისტზე თუ ორი ათასი ისეთი მოდის, რომელიც სათანადო ცოდნა-მომზადებას მოკლებულია, უფლებები კი მართალი სპეციალისტისა აქვს, რთული ვითარება იქმნება.

ერთი შენიშვნა: მასობრივ განათლებას, უმაღლესი იქნება იგი თუ საშუალო, პირველ ხანებში, ბუნებრივია, არა ჰქონდეს მაღალი დონე. ვიმეორებთ: პირველ ხანებში; შემდეგ კი დონე უნდა ამაღლდეს: განათლება მასობრივიც უნდა იყოს და მაღალი დონისაც.

უნდა იყოს, არ კი არის. რატომ?

მიზეზი არა ერთია. მთავარი მაინც საშუალო სკოლის სისუსტეა: უმაღლეს განათლებას აკლია მტკიცე საძირკველი, რასაც იგი უნდა დაეყრდნოს. საშუალო სკოლას რა მოუვიდა? ბევრს ვასწავლით და ცოდნა ზერელეა. ყოვლისმცოდნეობა კარგია, მისაღწევი რომ იყოს.

საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების (მაგ., ქიმიის, გეოგრაფიის...) საპროგრამო მასალა ძალზე გაიზარდა (ახალი საგნებიც: არაორგანული, ორგანული ქიმია... შეემატა სასწავლო გეგმას). საზოგადოებრივი



მეცნიერებებიც ვალში არ დარჩნენ: ისტორია უფრო ვრცელი და დაწვრილებითია... ლიტერატურა — სრული, ენა — აგრეთვე...

მოწაფის საშინაო დავალება დიდზე დიდია: მის წესიერად შესრულებას ნიჭიერი და ძალიან ბეჯითი მოწაფე თუ შეიძლება... გაზეთებში არა ერთხელ დაიწერა: უფროსებისათვის შვიდსაათიანი სამუშაო დღე შემოვიღეთ, ბავშვებს რაღას ვერჩით — ხუთ საათს სკოლაში სწავლობენ, ხუთივე გაკვეთილების დამზადებას არა ჰყოფნისაო. მდგომარეობა მაინც არ შეიცვალა.

აუარება მასალას ვაყრით და ამ მასალას სკოლაში „გადიან“ — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ქართულ ლიტერატურას წლების მანძილზე სწავლობენ და... „ოთარაანთ ქვირის“, „გლახის ნაამბობის“ შინაარსი ზოგმა მოწაფემ მხოლოდ ლიტერატურის სახელმძღვანელოდან იცის, — თვით ნაწარმოები არ წაუკითხავს. რთულ გრამატიკულ ცნებებს ვასწავლით, ზმნისა და სახელის გარჩევა კი ყველა მოწაფეს არ შეუძლია.

ასე გამოიყურება ის საძირკველი, რასაც უმაღლესი სკოლა თავის მუშაობაში უნდა დაემყაროს. და აი უმაღლესი სკოლა იწყებს საშუალო სკოლის ვალის გადახდას: საგანს საგანზე უმატებს, რომ ხარვეზები ამოავსოს. სტუდენტი, როგორც წესი, ყოველ სემესტრში ხუთ საგანს აბარებს (მეტიც იქნებოდა ზოგჯერ, მაგრამ ინსტრუქცია კრძალავს!). წელიწადში — ათი საგანი გამოდის, ოთხ წელიწადში — ორმოცი (დიდი თუ მცირე მოცულობისა!). სტუდენტთა მეტი წილი ყველაფერ ამას კონსპექტებით ამზადებს და „აბარებს“ საგნებს. საფუძვლიანი ცოდნა ასეთ პირობებში მოსალოდნელია განა?!

უმაღლესი სკოლა საშუალოს ესაყვედურება: მსმენელთა მომზადებული კონტინგენტი არ მოგიწოდებიაო. საშუალო სკოლაც საყვედურს უბრუნებს: შენ რომ ჩემთვის კარგი მასწავლებლები არ მოგიმზადებიაო! ნაწილობრივ ერთიც მართალია და მეორეც. ზღვა მასალა და ზერეღე ცოდნა არ კლებულობს.

გადაუდებელი ამოცანაა: გაიცხრილოს საპროგრამო მასალა... გაღრმავდეს ცოდნა... აღიკვეთოს ზერელობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველ ოთხ კლასს და მისთვის მასწავლებელთა შერჩევას: წიგნიერებას საძირკველი აქეყრება.

— რა აზრისა ხართ ჩვენი ახალგაზრდობის მისწრაფებებზე? მათ მეგობრობაზე? მათ სიყვარულზე?

— ძნელი საკითხია. იტყვიან: სიცოცხლის ბოლოში გასულს ჩვეულებრივ უჭირს იმათი ავ-კარგის სამართლიანად შეფასება, ვინც ცხოვრებაში შემოდისო, მოხუცებს თავისი ახალგაზრდობა მოსწონთ, ის მიაჩნიათ საზომად, ეტალონად.

ერთგვარი საფუძველი ამგვარ მსჯელობას, ალბათ, აქვს კიდევ.

და მაინც პირდაპირ უნდა ვთქვათ: ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს, მეტადრე ქალაქის ახალგაზრდობის ნაწილს, ასე ვთქვათ, პრაქტიკისტიული მიდრეკილება ეტყობა უფრო მეტად, ვინემ ეს ახალგაზრდას შეეფერება; მის მეგობრობასა და გატაცებებსაც ზოგჯერ სიღრმე და სილამაზე აკლია.

ასეთი ახალგაზრდა უხეში „მატერიალისტია“ პრაქტიკაში, ჯიქურ რომ ვთქვათ, ეჩოსავით სულ თავისკენ თლის, „მ ე“ არასოდეს ავიწყდება და „ჩ ვ ე ნ“ იშვიათად აგონდება — „ჩვენ“ — ესე იგი: ოჯახი, სადაც ცხოვრობს, ამხანაგ-მეგობრების წრე, სადაც ტრიალებს, ხალხი, რომლის შვილიცაა, მშობელი ქვეყანა, მისი ენა და კულტურა, მისი აწმყო, წარსული და მომავალი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც ქართველი კაცი შეიძლება ქართველობდეს...

ამ ეჩო-კაცს თავისი ხალხი, ენა, კულტურა, სამშობლო ნამდვილი სიყვარულით არ უყვარს (და ამიტომაც არც სხვის ენას, კულტურას, სამშობლოს შეუძლია მოეკიდოს პატივისცემით).

თქვენ მეტყვით „ასეთი შეფასება მცდარია! ასეთი არავინ დაიძებნებაო!“

შეცდომა რომ იყოს, მხოლოდ გასახარი იქნებოდა.

ჭაბუკობის წლები განუმეორებელია: სიცოცხლე ახალგაზრდას წინ უძევს. მომავალი მოლოდინით აღსავსეა, ეს მოლოდინი საინტერესოს და სასიხარულოს მოლოდინია.

ვინც ხალხით ეგებება მზის ყოველ ამოსვლას, მას სიხარული უნდა შეჰქონდეს ოჯახშიც, მეგობართა წრეშიც. მისი განცდა ლამაზი უნდა იყოს, მისი მეგობრობა მართალი, რომ ამისი სითბო მთელ სიცოცხლეში გაჰყვეს, ცხოვრების ჭაპან-წყვეტაში სიმხნე შემატოს, ნამდვილი ადამიანობისაკენ წააქეზოს.

არადა, ახალგაზრდობის წლები ფუჭი გამოგვივა. ცხოვრებაში სულიერად ლატაკი შევალთ.

— როგორ ურჩევდით ახალგაზრდობას თავისუფალი დროის გატარებას?

— შინაარსიანად! ახალგაზრდობის ღირსების შესაფერისად! ეს იქნებოდა ზოგადი პასუხი. იგი დაიტევდა კარგი წიგნის წაკითხვასაც, კარგი სპექტაკლის ნახვასაც, კარგი საესტრადო და კლასიკური მუსიკის მოსმენას (ქართული ხალხური სიმღერების მოსმენაც ზედმეტი არ იქნებოდა), კარგ მხიარულებას ამხანაგ-მეგობართა წრეში; სუფრაზე მოლხენაც არ უნდა გამოვრიცხოთ, ოღონდ არა იმისთვის, რომ გამოვიბრუყოთ, არამედ „დრო გავატაროთ“ (რა თქმა უნდა, ყოველ კვირას არა, დაგვემილი ქეიფის სახით: დღეს ამასთან, ხვალ იმის დღეობაზე... და ასე შემდეგ).

სპორტული სანახობანიც... ოღონდ ამას ისედაც არავინ ივიწყებს, მოჭარბებული ყურადღების საგანი გამხდარა, მასთან, არა მხოლოდ ახალგაზრდობისათვის.

ისტორიულ ძეგლებს, ჩვენი მდიდარი ძველი არქიტექტურის ძეგლებს, ჩვენი ახალგაზრდობა ნაკლებად იცნობს: ალავერდი, სამთავისი, გელათი, ბაგრატის ტაძარი (ქუთაისში), მარტვილი, ვარძია... ბევრ ახალგაზრდას გაუგონია, ნახვით კი არ უნახავს. ზოგსაც მცხეთა და ჯვარიც იქნებ არ ჰქონდეს დათვალიერებული. თბილისშიც საკმაოდ მოიპოვება საყურადღებო ძეგლი წარსულისა, რომელსაც ქართველი ახალგაზრდა უთუოდ უნდა იცნოდეს...

ქართულ ხელნაწერთა ძვირფასი საგანძური, თბილისში რომ გვაქვს (ხელნაწერთა ინსტიტუტში), პირველ ყოვლისა, ვინ უნდა ნახოს, თუ არა ქართველმა ახალგაზრდამ?!

რამდენი ახალგაზრდაა, მოსკოვ-ლენინგრადში არა ერთხელ ყოფილა, თელავი და თიანეთი კი არ უნახავს, ქსნის ხეობა და სუფსის სანაპირო, თუ იქაურა არაა, არ იცის, რა სანახავია.

ფეხით უნდა გვქონდეს მოვლილი მთელი საქართველო: უშუალოდ ვიცოდეთ, რა ქვეყანაცაა საჩერქეზო (ადილე, ყაბარდო), ჩაჩნეთ-ინგუშეთი, დაღესტანი, სომხეთი და აზერბაიჯანი, უკრაინა და ბალტიისპირეთი.

ნათქვამია: გაგონილს ნახული სჯობიაო! ჯერჯერობით კი... ჩვენს დედაქალაქსაც არ ვიცნობთ წესიერად (თუ მას ფართო ტროტუარიან პროსპექტებს არ გავუთოლებთ). შორიდან ჩამოსულ ტურისტებს ხომ არ მივმართოთ საკონსულტაციოდ: მათ უკეთ იციან ახალი თბილისიცა და ძველიც.

ზეპირი ვიქტორინები რომ იმართებოდეს უფრო ხშირად, ოღონდაც კარგი იქნებოდა.

რუსთაველის საიუბილეო დღეების სამზადისმა იქნებ ისიც მოგვაგონოს, რომ ძველად „გ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი“ ბევრმა ქართველმა ქალმა ზეპირად იცოდა. მთელი ტექსტის ზეპირად დასწავლა თუ არა, ცალკეული თავების დასწავლა ახალგაზრდათა შეჯიბრება რომ გამოგვეცხადებინა, შედეგები რუსთაველის დღეებისათვის გამოვლინდებოდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პოეტური მთა აქაც თავს გამოიჩინდა. მას იქნებ ბარიც არ ჩამორჩენოდა.

— ხომ არ უშლის ჩვენი ახალგაზრდობის გატაცება სპორტით მის ძირითად საქმიანობას?

— კითხვაში უკვე არის პასუხი გაცემული. სპორტით გატაცებამ ლამის „არახალგაზრდებიც“ გამოიყვანოს წონსწორობიდან. მეტადრე ეს ითქმის ფეხბურთის შესახებ. მართალია, ასეთი გატაცება მხოლოდ ადგილობრივი ფათერაკი არაა, მაგრამ ეს სანუგეშოდ არ გამოგვადგება.

გაზეთები კიდევ იმდენ ადგილს უთმობენ სპორტს, თითქოს ქვეყნის ბედი სტადიონზე წყდებოდეს. სავალალო ის არის, რომ ყველაზე მასობრივი გამხდარა სპორტის ის სახეები, რომლებიც მაყურებელს ყვირილსა და თავდაუშერლობას თუ ასწავლის (მერე კიდევ ვჩივით: აღმზრდელობითი მუშაობა მოისუსტებსო. ლექციები მეტი უნდა წაგვეკითხა ახალგაზრდებისთვისაო).

სპორტი კარგია, ოღონდ მას თავისი ადგილი აქვს და შესაბამისი ყურადღებაც უნდა ეთმობოდეს. ხალხის ცხოვრების სახსარს სპორტი არაოდეს ქმნიდა.

— რას გვეტყვით ჩვენს მწერლებზე, მათი ნაწარმოებების ფორმასა და სტილზე?

— ალბათ, მკითხველის შთაბეჭდილებას გულისხმობთ, თორემ ამ კითხვაზე აზრის გამოთქმა პროფესიონალი-კრიტიკოსის საქმეა.

პოეტი ბევრი გვყავს და ნაირ-ნაირი ხმისა. არც პროზით ვართ ღარიბები. საინტერესო საკითხავი არცთუ ცოტა იწერება. ძლიერი განცდისა და ღრმა გაგებისა კი (ვთქვათ, ისეთი, რომ მეორედ წაკითხვა მოგინდეს), შედარებით ცოტაა.

ამბობენ, კარგის დაწერას ნიჭისა და კულტურის შეზავება ესაჭიროებაო. საკმარისია კი? მწერლის პიროვნებაა ის საძიკველი, რაც ნიჭსაც ნიშანდობლივი სახით გამოავლენს და კულტურასაც თავისებურად გამოიყენებს.

წინათ რაც იყო, იმას თუ შევადარებთ, ჩვენი მწერლობის წარმატება ხელშესახებია. იმის თვალსაზრისით კი, რაც უნდა იყოს, გასავლელი მანძილი, ალბათ, საკმაო გვრჩება.

ჩვენი მწერლობის გამარჯვება ჩვენი კულტურის გამდიდრებას მოასწავებს და ქართველ მკითხველს გაახარებს (მარცხიც ასევე შესაწუხარი იქნებოდა). ერთი სიტყვით: ქართველ მწერალს ქართველი მკითხველი ზურგს უმაგრებს, სიყვარულითა და მომთხონელობით.

ახსოვს კი ყოველთვის ყველა მწერალს ეს მკითხველი, თავისი მწერლის მოიმედე?!

— რა სახის ენობრივ დარღვევებს უნდა ვებრძოლოთ ჩვენი ახალგაზრდობის მეტყველებაში?

— ყველაზე უფრო არსებითია აზრის მკვეთრად ჩამოყალიბება. სათქმელის ზედმიწევნით თქმა, სიტყვის თავის ადგილას ხმარება. ყველაზე უფრო აქ ჭირს, და ყურადღებას, პირველ ყოვლისა, ეს სატკივარი საჭიროებს.

მართლწერის ნორმები ამ სატკივარს ვერ განკურნავს (კედლის შეთეთრება რას გვიშველის, თუ სახლი „საავარიო მდგომარეობაშია“): აზროვნების კულტურა უნდა ამადლდეს, თუ გვინდა მეტყველების

კულტურის ეს ძირითადი საქმე მოგვარდეს.

— რა როლს ასრულებს მწერლის ენა მისი ნაწარმოებების სპეციფიკური სტილის შექმნაში?

— „მწერლის ენა“ რთული ცნებაა; არც „სტილის“ ცნებაა მარტივი; ამ ორი ცნების ურთიერთობაც შესაბამისად რთულია და ცალკე განხილვას საჭიროებს. ამთავითვე ერთი რამ შეიძლება ითქვას: „მწერლის ენა“ „მწერლის სტილის“ ორგანული ნაწილია. და მაინც ნაწილისა და მთელის ურთიერთობა სარკვევია.

— საჭიროა თუ არა ბრძოლა ნეოლოგიზმებისა და ბარბარიზმების სიჭარბესთან თანამედროვე სამწერლო ენაში? რა გზით უნდა წარიმართოს ეს ბრძოლა?

— ყველა ნეოლოგიზმს, ე. ი. ახალ მოვლენებს, ანუ ინოვაციას, ერთი ჯოხით ვერ გავდენით: ზოგი უხეიროა და უკუსაგდები, ზოგიც რივიანი და საჭირო, ნეოლოგიზმები ერთობლივ რომ უარვყოთ, ენა როგორღა განვითარდება?

„ბარბარიზმების“ წინააღმდეგ ბრძოლა სალიტერატურო ენაში საჭიროა. ეს არ შეიძლება იყოს სადავო.

საკითხავი ოღონდ ისაა, რას მივიჩნევთ „ბარბარიზმად“?

ავიღოთ, მაგალითისათვის, გამოთქმა: „ბარბარიზმების წინააღმდეგ ბრძოლა“... ხომ არ არის ეს გამოთქმა „ბარბარიზმი“... „მტერთან ბრძოლა“, „ეპიდემიასთან ბრძოლა“ თუ „მტრის (ეპიდემიის) წინააღმდეგ ბრძოლა“?

გულდასმით რომ გადავათვალიეროთ ის წერილები, რაც ჩვენში გამოქვეყნებულა „ბარბარიზმებთან ბრძოლის“ თაობაზე, ბევრი საკითხი აღმოჩნდება საკმაოდ შორს მიმავალი. ამაზე აჯობებს ცალკე იყოს საუბარი. იქნებ, ჟურნალმა „ცისკარმა“ ასეთ საკითხებს — ქართული სტილისტიკის საკითხებს — მცირე ადგილიც დაუთმოს ყოველ ნომერში. „მართალი ქართული ასეთია, ეს კი ბარბარიზმია და ნუ გვინდაო!“

— მკითხველებს აინტერესებთ თქვენი აზრი ქართულის მონათესავე ენების შესახებ.

— ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი ესაა ქართული ენის წარმომავლობის საკითხი. მას მხოლოდ საენათმეცნიერო მნიშვნელობა როდი აქვს: ენის ისტორია ხალხის ისტორიის წყაროდ მიაჩნიათ, უტყუარი ისტორიის წყაროდ (ისტორიული საბუთი შეიძლება ნაყალბევი იყოს; ენის ფაქტი ყალბი შეუძლებელია იყოსო, იტყვიან). ქართული ენის ნათესაობის საკითხი ქართველი ხალხის წარმომავლობის პრობლემას უკავშირდება.

ასოცდაათი წელი გავიდა, რაც ქართული ენის მონათესაობის ძიება

მეცნიერული წესით დაიწყეს (მ. ბროსე). ზოგი მკვლევარი ფიქრობდა: ქართული ინდოევროპული ენების მონათესავეაო (მაგ., სახელგანთქმული ფ. ბოპი, ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკის ფუძემდებელი, 1846 წ.). ნ. მარმა ქართულის მონათესავედ არაბულ-ებრაული მიიჩნია და ამ დებულებაზე ააგო „იაფეტური თეორია“ (1908 წ.).

მთის კავკასიურ ენებთან — აფხაზურ-ადიღურთან (ჩერქეზულთან), ჩაჩურ-ქისტურთან და დაღესტნის ენებთან ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობა ორსავე შემთხვევაში განზე დარჩა (ეს კია, რომ ნ. მარმა მოგვიანებით, 1916 წელს, მთის ზემოხსენებული ენებიც მოაქცია „იაფეტურ ენებში“, ოღონდ სემიტურთან ურთიერთობის თვალსაზრისს მაინც ვერ დააღწია თავი ნ. მარის ვერც ერთმა მთლიანმა გრამატიკულმა მიმოხილვამ — იქნება ეს „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, თუ „ჭანურის გრამატიკა“).

უცხოელი ენთმეცნიერები (ფრ. მიულერი, 1895, ა. ტრომბეტი, 1923 წ.) ქართულისა და მთის კავკასიური ენების ნათესაობას სცნობდნენ, მასთან ა. ტრომბეტი (და გარკვეულ პერიოდში, 1920-1923 წლებში, ნ. მარი) ქართულსა და მთის კავკასიურ ენებს მიიჩნევდნენ წინააზიისა და ხმელთაშუაზღვეთის ძველი ენების (ურარტულის, პროტოხეთურის... ეტრუსკულის) წრისად. ამ წრის გადმონაშთი ჩანს კავკასიური ენებიც და ბასკურიცაო: კავკასიონის სამხრეთითა და ჩრდილოეთით, პირენეის მთების კალთებზე ესპანეთსა და საფრანგეთში შემორჩენილია ძველისძველი ხალხების თავისებური სტრუქტურისა და არქაული წყობის ენებიო, — ასეთია დედა-აზრი ამ შეხედულებისა. ამ შეხედულებას ჩვენში იცავდნენ ივ. ჯავახიშვილი, სიმ. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ვ. თოფურია, ქეთევან ლომთათიძე...

გასაგებია, რა დიდი მნიშვნელობაც ენიჭებათ ამ ენათა შესწავლას კულტურის ისტორიის თვალსაზრისით... არ შეიძლება დავივიწყოთ პასუხისმგებლობაც, რაც ამ ენების სპეციალისტებს აწევს: მეცნიერების წინაშე პასუხისმგებლობა შეესაბამება საკითხის მნიშვნელობას.

სწორი აზრი მეცნიერებაში რომ შევიდეს, დასაბუთება ესაჭიროება. მანამდე ჰიპოთეზა გვექნება. მეცნიერული თეორია ჰიპოთეზით იწყება. 1954 წ. ჟურნალმა „გოპროსი იაზიკოზნანიამ“ დისკუსია გამოაცხადა: ხეთურ-კავკასიური ჰიპოთეზა საბჭოთა ენთმეცნიერების დეზორიენტაციას იწვევსო, უნდა მოითხაროსო. არც ქართულის ნათესაობაა მთის კავკასიურ ენებთან (მათ შორის აფხაზურთან!) სარწმუნოო, კავკასიური ენების ძველ ენებთან ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობა ხომ რა სათქმელიაო.

მთის ენების (კერძოდ, აფხაზურის) ჩვენება რასაც მოასწავებდა და როგორ უჭერდა მხარს ქართულ-კავკასიურის (იბერიულ-კავკასიურის) ნათესაობას, ეს ჩვენთვის ცხადი იყო. ურარტულ-პროტოხეთურთან ჩვენი ენების ურთიერთობის საკითხი კი ჩვენი ორიენტალისტების კომპეტენციის

საგანია. მათი ხმა კი ამ დისკუსიაზე არ გაისმა (ეს დუმილი მეტყველი დუმილი იყო; რომაელები იტყოდნენ: **cum tacent, clamant!** — „რომ ღუმან, ამით გაკვირდნა“!

და მაინც ამ დისკუსიაში უსაფუძვლო ბრალდებები გავაქარწყლეთ; პ რ ო ბ ლ ე მ ი ს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი აქტუალურობა ერთხელ კიდევ დადასტურდა.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ცენტრი თბილისია: არსად სხვაგან არ მიუწვდებათ ხელი მთის იმდენ ენაზე, რამდენსაც ჩვენში იკვლევენ. ბასკურზე ჩვენში აქამდე არავინ მუშაობდა. ეს ხარვეზიც მალე ამოივსება.

ქართული ენის ნათესაობა ჯერ კ ა ვ კ ა ს ი უ რ დ ო ნ ე ზ ე უნდა გადაწყდეს (ქართულის მონათესავეა აფხაზური და მთის კავკასიური ენები — ადიღურ-ჩერქეზული, ჩაჩურ-ქისტური და დაღესტნური ენები), შემდეგ — წინააზიისა და ხმელთაშუაზღვეთის ძველი ენობრივი სამყაროს დ ო ნ ე ზ ე... თუ ცოცხალი ბასკურის ანდა მკვდარი ურარტული ენის ნათესაობა, იბერიულ-კავკასიურ ენათა რომელიმე ერთ ჯგუფთან დამტკიცდება, მით ყველა სხვასთანაც დამტკიცებული იქნება (ასე, მაგ., ურარტულს ხელშესახები კავშირი აღმოაჩნდა ქისტურთან, ეს უკვე ტრომბეტიმ აღნიშნა! — მაშასადამე, ქართულთანაც: ნათესავის ნათესავი ნათესავი იქნება!):

კითხვა დგება: ძველი სამწერლო ენის, ქართული ენის ისტორიას რაში ესაჭიროება მთის უმწერლო ანდა ახალმწერლობიან ენათა მონაცემები?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომა: „ქართული და კავკასიური ენების ბუნება და თავდაპირველი ნათესაობა“, — პირველი გამოკვლევა, სადაც ქართულის ნათესაობის საკითხი მთის კავკასიურ ენებთან სისტემატურად არის გაანალიზებული და საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი, ქართული კულტურის ყველაზე დიდი მკვლევარი, სხვათა შორის წერს: „...ჩემი ღრმა რწმენით, რაკი გამოირკვა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია **ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნის**, მაშასადამე, იმდენი მოთმინება და გულმოდგინეობაც უნდა აღმოაჩინდეს, რომ სიძნელეს არ შეუშინდეს და საკითხი საფუძვლიანად შეისწავლოს“ (გვ. XV, ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

ივ. ჯავახიშვილის ამ სიტყვების ჭეშმარიტება სარწმუნოა ყველასთვის, ვინც ქართულს იკვლევს და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩვენებაშიც ერკვევა.

ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკი-

თხი დიდი საკითხია. იგი კულტურის ისტორიის არა ერთ ძირითად საკითხსაა გადაჯაჭვული. ასეთი საკითხები ერთი ხელის მოსმით არ წყდება. ნათესაობის უარყოფელი, ბუნებრივია, რომ იყვნენ (და არიან კიდევ — უცხოეთშიც, ჩვენშიც!).

სწორი დებულება საბოლოოდ თავისას გაიტანს. სწორი დებულება იმის სწორი დებულებაა, რომ კრიტიკას გაუძლოს (თუ, რა თქმა უნდა, ეს კრიტიკა მეცნიერული წესითა და საშუალებით იწარმოებს, და საჭირო საბუთების უქონლობას სხვა, მეცნიერებისათვის უცხო საშუალებებით არ შეივსებს).

მიმდინარე წლის ივნისში საგანგებო სამეცნიერო სესია მიეძღვნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემას. სესია შედგა მახაჩყალაში (დაღესტანში). მონაწილეობას იღებდნენ დაღესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილო-ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის, ადიღეს, მოსკოვის, ბაქოს, ერევნის და თბილისის სპეციალისტები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულებამ სესიის მხარდაჭერა პოვა — (სათანადო დასკვნებში ეს აღინიშნა). ამ სესიის მუშაობაზე აქ ვერ შევჩერდებით (იქნებ როდისმე ცალკე). სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა.

— რა აზრისა ხართ სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების დაპირისპირების შესახებ? მიგაჩნიათ თუ არა, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში უნდა გამოიყენონ ორივე მათგანის მეთოდები?

— საკითხი მეტად სპეციალურია, მასთან, განყენებული. ზოგადად ასე შეიძლება ვთქვათ: მეცნიერულად არაა გამართლებული სინქრონიული (აღწერითი) დავუპირისპიროთ დიაქრონიულს (ისტორიულს): სინქრონიულიც საჭიროა და დიაქრონიულიც. ერთსაც თავისი ადგილი აქვს და მეორესაც (სინქრონიული ანალიზის საჭიროებას მე ვასაბუთებდი მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1928 წ., მაშინ სინქრონიის ამინდი არ იყო, და წიგნიც, მისი ავტორიც, მრავალი ეპითეტით შეამკეს).

რა ადგილი უნდა ეკუთვნოდეს სინქრონიას და რა — დიაქრონიას, ეს დიდ დავას იწვევს თანამედროვე ენათმეცნიერებაში; პასუხი იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ გვესმის ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების, რაობა.

თუ ენათმეცნიერება საზოგადოებრივი (ჰუმანიტარული) მეცნიერებაა, — და მე ეს მიმაჩნია მართებულად, — წამყვანი უნდა იყოს დიაქრონიული (ისტორიული) ენათმეცნიერება, სინქრონიულის (აღწერითის) ადგილი ამით განისაზღვრება.

— უკანასკნელ წლებში რა გაკეთდა ახალი ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის მხრივ?



— ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითს შესწავლაში, უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნებულ შრომათაგან აღსანიშნავია: თ. გამყრელიძის: „სიბილიანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959 წ.), კარლ ჰორსტ შმიდტის „ძიებანი სამხრულ-კავკასიური ფუძე-ენის ბგერითი შედგენილობის რეკონსტრუქციის შესახებ“ (1962 წ., გერმ. ენაზე), გ. როგავას „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“, I (1962 წ.), გ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (1964 წ. რუს. ენაზე) და თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა: „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965 წ.).

ყველა ეს შრომა საგულისხმოა: ზოგი — მოპოვებული შედეგებით („ისტორ. ფონეტ. საკითხები“, „სიბილიანტა შესატყვისობანი...“), ზოგი კიდევ — ცდით, ახლებურად დაისვას საკითხი („სონანტა სისტემა...“). კ. შმიდტისა და გ. კლიმოვის შრომები არსებითად ერთსა და იმავე მასალას ეხება, მაგრამ შმიდტის შრომა უფრო საინტერესოა.

ზოგს ამ შრომაზე უკვე დაიწერა რეცენზიები ჩვენშიც, უცხოეთშიც, ზოგის შესახებაც დაიწერება. ვფიქრობთ, ამ შრომების განხილვა ხელს შეუწყობს ჩვენში ისეთ ძირითად ცნებათა მეცნიერული აზრის გარკვევას, როგორცაა „ფუძე-ენა“, რეკონსტრუქციის დანიშნულება და შესაძლებლობანი, საკითხი დივერგენცია-კონვერგენციის ადგილის შესახებ ენის განვითარების პროცესში.

ამ საყრდენი ცნებების ბუნდოვანება შედარებითი ენათმეცნიერების სისტემის წყარო იყო წინათაც, არის დღესაც.

გარკვეულობა აქ, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენს ავტორებსაც აკლიათ და იმ ავტორებსაც, რომელთა გაგებას ჩვენი ავტორები უყოყმანოდ მიჰყვებიან.

— თანამედროვე ეტაპზე კიბერნეტიკულ ხერხებს მეცნიერების თითქმის ყველა დარგი იყენებს. როგორია კიბერნეტიკის როლი ენათმეცნიერებში?

— „კიბერნეტიკის როლზე ენათმეცნიერებაში“ რომ ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა, მანქანური (ავტომატური) თარგმნა აქვთ მხედველობაში.

დასაწყისი იმედია იყო. იმედები, ცოტა არ იყოს, მოჭარბებული აღმოჩნდა. ამან სკეპტიციზმს გზა გაუხსნა.

საფიქრებელია, რომ შეფერხებას დაძლევენ.

ერთი რამ ცხადია: ავტომატური თარგმანის საკითხი თუ ტექნიკურადაც დაიძლია, მრავალენიანობის პრობლემა სიმწვავეს დაკარგავს. მომავალში ერთიანი ენის საკითხი მოიხსნება.

ამრიგად, საკაცობრიო მნიშვნელობის მწვავე საკითხს მოვევლება. მოვევლება უმტკივნეულოდ, თუ კიბერნეტიკამ ივარგა.

— როგორია მათემატიკური ლინგვისტიკის ამოცანები?

— „მათემატიკური ლინგვისტიკის ამოცანები“ გამოყენებითი ხასიათისაა. ამ მხრივ აინტერესებთ ეს დარგი, პირველ ყოვლისა. მაინც ამით არ ამოიწურება მისი როლი (ენა ნიშანთა სიმრავლეს გულისხმობს. სიმრავლის კანონზომიერებანი ენაშიც მოქმედებს. მეტადრე ეს ბგერათა სინამდვილეზე ითქმის).

ჩვენში ყველაზე ადრე ენათმეცნიერების ინსტიტუტმა იზრუნა მათემატიკურად გაწვრთნილ ენათმეცნიერთა მომზადებაზე (და გარკვეულ შედეგსაც მიაღწია). უფრო გვიან ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა (ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის თაოსნობით) მათემატიკური ენათმეცნიერების განყოფილება საკმაოდ რთული სასწავლო გეგმით (ამჟამად კიბერნეტიკის ფაკულტეტის შემადგენლობაშია). შექმნილია სათანადო კათედრა.

„სამუშაოები გამოყენებითი ენათმეცნიერების ხაზით აქტუალურია. მათემატიკური ენათმეცნიერება მეცნიერულად კანონზომიერი და მნიშვნელოვანია. მაგრამ ვერც მათემატიკური ენათმეცნიერება და მით უფრო ვერც გამოყენებითი ენათმეცნიერება ვერ გასწევს ენათმეცნიერების მაგივრობას, — ენათმეცნიერებისა, რომელიც, პირველ ყოვლისა, ენის ფაქტების ისტორიულ-შედარებითს შესწავლაზეა დაფუძნებული. ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებას აქვს შესაძლებლობა თეორიულად გაიაზროს და ორგანულად შეისისხლხორცოს ენათმეცნიერული ცოდნის ახალი დარგის მიღწევები. მაშასადამე, არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ ენათმეცნიერების ახალი დარგები დაუპირისპიროთ ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას“ — შემთხვევა გვქონდა გვეთქვა 1958 წელს სლავისტთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე „მათემატიკური ენათმეცნიერების“ საკითხებზე დისკუსიის დროს (დაბეჭდილია ამ კონგრესის მასალებში, ტომი მეორე, 1962 წ., გვ. 503).

ახლაც ამასვე ვფიქრობ.

— ყველასათვის ცნობილია, რომ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ დიდი ეროვნული მნიშვნელობისაა. მის შექმნაში თქვენ, როგორც მთავარ რედაქტორს, მეტად დიდი წვლილი მიგიძღვით. გვინტერესებს, გათვალისწინებულია თუ არა ლექსიკონის შემდგომი გამოცემა და რა ცვლილებებია მასში მოსალოდნელი?

— „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი გამოცემის საკითხი ჯერ არა დგას.

ამჟამად რვატომეულის საფუძველზე ერთტომეული მზადდება.

რვატომეულში სასურველი იყო დოკუმენტაცია უფრო სრულად მოგვეცა. სიტყვათა ხმარების არეალი მაშინ უფრო ნათლად გამოჩნდებოდა. მაგრამ ეს ლექსიკონის მოცულობას გაზრდიდა (რუსული ენის ოთხტომეული განმარტებითი ლექსიკონი უშაკოვისა 80 ათას სიტყვას შეიცავს. „თანამედროვე სალიტერატურო რუსული ენის ლექსიკონში“, წელს რომ დამთავრდა, 120.480 სიტყვა შეტანილი და ჩვიდმეტ ტომად არის გამოცემული: სიტყვათა რაოდენობა ერთი მესამედით მეტია, ტომების რიცხვი — ოთხჯერ: დოკუმენტაცია უხვად შეტანილი).

ახალი გამოცემის საკითხი როცა დადგება, დოკუმენტაციით შევსებისა და ტომთა გაზრდის საკითხიც შეიძლება დადგეს.

ერთტომეულში დოკუმენტაცია, რა თქმა უნდა, მხოლოდ შემცირდება (რვატომეულთან შედარებით).

რვატომეულს წაადგებოდა, სრული ინდექსები რომ დართვოდა. აქაც მოცულობის საკითხი დგება. ოღონდ ეს ახალი ტომების დამატებას არ მოითხოვს.

ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა შეიძლება კია დაზუსტდეს, მაგრამ ლექსიკონის აგებულების საკითხი ჩემთვის არა დგას.

— რა საკითხებზე მუშაობთ ამჟამად?

— „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, — ესაა ერთი სამუშაო (იგი ორგანულად უკავშირდება „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის“, რომელიც წელს გამოვიდა); მეორეა: „თანამედროვე ენათმეცნიერების სისტემის ძირითადი საკითხები“.

დიდი ხანია ვმუშაობ „ქართული ენის ისტორიაზე“... მინდა დავამთავრო, თუ დამცალდა.

— რას ურჩევდით „ცისკრის“ კოლექტივს ჟურნალის მხატვრული, ენობრივი და სტილისტური მხარის გასაუმჯობესებლად?

— „ცისკრის“ სარედაქციო კოლექტივს ვუსურვებდი... ჟურნალის საქმე ისე წარემართა, რომ მორიგი ნომრის გამოსვლას მკითხველი მოუთმენლად ელოდეს.

## თვრამეტი მეცნიერის პასუხი ერთ შეკითხვაზე

ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქციასთან შეთანხმებით, რედაქციის სახელით მივმართე ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების — აკადემიკოსების ერთ ნაწილს, რათა პასუხი გაეცათ შეკითხვაზე: „აქვს თუ არა თავისი პოეზია მეცნიერებს და, თუ აქვს, რაში გამოიხატება იგი?“

სერგი ღურმიშიძე, გვ. 137

### არნოლდ ჩიქობავა:

პოეზია თუ ესთეტიკა?

დიდი სიხარული, რაც ახალი კანონზომიერების შემწნევასა თუ გამოვლენას მკვლევრისათვის მოაქვს, ესთეტიკური ძალით ყოველ პოეზიას წააჭარბებდა.

მის გარეშე მეცნიერული აკრიბია მძიმე ტვირთად იქცეოდა (და ან ინტრიგის შხამს რა გაუძლებდა?!).

ჟურნ. მნათობი, 1984, №9, გვ. 146.

## სასიცოცხლო ძალა

(პასუხები გაზ. „თბილისის“ ანკეტაზე)

1) ვხვდებით ხელშესახები წარმატებით იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების განვითარებაში. ამ ენათმეცნიერების ძირითადი დებულებაა: ყველა იბერიულ-კავკასიური ენა საერთო წარმოშობისაა. ე. ი. ქართული, აბხაზურ-ჩერქეზული, ნახურ-ქისტური და დაღესტნური ენები მოძმე ხალხთა მონათესავე ენებია. ამ დებულებას იცავდა და ასაბუთებდა ჩვენი კულტურის ისტორიის დიდი მკვლევარი ივ. ჯავახიშვილი 1937 წელს გამოსულ ვრცელ გამოკვლევაში. რაც შემდეგ ჩვენში გაკეთდა, ამ დებულებას მეცნიერულ საბუთიანობას მატებს.

1967 წელს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოსცა კრებული „იბერიულ-კავკასიური ენები“. იქ ნათქვამია: იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტების მეტი წილი ამ ენათა ნათესაობას მხარს უჭერსო. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წარმატება ამაშიც ჩანს.

2) ბევრი რამ მისცა ენათმეცნიერებას იმით, რომ არსებითად შეიცვალა ეროვნულ ენათა უფლება-მდგომარეობა.

ენა ხალხის მეობის არსებითი ნიშანია, მეფის რუსეთში ყველა ხალხის მშრომელები უფლებააყრილი იყვნენ. ოქტომბრის რევოლუციამ აღიარა ხალხთა, ერთა თანასწორობა და მით დაამკვიდრა ეროვნულ ენათა უფლებები, სასიცოცხლო ძალა მისცა ამ ენებს.

ეს იცის ყოველმა მოქალაქემ, ენის სპეციალისტი კი მკვეთრად გრძნობს ამის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას.

3) ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ჩვენი აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მაისში, იბერიულ-კავკასიურ ენათა რეგიონალური სესია — სექტემბერში. ამ სესიების მუშაობაში მეც ვმონაწილეობდი სამეცნიერო მოხსენებებით. ვმონაწილეობდი აგრეთვე მოსკოვში გამართულ საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინურ დღეებში. წავიკითხე მოხსენება „იბერიულ-კავკასიური და ზოგადი ენათმეცნიერება საქართველოში“.

ერთი ხანია ვმუშაობ სახელმძღვანელოზე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“. ასეთი სახელმძღვანელო პირველად იწერება. ვვარაუდობ გაზაფხულზე, დიდი ბელადის საიუბილეოდ დავამთავრო.

გაზ. „თბილისი“, 1969, 6 ნოემბერი, გვ. 3.

## Над чем работают ученые?

Редакция "Вопросы языкознания" обратилась к ряду ученых-лингвистов с просьбой рассказать читателям журнала о своей научной работе и поделиться планами на ближайшее будущее. В этом номере публикуется часть ответов, полученных в течение июня 1958 г. В последующих номерах публикация будет продолжена.

1. Продолжаю работать над проблемой эргативной конструкции по данным иберийско-кавказских языков. В монографии "Проблема эргативной конструкции в иберийско-кавказских языках" (Тбилиси, 1948)<sup>1</sup> документально установлено, что при переходных глаголах грузинского языка вначале имелась не номинативная конструкция, а эргативная (субъект – в эргативном падеже, объект – в именительном); эргативной конструкции по времени предшествовала индефинитная конструкция (неоформленная основа выступала как в роли субъекта, так и объекта).

На очереди стоит вопрос о становлении номинативной конструкции при переходных глаголах в настоящем времени. Сопоставляя строение глагольной основы настоящего времени со структурой глагольной основы прошедшего основного времени в древнегрузинском языке и учитывая при этом показания занского и сванского глагола, должно уяснить пути развития конъюгационных основ (глагольных тем) переходного глагола и вскрыть морфологическую основу синтаксических процессов, приведших к формированию номинативной конструкции (субъект – в именительном, "прямой объект" – в дательном падеже).

Монография о древней структуре глагольных основ, над которой я тепеь веду работу, явится продолжением труда "Древнейшая структура именных основ в картвельских языках" (Тбилиси, 1942), где в составе именных основ выявлены окаменелые экспоненты грамматических категорий личности и вещи (в префиксах) и детерминативные суффиксы.

2. Готовлю новое издание книги "Общее языкознание". II. Основные проблемы", которая первым изданием вышла на грузинском языке в 1945 г. Закончена работа над первым разделом (проблема языка как предмета языкознания). Остаются две проблемы: 1) проблема специальных методов (методов изучения истории языка и методов описания системы языка) и 2) проблема строения лингвистики (отраслевой состав в взаимоотношение отраслей – морфологии и синтаксиса, морфологии и лексики, стилистики и синтаксиса, фонетики и фонологии, фонетики и стилистики... т. д.). При рассмотрении

---

<sup>1</sup> Описательному анализу эргативной конструкции (на материале древнегрузинского языка) посвящена одна монография "Проблема простого предложения в древнегрузинском языке. 1. Подлежащее и дополнение в древнегрузинском языке", Тбилиси, 1928.

методов описания системы языка должное место будет отведено анализу новейших попыток решения проблемы, в частности структурализму.

3. Параллельно изучается проблема языка как предмета философии (в историческом аспекте) с должным учетом того обстоятельства, что до возникновения лингвистики как самостоятельной науки философия языка исчерпывала собою всю теорию языка (да и после возникновения лингвистики никогда не прекращался "импорт" в лингвистику теорий, зарождавшихся в умозрительной философии языка).

4. Совместно с доц. И. И. Церцвадзе готовлю к печати университетский учебный "Курс аварского языка" (часть I – Хрестоматия со словарем, часть II – Грамматический анализ).

5. Как главный редактор "Толкового словаря грузинского языка", работаю над шестым томом, находящимся в производстве, и восьмым (последним) томом, который готовится к печати.

Арн. Чикобава  
(Тбилиси)

ქ. "Вопросы языкознания", 1958, № 5, 83.

## Толковый словарь Грузинского языка

Большая работа, ведущаяся в Грузии, в частности, лексикологии, увенчана высокой наградой. За создание "Толкового словаря грузинского языка" (I–VIII тома), опубликованного в 1950-1964 годах, большая группа ученых в составе А. С. Чикобава (руководитель), Г. В. Церетели, В. Т. Топурия, М. Н. Чабашвили, С. М. Вачнадзе, О. И. Кахадзе, Т. С. Шарадзенидзе, М. В. Месхишвили, К. В. Ломтатидзе, С. Б. Ментешашвили, П. Л. Гачечиладзе, И. Н. Гигеинейшвили, Б. А. Почхуа удостоена Государственной премии Грузинской ССР 1971 года.

С просьбой охарактеризовать работу по составлению восьмитомного толкового словаря и рассказать о текущей деятельности коллектива, подготовившего словарь, корреспондент "Вечернего Тбилиси" обратился к академику Академии наук Грузинской ССР Арнольду Степановичу Чикобава. Вот что он рассказал:

– Восьмитомный толковый словарь грузинского языка – результат работы большого коллектива специалистов языка; активное участие в этой работе принимал и ряд писателей, мастеров грузинского слова. Работа над словарем длилась почти двадцать лет.

В 1945 году при Президиуме Академии наук Грузинской ССР была создана Комиссия Толкового словаря, были разработаны принципы словаря, создан словник, приступлено к созданию картотеки, необходимой для документирования значений слов, развернута работа по подготовке кадров молодых специалистов-лексикографов...

Первый том словаря вышел в 1950 году, последний, восьмой, в 1964 году. Закончить столь трудоемкую и сложную работу в столь краткий срок стало возможным благодаря повседневной помощи президиума Академии наук Грузинской ССР и вниманию, которое уделялось работе над словарем со стороны директивных органов республики.

Наш восьмитомный словарь содержит 112.949 слов и 14.536 идиоматических выражений, отражающих богатство современного грузинского языка и бытующих в настоящее время в устной и письменной речи народа. Это первый документированный словарь грузинского языка. В нем полной мере учитываются достижения грузинской лексикографии (замечательный толковый словарь С.-С. Орбелиани (1718 г.), грузинско-русский словарь Давида Чубинашвили, ряд диалектных и терминологических словарей).

Я хотел бы воспользоваться случаем и поблагодарить с помощью газеты не только редакционный коллектив словаря, безвозмездная деятельность и энтузиазм которого обеспечили выпуск восьмитомника, но и всех тех, кто помогал нам советом и делом.

Коллектив лексикографов, выросший в процессе работы над



восьмитомным толковым словарем, сейчас занят работой над двумя словарями. Первый из них – одготомник, толковый словарь грузинского языка, в которой войдет около 50 тысяч слов – базируется на уже изданном восьмитомнике. Второй – историко-этимологический словарь грузинского языка. За это время проведена значительная работа. К настоящему времени мы имеем почти полтора миллиона карточек, на которые выписаны слова, встречающиеся в памятниках древнегрузинской литературы.

Одновременно ведутся систематические исследования наречий грузинского языка. Составлены словари картлийского и хевсурского диалектов, а также словарь пшавского диалекта грузинского языка. Заканчивается составление словаря чанского (лазского) диалекта занского языка, относящегося к группе картвельских языков иберийско-кавказской семьи (фиксация лексики чанской речи – дело неотложной важности: исконные слова картвельского корня в ней вытесняются иноязычными заимствованиями).

Премирование словаря является выражением большого внимания, которое уделяется национальному языку грузинского народа со стороны руководства нашей республики.

გაზ. "Вечерний Тбилиси", 1971, 26 мая, გვ. 2.

## რედაქტორისაგან

### რედაქტორის წინასიტყვაობა\*

სალიტერატურო ქართულის დაუფლებისათვის ძირითადი საშუალებაა მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების კითხვა-შესწავლა.

გრამატიკული წესების შეთვისება მიზნად ისახავს მიაჩვიოს მოწაფე სალიტერატურო ენის ნორმათა შეგნებულად მოხმარებას, მაგრამ წესის ცოდნა მიზანს ოდნავადაც ვერ მიაღწევს, თუ წესის შეთვისება საკმაო მასალაზე ვარჯიშობას არ ემყარება.

განსაკუთრებით ეს ეხება სასვენი ნიშნების დასმას. თუ მოწაფე წინადადების დაწერის შემდეგ ანგარიშობს, რა სასვენი ნიშნები დამჭირდება ამ წინადადებაში, მან სასვენი ნიშნების დასმა არ იცის; ვარჯიშობის შედეგად უნდა მივალწიოთ იმას, რომ სასვენი ნიშნების დასმა ხდებოდეს წერის დროსვე ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე (მოსაფიქრებელი შეიძლება იყოს ცალკეული რთული შემთხვევები). ვარჯიშობა გულისხმობს სავარჯიშო მასალას, ყოველი მოვლენისათვის ცალკე შერჩეულს (ასე დაწყება აუცილებელია).

ამგვარი მასალის უქონლობა უთუოდ ნაკლი იყო ჩვენი სასკოლო მუშაობისა. ფილ. რურუას წინამდებარე წიგნი ავსებს ამ ხარვეზს. ამდენად ამ დამხმარე წიგნს აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

წიგნში საკმაო მასალაა მოცემული, როგორც სასვენი ნიშნებზე სავარჯიშოდ, ისე მართლწერის საკითხებზე სამუშაოდ<sup>1</sup>.

წიგნი კეთილსინდისიერად არის დამუშავებული. გამოცდილი და მომზადებული მასწავლებლის ხელში წიგნი უთუოდ სარგებლობას მოუტანს ქართული მართლწერის დაუფლების საქმეს, ნაკლებ მომზადებულ მასწავლებელს კი ის გაუადვილებს სათანადო მუშაობის სწორად დაყენებასა და ნორმალურად ჩატარებას.

---

\* ფ. რურუა, მართლწერის სავარჯიშოთა კრებული, რედ. არნ. ჩიქობავა, თბ., სახელგამი, 1938, გვ. 3.

<sup>1</sup> წიგნი გვერდს უვლის ზოგს მწვავე საკითხს; მაგ., **ჰ** და **ხ** პრეფიქსების ხმარების შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს ავტორის ბრალი არ არის; საბოლოოდ ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი და იმიტომ.

## წინასიტყვაობა

ბასკები (basques) ამ ხალხს ფრანგები უწოდებენ; ესპანელები კი — ვასკონ-ს (vascon).

ბასკურ ენას (ფრ. *la langue basque*, ესპ. *la lengua vascongada*) ბასკურად ეწოდება ევსკარა || ესკვარა (*euscara || escuara*), ხოლო ხალხის სახელია ევსკ-ალ-დუნ-აკ „ბასკურად მოლაპარაკე ხალხი“.

ვ. შიშმარიოვის აზრით, ევსკ-ფუძე „მოგვაგონებს აკვიტანიელი ხალხის სახელს აუსკი“ (*Ausci || Auscii*)<sup>1</sup>.

ბასკურ ენაში რიგი დიალექტი და თქმა გამოიყოფა: გიპუსკო-ას, ბისკაიის, ზემო-ნავარის, ქვემო-ნავარის, ლაბურ-დისა, სულეტისა...<sup>2</sup>. აერთიანებენ მათ ორ ჯგუფში: დასავლური (ანუ ბისკაიური) და ცენტრალური-აღმოსავლური. ამ უკანასკნელში შედის ყველა სხვა კილო-თქმა, მათ შორის საფრანგეთის მიწა-წყლისა — ლაბურდის (ცენტრი — ბაიონა), ქვემო-ნავარისა (სენ-ჟან-პიე-დე-პორ) და სულეტისა<sup>3</sup>.

ბასკური ენა ერთადერთი ენაა დასავლეთ ევროპაში, ინდოევროპულ ენათა წრეს რომ არ ეკუთვნის.

კომპაქტურად ბასკები ცხოვრობენ ესპანეთსა და საფრანგეთში. ესპანეთში ბასკურ პროვინციებად ითვლება: გიპუსკოა, ბისკაია, ალავა და ნავარა; საფრანგეთში: ლაბურ, სულ, ქვემო-ნავარა (სამივე ეს რაიონი შედის ქვემო-პირენეს დეპარტამენტში)<sup>4</sup>.

ესპანეთის ბასკური პროვინციები და საფრანგეთის ბასკური რაიონები ერთობლივ იწოდება „ბასკების ქვეყნად“, ანუ ბასკონი-ად (იქვე).

ბასკონიის ქალაქებს შორის აღსანიშნავია: ბილბაო (ბისკაიის პროვინციის ცენტრი), სან-სებასტიანი (გიპუსკოას ცენტრი), ვიტორია (ალავას ცენტრი) და პიმპლონა (ნავარის ცენტრი); საფრანგეთში — ქ. ბაიონა (ბისკაიის ყურის სანაპიროზე).

წინათ ბასკებს გაცილებით მეტი ადგილი სჭერიათ საფრანგეთშიცა და ესპანეთშიც.

<sup>1</sup> В. Ш и ш м а р е в, Очерки по истории языков Испании, Л., 1941, გვ. 37.

<sup>2</sup> Народы зарубежной Европы, II, М., 1965, გვ. 499.

<sup>3</sup> В. Ш и ш м а р е в, იქვე.

<sup>4</sup> Народы зарубежной Европы, II, М., 1965, გვ. 498.

1959 წლის ცნობების დამოწმებით, ესპანეთში 700 ათასი ბასკი უნდა ცხოვრობდეს, ხოლო საფრანგეთში — 170 ათასი<sup>5</sup>. ცნობა, ალბათ, მიასლოებითია. ამავე წიგნში ("Народы зарубежной Европы"), ესპანეთის ხალხებს რომ იხსენიებენ, ბასკებზე ნათქვამია: მათი რიცხვი 600 ათასამდე აღწევს<sup>6</sup>.

ამერიკაში, კერძოდ, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებსა და მექსიკაში დიდძალი ბასკი გადასახლებულა XVI საუკუნიდან მოყოლებული (სხვადასხვა დროს, მეტადრე — მეცხრამეტე საუკუნეში 1865-1875 წწ.).

მეტი წილი გათქვეფილა ადგილობრივ მოსახლეობაში (მით უმეტეს, რომ ეს მოსახლეობა არგენტინაში, ურუგვაიში, მექსიკაში ესპანურ ენაზე მეტყველებს).

და მაინც, ამერიკაში 100 ათასამდე ბასკს თავისი ენა შეუნარჩუნებია და ამით ვინაობა დაუცავს.

არგენტინასა და ურუგვაიში ბასკებს თავისი პრესა და ეროვნული ორგანიზაციები ჰქონიათ. მექსიკაში გადასახლებულ ბასკებს პროვინცია „ხალი ბისკაია“ შეუქმნიათ<sup>7</sup>.

ბასკურს დამწერლობა მოეპოვება XVI საუკუნიდან: ბერნ. დე ჩე - პარეს-ს პიესები (სასულიერო ხასიათის თემებზე, 1545 წ., „სახარება“ ლაბურდის დიალექტზე — 1571 წ., მთარგმნელი — ლისარაგა).

ამჟამად სალიტერატურო ბასკურის საყრდენი დიალექტია დასავლური დიალექტი, ბილბაოს თქმა.

\* \* \*

როცა ესპანეთში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, ესპანეთის პარლამენტმა (კორტესებმა) ბასკეთს ავტონომია მიანიჭა. ეს მოხდა 1936 წლის ოქტომბერში.

ბასკთა 400 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი შეიკრიბა გერნიკაში ტრადიციულ მუხასთან (Guernicako arbola „გერნიკის ხე“ — ბასკებში მუხის კულტია გავრცელებული!) და დროებითი მთავრობა აირჩია. ბასკური გამოცხადდა ოფიციალური ენად.

დღემოკლე აღმოჩნდა ბასკეთის ავტონომია.

რესპუბლიკის წინააღმდეგ ამბოხებული ფრანკოს ჯარები შეესივნენ ბასკებს (1937 წლის დასაწყისში) და 1937 წლის ივლისში ბრძოლით აიღეს ქ. ბილბაო.

ბასკების ავტონომია გააუქმეს. აიკრძალა ბასკურის ხმარება ოფიციალურ დაწესებულებებში<sup>8</sup>.

<sup>5</sup> Народы зарубежной Европы, II, М., 1965, გვ. 498.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 419.

<sup>7</sup> В. Ш и ш м а р е в, Очерки по истории языков Испании, Л., 1941, გვ. 33.

<sup>8</sup> Народы зарубежной Европы, II, М., 1965, გვ. 502.

ფრანკოს სიკვდილის შემდეგ (1975 წ.) ბასკებმა კვლავ მოითხოვეს ავტონომია („როგორც ესპანეთიდან იტყობინებიან, გუშინ ქალაქ გერნიკაში შეიკრიბა ბასკთა ქვეყნის ორი ათასამდე წარმომადგენელი — ოპოზიციურ პარტიათა, პროფკავშირთა და სხვა ორგანიზაციათა — და გადაწყვიტეს შექმნან ბასკების დემოკრატიული ასამბლეა.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიაც მოითხოვენ ავტონომიას ბასკთა ქვეყნისათვის, ამნისტიას ყველა პოლიტიკური პატიმრისა და ემიგრანტისათვის“ — „პრავდა“, 30. XII. 75).

\* \* \*

ეს კრებული მიზნად ისახავს ბასკური ენის შესახებ სწორი ცნობები მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს.

„ბასკურ ენას რომ ვისმენდი, ნახევარი ქართული სიტყვები მესმოდაო“, იტყვიან ზოგჯერ. ეს, რა თქმა უნდა, ფანტასტიკაა (ამგვარ მსჯელობას შეუძლია სახელი გაუტეხოს სამეცნიერო საკითხს). „ბასკურისა და ქართულის ნათესაური ურთიერთობის საკითხი საერთოდ არ არის მეცნიერული საკითხი და მისი კვლავაც გაუმართლებელიაო“ — ასეთია მეორე უკიდურესობა.

ჩვენ იმ აზრს ვიცავდით და ვიცავთ, რომ ეს საკითხი მეცნიერული საკითხია, ამასთან, დიდი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული საკითხი, ოღონდ ეს საკითხი იმდენადვე რთულია და ძნელი, რამდენადაც მნიშვნელოვანი. ერთი ხელის მოსმით საკითხი არ გადაწყდება: ამ შესაძარბებელ ენათა ისტორიის სიღრმეში ჩახედვა უნდა შევიძლოთ, თუ გვინდა ბასკურ-კავკასიური პრობლემის სიძნელები დავძლიოთ. საამისოდ საჭირო მუშაობას გვერდი არ უნდა ავუქციოთ. ძნელი პრობლემა არასოდეს გადაწყდება, თუ ის არ დაისვა.

კრებულში შეტანილია სამი წერილი:

1. ბასკური ენის ცნობილი სპეციალისტისა და ქართული ენის მკვლევრის, ფრანგი ენათმეცნიერის რენე ლაფონის ვრცელი წერილი ბასკური ენის შესახებ.

ავტორი ეხება ბასკური ენის ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკის... საკითხებს, აგრეთვე ბასკური ენის შესწავლის ისტორიას. ეს სპეციალისტებისთვისაა საინტერესო.

რ. ლაფონის ამ წერილში საკმაო ადგილი ეთმობა ბასკურის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხს და სხვადასხვა შეხედულებას, რაც ამ საკითხზე არსებობს (იხ. თავი IX). ეს არასპეციალისტებსაც დაინტერესებს. წერილი ინგლისურიდან თარგმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა ნათელა სტურუამ.

2. მეორე წერილიც რ. ლაფონისაა. „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“ (1967) დაწერილია საქართველოში ყოფნის შემდეგ (რუსთაველის იუბილეზე იყო ჩამოსული 1966 წელს და ლექციებიც წაიკითხა ბასკურის შესახებ — ერთი წყება — უნივერსიტეტში, სხვა კიდევ — ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

წერილში რ. ლაფონი თავის შთაბეჭდილებასაც გადმოგვცემს ქართველ სპეციალისტებთან შეხვედრის გამო (პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზედაც წაუკითხავს მოხსენება თბილისში ყოფნასთან დაკავშირებით).

რ. ლაფონის ეს წერილი თარგმნა ფრანგულიდან ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელმა სალომე განიამ.

3. რენე ლაფონი გარდაიცვალა 1974 წლის თებერვალში. მის ხსოვნას საჯარო სხდომა მიეძღვნა უნივერსიტეტში 1974, 14. VI (უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოების საფრანგეთ-საქართველოს სექციის ინიციატივით; სექციის თავმჯდომარე — აკად. ილია ვეკუა).

ამ სხდომას მოხსენდა: „რენე ლაფონი, ბასკოლოგ-კავკასიოლოგი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები“.

ეს მოხსენება აქ მესამე წერილად მიდის. მასში, სხვათა შორის, მოთხრობილია იმ სიძნელეთა შესახებ, რაც ახლავს ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის პრობლემას, რომელსაც პოზიტიური გადაწყვეტა მოეპოვება. ბასკურის შესწავლა რომ საჭიროა ჩვენში წარმოებდეს, ამაზე არა ერთხელ თქმულა, მოხსენებითი ბარათიც მიგვირთმევია ჩვენი აკადემიის პრეზიდენტისათვის (5. VI. 1970 წ.). არავითარი გამოხმაურება!

ბასკოლოგია გულისხმობს ბასკური ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის შესწავლას.

ყველა ამ დარგში სპეციალისტები უნდა მომზადდეს, პირველ ყოვლისა კი — ბასკური ენის სპეციალისტები. ჩამორჩენა გვაქვს. მას თავი უნდა დავადწიოთ. ეს ჩვენი მეცნიერების ღირსების საქმეა.

24. XII. 1975.

წიგნში: რენე ლაფონი, „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“, თბ, თსუ გამ-ბა, 1976, გვ. 5-8

## წინასიტყვა

ბასკური ენის საკითხი ჩვენში დიდ ინტერესს იწვევს.

1975 წელს ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ბასკური ენის შესახებ ლექციების წასაკითხავად მოიწვია პოლონელი სპეციალისტი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი იან ბრაუნი, რომელმაც ამ კურსის კითხვა ჩვენს უნივერსიტეტში მომდევნო წელსაც განაგრძო.

ორმოცდაათიან წლებში იან ბრაუნი თბილისის უნივერსიტეტში ქართულს სწავლობდა (ძველი ქართული ენის კათედრაზე) და საკანდიდატო დისერტაციაც ჩვენს ფილოლოგიის ფაკულტეტზე აქვს დაცული.

პოლონეთში იან ბრაუნი ძველი აღმოსავლეთის ენათა და კულტურათა ისტორიის პრობლემებზედაც მუშაობდა (კრებული „მესოპოტამია“), რაიც ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის საკითხებს უკავშირდებოდა. იმავე დროს იან ბრაუნი სისტემატურად მოგზაურობდა ბასკების ქვეყანაში, — როგორც საფრანგეთის, ისე ესპანეთის ბასკებში და ადგილობრივ, ბასკების წრეში, სწავლობდა ბასკურს, მის სხვადასხვა დიალექტს.

თეორიული ენათმეცნიერების პრობლემატიკა (კერძოდ, ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება) იან ბრაუნისათვის უცხო არასოდეს ყოფილა. ასე რომ, პროფ. იან ბრაუნს ყველა ის მონაცემი კეთილად აქვს შეთავსებული, რაც ესაჭიროება ისეთ რთულ პრობლემაზე მუშაობას, როგორცაა ბასკების ვინაობისა და ბასკური ენის წარმომავლობის პრობლემა.

„ბასკოლოგიის შესავალი“ — ესაა ლექციათა წყება, რაც პროფ. იან ბრაუნმა წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტში 1976 წელს.

„შესავლის“ მიზანდასახულობის შესაბამისად აქ მიმოხილულია ბასკი ხალხის ისტორიული წარსული, ბასკური ენის ყველაზე ძველი ძეგლის დეშეზარის ლექსები 1545 წლისა სათაურით „ბასკების ენის ელემენტები“ — *"Linguae Vasconum Primitiae"*; ამრიგად, ბასკური ენის ყველაზე ძველი გაბმული ტექსტი მეთექვსმეტე საუკუნეს ეკუთვნის (ცალკეული ბასკური სიტყვები მეათე საუკუნიდან არის ცნობილი). ოთხთავი (სახარება) პირველად ითარგმნა ბასკურ ენაზე 1571 წელს (მთარგმნელი მღვდელი ლეისარაგა — *Leizarraga*). XVII საუკუნიდან ბასკურ ენაზე პროდუქცია მატულობს.

ბასკური ენის მეცნიერული აღწერილობა XIX ს. დასაწყისში მოუტია ფლ. ლეკლიუზს (*Fl. Lecluze "Grammaire basque"*).

შემდეგ ი. ბრაუნი იხსენიებს ბასკური ენის უცხოელ მკვლევრებს

ჟულიენ ვენსონს (Julien Vinson) და ლუი ბონაპარტს (Luis Lucien Bonaparte), რომლის ღვაწლსაც ი. ბრაუნი ადარებს უსლარის ღვაწლთან კავკასიისმცოდნეობაში.

შემდეგი დროის მკვლევართაგან ი. ბრაუნი გამოყოფს ჰ. შუხარდტის „ბასკურ შტუდიებს“ (*"Baskische Studien"*, 1893) და ნაშრომს „ბასკური ენის ელემენტები“ (*"Primitiae Linguae Vasconum"*, 1923); როგორც შუხარდტი შენიშნავს, ბასკურმა, უკეთ, ბასკური გარდამავალი ზმნის პასიურმა ბუნებამ მიიყვანა იგი კავკასიურ ენებამდე.

1904 წ. გამოქვეყნებული გამოკვლევა კ. ულენბეკისა „მასალები ბასკურ დიალექტთა შედარებითი ფონეტიკისა“ (C. C. Uhlenbeck, *"Beiträge zu einer vergleichenden Lautlehre der baskischen Dialekte"*) და აგრეთვე ამავე ავტორის სხვა გამოკვლევები ბასკოლოგიის ფასეულ შენაძენადაა მიჩნეული.

რ. მ. დე ასკუეს „ბასკურ-ესპანურ-ფრანგული ლექსიკონი“ ორ ტომად (R. M. de Azkue, *Diccionario vasco-español-francés*, 1905; II, 1906) ბასკურ დიალექტთა ლექსიკურ საუნჯეს წარმოგვიდგენსო. ეს ლექსიკონი მეორედ გამოუციათ 1969 წელს. იმავე ავტორის „ბასკური ფონეტიკა“ (1919 წ.) და „ბასკური მორფოლოგია“ (1925 წ.) ბასკური ენის აკადემიის პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობას ამშვენებს.

ი. ბრაუნის მიმოხილვაში დასახელებული არიან ა. გაველი, პ. ლაფიტი, ჟ. ლაკომბი, რ. ლაფონი (თუმცა არაფერია ნათქვამი რ. ლაფონის ორტომიან გამოკვლევაზე „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“, ბორდო, 1944 წ.). „შესავლის“ პოზიტიურ ნაწილში ნახსენებია და დახასიათებული ლუის მიჩელენას „ბასკურის ისტორიული ფონეტიკა“ (1961 წ.).

პროფ. იან ბრაუნი თავისი „შესავლის“ მეორე, არსებით ნაწილში ახასიათებს ბასკური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის მოვლენებს, მეტადრე ისეთებს, რომლებიც ქართულისა თუ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისას ეხმაურება. ასე, მაგალითად, ფონეტიკაში: თავკიდური **რ** თანხმოდანი ეთუცხოება ბასკურსაც და ქართულსაც. თუ **რ** მაინც დასტურდება, სიტყვაა ნასესხები (ასეთია, მაგალ. „რუ“ — სპარსულიდან შემოსული); აგრეთვე ქართული კითხვითი ნაცვალსახელი **რა: რ** აქ **ს**-საგან მოდის...

ბასკურ თანხმოდანებში მოგვეპოვება პრერუპტივები — ისევე, როგორც რიგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში (ყაბარდოულში, ლეზგიურში...).

რა თქმა უნდა, ბასკურ ენას ამჟამად არ მოეპოვება მკვეთრები და თანხმოდანთა ზოგი სხვა სერია, რაც იბერიულ-კავკასიურს ახასიათებს, მაგრამ ამას კვლევა ესაჭიროება, ჰქონდა თუ არა მას ეს სერიები. „შესავალში“ ხაზი ესმება საერთოს.

ბრუნვათა შორის მეტად საყურადღებოა მოთხრობითი ანუ აგენტივი, უკეთ — ერგატივი; იგი გარდამავალ ზმნას უკავშირდება, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებში, თუმცა გამოყენების სფერო განსხვავებული აქვს.

ბასკურ ზმნაში მესამე პირი გაუფორმებელია: ქართულ ზმნაში მესა-



მე პირი ყველაზე გვიან არის გაფორმებული, მასთან სუფიქსით (და არა პრეფიქსით): ვამბობ, ამბობ, ამბობ-ს, მაგრამ ამბობ-ენ (და არა: ამბობ-ს-ენ). მრავლობითის მესამე პირის ფუძე (ამბობ) მოწმობს, რომ მრავლობითის მესამე პირს **-ენ** სუფიქსის დართვისას სუფიქსი **-ს** არ მოეპოვებოდა.

მეტად საგულისხმოა, რომ ბასკური გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს განასხვავებს, მაგრამ მოქმედებითა და ვნებით გვარს ვერ განარჩევს: გარდამავალი ზმნა უგვაროა ისევე, როგორც ამჟამად მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში. ქართულშიც რომ ძველად გარდამავალი ზმნა გვარებს არ განასხვავებდა, ამას მოწმობს გარდამავალი ზმნა — „იცის მან იგი“, „უწყის მან იგი“. ვნებითი არა გვაქვს: გარდაუვალი ზმნის ს უ ბ ი ე ქ ტ ი და გარდამავალი ზმნის ო ბ ი ე ქ ტ ი ერთსა და იმავე ბრუნვაშია — სახელობითში. ეს ნიშანდობლივია ქართველურისა და მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. სახელთა ბრუნვის თავისებურებას ზმნის თავისებურება განსაზღვრავს, ე. ი. ეს სიღრმისეული მოვლენაა, მეტად ძველი და ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად საგულისხმო.

ასეთი მოვლენები, რა თქმა უნდა, გამოსაყოფია. შეგნებულად ამახვილებს მათზე ყურადღებას ავტორი პროფ. იან ბრაუნი. მასაც ბასკური ენის კავშირი იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან სარწმუნოდ ეჩვენება ისევე, როგორც თავის დროზე აკად. ნ. მარს (მან „პირენეს გურია“ უწოდა საფრანგეთის ბასკეთს).

გულდაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ: არც ერთ სხვა ენას (ქამიტური იქნება იგი, ფინურ-უნგრული, პალეოაზიისა თუ სხვა წრის არქაული ენა) ბასკურთან იმდენი საერთო — მე ტ ა დ რ ე მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ი ს ტ ე მ ი ს ა რ ს ე ბ ი თ მ ო მ ე ნ ტ ე ბ შ ი — არ აღმოაჩნდება, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებს.

ბასკურთან ყველაზე მეტი საერთო იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროს აქვს. მაგრამ „ყველაზე მეტი“ საკმაოს კიდევ არ ნიშნავს. საჭიროა კავკასიოლოგთა და ბასკოლოგთა შეთანხმებული, სისტემატური, ხანგრძლივი მუშაობა (როგორც ამას ჩვენი ავტორიც სამართლიანად ბრძანებს), რომ ბასკურ-კავკასიური პრობლემა — პრობლემა დიდმნიშვნელოვანი როგორც კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, ისე ენათმეცნიერულადაც — გადაწყდეს მეცნიერული დამაჯერებლობით.

ადვილი გზა რთული საკითხის გადასაწყვეტად ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ არ იცის.

**Hoc signo vinces!**

ბ.ი.1983 წ.

წიგნში: იან ბრაუნი, ბასკოლოგიის შესავალი (მთრგმნელი ზ. ჭუმბურიძე), თსუ გამ-ბა, 1984, გვ. 3-6

## მეხუთე ტომის რედაქტორისაგან

არნოლდ ჩიქობავას შრომების წინამდებარე მეხუთე ტომი არსებითად ეთმობა მეცნიერის ნაშრომებს ზოგადჰუმანიტარულ საკითხებზე, მათ შორის და პირველ ყოვლისა — ხალხისა და ენის, მისი ისტორიისა და ფუნქციების, მწერლისა და სალიტერატურო ენისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ. ავტორი საგანგებოდ და დაწვრილებით განიხილავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიას და ნორმათა დღგენის ძირითად პრინციპებს.

ბუნებრივია, ტომი შეიცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კონკრეტულ პროექტებს, რომლებიც არნ. ჩიქობავას შეუქმნია სხვადასხვა წლებში. პროექტები, რომლებიც სათანადო კომისიამ დაამტკიცა ჯერ კიდევ 1930-იან წლებში, აქ წარმოდგენილია გვიანდელი, 1970 წლის გამოცემის მიხედვით — დანაწევრებით, ცალკეული გრამატიკული საკითხების სახით და ისინი გავაერთიანეთ I ბლოკში, რათა გავგემიჯნა იმ დანარჩენი პროექტებისაგან, რომლებიც 1970 წლის გამოცემაში არ შესულა და აქ II ბლოკში გაერთიანდა, თუმცა მათ აქტუალურობა (განსაკუთრებით ზოგიერთს) დღესაც არ დაუკარგავს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიულ საკითხებზე მუშაობა არნ. ჩიქობავამ დაიწყო მოწიფულ ასაკში, როდესაც მას უკვე შექმნილი ჰქონდა არაერთი ზოგადლინგვისტური ღირებულების მქონე თეორიული ნაშრომი, — როცა ავტორს სათანადოდ ჰქონდა გააზრებული ქართული სალიტერატურო ენის, როგორც ქართველი ერის ძლიერი მაკონსოლიდირებელი ფაქტორის როლი და მნიშვნელობა ხალხის სულიერ, ინტელექტუალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წიგნში ქართული ლიტერატურის კორიფეთა, განსაკუთრებით კი — რუსთაველის პოემის ვრცელ და ფაქიზ ლინგვისტურ ანალიზს და საბასეული პირველი განმარტებითი ლექსიკონის არსებითს ენათმეცნიერულ განხილვას, რომლის ავტორი ამ ნაწილშიც წარმოგვიდგება ობიექტურობითა და სიზუსტით გამორჩეულ ენის ისტორიკოსად. განსაკუთრებით საყურადღებოა XIX საუკუნის დიდ სამოციანელთა — ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ჩიქობავასეული შეფასება, რომელშიც მთავარი ადგილი ეთმობა ენის შესახებ ილიას შეხედულებათა ღრმა ანალიზს და იმ როლის განსაზღვრას, რომელსაც დედაე-

ნა ასრულებს მასზე მოლაპარაკე ხალხის თვითშეგნების განმტკიცებისა და ეროვნული კონსოლიდაციისათვის.

ამავე ტომშია შესული, გარდა სპეციალური სამეცნიერო სტატიებისა, შედარებით პოპულარული, პროფილაქტიკური დანიშნულების წერილები, აგრეთვე საჯარო გამოსვლები საქართველოში განათლების სისტემისა და პოლიტიკაზე. მეცნიერის არქივი უხვად შეიცავს, გარდა ზოგადთეორიული, ისე წმინდა პრაქტიკული ხასიათის წერილებსაც, რომლებიც ეხება როგორც საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნაწერებში დაშვებულ ტიპობრივ შეცდომებს, ისე პრესის ფურცლებზე დადასტურებულ ენობრივ-სტილისტიკურ ლაფსუსებს და მისთ.

მკითხველი შეამჩნევს, რომ დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დიდაქტიკური მიზნებისათვის ყველა ტრიბუნას (მათ შორის სადებუტატოსაც) წარმატებით იყენებდა, როცა თავის მდიდარ გამოცდილებას სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაში დაუზარებლად და უშურველად ახმარდა ახალი თაობის აღზრდის საქმეს. ეს ჩანს როგორც ინტერვიუებიდან, ისე არაერთი წერილიდანაც, რომელთა ადრესატია ჩვენი ახალგაზრდობა.

დასასრულ, წინამდებარე ტომს გამოარჩევს პერსონალიის მონაკვეთი. ეს არის ავტორის უაღრესად საინტერესო მემუარები სხვადასხვა თაობის ამაგდარ მეცნიერებზე — როგორც თანამემამულე, ისე უცხოელ ქართველოლოგებზე, აგრეთვე ავტორის თანამედროვე უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ მოვლენებზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ავტორის მოგონებები იმ პერიპეტეების შესახებ, რომლებიც გამოიარა ქართულმა ენათმეცნიერებამ ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ დაძლევის გზაზე.

ეჭვი არ არის, არნოლდ ჩიქობავას ეს წერილები მხოლოდ ლინგვისტ მკითხველთათვის როდი იქნება საინტერესო. ვფიქრობთ, ისინი ფართო (მათ შორის რუსულენოვანი) მკითხველის ცნობისწადილსაც დააკმაყოფილებენ: ზოგ შემთხვევაში ქართულ ტექსტს ახლავს რუსული თარგმანიც, ორჯერ — ინგლისურიც. ეს თარგმანები დედანს ხშირად გამოცემისთანავე თან ერთოდა, ზოგჯერ კი სპეციალურად იწერებოდა რუსეთის ცენტრალური ან საქართველოს ადგილობრივი რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთებისათვის.

\* \* \*

ორიოდე სიტყვა ავტორისეულ ენობრივ მიდრეკილებებსა თუ სხვადასხვა დროის ნაწერებში შემჩნეულ რედაქციულ სხვაობებზე ამა თუ იმ ფორმის ხმარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე რედაქციის პოზიციაზე მათ მიმართ.

ტომში გასწორდა, ცხადია, მხოლოდ აშკარა ბეჭდვის შეცდომები (როგორცაა, მაგ., *ათვალისწინებულნი* ნაცვლად *ათვალწუნებულისა*); სხვა შემთხვევებში კი ავტორისეული ტექსტი, ცხადია, უცვლელადაა წარმოდგენილი, — მაშინაც კი, როცა ცალკეული დედნისეული სიტყვაფორმის დაწერილობა განემსგავსება დღევანდლისას. ამის მაგალითია, პირველ ყოვლისა, სიტყვა *შეცთობა* თავისი დერივატებით (*მცთარი, შემცთარი...*). საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ამ სიტყვის ტექსტისეული მართლწერის უცვლელად დატოვება ისტორიული სურათის აღდგენასაც ემსახურება.

სხვა შემთხვევებში, როგორც ჩანს, ზოგიერი ადრინდელი ფორმა ავტორმა უფრო გვიანდელ ნაწერებში შეცვალა დღევანდელი ნორმის მიხედვით. ეს ეხება, მაგ., **ვ** ბგერის შემცველ ზოგიერთ სიტყვას (სახელურ ან ზმნურ ფორმებს), რომლებიც ადრინდელ წერილებში *უვინო* ფორმებით წარმოდგება. (მაგ., *სადავო* და *უდავო(დ)*, რომლებიც ადრინდელ ნაწერებში *სადაო* და *უდაო(დ)* სახით გვხვდება, ისევე როგორც *პოვნა* ზმნის სხვადასხვა ფორმა ადრინდელსა და გვიანდელ სტატიებში (შდრ. ადრინდელი *მოიპოვება, პოებს* და გვიანდელი *მოიპოვება, პოვებს* ფორმები).

თუ **ო**- ხმოვნის მეზობლობაში **გ**-ს ხმარება-უხმარებლობა ფონეტიკის სფეროს განეკუთვნება, სხვა შემთხვევაში გვიანდელი ცვლილებები გრამატიკულ, კერძოდ, სინტაქსურ სისტემას მსჭვალავს. ვგულისხმობთ თანხმობანზე ფუძეგათავებული მსაზღვრელისა და მსაზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების საკითხს. ადრინდელ ნაწერებში ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა ფორმებს ავტორი ფუძის სახით ხმარობდა, მიცემით-ვითარებითისას კი — პირიქით, ბრუნვის **-ბ** ნიშნის დართვით (მაგ.: ძველს ქართულში, პირველს ჯგუფში...). დროთა განმავლობაში კი ავტორმა აღნიშნული სახის სიტყვათშეხამება ამჟამად მოქმედი ნორმის მიხედვით გაასწორა.

ვითარების გამომხატველი მიმღებობებისაგან პარალელური წარმოების ფორმებიდან ავტორი **-ად** ბრუნვის ნიშნის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებს დერივაციულ **-ივ** სუფიქსს: *შეუდარებლივ* (შდრ. *შეუდარებლად*), ასევე, ავტორი ათეული წლების ერთიანად აღსანიშნავად **-იან** წარმოებას ანაცვლებს **მე — ე** წარმოებით (შდრ.: *სამოციანი* წლები — *მესამოცე* წლები...).

ზოგ შემთხვევაში საქმე ეხება ავტორის მიერ თხზული სიტყვების კომპონენტთა დეფისით შეერთებას ან მათს ცალ-ცალკე (ე. ი. ორ სიტყვად) გაფორმებას. აქ ძირითადად იგულისხმება ერთმარცვლიანი ნაწილაკ-კავშირებისაგან შედგენილი სიტყვების დაწერილობა (მაგ., *თუ კი, არა თუ, არც თუ...* შდრ. დღევანდელი ნორმით მიღებული: *თუკი, არა-თუ, არცთუ* და მისთ.). გავიხსენოთ, რომ ილიას პუბლიცისტური შედეგ-

რის სათაური სწორედ ამ (ძველებური) წესითაა გაფორმებული („**ნუ თუ?!“**).

გაკვრით შევეხებით ლინგვისტური **ტერმინოლოგიის** ჩიქობავასეული ხმარების საკითხსაც. სხვადასხვა დროის ნაწერებში მონაცვლეობს: *ნამყო სრული (წყვეტილი)*, *ნამყო ძირითადი და აორისტი*; *ნამყო უსრული და უწყვეტელი*; *თურმეობითი და შედეგობრივი*; *კავშირებითი და, ზოგჯერ, კონიუნქტივი*; *მწკრივები მან ჯერ დროებით, მოგვიანებით კი დრო-კილოთა ნაკვებით* ჩაანაცვლა, *საწყისს მასდარი* ამჯობინა, *ზმნიზედას — ზმნისართი*, სასკოლო ტრადიციით განმტკიცებულ *ვითარებით* ბრუნვას *მიმართულებითი* დაუპირისპირა, ქცევის სახელწოდებები — *საარვისო, სათავისო, სასხვისო* — ჩაანაცვლა სისტემური ალტერნატივებით: *ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო*; ორი უკანასკნელი მსაზღვრელი გამოიყენა მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობათა დასახასიათებლადაც, რითაც ერთიან სისტემაში მოაქცია ერთი შეხედვით განსხვავებული კატეგორიები. ხსენებული ტერმინების ხმარების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს ტერმინოლოგიური ალტერნატივები არც შემთხვევითი ყოფილა და არც თვითმიზნურად შერჩეული: ავტორის არჩევანი ენაში სისტემურობის დაუცხრომელი ძიების ნაყოფია და ეს საკითხი მომავალში საგანგებო მსჯელობის ღირსად მიგვაჩნია.

\*\*\*

დასასრულ, ტექსტის მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებისათვის საგანგებო მადლობა ეთქმის ტექნიკურ რედაქტორს — **ლევან ვაშაკიძეს**, ისევე როგორც ოპერატორებს — **რუსუდან რატიანსა** და **რუსუდან გრიგოლიას**.

ტომში შესატანი მასალის პირველადს შერჩევაში ინიციატივისათვის, აგრეთვე დასაბუჟდად გამზადებული ტექსტის საბოლოო გაფორმებისას რამდენიმე საგულისხმო რჩევისათვის თავს მოვალედ ვთვლი, მადლობა მოვასხენო სერიის მთავარ რედაქტორს **ვაჟა შენგელიას**.

**შუქია აფრიდონიძე**

10. XII. 2010

## შინაარსი

### ხალხი, ენა, მწერალი

ხალხი, ენა, მწერალი.....	5
ხალხის ენა ხალხის ისტორიაა.....	8
ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა.....	11
ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი დედაენა .....	18
არ დავივიწყოთ დედაენა.....	20

### შოთა რუსთაველი

„ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში.....	22
ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში .....	39
ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში.....	78
დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“.....	83
<b>პაშტაი</b> -სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“.....	104
К вопросу о диалектизмах в поэме Руставели «Вепхисткаосани».....	113

### სულხან-საბა ორბელიანი

საბას „სიტყვის კონა“ როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი.....	126
Первый толковый словарь грузинского языка С.-С. Орбелиани (Общая характеристика).....	147

### ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ.....	152
ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი .....	166
ენის ტრფიალი (ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი).....	173

**აკაკი წერეთელი**

ჩვენი ენის დედაბოძი (აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავი) .....	176
დიდი ქართველი პოეტის იუბილე (აკაკი წერეთელი — 140.....)	177

**ვაჟა-ფშაველა**

ვაჟას ლექსიკონისათვის (რედაქტორისაგან).....	178
---	-----

**იაკობ გოგებაშვილი**

ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ საიმედო ფარ-ხმალს წარმოადგენდა (ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავი) .....	182
Велики заслуги Я.С. Гогешашვილი (К столетию со дня рождения) .....	183
Учебник Я. Гогешашვილი «Деда ენა» – верная опора .....	184
„დედა ენის“ იუბილე (გამოცემის ასი წლისთავი).....	185
ხალხის სიყვარული („დედა ენის“ გამოცემის ასი წლისთავი) .....	190

**ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია**

ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ქართულში (სივრცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში).....	191
წყარო სიძლიერისა (დიალექტური სიტყვებისა და გამოთქმების შესახებ) .....	201
სინონიმების დიალექტური წარმომავლობისათვის ძველ ქართულ სამწერლო ენაში.....	205
Реальность синонимов и возможность синонимических словарей.....	207

**სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები**

სალიტერატურო ენა და ნორმა .....	209
К вопросу о внутренних законах развития языка.....	217
Продиктовано самой жизнью.....	226
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები (თეზისები) .....	227

1. სუბიექტის **-ს** ობიექტის მრავლობითობის **-თ**-ს წინ (მათ ის აქვს თუ აქვთ? ის თქვენ გიგზავნის თუ გიგზავნით? ის თქვენ დაგიდგამს თუ დაგიდგამთ?).....236
2. **ო-** და **ე-**პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა II ჯგუფში (ისინი დაიმაღლენ თუ დაიმაღლენ? დაემაღლენ თუ დაემაღლენ? შეეჩვივნენ თუ შეეჩვიენ მას?).....241
3. სუბიექტის III პირის მრავლობითობის ნიშანი დრო-კილოთა I, II და III ჯგუფებში (ისინი აშენებდნენ თუ აშენებდენ? გაფითრდნენ თუ გაფითრდენ? მოვიდნენ თუ მოვიდენ? შეჰკითხებოდნენ თუ შეჰკითხებოდენ?) .....245
4. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და მეორეში (ვმობილვარ თუ ვმობილვარ? ვმობილიყავი თუ ვმობილიყავი?) .....248
5. ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნის ფორმათა წარმოება თურმეობით მეორეში (შევჰკითხებოდი თუ შევჰკითხებოდი?) .....252
6. ორპირიანი **-ავ** და **-ამ** სუფიქსებიანი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველში (გაუბედავს თუ გაუბედავს? მოუკლავს თუ მოუკლია? დაუბამს თუ დაუბამს? შეუსვამს თუ შეუსვამს? უნახავს თუ უნახავს?).....254
7. **-ებ** სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში (აეშენებინა თუ აეშენებინა? აეშენებინოს თუ აეშენებინოს?) .....258
8. ორპირიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (გაუტეხია თუ გაუტეხია? აეტეხა თუ აეტეხა?) .....260

### **ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტები (1932-1934)**

1. ორგანიზაციაქმნილი თუ ორგანიზებული?.....265
2. **ებ-**იან სახელობითთან ზმნის შეთანხმება რიცხვში.....273
3. მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმება.....278
4. ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები .....280
5. **-გან** თანდებულის ხმარებისათვის ნათესაობითთან და მოქმედებითთან .....289



## ბოლემიკა

ობიექტური საზომისათვის სალიტერატურო ქართულიენის ნორმათა დადგენისას.....293

## პრესა სალიტერატურო ენის სამსახურში

ჩემი სურვილი (გაზ. „კომუნისტის“ ენისა და სტილის შესახებ).....308  
 თქმა მართლისა... (გაზ. „კომუნისტის“ დაარსების 60 წლისთავზე)...310  
 რაიონული გაზეთი სალიტერატურო ენის სადარაჯოზე.....311  
 დავიცვათ ენის სიწმინდე.....313

## საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სისტემის შესახებ

განათლების ზოგიერთი საკითხი ჩვენში.....316  
 ქართველ მეცნიერთა მიღწევები.....323  
 ენა, ენათმეცნიერება, ქართული ენა: პრობლემები და პერსპექტივები .....325

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელოვან იუბილარს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 20 წლისთავი).....334  
 გვახსოვდეს და ვაფასებდეთ (მოგონება თბილისის უნივერსიტეტის შესახებ).....336  
 თბილისის უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება.....339  
 Тбилисский университет и возрождение грузинской научной мысли (К 50-летию со дня основания грузинского университета).....346  
 ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი .....351  
 დედაბოძი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 60 წლისაა).....354  
 მაშინ და ახლა (თბილისის უნივერსიტეტის 60 წლისთავი).....356

## საშუალო სკოლის პრობლემები

ტიპიურ შეცთომათა ანალიზი საშუალო სკოლის მოწაფეთა წერით სამუშაოებში.....358

საჭიროა თუ არა ენის სწავლება საშუალო სკოლის უკანასკნელ კლასებში? (ღია წერილი საშუალო სკოლის მასწავლებლებს) .....	372
პრესტიჟი ეროვნული სკოლისა (ქართული ეროვნული სკოლის ისტორიიდან) .....	375
Сопоставительное изучение языков, как метод исследования и как метод обучения .....	378

### სიტყვა ახალგაზრდობას

პირველკურსელებისა და პირველკლასელების სამახსოვრო დღე.....	383
„გამარჯვებას გისურვებთ კეთილშობილურ საქმეში“ (მიმართვა ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილეებისადმი) .....	385
სახელიანი ივლიდეთ! (ორიოდე სიტყვა ახალგაზრდობას).....	388
Овладевайте языком великого русского народа!.....	389

### საზოგადოებრივ-ჰუმანისტური საკითხები

ფაშიზმი პროგრესის უარყოფილობა.....	391
ვისურვოთ მშვიდობიანი შრომის ბედნიერი წელი!.....	401
თანამედროვეობის უდიდესი ამოცანა .....	402

### Personalia

#### მასწავლებლები

ქართული კულტურის დიდი მკვლევარი (აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო).....	403
<b>ივანე ჯავახიშვილი</b> — თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი და ქართული კულტურის ისტორიის მკვლევარი (თეზისები).....	405
Ценный вклад в советскую науку (Акад. И.А. Джавахишвили, «Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков»).....	407
აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას (1876-1940).....	409
Памяти Акад. И. А. Джавахишвили (1876-1940) .....	412
To the Memory of Ivane Javakhishvili (1876-1940) .....	415
პროფესორი <b>იოსებ ყიფშიძე</b> და თბილისის უნივერსიტეტი (მასწავლებლის ხსოვნას).....	417

## მეგობრები და კოლეგები

### მილოცვა

- აკად. **კორნელი კეკელიძეს** (დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე) .....421
- აკად. **ევგენი ხარაძე** (დაბადების 70 წლისთავის გამო) .....423
- შემოქმედების სიხარული (**გიორგი ლეონიძის** დაბადების 60 წლისთავზე) .....424

### მოსაგონარი

- ამხანაგი, მეგობარი (**ვ. თოფურიას** გარდაცვალების გამო).....426
- ვარლამ თოფურია** როგორც მკვლევარი .....428
- მოსაგონარი (**ვ. თოფურიას** დაბადების 80 წლისთავის გამო) .....433
- მცირეოდენი — მოგონებიდან (**სიმონ ჯანაშიას** დაბადების 70 წლისთავის გამო) .....438
- თვალსაჩინო მეცნიერი, ნათელი მოქალაქე (**გრიგოლ კიკნაძის** გარდაცვალების გამო) .....441
- გამოჩენილი მეცნიერი, მოქალაქე (**ილია ვეკუას** გარდაცვალების გამო).....443
- რამდენიმე სიტყვა **ილია აბულაძის** მოსაგონრად.....445
- ენის ერთგული მუშაკი (**ივანე გიგინეიშვილის** გარდაცვალების გამო) .....449
- მეცნიერებისათვის საყვარელი პოეტი (**სიმონ ჩიქოვანის** გარდაცვალების გამო).....451

### უცხოელი ქართველოლოგები

- ჰუგო შუნარდტი** როგორც ქართველოლოგი (თეზისები) .....452
- რენე ლაფონი**
- პროფესორ რენე ლაფონის ლექციები ბასკური ენის შესახებ .....453
- ცნობილი ბასკოლოგ-კავკასიოლოგი .....455
- „რენე ლაფონი და საქართველო“ (რეცენზია) .....457
- ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები.....459
- რენე ლაფონის გახსენება (დაბადების 80 წლისთავის გამო).....470
- О басках пиренейских и кавказских .....472
- Лекции по баскскому языку профессора Р. Лафона .....475

**საენციკლოპედიო სტატიები**

<b>Николай Яковлевич Марр</b> .....	477
<b>Макс Мюллер</b> .....	479
<b>Фридрих Мюллер</b> .....	480

**In Memoriam: ოსებ სტალინი** (გარდაცვალების გამო)

სტალინის უკვდავი სახელი მარად იცოცხლებს მის უკვდავ საქმეებში.....	481
Ученые сплочены вокруг партии (по поводу смерти И. В. Сталина).....	483

**მოგონება**

როდის იყო და როგორ.....	484
Когда и как это было.....	502
When and How It Happened.....	516

**ინტერვიუ**

ნიჭი და შრომა.....	529
თვრამეტი მეცნიერის პასუხი ერთ შეკითხვაზე (აქვს თუ არა მეცნიერებას პოეზია?) .....	542
სასიცოცხლო ძალა (პასუხები გაზ. „თბილისის“ ანკეტაზე) .....	543
Над чем работают ученые? .....	544
Толковый словарь грузинского языка (განმარტებითი ლექსიკონის რედაქტორთა ჯგუფის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოების გამო) .....	546

**რედაქტორისაგან**

წიგნში: ფ. რურუა. მართლწერის სავარჯიშოთა კრებული .....	548
წიგნში: ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა .....	549
წიგნში: იან ბრაუნი. ბასკოლოგიის შესავალი .....	553

<b>მეხუთე ტომის რედაქტორისაგან</b> .....	556
--	-----

პრესაში გაბნეული დიდძალი მასალის კომპიუტერული ბეჭდვისათვის გასამზადებლად უსასყიდლოდ გაწეული შრომატევადი მუშაობისათვის (ფოტოგრაფირება) არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და არნოლდ ჩიქობავას „შრომების“ მრავალტომეულის სარედაქციო კოლეგია მადლობას მოახსენებენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამომცემლო განყოფილების მთავარ სპეციალისტს **შალვა პაპალაშვილს**.

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

ოპერატორები: **რუსუდან გრიგოლია, რუსუდან რატიანი**